ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

7

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

7

ივლისი

1990

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 397. გამოცემის 33-ე წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის
მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
დათო მაღრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი სულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერგიანი
ტარიელ ჭანტურია
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ბაღათერ არაბული

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## პოეზია და პროზა

3. ჯანსუღ კორძაია — ლექსები
6. იუზა ყაჭეიშვილი — მსხვერპლი. მოთხრობა
25. თედო ბექიშვილი — ლექსები
29. მაყვალა გონაშვილი — ფიქრები ბაგზარულ სარკესთან. ლექსი.
33. მურად ჭანტურია — რომელმან აღაშენა სახლი. მოთხრობა
74. ელა გოჩიაშვილი — ლექსები
76. ეთერ ჩიგოგიძე — ლექსები
77. ელგუჯა მარღია — ლექსები
79. გოჩა აბუთიძე — ლექსები
81. დარეჯან ჯელაძე — ლექსები

## ა კ ა კ ი — 150

82. შალვა გოზალიშვილი — აკაკი წერეთელი და მიხეილ თამარაშვილი

## დაბრუნებული სახელები

85. უშანგი ბახტაძე — აკაკი ჩხენკელის უცნობი წერილები
99. ალექსანდრე სულხანიშვილი — მოგონებები შეფიცულთა რაზმზე. გაგრძელება.

## წერილები

119. ზინა მჭედლური — ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ლექსისა და პოემის ტექსტოლოგიისათვის
125. დანიელ ხანანაშვილი — ქართველ ებრაელთა სამადლობელი
130. ბრანი ქავთარია — „ღვთაებრივი ალმაფრენის“ თაყვანისმცემლები

## ისტორიის თეთრი ფურცლები

138. აბდურახმან ავტორხანოვი — სტალინის სიკვდილის საიდუმლო. გაგრძელება. თარგმნა ზურაბ ნარმანიამ

## პოეტის პირველი წიგნი

151. შარლოტა კვანტალიანი — „შესაწირავი რაა მესამე...“

## პოლემიკა

153. გ. მუჩაიძე — მცირე განმარტება „მიმომხილველს“
156. დავით მჭედლური — „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებით“

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ჯანსულ კორძაია

## კვლავ ვიბადები

კვლავ ვიბადები...
რაცაა ირგვლივ,
რასაც ტყვედ ჰყავდა აზრი და
განსჯა,
ყველაფერს ვშიფრავ განმკითხველ
ფიქრით,
ყველაფერს ერთად ვუსინჯავ მაჯას.

ყველაფერს ერთად ვაცილებ ნიღაბს,
ყველაფერს ერთად ვუშიშვლებ
სახეს,
ყველაფერს ერთად, ვით ახსნილ
იგავს,
ყველაფერს ვარქმევ მის ნამდვილ
სახელს,
. . . . . . . . .
და ვიბადები.

●

შენს ფიქრში ახლაც ნათლად ჩანს
კვალი
ქრისტეს ფიქრის და დემონის
ფიქრის,
და კრთება ზარი, ექო და ზარი
ეკლესიასტეს მწუხარე წიგნის.

და უნდა ჩანდეს!
შენს ფიქრში
ზარად
უნდა უსმენდე ბიბლიის სტრიქონს,
რადგან სამყარო ისაა მარად,
რაც იყო, ერთხელ და უკვე იყო.

●

ვარსკვლავთმრიცხველნო!
გალაქტიკების
მზეებს რომ იპყრობთ
ტელესკოპებით,
როცა ზეიმობთ
ციურ მიგნებით,
როცა მაღლდებით
ციურ ოცნებით, —
შეხედეთ ზეცას: ლურჯი ტატნობი
გადაუქარგავთ წვრილთვალა
ქარვებს,
და არის მთვარე — ზეცის მნათობი,
და არის კიდევ
მთაწმინდის მთვარე.

●

მხოლოდ შენ არ ხარ!
სხვა ყველაფერი,
სხვა ყველაფერი არის უცვლელი,
კვლავ შეღამება... მარჯნით ნაფერი,
კვლავ გემი... პორტში
შემოუსვლელი,
მაგრამ შენ არ ხარ
ხარ შორს და სადღაც...
და ეს ცა არ ჰგავს ცას იმ აპრილის,
ეს ზღვა და ტალღა იმ ზღვას და
ტალღას
და იმ ზღვის ნაპირს ეს ზღვის
ნაპირი.

## ჰერაკლიტეს მონოლოგებიდან

გონი რომ ჩაწვდეს სამყაროს
ლოგოსს,
პირველსაწყისებს რომ მიწვდეს
აზრი,
სულმა რომ ახსნას: რითი და
როგორ
აგებს კამარას საკუთარ ტაძრის.

რომ დავინახო კოსმიურ გზებზე
მარადი ცეცხლი როგორ გიზგიზებს,
მე უარს ვამბობ
ჩემს ღვთიურ ხვედრზე —
მეფის ტახტზე და მეფის გვირგვინზე.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შენ მოაბიჯებ!
და ისე, როგორც
მზის ზენიტზე
ჩინარის ჩრდილი,
უკან იხევს ამაოება.

## თევდორე

შენ ღმერთს დასჭირდი!
შენც და ის ღამეც,
ის ჯვარცმის ღამეც და ის
ცისკარიც,
ის სისხლისფერად ქცეული
მთვარეც,
ის ცხირეთიც და ის ტაშისკარიც,

ის თავგანწირვაც და ის წამებაც,
ის სულიც, მტკიცე და შეუვალი,
დასჭირდი!
რათა ეთქვა ღვთაებას,
რომ „მარად თქვენთან არის
უფალი“.

●

გაჩნდი... და მერე წერდა და
წერდა,
სულზე, ვით სუფთა დაფაზე წერდა,
უიდუმალეს ხილვებით წერდა,
წერდა ტკივილის ასომთავრულით,
დავითის ქართლის ნანგრევის
სევდა,
ბაგრატის დაშლილ ჩუქურთმის
სევდა,
ყინწვისის ფრესკის უკვდავი სევდა
და მარადისი ფიქრი: მამული.

## ჟამთააღმწერელის კითხვისას

რაც მთავარია,
შენ სულ არ გიკვირს...
ხელში გიპყრია
მეცამეტე საუკუნის ქართლის
ცხოვრება
და სულ არ გიკვირს,
ექვსასი წლის წინ როგორ დაწერა
იმ უსახელო ჟამთააღმწერმა
შენი ტკივილით,
დღევანდელი შენი ტკივილით
შეძრული წიგნი!

## შენ იცი, მაგრამ...

შენ იცი, მაგრამ მაინც არ იცი,
ისე,
როგორც მე მინდა იცოდე,
რას ნიშნავს ჩემთვის იმ დღის
დაისი,
რას ნიშნავს ჩემთვის შენი
სიცოცხლე.
არა!
და, მხოლოდ და სწორედ მაშინ,
შენზე ჩემს ფიქრთან წილისყრის
შემდეგ,
შენ დაინახავ საკუთარ თავში
შენს თავს,
როგორსაც არ იცნობ დღემდე.

●

გიყვარს!
და უკვე ამოხსნილია
შენი სიცოცხლის ნამდვილი აზრიც
და საიდუმლოც ქვეყნის გაჩენის.

●

შენ
არასოდეს
გინახავარ
იმგვარი, რაც ვარ,
(ნუ შემაჩერებ,
და ნუ მეტყვი,
ვცდებოდე თითქოს),
სინამდვილეში
მე რაცა ვარ
მხოლოდ იქ ვჩანვარ,
როს
შენთან არ ვარ
და შენზე ვფიქრობ.

●

შენ ხარ!
შენ ცოცხლობ!
და მეორდება,
კვლავ მეორდება ცა მოწამეთის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ გაზაფხული მზისფერ
კორდებად,
კვლავ მაისი და ისევ ცამეტი.

კვლავ ის ფრთები და კვლავ ის
ოცნება,
და კვლავ ის ზარი ავსებს ხეობებს,
შენ იმით ცოცხლობ, რომ...
მეორდება,
შენ მიტომ ცოცხლობ, რომ...
განმეორდეს.

**რა ეშველება?**

მოსე გოგიბერიძის ჩანაწერებიდან

დროს,
იმ დროს,
იმ წლებს
რა ეშველება,
როს ბორკილს აწყვეტს ჭეშმარიტება
და გარდუვალად ჩაესვენება
დღევანდელ დღეთა მზე და დიდება?

იმ შემაზრზენ და შემძვრელ
ტკივილებს,
დამსხვრეულ კერპთან იმ შეჩერებას,
რა ეშველება იმ სინამდვილეს,
დროს,
იმ დროს,
იმ წლებს
რა ეშველება?

**არა! მხოლოდ ის...**

მიხეილ ჯავახიშვილი

...და ის კი არა — მე რომ გამწირეს,
...და ის კი არა — მე რომ მაწამეს,
არა! ამ საკნის ბნელი საკირე
და ეს ტკივილი კი არ მამწარებს,
არც ეს — ნაგვემი ჩემი სხეული,
არც ეს — მზარავი მიუსაფრობა,
არც ფიქრი — ასე გზაარეული,
არც ხვალინდელი დღე და გაქრობა,

არა!
მხოლოდ ის —
როგორ ვიქეცი
მოწმედ სამყაროს ულვთოდ
დაქცევის,
და ამ სიმართლის უსასტიკესის —
ადამიანის ამგვარ დაცემის.

●

...და არაფერი,
სულ არაფერი,
აღარაფერი
აღარ შეცვლილა.
იმ დღიდან, როცა
ყოფნა-არყოფნის
კითხვა დაუსვა
უფალს შექსპირმა.

...და არაფერი
სხვა და უცნობი,
და არაფერი
სხვა და სიახლე,
იმ დღიდან, როცა
ამაოებად
გაშიფრა ყოფნა
ეკლესიასტემ.

...და არაფერი
შესაცნობი და
გამოსაცნობი
როგორც მიზეზი,
იმ დღიდან, როცა
ცეცხლად აინთო
ჟამთა წრებრუნვა
ჰერაკლიტესი.

## იუზა ყაჭეიშვილი

# მსხვერპლი

### მოთხრობა

**ამ** ათიოდე წლის წინ ერთი იმისთანა იაღლიში მომივიდა ცხოვრებაში, დღემდე საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია, — კარს მომდგარი ბედი ვერ მოვიხმარე, აქლემივით რომ დაიჩოქა ჩემს წინ, მორჩილად კუზი მომიშვირა და თვალშეუდგამ სიმაღლეზე აყვანას მპირდებოდა. ამ ამბავს ხშირად ვიხსენებ და ჭკუის სასწავლად სხვებსაც ვუყვები. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მისი ფინალი და, ჩვეულებრივ, აქედან ვიწყებ ხოლმე:

სადღაც, მიყრუებულ, ბნელ ოთახში გავახილე თვალი, — ტახტზე გულაღმა ვეგდე და ზედ თოკით ვიყავ მიკოჭილი (ლეიბი მეგო და თხელი საზაფხულო საბანი მეხურა)... უმწეოდ ვფართხალებდი ლოგინში, წამოდგომას ამაოდ ვლამობდი; უფრო იმან გამაწამა, თავი რომ ვერ გავისაცნაურე. კიდევ კარგი, გონს მალე მოვეგე, თორემ ჭკუაზე შევიშლებოდი, — ჯერ ფეხსაცმელი ვიცანი, ღია ფერის მოდური „სალამანდრები", საგანგებოდ რომ შევიძინე იმ კვირაში და ახლა პირველად მეცვა (გაუხდელი ვიწევ, თავი მომაღლოდ მედო და ფეხები ტახტს გარეთ მქონდა დარჩენილი)... ცხადი იყო, რაღაც სასწაული, რაღაც ფარსაგი მჭირდა, მაგრამ ინტუიციამ მიკარნახა, სასოწარკვეთას არ მივცემოდი, — განა ყველა საიდუმლო ბოლოს ჩვეულებრივ, მოსაწყენ ამბად არ იქცევა ხოლმე? ცნობისწადილიც კი მომეძალა, ნეტავ, ამჯერად, ამ „სასწაულს" ცხოვრება რა გამართლებას გამოუძებნის-მეთქი... ოთახში ყრუდ აღწევდა ქალაქის ხმაური, დღის მკრთალი ნათელიც შემოდიოდა, მაგრამ ვერ გამეგო, თენდებოდა, თუ ღამდებოდა. ფანჯრებს გისოსები და მავთულბადე ჰქონდა დატანებული, რკინით შეჭედილი ცალფა კარიც საიმედოდ ჩანდა გადაკეტილი...

„ბანდიტებს ხომ არა ვყავარ გატაცებული?.." — გამკრა ფიქრმა და გუნებაში მწარედ გამეღიმა, — მერედა, ჩემგან რა ხეირი უნდა ნახონ-მეთქი, მაგრამ კარგად რომ ჩავუკვირდი და ავწონ-დავწონე ყოველივე, მივხვდი — არც მთლად ეგრე იყო საქმე: უბანში უკვე იცოდნენ, შეფს რომ მოვეწონე სასიძოდ, და, ალბათ, არც იმის ვარაუდი შეეშლებოდათ, სასიმამრო ასე იოლად რომ არ გამწირავდა... მართალია, ოფიციალურად საქმე ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, მაგრამ ეტყობოდა, წინაც ველარაფერი დაუდგებოდა... განა, გუშინდელი დღე ამას არ მოწმობდა? გუშინ არჩილმა პირველად შემიყვანა ოჯახში, ახლო ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებში წარმადგინა. მადლობა ღმერთს, გაცნობამ კარგად ჩაიარა, ყველას მოვაწონე თავი: ქეთი „მამიდას" იმის დაჯერებაც არ სურდა „მიყრუებული პროვინციიდან" რომ ვიყავ ჩამოსული. უკვირდა, „ასეთი არისტოკრატული ტიპი" გლეხის ოჯახში რანაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად უნდა გაზრდილიყოო, ხოლო მარგო „დეიდამ“ არც აცივა, არც აცხელა, ეგრევე დაგვლოცა — მზე და მთვარესავით შეგაბეროთ ერთმანეთსო. მახსოვს, ამის გაოგონებაზე, აღტაცებულმა საცოლეს წავჩურჩულე: „ხვალვე მოვაწეროთ ხელი, ფისო, ხვალვე, კარგი?!.“

რატომ ვჩქარობდი?..

სიზმარ-ცხადში რომ არ ვიყავ, ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი და გულში მაინც შიში მქონდა — ემანდ, რამე გაუთვალისწინებელი არ გამოხტეს-მეთქი...

რა ბედნიერი დილა გამითენდა მაინც იმ დღეს: სამსახურში მისვლისთანავე ხალხი შემომესია — მკოცნიდნენ, მეხვეოდნენ, დაწინაურებას მილოცავდნენ... მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, მე რომ უმიზეზოდ გავაცდინე წინა დღეს, და ახლა გულში შიში მქონდა, დამსჯიან-მეთქი, არჩილს ცამდე ავეყვანე ქებით, — საქმის მცოდნე, ენერგიული და კეთილსინდისიერი ყმაწვილიაო. სასწრაფოდ საბუთები გაამზადე, ხვალიდანვე დამხმარე საამქროს უფროსად გადავიყვანოთო, — კადრების უფროსი ინსპექტორისთვის ებრძანებინა... კი მაგრამ, ბატონო, — ამხანაგი გედი უჯმაჯურიძე რომ პარტიის წევრი არ არისო? — მოკრძალებით შეუხსენებია კადრების ინსპექტორს, რომელიც იმავდროულად პარტბიუროს მდივანიც გახლდათ... მით უარესი შენთვის, რატომ აქამდე არ მიიღეო, — იქით შეუბრუნებია კეხი მმართველს... რა ჩემი ბრალია, ბატონო, რაიკომი არ იძლევა ანკეტასო, — აბლუკუნებულა პარტბიუროს მდივანი... ხვალვე მიდი ჩემი სახელით ამხანაგ ჩიფჩიურთანო, — გზა მიუსწავლებია ბატონ არჩილს... ხალხი, გაშტერებული, მხრებს იჩეჩდა თურმე, — ვერაფრით აეხსნათ მიზეზი, მანამდე უჩინო, რიგითი ეკონომისტის ესოდენ უეცარი აღზევებისა, მით უფრო, იცოდნენ — დიდად არ ვეხატე გულზე მმართველს...

თავიდან მეც არ დავიჯერე, — მეგონა, რაღაცას მაიმუნობენ და მაპამპულავებენ-მეთქი, მაგრამ მერე, კადრების უფროსმა ინსპექტორმა ხელმოწერილი ბრძანება რომ მაჩვენა, ვირწმუნე, რაღა თქმა უნდა. ანკეტაც მოეცუნცულებინა უკვე რაიკომიდან, იჯდა და დიდის მონდომებით, რეკომენდაციას წერდა...

დღის ბოლოს მმართველმა თავისთან მიხმო და დიდხანს მეგობრულად მესაუბრა. მის კაბინეტში მოწევას როგორ გავბედავდი, მაგრამ თვითონვე შემომთავაზა სიგარეტი და ჩემი ნაჩუქარი სანთებელათი მომიკიდა. თავს მაინც შებოჭილად ვგრძნობდი, — კვამლს ხამუშ-ხამუშ მუჭში ვუშვებდი და მაგიდის ქვეშ ფრთხილად ვფანტავდი. გააბოლე არხეინად, რისი გერიდებაო, გაიცინა. სამოცს მიტანებული ჯიჯგვი კაცი იყო; უპეებში ღრმად ჩამძვრალი ჭროღა თვალები ჰქონდა, სახეზე კი ჟანგივით მოსდებოდა ჭორფლი. რა აღსანიშნავი ეს არის, მაგრამ გაცინებაზე უფრო მეტად მაინც განრისხება უხდებოდა... კმაყოფილი ხარო? — მკითხა და მეც — უჰ, უჰ! ბატონო არჩილ-მეთქი, ესღა მოვახერხე... იმუშავე ჯერ მანდ ცოტა ხანს, და მერე უკეთეს ადგილზე გადაგიყვან — პარტიის საქმეც უკვე მოგვარებულიაო; ერთი სიტყვით, რაც შემეძლო, ყველაფერი გაგიკეთე, იმისთანა ხალხმა მთხოვა შენზე, უარს ვერაფრით ვეტყოდიო... ვინა გთხოვათ, ბატონო, ვინაა ის ქრისტიანი, ვინ მოისხა ჩემი მადლი-მეთქი, ვუთხარი გაკვირვებულმა. კი ვიცოდი ბუნებაში ამისთანა რამ რომ არ ხდებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც მქონდა იმედი, იქნებ დადგა დრო და პატიოსნება დაფასდა-მეთქი... აბა თუ გამოიცნობო, — ეშმაკურად თვალები მოჭუტა... — ვერა, ვერ გამოვიცნობ, მე ეგეთი გულშემატკივარი ქვეყნად არავინ მეგულება-მეთქი... ჰოდა, მაშ

იცოდე, — ჩემი მეუღლე და ქალიშვილი იყვნენ გუშინ, აქ რომ ისხდნენო...

ყურის ბიბილოები შემიხურდა და ტანში საამო ჟრუანტელმა დამიარა, მყისვე ნათელი გახდა ყოველივე:

იმ დღეს, ჩემდა იღბლად, მმართველს რაღაც ქაღალდები შევუტანე ხელმოსაწერად... იქვე, მისადგმელი მაგიდის ცალ მხარეს იჯდა ორივე დედა-შვილი. მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია; მხოლოდ გასვლისას წამით შევავლე მზერა: ქალბატონ სალომეს მარაო ხელში გაშეშებოდა და ისე ცნობისმოყვარედ, ისეთი მუშტრის თვალით მიცქეროდა, შეურაცხყოფილადაც კი ვიგრძენი თავი; სკამზე ნებიერად მჯდარი, შუბლზე თმაჩამოშლილი ფისოც ინტერესით მიჭვრეტდა (მაშინ, ცხადია, არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ისინი). მახსოვს, გუნებაში გავივლე, მე ასეთ გოგოს ცოლად არ შევირთავ-მეთქი. აი, რა მატყუარაა ზოგჯერ პირველი შთაბეჭდილება!.. ორმაგ კარში გაჩხერილმა, ვიდრე დღის სინათლეს ვიხილავდი, ქალის ნათქვამიც გავიგონე: — „რა კარგი ბიჭია არჩილ, ჭინ არის?!.“

რა გიშლის ხელს, რატომ ოჯახს არ ეკიდებიო, მამაშვილურად მკითხა მმართველმა და მეც გული გადავუშალე, — მოგეხსენებათ, ხელფასის შემყურე, უსახლკარო კაცის ამბავი-მეთქი... ჰო, ეგეც კია, მაგრამ ახლა ჯამაგირი მოგემატება და არსებობის სხვა სახსარიც გაგიჩნდებაო. — „შეყვარებულიც გეყოლება, ალბათ“, დაინტერესდა ბოლოს და — აჰ, არა, არა, რასა ბრძანებთ, რის შეყვარებული, რა შეყვარებული-მეთქი, სასტიკად ვიუარე, თან სახეზე ფერმა გადამკრა: მართლა ვხვდებოდი ერთ გოგოს, სახელად მაიკო ერქვა (იმ დღეს, კრება რომ გავაცდინე, სწორედ მასთან მქონდა პაემანი); იქვე, ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და ხანდახან შინაც მაკითხავდა, — მეხმარებოდა, ოთახს მილაგებდა. იმას, ვგონებ, მართლა ვუყვარდი, მე კი — ისე, რა... მაგრამ ახლა რა დროს სიყვარულობანა იყო, ბედი კარს მომდგომოდა!..

•

ყოველივე ეს რომ გავიაზრე, დავმშვიდდი და გული დავიარხეინე. რაგინდ დიდი თანხაც უნდა მოეთხოვათ ჩემს გამტაცებლებს, არჩილი უკან არ დაიხევდა. პირველად ვიგრძენი, უპატრონო კაცი რომ არ ვიყავ და ასე იოლად ვეღარავინ დამჩაგრავდა...

დროდადრო ოთახში უცნაური ხმები აღწევდა, თითქოს მავანს აწამებენო. ვიდრე ჩემთვისაც მოიცლიდნენ, საფეთქელზე რევოლვერის ლულას მომადებდნენ და სასიმამროსთან გასაგზავნი წერილის უნიჭო ტექსტს მიკარნახებდნენ, მე თვითონვე დავიწყე გონებაში ბარათის შეთხზვა: „ძვირფასო მამავ! — ასე ვამჯობინე მიმართვა, ასე უფრო გაეხარდებოდა. — არ ვიცი, როგორ მოხდა და რანაირად, მაგრამ წუხელ, თქვენგან რომ წამოვსულვარ ა მ ა თ ჩავვარდნივარ ხელში (ჩანს, ცოტა ღვინოც მომკიდებია)... ცუდი ბიჭები არ არიან, მაგრამ, მოგეხსენებათ, ფულის გულისთვის ხალხი დღეს ყველაფერს კადრულობს... თუ გულმოწყალებას გამოიჩენთ და ამ ბარათის მომტანს ორმოცდაათი ათას მანეთს გადაუხდით, მაშინვე საღი და უვნებელი დაგიბრუნდებით, არადა — ცოცხალს ვეღარ მნახავთ!.. — თანხა მიახლოებით ვივარაუდე და გული სიამაყით ამევსო, როცა ვიგრძენი, ერთბაშად, არჩილთან დამოყვრების წყალობით, რა ზღაპრულად გაზრდილიყო ჩემი ფასი! — ვთქვათ და, ბატონო არჩილ, ამოდენა თანხის უცებ შოვნა გაჭირდეს, — ზრდილობისა და ტაქტის გამო თუ დავწერდი, თორემ ორმოცდაათი ათასი რა ბედენა იყო! — გაყიდეთ მაშინ ის ავტომობილი, ფისოს სამზითვოდ რომ შეგიძენიათ... არ მოგერიდოთ, არა უშავს, — მე ცოტა ხანს ფეხით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვივლი, მაინც მიჩვეული ვარ! არავითარ შემთხვევაში მილიციას არ შეატყობინოთ, და ჩემი თხოვნაა, ნურც ფისოს გააგებინებთ, — ცოდოა, მისი გულის ამბავი რომ ვიცი, — ინერვიულებს... მარად თქვენი მოსიყვარულე და ერთგული, გედი უჯმაჯურიძე! — და ბოლოს უსათუოდ, ცოტა თავის გამოსაჩენად: P.S. ჩემზე არ იდარდოთ, მე აქ შესანიშნავად მეპყრობიან. გეხვევით, გკოცნით. მალე შეხვედრამდე..."

●

ხომ ვიცოდი, მოკვლით არ მომკლავდნენ და არც არაფერს მავნებდნენ, მაგრამ კარის მრგვალ ჭრილში ვიღაცამ ხელი რომ შემოყო, მაინც შემიქანდა გული... ჰოდა, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ოთახში, იარაღშემართული ნიღბოსნის ნაცვლად, სანდომიანი სახის თეთრხალათიანი, ჭაღარა კაცი შემოვიდა...

„საგიჟეთია!" დამცეცხლა თავში...

ვერ გავიხსენე, როდის გავგიჟდი, ან რა ღმერთი გამიწყრა და რამ გადამრია, სწორედ ახლა, როცა ასე დიდებულად წამივიდა საქმე... ან, იქნებ, ეს „მდიდარი საპატარძლოც" ჩემივე ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი იყო?.. ამას ნაღდად ბანდიტების ტყვეობა მერჩივნა — სასიმამრო გამომისყიდიდა, ხოლო ახლა, ამ წყეული სენისაგან ვინღა დამიხსნიდა? მტრისას, შიზოფრენია, მეტადრე — რეაქტიული ფსიქოზი! აბა ასე უეცრად, გუშინს აქეთ, სხვა რა ჭირი და წელკავი უნდა მცემოდა, ამ საღსალამათ კაცს? როგორმე უნდა გამეღწია აქედან, ვიდრე ეს ამბავი გახმაურდებოდა, თორემ მერე — ნაგიჟარს — ქალს ვინღა მომცემდა?!.

კაცი თავაზიანად მომესალმა და თვალებში გამომცდელად ჩამხედა.

— ამ დილით როგორ ხარ?

— კარგად, ექიმო... მე მგონია, გადავრჩი!

გავუღიმე და მზერა გავუსწორე, მასთან ფსიქოლოგიური ჭიდილისათვის შევემზადე... ჯერ უბრალოდ გამესაუბრებოდა, ალბათ, მერე პრაქტიკულადაც გამომცდიდა. ზოგი რამ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გიჟების გამოცდაზე, ადრე, ანეკდოტად მქონდა გაგონილი: ვიცოდი, მაგალითად, ცხრილით წყალს რომ ვერ ამოვიღებდი, და ვერც სიბნელეში ასვეტილ ელექტროფარნის შუქზე ავცოცდებოდი. საერთოდ, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სრულ ჭკუაზე გახლდით...

— წამოჯექი, პერანგი აიწიე! — სტეთოსკოპი მოიმარჯვა და იქვე, ტახტზე ჩამოიმუხლა. ალბათ, აინტერესებდა, მივხვდებოდი თუ არა, რა ძალა მბოჭავდა, როცა ლოგინში უაზროდ მოვყვებოდი ფართხალს.

არ გავტოკებულვარ. აზრიანად გავუღიმე და თვალით ვანიშნე თოკზე, ბარდებში შემძვრალი უხსენებელივით რომ ჩანდა გამოხეული ჭრელი საბნიდან.

— აჰ, შენ ისევ დაბმული ხარ?.. — ხმაში აშკარა შეშფოთება დაეტყო, საბნის კიდე გადასწია და სწრაფად შემხსნა თოკი. — ძაან გიჭერდა?

— არა, არც ისე... — გახარებული ტახტზე წამოვჯექი, მაჯები და წვივები დავისრისე, სადაც ზოლებად მაჩნდა თოკის კვალი... ჩალისფერი საზაფხულო კოსტიუმი, „სალამანდრებთან" ერთად რომ შევიძინე გასულ კვირაში, ისე იყო მოსრესილ-მოჭმუჭნილი, ალბათ, აღარც გამობრუნდებოდა. პიჯაკს ღილები აწყვეტოდა და სახელოებიც სანახევროდ მორღვეოდა. — ეს რომელია, — ვთქვი საქმიანად და პალატა მოვათვალიერე: შპალერჩამოფხრეწილი კედლის გასწვრივ კიდევ ორი ბადეჩაზნექილი რკინის შიშველი საწოლი იდგა. — კამოს ქუჩაზე როა, ისა, თუ საბურთალოზე, ასათიანისა და ვაჟას კუთხეში?

— შენ მართლა საგიჟეში გგონია თავი? — გეღიმა ექიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა სადა ვარ?.. — ვკითხე გაშტერებულმა.

— გამოსაფხიზლებელში... — მომიგო მან და სტეთოსკოპის პრიალა, ცივი რკინა გულზე მომადო, — ისუნთქე... უფრო ღრმად!

პირი კი დავაღე, მაგრამ სუნთქვა სულ შემეკრა. მკერდში თითქოს რაღაც ჩაწყდაო, მერე ისევ გაინასკვა. მაღლა-მაღლა წამოვიდა და ყელში ბურთივით მომებჯინა.

— მე აქ რა მინდოდა, ექიმო?

— არ ვიცი, მორიგეს ჰკითხე.

— ქუჩაში ვეგდე, ნეტავი?..

— ვერც მაგას გეტყვი... ასე უგონოდ დათრობა კი ნამდვილად არ გეკადრება, ახალგაზრდა კაცს!

სტეთოსკოპის ცივი, გლუვი რკინა უსიამოდ დაცოცავდა მკერდზე...

მაინც, ისეთი რა უნდა მომხდარიყო წუხელ, — ხომ არაფერი შემეშალა, ჩემივე უხეირობითა და უსაქციელობით საქმე ხომ არ წავახდინე, ნეტავი?.. ვერ იქნა და, ვერ გავიხსენე, როგორ დამთავრდა გუშინდელი დღე. უბედურება ის გახლავთ, რომ სასმელს ვერ ვიტან, არ მიყვარს. რაც თავი მახსოვს, რაც ამ ცოდვილ დედამიწას ვამძიმებ, თითებზე ჩამოსათვლელად თუ მექნება სათრობად დანალევი. არადა, ყველგან მაძალებენ, — როგორ თუ ამისთანა ვაჟკაცი კაცი ღვინოს არა სვამო! რამდენი უსიამოვნება — დამცირება და შეურაცხყოფა გადამიტანია ამის გამო; ერთხელ ჩხუბიც კი ამაყოლეს, მუშტიკრივამდე მივიდა საქმე... სიმთვრალეც არ მივარგა, — ორ-სამ ჰიქაზე კონტროლს ვკარგავ და ვითიშები, ხოლო მერე ჩემი საქციელი და სიტყვა-პასუხი აღარაფერს ჰგავს. რამდენიც დავითვერი, იმდენ ხათაბალას გადავეყარე, თავი შევირცხვინე, ბოლოს დავიფიცე, სასმელს სიახლოვეს აღარ გავეკარები-მეთქი. მით უფრო, არ ვაპირებდი დალევას იმ დღეს, ჩემი ცხოვრების ამ ყველაზე საპასუხისმგებლო გამოცდის ჟამს, როცა საქმე წკიპზე იყო უკვე მიმდგარი, და სულ მცირე უტაქტობას, სულ უმნიშვნელო შეცდომასაც კი შეეძლო ყველაფერი გაეფუჭებინა... არადა, არჩილს სურდა, სწორედ ღვინოში გამოვეცადე — სხვებიც მხარს უბამდნენ, მაძალებდნენ, საშველს არ მაძლევდნენ. კარგა ხანს ვიგერიებდი მათ შემოტევებს, ვიდრე ბოლოს ციხე შიგნიდან არ გატყდა: ბუნკერში მარტო დავრჩით, ფისომ კონიაკით მაცდუნა... რაკი სირცხვილ-ნამუსზე ხელს ვიღებ და ეს ამბავი სააშკარაოზე გამომაქვს, ბარემ იმასაც ვიტყვი, კიდევ ერთი ცუდი ზნე რომ მჭირს, — საკმარისია სასმელს ოდნავ გავუსინჯო გემო, და მერე, თავს ველარ ვიკავებ...

●

სამორიგეოს კედლები უცნაური პლაკატებით იყო აჭრელებული: ორმოცგრადუსიან არყის ბოთლში ჩაშლილი ღვიძლი და თირკმელები; ცელივით მოხრილი მკლავი, ჩონჩხად ქცეულ თითებში მხრჩოლავი სიგარეტით, და იქვე, ვიღაც უსახური — ვენაში გარჭობილი ვეება შპრიცით...

— სად ცხოვრობ? — მკითხა მილიციის ულვაშა კაპიტანმა და ქაღალდები ზანტად გადაფურცლა.

— შანხაიში... — მივუგე, და მის დაბღვერილ მზერას რომ წავაწყდი, მყისვე გავასწორე: — საბურთალოზე, აგურის ქარხნის ბარაკებში!

სახელოები წამომაწევინა, ვენებზე დამაკვირდა. საეჭვო ადგილები თითებით მოსინჯა.

— იჩხირავ?

— რა ბრძანეთ?.. — კითხვა შევუბრუნე, მერე უცებ, ისევ პლაკატმა მიმახვედრა. — ღმერთმა დამიფაროს!

პირადი ნივთები და ფული — ერთი ცალი დაჩეჩქილი სამმანეთიანი დამიბრუნა, თან რაღაც ქაღალდზე მომაწერინა ხელი, საპრეტენზიო ხომ არაფერი გაქვსო; ხანდახან ავიწყდებათ, სად რა დახარჯეს — ზოგს პარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენ, ზოგი კარგავს და დილაობით ჩვენა გვდებენ შარსო... არა, როგორ გეკადრებათ, ბატონო, ცოტაოდენი კი მედო ჯიბეში, მაგრამ ჩანს, წამიგია-მეთქი, ვუთხარი.

— აგორებ? — ყურები ცქვიტა კაპიტანმა.

— რას ვაგორებ?.. — აჰ, არა, უბრალოდ, სეკა წავითამაშეთ გუშინ, შინაურულ წრეში.

კვლავ რაღაც ქაღალდი გამომიწოდა ხელმოსაწერად, — წუხანდელი მომსახურების ხარჯებია, ღამისთევისა და თეთრეულის ჩათვლით, ხოლო რაც შეეხება „თოკის ამორტიზაციას" სათვალავში არ შედისო, დასძინა დიდსულოვნად.

— ეს დაბმა რაღა უბედურებაა, მე ცივი წყალი მქონდა გაგონილი...

— შხაპი არ ამართლებს, — ცივდება ხალხი, გვიჩივიან; ხან წყალიც არ მოდის. თოკი უფრო პრაქტიკული, ჰუმანური და ჰიგიენურია!

—სად ამიყვანეთ, რა ალაგას?

— არ ვიცი, ვერ გეტყვი, გარეუბნის მილიციამ წარმოგადგინა.

— რამე გართულება ხომ არ მოჰყვება ამ ამბავს?

— დიდი არაფერი, — ტელევიზორში გამოგაჩენთ ამ საღამოს... მშვენიერი კადრები გადავიღეთ წუხელ. მარტო ის რად ღირს, თოკმაც რომ ვერ დაგაკავა და ტახტიანა ზეზე წამოდექი... ოცი წელია აქ ვმუშაობ და მსგავსი არაფერი მინახავს!

— რაო?.. — შევიცხადე. ეს რომ მართლა ეჩვენებინათ, საქვეყნოდ თავი მომეჭრებოდა, — ვერა, ვერ გამომაჩენთ, — შევუტიე გულმოცემულმა. — თქვენ არ იცით, ვინა ვარ მე, რა ხალხში მაქვს საქმე!

მორიგეს ულვაშებში ჩაეღიმა.

— მეტად აღარ ჩამივარდე ხელში, თორემ პირდაპირ საგარეჯოში გიკრავ თავს, იცოდე!

საათს დავხედე, ცხრის ნახევარი იყო. სამსახურში მაგვიანდებოდა. თან შინ შევლა და ტანსაცმლის გამოცვლაც უნდა მომესწრო.

— წასვლა შეიძლება? — ფრთხილად შევეპარე.

— ჯერ არა. ჯერ უფროსის კაბინეტში — სწრაფად!..

●

იქ უკვე შეგროვილიყო ხალხი, — ქალაქის ქუჩაბანდებში იმ ღამით აკრეფილი ოცდაათიოდე ლოთი-მაწანწალა. მათ შორის, ალბათ, ისეთებიც ერივნენ, ოდნავ შექეიფიანებულნი და ღიღინ-ღიღინით შინ მიმავალნი „გეგმის შესასრულებლად" რომ მოებრძანებინათ აქ... ისხდნენ დარცხვენილნი, მთელი ღამის ნაომარნი და ნადებოშარნი, — ბახუსთან ერთად სითამამეც გამონელებოდათ. რა ხალხში ვიჯექ გუშინ, რა საზოგადოებაში; ახლა კი აგერ, ფსკერის ბინადართა ხვედრს ვიზიარებდი. გულს მირევდა ერთად განზავებული თამბაქოს, არყის, თევზის, ნივრისა და შარდის სუნი... ეს ხომ სწორედ ის წუმპე იყო, საითკენაც ცხოვრების მდინარე მიმაქანებდა, მაგრამ ბედის წყალობით დავაღწიე თავი. შემთხვევით გახლდით აქ მოხვედრილი და მალე ისევ ჩემს ქამქამა ტბორს დავუბრუნდებოდი...

გამოსაფხიზლებლის უფროსი გაქვავებული სახით უჯდა მაგიდას და ამ, ისედაც დაბეჩავებულ ხალხს, თვალებით გვცვეთდა:

— ახლა რომ ასე უწყინარი ბატკნებივით მომჩერებიხართ, წუხელ რა ქვეყანას ანგრევდით?..

გვერდით ჭრელჰალსტუხიანი პოლიტმუშაკი ეჯდა, რომელიც ალკოჰოლიზმის მავნებლობაზე უნდა გაგვსაუბრებოდა. მათ ზურგს უკან, კედლიდან კი, უამრავი მედლითა და ორდენებით მკერდდამშვენებული ქვეყნის ლიდერი, სათნო ღიმილით გადმოგვყურებდა...

— ნარკომანია, ლოთობა და ალკოჰოლიზმი წარსულის მავნე გადმონაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თია! — რიხიანად დაიწყო პოლიტმუშაკმა, მაგრამ მე უფრო სხვა რამ მადარდებდა, — განგებ ხომ არ მომიწყო ვინმემ ეს ამბავი-მეთქი, ვფიქრობდი, და რატომღაც, თვალწინ სულ მაიკო მედგა...

გუშინ, დილით, წასასვლელად რომ ვემზადებოდი, სწორედ მაშინ მომიკაკუნა კარზე. აფორიაქებული ჩანდა და მივხვდი, რომ უკვე ყველაფერი იცოდა.

„მართლა ცოლს ირთავ, გედი?“ — შემოსვლისთანავე მკითხა.

„ჰო, შენ ვინ გითხრა?“ — არ მოველოდი, ასე იოლად თუ შეეგუებოდა ამ ამბავს. მეგონა, ქვეყანას შეძრავდა.

„ვიცი, მთელი უბანი ლაპარაკობს“.

„რაო, რას ამბობენ?..“

„სალომეს სულ შავი დღე დაუყრია მეუღლისათვის, — ამისთანა თანამშრომელი თუ გყავდა, ამ დრომდე სად იყავიო... ხელქვეითი ხომ იმის ხელქვეითია, გედი, — როგორც გინდა ისე მოიხმარო!“

„თავი დაანებე გესლიან ლაპარაკს, მაიკო...“ — ფანჯარას გავხედე, მანქანა ხომ არ მოდის-მეთქი; მიკიჩას უნდა მოეკითხა, არჩილის მძღოლს, და შუალისში, აგარაკზე ავეყვანე...

„შენ იცი, რომ ის გოგო განათხოვარია?..“ — დიდის ამბით მამცნო.

„რა მოხდა მერე... შენ ქალი ხარ და ამას არ უნდა ამბობდე!“

„ვიღაც ნაციხარს გაჰყოლია ცოლად, ქურდს...“

„ალბათ, უყვარდა და იფიქრა, გამოვასწორებო!“

„მეორედ მაინც უნდა ეხმარა ჭკუა, — ნარკომანები ხომ ასე იოლად აღარ სწორდებიან?!“

„აქეთ არ გამოიხედო, ვიცვამ...“ — ვუთხარი და კარადას მოვეფარე. ფისოს მეორე ბედნაცვალობის ამბავიც ვიცოდი. — რა გინდა ჩემგან, მაიკო?.. მე ხომ შენთვის სიყვარული არ ამიხსნია და არც ცოლად შერთვას შეგპირებივარ! — ფანჯრის მინაში თავი შევათვალიერე, თმა გადავივარცხნე და ჰალსტუხი შევისწორე.

„არაფერს არ გთხოვ, გედი... — მითხრა გაბზარული ხმით. — უბრალოდ, მეცოდები და მინდოდა, რომ ეს ყველაფერი გცოდნოდა!“

ამასობაში მანქანაც მოგრიალდა. გაკრიალებული ლურჯი „ვოლგა“ ისე უცხოდ ჩანდა ბინძურ, ვიწრო ჩიხში, როგორც წყალმარჩხ ღელეში შემთხვევით შემოვარდნილი ვეება ლავი... პიჯაკს ხელი დავსტაცე და გასასვლელისაკენ გავქანდი. კარს მაინც არასოდეს ვკეტავდი და რაკი მაიკო ადგილიდან არ იძროდა, იქვე მივატოვე, — იყოს, სანამ არ მოსწყინდება, წავა მერე შინ, აბა რაღას იზამს-მეთქი, გავიფიქრე...

— მაგრამ, მიუხედავად ამისა, განკურნება მაინც შესაძლებელია, — უკვე ამთავრებდა საუბარს ჭრელჰალსტუხიანი პოლიტმუშაკი. — „საამისოდ ყოველგვარი პირობაა შექმნილი საგარეჯოს შრომით პროფილაქტორიუმში!..“

დიახ, ისე ულმერთოდ მივატოვე იმ დილით, ნაღდად არ მაპატიებდა. ქალები ხომ ყველაზე სასტიკი შურისმაძიებლები არიან... სინდისის ქენჯნას მაინც არ ვგრძნობდი: რა ჩემი ბრალი იყო, — ყველამ თავისი ტოლი და სწორი უნდა ეძიოს!

●

შინ მისვლისთანავე ელექტროქურა ჩავრთე და ჩაიდანი დავდგი. მაიკოს, გუშინ, უკანასკნელად, მაინც დაელაგებინა ოთახი...

სამსახურში უკვე დაგვიანებული ვიყავ, მაგრამ ეს დიდად არ მადარდებდა, — იქ, უბატონოდ ხმას ვინ გამცემდა! საღამოს ხანს კი, ფისო ახალგახსნილ ბარში უნდა წამეყვანა; ასე შევთანხმდით გუშინ, ბუნკერში. ახლა იმას ვწუხდი, რა ჩავიცვა-მეთქი. ფულიც საშოვნი მქონდა...

წყალი უკვე დუღდა, მაგრამ იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგივრად, მესაუზმე და სამსახურში გავქცეულიყავ, გახევებული ვიდექ სარკმელთან. სულით ხორცამდე მტკიოდა ყველაფერი, მაგარი ნაცემ-ნაგვემი ვჩანდი...

ჩემი უმთავრესი შეცდომა ის იყო, ხათრი რომ ვერ გავუტეხე ფისოს და სასმელისაკენ წამიცდა ხელი:

ხუთასმარკიანი ცემენტის ხსნარით შედუღაბებულ რკინა-ბეტონის გარსში ვისხედით და პორნოგრაფიულ ფილმს ვუყურებდით. წინ სასმელებით, ხილითა და ტკბილეულობით სავსე ტაბლა გვედგა. ფერწერული ტილოები, მეტწილად პეიზაჟები, სივრცეს მატებდა დარბაზს; ვერც კი იფიქრებდი, რომ სადღაც, ქვესკნელში იყავ ჩამძვრალი და კედელზე ვირტუოზულად მიხატული ფანჯრების მიღმა ვარდები არ ჰყვაოდნენ... პირველად ვუსინჯავდი გემოს უზრუნველ, ტკბილ ცხოვრებას და თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მესამე მსოფლიო ომიც რომ ამტყდარიყო ახლა, დიდად არ ვინაღვლებდი, — ბუნკერი ოცი ათასი მეგატონის დარტყმას გაუძლებდა; სათოხლავი და სასუსნავიც ექნებოდათ აქ, წინდახედულად მომარაგებული... ასე რომ თავს გავიტანდით, თუკი, საერთოდ, კაცობრიობას გადარჩენა ეწერა... ფისომ კონიაკი გადაჰკრა და სიგარეტი გააბოლა.

„მართლა გიყვარვარ?"

„ძალიან!.."

„ასე ძალიან, მაინც, რამ შეგაყვარა ჩემი თავი?"

„არ ვიცი, ფისო, როგორ გითხრა... იმ დღეს, კაბინეტში, როგორც კი დაგინახე..."

„რატომ არ სვამ, შამპანური ხომ არ გირჩევნია?"

„არა, სულ ერთია..." სულმოუთქმელად დავცალე ჭიქა და, მართლა ქვეყანა რომ დაიქცეს, მეტს აღარ დავლევ-მეთქი, გუნებაში დავიფიცე.

სავარძლის საზურგეს მისვენებული, მაცდური ღიმილით შემომყურებდა; ტელევიზო... წერელი რამ ხდებოდა... გაუბედავად წავიწიე, მინდოდა ლოყაზე მეკოცნა, მაგრამ ტუჩები შემომაგება. მერე სულ მთლად მიიბნიდა, მართლა ფისუნიასავით აკრუსუნდა და ლამის ჩამადნა ხელში. რომ მომენდომებინა, იქვე დავეუფლებოდი, მაგრამ საცოლეს როგორ ვაკადრებდი... ხელი შევუშვი, განვერიდე; ისევ კონიაკი დავისხი და გადავკარი. ფისო თმას ისწორებდა, დამცინავად იღიმებოდა და თითქმის მტრულად მიმზერდა...

●

მინდოდა ელექტროქურა გამომერთო, მაგრამ რაღაც ძალა ადგილზე მბოჭავდა. სიგარეტი ამოვიღე და მოსაკიდებლად ასანთს რომ დავუწყე ძებნა, სანთებელა მომხვდა უცებ თითებში. არჩილის სანთებელა იყო და ცუდად მენიშნა... ამ სამიოდე თვის წინ ვაჩუქე, მე მაიკომ მისახსოვრა....

ერთხელ, სიგარეტს რომ ვუკიდებდი, შემთხვევით შეასწრო თვალი, გამომართვა და კარგა ხანს ატრიალა ხელში. ეტყობოდა, ძალიან მოეწონა. მერე თვითონაც მოუკიდა, სანთებელა კი ჯიბეში გააქანა. ეგეთი ჩვევა ჰქონდა, რაც მოეწონებოდა, ყვლეაფერს ჯიბეში იდებდა... ეს ერთადერთი გულგასახარი ნივთი იყო, რაც მე ოდესმე მქონია, ძლიერ კი დამენანა, მაგრამ რაღას ვიზამდი, ჩათრევას მაინც ჩაყოლა ვამჯობინე და, თქვენთვის მიჩუქნია-მეთქი, ვუთხარი.

გუშინაც სულ იმ სანთებელასაკენ გამირბოდა თვალი, „მარლბოროს" წითელ კოლოფზე იდო... „ჩემი-თქვენი" სანთებელა მათხოვეთ-მეთქი, ვუთხარი კონიაკით გათამამებულმა (ბუნკერიდან ახალამოსული გახლდით), — მეგონა, ეს გამოთქმა მასაც მოეწონებოდა. ბოლოს ეგრევე ვაჯახე: — სხვისი ნაჩუქარია, ბატონო არჩილ, ნაჩუქრის გაჩუქება კი, მოგეხსენებათ, წესი არ არის-მეთქი, და სანთებელა ჯიბეში ჩავისრიალე... რა სულმიამიტობა იყო, რომ მახსენდება სირ-

ცხვილით ვიწვი: კაცი ერთადერთ ქალიშვილს არ იშურებდა ჩემთვის, — სულ ცოტა, ორი მილიონის უძრავმოძრავ ქონებას მიტოვებდა, და მე, ერთი ქეციანი სანთებელაც დამენანა!.. ცხადია, სასმელის ბრალი იყო, — სამსახურში მისვლისთანავე დავუბრუნებდი და ბოდიშსაც მოვუხდიდი...

მონუსხულივით ვიდექ სარკმელთან, საიდანაც აგურის ქარხნის მბოლავი მილები და ნახშირგორას ხრიოკი ფერდობები ჩანდა. ტვინში თითქოს რაღაც გალხვაო, თანდათან იწყო გაცოცხლება გუშინდელი დღის წვრილმანებმა... სიგარეტის მოსაკიდებლადაც ვეღარ მოვიცალე. სარკმელს მოვშორდი, ტახტზე მივეგდე და ავი წინათგრძნობით გულდამძიმებულმა თავი ბალიშებში ჩავრგე.

●

გარდა იმისა, რომ სასმელი ჭკუას მაკარგვინებს, სხვა რამ უბედურებაცა მჭირს: ყოველ ნახევარ საათში წყლის დასაქცევად გავრბივარ... კი მოგეხსენებათ, რა სამარცხვინო ნაკლია ეს ქართულ სუფრაზე, თუ გახვალ, აღარც უნდა დაბრუნდე, — ასეთია წესი და რიგი! რამდენ დარდიმანს, ვიცი, შარვალში ჩაუსველებია, ანდა სულაც საშარდე ბუშტი გასკდომია და ქეიფს ზედ გადაჰყოლია, ტრადიციისთვის კი არ უღალატნია, ხოლო ჩემთვის, ამგვარი თავგანწირვის ნიჭიც არ მოუცია გამჩენს, — სწორედ მესამე ჭიქაზე თამადას გასვლის ნება ვთხოვე... არჩილს არ ეამა, მაგრამ რაღას იზამდა. გიოს ანიშნა, — ოჯახის ახლო ნათესავს — გააცილეო.

გიო საწყობის გამგედ მუშაობდა ჩვენთან; მუდამ ინდაურივით გაფხორილი დადიოდა. სულ მიკვირდა, ნეტავ რა ადიდგულებს-მეთქი და აგერ გაირკვა? — თურმე ნათესავად ერგებოდა მმართველს. სამაგიეროდ, იცოცხლეთ, ახლა მელაკვებოდა და ფეხქვეშ მეგებოდა... კოტეჯის წინ მოყულყელავე თეთრ „ვოლგას" რომ ჩავუარეთ, ეშმაკურად თვალი ჩამიკრა, — თუ მოგწონსო, მკითხა.

გულმა ბაგაბუგი დამიწყო: რაღაც კი მქონდა ანკრად ყურში ჩაცდენილი, მაგრამ დანამდვილებით არაფერი ვიცოდი... შევჩერდი, კაპოტს ხელი გადავუსვი, მივუალერსე; მერე ცდუნებას ვეღარ გავუძელ, კარი გამოვაღე, ჩავჯექი და პატარა ბიჭივით ჩავბღუჯე საჭე...

უცებ ვიგრძენი, ეზოში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. სტუმარიცა და მასპინძელიც ყველანი მე შემომცქეროდნენ (სუფრა იქვე, ფანჩატურში იყო გაშლილი). ახლაც მესახება მათი დამცინავი, გამჭოლი მზერა. მერჩივნა, მიწა გამხეთქოდა და შიგ ჩავეტანე!..

●

ამის შემდეგ მაინც შემეკავებინა თავი, ჭკუას ვიზამდი, მაგრამ ვინ იყო პატრონი. ისევ მაძალებდნენ და წვეთს არ მატოვებინებდნენ ჭიქაში...

მერე ქეთი „მამიდას" ავუხირდი — ამ უწყინარ და კეთილ ქალბატონს, ალტაცებული თვალებში რომ შემომყურებდა და სული იმის ცდაში იყო, რაიმე ესიამოვნებინა. რამდენიც ხილი გათალა, იმდენი თითო ნაჭერი დანის პირით გამომიწოდა; ხან რას მთავაზობდა, ხან რას.

„რა ნაცნობი სახე გაქვთ... ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ გამიხსენებია!"

„მე ხომ თქვენსას ნამყოფი ვარ, ქალბატონო ქეთი".

„ჩემთან სახლში?.. როდის, მამიდა?"

„შარშან ამ დროს, ზაფხულში... აბა გაიხსენეთ კაფელი."

„კაფელი?.." — საშინლად გაუკვირდა.

„დიახ, კაფელი!"

„კაფელი, კაფელი, კაფელი..." — გაიმეორა ჩაფიქრებულმა.

იმხანად ბინას არემონტებდა და ჩეხური კაფელი გაუგზავნა არჩილმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანი იყო უკვე, მუშები შინ გაკრეფილიყვნენ და საწყობის გამგემ მე მთხოვა, დამეხმარეო... ვაკეში, რომელიღაც მაღლივი კორპუსის სადარბაზოს მიაყენა მანქანა. ჯინაზე ლიფტიც არ მუშაობდა და ეს ამოდენა ტვირთი, მარტოდმარტომ, ზურგით ავთრაქე მეშვიდე სართულზე. გიომ რადიკულიტი მოიმიზეზა, ძარაზე აძვრა და იქიდან მაწვდიდა მუყაოს ყუთებში შეფუთულ კაფელს. ყუთებს ლოჯიაში ვაწყობდი; იქვე, რბილ სავარძელში მოკალათებული თვრამეტიოდე წლის ბიჭი კი, ტელევიზორს მისჩიჩინებოდა. დროდადრო, ტვირთს რომ ჩამოვდებდი და ოფლის შესაწმენდად წამით შევჩერდებოდი, მეც გავხედავდი ხოლმე ეკრანს... ერთი გაცქინტული იაპონელი მონსტრი, შიშველი ხელებით, კბილებამდე შეიარაღებულ მთელ ბატალიონს შებმოდა და ამარცხებდა... დიასახლისი სუფრას აწყობდა, — შეორთქლილი ლუდის ბოთლები გამოალაგა მაცივრიდან. ბოლო გზა რომ გავაკეთე, ტელევიზორი გამორთული დამიხვდა, ბიჭი კი მაგიდას მიჯდომოდა და მადიანად ილუკმებოდა, თან ქაფმოდებულ ცივ ლუდს წრუპავდა... თქვენც ხომ არ ივახშმებთო, დიასახლისმა მკითხა და, არა-მეთქი, მივუგე, რადგან ყასიდად იყო ნათქვამი. გასვლას ვაპირებდი უკვე, როცა მისმა ხმამ ჩემაჩერა, — თუ და დაგეზარებათ, ბარემ ესეც გააყოლეთ ხელსო, მითხრა და ნაგვით სავსე ცელოფანის პარკზე მიმითითა...

„აჰ, გამახსენდა, გამახსენდა... მაშ, ეს თქვენ ბრძანდებოდით, ბატონო გედი?!“

„რა შესანიშნავი ვაჟი გყოლიათ, მამიდა... ეტყობა, კინო იზიდავს.“

„კი, მამიდა. რეჟისორობაზე ოცნებობს!“

„დარწმუნებული ვარ, დიდ წარმატებას მიაღწევს, ოღონდაც ლუდს ნუ მიეძალება, — ტვინს ალაყებს“.

„არა, ხანდახან სვამს, სიცხეში“.

„რემონტი უკვე მოამთავრეთ, ქალბატონო?“

„აუ, რა ხანია!.. კიდევ როდის გვესტუმრებით, მამიდა?“

„როგორც კი დავბრუნდებით საქორწილო მოგზაურობიდან და ნათესავების შემოვლას დავიწყებთ, ყველაზე უწინ თქვენ მოგინახულებთ, — თავაზიანად მივუგე. — ისე კი, თუ სასწრაფოა რამე, — აი, ვთქვათ, ნაგავი თუა გადასაყრელი, — მიბრძანეთ და ხვალვე გეახლებით!..“

ისე წაიბზუა ტუჩები, ისე უაზროდ დამიწყო ცქერა, ეტყობოდა, ეს ამბავი ვერც გაიხსენა. მერე სულ გაბუსხული იჯდა და დროდადრო ალმაცერად გამომხედავდა ხოლმე... აი, როგორ ვატკინე გული და ხასიათი წავუხდინე. რა მრჯიდა, რა ძალა მადგა, ან ეს „ნაგავი“ საიდან გამოვჩხრიკე, ნეტავი?.. ეგრეა, ღვინომ ასე იცის!

უკვე ერთმანეთს გადაება გუშინდელი დღის მოგონებები...

●

„რაღაც უნდა გკითხოთ, არჩილ ბატონო!..“ — უდროო დროს დამირჩა ნათქვამი: თამადა ის-ის იყო, მორიგი სადღეგრძელოსათვის წამოდგა და ეტყობა, ფიქრის ძაფი გაუწყდა.

„რა უნდა მკითხო?“ — ქეშად მომხედა.

„გამაგებინე, თუ კაცი ხარ, — ჩვენი იურისკონსულტი რატომ მოხსენი?“

ზუსტად ასე ვუთხარი— „თუ კაცი ხარ“. ღვინო მომეკიდა და თანდათან ვკარგავდი კონტროლს, თუმცა ფეხი ან ენა კი არ მეშლებოდა.

„რა დროს იურისკონსულტია!..“ — ბრაზიანად, მაგრამ ხმადაბლა მითხრა, არ უნდოდა სტუმრების ყურადღება მიეპყრო, — მე მიფრთხილდებოდა!..

„ისე, მაინც... მაინტერესებს, რას ერჩოდი ძია ვანოს!“

ან რა ჯანდაბამ გამახსენა, ის ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდვით სავსე: ოთხმოცს გადაშორებული, მარტოხელა მოხუცი იყო; ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა ჩვენთან, თუმცა მთელ დღეებს მაინც ტრესტში ატარებდა. კრიალა თვალები, თეთრი თმა-წვერი და ბავშვივით ამობურცული ტუჩები ჰქონდა, თითქოს სამუდამოდ ვიღაცას გაბუტვიაო... მთელი ორი წელი, რაღაც წერილს წერდა „ვეფხისტყაოსანზე" და საუბარშიც, ხშირ-ხშირად, აფორიზმებს იშველიებდა. მერე ინგლისურის შესწავლას მიჰყო ხელი, — საზღვარგარეთ ვაპირებ გასვლასო, გამოგვიტყდა, მე აქ ახლობელი არავინ მყავს და მიჭირს გაძლებაო; წასვლაზეც — ჩემი მოხუცებულობის წყალობით, — უარი ვერ უნდა მითხრან, არსებობს რაღაც, საამისო, საერთაშორისო კანონიო... სინამდვილეში წასვლა არც უცდია და მალე ინგლისურსაც თავი მიანება. ის წერილიც კი, „იურიდიულ ურთიერთობათა შესახებ ვეფხისტყაოსანში", მართლაც მოიწონეს და გაზეთში დაბეჭდეს, რამაც ძია ვანო უზომოდ გაახარა...

„მადროვე, ხელს ნუ მიშლი, — მკაცრად მითხრა არჩილმა. — შენ კარგად იცი, რას ვერჩოდი და რისთვისაც მოვხსენი!"

მოსახსნელი კი იყო, ნამდვილად, — იმდენი ფული აზარალა ტრესტს!..

მუშებმა იჩივლეს ერთხელ სასამართლოში, — ხელმძღვანელობამ ხელფასი დაგვაკლოო, და მოიგეს კიდეც საქმე... პროცესზე გამოსვლისას, ძია ვანოს დავიწყნოდა, ადმინისტრაციის ინტერესებს რომ იცავდა და მომჩივანი მუშების სასარგებლოდ ელაპარაკნა!.. რა ვქნა, ბატონო, — მოვტყუვდი, შემეშალა და მომკალით, თუ გინდაო, დანაღვლიანებული გვიყვებოდა ტრესტში ყველას... მთავარი ბუღალტერი დანას ეხეოდა, მმართველიც პირიდან ცეცხლს ყრიდა, თუმცა მაშინვე არ მოუხსნია და, ჩანს, ამის გამო ვერც მოხსნიდა, რადგან ის ფული მუშებს კანონიერად ეკუთვნოდათ, — მოგვიანებით გაათავისუფლა: „ზემოდან გადმოგზავნილი" „ღერბიანი" ქაღალდი დაჰკარგოდა და მიზეზად ეს მოუდო... ქაღალდი მეორე დღესვე იპოვა მოხუცმა და გახარებულმა მმართველს შეურბენინა, მაგრამ გვიანღა იყო... მერე ვიღაცამ ასწავლა, ახსნა-განმარტება დაუწერე, — ღვთისნიერი კაცია და იქნებ შეგიცოდოსო... ახსნა-განმარტებაში თავს კი არ იმართლებდა, უბრალოდ — პატიებას ითხოვდა, რაკიღა ის ღერბიანი ქაღალდი ბოლოს მაინც ნახა... ავადმყოფი კაცი ვარ, პენსია არ მყოფნის და მიჭირს ცხოვრება — სხვა სამსახურს კი აწი, ჩემს ასაკში, სადღა ვიშოვნიო... „სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსაღა დავჰყოფ მცირესა!" ასე ამთავრებდა ახსნა-განმარტებას, ძია ვანო; რუსთაველს უხმობდა შემწედ...

„ჩემი თხოვნაა, ბატონო არჩილ, — აღადგინოთ სამსახურში მოხუცი; განაცდური აუნაზღაუროთ და ბოდიშიც მოუხადოთ!" — ისეთი ხმით ვუთხარი, თხოვნას კი არა და უფრო ბრძანებას ჰგავდა.

„ბ ო დ ი შ ი?.." — თვალები გადმოკაკლა არჩილმა.

„ბოდიში, დიახ, ბოდიში... თანაც ს ა ჯ ა რ ო დ!"

აი, რას მიშვრება, როგორ მაშტერებს ღვინო!

●

თვით ბატონ რევაზს, ჩვენს მინისტრსაც უშნოდ შევები და შევეპაექრე. მართალია, მისი დიდი შინაგანი კულტურის, ტაქტისა და იუმორის წყალობით ეს ინციდენტიც მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ ასე ბეწვის ხიდზე სანამ უნდა მევლო?.. ამდენ ხალხში მაინც, კაცი არ გამოჩნდა, ჭკუა ესწავლებინა და გონს მოვეყვანე. ფისოც სულ დამეკარგა და მომეფარა თვალთაგან...

ბატონი რევაზი სამოციოდე წლის მელოტი კაცი იყო; მოგრძო სახე, კე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიანი ცხვირი და არწივისებური მზერა ჰქონდა. ქერათმიანი მკერდსავსე მეუღლეც თან ახლდა, სულ რომ კისკისებდა და ცისფრად ამოღებილ თვალებს აუჟუნებდა...

მინისტრის სადღეგრძელო რომ შეისვა, მინდოდა მეც ძალიან თბილი, გულიდან ამომსკდარი და განსხვავებული რამ მეთქვა, მოფიქრებულიც მქონდა უკვე, მაგრამ სხვები არ მაცლიდნენ, მასწრებდნენ და პირიდან მტაცებდნენ სიტყვებს. თითქმის მთელი ერთი საათი ასე, გაშვერილი ჭიქით ხელში, ვიდექი და ჩემს რიგს ველოდი. ჩამოვწყდი ფეხზე, ხელი დამეღალა, გული გადამიმცირდა და იქნებ ამანაც გამაღიზიანა...

„მე დღეს უბედნიერესი კაცი ვარ, რომ თქვენს გვერდით ვზივარ, პატივცემულო ბატონო რევაზ ...“ — დავიწყე ტკბილი, დაშაქრული ხმით, თან ღიმილად ვიღვრებოდი და თვალებში შევციცინებდი, მაგრამ თითქოს მაინც უკმარისობას განვიცდიდი, და უცებ, მთელი არსებით, მთელი სიმწვავით ვიგრძენი, რომ სხეულის რომელიღაც ძალზე საჭირო და აუცილებელი ნაწილი მაკლდა, — კ უ დ ი, კ უ დ ი... დიახ, კუდი — ასაქიცინებლად!

თვითონაც ფეხზე მდგარი, დიდი გულისყურით მისმენდა. ანაზდად შევნიშნე, რომ მასზე მთელი თავით მაღალი ვიყავ, და საშინლად მეუხერხულა: არ ეწყინოს, გულში არ ჩაიდოს და არ გადამეკიდოს-მეთქი. რაც გაეწყობოდა მოვიბუზე, ავიწურე, თავი მხრებში ჩავრგე — კისერი დავიმოკლე — და ისე კოხტად, ისე ლამაზად, ისე ბუნებრივად დავპატარავდი, უკვე მასზე დაბალიც კი ვჩანდი...

აი, რა კარგად, რა დიდებულად დავიწყე, მაგრამ მერე, უეცრად, რაღაცამ წამომიარა, რაღაც გადაბრუნდა ტვინში, — ისევ გავშალე მხრები, წელში გავიმართე და ხმაც შევიცვალე:

„თქვენ მე თვალში ხომ არ გეპატარავებით, ბატონო?..“

ყველამ ხმა გაკმიდა. — ალბათ, მოგვესმაო, იფიქრეს. ეტყობა, მინისტრსაც ასე ეგონა: გაურკვევლობის გამომხატველი დაბნეული ღიმილი აღებეჭდა სახეზე.

„რა გაკვირვებული მიყურებ, რეზო ბატონო. ვერ გაიგონე, რა გითხარი?.“

„რეზო ბატონოს“ თავი დავანებოთ, მარტო ის რად ღირდა, „შენობით“ რომ ველაპარაკებოდი ამ მეფისტოლა კაცს — მთავრობის წევრს — ვისაც ჩვენი მაგიდის მეორე ყველაზე საპატიო წევრი, ამხანაგი ჩიფჩიურიც კი განსაკუთრებული რიდითა და მოკრძალებით მიმართავდა.... ქეთი „მამიდას“ ლამის სისხლი ჩაექცა ტვინში, გაშავდა და გაყვითლდა. სასოწარკვეთილი რაღაცას მანიშნებდა, წელანდელი წყენა და გაბუტვა სულ გადაავიწყდა. გულში, ალბათ, უხაროდა კიდეც, — ეგ თუ ეგეთი გიჟი იყო, მე კიდევ იოლას გადავრჩენილვარო... სიტუაცია უაღრესად დაიძაბა, მაგრამ მინისტრი აბა რისი მინისტრია, დაბნეულობამ მალე გაუარა:

„ვერ მივხვდი, შვილოსა, რას მეუბნები, ანდა თვალში რად უნდა მეპატარავებოდე — კაცი ორი ჩემხელა ხარ!“

ამის გაგონებაზე კინაღამ წავხდი ყაზახი, მაგრამ მხნეობა მოვიკრიბე:

„რახან ორი შენხელა ვარ, ბატონო, ამიტომ ხომ არ გგონია, რომ მე იქ ვერ დავეტევი, სადაც შენ თავისუფლად თავსდები?!“

ჩემდა ჭირად, ის ამბავი გამახსენდა, ორიოდე წლის წინ არჩილმა რომ დარეკა სამინისტროდან და სასწრაფოდ რაღაც ქაღალდები მიმატანინა. დღის ბოლოს ჩვენს ერთ ობიექტზე თათბირი იყო დანიშნული. მინისტრს სიტყვით გამოსვლა მოჰგუნებებოდა და „კონკრეტული მონაცემები“ სჭირდებოდა... თათბირს მეც უთუოდ უნდა დავსწრებოდი, — მმართველმა რომ დარეკა ის იყო, წასასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ ახლა აღარ ვიცოდი, რა მექნა: ტაქსს ვერსად ვიშოვიდი,


საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიკის საათი იყო დაწყებული, ქალაქის ტრანსპორტით კი, „ობიექტამდე" მოსვლას, დიდი დრო სჭირდებოდა... ქუჩაში რომ გამოველ იქვე, „სტარტზე მდგარი" მინისტრის მანქანა დავინახე და შვებით ამოვისუნთქე, — ბარემ მეც ამათ გავყვები-მეთქი. ამასობაში ისინიც გამობრძანდნენ სადარბაზოდან და როგორც ზრდილობის წესია, მანქანის უკანა სალონში ჩასხდნენ. „რაღას უდგეხარ, ვაგვიანებთ!" — თქვა მინისტრმა. თურმე მამედას ეუბნებოდა — მძღოლს, მე კი მიპატიჟებად ჩავთვალე, კარი გამოვაღე და წინა კაბინაში ცქვიტად შევხტი... „ეგ ვინღაა?.." — იკითხა განცვიფრებულმა მინისტრმა... „არავინ, არავინ!.." — არჩილმა თვალები დამიბრიალა და მანიშნა, ახლავე მანქანიდან გადადიო... დარცხვენილი, ასევე ცქაფად გამოვხტი კაბინიდან, და მანქანაც ადგილს მოსწყდა. ახლა კი აღარ მეშლება უკვე, ამგვარი რამ! მაშინ გულუბრყვილობით მომივიდა, — მუშაობა ახალდაწყებული მქონდა და გამოცდილება მაკლდა...

„მარტო დატევაზე არ არის საქმე, ჩემო კარგო, — წყნარი, დამრიგებლური ხმით მომიგო მან, — მთავარია, ჯერ შესვლის უფლება მოიპოვო!"

„მაინც კარგია, რომ სიმართლეს აღიარებთ..." — ვთქვი შემრიგებლურად.

სუფრის წევრებს გადაავიწყდათ კიდეც ჩემი კადნიერებით გამოწვეული გულისწყრომა, ისეთი გატაცებითა და გულისყურით გვისმენდნენ, თუმც ვეჭვობ, ამ ქარაგმებისა რაიმე გაეგოთ... ეტყობა, ვერც ბატონმა რევაზმა გაიხსენა მანქანის ეპიზოდი. იმას, ალბათ, ეგონა, მინისტრის სავარძელს მედავება ეს თავგასული ლაწირაკიო, და კმაყოფილიც კი დარჩა, რომ დამაკვალიანა და გზაზე დამაყენა...

●

ეს კიდევ არაფერი... ერთი მეტად საშიში და მრისხანე მტერიც შევიძინე, — არჩილის სიყრმის მეგობარი, ნაციმბირალი და ნახიშტარი, სერგო ორხელიძე; დაბალი, მსუქანი, თითქმის ჯუჯა კაცი, ქოფაკის თავ-პირი და ასპიტის გამოხედვა რომ ჰქონდა. მეტსახელად „ვამპირა" რქმეოდა (გიომ მითხრა), თუმცა იქ, მოწიწებით, „ბატონ სერგის" ეძახდნენ. გიომ ისიც კი თქვა, კატორღიდან გამოქცეულს გზაში კაცი ჰყავს შენაჭამიო, მაგრამ მე ამგვარი რამეებისა არა მჯერა. ამჟამად ბენზინის გასამართ სადგურში მუშაობდა და თავისთვის წყნარად ცხოვრობდა. ოციოდე წლით თავისზე უმცროსი, ტანწერწეტა და პირმშვენიერი მეუღლე, ქალბატონი ოლიკო უმშვენებდა მხარს, — დროდადრო გიტარით რომ გვატკბობდა და თავადაც სირინოზის ხმით მღეროდა.

მათთან ერთად „დეიდა" მარგო და მისი ულვაშკოკობა, ახოვანი მეუღლეც გავანაწყენე. მიუხედავად ვაჟკაცური იერ-სახისა, ბატონი კოლია სითამამეს მხოლოდ მაშინ იჩენდა, როცა სავსე ჭიქას წაავლებდა ხელს, სხვა დროს კი მეტწილად ჩუმად იჯდა და სულ იმის ცდაში იყო, ტანდაბალ, მაგრამ ასაკით უფროს მეუღლეს ღირსეულად მომსახურებოდა. მარგალიტა ოქროულობის მაღაზიის გამგედ მუშაობდა თურმე, რაიც ზედვე ეტყობოდა...

როცა ამ ორი ღირსეული წყვილის სადღეგრძელო შეისვა, ყველაზე მეტად სწორედ მაშინ ავურიე, — უკვე მაგარი მთვრალი გახლდით და სულ გადავიძრე თავზე ბაწარი.

„გილოცავთ, სულითა და გულით, მშვენიერო ოლიკო და ღრმად პატივცემულო ბატონო კოლია, კოლაუ..."

„სერგი, სერგი, — სასწრაფოდ შემახსენეს სუფრიდან: — ქალბატონი ოლიკო და ბატონი სერგი!"

თავდაპირველად მართლა შემეშალა, რადგან სწორედ ეს წყვილი იყო ერთმანეთის შესაფერისი, მერე კი ტანში ეშმაკები შემიჯდა:

„გთხოვთ, ხელს ნუ მიშლით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ მაწყვეტინებთ... ასევე გულწრფელად, დიდი სიყვარულით გადღეგრძელებთ თქვენც, ძვირფასო მარგალიტა და ბატონო სერგო!..

„კოლია, კოლია, — კვლავ შემომძახეს აქეთ-იქიდან: — მარგო და კოლია!..“

„დამაცათ, თუ შეიძლებოდეს, რა ხმაურია... — გავბრაზდი მე. — დროა უკვე, დავამყაროთ წესრიგი ქართულ სუფრაზე. უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის მოსმენა და განსხვავებული აზრის ატანა!“

„გეშლება, ჯიგარო, გეშლება!..“ — დაისისინა ორხელიძემ.

„სახელები აგერია, სახელები!..“ — დააწია მარგალიტამ.

„რატომ გგონიათ, რომ ყოველთვის თქვენ ხართ მართალი?“

„რა გინდა მაგითი რო თქვა?“ — სერგი ორხელიძემ მკითხა.

„აბა დაფიქრდით... იქნებ თქვენ თვითონვე შეგეშალათ და აგერიათ რაიმე?“

„ვერ გავიგე, არ მესმის...“ — თქვა მარგალიტამ.

„გაუგებარი აქ არაფერია, დეიდა... მაინც რას ფიქრობდი, ამ სიგრძე კაცს რომ ირთავდი ქმრად? — ხელი კოლიასაკენ გავიშვირე, რომელიც პირდაღებული მომჩერებოდა. — ანდა თქვენ, ბატონო სერგო: ეს ტანწერწეტა, სათნო სირინოზი, სათქვენოდ არ დაგენანათ?.. — ოლიკოსაკენ შევტრიალდი და აღტაცებით გავუღიმე, — რა დავარქვათ ამას, კონტრასტების მიზიდულობა?.. საწყენად ნუ კი მიიღებთ, მაგრამ ოთხფეხა ცხოველები რომ ყოფილიყავით, ასე ხომ არ დაწყვილდებოდით?!“

ცხადია, მეტისმეტი მომივიდა... აღშფოთების ნიშნად ხალხს რაღაც ყმუილისმაგვარი აღმოხდა; ყალყზე შემდგარნი მზად იყვნენ, დასაგლეჯად მცემოდნენ, მაგრამ ჯერჯერობით მაინც თავს იკავებდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყურადღებითაც კი მისმენდნენ...

„დიახ, დიახ... — კვლავ მედგრად შევუტიე. — დარღვეულია წყვილთა შერჩევის უზენაესი კანონი, ხოლო იმისათვის, რომ აღვადგინოთ წონასწორობა, საჭიროა გავცვალოთ ცოლები!..“

ეს ისე ურცხვად, ისე უტიფრად იყო ნათქვამი — ან კი რა ჭკუაში მომივიდა, ნეტავი! — და მეც, ალბათ, ამ დროს ისე ვგავდი ტაკიმასხარას, რომ, ჩანს, იფიქრეს, — ჩვენს გასართობად და თავშესაქცევად მოუწვევია მასპინძელსო... ასე იყო, თუ ისე, მრისხანება უცებ ჩაქრა და იგი, მოულოდნელად, საერთო მხიარულებაში გადაიზარდა. ამან კიდევ უფრო წამათამამა:

„ამრიგად, ჩემო კოლია, ოლია შენი ცოლია, ხოლო ძვირფასი ჩვენი მარგუა, ფერით და ხორცით სერგოს სარგოა!.. არც ის გეგონოთ შემთხვევითი, რომ გაირითმა: რაც ირითმება, ყველაფერი ჭეშმარიტია... ასევე შეგიძლიათ შვილები გაცვალოთ, ან არ გაცვალოთ, ამით მაინც არაფერი იცვლება!.. ჰა, თანახმა ხართ?

„არა და არა!“ — თქვა ორხელიძემ.

„რატომ, ბატონო?“

„იმიტომ, რომ ულამაზესი ეკუთვნის უმამაცესს!..“

„არა, მეც არა!“ — თქვა მარგალიტამ.

„რატომ, დეიდა?“

„იმიტომ, რომ ვალუტით ყველაფრის შეძენა შეიძლება!..“

ოლია და კოლაუ ჩუმჩუმად იღიმებოდნენ, — ეტყობოდა, გაცვლის ვარიანტი ჭკუაში დაუჯდათ.

„ორივე ეს მოსაზრება მცდარი და მავნებელია, — ვთქვი, კვლავ პათოსით. — მაგრამ თქვენი ვალუტისა მაინც უფრო მჯერა, ქალბატონო მარგალიტა, ვიდრე თქვენი სიმამაცისა, ვამპირ ბატონო!..“

ბოლო სიტყვები მეხივით გავარდა და მაგიდაზე ავის მომასწავებელმა სიჩუმემ დაისადგურა. ისტორიას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახსოვდა თურმე, სერგი ორბელიძისათვის მეტსახელით მიემართოს ვინმეს.

„მოკეტე, თორემ ცოცხლად შეგჭამ, იცოდე!..“ — დასძინა ვამპირამ.

„აჰ, — მაშ, რაც ამ დილით თქვენზე მითხრეს, მართალია?.. მე მაინც ეჭვი მეპარებოდა!.. ახლა ვრწმუნდები, რაც კი მსმენია, და რაც ადრე ჭორი მეგონა, თურმე სინამდვილე ყოფილა... ნუ იბღვირებით, ბატონო ვამპირ, — თქვენ ხომ სწორედ ამ შესაშური თვისებით ფასობთ; მისი წყალობით დაიმკვიდრეთ ღირსეული ადგილი საზოგადოებაში, რასაც ვერავინ შეგეცილებათ, ვიდრე ბოლოს სხვები არ შეგახრამუნებენ!..“

„ბატონო არჩილ, გააჩუმეთ ეს ბიჭი, სანამ მართლა ცოცხლად შეგვჭამდეს ყველას!“

●

მერე იმის გახსენებამ დამცა თავზარი, ამხანაგ ჩიფჩიურსაც რომ შევხვდე — რაიკომის მდივანს. ამჯერად კი ველარ გადავურჩი სკანდალს...

ჩიფჩიური ჩემი აღნაგობის კაცი იყო, ასაკითაც ბევრად უფროსი არ იქნებოდა, მაგრამ უკვე ჭკუასაკითხავი, დაბრძენებული პარტიული მუშაკი გახლდათ — ამხელა რაიონს უვლიდა — თან, ღვინოსაც რა კარგად იტანდა! ისეთი ბოხი, ჟღერადი ხმა ჰქონდა, თითქოს ხორხში რეპროდუქტორი აქვს ჩატანებულიო. ოდნავ ბგერას გამოსცემდა თუ არა, უმალ ყველა ჩუმდებოდა. მძლავრი ანალიტიკური აზროვნების უნარით იყო დაჯილდოებული, სრულყოფილად ფლობდა მსჯელობის როგორც ინდუქციურ, ასევე დედუქციურ მეთოდებს და, საჭიროებისას, ოსტატურად უნაცვლებდა მათ ერთმანეთს...

მომავალი თაობის სადღეგრძელო რომ შეისვა და გაირკვა, იქ მყოფთაგან, თითო შვილზე მეტი არავის ჰყავდა, ამ ფაქტზე მან ასე შესანიშნავად [illegible] დედისძე [illegible] ეხს ტკბილ ქა[illegible] გებო, არსებობს ერთი, მეტად ლამაზი, მშვენიერი სიტყვა — „დ ე დ ი ს - ე რ თ ა!..“ დააკვირდით, რა საამოდ ჟღერს ფონეტიკურად, აზრობრივად როგორი ტევადი და ემოციურადაც რა დამუხტული სიტყვაა; რა უაღრესი სიზუსტით ასახავს დედაშვილობის უფაქიზეს ნიუანსებს, — უზომო სიამაყეს, როგორც ერთის, ასევე მეორეს მხრივ: სიამაყეს დედისა — იმის გამო, მთელი ეს ამოდენა ზრუნვა და სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ თავის ერთას რომ ჩააქსოვა და სხვას აღარ გაუზიარა; შვილისა — იმიტომ, რომ იცის, ერთადერთი და განუმეორებელია!..“ გაიხსენეთ, მეფე ერეკლეს გასაუბრება კახელ დედაკაცთან, რომელიც მან მრავალშვილიანობისათვის შეაქო. იცით, რა უპასუხა ამ ტეტია გლეხის ქალმა მეფეს? — „ნეტავ ერთი მყოლოდა და შენისთანაო!..“ ხედავთ, რამხელა სიბრძნეა შიგ ჩაქსოვილი, რა აქტუალურად ჟღერს დღესაც: ერთი და კარგი, ერთი და მეფე! — აი, ჩვენი დევიზი...

ამ დროს, როცა მისი ლოგიკითა და მჭევრმეტყველებით მოხიბლული, საზოგადოება სულგანაბული უსმენდა, მე უცებ ჭიქას დავტაცე ხელი და მატრაკვეცასავით წამოვუხტი:

„მაშ, დავულოცოთ, ვუდღეგრძელოთ... ღმერთმა უმრავლოს საქართველოს დედისერთები!“ — ჭიქა დავცალე, გადმოვაპირქვავე და ფრჩხილზე დავიწრიტე.

ჩიფჩიურმა მკაცრად გამომხედა, მაგრამ დიდსულოვნად მომიტევა. მერე მიკიჩასა და მამედას მიუბრუნდა, მათაც დაულოცა მომავალი... მძღოლები მთელი დღე თავდაუზოგავად გვემსახურებოდნენ, — ცივ-ცივ სასმელებსა და შემწვარ-მოხრაკულებს არ გვაკლებდნენ, ერთმანეთში კი უბრად იყვნენ თურმე. იქვე, შუალისში, მეზობლად ცხოვრობდნენ და გაუთავებელი დავა ჰქონოდათ საზღვარზე, [illegible] მეჩნის, ხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩნდათ, რამაც სუფრაზე დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. კოლაუმ ქალალდის კიდეზე სახელდახელოდ რაღაც დაიანგარიშა და საზეიმოდ გამოაცხადა: რაც ჩვენ ერთად, თორმეტივე ყველა აქ მსხდომს, შვილები გვყავს, მარტო ამ ორს — სამჯერ იმაზე მეტი ჰყოლიათ.

„აუ, რავა გოჭებივით დაუყრიათ..." — ჩაიფხუკუნა მარგალიტამ.

„გაჩენა კი არა, გაზრდაა საქმე, გენაცვალე!" — თქვა ქეთი „მამიდამ", მომავალი რეჟისორის დედამ.

„შვილად და საფერებლად ერთიც კმარა!.." — ჩაიკისკისა მინისტრის თვალხატულა მეუღლემ.

„მერე და მერე ის ერთიც ნერვებს გიშლის..." — შეეხმიანა მათ სალომე.

მძღოლები მიწას ჩასცქეროდნენ და დამნაშავესავით დარცხვენილნი, უხერხულად იღიმებოდნენ.

„ღმერთმა გაგიზარდოთ, მარა მართლაც რა ამბავია ამდენი შვილი?" — მიუბრუნდა მათ ჩიფჩიური.

„რა შეკითხვაა ეს, ამხანაგო... — ვუთხარი და კვლავ ფეხზე წამოვდექი. — როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, ამ ქვეყანას პატრონი ხომ უნდა?!." — ვეება თასი დავცალე და სკამზე მოწყვეტით დავენარცხე. ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა, გული მერეოდა. მერე მაგიდაზე ჩამოვდე თავი; ვგონებ, გრაფინიც წავაქციე.

„ძაან გვერიდება თქვენი, ბატონო არჩილ, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი," — უთხრა ჩიფჩიურმა.

„ხომ არ გავიყვანოთ?.." — გიოს ხმა ვიცანი.

ვიგრძენი, არჩილმა უსიტყვოდ რაღაც ანიშნა.

„დიახ... გასაგებია, ბატონო!" — გიოს ხმა იყო.

ჩიფჩიურმა კი ასე დაასრულა სადღეგრძელო:

„თქვენ არ გეწყინოთ და სხვანაირად არ მიიღოთ. ნუ მიაქცევთ ყურადღებას, თქვენ ეს არ გეხებათ... რამდენიც გაგეხარდებათ, იმდენი იყოლიეთ, — შვილთა სიმრავლეს, მართლაც, რა სჯობია!.. აი, ამას კი ვერ მოგიწონებთ, ერთმანეთში რომ... ვიღაც ამბობდა აქ, წეღან, ყური მოვკარი; მართალია?.. მერედა, თქვე კაი დედმამიშვილებო, სირცხვილი არ არის განა, ამ ჩვენს დროში, ამის გამო... შერიგდით, ხელი ხელს მიეცით ერთმანეთს. ორივეს გეყოფათ, ეს მადლიანი ქართული მიწა!.."

●

მერე აუზთან, ყვავილნარში, პირისპირ ვიდექით და ერთმანეთს თვალებით ვზომავდით. აღარ მახსოვს, მე გავიხმე თუ მან გამიყვანა. მთელი მაგიდა ჩვენ მოგვჩერებოდა. გიო, მიკიჩა და მამედა იქვე, შორიახლო ტრიალებდნენ... ღამდებოდა უკვე, დიდგორის მთებზე ბინდი წვებოდა. ლისის ტბა ლურჯად ლივლივებდა, უფრო ქვემოთ კი ივლისის მცხუნვარე ხვატში იფერფლებოდა ქალაქი...

„ვინა ხარ შენ, რას წარმოადგენ, ამხანაგო, — მითხრა ჩიფჩიურმა. თვითონაც მაგარი მთვრალი იყო, მთელი დღე ხარივით სვამდა, — ვინ ჩემი ფეხები ხარ, ბოლოს და ბოლოს, ამდენს რომ ბედავ?"

„ჩემი ფული მოიტა, ამხანაგო!.."

„ვინ არის შენი ამხანაგი, ამხ... რა ფული?"

„ამ დილით რომ წამლლიტე, სეკაში..."

„როდის იყო, მოგებულს უკან აბრუნებდნენ?!"

„არა, — თქვენ რაღაც იმამაძაღლეთ, შენ და ვამპირამ!.."

დილით, მიკიჩამ აგარაკზე რომ ამიყვანა, სტუმრები იქ დამიხვდნენ უკვე, — ეზოში მარმარილოს მრგვალ მაგიდას უსხდნენ და კარტს თამაშობდნენ. მეც შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი. ერთხელ, სტუდენტობისას, მთელი თვის სტიპენდია წავაგე და და მას შემდეგ, ფულზე თამაშს გავურბივარ... ესენი, როგორც დავატყვე, წაგება-მოგებას დიდად არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიცდიდნენ, ფული კი ჩეჩქად ჰქონდათ. თანდათან შემიჩნდა მაცდური აზრი, ასეთ მუდამს კიდევ სადღა წავაწყდები-მეთქი. ასი მანეთი მედო ჯიბეში და გადავწყვიტე ბედი მეცადა — ბედი, რომელიც მე იმხანად ასე მწყალობდა... მართლაც კარგად წამივიდა ხელი, ათას მანეთამდე ფული მოვიგე და სიხარულით კანში აღარ ვეტეოდი. ბოლოს მე ჩამოვარიგე კარტი, მანამდე სეკა იყო და ბანკში დიდძალი თანხა დაგროვდა. მე და ჩიფჩიურიღა შევრჩით ერთმანეთს...

გულის ფანცქალით გავჩითე ქაღალდები და სიხარულით ცას ვეწიე, — სამი პაპა მყავდა! ამას მარტო სამი ტუზი სჯობდა, ამგვარი რამ კი, დამეთანხმებით, ალბათ, მილიონში ერთხელ ხდება ხოლმე.

„ასი მანეთი ჩემი...“ — გაუბედავად თქვა ჩიფჩიურმა და ბანკში ფული ჩამოდო. გვერდით ვამპირა ეჯდა, დიდის ამბით გულშემატკივრობდა.

„არ ხსნით?“ — ვკითხე.

წამით შეყოყმანდა და მომეჩვენა, თითქოს კარტების დაყრას აპირებდა, მაგრამ ვამპირამ ჩუმად რაღაც ანიშნა და მანაც სწრაფად თქვა:

„არა!“

ალბათ, ბლეფზე მიდის-მეთქი, გავიფიქრე. მერე სამას-სამასი მანეთი დავუძახეთ და ბანკშიც ანგარიში გავასწორეთ.

„აბა, აბა — რას მიჰქარავთ!“ — წამოვიძახე აზარტში შესულმა. აშკარად დავინახე, რომ ელვის უსწრაფესად რაღაც მანიპულაცია ჩაატარეს.

„როგორ გეკადრებათ, ამხანაგო...“ — იწყინა ჩიფჩიურმა.

„მე რა შუაში ვარ, მეგობარო. მე — პას!..“ — თქვა ვამპირამ და გასული კარტები, მანამდე ხელში რომ ეჭირა, მოშორებით დადო.

„ხუთასი მანეთი ჩემი!“ — ერთბაშად გაზარდა კონი ჩიფჩიურმა.

„მოდის ხუთასი მანეთი, — ვუთხარი მე. — ოღონდაც აჰა, ვხსნი. არ მინდა ბედის უზომო წყალობით ვისარგებლო და ამ კარტების პატრონმა უნამუსოდ წამოგიკიდოთ!“

ქაღალდები ამოვატრიალე და მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა ასმანეთიანების გროვა ჩემკენ მივიხვეტე... იმ ვალს გავისტუმრებდი, საქორწინო სამზადისში რომ ვისესხე, სახარჯოდაც დამრჩებოდა და სოფელშიც გავგზავნიდი, — დედა მწერდა, სახლი შესაკეთებელია, საძირკველი ლპება და სახურავიდან წვიმა ჩამოდისო...“

„ნუ ჩქარობთ, ამხანაგო, მოითმინეთ!..“ — თქვა ჩიფჩიურმა და სამი ტუზი დაყარა მაგიდაზე. მერე ხელები თავაზიანად გამაწევინა და ეს ამოდენა ფული, უკვე ჩემი რომ მეგონა, თავისკენ წახვეტა...

კარგა ხანს გონს ვერ მოვეგ, რა ხდებოდა. კაცმა რომ თქვას, ჩემი ფული ას მანეთზე მეტი არ წამიგია, მაგრამ საშინლად კი განვიცადე, — უფრო იმიტომ, ასე აშკარად, თვალსა და ხელს შუა რომ მომაღორეს... წეღან იმიტომ არ გამოვედავე, — ვიფიქრე, მაინც არაფერი უშველის-მეთქი; ახლა ხმის ამოღებას აზრი აღარ ჰქონდა... იმ წუთას არც ის გამხსენებია, არჩილთან დამოყვრების წყალობით კაცი მილიონერი რომ ვხდებოდი. აი, რა ძლიერ გამჯდომოდა უკვე, ძვალსა და რბილში, სიღარიბისა და სიღატაკის კომპლექსი!..

„რაო, რა თქვი, — იმამაძაღლეო?.. დაიქუხა ჩიფჩიურმა და უცებ ძველბიჭურად წაუწვრილა ხმა: — ნაწლავებს გამოგიღებ, შე ლაწირაკო; ხომ არ გგონია, თანამდებობა შემიშლის ხელს?!.“

„ხარბი, გაუმაძღარი და მატყუარა ხარ, ამხანაგო ჩიფჩიურო!.. — სეტყვასავით მივაყარე და ფიცხლივ ჯიბეში ვუტკუცე ხელი — იქ, სადაც ხვლიკისფერი ასმანეთიანების დასტა მეგულებოდა. მან მოასწრო და მაჯა დამიჭირა, მე კი, გამწარებულმა, მხარზე ვუკბინე...

„ვამპირ მიშველე, მჭამეს!..“ იღრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალი და კბილი კი გამაშვებინა, მაგრამ მე ვეღარ დავძურწე ხელი მისი ჯიბიდან, ფულს ვინღა ჩიოდა!..

მერე დაუზოგავად ერთმანეთს დავცხეთ და და წამით თვალი ვკიდე, რა სასაცილოდ, მაგრამ მაინც პროფესიული აზარტით გამორბოდა ჩვენკენ ვამპირა, რომელმაც უკვე სისხლი იყნოსა...

ისიც გამახსენდა, ელექტრონის შუქით გაჩახჩახებულ ეზოში, აუზის გარშემო რომ დავრბოდი; ორი მილიციელი და გიო დამდევდნენ დასაჭერად. წინ ვამპირა გადამიდგა, კვანტი დამიდო, მაგრამ არ წავქცეულვარ, — ყვავილნარი გადავჯეკნე „ჩემს“ მანქანას ზედ გადავევლე და ფანჩატურისაკენ გავქანდი...

იქ ისევ ისხდნენ სტუმარ-მასპინძელნი, გასუდრულნი და გაბუებულნი... საინტერესო იყო, — მე რომ მომივლიდნენ და მომაყუჩებდნენ, მერე ქეიფის გაგრძელებას ხომ არ აპირებდნენ, ნეტავი?!.

ფანჩატურის მისადგომებს აქეთიქიდან დაქიჩმაჩებული მძღოლები იცავდნენ, ხოლო ზურგს უკან, მდევრის სუნთქვას ვგრძნობდი. ჰოდა, რაკი ყველა გზა მოჭრილი მქონდა, გაქანებული პირდაპირ მაგიდაზე შევხტი და ერთი თავიდან მეორემდე გადავიჯლიგინე...

მესმოდა ჭურჭლეულობის ლაწალუწი, ქალების წიოკობა და კაცების კბილთა ღრჭენა... თითქოს სლიპინა ბელტებზე გადავრბოდი... მაგიდიდან ჩამომხტარი მილიციელებმა გულში ჩამიხუტეს. მალე მათ მძღოლები, გიო და ვამპირაც წამოეშველნენ...

ბუნდოვნად მახსოვს, რა საზარლად ვხარხარებდი, სარივით ფეხებგაბიჯგინებულს მილიციის მანქანაში რომ მტენიდნენ. მერე ის იყო, დილით გამოსაფხიზლებელში გამომეღვიძა. ჩანს, იმ ღამითაც დიდი ომი გადავიხადე, მაგრამ იქაური, ვერც მაშინ და ვერც მერე, ვეღარაფერი გავიხსენე...

●

უეცრად დამწვრის სუნი მეცა და დაფეთებული ზეზე წამოვვარდი. ოთახში საშინელი ბული იდგა და თონესავით ცხელოდა, ელექტროქურაზე კი ამომშრალი ჩაიდანი ვარვარებდა...

ქურა გამოვრთე, კარ-ფანჯრები ყურთამდე გამოვაღე და საათს რომ დავხედე, უცებ მომეჩვენა, თითქოს პატარა ისარი სადღაც გამქრალიყო...

ისრები თორმეტთან შეტყუპულიყვნენ, მაგრამ უკვე აღარსად მიმეჩქარებოდა: ყველა ამ სისაძაგლის ჩამდენი, არჩილს თვალით როგორღა დავენახვებოდი, მასთან დამოყვრებაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო!..

მრცხვენოდა, საშინლად მრცხვენოდა, მაგრამ უფრო ის მადარდებდა, ბედი რომ დავკარგე და გავუშვი ხელიდან, თანაც რა ბედი, — მილიონში ერთხელ რომ გამოგეკვრება და ასიოდე საფეხურით წინ წაგიძახებს ცხოვრების კიბეზე... სასოწარკვეთილი ისევ მივეგდე ტახტზე და თავი ბალიშებში ჩავრგე. ჭირის ოფლში გახვითქული ვეღარც კი ვგრძნობდი, თვალთაგან როგორ მდიოდა ცრემლი...

●

მას აქეთ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. სამსახური ისე მივატოვე, იქ აღარც გამივლია, — ან კი რა პირით გამოვჩნდებოდი...

ერთხანს უმუშევრად ვიარე, მერე არასპეციალობით რაღაც მოვძებნე, თუმცა მას შემდეგ ბევრი ადგილი გამოვიცვალე...

ის გადაცემა იმავე საღამოს აჩვენეს და ჩემი თავი ქვეყანას გააცნეს. მართლაც, ეფექტური კადრები გადაეღოთ გამოსაფხიზლებელში, — ეტყობა, ტელესტუდიაშიც ძლიერ მოსწონდათ, და ის ფირი, იმ წლიწადს, ბარე ათჯერ დაატრიალეს...

ისევ საბურთალოზე ვცხოვრობ, ქირით — ოღონდაც სხვა სახლში. ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკები რა ხანია აიღეს, და იმ ადგილას ტიპიური, მაღლივი შენობები წამოჭიმეს, მაგრამ იქაურობას მაინც „შანხაის“ ეძახიან...

ამ მარცხმა დიდად დამწია უკან და ჩამომარჩინა ცხოვრებაში. ახლა რომ ვუკვირდები, ჩემს ყველაზე დიდ შეცდომად ის მიმაჩნია, მეტი გამბედაობა რომ ვერ გამოვიჩინე მაშინ, ბუნკერში...

პირველ ხანებში მაინც მოვსინჯე ნიადაგი, — შინ დავურეკე ფისოს. ტელეფონზე სალომე შემხვდა და ტკბილადაც შემეხმიანა, მაგრამ როცა გაიგო, ვინ ვიყავ, ისტერიულად იწივლა...

ერთხანს მაინც მქონდა იმედი; გუნებაში ათასნაირ გეგმებს ვაწყობდი: ჯერ ვიფიქრე, მივალ — არჩილს ფეხებში ჩავუვარდები, სხვებსაც სათითაოდ ჩამოვუვლი და პატიებას ვთხოვმეთქი. მერე ვითომ გოგოს გატაცებას ვაპირებდი, მაგრამ ამასობაში ფისო გათხოვდა!

ჩემი არ იყოს, ეტყობა, არც მას სწყალობს ბედი, — ორ კვირაში უკანვე გამოთხოვდა (ისიც კი ითქვა, მ ე ს ა მ ე ცვედანი გამოდგაო)...

ეს რომ გავიგე, კვლავ იმედი ჩამესახა გულში, — გავბედე და ტელეფონის ნომერი ავკრიფე.

ამჯერად მან აიღო ყურმილი, მაგრამ ვერ მიცნო. მერე, როცა, როგორც იქნა, მივახვედრე, ვინც ვიყავ (ის გავახსენე, გზა რომ მიყელეს და იძულებული გამხადეს მაგიდაზე ავმხტარიყავი), — მეტად აღარ გაბედო აქ დარეკვა, შე კრეტინოო, მითხრა და ყურმილი დადო. ბოლოს შევეშვი, რაღას ვიზამდი...

მაიკოს ისევ ვხვდები, ხშირად მაკითხავს, — მირეცხავს, მიკერავს, მიუთოებს.. იმას, ვატყობ, მართლა ვუყვარვარ, მე კი — ისე, რა... ცოლად შერთვაზე მაინც თავს ვიკავებ. ჯერაც არ გადამწურვია იმედი, — ველოდები, ვუცდი, ვინძლო ისევ გამიღიმოს ბედმა. სიყვარული, იცოცხლეთ, კარგი რამ არის (განა არ მესმის), მაგრამ როცა კაცს წელი არ მოგდგამს, — არც სახლი გაქვს, არც კარი; ჯამაგირი ერთ კვირასაც არ გყოფნის, ხოლო ცხოვრება დღითიდღე ძვირდება, რაღა დროს სიყვარულია?!.

ის ვალი, მაშინ რომ დავიდე და მომავლის იმედით ხელგაშლილად ვხარჯე, ჯერაც არ გამისტუმრებია...

ყველაზე მეტად კი აი, რა მიკვირს: ბიჭად ბიჭს თითქოს არა მიშავს, — სალომეს გარდა, ეს სხვასაც ბევრჯერ შეუმჩნევია, — კაცმა რომ თქვას, მთლად უჭკუო და სულელიც არ უნდა ვიყო; საქმე მესმის, მუშაობა არ მეზარება, — შემიძლია მთელი დღე ვიჯდე, ვიანგარიშო, ვიკითხო, ვხაზო. არც კაცობა მაკლია და არც ვაჟკაცობა; ფულის მშოვნელი რომ ვიყო, დახარჯვაც არ დამენანებოდა. არც ბოროტი ვარ, არც შურიანი, — არასდროს არავისთვის მიმტრია; ყველა მიყვარს, ყველას ვუსმენ, შემიძლია, ყველასთან ვიმეგობრო. უფროსებს არასოდეს ვეურჩები, — ვისაც ერგება ფეხქვეშ ვეგები, ვექლესები და ველაქუცები; რამდენ სიგლახეს შევსწრებივარ, ათასჯერ უფრო მეტიც მსმენია, მაგრამ ყელში არავის ვცემივარ და არც არსად დამიბეზღებია... სიმთვრალე არ მივარგა, ეს არის მხოლოდ, და რასაც ამდენი ჭაპანწყვეტით ვიძენ და ვიმკი, მერე ყველაფერს, ერთ დათრობაზე, ერთბაშად წყალში ვყრი!

ბევრი ვეცადე, სიმთვრალე გამომესწორებინა, მაგრამ არაფერი გამოდის, — ორ-სამ ჭიქაზე კონტროლს ვკარგავ და ვითიშები; ვეღარც მტერს ვარჩევ, ვეღარც მოყვარეს.

სწორედ ესაა ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი: ღვინო არ მიყვარს, ლოთი არა ვარ, — წელიწადში ერთხელ, ან ჰა, დიდი-დიდი, ორჯერ მომიწიოს დათრობამ, და მაინც მსხვერპლი ვარ, — ბახუსის მსხვერპლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თედო ბექიშვილი

## სხვა არაფერი...

მარადიული არის სურვილი
ჩვენი ცხოვრება, სხვა არაფერი:
ბაგე-გამშრალი მძაფრი წყურვილით,
გული — საკირე ჩამქრალ
ზრახვების...
მარადიული არის სურვილი
ჩვენი ცხოვრება, სხვა არაფერი.

მაგრამ ვის რა სურს,
ვის რა ანაღვლებს,
ვინ მიწას დაჰმზერს,
ვინ ცას გასცქერის?
ვინ ქოხსა ნატრობს, ვინ კი
სასახლეს,
ვის ფქვილი რჩება, ვის ანაცერი?..
ორი გზა მიდის დროის დაღმართზე
გზა მართალი და გზა ალმაცერი...

მეც ამ ღორღიან გზაზე მივდივარ,
გადატყაული ჩემი მუხლებით,
რომ შევუნახო დღეებს ბინდიანს
იმედი წმინდა და ხელუხლები,
რომ ლაჟვარდებში ოქროცურვილი
სადმე დავლანდო გადასახედი —
მიმაქვს: გამშრალი ბაგე
წყურვილით,
გული — საკირე ჩამქრალ
ზრახვების!

მარადიული არის სურვილი
ჩვენი ცხოვრება, სხვა არაფერი...

## განმეორება

ლერას

თურმე ჩვენი სიყვარული,
ჩვენი გულის ფეთება,
ჩვენს შვილებში გადასული,
კვლავ გზად მიეხეტება.

კვლავ ცის გახსნა ჰგონია
სატრფოს თვალის შევლება,
კვლავ მოდის აგონიად,
კვლავ მოჟონავს ცრემლებად.

ჟინით გათანგულია
მთელი მისი არსება,
მოგიზგიზე გული აქვს,
მთვარეს ებაასება.

მოდის გზებით უვალით,
გზის არ უჭირს გაგნება,
მოდის თავისუფალი,
ზვავად მოიგრაგნება.

სააპრილო კორდებზე
იფეთქებს ყვავილებად,
არასდროს დამთავრდება,
არასდროს დაილევა...

თურმე ჩვენი სიყვარული,
რომ გვეგონა დასრულდა —
შვილებში გადასული
გვხვდება გზის დასასრულთან...

## სამი სიმღერა

I

ეს მერამდენედ ვიცვლებით
ვერც კი აღრიცხავს მრიცხველი...
ყველა მორიგი-წინარეს
მაგინებელი, მკიცხველი...
როდემდე უნდა გაგრძელდეს
კაცი არაა მკითხველი...

ნაირ-ნაირი ფანდების
მორიგი სალტო-მარტალი,
დღე გუშინდელი ტყუოდა,
მხოლოდ დღესა ვართ მართალი,
ცხოვრებას მშრალზე ამოყრილ

თევზივით გააქვს ფართხალი...
სულ აღმა-აღმა მავალნი,
დაღმართს მივყვებით ხანხალით,
ყელამდე გაჯერებულნი
ამაოების სამსალით,
ხვალეზე დაბრმავებულნი
მხოლოდ დღეის დღის საგზალით,
პირში წყალჩაგუბებულნი,
მარტოდენ გულში გამწყრალნი,
კარგად ვერ გაგვირჩევია
სად მშრალია და სად წყალი...
გვიყურებს დაღონებული
ჩვენი სამშობლო საწყალი...

II

— რაც თავი მახსოვს, ასე ვარ,
ჩემო, ლამაზო დედაო:
არ მანებებენ სატევარს
რომ შენს მოძულეს ვედავო.
კაცი იარაღაყრილი
რა კაცად გამოდგებაო?
— ხმალი რომ დასთმე, ბედნავსო,
ახია, მოგიხდებაო,
მხდალსა და გაუბედავსა,
კარს ბევრი მოგიხტებაო...
რაღას შესტირი დედასა,
რაღას გიშველის დედაო!
— იმასა ვტირი, ბედკრული,
რასაც მშვენივრად ვხედავო:
გზა როა ყველგან შეკრული,
რომ მივალ უფსკრულზედაო...
— კი, ვხედავ, ბედმა გიშარა,
ბედით ბევრი რამ ხდებაო...
ესეც იცოდე, მშიშარა
კაცი ათასჯერ კვდებაო...

III

ტიალი ჩემი ოცნება
ბევრჯერ გაფრინდა ზეცადა,
ტოტი ვარსკვლავებდასხმული
მინდოდა ჩამომეწვადა —
სანამ სხვა ჩამოიწვდიდა,
სანამ სხვა ჩამოლეწავდა...

წლები ქარივით გაფრინდა,
იმედი გამომეცალა,
სხვის ბაღში უსტვენს ბულბული,
შორს ჩაიფრინა მერცხალმა,
სხვის სახლის კარზე ჭიკჭიკებს,
სხვამ გაიტყუა ზეცამა,
იმ ხატს სხვა ჰკოცნის, რომელიც
საჩემოდ უნდა მეწამა...

აწ მზერაჩაბრუნებული,
ნაღვლიან ბინდის ფერი ვარ,
ცხოვრების მტკიცე საცერზე
უბრალო ანაცერი ვარ,
გუმანით რაღაცას ვეძებ,
ნაღველს ხომ ლხინიც ერივა...
ვმღერი, ქვითინი უფროა,
რასაც სიმღერას ვმღერივარ...

## დამგზავრება

თებერვალი მიილია, მორჩა,
ხვალე უკვე პირველია მარტის.
იებივით ამიყვავდა დარდი,
ისევ დარდის ყვავილები მოჩანს.

ზამთრის დღენი რა ამაოდ ვთვალე,
ბეწვის ხიდი არ ქანაობს შვებით...
ხიდის ბოლოს ფუსფუსებენ სხვები,
ვერ ვპოულობ შენს ფოფინა
თვალებს.

ზამთარივით გაილევა მარტიც,
მზე შუბის ტარს დაეყრდნობა
მალე...
როგორც ბაღლამს, ბოლო ყლუპით
დავლევ
ამ ცხოვრებას, მოსაწყენს და
მარტივს!

რადგან სული გაზაფხულის კართან
მგლოვიარე იებივით ჰყავის,
რადგან ჩემს თავს მოვაბეზრე
თავი —
ფეხს ავუბამ ამ წარმავალ
ზამთარს...

## აქ, ამ მესხეთში

აქ ინახება ჩვენი აკვანი,
აქ იმარხება ჩვენი დიდების
ჩანაცრებული ძველი საგანი,
ნავლწაფენილი დღე გუშინდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, აქ იწყება სამშობლო ჩვენი,
განათებული ცისკრის
ვარსკვლავით,
აქ მამულს ერთ დროს დიდების
მჩენი
დაბუჟებული სტკივა მხარ-მკლავი.

შეთხელებია მრევლი საფარას,
ნისლში დანთქმულა ოშკი, ხახული...
აქ, სად ქართველი მკვიდრობდა
მყარად,
უღმერთოდ კვნესის მიწა ქართული.

აქ კლდეებს სიმწრით ჩასჭიდებიან
ძველი ხერთვისი, თმოგვი, აწყური —
მტკვარი ცრემლია ადიდებული,
ცრემლი ტაოდან ჩამონაწური!..

ღმერთო, რამდენ ხანს ვმალეთ
წყლულები,
როგორ ვიყარეთ თვალში ნაცარი!
დღეს ჩვენში კაცი არ მეგულება —
არა ხედავდეს იმას, რაც არი,

რისიც არა ჭირს ახლა გამხელა,
როცა ისევ ცეცხლს ვეთამაშებით,
როს ჩვენივ სახლში შემოსასვლელად
მოვდივართ ხოლმე მხოლოდ
საშვებით!

როს სამშობლოში სამშობლოს
ვნატრობთ,
როცა გვევსება ბაღი ეკლებით,
როცა ამდენი სიმდიდრის პატრონთ
თავზე გვემხობა ძველი ძეგლებიც...

მამა-პაპათა სისხლით ნაკურთხი,
ოფლით ნაგები, ნადუღაბარი...
მიმოიხედეთ! ოთხივე კუთხით,
სადავო ხდება ჩვენი მთა-ბარი!

დიდი კოცონი როცა გვიქრება,
უნდა ვეძებოთ ერთად საშველი,
უნდა ვიფიქროთ, ხვალ რაც იქნება,
რომ საქართველოს შერჩეს
ქართველი!

რომ მამულს ისევ მამული ერქვას,
პატრონს — პატრონი,
სტუმარს — სტუმარი...
რომ შთამომავალთ,
რომ შვილებს ჩვენსას
დავუგოთ მშრალი თავსასთუმალი!

## ათასში ერთხელ

ათასში ერთხელ
ბედი თავზე ხელს გადამისვამს,
ათასში ერთხელ
მეც მიმინო ცერზე დამისვამს...
ჯავრს რა გამოლევს,
მაგრამ ჯავრმა მომკლა ამდენმა —
ნუთუ პოეტმა
ქვეყნად უნდა
მხოლოდ შხამი სვას?..

## გასაუბრება შვილებთან

რასაც გიტოვებთ,
გასაყოფად, ვიცი, არა ღირს,
სიმდიდრე ჩემი,
ქვეყანაზე მხოლოდ თქვენა ხართ,
რომელთა გამო
მე ვიბრძოდი უიარაღოდ,
უხმოდ, უსიტყვოდ,
რომ ღამეშიც მზე დაგენახათ.

იყო კვეთება,
იყო ლტოლვა დაუსრულები,
ნატვრა გულისა
რომ ქაღალდზე გადამეტანა,
მაგრამ უხილავ
ჯებირებით და უფსკრულებით
ჩემს გზაზე იდგა
შეთქმულივით მთელი ქვეყანა.

მრავალთაგვარად
მეც მიყვარდა, მეც მიხაროდა,
მეც მკლავდა ბოლმა,
მაგრამ არა, კაცი არ მძულდა...
მეც, სხვათა მსგავსად,
ვერ ამოველ ღამის ხაროდან,
მცდელობა ჩვენი,
უდღეური, მარცხით დასრულდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდა, აწ დროა,
მეც ჩამოვჯდე, ანდერძი ვწერო,
ანდერძი, იცით,
ქვეყანაზე ბევრი წერილა...
ახლა თქვენა ხართ
სამზეოზე ის ორი ღერო,
ჩემს სახელზე რომ
იმედივით ამოღერილა.

სხვა ყველაფერი
მხოლოდ ფუჭი ფუსფუსი იყო,
ლხინი და გლოვა,
სახელი თუ სახლის შენება,
თავს ვაფარებდი,
გამწარებით საცოდავ სტრიქონს,
ხან კი ვმღეროდი
ოდენ სხვათა მოსაჩვენებლად.

ვმღეროდი მაშინ,
როცა გული შემომკვნესოდა,
როს არაფერი
სამღერალი ირგვლივ არ იყო,
ვმღეროდი, რადგან
ასე არის უმეტესობა —
დინებას მივდევთ,
მღვრიე ტალღამ რომ არ გაგვრიყოს.

აჰა, ალბათ,
არ დამიწყებთ ამაო დავას,
თუმც თქვენ რომ მიცნობთ,
საყვარლებო, მე ის არა ვარ,
როგორც მრავალი
ამა ქვეყნად — ნიღბებით დავალ
და კანში ვძვრები
სისუსტეთა დასაფარავად.

აღსარებაა,
რასაც დღემდე გაურბის ბევრი,
სინანულია,
დაბინდული სულის ფანჯარა:
ხან გულგრილი ვარ,
ხანაც მხდალი და ხანაც შტერი,
ძუნწი ვარ,
რადგან გასაცემი არა დამრჩა რა...

ამ გულს ტკივილი
საბოლოოდ როცა გაუვლის,
არც განძეული,
არცა უცხო რამ სამკაული
არ გაგახსენებთ
ყოფნას ჩემსას,
წავალ ჩემი გზით...
ბოლოსდაბოლოს
კაცი ჩნდება დავიწყებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაყვალა გონაშვილი

## ფიქრები გაბზარულ სარკესთან

გაბზარულ სარკეს სიმართლე არ მოეთხოვება,
გაბზარულ სინდისს სიწმინდე არ მოეთხოვება,
გაბზარულ რწმენას სიკეთე არ მოეთხოვება,
ჩემო სარკეო, შენს წინაშე ვდგავარ დაღლილი,
შენ გაიბზარე თუ მე თვითონ გაორებულს მეჩვენება:
სახე ჩემი — მსგავსი ცვილისა,
თვალები ჩემი — ჩამქრალი ვარსკვლავები,
ბაგე ჩემი — გაქვავებული ღიმილი,
თმები ჩემი — დაწყვეტილი სიმები.

ხვალ მეჯლისია, მე ვარჩევ კაბას,
მე ვარჩევ ნიღაბს, ხვალ მეჯლისია...
მივალ და ვიტყვი:
— სალამი, აი, მოვედი თქვენთან,
ყულაბასავით მოჩხრიალე ვაჟბატონებო,
თქვენ ფაიფურის ნაზო ასულნო,
სულ უბრალო შეხებაზეც რომ იბზარებით,
რადგან თქვენთვის ცხოვრება არ იყო
მკაცრი დედინაცვალი, ხოლო სიყვარული — რწმენა.
და სულ ამაოდ ეგონათ მამაკაცებს,
რომ თქვენ იყავით თიხა, რომელსაც
თავისებურად გამოძერწავდნენ
თავის ჭკუაზე, თავის ყალიბზე.
სისულელეა, თანაკლასელებს
ასეთი სიტყვით ვინ ესალმება?
ხვალ მეჯლისია... სად შევხვდებით ნეტა ერთმანეთს?
იქნებ ვახტანგთან (მას ყველაზე დიდი ბინა აქვს)
იქნებ სკოლის ფართო ეზოში, ან რესტორანში?
არა, არა, რესტორანში რა გვინდა ნეტა?
სკოლის წინ ბაღი...
იცით მართლა რა გამახსენდა?
სტუმრებს ელოდა ჩვენი სკოლა, იყო ზეიმი...
პიონერთხელმძღვანელმა დაგვავალა,
სკოლის ეზოში სამოცი ნერგის გახარება, სამოცი ნერგის.
ჰოდა, ჩვენც საქმე არ გავირთულეთ,
ღამით ბაღში დავაძრეთ ნერგები,
დილით კი ეზოში გადმოვრგეთ.
ჩვენ მთელი კლასი შეგვაქეს მაშინ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გვარები გაზეთებშიც ეწერა, მახსოვს,
ხომ გინახიათ დირექტორის კაბინეტთან
ყურჩამოყრილი, შატალოდან დაბრუნებული ცელქი
ბიჭები?!
მალე ფოთლები ჩამოყარეს ხეებმა ისე,
მერე სამოცივე ხე გახმა.
ბევრი მინახავს იმ ხეებივით
სხვის საამებლად სხვა წალკოტში გადანერგილი
ვერ იყვავილეს, ვერ იხარეს,
ვერ მოიწონეს თავი მწიფე, ტკბილი ნაყოფით.
ხოლო ხემან, თუ ნაყოფი არ გამოიღოს,
მოიკვეთოს და ცეცხლსა მიეცესო, — ხომ გაგიგიათ?
არა, ჩვენ ამას სკოლაში არ გვასწავლიდნენ.
მაგრამ რა ვისწავლეთ? იქნებ ჭკუა?
იქნებ მოკლე გზები მიზნისკენ?
ასი ცხოვრებაც რომ იცხოვრო ჭკვას ვერ ისწავლი,
თუკი განგებამ არ გიბოძა ცხოვრების ნიჭი.
ცხოვრების ნიჭი?
ვის დაჰყვა ჩვენში ნეტავ ნიჭი თმენის, გატანის?
რა გამახსენდა? ერთხელ ვახტანგმა
შეცდომით ამოხსნა ამოცანა...
მასწავლებელმა ვერ შენიშნა შეცდომა და
ხუთიანი დაუწერა.
ამ დროს დათომ ხელი ასწია:
— მასწ. შეცდომაა!
ხუთიანი სამმა შეცვალა.
მერე ბიჭებმა გალახეს დათო,
დათო ცხოვრებამ ბევრჯერ გალახა.
დღესაც არ ვიცი, ვინ ტყუოდა:დათო? ბიჭები?
რა ადვილია შეებრძოლო ვინმეს ან რამეს,
თუ კი იცი, რომ სიმართლისთვის იბრძვი და ცოცხლობ.
მაგრამ რა არის ჭეშმარიტი ან კიდევ მცდარი?
ჯერაც არ ვიცი ამ ცხოვრების ტყუილ-მართალი.
იქნებ ბავშვობა არის ერთადერთი მართალი ქვეყანა,
რადგან ყველაზე დიდი სიმართლე
გულწრფელობა და ოცნება არის.
სად არის ის დრო, სად წავიდა ნეტავი ღმერთო?
როცა ყველა ფერადი ქვა ნატვრისთვალი მეგონა,
ყველა ლამაზი ბიჭი უფლისწული,
ყველა ჭრელკუდა თევზი — ჯადოსნური,
ხოლო ცხოვრება უსასრულო მეგონა როცა...
სად არის ის დრო?
ჰო, დათოზე ვამბობდი, დათო?
იმ ბავშვს ჰგავს ახლაც, რომ გაიძახის,
შეხედეთ, მეფე შიშველიაო.
ვის რაში უნდა შენი ძახილი?
თუ კი არ გითხრეს იყვირეო, ნუ დაიყვირებ,
თუ კი არ გითხრეს იცინეო, ნუ გაიცინებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კი არ გითხრეს იბრძოლეო, შენც ნუ იბრძოლებ,
ჩვენ შევეჩვიეთ მითითებით ყოფნას, ცხოვრებას.
ანდა ვახტანგი... ხელმრუდობსო, ჩავარდა ერთხელ,
ძვირად დაუჯდა სიმართლე და თავისუფლება,
ო, მოსამართლევ, სამართალი სად არის შენი?
რატომ იხრება ოქროსაკენ შენი სასწორი?
მოსამართლე უსამართლოდ ისეთივეა,
როგორც ზღაპარი სიკეთის გარეშე,
ცა — უვარსკვლავოდ, მდინარე — უწყლოდ, ქალი —
უშვილოდ, გლოვა —უცრემლოდ.
მაგრამ ხომ იყვნენ ქვეყნად ოდესღაც
პატიოსანი ყაჩაღები, ერთგული მეძავები,
ხელგაშლილი მათხოვრები ხომ იყვნენ ერთ დროს?
ანდა გიორგი...
როგორ დაიჭერს ნეტა მეჯლისზე თავს ან
რა ნიღაბს მოირგებს ნეტა?
ლომის თუ კურდღლის?
გიორგი ჩვენი კომკავშირის მდივანი იყო...
ოი, სკამთმოყვარეობავ,
რა ფაცი-ფუცა კაცებია შენი მეხოტბენი.
ახლაც ხომა აქვს კაბინეტი.
ფუმფულა სკამზე
მილურსმულივით მთელი დღე რომ ზის, საქმიანობს.
წკრიალებენ, წრიალებენ,
კივიან, წკმუტუნებენ ტელეფონები...
და ფარული ვნებით, — ვით მშვენიერი ასულის ხელები, —
გიორგის ბაგესთან ხან ერთი ყურმილი მიაქვს,
ხანაც მეორე.
— დიახ! — რა თქმა უნდა!
— ვნახოთ! —
— არ ისმის! — გაიმეორეთ.
ბაგესთან ხან ერთი ყურმილი მიაქვს, ხანაც მეორე.
სიცარიელით ყელამდე სავსე,
ვიცი, გაივლის დღეები ასე.
ხომ შეიძლება ერთხელაც
ამდენი უმაძრაობით სკამს შეეზარდოს?
დი-ფუ-ზი-ა! — ფიზიკაში გვასწავლეს მგონი.
ო, მართლა, თეა, ფაიფურის ნაზი ასული...
რა კაბით მოვა? ან რას იტყვის?
ან რას გვიმღერებს?
მე ვიცი, მოვა გულუბრყვილო ბავშვის ნიღაბით,
რა ჭკვიანია, მუდამ სისულელეებს ლაპარაკობს.
თოჯინასავით აფახულებს უძირო თვალებს.
ფეხს რატომ ითრევ ქალბატონო?
ვითომ ყველა გაიხსენე, ის კი არა,
ვისთვისაც ბევრჯერ გიტირია, გიოცნებია,
ვინც ერთხელ გითხრა მიყვარხარო
და მერე მუდამ, როცა გიჭირდა,

ამ ერთმა სიტყვამ გადაგარჩინა,
როცა გტკიოდა, დაგიყუჩა სიტყვამ ჭრილობა.
როცა ბედნიერება ხელგაშლილი მორბოდა შენსკენ,
ამ სიტყვამ ჩაგაკეტინა სახლის კარები.
ანდა მისი ლამაზი ცოლი, თან თუ მოჰყვება?
ჩვენ ხომ შევთანხმდით,
მხოლოდ თანაკლასელები შევიკრიბოთ,
მხოლოდ თანაკლასელები.
რას მეტყვის ნეტავ? გავცე ხმა? გავიცინო?
ჰო, კარგი, თავსაც მოვერევი, გულსაც და ცრემლსაც,
მთელი ცხოვრება სულ ვთამაშობთ
და რაღა ახლა გამიწყრება ღმერთი და ხატი...
აი, სურათი,ათი წლის წინ რომ გადავიღეთ,
ათი წელია არ გვიხმობენ სკოლის ზარები.
თუ შევიცვალეთ? თუ გავიზარდეთ?
ჭკუა თუ ვისწავლეთ?
ერთი კია, კვლავ ვაზივართ მშობლებს კისერზე.
ტაქსის ფულადაც არა გვყოფნის ჩვენი ხელფასი.
ჩემო სარკეო, შენს წინაშე ვდგავარ დაცლილი,
შენ გაიბზარე, თუ მე თვითონ გაორებულს მეჩვენება:
სახე ჩემი — მსგავსი ცვილისა ,
თვალები ჩემი — ჩამქრალი ვარსკვლავები,
ბაგე ჩემი — გაქვავებული ღიმილი.
თმები ჩემი — დაწყვეტილი სიმები...
ხვალ მეჯლისია, მე ვარჩევ კაბას.
მე ამ მეჯლისზე მოვალ უნიღბოდ,
რომ ვერვინ მიცნოთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მურად ჭანტურია

# რომელმან აღაშენა სახლი

ყველაზე მარტივი და ყველაზე მკაფიო თვისებები შეუმჩნეველი რჩებათ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც უგრძნობელნი არიან იმის მიმართ, რაც თვალწინა აქვთ.

პოლ ვალერი

### მედეა

და ახლა, როცა ყველაფერი ეს მოხდა, თავს ძალას ვატან და ვცდილობ გონების თვალი წარსულს გადავავლო...

თავიდანვე ეს ქალაქიც ჩვეულებრივი, რიგითი სოფელი გახლდათ. რა თქმა უნდა, იმ დროს არ იყო, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი, ეგრეთ წოდებული უნიკალური კომბინატი, არც მრავალსართულიანი სახლები, მოასფალტებული ქუჩები, თეატრი, კინოდარბაზები, რესტორნები, კაფეები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც თანამედროვე, თუმცა — პროვინციული ქალაქის ატრიბუტს წარმოადგენს. ნათქვამია, როცა ურემი გადაბრუნდება, გზაც მერე გამოჩნდებაო. მაგრამ, როგორც ჩანს, გზასაც გააჩნია და ურემსაც. იმასაც ამბობენ, ვის როგორც ულირდესო... ამას იმიტომ ვამბობ, რომ არავის ეგონოს, ჩემი საკუთარი (ამას ხაზს ვუსვამ) აზრებისა და განცდების ვინმესთვის თავს მოხვევა მსურდეს. უბრალოდ, თავს ვიზღვევ კამათის მოყვარული კაცისაგან.

არ ვიცი, ბედის დაცინვა იყო თუ სხვა რამ, მაგრამ, რადგანაც ჩემი მშობლები საძიებო-გეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობდნენ, მოხდა ისე, რომ ერთ ადგილას დავიბადე, სხვაგან წამოვიზარდე, სკოლაში კიდევ, ვინ იცის, სად და სად ვსწავლობდი, უმაღლესი სასწავლებელი შორეულ ქალაქში დავამთავრე, სამუშაოდაც სხვა ქალაქში გამგზავნეს... ასე და ამრიგად, თანდათანობით უსამშობლო კაცის ფსიქოლოგია გამომიმუშავდა. ანდა, რა უნდა მეპასუხა, როცა მკითხავდნენ, სადაური ხარო? ხან ერთ ადგილს ვასახელებდი, ხან — მეორეს, ხან — მესამეს, მეოთხეს და ჩემს პასუხში არასოდეს მიგრძვნია რამე შინაგანი უხერხულობა ან ყოყმანი. იგი მუდამ თავისებური სიმართლით იყო შეჭერებული და ეს სიმართლე, ალბათ, ერთგვარად აკმაყოფილებდა ჩემი რაობისა თუ არსობის მასაზრდოებელ ფესვებს.

ამიტომ თუ იყო, საცა უნდა მივსულიყავი, სადაც უნდა მეცხოვრა, ქამელეონივით ვეჩვეოდი, ვეთვისებოდი ყველაფერს. თან, ამავე დროს, იმდენად ვეჩვეოდი და ვითქვიფებოდი, რომ ამ ყველაფერში მუდამ თითქმის ავადმყოფური სიმძაფრით ვგრძნობდი რაღაც ჩემეულს, რაღაც ჩემს ნაწილს, ჩემს წვლილს... ეს განცდა, რაც დრო გადიოდა, რაც მეტს დავხეტიალობდი, რაც მეტს ვმოგზაურობდი, მით უფრო მიძლიერდებოდა. თუმცა, „მოგზაურობაო", — ვამბობ, მაგრამ ეს მოგზაურობა სულ უფრო ცხადად ემსგავსებოდა ბორიალს მკაცრად ტაბუდადებულ წრეში, რომლისთვისაც ვერა და ვერ დამეღწია თავი. ის კი არა, ხანდახან ისიც მეჩვენებოდა, ჩემი ასეთი ფაქტობრივად განწირული ხეტიალი სწორედ ამ გადაულახავ ზღუდეში მოქცევით იყო განპირობებული. ვგავდი ზღვაში გასული გემის ეკიპაჟის წევრს, გემისას, რომელსაც არსად ჰქონდა მუდმივი ნავთსაყუდელი და უგზოუკვლოდ ალალბედზე დაეხეტებოდა აზვინულ-ატყორცნილ ტალღებს შორის.

ჰოდა, რა გასაკვირი იყო, როცა ამ დედაბერმა მითხრა, ჩემი აყვანილი ხარო, გაოცებისაგან სუნთქვა შემკვროდა. დიდხანს ვერ ამოვიღე ხმა. ყელთან უცაბედად მოწოლილი რაღაც სიმძიმე მახრჩობდა, თან, რატომღაც, ვერც ჩახველებას ვბედავდი და ვერც იმას, რომ იქვე, ჩემს წინ, მაგიდაზე მდგარი „ბორჟომი", უფრო ზუსტად — „ბორჯომი" მომესვა.

არა, მთლად ისეც როდი იყო საქმე, როგორც, შესაძლოა, ზოგიერთებმა გაიფიქრეს: მე მამაც კარგად მახსოვდა და დედაც. უფრო მეტიც, ბევრ ისეთ რამეს ვიხსენებდი ჩემი ბავშვობიდან, რომ ხანდახან ვაოცებდი კიდეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლებს, და იმათაც, რა გზა ჰქონდათ, ამბობდნენ, ალბათ, როდისმე მოგვიყოლია შენთვის ეს ამბავიო...

მეორეც კიდევ, არც იმ დედაბერს უთქვამს მთლად ასე. პირველად მგონი, ამგვარად მითხრა: „...აი იქ, სადაც ახლა ცხრასართულიანი სახლი დგას... პირველ სართულზე გასტრონომი რომაა. სწორედ იქ, ვაშლის ხის ძირას იდგა ბორბლებზე შემდგარი მწვანედ შეღებილი ვაგონი... თავიდანვე საოცრად მჩხავანა იყავი... აი, ამ ხელებით მეკავე და საშინლად ღნაოდი!..“ — ეს სიტყვები მხოლოდ წარსულთან მიახლოება კი არა, თითქოსდა ცხოვრების ახალი, აწ დარჩენილი გზის საგზური თუ მოწმობა (თუ შეიძლება ასე ითქვას) იყო. ამ სოფელში მცხოვრებთა ნახევარზე მეტი ჩემი აყვანილია, — ყვებოდა მოხუცი, მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენდი: ტანში საოცარი, მანამდე განუცდელი ჟრუანტელი მივლიდა და ამ ჟრუანტელს თავმინებებული, ასევე მანამდე განუცდელ ბურანში ვიძირებოდი... უკვე მაშინ, იქვე, სუფრაზე, იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ ავდგებოდი ხვალ დილით ადრე (იმ ღამეს უმიზეზოდ ან უჩუმრად წასვლას ვერ მოვახერხებდი) და როგორ წავიდოდი (ვითომ შემთხვევით), მაღაზიისაკენ; ამის გაფიქრებისთანავე ის ფარული, ძლიერი ძალაც ვიგრძენი, რომელიც გაუცნობიერებელი სიჯიუტით მეწეოდა იმ ადგილისაკენ. ეს ისეთნაირად იყო, როგორც, ვთქვათ, დანაშაულის ჩამდენის რაღაც აბსურდული სწრაფვაა დანაშაულის ჩადენის ადგილისაკენ.

რა თქმა უნდა, ვერც ცხრასართულიანმა სახლმა, რომლის ქვეშაც გასტრონომი მოეთავსებინათ, და, მით უმეტეს, ვერც მის ირგვლივ მოასფალტებულმა მიდამომ, ვერ დამიკმაყოფილა სულის დაუოკებელი და ერთგვარად გაუგებარი მოთხოვნილება. ერთადერთ ღირებულ მოწმედ — რაც უნდა უტაქტოდ იყოს ეს ნათქვამი — ეს დედაბერი შემორჩენოდა დრო-ჟამს. ჰოდა, რატომ უნდა ჩამთვლოდა ახირებად მისდამი რაღაცნაირი თბილი, თითქმის ნათესაური სინაზით აღსავსე ლტოლვა და ის პატივისცემა, თუ გნებავთ — სიყვარული, რომელიც მუდამ ასხივოსნებდა ჩვენს ურთიერთობას? მოხდა ისე, რომ თანდათანობით ჩვევად, უფრო მეტიც, — მოთხოვნილებად მექცა მასთან ეზოში ხის ჩრდილში ჯდომა და საუბარი. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა რამე მიზეზით ხასიათი გამიფუჭდებოდა, ანდა რამეს ისეთნაირად ვერ გავაკეთებდი, როგორც საჭიროდ მიმაჩნდა. ჩვენი საუბარი, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მუდამ ჩემი დაბადების ეპიზოდით. იმ დროსთან დაკავშირებული ამბებით იწყებოდა, შემდგომ — ვერც კი ვამჩნევდი, როდის! — მის ახალგაზრდობაზე, მისი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებზე და, ცხადია, აქ, ამ სოფელში მომხდარ ამბებზე გადადიოდა. როცა ვუსმენდი ამ მოხუც ქალს, რაღაც ჩაუწვდომელ და თავდაუღწევ მსუბუქ ბურანს თავმინებებული, გასაოცარ მთლიანობაში აღვიქვამდი ყოველივეს. დროს თითქოს თავისი არსი და დანიშნულება ეცლებოდა და ყველაფერი — იქნებოდა ეს ჩემი მშობლების ჩამოსვლა, მათი საქმიანობა თუ ჩემი დაბადება, ამ მოხუცის ბავშვობის ხანა, ახალგაზრდობა, შეხვედრა „იმ კაცთან“ (არასოდეს იტყოდა ქმრის სახელს), თუ ამ სოფელში მისი გამოთხოვება, მერე აქაური ამბები და, საერთოდ, ყველაფერი, თითქოს ერთი თავისთავადი, დასრულებული ამბავი იყო, უფრო სწორად — ერთი კრიალოსნის ძაფზე ასხმული რგოლები და იმასაც, როგორც კრიალოსნის მარცვლებს, სულ ერთი იყო, ხელში რომ აიღებდი, საიდან დაუწყებდი ჩამარცვლას. უფრო მეტიც, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეჩვენებოდა, რომ ამ კრიალოსანზე იყო ასხმულ-ჩაწიკწიკებული ყველა ის ამბავი, რაც ჩემთან და ჩემს ირგვლივ არსებულთან იყო დაკავშირებული, ცხადია, ის ამბებიც, სხვაგან ყოფნის დროს რომ გადამხდენოდა და ისინიც — ხვალ, ზეგ და შემდგომ რომ მოხდებოდა.

ასე მგონია, არის სახელები, რომელთა სემანტიკაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუდმივი ახალგაზრდობის ნიშნითა და ელფერით არის დამუხტული. სხვისი არ ვიცი და, მე რაღაც წარმოუდგენლად, ალოგიკურად მიმაჩნია, ვინმე დედაბერს ერქვას ია, ნანა, მაია, ნათია, თეა, შორენა.. .ამ დედაბერს კი მედეა ერქვა. და, რატომღაც, ოდნავადაც არ გავუოცებივარ ამას. უფრო მეტიც, როცა შეხედავდი მის ასაკთან შედარებით საოცრად გამართულსა და მოყვანილ ტანს, უკვე ნაოჭმოხშირებულ, მაგრამ უჩვეულოდ მეტყველ და სიმპათიურ სახეს, მოწიწებას რომ აღგიძრავდა ხოლმე, უნებურად იფიქრებდი, ასეთი თავისებური, იდუმალი და მითიური სახელის გარდა, სხვა არც ეკადრებოდაო, ალბათ. საშუალოზე მაღალი იყო. ყოველთვის გამორჩეულად, სუფთად, რაც მთავარია, შესაფერისად იცვამდა. სიარული დინჯი იცოდა. არასოდეს მინახავს აჩქარებული. გამოხედვაში მუდამ იგრძნობოდა გათვითცნობიერებული უპირატესობის გრძნობა, რაც საკმაოდ გულზვიად იერს აძლევდა ხოლმე. მის ჟესტსა და მიმიკას — არ ვიცი, რატომ (სხვა სიტყვა ვერ გამოვნახე), — „არისტოკრატიული“ დავარქვი. თუმცა, შესაძლოა, ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა — იგი მართლაც არისტოკრატივით ჩანდა სოფლის ხვა ქალების გვერდით და მათ (ცხადია, არა მარტო ასაკის გამო) მეწინავედ, წინამძღოლად ითვლებოდა. თუმცა, უფრო ზუსტად მე რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვედი ამ სოფელში, მაშინ და მერეც, კიდევ საკმაოდ დიდხანს, ითვლებოდა წინამძღოლად...

●

...წინამძღოლად ითვლებოდა და, როგორც მეჩვენებოდა, სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა ყოფილიყო. რატომ? ეს ეგება ერთი შეხედვით ვერ გაგერკვია. ვერ ჩასწვდომოდი ამ აზრის საფუძველს. მაგრამ საკმარისი იყო, თუნდაც ერთხელ გასაუბრებოდი, თუნდაც ერთი სიტყვა ეთქვა, ან, უბრალოდ, ერთხელ კიდევ შეგეხედა, რომ ამ აზრის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულიყავი. რა სიდიადე, შინაგანი დამაჯერებლობა იგრძნობოდა მის მიხრა-მოხრასა და სიტყვა-პასუხში!

რა ვიცი, ახლა რომ ვუკვირდები, ასე მგონია, ეს თვისებები დროთა განმავლობაში, თანდათან გამოუმუშავდა-მეთქი. და ამაში, ალბათ, გადამწყვეტი თუ არა, დიდი როლი ითამაშა იმან, რომ მედეა ბებია (მუდამ ასე მივმართავდი) სოფლისათვის უაღრესად საჭირო ქალი იყო. მის ბებიაქალობაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ და, გარდა ამისა, ალბათ, არ არსებობდა ქვეყნად რამე შელოცვა, მას რომ არ სცოდნოდა, არ არსებობდა, ალბათ, ქვეყნად ავადმყოფობა, რომლის წამალიც არ შეემზადებინოს, მეტიც, ხანდახან იმასაც ვფიქრობდი, ადამიანებს კი არა. დროსაც წარმართავს ეს ქალი-მეთქი: თუ ვინმეს რომელიმე რელიგიური დღესასწაულის თუ ძველი წეს-ჩვეულების თარიღის დადგენა უნდოდა, რა თქმა უნდა, მედეა ბებიას მიაკითხავდა. უნდა გენახათ, რა ნათელი გადაეფინებოდა სახეზე, როცა თავს ოდნავ ასწევდა, თვალებს მოჭუტავდა და დღეებს, თვეებსა თუ წლებს ითვლიდა (ხანდახან თითებს მოკეცავდა-მოიშველიებდა ხოლმე). არავის ახსოვს, როდისმე შემცდარიყოს, და ისე გამოდიოდა, თითქოს მის მიერ დადგენილ თვეებსა და რიცხვებში უნდა შევხვედროდით აღდგომას, მარიამობას, ხორციელს, ყველიერს, ამაღლებას. სულთმოფენას. შობას, ნათლისღებას, ფერისცვალებას, მიძინებას და, ვინ იცის, კიდევ რა და რა დღესასწაულს თუ უქმე დღეს.

მედეა ბებიამ ყველაფერი იცოდა! — ეს აზრი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მიმტკიცდებოდა. სხვანაირად, არ ვიცი რატომ და, ვერ წარმომედგინა. ამიტომ, როცა სოფელში ჩამოვიდა. ფოლკლორული ექსპედიცია, რომელსაც ერთ-ერთი ჩემი ძველი ნაცნობი ხელმძღვანელობდა, ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ, ისე უყოყმანოდ მივიყვანე ყველანი მედეა ბებიასთან. და მერე, როცა ალტაცებისაგან სახეწამონთებულმა და სუნთქვაშეკრულმა ექსპედიციის წევრებმა უბნის წიგნაკები დახურეს და მიკროფონები მოიმარჯვეს, მე იქვე, ოდნავ მოშორებით მჯდარს და თავისებური სიამაყის გრძნობით აფორიაქებულს, გული გამალებით მიძგერდა. თითქოს ოდნავ გაბრუებული, უჩვეულო მთლიანობაში ალვიქვამდი ყოველივეს... ვგრძნობდი, როგორ ეცლებოდა კონკრეტული შინაარსი ყველაფერს — ამ მინდორს, ამ ხეებს, ამ მთებს, ამ ზეცას... ყველაფერი ერთ უზოგადეს მთლიანობად იკვრებოდა და ამ მთლიანობაში ისეთნაირად ვიძირებოდი, როგორც უზარმაზარ, ყოვლისმომცველ და იდუმალებით სავსე ოკეანეში.

მახსოვს კიდევ: ერთხელ ბავშვი გაგვიხდა ავად. შუაღამისას გამოგვაღვიძა, ტიროდა, ტანზე ერთბაშად წითლად გამოაყარა. შემეშინდა, ხომ არ მოიწამლა-მეთქი. სოფლის ექიმი ქალაქში წასულიყო. რაიონში ჩასვლას, შუაღამისას, თანაც მაშინდელ უგზოობის პირობებში, ორი-სამი საათი მაინც მოუნდებოდა. მოჩვენებითი სიმხნევით თან ვამშვიდებდი, თან ვაჩქარებდი ნათელას, როცა მოულოდნელად კარზე ვილაცამ დააკაკუნა. სანამ გაოცებული კარს გავაღებდი, მედეა ბებიას ხმა შემომესმა: მე ვარ, ნუ შეგეშინდებათო. ერთბაშად საოცარი შვება ვიგრძენი, გულზე თითქოს ლოდი მომეხსნა. შემოვიდა და უჩვეულო იმედი შემოიტანა. მაშინ, ცხადია, არ მიკითხავს, მაგრამ მეორე დღეს თუ შემდეგ, როცა, ვინ იცის, მერამდენედ ვიხსენებდი ამ ამბავს, თქვა: რალაც ხმაური მომესმა და გული როგორ მომითმენდა, არ მივსულიყავიო!..

კილოც ისეთი ჰქონდა, როგორიც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, რომელიც პასუხისმგებელია ყველასა და ყველაფერზე, რაცირგვლივ ხდება. თან ამას ისეთი უშუალობით ამბობდა, რომ მადლიერი კი არ დარჩებოდი სიკეთის გამო, არამედ გაიფიქრებდი: „ჰო, აბა სხვანაირად როგორ უნდა მომხდარიყოო?“ შესაძლოა, სწორედ ამ თვისების გამო დავუახლოვდი მას ასე სწრაფად.

მაშინ, კი, მოჯადოებულივით თვალს არ ვაშორებდი მედეა ბებიას აუღელვებელ თვითდაჯერებულ მშვიდ სახეს. ეს სიმშვიდე თანდათან მეც გადმომედო, შეშფოთებამ გამიარა და, თუმცა სულაც არა ვარ ცრუმორწმუნე, მყის შინაგანად დავთანხმდი, როცა თქვა:

— არაფერია, ნენა! ნუ გეშინიათ!.. ერთს შევულოცავ და მაშინვე მორჩება!

ახლა უკვე ჩემი კი არა, ნათელას მორჩილება მაოცებდა. მან ისე ფრთხილად მოუტანა ჭიქა წყალი მედეა ბებიას, იფიქრებდი, წვეთის დაკარგვისა ეშინიაო. ხოლო, როცა ქალმა ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და ჩურჩული დაიწყო, ისეთი მავედრებელი თვალებით შეაცქერდა, უნებურად უცნაურმა თბილმა ჟრუანტელმა დამიარა, თითქოს ბავშვი კი არა, მე უნდა მოვერჩინე ამ ქალს! საოცარია და, პა-

ტარამაც მიატოვა ჭირვეულობა და ფართოდ გახელილი თვალებით მიაჩერდა. მედეა ბებიამ შენალოცი წყალი ბავშვს მოასმევინა, დარჩენილით კი ტანზე გამონაყარი ადგილები მოჰბანა.

— ახლა კი დაიძინე, გოლუაფირო, — მოეფერა ბავშვს. — დილას რომ ადგები, სულ არაფერი გექნება ტანზე!

— რისგან უნდა იყოს ნეტავ ეს? — წამომცდა უნებურად და იმწუთშივე უხერხულად ვიგრძენი თავი. ნათელასკენ გავაპარე მზერა, თითქოს წამოვწითლდი კიდეც.

გაორებულად ვგრძნობდი თავს. მაგრამ ნათელას სულაც არ მოუქცევია ჩემთვის ყურადღება: კითხვის გამომხატველი მზერით მისჩერებოდა მედეა ბებიას. მან კიდევ ისეთნაირად, თითქოს არაფრად აგდებს, არაფრად მიაჩნია მიზეზი, მშვიდი ხმით თქვა:

— შელახული ხილი ჭამა, ალბათ... ან, შესაძლოა, შებილწულ ადგილზე წამოგორდა სადმე.

რა თქმა უნდა, ცოტა ხნის შემდეგ ბავშვს ტანზე გამონაყარი აშკარად შესამჩნევად მოუშუშდა... „რა თქმა უნდა-მეთქი“, წამომცდა, რადგან მაშინ (ცოდვა გამხელილი სჯობია — ეს დღესაც მაბნევს) სხვანაირად ვერ წარმომედგინა: სწორედ ისე უნდა მომხდარიყო. როგორც ის ყოვლისმცოდნე და, არა მარტო ყოვლისმცოდნე, — ყოვლისშემძლე ქალი იტყოდა! მაშინ, უფრო ზუსტად — ცოტა ხნის შემდეგ, ამ ამბავზე რომ ვფიქრობდი, პირველად გავიცნობიერე ის, რაც ამ მოხუც ქალთან დაკავშირებით მუდამ რაღაც ამოუხსნელ პარადოქსად მეჩვენებოდა: ასე მეგონა, რაც უფრო ვცდილობდი მასთან დაახლოებას, მით უფრო ვშორდებოდი და მით უფრო იზრდებოდა ჩვენს შორის, ჩვენს ორ სხვადასხვა სამყაროს შორის არსებული ჯებირიც. მაგრამ, ამავე დროს, რაც უფრო იზრდებოდა ეს ჯებირი, მით უფრო ვცდილობდი ამ მოხუცთან დაახლოებას — რაღაც ქვეცნობიერი ძალა მეწეოდა მისკენ. ხანდახან მეგონა, რომ მასთან სიახლოვის სურვილს ის საოცარი ამბები მიცხოველებდა, რომელსაც იგი ჩვეული ოსტატობით მიყვებოდა ხოლმე. მიკვირდა, მის შვილს, ანდროს, რატომ არ დაჰყვა თხრობის ამგვარი ნიჭი, რომ დაჰყოლოდა, საკმაოდ სახელმოხვეჭილი მწერალი იქნებოდა-მეთქი, ვფიქრობდი. ისე კი, ცნობისმოყვარეობის გამო, გვერდზე ბევრი რამ მაქვს წაკითხული, ამიტომ „ზედმეტი“ თუ პირიქით — არაკვალიფიციური, არასრულყოფილი ცოდნის წყალობით დიდხანს ერთგვარი სიმპათიით ვუცქერდი ხოლმე ანდროს შვილს, გუბაზს, რომელსაც, მართალი გითხრათ, სულაც ფეხზე ეკიდა, ანდა, შესაძლოა (და უფრო, მე მგონი, ასეც იყო), საერთოდაც ვერ ამჩნევდა ბებიამისის „განსაკუთრებულ“ ქალობას.

მედეა ბებია მართლაც რომ საოცარ ამბებს ჰყვებოდა, მაგრამ, ამასთან ერთად, ერთი რამ შევამჩნიე: ეს რომანტიკული, ზოგჯერ თითქმის დაუჯერებელი, ზღაპრული სიკეთითა და გულუბრყვილობით აღსავსე ამბები, უმეტესწილად მის გათხოვებამდე ხდებოდა. თავს რომ ასწევდა და ოდნავ მოჭუტავდა თვალს, გეგონებოდა, ყველაფერს, რასაც ჰყვება, იქ, სადღაც, ჰორიზონტს მიღმა ხედავს და ახლა ისღა დარჩენია, ისეთი თანმიმდევრობით მოგითხროს, როგორადაც ჩანსო. მის ამ მანერას ვერაფრით შევეჩვიე და, როგორც კი თვალმოჭუტული სივრცეს მიაცქერდებოდა, მეც უნებურად იქითკენ მივიხედავდი ხოლმე. იქ კი, ცხადია, არაფერი ჩანდა. არაფერი ჩანდა, თუ რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მიიღებდი სოფლის ბოლოში, საკმაოდ მაღალ გორაკზე, ერთმანეთის მიჯრით მიწყობილ საფლავებსა და უძველესი (როგორც ამბობდნენ) ეკლესიის ნანგრევებს, რომელთაც სიმბოლოსავით ადგა თავზე ჩამავალი მზის მოწითალომოვარდისფრო შარავანდედი. მაშინ მე ჯერ კიდევ არ ვაქცევდი ყურადღებას არც ამ ნანგრევებსა და არც ამ საფლავებს, რადგან არ ვიცოდი, რომ „ის კაცი“ და ბევრიც სხვა, რომლებიც მედეა ბებიას ნათქვამ-მონაყოლში ზღაპრის პერსონაჟებივით ხან სად ამოჰყოფდნენ ხოლმე თავს, ხან — სად, ხან რას გააკეთებდნენ, ხან — რას, ხან აღგვაფრთოვანებდნენ, ხან დაგვანაღვლიანებდნენ — სწორედ რომ ამ ნანგრევებისა და საფლავების ქვების ქვეშ იწვნენ გულხელდაკრეფილნი. ხოლო, შემდგომ, როცა ეს უკვე ვიცოდი, უნებურად უკან ვიხედებოდი და ერთგვარი გაოცებით, შიშით მოკრძალებით და იმედითაც კი ვფიქრობდი იმაზე, რომ კაცის სიკვდილი ხორცის სიკვდილია, უპირველეს ყოვლისა, თორემ სული შემდეგაც დიდხანს-დიდხანს აგრძელებს სიცოცხლეს-მეთქი. უფრო მოგვიანებით კი, როცა სოფლის ჩვეულმა მდინარებამ, რომელიც თავის კალაპოტში უკან მოუხედავად მიექანებოდა და მეც, ერთი პატარა ნაფოტივით, ასევე უკან მოუხედავად ჩამითრ-ჩამიყოლია, და, როცა ეს მდინარება უკიდურესობამდე აზვირთდა, ადიდდა, გადმოხეთქა კალაპოტიდან, და ქალაქს ზედ გადაუარა (სოფელი მაშინ ქალაქად იყო გადაქცეული) აგრეთვე, როცა გაირკვა, რომ ამ მდინარებას თავის სიმბოლურ მსხვერპლად სწორედ ეს მოხუცი აერჩია, მომხდარი ამბისაგან დაბნეული ვფიქრობდი, რომ ამ საფლავებს და ამ ნანგრევებსაც ყველა ამ ამბავში არანაკლები წვლილი მიუძღოდა, ვიდრე ჩვენ ყველას, ვინც ამ საფლავებს და ამ ნანგრევებს შევყურებდით, თუ — ვისაც ეს საფლავები და ეს ნანგრევები გადმოგვცქეროდა.. .

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი რა, ნუ გაუწყალე ამ კაცს გული! მამაჩემი, ბოლოს და ბოლოს, ცხენზე იჯდა და იმას დააჭენებდა, თორემ კოსმოსურ ხომალდში ხომ არ ჯდებოდა და ვარსკვლავებს შორის ხომ არ დაფრინავდა?! — წამოიძახებდა ხანდახან ანდრო, როცა კოლმეურნეობის მინდვრებიდან მობრუნდებოდა, ჭიშკარს ჯახუნით მიკეტავდა, აღმართს ამოუყვებოდა, ეზოში, ხის ძირას, ან აივანზე მსხდომთ პატივისცემის გამომხატველი ღიმილით მოგვიახლოვდებოდა, ხელს ჩამოგვართმევდა... ამას რომ ამბობდა, დედამისს კი არა, მე მიყურებდა, თანაც ერთი წამითაც არ იშორებდა სახეზე მოკრძალებულ ღიმილს, რითაც, როგორც თანდათან დავრწმუნდი, თავისი შინაგანი კულტურის გამოხატვას ცდილობდა. ამავე დროს ეს იმ კაცის დარდიმანდულ ღიმილს ჰგავდა, სიმდიდრით თუ სხვა რამით უხვად რომ დაუჯილდოვებია ბუნებას, მაგრამ თავი ისე უჭირავს, ვითომცდა ამას, როგორც ბუნებით მომადლებულს, არაფრად ვაგდებ, არაფრად მიმაჩნია და ყურადღებასაც არ ვაქცევო. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ თავიდანვე არავითარი ეჭვი არ გამჩენია. უფრო პირიქით: გარკვეული თვალსაზრისით, მშურდა კიდევაც მისი ასეთი, ბუნებრივი (როგორც თავიდანვე მეჩვენებოდა) სითამამე. ანდროს შეეძლო ასე თავისუფლად გახუმრებოდა ამ, ჩემთვის იდუმალებით მოსილ ქალს, რამდენადაც ბუნებას ისე განეგო, რომ მისთვის მიენიჭებინა ბედნიერება, ყოფილიყო ამ ქალისათვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, — შვილი. „ალბათ, მე ვერასოდეს შევძლებ, ასე დავუახლოვდე შინაგანად ვინმეს, მით უმეტეს, ამ კეთილ მოხუცს“, — ვფიქრობდი ერთგვარად გულნატკენი და, თუ თავს ვერ მოვერეოდი და მიზეზის ძებნსა ჩემს აბრუნებულ-გადმობრუნებულ ბიოგრაფიაში ვიწყებდი, შუბლზე ჭირის ოფლი მასხამდა ხოლმე და აწრიალებული, თან რატომღაც უკიდურესობამდე (დღესაც ვერ ამიხსნია!) გუნება გაფუჭებული, ადგილს ვერ ვპოულობდი.

დიდი სიყვარული გვაბრმავებს ხოლმე. ან დიდ სიყვარულს, ნებსით თუ უნებლიეთ, ვწირავთ ყველაფერს, რასაც მოითხოვს. არ ვიცი, მთლად ასე თუა, მაგრამ რაღაც ამდაგვარზე ვფიქრობდი ხოლმე, როცა მედეა ბებია საუბარში „შემომაპარებდა“ და ანდროზე ჩამოაგდებდა სიტყვას. არ ვიცი... ღმერთმანი, ლამის ამას უფრო ინტუიციით ვგრძნობდი, ვიდრე — გონებით: ანდროზე საუბარი იყო ამ ქალის ერთადერთი სუსტი ადგილი, თუმცა, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი — ერთადერთი სუსტი ადგილი, მე რომ ვამჩნევდი. ერთადერთი — და მაინც, ამის გაცნობიერება იმდენად ლახავდა ჩემს შეხედულებას მასზე, რომ ასეთ დროს მუდამ ვცდილობდი, სახეში არ შემეხედა, თვალს ვარიდებდი. საკმარისი იყო ერთადერთი მაგიური სიტყვა „ანდრო“ ეხსენებინა, რომ ის მითიური სამოსი, რომელშიც, ალბათ, ჩემი დაუოკებელი წარმოდგენები ხვევდა ამ ქალს (თუ სინამდვილეში მართლაც ასე იყო?!), წამსვე ჩამოუცურდებოდა მხრებიდან და ფეხსაცმლის ქუსლით, ანდა შემთხვევით ხელში მოხვედრილი წკეპლით, მიწის ჩიჩქნას ვიწყებდი, თან, რატომღაც, გულისტკივილით, ვფიქრობდი, რომ მედეა ბებიაც, რაც უნდა იყოს, მაინც ქალი იყო, მაინც დედა იყო, და მისი შვილი გახლდათ კაცი, რომელიც ახლა ხაზგასმული საქმიანი იერით, თოხის ტარზე დაყრდნობილი ესაუბრებოდა მავთულბადის ღობის მიღმა მდგარ მეზობელს, და რომელსაც შემდგომ, სრულიად შემთხვევით თუ განგების ძალით (თუ კიდევ სხვა რამის ძალით), ის უჩვეულო რამ წამოსცდებოდა, რასაც — ასევე, ვინ იცის, რატომ და რისი ძალით, — არანაკლები როლი ჰქონდა განკუთვნილი ამ ამბავში, ვიდრე ყოველ ჩვენთაგანს და საერთოდ ყველაფერს, რაც შეიძლება უშუალოდ თუ არაუშუალოდ ამ ამბავთან დაკავშირებულად ჩავთვალოთ. მაგრამ ეს მერე მოხდებოდა, მერე, გარკვეული ხნის შემდეგ, ხოლო მაშინ, როცა ფეხსაცმლის ქუსლით ან შემთხვევით ხელში მოხვედრილი წკეპლით მიწას ვჩიჩქნიდი, დაფასთან გაძახებულ იმ მოწაფესავით, რომელსაც ვერა და ვერ უპოვია თითქოსდა მარტივი ამოცანის გასაღები, მეც ვერა და ვერ ვახერხებდი ჩავწვდომოდი (ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი იმ დროს) იმის არსს, რატომ იყო, რომ თუ საერთოდ მის მონათხრობში საოცრად ზღაპრული მოვლენებიც კი რეალური და ბუნებრივი ხდებოდა, ამჯერად, როცა ანდროზე დაიწყებდა საუბარს, ისეთი ამბებიც კი, თავისუფლად რომ შეეძლოთ ჰქონოდათ რეალობის პრეტენზია, რატომღაც — ჩემდა გასაკვირად! — საოცრად ყალბად და არარეალურად ჟღერდა. ვითომ ანდროსთან პირადი ნაცნობობა მიშლიდა ხელს? მაგრამ მე ხომ ასევე კარგად ვიცნობდი მის შვილს (ესე იგი, მედეა ბებიას შვილიშვილს) გუბაზს, რომელზეც საუბარი არანაკლებ უყვარდა მედეა ბებიას, და რომელიც ამ საუბრის მიხედვით, — რომ არ გცნობოდა — ვუნდერკინდთა შორის უპირველესად შეგეძლო წარმოგედგინა? რა თქმა უნდა, მომავალი უფრო ბურუსითაა მოცული, ვიდრე წარსული, ამდენად, მომავალში ჩვენი, რაც უნდა იყოს — მაინც ოპტიმისტური (რახან ვცოცხლობთ) ბუნების მიერ ნებისმიერი შანსი მოიაზრება, მაშინ, როცა წარსულში ვერაფერს შეცვლი. მაგრამ ასეთ ნათელ და მარტივ ფორმულას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ჩემი გაფაციცებული გონება. რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპულსი მკარნახობდა, რომ მარტო ამაში როდი იყო საქმე...

●

რაღაც იმპულსი მკარნახობდა, რომ მარტო ამაში როდი იყო საქმე... რა თქმა უნდა, ამას ერთგვარი ფილოსოფიური ტრაქტატის იერი დაჰკრავს. ამდენად, იყო დრო, როცა გალიზიანებული ჩემს თავს შევუძახებდი „ეი, ძმაო, გეყო ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა და ჩხრეკა-ჩაყოლა ძირისძირობამდე, მიიღე ცხოვრება ისეთი, როგორიც არის, დატკბი, თუ შნო გაქვს და, იყავი შენთვის!“ ასეთ წუთებში საოცარ შინაგან სიმტკიცეს ვგრძნობდი. თითქოს მაგიური სიტყვები მეთქვას, თითქმის არაფერი მაღელვებდა და ერთგვარი კმაყოფილებამოგვრილი ამ ქვეყანას, უფრო ზუსტად — ამ სოფელს, რომელიც შემდგომ დაბად იქცა, უფრო შემდგომ კი — ქალაქად (თუ ქალაქს, რომელიც ცოტა ხნის წინათ დაბა იყო, უფრო ადრე კიდევ — სოფელი), ისე კი არ ვუყურებდი, როგორც მისი ერთ-ერთი წევრი, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, არამედ, ისე — როგორც, ვთქვათ, კინომექანიკოსი — კინოეკრანს... საბედნიეროდ (თუ სამწუხაროდ), ეს „ბედნიერების ხანა“, როგორც შემდგომ ირონიულად ვუწოდებდი, დიდხანს არ გრძელდებოდა. რაც უნდა ყოფილიყო, „რაც უნდა ამელო თავზე ხელი“, ჩემს თავს ვერსად გავექცეოდი და უფრო მეტი ნებისყოფა ან ხასიათის სიმტკიცე რომ მქონოდა, ამ ამბავს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ უნდა შევგუებოდი.

„...ეს ხანა“ დიდხანს არ გრძელდებოდა ხოლმე და მისი ჩავლის პირველი ნიშანი მედეა ბებიას თუ მასთან საუბრის მონატრება იყო. ამ საუბრის შინაარსი, ცხადია, წინდაწინ თითქმის ზეპირად ვიცოდი, მაგრამ, ამევე დროს, ერთგვარ მოლოდინსაც შეიცავდა, რამდენადაც ყოველ ათასგზის მონათხრობს მედეა ბებია, არ ვიცი — ფანტაზიის, არ ვიცი — მეხსიერების წყალობით, ყოველ ახალ მოყოლაზე რაღაც ახალ შტრიხს, ახალ ნიუანსს, ზოგჯერ მთელ ეპიზოდსაც კი უმატებდა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მარტო „კარგი მსმენელის“ ცნობისმოყვარეობა არ ერქვა იმას, რაც ბოლოს და ბოლოს ყულფივით წამომეცმეოდა კისერზე და, როგორც კი ამას ვიგრძნობდი, მორჩილად გამოვემართებოდი აქეთკენ... დასაწყისში მოგახსენეთ: როცა ვუსმენდი ამ მოხუცს — თავდაუღწეველ, ჩაუწვდომელ მსუბუქ ბურანს თავმინებებული — რაღაც საოცარ მთლიანობაში ალვიქვამდი-მეთქი ყოველივეს, ყოველივეს, რაც ამ სოფელში მომხდარა, რაც ხდებოდა და რაც აწი მოხდებოდა, — თითქოს კრიალოსანზე იყო ასხმული-მეთქი ყველაფერი... ჰოდა, თითქოს ამ კრიალოსანზე ასხმული ამბების შემაკავშირებელი რგოლი იყო მედეა ბებია, ამ ამბების, ამ დრო-ჟამის ბრუნვის ცენტრი, უტეხი და დრომიუკარებელი, და, რა გასაკვირია, რომ „როგორც ამ ჩაუწვდომელი ბრუნვის ცენტრი ამ ბრუნვის შემადგენელი ნაწილივით თავისკენ მიზიდავდა“. მედეა ბებიას მე იმ საუფლოში შევყავდი, დრო-ჟამის სიავის გამო და ჩვეულებრივი, ბუნებრივი კანონის გამოც, დღეს ჩვენთვის, უბრალოდ რომ ვთქვათ — მომდევნო თაობისათვის, მიუწვდომელი გამხდარიყო, და, როგორც ხშირად ვფიქრობდი ხოლმე, მე იმ ამბებს — ვინ იცის, როდის და როდის რომ მომხდარიყო — ისე ვებღაუჭებოდი, როგორც ნიადაგს დამრეცზე ამოსული ხის ფესვები, რომელთაც თავიანთი მცდელობით თავიც უნდა გადაერჩინათ და ხეც.

მაინც, რამდენი წლის იქნებოდა ეს მოხუცი, რომელსაც, როგორც მეჩვენებოდა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო არ ემჩნეოდა დროის კვალი? ამის გაცნობიერება (თუ შეგრძნება) არა მარტო მას მოსავდა განსაკუთრებული, იდუმალი შარავანდედით, არამედ სხვასაც უჩვეულო იმედითა და სიმხნევით ავსებდა ხოლმე. და თუ მაინც ვინმეს გული არ მოუთმენდა და ჰკითხავდა ასაკს, მედეა ბებია, რაც თავი მახსოვს, უფრო სწორად — რაც აქ ჩამოვედი, ხან ოთხმოცდასამი წლისა იყო, ხან ოთხმოცდაათის, ხან ოთხმოცდახუთის, ხან ოთხმოცდათხუთმეტის... მაგრამ ეს განა იმიტომ, რომ მახსოვრობა ღალატობდა, ან განზრახ იკლებდა თუ იმატებდა ხანს, არამედ იმიტომ, რომ (ამაში რაღაცნაირი დაბეჯითებით ვიყავი დარწმუნებული) მედეა ბებიასთან დრო უძლური იყო. დროს თავისი არსი და დანიშნულება ეცლებოდა... რადგან იგი თითქოს თავად იყო დრო, თანაც დრო — არა მარტო წარსული, არამედ — აწმყოცა და მომავალიც.

●

მედეა ბებიასთან დრო უძლური იყო... მაგრამ ბოლოს მაინც დაეტყო ხანი. თუ როდის მოხდა ეს ზუსტად, რა თქმა უნდა, შეუძლებელია გავარკვიოთ, რადგან სხვა ყველაფერთან ერთად, დროს ის ამოუხსნელი თვისება აქვს, რომლის ძალითაც მას მხოლოდ მაშინ შევამჩნევთ, როცა თურმე უკვე ჩავლილია. არ ვიცი, ბედისწერა იყო ეს თუ ამასოფლის ჩაუწვდომელი კანონზომიერება, მედეა ბებიას დრო თურმე ისე არაჩვეულებრივად და არაბუნებრივად უნდა დასტყობოდა, როგორც არაჩვეულებრივად და არაბუნებრივად უმკლავდებოდა იგი მას. თუმცა, რაც უნდა ყოფილიყო, ის მაინც იცოდი, რომ ისიც ადამიანი იყო და, დღეს იქნებოდა, ხვალ თუ საერთოდ, როცა იქნებოდა, ისიც უნდა დაბერებულიყო

და მომკვდარიყო, როგორც ყოველი ადამიანი ბერდება და კვდება ამქვეყნად. დროს უმკლავდებოდა მედეა ბებიას ის საოცრად ამაყი და დინჯი მიხრა-მოხრა, მისი შეუვალი და თვითდაჯერებული გამოხედვა, ის რომანტიკული (ზოგჯერ — დაუჯერებელიც) ამბები, გამოულევლად რომ იცოდა, ის ზღაპრები, გამოცანები, შელოცვები „უებარ წამალთა“ დაყენების წესები და, რა თქმა უნდა, რწმენა იმისა, რომ მედეა ბებიამ ყველაფერი იცოდა. ერთი სიტყვით, ისე იყო, რომ ის კი არ ებრძოდა დროს, რასაც ვხედავდით და მავან ვინმეს ერთი შეხედვით ეცნო, აღექვა მედეა ბებიად, არამედ ის, რაც მედეა ბებიაში იყო — რაც მისი თვალებიდან, მისი ქცევიდან, მისი ამბებიდან იმზირებოდა. სწორედ ასეთი „ყველაფრისმცოდნე“, უდრეკი რწმენით აღსავსე და ყველასათვის ამ რწმენის ჩამნერგავი მედეა ბებია ჰგავდა დაუნდობელი და ვერაგი მდინარის პირას, სალი კლდის მაღალ ქიმზე აღმართულ შეუვალ ციხესიმაგრეს, რომელსაც მდინარე, რაც უნდა შეხლოდა და შელეწოდა, რაც უნდა ებორგა და ედორბლა კლდის ძირი, ვერა და ვერ დააკლებდა რამეს.

და მაინც, როდისმე ხომ უნდა გაბზარულიყო ამ ციხესიმაგრის კედლები!.. და გაიბზარა კიდეც, რამდენადაც მას ამ მდინარეში ჩამხობა და წალეკვა ელოდა საბოლოოდ თურმე. როგორც მერე მივხვდი, ეს უფრო ადრე მომხდარიყო, ვიდრე ჩამოვიდოდი აქ, ვიდრე ასე თუ ისე, „გავშინაურდებოდი“ (მე ხომ აქ დავიბადე!) ამ სოფელში და ვიდრე ერთ-ერთ სუფრაზე, სადაც შემთხვევით მოვხვდი, ასევე შემთხვევით შემოსწრებული მოხუცი ქალი არ მეტყოდა იმ მაგიერ სიტყვებს, საბოლოოდ და მტკიცედ რომ შეკრავდა ჩემი მოუსვენარი ცხოვრების წრეს და საბოლოოდ და მტკიცედ მიმაკრავდა ამ ხელისგაწვდენა მიწას. ეს უკვე მომხდარიყო, მაგრამ „მშობლიურ სახლში ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული შვილის სიბრმავე“ თუ „პირველი აღტაცება-სიხარული“ მიშლიდა თურმე ხელს, რომ დამენახა, შემემჩნია ეს. ისიც კი, სამუშაოდან შინ მობრუნებული ანდრო რომ შეუძახებდა ხოლმე (ხუმრობას რომ ჰგავდა და რომ არც ჰგავდა ისე) თავის დედას: კარგი რა, ნუ გაუწყალე ამ კაცს გული!.. — მარტო ბზარი კი არა, ამ ციხესიმაგრის თავზე საგანგაშო ზარის შემოკვრას ჰგავდა თურმე, მაგრამ, მე აბა საიდან უნდა მცოდნოდა ყველაფერი ეს, მე, მშობლიურ სითბოდანატრებულს, პატარაობიდანვე დედაშვილობის თამამ, უშუალო სიყვარულზე მეოცნებეს (ჩემი მშობლები ხომ მუდამ „სადღაც“ დადიოდნენ, მუდამ „რაღაცას“ ეძებდნენ და მე უპირატესად ინტერნატებში ვიზრდებოდი...) და რომც მცოდნოდა, განა შევძლებდი რამის შეცვლას? განა მე იმაზე მეტის ვიყავი ამ ამბებში, ვიდრე მასში მონაწილე ყოველი სულიერი თუ უსულო? განა წრე უკვე შეკრული არ იყო? და მე ამ წრეში იმაზე მეტი ვიყავი, ვიდრე კრიალოსნის რომელიმე მარცვალი, რომელიც, დრო რომ მოვიდოდა, განგების თუ ამ დროისავე ხელით ისევე ჩაიმარცვლებოდა, როგორც სხვა დანარჩენი?!.

თითქოს ასე იყო და მაინც.. .არ იყო ასე! თითქოს ასე იყო, იმიტომ რომ საბოლოოდ მაინც თითქმის ასე მოხდა ყოველივე. მაგრამ, მთლად ასეც რომ ყოფილიყო საქმე, განა ლოგიკური არ იქნებოდა, მეც გულხელი დამეკრიფა და მშვიდად, დარწმუნებული დავლოდებოდი ჩემი მარცვლის ჩამარცვლას დროის უსასრულოდ გრძელსა და ამავე დროს საოცრად მოკლეძაფიან კრიალოსანში? განა ასეთი დაუოკებელი სიჯიუტით შევეცდებოდი, სიტყვა-სიტყვით, ნამცეც-ნამცეც ძირისძირობამდე ჩავყოლოდი ამ ამბის ხვეულებს, მის ყოველ წვრილმანს... თან ამას რომ გიყვებით, ასე მგონია, რაღაცას ვებრძვი-მეთქი, თუნდაც — საკუთარ თავში, რაღაც ისეთს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც თითქოს ვალად მომყოლია ამქვეყნად მოვლენილს. ჰოდა, ამას რომ გიყვებით, ასე მგონია, ამ ბრძოლაში (დე, იყოს უცნაური და ბოლომდე ჩაუწვდომელი!) გიწვევთ თითოეულ თქვენთაგანს-მეთქი.

●

იმ პირველი დღის წარმოდგენა მაინცდამაინც არ გამჭირვებია. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მედეა ბებიას გარდა, სოფლის სხვა უხუცესთაც (და ბევრ სხვასაც) საკმაოდ კარგად ახსოვდათ თითქმის ყველაფერი ის, რაც ამ შემთხვევაში მაინტერესებდა; არც მარტო იმიტომ, რომ აქაურ ორ ციცქნა ოთახში მოთავსებულ ბიბლიოთეკაში ყველაფერი შეენახათ პერიოდული გამოცემებიდან, რაც ასე თუ ისე უკავშირდებოდა იმ დროს, ესე იგი, სოფელში დიდი მშენებლობის დასაწყისს, გაშლას და შემდგომ ხანას. საქმე იმაში გახლდათ, რომ როცა ამ მასალებს ვკითხულობდი, როცა სოფლელთა თხრობას ვუგდებდი ყურს, მუდამ ისეთი განცდა მიპყრობდა, თითქოს რაღაც ახალს კი არ ვეცნობოდი და ვგებულობდი, არამედ ისეთ რამეებს ვიხსენებდი, რომლის მონაწილეცა და მხილველიც თვითონ ვიყავი დიდი ხნის წინათ და რაც შემდგომ, დროთა განმავლობაში, მეხსიერების ფსკერზე, სხვა ათასი ამბისა და შთაბეჭდილებების ქვეშ ღრმად დალექილიყო. ზოგჯერ კიდევ ისე ნათლად წარმომიდგებოდა და დავინახავდი ყოველივეს, რაც მაინტერესებდა და რასაც ვინმე მიყვებოდა, რომ ვუსწორებდი კიდეც ზოგ რამეს ამის გამო გაოცებისაგან შუბლზე ნათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭებდახსმულ მოსაუბრეს, ნიკაპის უზერხული სრესით დაბნეული რომ ამომხედავდა. ხშირად მიფიქრია: განგების რაღაც გონებამიუწვდომელი ძალა „მეხმარება-მეთქი", — მე ხომ აქ დავიბადე და, მაშასადამე, მუდამ რაღაც აქაურს ვატარებდი, ისე, როგორც, ალბათ, აქაურობაც ატარებდა რაღაც ჩემეულს... ესე იგი, იყო ფარული ძაფი, ერთმანეთთან მუდამ რომ გვაკავშირებდა, რომელსაც, სადაც უნდა წავსულიყავი, რა სიშორეზეც უნდა ვყოფილიყავი აქედან, თავს ვერ დავაღწევდი: „აქაურობაში ვიყავი მუდამ ისე, როგორც აქაურობა იყო ჩემში..."

და, აი ახლა, მიწყვია რა წინ იმდროინდელი გაზეთებისა და ჟურნალების ამონაჭრები, ერთად ვუყრი თავს სხვების მონაყოლ-მონათხრობსაც და შეძლებისდაგვარად ვცდილობ ზუსტად აღვადგინო იმ საბედისწერო აფეთქების დრო, რომლის შემდეგაც, ყველასათვის უჩუმრად, თვით მედეა ბებიასთვისაც შეუცნობლად, პირველი ღერი ჭაღარა გაჩნდა მის თმაში.

## სოფელი

ერთი სიტყვით, იმ პირველი დღის წარმოდგენა დიდად არ გამჭირვებია:

...შესანიშნავი დილა გათენდა. ახლად ამოსულ ცხრათვალა მზეს თავისი ბდღვრიალა სხივები ცამდე აზიდულ თვალუწვდენელი მთების მწვერვალებისათვის ისე ნაზად მოეხვია, როგორც ლამაზ ქალწულს მკლავებძლიერი და მკერდგაშლილი ვაჟკაცისათვის. მერე მზის სხივები დაბლა-დაბლა დაეშვა და მდინარის ხეობაში ფიქრივით გაწოლილი ნისლის ლაბირინთებში გაიხლართა. ცოტაც და, მზემ ნისლის ქათქათა ქულები, როგორც ყურძნის მტევნები საწნახელში, ისე ჩაწურა ხეობაში... ცაში კუდრაჭა მერცხლები დანავარდობდნენ და ტკბილად ყლურტულებდნენ. ლამაზად აბიბინებული მთების ფერდობებიდან ნიავს ისეთი საამო სიგრილე მოჰქონდა, რომ ალტაცებას ვერ დაფარავდით. ამ მშვენიერ დილით, რა თქმა უნდა, ყველანი სამუშაოდ ეშურებოდნენ, რათა ვადაზე ადრე პირნათლად გაენაღდებინათ თავიანთი ვალდებულებანი. აი, სოფლის ქუჩაში ჩაიქროლა მანქანამ, რომლის ძარაზეც მეჩაიეები ისხდნენ და შრომის სადიდებელ სიმღერებს მღეროდნენ. ყველაზე მოწინავე მკრეფავს, ტანწერწეტა გოგონას, რომელსაც კოკობ-მკერდი სიოსათვის მიეშვირა, ხელში ეჭირა ტრანსპარანტი, რომელზედაც ლამაზი ასოებით კოხტად გამოეყვანათ წარწერა: „დღეს უფრო მეტ მწვანე ოქროს მოვკრეფთ, ვიდრე გუშინ!" ცოტა ხნის შემდეგ შრომის სიმღერები უკვე გორაკებზე ლარივით ჩამწკრივებული მარადმწვანე ჩაის ბუჩქებიდან ისმოდა. თავიანთ სიმღერებში მეჩაიეები შრომას, სიყვარულს, სიცოცხლეს, წინსვლას და განახლებას ასხამდნენ ხოტბას. და მართლაც განახლების სწორუპოვარი ელფერი დაჰკრავდა ირგვლივ ყველაფერს. ყოველ სახლთან, ყოველ ხესთან, ყოველ ბუჩქთან განახლების მაჯისცემას იგრძნობდით...

სწორედ ამ სოფელთან ახლოს შენდებოდა მსოფლიოში უნიკალური კომბინატი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეკონომიკის შემდგომი მძლავრი წინსვლისათვის. მაგრამ, ქარხანა — ეს მარტო გამოშვებული პროდუქცია როდია, ეს არის ამავე დროს მრავალსართულიანი სახლები, მოასფალტებული ქუჩები, ახალი კინოთეატრები, კულტურის სასახლეები, სკოლები, მუსიკალური თუ საბავშვო დაწესებულებები... ეს არის ყველა ჩვენი სოფლის ხვალინდელი დღე და ეს ხვალინდელი დღე დღეს სწორედ ამ სოფელში იჭედება.

იქ კი, მაღლა, მარადმწვანე, უზარმაზარი ხეებით მკერდაბიბინებული და დამშვენებული მთების კალთებზე, წითლად დაწინწკლული კალმახებით სავსე მდინარის გაყოლებით, ფართო გზა გაჰყავთ. სულ მალე ამ გზაზე საშენი მასალებით დატვირთული პირველი მანქანები გაივლის... მთების კალთებიდანაც მოისმის ომახიანი სიმღერა, მუხლმოუხრელი და მკლავმოუღლელი გზის მშენებლები რომ მღერიან, და რომელიც მოპირდაპირე ფერდობიდან წამოსულ მეჩაიეთა ნაზ სიმღერას უერთდება და შრომის საერთო ზეიმს ერწყმება. სიმღერას ხანდახან წყვეტს აფეთქების ხმა. ეს მშენებლები აფეთქებენ კლდის განსაკუთრებით მაგარ ქანებს, რომლებსაც ტექნიკის უახლესი მიღწევით შექმნილი მძიმეწონიანი და მძლავრი ტრაქტორებიც კი ვერაფერს აკლებენ. გზა — განახლების სიმბოლო — თანდათანობით მიიწევს სოფლისაკენ...

და ჰა, უცბად!..

როცა პირველი კაცი დაიღუპა გზის მშენებლობაზე, სოფელს ტკივილისა და თანაგრძნობისგან კი არა, უფრო მოულოდნელობისაგან ჩაუვარდა ენა მუცელში. რამდენიმე საათით მუშაობა ყველგან შეწყდა. დაწესებულებიდან, სამუშაო ადგილებიდან ხალხი შემთხვევის ადგილისკენ გამორბოდა. სკოლაში მეცადინეობა ჩაიშალა. სახლები და ეზოები დაცარიელდა. დიდ-პატარიანად ყველა იქ მოგროვდა. მილიციელებს, საბჭოსა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, მშენებლობის ხელმძღვანელებს საკმაო გარჯა დასჭირდათ, რათა ხალხს როგორმე უკან დაეხია, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო კლდის ქანების კვლავ ჩამოშლა. ხალხი უსიტყვოდ, მექანიკურადღა უძალიანდებოდა კლდის ნამზღვლევებს. გზის კუთხე მთლიანად რომ მოეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორებინა და რაღაც ანდამატური, მაგნიტური ძალა მისცემოდა: ყველას თავისკენ იზიდავდა, თავისკენ ეწეოდა გაუთვითცნობიერებელი ძალით, კრძალვითა და შიშით. თითქოს აუცილებელი იყო, ყველას საკუთარი თვალით ენახა ის ადგილი, რომლის ქვეშაც, როგორც ამბობდნენ (ეს ერთგვარად დაუჯერებელიც ჩანდა), ადამიანი იყო ჩამარხული. მერე ხმის ამოუღებლივ, მდუმარედ, დაბნეული სახეებით და გაურკვეველი მოლოდინით მისჩერებოდნენ, თუ რა ფრთხილად გადაჰქონდა ტრაქტორს ჩამონაშალი და ხევში ყრიდა, მერე როგორი ხელის კანკალით მუშაობდნენ მუშები. მათ სოფლის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე იროდიონ ნაჭყებია წაეშველა: ერთ-ერთ მუშას, რომელმაც წამით შეისვენა, ნიჩაბი ჩამოართვა და ისიც მათსავით ფრთხილად შეუდგა ჩამონაშალის გადაწმენდას. ეს რომ დაინახეს, ჯანმაგარი კაცები და ბიჭები თითო-თითოდ გამოეყვნენ ხალხს და თანდათანობით შეენაცვლნენ მუშებს. ყველანი უხმოდ მუშაობდნენ. ხანდახან თუ გაისმოდა მშენებლობის რომელიმე ხელმძღვანელის თუ იროდიონ ნაჭყებიას მოკლე-მოკლე მითითება...

ხალხმა მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, მხოლოდ მაშინ ამოიგმინა, როცა საშინლად დასახიჩრებული ადამიანის გვამი შემთხვევის ადგილიდან მოშორებით უცბად საიდანღაც გაჩენილ ბრეზენტზე დაასვენეს.

— ვაი, შენს ოჯახს, უბედუროო!.. — ამოიოხრა ვიღაცამ, მაგრამ ეს ამოოხვრა მაშინ ისე გაისმა, თითქოს აქ, ამ ხეობაში, კიდევ ერთი ნაღმი აეფეთქებინოთ.

●

დასახიჩრებული სხეული საშინელი სანახავი იყო. ვერავინ უსწორებდა თვალს გვამზე ჯერ კიდევ შეუმხმარი ჭრილობებიდან მჟონავ სისხლს. ამ ბუნების წიაღში, ამ ულამაზეს ხეობაში (ქვევიდან მდინარის დინების ხმა ფოთლების შრიალივით ისმოდა), ამ მთებსა და ხეებს შორის, ამ ბალახსა და ყვავილებს შორის, ამ ჩანჩქერსა და წყაროებს შორის, ამ ზღაპრულად გამოქანდაკებულ კლდეებსა და ლოდებს შორის — აქ, სადაც ყველაფერი ენით გამოუთქმელ ჰარმონიას ქმნიდა და სადაც ყველაფერი გონებამიუწვდომელ კანონზომიერებას ემორჩილებოდა, ეს ყველაფერი გაუგებარ, ამოუხსნელ ბრალდებად ჩანდა. გაუნძრევლად მდგარი ხალხი ამას ინსტინქტურად ხვდებოდა და კიდევ რაღაც გაურკვეველი მოლოდინით შეპყრობილთ, თითქოს სუნთქვა ეხუთებოდათ.

და უცბად ყველამ შვებით ამოისუნთქა. თითქოს თავდავიწყებიდან გამოერკვა ხალხი: ყველამ თითქმის ერთდროულად უტია გზა და მათ შორის ჩვეული დინჯი ნაბიჯებით, თავწეული და (რაც მთავარია)! საოცრად თავდაჯერებული, მტკიცე შინაგანი ღირსების გამომხატველი იერით მომავალი მედეა ბებია გამოჩნდა. და, თუმცა ვერც ერთი ვერ აგიხსნიდათ, ვერ გეტყოდათ, რა იყო ეს: სადღაც გაქრა უმწეობის გრძნობა და თითოეულმა გაუთვითცნობიერებლად, თავისდა უნებურად იგრძნო, რომ მარტო არ იყო! მერე ეს განცდა თითქოს უფრო დაიხვეწა, უფრო გამოიკვეთა და იმედად იქცა, წელგამართულ, თავდაჯერებულ, დინჯი ნაბიჯებით მოარულ იმედად, რომელიც ეს-ეს არის, ხალხის წიაღიდან გამოვიდა და მიეახლა ოდნავ ამაღლებულ ადგილას ბრეზენტზე დასვენებულ სასოწარკვეთას... არა, რა თქმა უნდა, სასწაული არ მოხდებოდა!.. ეს ყველამ უწყოდა, მაგრამ ისიც უკვე ყველამ იცოდა, რომ აწი ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც წესი და რიგი იყო ასეთ დროს. „ასეთი დრო“ კი ამ საბედისწერო აფეთქებამდე არ ყოფილიყო ჯერ, უფრო სწორად — იმათ, ვინც ამჟამინდელ სოფელში ცხოვრობდა, არ გამოეცადათ. ამიტომ იყო, რომ დაიბნა ყველა, ამიტომ იყო, რომ ვერავინ — თვით ყველაზე უმამაცესმა და ბევრის ამტანმა, რკინისგულიანმა მამაკაცებმაც კი ვერ გაბედეს ინიციატივის თავის თავზე აღება.

მედეა ბებიას, რომელსაც ამ გაჭირვების გამო შინაგნად ერთ მუშტად გაერთიანებულ სოფლელთა ათასი წყვილი თვალი მისჩერებოდა, უკვე ამოეღო სუფთა ცხვირსახოცი და ტრაგიკულად დაღუპულის დასახიჩრებულ სახეზე დაეფარებინა, მერე ფეხები გაუსწორა, მკლავები გულზე დაუკრიფა... და რამდენადაც შეიძლებოდა, ტანსაცმელი მოუწესრიგა. სოფელს რაღაცნაირი დანაშაულის გრძნობა სტანჯავდა. და ეს თითქოს იმიტომ, რომ ამ მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ ხიფათს ასე მოუმზადებელი, უმწეო შეხვდა, და როდესაც მედეა ბებიამ იმ ბრეზენტის შუაზე გახევა მოინდომა, რომლის მეორე ნახევარზეც მკვდარი ესვენა და ვერ მოერია, და როდესაც მოხედა სოფლის მამაკაცებს, ისინი უმალ, თითქოს ჩადენილი უნებლიე დანაშაულის გამოსყიდვა უნდათო, ერთბაშად დაიძრნენ... მერე ის ბრეზენტი გაშალეს და მკვდარს თავით-ფეხამდე დააფარეს.

ახლა კი უკვე მკვდარი ნამდვილ, უფრო სწორად, ჩვეულებრივ მკვდარს ჰგავდა. სოფელიც თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ წინ მიცვალებული ესვენათ და წესისამებრ მოთქმას შეუდგა. ქალები (ალბათ, ინსტინქტურად, ჩვეულების მიხედვით) ბრეზენტგადაფარებული დაღუპული მუშის ირგვლივ ნახევარწრედ დადგნენ და ისეთი მოთქმით განაგრძეს გულისტკივილის გამოხატვა, იფიქრებდით, მათ წინ სოფლის საუკეთესო შვილი, სოფლის მომავალი ასვენიაო. არადა, იმ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლელთაგან თითქმის არავინ იცოდა. სადაური იყო ის, და არც არავის უკითხავს ტომით, მოდგმით უცხო და ვინ იცის, რა მიზნით, რა ოცნების გამო აქ გზის მშენებლობაზე ჩამოსული „რუსის“ ავან-ჩავანი (იმ დროს სოფელში ჩამოსულ ყველა არაადგილობრივ მკვიდრს რა ეროვნებისაც უნდა ყოფილიყო, რატომღაც „რუსს“ ეძახდნენ, ხოლო თუ იგი შავგვრემანი იქნებოდა ან ყანგისფერი გადამკრავდა — „თათარს“), — აქ, ამ მარადიული თოვლის შარავანდედით თავწაკრული მთების საუფლოში, ამ საამოდ მოშრიალე მდინარის ხეობაში, ამ ლურჯი ცის თაღის ქვეშ, ამ ზღაპრული ბუნების წიაღში — ამ სამოთხეში განა ყველა ამ ბუნების, ამ სამოთხის შვილი არ იყო?! კაცებმა ჯიბეებზე იკრეს ხელი და სიგარეტები ამოაძვრინა. მერე თანდათანობით გარს შემოერტყნენ ერთ-ერთ ახალგაზრდა მუშას, რომელიც ათრთოლებული ხმით, თითქმის ტირილით, უყვებოდა კლდის ჩამონგრევის ამბავს. იგი აქაური, ამ სოფლის მკვიდრი იყო და მწუხარების გარდა, ისიც უბორკავდა ენას, რომ ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მასწავლებლის წინ იდგა (როგორც მაშინ, ბავშვობაში) და მოუმზადებელი უყვებოდა აუცილებელ საზეპირო ადგილს წიგნიდან. მალიმალ ჩერდებოდა, ნერწყვს ძლივძლივობით ყლაპავდა, სიტყვებს იმეორებდა, ჭუჭყიანი ხელისგულით შუბლიდან ოფლს იწმენდდა და ისედაც ტალახით მოსვრილ სახეს უარესად ითხუპნიდა.

●

დღევანდელ ქალაქშიც, ყველას, ვისაც იმ დროს ოდნავი მახსოვრობის უნარი გააჩნდა, თითქმის დაწვრილებით შეეძლო მოეთხრო, თუ რა პატივი სცა სოფელმა, როგორც მიტინგზე გამოსულნი ამბობდნენ — ამ სოფლის მომავლის, მისი აღმშენებლობისათვის დაღუპული მუშის ხსოვნას. მაშინ არ იყო აგებული მშენებელთა კულტურის სასახლე, ამიტომ, მიცვალებული სოფლის ოცდაათიან წლებში აშენებულ, ოდნავ გვერდზე მოქცეულ ფიცრულ კლუბში დაასვენეს. არ ვიცი, მშენებლობის ხელმძღვანელთა გამოუცდელობის გამო (მშენებლობა ხომ ის-ის იყო იწყებოდა) თუ იმიტომ, რომ მიცვალებული ადგილობრივი კოლმეურნეობის სახსრებით აშენებულ კლუბში დაასვენეს, უნებურად ინიციატივას სოფლელები დაეუფლნენ, ფაქტობრივად ისინი იქცნენ მიცვალებულის უპირველეს ჭირისუფლებად. როგორც ასეთ დროს იცოდნენ ხოლმე, სოფლელებმა თავიანთი სახლებიდან მოიტანეს ხალიჩები, ფარდები და ისე მორთეს კლუბის დარბაზი, რომ შიგნიდან სულთნის სასახლე ეგონებოდა კაცს. სამი დღე ესვენა მიცვალებული კლუბში, სამი დღე, სანამ ნამდვილ ჭირისუფლებს მიაწვდიდნენ ხმას. ამ ხნის განმავლობაში სოფელი თავისი ადათისა და წესის მიხედვით პატრონობდა, ღამეს უთევდა დაღუპულს.

წასვენების დღეს, კლუბთან მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. მოვიდნენ, რა თქმა უნდა, მშენებლებიც. რაიონის ცენტრიდანაც ჩამოვიდნენ. ადგილობრივი სკოლის დირექტორმა და შინაბერა პიონერხელმძღვანელმა კლუბის შესასვლელთან პიონერები დააყენეს. პიონერები მიუძღოდნენ წინ კუბოს, როცა მიცვალებულს ცენტრალურ სამანქანო გზისკენ მიასვენებდნენ. რამდენიმე მათგანს ხელში ორი, თითქმის ერთნაირი და ერთი ზომის გვირგვინი ეჭირა. ერთი მშენებლებისაგან იყო, ხოლო მეორე — სოფლის თავკაცების მიერ სოფლის სახელით მოტანილი. შინაბერა პიონერხელმძღვანელს ცოტა ჯაფა როდი დაადგა, რათა ბავშვებს ერთმანეთისთვის არ გაესწროთ და გვირგვინები გვერდიგვერდ ეტარებინათ. სოფლის ქცევით გულაჩუყებული და მადლიერი ჭირისუფლები დაბნეულნი ტრიალებდნენ, ხელს ართმევდნენ ყველას, ვინც კი მოხვდებოდათ და მადლობის სიტყვებს გაუგებრად ლუღლუღებდნენ. ვინ იცის, რამდენ ხანს იტრიალებდნენ, რომ ვიღაცას არ მოეფიქრებინა და სათითაოდ არ ჩაესხა ისინი მანქანაში. მსოფლიო მოვლილი მაქვს, მაგრამ ასეთი დიდებული ხალხი არსად შემხვედრიაო! იძახდა ერთ-ერთი ჩამოსულთაგანი და ცრემლებს იწმენდდა.

●

და ისე ჩანდა, თითქოს სოფელმა ამჯერადაც ღირსეულად გაუძლო განსაცდელს, რამდენადაც ამჯერადაც ღირსეულად მოიხადა თავისი მამაპაპური ვალი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი არსებობის წინაშე, კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სუვერენული, თავისთავადი ტრადიცია თუ ხასიათი და ამ ხასიათის არსებობის უფლებაც, რადგან ის მადლიერი შეძახილი — მთელი მსოფლიო შემოვლილი მაქვსო.. — რაც უნდა ყოფილიყო და ვისიც უნდა ყოფილიყო, გარედან შემყურე კაცის აღიარება-დადასტურება გახლდათ, თანაც კაცისა, რომელიც ისეთ დღეში იყო, რომ არ უნდა ჰქონოდა არც ამ წამოძახილის სურვილი და არც ამ წამოძახილის თავი. სწორედ ეს იყო მთავარი, თორემ არ ჰქონდა მნიშვნელობა შორიდან იქნებოდა იგი მოსული თუ აგერ — ყურისძირიდან, რუსი იქნებოდა ის თუ თათარი, ამერიკელი თუ ჩინელი, გერმანელი თუ ირანელი...

მერე ყველანი თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, ყველანი თავ-თავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ და ერთი საათის შემდეგ ვინმე რომ შემოსულიყო სოფელში, თუ არ მოუყვებოდნენ, კუთხე-კუნჭული რომ დაეარა, ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსად იპოვიდა მომხდარი უბედურების მცირეოდენ კვალსაც კი: სოფლის სასაფლაოზე არ გაჭრილა ახალი საფლავი, ვინმეს სახლზე არ გაუკრავს შავი ნაჭერი და არც არავის ჩაუცვამს თალხი.

და მაინც, რაღაც ჩაუწვდომელი, ტკივილნარევი განცდით იყო დამუხტული სოფელი: კაცის გარდაცვალება, ცხადია, მუდამ დიდი დანაკლისია ხოლმე სოფლისათვის და ამჯერადაც არ შეიძლებოდა, რაღაც არ დაკლებოდა.

მე რომ მოვედი ამ სოფელში (უფრო სწორად — დაბაში, რადგან სოფელი უკვე დაბად აღინიშნებოდა თვით ყველაზე მცირე ზომის რუკაზეც კი), მაშინ თურმე ის ახალგაჩენილი რაღაცა, რაც ერთდროულად ნიშნავდა რაღაცის დაკარგვასა და ასევე რაღაცის შეძენასაც, იმდენად გაზრდილიყო, იმდენად დაკონკრეტებულიყო და თავისი გამოკვეთილი სახე მიეღო, რომ თითქოსდა მისი ხელით შეხებაც კი შეიძლებოდა. ის ხავსივით მოსდებოდა ყოველივეს — ცოცხალსა და უსულოს, ყოველ კუთხე-კუნჭულს, ყოველ კენჭსა და ბალახის ღეროს, მისი სუნთქვა, მისი სუნი იგრძნობოდა ყოველ ნაბიჯზე...

და თუ მაშინ ვერაფერი ვიგრძენი, ეს, ალბათ, იმიტომ, რომ, რაც უნდა ყოფილიყო, შორიდან ვიყავი ჩამოსული (თუ მობრუნებული) და ყველაფერი, რაც დამხვდა, ჩემთვის ახალი იყო, ახალი და განსაკუთრებული (სანტიმენტალური და რომანტიკული — როგორც მაშინ ვეძახდი, მართლაც სანტიმენტალურ-რომანტიკულ განწყობაზე მყოფი).

მაგრამ ის ახალი ისე უმნიშვნელო და მცირე იყო, და ალბათ, თავდაპირველად, ისე ნელნელა იზრდებოდა, რომ მისი შემჩნევა, როგორც ჩანს, შეუძლებელი იყო, და ასევე შეუძლებელი იყო მისი შემჩნევა მერეც, როცა წამოიზარდა, გაიზარდა, რადგან უკვე ყველა შეჩვეოდა და, უბრალოდ, არავის მიაჩნდა იგი უცხოდ, გასაკვირად და ზედმეტად. რაღაც განსაკუთრებული რამ, ან თუნდაც სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ როგორმე გამოფხიზლებულიყო ხალხი, გამორკვეულიყო და, თუ კვლავ გააჩნდა თავისთავადობის პრეტენზია, შესაბამისი გადაწყვეტილებაც უნდა მიეღო.

და რახან ყველაფერს თავისი ლოგიკა აქვს, და რადგან გაჩნდა სამყარო, გაჩნდა დედამიწა და გაჩნდა ამ დედამიწაზე ეს სოფელი, — ლოგიკის ძალით, არც ამ ახლის გაჩენა უნდა ყოფილიყო ულოგიკო და იმავე ლოგიკის გამო, ამ ახალს ის სასწაულიც უნდა მოჰყოლოდა, რომელიც გამოააშკარავებდა და ქვეყანას დაანახვებდა მას. სხვანაირად აბა რა აზრი ჰქონდა მის გაჩენას?! არაფერი ხომ არ ჩნდება ისე, თავისთავად, უმიზნოდ და ასევე არაფერი ხომ არ ქრება უკვალოდ და უმიზეზოდ! და თუ მაინც გვგონია, რომ გაქრა, განა იმის საბუთი არ არის, რომ უკვალოდ არ გამქრალა?

მაგრამ იმ დრომდე, როცა „სასწაული" უნდა მომხდარიყო, სოფელში ჩემი ჩამოსვლის დღიდან ჯერ კიდევ დიდ დროს უნდა გაევლო თურმე, ბევრი რამისთვის სხვა თვალით უნდა შეგვეხედა, ბევრი რამეც უნდა გადაგვეფასებინა, როგორც წარსულში, ასევე — აწმყოშიც და მომავალშიც.

და დროც მიდიოდა...

## იოანე

და დრო მიდიოდა...

მიდიოდა და მატიანის დაწერილი თუ დაუწერელი ფურცლები ახალახალი ამბებითა და მოვლენებით ივსებოდა. გაზეთებში ხშირხშირად იბეჭდებოდა ცნობები უნიკალური კომბინატის მშენებელთა მორიგი მიღწევების შესახებ, ათავსებდნენ მშენებელთა პორტრეტებს; სოფლის მცხოვრებთა სახლებს წამდაუწუმ აზანზარებდა აფეთქებათა ხმა, ახლომახლო მთებიდან რომ მოდიოდა; დაიხლართა და დაისერა მანამდე მიუვალი მთებისა და კლდეების კალთები: გზა კარიერისაკენ ისე ჯიუტად და შეუჩერებლად მიიწევდა წინ, როგორც ერთხელ გაჩენილი ბზარი ლამპის შუშაზე; გაჩნდა პირველ მრავალსართულიან სახლთა კონტურები, მუშათა დასახლების ცენტრში და ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე ასფალტის დაგება შეუდგნენ. ამ გზით სოფელში, ვინ იცის, რა და რა სახის საშენი მასალითა თუ სხვადასხვა მოწყობილობით დატვირთული რამდენი მანქანა შემოდიოდა და გადიოდა... მოკლედ, ისე სწრაფად იცვლიდა სოფელი სახეს და ყოველდღე იმდენი ახალი რამ ხდებოდა, რომ სოფლელებს ყველაფრისათვის, უბრალოდ, თვალის მიდევნებაც კი არ შეეძლოთ. თუ ადრე დროს წლობით ითვლიდნენ, ახლა უკვე თვეებითა და დღეებით ანგარიშობდნენ. და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყურმოკრულ ამბებს სოფლელები, ზოგჯერ უცოდინრობის თუ საქმეში ჩაუხედაობის გამო, ზოგჯერ კიდევ დაუოკებელი ფანტაზიის წყალობით, თავისას უმატებდნენ და გაჩნდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლეგენდა-პროგნოზები, რომლებშიც სოფლის მომავალი საოცრად ზღაპრულ, თითქმის დაუჯერებელ და წარმოუდგენელ ფერებში იხატებოდა... და ერთ მშვენიერ დღეს გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა (მაშინ ჯერ კიდევ გაზეთში, ჩვეულებრივ, მეორე-მესამე დღეს ამოჰქონდათ) იმის შესახებ, რომ სოფელი დაბად ცხადდებოდა. ფაქტი იყო: ეს ამბავი გარკვეული განვლილი გზისადმი ერთგვარი წერტილის დასმა ან, თუ გნებავთ, შეჯამება გახლდათ, და, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, სოფლელები ერთი წუთით მაინც უნდა გათავისუფლებულიყვნენ, ერთი წუთით მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც უნდა დაეღწიათ თავი იმ სასწაულებრივი სრბოლისათვის, რომელშიც თავისდა უნებურად ჩაბმულ-ჩათრეულიყვნენ, და ერთი წუთით მაინც დაფიქრებულიყვნენ: ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, სოფელს უზარმაზარი ნაბიჯი გადაედგა წინ, ამ მოკლე დროში საოცარი ნახტომი გაეკეთებინა და ეს ნახტომი საქვეყნოდ იქნა აღიარებულ-დაფიქსირებული. ესენი თურმე უკვე ტეტია სოფლელები კი არა, დაბის (ესე იგი, თითქმის ქალაქის მცხოვრებლები იყვნენ, და მთლად გასაოცარი თუ გინდათ, აგერ უკვე მეორე თუ მესამე დღეა, დაბის მცხოვრებლებად ითვლებოდნენ, დღემდე კი ამის შესახებ, რატომღაც არაფერი იცოდნენ! — ეს ერთი წუთიც საკმარისი იქნებოდა, რომ სოფელს უმალ თვალში სცემოდა ბევრი რამ. მაგრამ უმთავრესთა შორის უმთავრესი გახლდათ (და ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა) ის კონტრასტი, რაც ერთი თვალის გადავლებითაც კი ცხადად აჩნდა აქაურობას: ყველას, ვისაც დროზე აელო ალღო დროისათვის, თუ უბრალოდ, შემთხვევის გამო, მშენებლობაზე დაეწყო მუშაობა, ქვის (როგორც ეძახდნენ) ორსართულიანი სახლები წამოეჭიმა, რკინა-ბეტონით შემოეღობა ეზო-კარიც, მაშინ, როცა სხვებს ისევ ის ძველი და ჩაშავებული ხის ყავრით ან კრამიტით გადახურული სახლები ედგა, ეკალ-ბარდით თუ ალაგ-ალაგ ძირმომპალი ტყრუშული ღობით შემოღობილი. თითქოს ერთი რევოლუცია კიდევ მომხდარიყოს: იმათი სახლ-კარი და ეზო-კარმიდამო, ვისიც თითით საჩვენებელი იყო ადრე სოფელში, დღეს ახალაშენებული ქვის სახლებისა და რკინა-ბეტონით შემოღობილი ეზოების გვერდით ქოხმახებივით ჩანდა და მნახველებში განწირულობისა და მოახლოებული აღსასრულის განცდას იწვევდა.

როგორც უკვე გითხარით, ეს უმთავრესი გახლდათ. და აი, დადგა ის დღეც, როცა კოლმეურნეობის უხუცესი თავმჯდომარე იოანე უბილია იძულებული გახდა, უკვე თავად წვეოდა სათხოვნელად კომბინატის მშენებლობის ხელმძღვანელობას.

— ბატონო იოანე, თქვენ მეტად გამოცდილი კაცი ბრძანდებით... ახალი ცხოვრება ამ მხარეში თქვენს მიერ არის აშენებული... — უპასუხა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კომბინატის დირექტორის მოადგილემ ჰამლეტ ჭედიამ და ისიც თავმჯდომარის პირდაპირ გრძელ მისადგმელ მაგიდას მიუჯდა. „რად უნდა ამხელა მისადგმელი?“ — გაიფიქრა ბატონმა იოანემ და უფრო გაუმძაფრდა უსიამოვნო გრძნობა, რომელიც დილიდანვე აჰყვა, უფრო სწორად, იმ დროიდან აჰყვა, როცა მიხვდა, რომ ამ უსიამოვნო ვიზიტს ვერ გადაურჩებოდა. — ...თქვენ მეტად გამოცდილი კაცი ხართ, — ხაზგასმით გაიმეორა ჰამლეტ ჭედიამ, საფერფლე აიღო და ბატონ იოანეს ახლოს დადგა. — გამოცდილება კი, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ თავისთავად არ მოდის... ცხოვრებაში ავიც გინახავთ და კარგიც, ბრძენი კაცი ბრძანდებით და განა შემიძლია ვუთხრა ხალხს, დღესვე მიატოვეთ კომბინატის მშენებლობაზე მუშაობა და კოლმეურნეობას დაუბრუნდით-მეთქი? თქვენ არ მასწავლიდით მუდამ, რომ... — აქაც ოდნავი პაუზა გააკეთა ჭედიამ, — ხელმძღვანელმა ხალხი ბრძანებებით კი არ უნდა აიყოლიოს, არამედ... პირობების შექმნითო?

„დამიხედეთ ამ ღლაპს! — წამოჭარხლება რომ დაემალა, ბატონმა იოანემ სახეზე ხელი მძიმედ რამდენიმეჯერ მოისვა. უარით მისტუმრებს, თან უნდა მიმანიშნოს, ხომ ხედავ, როგორ დაგინდეო“.

უკვე ბინდდებოდა, მაგრამ რატომღაც ბატონ იოანეს არც სახლისკენ მიუწევდა გული და არც კოლმეურნეობის კანტორისაკენ. მძღოლს, წადიო, ანიშნა, თვითონ კი კომბინატის მშენებლობის სამმართველოსა და მუშათა კულტურის სასახლეს შორის, ბაღში, ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა და მოშორებით მსხდარ წყვილს უცნაური სევდით მიაპყრო თვალი.

რა თქმა უნდა, ადრევე იცოდა, იცოდა კი არა, დარწმუნებული იყო, რომ იმაზე, რის სათხოვნელადაც მოდიოდა, უარს ეტყოდნენ. უფრო მეტიც: სანამ აქ ამოვიდოდა, მანამდე ხომ ბევრი იფიქრა და იფიქრა, და, რაც უფრო მეტს ფიქრობდა, აანალიზებდა, მით უფრო ხვდებოდა, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგრამ ამავე დროს (თვითონაც ვერ აეხსნა რატომ და ამაზე არანაკლებ ფიქრობდა), რაც უფრო რწმუნდებოდა ამაში, მით უფრო, გონება კი არა, ალბათ, გული მოუწევდა აქეთკენ, რაღაც შინაგანი გრძნობა ჰკარნახობდა, რომ მით უფრო აუცილებელი იყო აქ მოსვლა. აქ ამოსვლას მაინც რაღაც უნდა მოეტანა... რაღაც უნდა მოეტანა — ასე ჩანდა! — თუ არა სოფლისათვის, თვითონ მისთვის მაინც. კაცი იმ დროიდან, რაც ფიქრი და აზროვნება დაიწყო, სოფლისთვის ფიქრობდა და აზროვნებდა — როგორადაც შეეძლო და როგორადაც მიაჩნდა საჭიროდ ისე — და განა არ ჰქონდა უფლება, თუნდაც ერთი დღე, ან თუნდაც ერთი საათი მაინც, საკუთარ თავზე ეფიქრა? ანდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ სოფლის ერთ-ერთი წევრთაგანი იყო.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თავად ფიქრობდა. მარტო ეგ იყო, რომ მთლად ის არ უფიქრია, რომ „ეს ვირიშვილი“ — (ერთგვარი სინაზითაც კი გაიფიქრა). ზუსტად იგივე სიტყვებით მოუღებდა ბოლოს თავად რომ უთხრა სულ რაღაც „ამ ცოტა ხნის“ წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათ („რა სწრაფად გარბის დრო?!). როცა თავად ჰედია ესტუმრა კოლმეურნეობის კანტორაში, მორიდებით შემოაღო კარი, მორიდებით მიესალმა, მორიდებით გაუღიმა და მორიდებით მოახსენა სათქმელი. თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც ახლა, გარდა იმ ხაზგასმული მორიდებისა. სათხოვნელიც იგივე იყო, ოღონდ იქ, სადაც დღეს სიტყვა „კოლმეურნეობა" ახსენეს, ადრე სიტყვა „კომბინატი" ითქვა. ჰოდა, კიდევ — თუ დღეს კომბინატის მშენებლობის სამმართველოს შენობაში მოხდა ეს ამბავი, მაშინ ის ამბავი კოლმეურნეობის გამგეობის შენობაში ხდებოდა. ამ უმნიშვნელო და წვრილმან რამესაც კი აი ამწუთას, როცა ბატონი იოანე ბაღში სკამზე იჯდა და ერთბაშად მოზღვავებულ ფიქრებში გარკვევას ლამობდა, რაღაც განსაკუთრებული, სიმბოლური მნიშვნელობა მისცემოდა.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თავად ფიქრობდა, მაგრამ მაინც რომ არ უგვრძვნია არავითარი შვება?!

„შვება!" — ამ მოულოდნელად საიდანღაც ამოტივტივებულმა სიტყვამ უცნაურად შეაკრთო. „შვება..." — გაიმეორა კიდევ ერთხელ და უცბად ყურს ტელევიზორის ხმა მისწვდა: პროგრამა „ვრემია" დაიწყო „..რა დრო გასულა?!" — აქ რომ დაჯდა, ბინდდებოდა მხოლოდ. „შვება..." ისევ უნებლიეთ. როგორც ეს სიტყვა მოადგა, შემობრუნდა სკამზე და იმ გორაკს გახედა, სადაც ახლა ტელეანძა იდგა. ანძის წითელი ნათურა მოზრდილი ვარსკვლავივით ანათებდა. ადრე ამ ადგილას პატარა ეკლესია იყო, ეკლესია თუ სენაკი, — ახლა კარგად არც ახსოვდა, — კოხტათლილქვიანი შენობა, რომელსაც უცნაური ვარდისფერ-ცისფერი გადაჰკრავდა ხოლმე დილ-დილაობით. რამდენჯერ ასულა იქ პატარობისას, რა თაფლის სურნელი იდგა ხოლმე; როგორ ივსებოდი ყოველ ჩასუნთქვაზე რაღაც მოკრძალებითა და სინაზით, თან ამავე დროს ლონითა და სიმყარის გრძნობით; როგორ გაგონებდა იგი იმ სურნელს, როცა საღამოს მინდვრიდან მოსული დაღლილ-დაქანცული დედა მკერდში ჩაგიკრავდა და ამ მკერდიდან რომ ისუნთქავდი. რატომღაც გეგონა, რომ... თუმცა, რამდენი „რატომღაც" უნდა დააგროვო კაცმა მთელი ცხოვრების მანძილზე?!. ჰოდა, რატომღაც გეგონა, რომ ილია ჭავჭავაძის განდეგილი, ანდა აჩრდილი სწორედ ამ ვარდისფერ-ცისფერ შენობაში ცხოვრობდა და მიტომ დაუშინეს მას ასე ძალაყინები და წერაქვები... რა ცხადად ახსოვს მაინც ის დღე?! აი გუშინწინდელი კი არაფერი ახსოვს (რა უცნაური არის მაინც ეს მეხსიერება?!"). თვითონ და მისი ტოლები, ვინც მაშინ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, კომკავშირში მიიღეს. როგორ უხაროდათ! სწორედ იქიდან დაიწყო მათი ცხოვრების გზა („კარიერა — როგორც დღეს უწოდებენ"). თითქმის პირტიტველა ახალგაზრდებს რა რთული საქმეები ანდეს! ანდა რა მონდომებით შეუდგნენ შრომას, ბევრი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის („ღმერთო, აცხონე იმათი სული!").

ბატონი იოანე უცნაურად აფორიაქდა, აწრიალდა. ცალკერძ კიდევ ტელევიზორი ხმამ შეაწუხა („რას ალრიალებენ, მეზობლებს მაინც არ ერიდებათ?"). ადგა და, არც უფიქრია საით, ისე დაადგა ბილიკს. კომბინატის კულტურის სასახლის წინ რამდენიმე კაცი შენიშნა — რაღაცას ფაციფუცობდნენ. ბატონმა იოანემ იონა ჯოლოგუა იცნო, კულტურის სასახლის დირექტორი. ძალზე გახარებული ჩანდა. როგორც კი ბატონი იოანე შენიშნა, წინ გაეგება და მიახარა:

— ძლივს არ მივაღწიე?!.

ბატონმა იოანემ ჩაიცინა, სახეში შეაცქერდ და ხაზგასმული სიდინჯით თქვა:

— გამარჯობა, იონა!

— გამარჯობათ! — ჯოლოგუამ წამით დაიმორცხვა, მაგრამ მყისვე წამოენთო: — ხედავთ, ბატონო იოანე?

— კულტურის სასახლეზე ფირნიშს ამაგრებდნენ. ეს იყო და ეს.

— რას, კაცო?!

— ძველი წარწერა მოვხსენით და ახალს ვამაგრებთ! — აუხსნა ჯოლოგუამ.

„დაბის კულტურის სასახლე **Дворец культуры поселка**", — ასე ეწერა ფირნიშზე.

— მიაქციეთ ყურადღება?

— რას, კაცო?! — კვლავ გაოცდა ბატონი იოანე.

— ეი, სლონოვ! — გასძახა ჯოლოგუამ ერთ-ერთ მუშას, — ვოტ ვტორუიუ ვივესკუ პავერნიტე!

— „**Дворец культуры строителей комбината**: კომბინატის მშენებელთა კულტურის სასახლე", — ხმამაღლა წაიკითხა ბატონმა იოანემ.

— მიხვდით?

— რა ვიცი: ისიც კარგია და ესეც, — გულწრფელად აღიარა ბატონმა იოანემ.

— „დაბის კულტურის სასახლე!" ესე იგი, სასახლე მთელ დაბას ეკუთვნის! — ჯოლოგუას დაასწრო და აუხსნა სათვალიანმა ახალგაზრდამ, რომელიც ბატონ იოანესგან შეუმჩნევლად შემოუერთდა მათ. — დღეის შემდეგ სასახლის წრეებში თავისუფლად შეიძლება ჩაეწერონ სოფლელი ბავშვებიც. — „სოფლელებს" ჯერ კიდევ ეძახდნენ იმათ, ვინც კომბინატის მშენებლობაზე არ მუშაობდა.

ბატონი იოანე ახალგაზრდას დააკვირდა.

— რაღაც ვერ გიცანი, რომლის უნდა იყო შენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელია, — თქვა ჯოლოგუამ. — ტარიელ ჩიქოვანი!

— პაჭუს შვილი? — ვითომ სხვათა შორის იკითხა ბატონმა იოანემ და ჯოლოგუას მიერ შემოთავაზებული სიგარეტი ზანტად მისრისმოსრისა.

„პაჭუს შვილი“, — გაიფიქრა ბატონმა იოანემ. — „პახუს შვილიშვილი!“ ერთ დროს ქვეყანამ იცოდა, იმ დროს კი, როცა ბატონი იოანე კულტურის სასახლის წინ იდგა და უყურებდა, რა ენთუზიაზმით ცვლიდნენ კულტურის სასახლის წარწერას ისინი, „ვისაც დრომ არგუნა ეს“, მარტო მედეამ იცოდა, ალბათ, დაზმდვილებით და კიდევ რამდენიმემ, ისე, ყურმოკვრით, ის ამბავი, რომ იოანეს მამას, ვანოს, გარკვეული წვლილი მიუძღოდა პახუს მკვლელობაში. ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო. მაშინ მეზობელზე უკეთესი საცვალი რომ ეცმოდა, შეიძლება ამ მეზობელს დაებეზღებინეთ და ხალხის მტრად გამოეცხადებინეთ. ქვეყანას ერთი თვალი ჰქონდა და ხალხი კიდევ ათასი იყო. ჰოდა, ქვეყანას, რომლის ბედ-იღბალიც სასწორზე ეკიდა, სად ეცალა ამ ცალი თვალით ყველას თვალში ჩაეხედა, ყველას სულში ჩაეღწია და მიეჩხრიკ-მოეჩხრიკა მისი ავ-კარგი. პახუმ თავისი ხელით წაუკიდა ცეცხლი თავის ავლადიდებას და ცოლშვილიანად გადაიკარგა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ ამბავი მოიტანა, ერთი სოფლელი ქვრივის სახლში დაიპარება ხანდახან ღამღამობითო. მოხდა ისე, რომ ზედ სიამტკბილობისას წაასწრეს. პახუ არც განძრეულა, მხოლოდ ის იყო, რომ ციებაშეყრილივით ერთი მაგრად გაიცახცახა, თან ისეთი კვნესა აღმოხდა, თითქოს მუცელში დანა გაუყარესო. ისეთნაირად გადაეფარა ქალს, როგორც მშობელი გადაეფარება შვილს. თითქოს, მას კი არა, იმ ქალის დასახვრეტად მოსულიყვნენ ხუთივენი. სახე რაა, ნაწნავი რომ ნაწნავია, ღერიც კი არ ჩანდა ქვრივისა.

— ვანო, — თქვა პახუმ და გაოცებისაგან თუ შიშისაგან ვანოს ხელი აუკანკალდა, მაგრამ მერე, როცა განწირულმა დანარჩენი ოთხივეს სახელიც თქვა, ვანოს რაღაცნაირად მოეშვა გულზე, მაგრამ უფრო გაოცდა: ერთი ან ორი, ვთქვათ, ხმით იცნო, მაგრამ სხვები, ვისაც კრინტიც არ დაუძრავს?! — ერთ უკანასკნელ სურვილს მეზობელს კი არა, გადამთიელ მტერს შეუსრულებენ, მით უმეტეს, მე თქვენთვის არაფერი დამიშავებია. თუ რამე დაგიშავეთ, აგერ ხართ: ახლა მაინც ვერ შევძლებ, რამე გავნოთ. თქვით პირდაპირ! — ოდნავ მოგუდული ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ ამ სიჩუმეში ხმა ისეთნაირად გაისმოდა, როგორც ვრცელ საყდარში! სუნთქვა შეგიჩერდებოდა კაცს! რა ირონიად ჟღერდა ახლა სიტყვა „გავნოთ!“ ნეტავ რომელიმე გაისროდეს და მორჩებოდეს ყველაფერიო, — რამდენჯერმე ინატრა ვანომ. — ...არ გეგონოთ, თითქოს მაწყენინებთ უკანასკნელ გზაზე მიმავალს, — განაგრძო პახუმ. — პირიქით: იქნებ რამე გამართლება მაინც მოვუძებნო ამას და თან მარტო სინანული არ გამყვეს... არაფერს ამბობთ?.. ისიც ვიცი, რომ არც ერთი თქვენთაგანი, თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, არ მოვიდოდა აქ და არ იზამდა ამ საქმეს. ჰოდა, შემინდვია ყველასათვის, თქვენთვის და იმათთვისაც ვინც იქ, გარეთ არის ჩასაფრებული და სროლის ხმას ელოდება. შემინდვია ყველასათვის და ერთ რამეს გთხოვთ მხოლოდ: აქ, ასე ნუ მომკლავთ. გაფიცებთ ყველას, რაც საფიცარი გყავთ: ღმერთს, დედას, ცოლ-შვილს, კაცობას, სინდისს, ნამუსს, იმასაც, თუ რამ მათზე უკეთესი გყავთ ან გაგაჩნიათ. ავდგები, ჩავიცვამ, გარეთ გამოვალ და თუ გაქცევა დავაპირო ან თქვენს წინააღმდეგ ოდნავ გავატოკო ხელი, ღმერთისათვის მეღალატოს, დედა შემერთოს ცოლად, ეშმაკისათვის მეცეს თაყვანი... პატიოსან სიტყვას გაძლევთ!.. გესმით?

ესმოდათ (ნეტავ არ სმენოდათ?!), მაგრამ დრო იყო ისეთი, ყაჩაღად გავარდნილ კაცს კი არა, ძმას არ ენდობოდა კაცი. ისე კი ყველამ ცალ-ცალკე თავის გულში ინატრა: ნეტავ ახლა მარტო ვიყო და ჯანდაბამდის გზა ჰქონია პახუსაც და იმასაც, ვინც ამის მოსაკლავად გამომგზავნა აქეთო. ეს იყო და ეს...

რა თქმა უნდა, ხუთივემ გაისროლა!.. მაგრამ მერე, როცა ძირისძირამდე სულშეძრული ვანო ყველასაგან მალულად უკან გამოიპარა („ვინმეს რომ ვენახე, ხმის ამოუღებლივ მიმაყოლებდნენ პახუს“), ნახა, რომ მხოლოდ ორ ტყვიას მიეღწია მიზნამდე: ერთს კეფა აეხადა პახუსათვის, მეორეს კი ქალის („რა მშვენიერი იყო მკვდარიც კი?!“ მარცხენა მკერდთან დაეტოვებინა საკმაოდ ფართო წითელი კვალი. ორივეს თვალი დახუჭული ჰქონდა და ვანომ შიშით მიმოიხედა ირგვლივ, ვინმემ ხომ არ დამასწრო აქ მოსვლაო. როგორც იყვნენ ერთმანეთს ჩახუტებულნი, ისევე გაახვია ნაბადში. შორს ვერ წაიღებდა, — არც იყო ამის დრო. ტყეში მიწა ამოთხარა და ორივენი იქ დაასაფლავა. ისეთი ადგილი ამოარჩია, იშვიათად თუ გაივლიდა იქ კაცი, მაგრამ, გამთენიისას წვიმა წამოვიდა, მაინც შვებით ამოისუნთქა, დაღლილობაც კი გადაავიწყდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ასევე ჩუმად, ის ადგილი რომ არ დავიწყებოდა, ბალახმოდებული საფლავის თავთან ცაცხვის ხე დარგო.

იოანეს მამა, ცხადია, ამ ამბავს ვერასოდეს ვერავის ეტყოდა. მხოლოდ მის შვილს, ესე იგი. იოანეს, გაანდო ისიც — სიკვდილის წინ. როგორც მღვდელს ეუბნებოდნენ, ალბათ, ალსარებას, ისეთნაირად მოჰყვა და რომ ჩაათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა, თითქოს უზარმაზარი ტვირთი მოეხსნას ზურგიდანო, ისე ამოისუნთქა. თვითონ ვერ ახსნიდა და, რომ ეთქვათ, ალბათ, ვერც ვერავინ დაეხმარებოდა აეხსნა, თუ რატომ გააკეთა ეს, მაგრამ ფაქტი იყო: მამის სიკვდილის პირველსავე საღამოს გაიპარა იოანე, რათა შეეხედა ტყეში დარგული იმ ცაცხვისათვის, რომელიც მას ადრეც ბევრჯერ უნახავს და გაოცებულა მისი სიმაღლითა და სიდიდით, მაგრამ თუ ასეთი საიდუმლო იქნებოდა მასთან დაკავშირებული, აბა რას იფიქრებდა?! ყველაფერმა ამან კიდევ ერთხელ (ვინ იცის, მერამდენედ!) წამიერად გაიელვა ბატონ იოანეს გონებაში, მაგრამ ეს რაღაც წამებიც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იონა ჯოლოგუას ეკითხა:

— ცუდად ხომ არ ხართ, ბატონო იოანე?

ბატონ იოანეს ასეთ დროს, ესე იგი, მაშინ, როცა ჯანმრთელობაზე ეკითხებოდნენ, მუდამ ჩვევად გადაქცეული მზამზარეული პასუხი ჰქონდა: „ჩემი ხნის კაცის კვალობაზე...“ და ასე შემდეგ. მაგრამ ამჯერად, შეამჩნია, რომ იონა სახეში კი არ უყურებდა, არამედ შეკავებული გაოცებით მისჩერებოდა სანთებელას (საფრანგეთიდან ჩამოუტანა შვილიშვილმა), რომლითაც ამაოდ ცდილობდა სიგარეტის მოკიდებას. და უცბათ მიხვდა: ფილტრიანი სიგარეტი უკუღმა ჩაედო პირში.

— ჰმ... დავბერდი კაცი! თურმე ის დროა, პენსიაზე გავდიოდე.!. — აქ კიდევ ერთხელ ჩაიცინა, სიგარეტის ღერი გადატეხა და იქვე, ურნაში ჩააგდო. — დროა კი არა, მგონი დავაგვიანე კიდეც საკმაო ხანი!

ცოტა რომ გაიარა, მობრუნდა და კულტურის სასახლეს დააკვირდა. ფირნიში უკვე დაემაგრებინათ, ახლა ოდნავ მოშორებით იდგნენ და უყურებდნენ. „ტკბებიან!“ — ირონიულად, თითქმის ხმამაღლა თქვა ბატონმა იოანემ, მაგრამ წამსვე უარყო თავისი ირონია და მხრების აჩეჩით გაიფიქრა: „ვინ იცის, იქნებ ესეც თავისებური რევოლუციაა და მე არაფერი მესმის? რაა ვიიცი?.. იქნებ მართლაც დრო არის, აა?!“

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონი იოანე მისი მოულოდნელი გადაწყვეტილების გამო გაოცებული რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტში იჯდა. რაიკომის მდივანი გამოღებულ ფანჯარასთან იდგა და ერთხელ კიდევ ამაოდ ცდილობდა ბატონი იოანე დაეთანხმებინა ერთი თვით სადმე წასულიყო დასასვენებლად.

— დასვენება რას გვარგებს? დასვენება კი არა, ჩვენ ახლა სწორედ მუშაობა გვინდა!.. — ჩვეული ირონიანარევი ხმით ამბობდა ბატონი იოანე — მაგრამ არა ისეთი მუშაობა, ადრე რომ ვმუშაობდით... უფრო სწორად მე რომ ვმუშაობდი, რაღაც ახალი და ახლებური გვინდა. მაგრამ მე არ ვიცი, რა არის ახალი და რაა ახლებური მუშაობა, აი, ამაშია საქმე!

— კი მაგრამ, რას ჰქვია „ახლებური“ და „ძველებური“ მუშაობა? შენი კოლმეურნეობა ერთ-ერთ ყველაზე მოწინავედ ითვლება არა მარტო ჩვენთან!.. იმ შენი ძველებური მუშაობით ყველაზე უკეთესი პლანტაციები და ყანები გაქვს მთელს რაიონში, ყველაზე უკეთესი მესაქონლეობის მეურნეობა, ცალკერძ კიდევ — მეფუტკრეობა თუ მეთევზეობა... ერთი სიტყვით, ყველა მაჩვენებლის მიხედვით პირველობთ. მეტი რაღა გინდა?!

— მე კი არ მინდა, სოფელს უნდა!

— რა უნდა, კაცო, სოფელს ისეთი, შენ რომ არ იცი? — ხუმრობა სცადა რაიკომის მდივანმა.

— უბედურება სწორედ იმაშია, რომ ეგ არ ვიცი!

— ეს არაფერი, ხანდახან თვითონ სოფელმაც კი არ იცის, რა უნდა! — კვლავ სცადა ხუმრობით ფონს გასვლა მდივანმა.

— მეც მანდ ვარ: სწორედ მაშინ უნდა სოფელს კაცი, წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი, რომელმაც ყოველთვის იცის, არა მარტო ის, რა უნდა დღეს სოფელს, არამედ ისიც — და ეს უმთავრესია, თუ რა უნდა ხვალ და ზეგ! — უპასუხა ბატონმა იოანემ, რომელიც არ აჰყვა რაიკომის მდივნის ხუმრობას. — გარდა ამისა, სოფელს მცხოვრები სჭირდება, ხალხი სჭირდება, მუშახელი სჭირდება. ხოლო თუ მე დავრჩი კიდევ ცოტა ხანს თავმჯდომარედ, სწორედ ეს მუშახელი არ გვეყოლება! — ცოტა არ იყოს, მკვახედ გამოუვიდა ნათქვამი. იგრძნო ეს და ბოლოს ნაძალადევი ღიმილით დაუმატა: თუმცა რა სოფელი, რის სოფელი, დაბაა უკვე! მე სოფლისა გამეგებოდა თორემ, დაბისა არა ვიცი რა: ჩამოვრჩი!

რამდენიმე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. რაიკომის მდივანი უფრო ხუმრობაზე მიხვდა, ვიდრე იმ მკვახედ ნათქვამზე, რომ ბატონ იოანეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავმჯდომარეობისათვის თავის დანებება.

— კარგი, ბატონო, — თქვა ბოლოს. — მაგრამ ის მაინც მითხარი, ვის ჩავაბარო ამხელა კოლმეურნეობა. ვინ გეგულება თქვენთან ისეთი, ვინც, როგორც შენ ამბობ, ახლებურად შესძლებს მუშაობას?

ბატონი იოანე შეკრთა. ამ კითხვას არ მოელოდა. ეს დღეები სულ თავის თავზე ფიქრობდა და ამაზე კი არ უფიქრია. მან ყველაზე მძიმე წუთებშიც იცოდა თავის დაჭერა და საქმის გულდაგულ აწონ-დაწონა. ახლაც სცადა. სცადა და უშედეგოდ. უშედეგოდ და ისიც იგრძნო, რომ შინაგან წონასწორობას ჰკარგავდა. შუბლზე ოფლმა დაასხა...

— წყალი, თუ შეიძლება.. — ესღა თქვა.

როცა წყალი მოსვა, ბატონმა იოანემ ერთი

კი ამოიოხრა და ისე სწრაფადვე იგრძნო თავი უკეთესად, როგორც ცუდად გახდა. ექიმის გამოძახებაზე კატეგორიული უარი განაცხადა, ოფლი ცხვირსახოცით მოიწმინდა და რაიკომის მდივნის წინააღმდეგობის მიუხედავად, ფეხზე წამოდგა.

— არ ვიცი! — თქვა და, როცა მიხვდა, რომ რაიკომის მიდვანმა ვერაფერი გაიგო, მკლავში ხელი ჩაავლო და თითქმის ყურში უთხრა: — არ ვიცი, ვინ უნდა ავირჩიოთ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ჩემს შემდეგ! — „ჩემს შემდეგ“ განსაკუთრებით მკაფიოდ და დამარცვლით წარმოსთქვა, თან გულზე თითი მიიკაკუნა.

მერე კარისკენ გაემართა, მაგრამ შუა ოთახში შედგა, შემობრუნდა და ნაძალადევი ღიმილით თქვა:

— სამწუხაროდ, სწორედ ამას ჰქვია ძველებურად მუშაობა, ამხანაგო რაიკომის მდივანო! თუ დამიჯერებთ, ამას მე ბოლომდე მხოლოდ ახლახან, ამ წუთას, ჩავწვდი!

შეტრიალდა და დაუმშვიდობებლად გავიდა.

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ კოლმეურნეობის ახალმოხატულ კლუბში კოლმეურნეთა საერთო კრება გაიმართა. კრება გახსნა პარტბიუროს მდივანმა გიული ახალაიამ. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იყო და ამ საკითხის გარშემო კოლმეურნეებს რაიკომის პირველი მდივანი ესაუბრა. მდივანს ხალხი მშვიდად უსმენდა, არავინ გაოცებულა, არავის არაფერი გაკვირვებია, — დარბაზი ერთი წამითაც კი არ აჩოჩქოლებულა ზედმეტად: ყველამ ისედაც წინდაწინ იცოდა ყველაფერი. იცოდა თუნდაც ის, თუ რას იტყოდა იოანეს შესახებ — მრავალჯერ მოუსმენიათ და მრავალჯერაც წაუკითხავთ მისი დამსახურების გამო, სახელგანთქმული მწერლების მიერ დაწერილიც კი. ასე რომ, რაიკომის მდივანი ვერაფერს ახალს, და ვერც უკეთესად, იტყოდა. ხოლო ახალი არც ის იყო, ბატონი იოანე რომ პენსიაზე გადიოდა და მის მაგივრად „რაიონიდან ჩამოსულ კაცს“, რაიკომის ყოფილ (ალბათ, უკვე — ყოფილ) განყოფილების გამგეს ირჩევდნენ.

— ვინმეს ხომ არ სურს, სიტყვით გამოვიდეს, ან სხვა კანდიდატურა ხომ არ გყავთ? — სხვათა შორის იკითხა ბოლოს რაიკომის მდივანმა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ბატონი იოანე ამ დროს ისე გაწითლდა, როგორც მაშინ წითლდებოდა, სკოლაში მასწავლებელი რომ იტყოდა, აბა ვინ მოყვება გაკვეთილსო და ზოგჯერ მთელი კლასი რომ ჩაქინდრავდა თავს. თუმცა, ისიც კია, მაშინ ყველა თავისთვის და თავის გამო წითლდებოდა, ეხლა კი... ეხლა კი შორს, ძალზე შორს იყო ბავშვობის ის სანატრელი ხანა და ის „სანატრელი გაწითლება“. რისთვის უნდა მიეწერა, ვისთვის უნდა დაებრალებინა ის, რომ საქვეყნოდ დაფასებულ და დამსახურებულ კაცს, რომელსაც, როგორც მოსწრებულად თქვა მასზე დაწერილ ნარკვევში ერთმა ცნობილმა მწერალმა, „მკერდზე არ ეტეოდა თავისი შრომისა და ღვაწლის შედეგი“, ამ საღამოს ისეთი მოჟამული განწყობა დაუფლებოდა, თითქოს საბრალდებო სკამზე მჯდარიყოს, ხოლო მაშინ, როცა ახალი თავმჯდომარის არჩევისას ყველამ ერთდროულად ასწია ხელი („თითქოს სკამზე დამონტაჟებული ავტომატური კაცუნები ყოფილიყვნენ და მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერაღა ნდომებოდათ“), გული დასწყდა. რატომღაც (!) ძლიერ უნდოდა, რომ თუნდაც ერთს მაინც შეეკავებინა თავი. თუმცა, სიზუსტისათვის: ერთმა კი არა, რამდენიმემ შეიკავა თავი, მაგრამ მათ ჩასძინებოდათ და, ისე სწრაფად მოხდა ხელის აწევაც და დაწევაც, გვერდით მჯდომებმა ვერ მოასწრეს (თუ არც უფიქრიათ) მათი გაღვიძება. ამიტომ, ცხადია, მათ ბატონი იოანე სათვალავში ვერ მიითვლიდა.

ერთმა რამემ კი მართლაც გააოცა ყველა, აბსოლუტურად ყველა: ბატონმა იოანემ კატეგორიული უარი განაცხადა საზეიმოდ გაცილებაზე. ვერც რაიკომის მდივნის გაფრთხილებამ გასჭრა — მაღლა არ მოგვიწონებენ ამ საქციელსო, და ვერც ცოლის შეგონებამ — ხალხი რას იტყვის? აგორდება ათასნაირი ჭორის გორგალი! ერთი სიტყვით, „იოანე ჯორზე შეჯდა“ (ესეც რა თქმა უნდა, ცოლის სიტყვებია).

●

ამ ამბის შემდეგ (მაინც რა საოცარია ცხოვრება?!) სოფელში, თუმცა რის სოფელში, — დაბაში ისევ თავისი გზით მიდიოდა ყველაფერი: ისევ ჩეულებრივად ამოდიოდა და ჩადიოდა მზე, მაშასადამე, — ჩვეულებრივად თენდებოდა და ღამდებოდა, ისევ ჩვეულებრივად ქროდა ქარი, ისევ ჩვეულებრივად მიმოდიოდნენ მანქანები ქუჩაში და მტვრისა და ცემენტის კორიანტელს აფრქვევდნენ გზისპირა ეზოებს, ისევ ჩვეულებრივად დადიოდა ხალხი და ასე შემდეგ. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო და, რაც მართლაც გასაოცარია, ეს ჩვეულებრიობა არავის შეუმჩნევია, უფრო სწორად — არავის მიუქცევია ყურადღება, გარდა ბატონ იოანესი და იმ ახლად არჩეული თავმჯდომარისა, რომლის გვარიც, სამწუხაროდ (ალბათ, იმიტომ, რომ ამ კუთხეში იმ გვარის ხალხი არ ცხოვრობდა), ვერ დავიმახსოვრე.

### გოგია

...და, როგორც აღვნიშნეთ, დაბა თავისი გზით მიდიოდა. მოკლე დროში წარმოუდგენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ცვლილებები მოხდა. ეს აშკარად, თვალნათლივ ჩანდა და ამაში რომ დარწმუნებულიყავით, აუცილებელი არ იყო „მუშათა დასახლებისაკენ“ (როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ეძახდნენ) გაგვესეირნათ: „სოფლის“ ნებისმიერი ადგილიდანაც კარგად დაინახავდით მრავალსართულიან სახლებს, კომბინატის ცალკეულ ქარხნებს, თუ სხვადასხვა დანიშნულების შენობებს, ცაში ატყორცნილი მთების ადრე თითქმის მიუვალ ფერდებს, რომელთა დასერილ-დაღარულ ზედაპირზე ახლა ისეთი სიჯიუტითა და გრუხუნით დაბობღავდა უზარმაზარი ოცდახუთტონიანი მანქანები, რომ აქ, დაბაში, სახლების ფანჯრებში მინები ზანზარებდა. ღამით კიდევ ისე აჩახჩახებდა მთებით შემორკალულ სივრცეს უთვალავი პროჟექტორისა და ქუჩის ლამპიონების შუქი, რომ შესაძლო იყო გეფიქრა, ამ მხარეში, ალბათ მზე მთლად არასოდეს ჩადისო.

კვირაში ორჯერ, — შაბათს და კვირას, საღამოობით, მშენებელთა კლუბის წინ საგანგებოდ მოწყობილ მოედანზე ცეკვები იმართებოდა. მუსიკის ხმა მეზობელ სოფლებსაც სწვდებოდა და ყველას, ასაკისა და სქესის განურჩევლად, შეხედულებისა და მრწამსის მიუხედავად, მაინც თავისებურად, თუნდაც ამ შეხედულებისა და მრწამსის შესაბამისად, განაწყობდა. გინდოდა თუ არა, გვიან ხალამომდე უნდა გეგდო ყური ამ „ქაჯური მუსიკისათვის“, როგორც უკიდურესად კონსერვატორულად განწყობილი სოფლელები იტყოდნენ. სანამ უკანასკნელი აკორდები არ ჩაინავლებოდა გვიან ღამის სიშავეში, თვალს ვერ მოხუჭავდი. რაც უფრო ცდილობდნენ, ყური არ ეგდოთ და ტკბილი ძილისთვის მიეცათ თავი, მით უფრო მკაფიოდ ჩაესმოდათ მუსიკის ხმა და ძილგამტყდარნი, ხან ვისზე იღრინებოდნენ, ხან კიდევ რაზე. მაინც რას არ ჰყვებოდნენ ამ ცეკვების შესახებ! დაუჯერებელი კია, მაგრამ ყველა ვინც ამ საკვირველ მოედანზე ერთხელ მაინც მოხვედრილიყო ან შორიდან მაინც შეეხედა-დაეზვერა, ერთხმად ამტკიცებდა: ყალმით ნახატი, ჯეირანივით ტანგამოყვანილი ქერათმიანი გოგონები და ქალები იკრიბებიან საცეკვაო მოედანზეო! რომელიც მოგეწონება და რომელსაც ხელს დაადებ, იმასთან იცეკვებ მკერდით მკერდს ჩახუტებულიო!

წასდა ქვეყანაო! — წამოიძახებდა რომელიმე სოფლელთაგანი, უმეტესწილად — ქალები. ისინი საღამოობით რომელიმე ეზოს წინ შექუჩდებოდნენ და მანამ არჩევდნენ „ამა სოფლის“ ამბებს, სანამ შუაღამის წამოძახილით უკანასკნელი მამალი არ დაიღლებოდა და ჩაეხლიჩებოდა ხმა.

თუ ვინმე ქუჩაში „იქაურ“, (ესე იგი, — მუშათა დასახლებიდან) ქალს ჩამოასეირნებდა, სასწრაფოდ თავებს მიაბრუნებდნენ, მაგრამ თითქოს კეფაზე გამოესხმებოდათ თვალები: მათი უმნიშვნელო ჟესტიცა და მიმიკაც კი არ გამორჩებოდათ. რომ ჩაივლიდნენ, რომელიმე ქალთაგანი ვითომ დააფურთხებდა მიწაზე სამჯერ — „თფუ, თფუო...“ და ბანს მისცემდა დაწყებულ საუბარს:

— მაშ, მაშ!.. და კაცმა არ იცის, საითკენ მიექანება?!

ეს, რა თქმა უნდა, ცხოვრებაზე იყო ნათქვამი. და — რაც მართალია, მართალია — იგი ჭეშმარიტად სწრაფი ტემპით მიდიოდა წინ, თანაც ისე სწრაფად, რომ ვერც სოფლელები და ვერც ისინი, ვინც ამ ახალი ცხოვრების მეკვლეებად და მშენებლებად მოსულიყვნენ აქ, ვერ ეწეოდნენ მას. თითქოს მთავარი იყო, ერთხელ დაეძრათ ადგილიდან, წაებიძგებინათ, მერე თვითონ, საკუთარი ინერციით გაიჭრებოდა წინ, თან ისეთნაირად გაიჭრებოდა, რომ რაც უნდა გეცადა, რაც უნდა მოგენდომებინა, ვერ შეაჩერებდი. და თუ მაინც როდესმე წამით შეჩერდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ეს ხაოცარი სწრაფი სრბოლა, თავისი სიძლიერე და, ცხადია, თავისი თავი უფრო ცხადად დაეფიქსირებინა.

და მართლაც, ერთხელ თითქოს შეჩერდა ეს საოცარი სწრაფი სრბოლა, დროის ეს შეუჩერებელი მდინარება. ეს მოხდა იმ დღეს, როცა კიდევ ერთი კაცი დაიღუპა მშენებლობაზე. მართალია, ეს არც პირველი შემთხვევა იყო და არც მეორე, მაგრამ სოფელი იმიტომ შესძრა ასე უკიდურესად ამ ამბავმა, რომ ეს იყო პირველი სოფლელი, ადგილობრივი მკვიდრი, ვინც მშენებლობაზე დაიღუპა. ასე რომ, ამჯერად სოფელს ბედის გაუთვალისწინებელი მწარე ისარი შიგ კაკალ-გულში მოხვდა. თავისი ტრაგიზმით ეს შემთხვევა იმ შემთხვევისაგანაც კი განსხვავდებოდა, როცა საერთოდ პირველი კაცი მოკვდა მშენებლობაზე და პირველი დიდი მოულოდნელი დარტყმა განიცადა სოფელმა. განსხვავდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ თუ მაშინ ვიღაცამ დაიძახა — კაცი მოკვდა მშენებლობაზეო, ამჯერად იმ ვიღაცამ თუ სხვამ ასეთნაირად ამოიბლავლა: გოგია მოყვა გვირაბშიო!..

შორიდან მზირალ კაცს შეიძლება მოსჩვენებოდა, ისევ ის პირველი ამბავი განმეორდაო, რადგან, როგორც მაშინ, იმ პირველი შემთხვევის დროს, კაციშვილი არ დარჩენილა სოფელში: ყველა ჩამოქცეული გვირაბისაკენ გარბოდა.

როცა დასახიჩრებული სხეული საკაცეზე დაასვენეს, ქალებმა თითქმის ისეთნაირად მორთეს მოთქმა, როგორც მაშინ, კაცებმა ზუსტად ისეთნაირად გაიკრეს ჯიბეებზე ხელი და სიგარეტები ამოაძვრინეს... მაგრამ, თუ თვალებში ჩახედავდი თითოეულ მათგანს, თუ კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგად ჩაუკვირდებოდი ქალების მოთქმის კილოს, უთუოდ შეიგრძნობდი არა მარტო უფრო მძაფრ გულისტკივილს, არამედ აგრეთვე — რაღაცნაირი ბუნდოვანი, გაურკვეველი მოლოდინის შიშს, შიშს, რომელიც ამჟერად უფრო დაკონკრეტებულიყო, კიდევ უფრო ხელშესახები და ცხადი გამხდარიყო, და თუ ადრე, დაღუპულს, ასე თუ ისე, ზოგადად ეწოდებოდა „კაცი“ ამჟერად ყველასათვის ნაცნობი და ახლობელი სახელი „გოგია“ დარქმეოდა.

...დიდხანს, ძალზე დიდხანს ესვენა გოგია თავისი ეზოს შუაგულში და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე, რომ ისევ მედეა ბებია არ გამორკვეულიყო და მკაცრად არ შეეძახა ქალებისათვის:

— რა მოგივიდათ, მეზობლებო, რას ელოდებით?! მოაწესრიგეთ სახლი!

თითქოს ჩახუთული ჰაერი შეინძრა და ბულისაგან სუნთქვაშეკრულებმა ძლივს ამოისუნთქეს: უცბად გაჩნდა საქმე, მიზანი, აზრი. რაც უნდა ყოფილიყო და როგორადაც უნდა ყოფილიყო, მკვდარს უფრო სჭირდებოდა პატრონობა! ამ ერთმა შეძახილმა, ელვასავით რომ გამოიკვეთა თავდავიწყებული მოთქმიდან, კიდევ ერთხელ მოიმადლიერა მთელი სოფელი... მედეა ბებია, ეს მრავალჭირგანცდილი, ბევრი კარგისა და ავის მომსწრე, ცხოვრების ჭარდაკგამოვლილი ქალი, ამჟერადაც გაჭირვების ტალკვესად მოევლინა სოფელს. და ეს ყველამ კიდევ ერთხელ არათუ აშკარად დაინახა, იგრძნო და განიცადა კიდეც.

ის ღამე მთელმა სოფელმა თვალმოუხუჭავად, გოგიას ეზოში მდგარი ხეების ძირას გაატარა. ვინ ზეზეურად, ვინ კიდევ სახელდახელოდ გაკეთებულ დასაჯდომებზე გარინდებულიყო და ელექტრონის შუქით გაჩირაღდნებული „ზალის“ მოღებული კარებისათვის მიეპყრო თვალი. ზოგჯერ ვინმე ამოიოხრებდა და გოგიასთან დაკავშირებულ რამე ეპიზოდს გაიხსენებდა. მაშინ სხვები გარს შემოეხვეოდნენ მას და ხან ამოოხვრით, ხან კიდევ რამე დეტალის ჩართვით ეთანხმებოდნენ. თუ ვინმესთვის რამე ეწყენინებინა, თუ რამ ავი გაეკეთებინა, ისიც სხვაგვარად, ტკბილ მოსაგონრად ჩანდა ახლა...

სოფლის ამგვარმა რეაქციამ საკმაო საგონებელი გაუჩინა მშენებლობის ხელმძღვანელობას. დაკრძალვამდე დღე ისე არ გავიდოდა, რომელიმე არ მოსულიყო და არ ეკითხა სოფლელებისათვის, რამე ხომ არ გჭირდებათ, რითი შეგვიძლიათ დაგეხმაროთო. ხოლო იმ უბნის წევრებმა, სადაც გოგია მუშაობდა, განაცხადეს, საფლავის ქვასაც ჩვენ დავუდგამთ და ჩვენვე შემოვაკავებთო.

მშენებელთა გადამეტებულ მზრუნველობას სოფლელებისათვის სატკივარი მაინცდამაინც შესამჩნევად არ შეუმსუბუქებია (თუმცა სოფლელებმა, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა ასეთ დროს, სიტყვითა და პასუხით, ტაქტითა და ქცევით, სათანადო უკუპატივი მიაგეს). თუ ადრე, აგრეთვე შემდეგაც, ტრაგიკული შემთხვევის კვალი ფიზიკურად არ დასტყობია სოფელს, ამჟერად უკვე სულ სხვა იყო: თავის ოდნავი მობრუნება გახლდათ საჭირო, რომ სოფლის განაპირას, გორაკზე, ზედმეტი გაჭრილი საფლავი ეკალივით ჩაგსობოდა თვალში. გარდა ამისა, თითქმის ყოველ საღამოს მთელს სოფელს სულს უხუთავდა განწირული მოთქმა გოგიას მოხუცი დედისა, საფლავში რომ ჩასძახოდა დაღუპულ შვილს:

სადაური სამართალია, შვილო, შენ იქ იწვე უძრავად და მე, მიხრწნილი, აქ დედამიწას ვამძიმებდეო!..

დიდს-პატარას ყალყზე უდგებოდა თმა ამის გაგონებაზე, მაგრამ სოფელს უკვე გაეგო, გაესინჯა სხვა ცხოვრების გემო, და მისი შეჩერება ახლა ძნელად თუ იყო შესაძლებელი. გოგიას საფლავიც და ის რკინა-ბეტონით შემოღობილი სხვა საფლავებიც, რომლებიც თანდათანობით მომრავლდა დაბის, ხოლო შემდეგ ქალაქის სასაფლაოზე, მხოლოდ ოდნავ, ძლივშესამჩნევლად თუ აფერხებდა ამ წინსვლას: თუ ვინმეს შნო და უნარი ჰქონდა, მშენებლობის დამთავრებამდე უნდა ემარჯვა, თორემ მერე რა იქნებოდა, ამას მარჩიელი რომ მარჩიელია, ისიც ვერ იტყოდა წინასწარ. ვიღაცის მიერ სიმართლედ თუ ჰორად ნათქვამი — დიდი მშენებლობა დიდ მსხვერპლს მოითხოვსო, — სოფლის აფორიაქებულ სულს მალამოსავით მოეცხო და მოხდა საოცარი რამ: ის დაუოკებელი შეჭიბრი, ციებ-ცხელებასავით რომ მოსდებოდა სოფელს და რომლის გულისთვისაც — როგორც შეჭირვებულ გუნებაზე იტყოდნენ ხანდახან წამით გამოფხიზლებული სოფლელები, „მეზობელი მეზობელს, ნათესავი ნათესავს და ძმა ძმას არ ინდობდა“, სასაფლაოს — ადამიანთა ამ სამუდამო განსასვენებელსაც მოედო. თითქოს სასაფლაომაც დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება. სიტყვა „მიცვალებულის“ მნიშვნელობისადმი მოკრძალებულება და რიდი აშკარად დაჩრდილა „პატრონის“ პომპეზურობამ და რიხმა. თანდათანობით დამძიმდა სასაფლაოს მიწა ტუფის, მარმარილოს, ბრინჯაოსა და კიდევ, ვინ იცის, რა ძვირფასი ქვისა და ლითონის ფიგურებით, ბიუსტებით და ასე და ამგვარად, სასაფლაოც, თავისი ახლად და ასი წლის წინათ გარდაცვლილებითაც კი, აშკარად და ცხადად შეუერთდა ცხოვრების ერთბაშად აზვირთებულ და დაქანებულ მდინარებას. ადრეული, მესრით შემოღობილი და ჭვარდასმული სასაფლაოები, უპატრონოებივით ჩანდა. გაჩნდა შეფასების ახალი კრიტერიუმები. ახლა თუ ვერ გამონახა კაცმა საარსებო სახსარი, მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცად არ ვარგიხარ, თორემ დრო არაფერ შუაშია: ამაზე უკეთესი დრო არ დამდგარა ჯერო! — ეს აზრი, ცხადია (და სწორედ რომ!), ახალგაზრდებს, ესე იგი, ახალი დროის შვილებს როდი ეკუთვნოდათ. ასეთი შეფასების უფლება, კანონისა და ლოგიკის ძალით, მხოლოდ ხანდაზმულებს, ბევრის მნახველთ და დიდი გამოცდილების მქონეთ თუ ჰქონდათ. ბოდა, გინდოდა თუ არ გინდოდა, ფეხი უნდა აგეწყო ამ ახალი, სწრაფი და დაძაბული სრბოლისათვის; ფეხი უნდა აგეწყო, თორემ შეჩერებას ვინ ჩივის, ოდნავ რომ წაბორძიკებულიყავი ამ ისედაც შეუბრალებლად მოკლე წუთისოფელში, შეიძლება ისე გაეთელეთ, რომ მერე ვერც გამართულიყავით წელში.

და რა გასაკვირია, თუ ვერავინ შეამჩნია, როგორ გაჩნდა მეორე ღერი ჭაღარა მედეაბებიას თავზე, უფრო მეტიც — ვერც ის შეამჩნიეს, როგორ მოუხშირდა ჭაღარა და თანდათანობით გაუთეთრდა თმა. კაცს სხვისთვის კი არა, „საკუთარი თავის მისახედად არ ეცალა“ კარგად და, როცა ნათესავი ნათესავს ან თითქმის კარის მეზობელი მეზობელს შემთხვევით მაინც შეხვდებოდა, გულწრფელად უკვირდათ და ხელებს შლიდნენ:

— უცნაურია, ღმერთმანი! სად იყო უწინ ამდენი მანქანა, ამდენი ტრანსპორტი, და მაინც უფრო ხშირ-ხშირად დავდიოდით და ვხვდებოდით ერთმანეთს! ახლა ყველას გვყავს საკუთარი მანქანა, მაგრამ... განა ახლა იმაზე მეტს ვმუშაობთ, ვიდრე უწინ?.. რა მოხდა ბაბა?!

რაღაც, რა თქმა უნდა, მოხდა, მაგრამ — რა? ვერავინ იტყოდა ამას. არც არავის ჰქონდა ამაზე ფიქრის და თავის მტვრევის დროც და სურვილი.

მაგრამ, ხომ არა არს დაფარული, რომელიც არა გამომჟღავდნენ. და ისიც, რაც სოფელს, ასე თუ ისე, გამოეპარა და ვერ შეამჩნია თავის დროზე, ბოლოს, თუნდაც მოგვიანებით და დაგვიანებით, თუნდაც თავისთავად, ხომ უნდა გამომჟღეურებულიყო. და, რა თქმა უნდა, გამომჟღეურდა კიდეც.

ეს მოხდა მაშინ, როცა ქალაქში (დაბა უკვე ქალაქად იყო ქცეული) დილით პურის მოსატანად ფეხით წასვლა სირცხვილად ითვლებოდა, როცა მამაპაპური ხის ოდა-სახლის ქონა უნიათობისა და სიზარმაცის ეჭვმიუტანელი ნიშანი იყო, როცა, თუ მაინცდამაინც ძალზე ახლობელი არ იყო, არავინ გარბოდა ტრაგიკული შემთხვევის ადგილისაკენ და მხოლოდ იმას თუ იკითხავდნენ, პანაშვიდი როდისაო; არავინ უსმენდა ბოლომდე კოსმოსში გაფრენის ცნობას, მაშინ როდესაც, იური გაგარინის გაფრენის ამბავი რომ გაიგეს, დიდ-პატარა გათვალულივით იდგა ქუჩაში, ეზოში, მოედანზე, ყანაში, თუ სადაც მოუწია — იქნება ნახვრეტი რამე შევამჩნიოთ ცაზეო, თან ბილმისაგან გულზე სკდებოდნენ, თუ ქარი ღრუბლის პაწია ნაგლეჯებს გადმორეკავდა მთებს იქიდან და ხედვაში უშლიდათ ხელს. ყველაფერმა მიჩვევა იცის — კარგმა ცხოვრებამაც, სიმწარემაც, სიხარულმაც, სენსაციამაც. არავის არაფერი უკვირდა, — გაკვირვება უკვე ერთგვარ სიბეცედაც ითვლებოდა. მაგრამ, თურმე ბუნებას მაინც თავისი კანონები ჰქონდა, კანონები, რომლებიც თვით ადამიანებსაც კი არ ემორჩილებოდა, მიუხედავად მათი სიმამაცისა და შეუპოვრობისა, რამეთუ, რაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს, ადამიანები მაინც ბუნების შვილნი, მისგან წარმოშობილნი იყვნენ. ბუნებაში კი, როგორც ამ ქალაქის სკოლებშიც ასწავლიდნენ, უკვალოდ არაფერი იკარგება, ისევე როგორც არაფრისაგან არაფერი წარმოიქმნება, და ეს ყველაზე ჩამორჩენილმა და ყველაზე ზარმაცმა მოსწავლეებმაც იცოდნენ. ყველაფერს ჰქონდა თავისი შედეგი. ცაში აღმართული მრავალსართულიანი სახლები, მოასფალტებული ქუჩები, კოხტა და წალკოტად აყვავებული ბაღები და სკვერები, კულტურის სასახლე, რომელზედაც დედაქალაქიდან ჩამოსულმა სახალხო არტისტმა თქვა, ნეტავ ჩვენი თეატრისთვის მოგვცა ამისთანა შენობაო, თანამედროვე კაბინეტ-ლაბორატორიებით აღჭურვილი სკოლები, კაცს უმაღლესი სასწავლებლები რომ გეგონებოდა, ქვეყნის საუკეთესო მხატვრების მიერ მორთულ-მოკაზმული ბაგა-ბაღები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული სტუდიები, ფერადი ტელევიზორები, მსოფლიოს თითქმის ნებისმიერი ქვეყნისა და ფირმის მსუბუქი ავტომანქანები და მრავალი სხვა, რომლებზედაც სულ რაღაც ორიოდ ათეული წლის წინათ ვერც იოცნებებდა აქაური კაცი, — ყველაფერი ეს შედეგი იყო.

შედეგი ყველაფერს ჰქონდა და, ვინმე რომ დაფიქრებულიყო, განა დიდი მიხვედრა უნდოდა იმასაც, რომ სასაფლაოს გორაკიდან მშენებლობაზე, ავტოავარიაში თუ სხვა „თანამედროვე“ მიზეზით (თუნდაც — ინფარქტით) ადრე დაღუპულთა დედების მოძახილსაც ექნებოდა თავისი შედეგი. სოფელი ამასაც, ცხადია, მიეჩვია და, თუ ადრე გოგიას დედის მოთქმის გაგონებაზე სისხლი ეყინებოდათ ძარღვებში, დღეს უკვე არათუ ყურადღებას აქცევდნენ, არამედ ათასი წვრილმანი თუ მსხვილმანი საქმეებით გართულთ, აღარც ესმოდათ. ხალხს აღარ ესმოდა, მაგრამ ბუნებაში აკი არაფერი იკარგება ისე!.. შემთხვევა იყო მხოლოდ საჭირო. ეს შემთხვევაც ადრე თუ გვიან უნდა გამოჩენილიყო...

### ანდრო

და, რა თქმა უნდა, ეს შემთხვევაც გამოჩნდა, მაგრამ — ძალზე თავისებურად და მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდნელად. კაციშვილს ეჭვადაც კი არ მოუვიდა თავში, რომ ამბავს, რომელიც მოხდა სადღაც შორს, ციმბირის ერთ-ერთ ქალაქში, რომლის სახელიც ერთ-ორს თუ სმენოდა აქ, რამე კავშირი ექნებოდა ჩვენს ქალაქში მიმდინარე მოვლენებთან. თანაც თვით ის ამბავიც სრულიად შემთხვევით მოხდა: კოლმეურნეობის მთავარი აგრონომის ანთიმოზ ქადარიას უფროს შვილს, ვაჟას, რომელიც ამ შორეული ქალაქის სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსზე სწავლობდა, მანქანა დაეჯახა და, სამწუხაროდ, შემთხვევის ადგილზევე მოკლა.

— დღე ისე არ გავა, ერთმანეთზე უარესი ამბავი არ გაიგონო! — ხელებს შლიდნენ იმ უბნის მცხოვრებნი და გაუბედურებული ანთიმოზ ქადარიას სახლისაკენ მიემართებოდნენ.

ქადარიების ეზოში საკმაო ხალხმა მოიყარა თავი. მზე აჭერდა და დახუთული ჰაერი კიდევ უფრო ამძაფრებდა ეზოში გამეფებულ მდუმარებას. ყოველდღიურობის წვრილმანი თუ მნიშვნელოვანი საქმეებისაგან მოთენთილი ადამიანები ხმადაბლა, ისიც, შესაძლოა, უფრო ზრდილობის გამო თუ შეეკითხებოდნენ ერთმანეთს რამეს ისეთს, რაც „საცოდავ ბიჭსა“ და მის მშობლებს შეეხებოდა. ერთადერთი, ვინც ახლა არად დაგიდევდათ ქალაქში გამეფებულ ქცევის ნორმებს და იმ დაუწერელ კანონს. რომ გაჭირვების დროსაც კი (ან იქნებ სწორედ გაჭირვების დროს) კაცს ათასი წყვილი თვალი მოგაჩერდება და ათასგზის აგზომ-ჩაგზომავენ, ბიჭის გაუბედურებული დედა გახლდათ. ექიმებით გარშემორტყმული, გონარეული ქალი მორთხმულიყო საწოლზე, ოდასახლის ერთ-ერთ ოთახში და უცნაურ ბოდვებს ხანდახან თავისი დაღუპული შვილის სახელს გაურევდა. მისი ქმარი, ანთიმოზ ქადარია კი ამ დროს ორ ახლო ნათესავთან ერთად, ალბათ, სოხუმის აეროპორტისაკენ მიმავალ გზას მისჩერებოდა უაზრო თვალებით, ანდა შეიძლება, ძელსკამზე იჯდა თვალლებდახუჭული და თავის გაჩენის დღეს წყევლიდა.

ანდრო შამათავას, მედეა ბებიას ერთადერთ შვილს (მედეა ბებიას ორი სხვა შვილი ომში დაღუპოდა), რომელსაც ბედად ეწერა თურმე, განგების თუ სხვა რამის ძალით, დღეს არანაკლებ ტრაგიკული როლი ეთამაშა, ვიდრე ქადარიების უბედურ ბიჭს, მის გაუბედურებულ მშობლებს, სამძიმარზე შეყრილ მეზობლებს და თუ გნებავთ, ყველას ერთად აღებულს, დაღუპული ბიჭის დედის სასოწარკვეთილმა შეცხადებამ ქადარიების სახლთან ახლოს მოწყობილ „ფაცხაში“ მოუსწრო: აქ ხოფლის ხელმძღვანელობას რაიონიდან ჩამოსული სტუმრებისათვის გაეშალა სუფრა. ახლა კი სტუმარ-მასპინძელნი ანთიმოზ ქადარიას ეზოს ჭიშკართან იდგნენ და წამოწითლებულ პირისახეს მალიმალ იწმენდნენ ცხვირსახოცით...

თითქოს განგებას ენება ასე... თითქოს განგება იყო, აბა რა ეთქმოდა იმას, რომ მაინცდამაინც ჭიშკართან დამდგარიყვნენ, რათა ყველა შემსვლელ-გამომსვლელის რეაქცია ღვინოსაგან გრძნობა-გაშიშვლებულ ანდროს გადასდებოდა და უფრო გაეფიცხებინა. განგებას მოეწყო ისიც, აბა რას, რომ ამ უბნის რამდენიმე მოხუცი ქალი ერთად შეკრებილიყო და ახლა (როცა, ვისაც საჭიროდ ჩაეთვალა, ამ ამბის გაგონებისთანავე მოსულიყო სამძიმარზე ქადარიებთან, თითქმის ყველა უკვე აქ იყო) მოთქმა-ჩიფჩიფით, უფრო ხავილისმაგვარი სლუკუნით და ლოყაზე ფრჩხილების ყალბი მოსმით შედიოდნენ ეზოში. თუმცა, შესაძლოა, ყალბად კი არ ისვამდნენ ფრჩხილებს, არამედ მათს გალეულ, დამჭკნარ მკლავებს, უბრალოდ, მეტი ძალა არ შესწევდა. ასე იყო თუ ისე, ამ ძველისძველმა და დღეს უკვე ტრადიცია და ფუნქციადაკარგულმა (და შესაძლოა, სწორედ ამის გამო ყალბმა) ჟესტმა ანდროს მოთმინება დააკარგვინა... მოთმინება დააკარგვინა და ცალკერძ გულის მოსაოხებლად, უფრო კი, ალბათ, უხერხულობის დასაფარავად, სტუმრების გასაგონად, ერთგვარად მწუხარებითაც, თქვა:

— სამართალია, კაცო, ახლა ეს: ანგელოზივით ბიჭი სამარეს უნდა მიიბარონ, ესენი კი მიწას ამძიმებდნენ და მის სატირლად დადიოდნენ?!

შეიძლება, ანდროს ეს სიტყვები არც ისე ხმამაღლა ეთქვას როგორც მოგვეჩვენა იქ მყოფებს, მაგრამ ასეთი შემთხვევისათვის (ბიჭის დაღუპვას ვგულისხმობ) მეტისმეტად შეუფერებელ მდგომარეობაში ისეთნაირად გაისმა... როგორც ვთქვათ, აი, ძილი რომ თვალებს წაგართმევს და ამ დროს რომელიღაც ონავარი ბიჭი მოგეპარება, სადღაც ნაპოვნ დაჟანგულ რკინის ნაჭერს ყურთან მოგიტანს და მთელი ძალით შემოჰკრავს ქვას. თითქოს ესეც თამაში გახლდათ, თითქოს ესეც ანცობა და ონავრობა იყო! ოღონდ, რა თქმა უნდა, — დიდი გონებამიუწვდომელი თამაში, თუნდაც იმიტომ, რომ დღემდე ადამიანის გონებითა და ხელით აგებული ვერც ერთი თეატრის სცენა ვერ დაიტევდა ამდენ მოქმედ პირს...

...ჰოდა, ონავარი ბიჭი მთელი ძალით შემოჰკრავს ქვას და ერთბაშად უკვე მოლოდინად ქცეული თვითონ არანაკლებ შეკრთება! ასე იყო ამჯერადაც: დამამახსოვრდა ანდროს მორღვეული სახე და დამფრთხალ-შეჭირვებული ღიმილი, რომელიც მის სახეზე კი არა, უპირველეს ყოვლისა, არაბუნებრივად აციალებულ და დაელმებულ თვალებში იკითხებოდა, უფრო ზუსტად — ზიმზიმებდა, ბლანტ ხითხეხავით ზიმზიმებდა. როცა შემომხედა, სწორედ ასე მეგონა: ეს ბლანტი ხითხე შემომესხა-მეთქი. ყველაფერი ეს სულ რაღაც წამის ამბავი იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ერთ წამში ყველაფერი ლოგიკური დაირღვა და მხოლოდ მერე, გაოცებული და ერთგვარად შემცბარი, ვიხსენებდი იმას, თუ როგორ ვუპასუხე ღიმილს ღიმილით, შემკრთალმა იმწამსვე როგორ მიმოვიხედე ირგვლივ, როგორ შევამჩნიე ის ბლანტი სითხე სხვების თვალებში და როგორ უცბადვე მომეშვა გულზე... მერე კიდევ, აღარ ვიცი, თავი ვიმართლე თუ ნამდვილად ასეც იყო, გავიფიქრე განწირული კაცის ვედრება ზიმზიმებდა ბლანტ სითხედ ანდროს თვალებში და იმ წამს ყველაზე მეტად მაინც იგი საჭიროებდა თანადგომას. ხოლო თუ ვინმე არ დაბნეულა იმ წამს, ან სხვებზე ნაკლებ დაიბნა, ცხადია, ეს ისევ და ისევ მედეა ბებია იყო. ესეც თითქოს იმ ერთ წამს იყო: უცბად მოხუც ქალებს მედეა ბებია გამოეყო. ადრე მე იგი არ შემინიშნავს, ამიტომ მოულოდნელობისაგან, თითქოს სასწაული მეხილოს, ტანში გამაჟრჟოლა, — ისე ჩანდა, თითქოს ეს ქალი ახლა იმ ქალებს კი არ გამოეყო, არამედ გამოვიდა მათგან, როგორც ეს ხდება უძველეს ზღაპრებში, ლეგენდებსა თუ თქმულებებში ისე, როგორც ვთქვათ — თავმოკვეთილი ურჩხულიდან უცბად მშვენიერი მზეთუნახავი ან მზექაბუკი მოგვევლინება. თანაც, თითქოს ეს ქალი იყო არა ის მედეა ბებია, რომელსაც შეხვდებოდით ქუჩაში, თონედან რომ ბრუნდებოდა, ან საღამოობით დაგვიანებულ ძროხას შოლტმომარჯვებული მოჰყვებოდა უკან; ეს არ იყო ის მედეა ბებია, გზის პირიდან რომ შეგეძლოთ შეგენიშნათ, როგორ ფუსფუსებდა ბოსტანში, ანდა როგორ უცვლიდა ატირებულ შვილიშვილის შვილებს ჩასველებულ და ზოგჯერ უფრო მეტ სირცხვილნაჭამ საცვლებს... — ერთი სიტყვით, ეს არ იყო ის მედეა ბებია, ანდროს დედა, ყოველ წუთს რომ შეგეძლო მიგეკითხა სახლში და საკუთარი თვალით დარწმუნებულიყავი მის არსებობაში, დალაპარაკებოდი და ხელითაც შეხებოდი, თუ გნებავთ (ვთქვათ, ხელი ჩამოგერთმია), — არა, ეს გახლდათ ის მედეა ბებია, რომელიც მრავალი მონათხრობისა და ბევრის საკუთარი თვალით ნახვის შედეგად ცნობიერებაში სოფლის უდრეკი სულის, მხნეობის, სიმყარისა და იმედის სიმბოლოდ განსახიერებულიყო, მედეა ბებია — დრო-ჟამის მტვერმიუკარებელი, თითქოს იმ დროიდან მომავალი, როცა პირველი ადამიანი გაჩნდა ამ მიწა-წყალზე, ყველა აქ მყოფის და ყველა ჩვენთაგანის წინაპარი და შემაკავშირებელი ბურჯი.

რაღაც საოცრებისათვის შევემზადე. თითქოს სუნთქვაც შემიჩერდა და, არ ვიცი, რატომ, ლამის სილის ლაწანის ხმაც ჩამესმა.

მედეა ბებიამ კი კიდევ გადმოდგა ერთი ნაბიჯი, საოცარი სინაზით შეხედა ანდროს (მომეჩვენა: გაიღიმა კიდეც) და თბილად თქვა:

— უი, დამთვრალხარ, შვილო?!.

თითქოს მიესიყვარულა, თითქოს ძალზე შორი მოგზაურობიდან ან ყანიდან დაბრუნებულისთვის ეთქვას: „უი, დაღლილხარ, შვილო?!“ მერე ჩვეული ღირსების გრძნობით, თითქმის მედიდურადაც, დაგვიკრა თავი და ასევე მედიდურად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამართული სიარულით — თითქოს მიწას ფეხისგულებს არ აკარებსო — წამოეწია უკვე სახლის კიბეზე ამავალ ქალებს.

თითქოს ახლაც მეწვის, ისეთნაირად ამიბრიალდა ლოყა იმ თავის დაკვრის დროს. უნებურად თვალი ავარიდე და, უცბად ვერაფერი რომ ვერ მოვისაზრე, ვიღაც გვერდით მდგომს სიგარეტი ვთხოვე, თუმცა არ ვეწეოდი. მაგრამ ისიც ცხადად ვიგრძენი, რომ გულზე მომეშვა, შვებით ამოვისუნთქე და მართლაც დიდი სიამოვნებით, ერთგვარი სიხარბითაც გავაბოლე მოწოდებული სიგარეტი, ისე რომ მარკისათვის არც კი დამიხედავს. მიგიქცევიათ, ალბათ, ყურადღება: ზოგჯერ ერთბაშად, ხშირად მოულოდნელადაც კი, მოგეძალება კაცს ვისიმე ან რისიმე სიყვარული და სითბო. სწორედ ამგვარი გრძნობით გავხედე კიბეზე ამავალ ქალს და... „ალბათ, ადრე არ შემიმჩნევია!“ — გავიფიქრე გაოცებულმა: მედეა ბებიას თმა სულ მთლად გასთეთრებოდა და ეს სითეთრე ნათელივით ადგა თავზე.

დაუფარავი მღელვარებითა და დაჟინებით დავაკვირდი ეზოში შეგროვილთ...

— აბა, რას მოგიტანს სიკეთე?.. რამდენი კაცის ხორცის მჭამელი დადის ქვეყანაზე, არასოდეს თავი რომ არ წამოსტკივდება ისე, ხოლო... — ჩვეული სითამამე დაბრუნებოდა ანდროს ხმას.

რაც უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს, ადამიანები ძალზე ცუდად ეგუებიან დუმილს. ჰოდა, რა თქმა უნდა, ეზოში მდგომნი სწორედ ამიტომ შეიკრიბნენ ანდროს გარშემო თანდათანობით.

●

...და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, ცხოვრების კიდევ ერთი ეტაპი რომ გაევლო სოფელს, რომელიც ამჟამად ქალაქად აღინუსხებოდა (თუ ქალაქს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სოფლად იწოდებოდა), მოგვიანებით, ერთ შაბათ საღამოს მივხვდი, ეს მაშინ მოხდა, სასაფლაოდან კვლავ გულამოსკვნილი მოთქმა-გოდება რომ მომესმა. მაშინ გავიცნობიერე მთელი სეიროზულობით, თუ რას ნიშნავდა ანდროს იმდღევანდელი წამოძახილი. იმდღევანდლამდე „მტერი“, რომელიც სასაფლაოს მხრიდან მოსდგომოდა ქალაქს, თითქოს შორიდან ზვერავდა აქაურობას, შორიდან გვისინჯავდა ძალას, შორიდან გვცდიდა, და აი, ამ მცდელობას თავისი ნაყოფი გამოეღო, ციხე შიგნიდანაც გამტყდარიყო, „მტერს“ თითქოს შიგ თა-

ვისი „მეციხოვნეები“ ჩაეყენებინოს... ამჟამად უკვე შვილდალუპული დედის მოთქმა მწარე გულისტკივილად კი არ ეფინებოდა, მუქარასავით იჭრებოდა სოფელში. ამავე დროს, თითქოსდა კიდეც გვადანაშაულებდა, თან ნიშნსაც გვაგებდა: აბა, რა გეგონათ, უკვალოდ ხომ არ უნდა ჩაევლო ამდენ მოთქმასა და ჩივილსო!

ასე რომ ანდროს მაშინდელმა ნებსით თუ უნებლიეთ წამოძახილმა თურმე კიდევ ერთ რამეს დაუსვა წერტილი და ამავე დროს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთ რამეს ჩაუყარა საფუძველი. თუმცა უფრო ობიექტური იქნება, ალბათ, ვთქვათ: თავად ანდროს არც წერტილი დაუსვამს და არც რამე დაუწყია — ეს არ ხელეწიფებოდა არც მას და არც რომელიმე სხვა თანასოფლელს, უბრალოდ, ანდრომ თავისდა უნებურად, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არცთუ მთლად საჩინოდ, მაგრამ მაინც დააფიქსირა, გამოამზეურა ის შინაგანი ექსცესები, სოფლის სულში რომ დუღდა ფარულად. ანდროს აქ, ალბათ, იმაზე მეტი დანაშაული არც მიუძღოდა, ვინემ, ვთქვათ, მეომარს, რომელიც, მისდა ბედად, იმ ხეს ამოეფარა, რომელსაც უნდა მოხვედროდა ყუმბარა, ანდა, შეიძლება ითქვას, არც იმაზე მეტი როლი შეუსრულებია ამ ამბავში, ვინემ კაცს, რომელმაც ლატარიის ბილეთი იყიდა და მერე ამ ბილეთს დიდი მოგება ერგო წილად... დიახ, სწორედ რომ ანდროს ერგო. თუმცა, რა თქმა უნდა, არც ის უნდა დაუკარგო მეომარს, რომ მაინცდამაინც იმ ხეს ამოეფარა, ანდა მოთამაშეს — ის, რომ მაინცდამაინც იმ დღეს, იქ და ის ბილეთი იყიდა. ასე იყო თუ ისე, დრო თვალშეუვლები სისწრაფით მიჰქროდა. რაღაც ახალი მოდიოდა და ძველის ადგილს იკავებდა, თუ ძველი მიდიოდა და ახალს უთმობდა ასპარეზს. გინდოდა თუ არ გინდოდა, ნებსით თუ უნებლიეთ, ყველანი ამ შეუჩერებელი ქროლვის შუაგულში ვტრიალებდით, უკლებლივ ყველას თითქოს თავისი ფუნქცია, თავისი როლი ჰქონდა და დროის ამ მძლავრ მდინარებას ისევე ვერავინ დააღწევდა თავს, როგორც მოულოდნელად ადიდებულ და მოვარდნილ მდინარეს. ეს ერთხელ კიდევ ნათლად გავიცნობიერე ანზორ ბალათურიას ბიჭის ქორწილის დღეს.

იმ ქორწილში მე, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოვხვდი. ამ ბოლო დროს, რაც, ჯერ იყო და, ერთ-ერთი ქარხნის მშენებლობის უფროსად დამნიშნეს, ხოლო შემდეგ სამმართველოში კომბინატის მშენებლობის მთავარ ინჟინრად გადამიყვანეს, სიტყვებმა „სამუშაო საათი“, დაკარგა თავისი ნამდვილი მნიშვნელობა ჩემთვის. რაღაც უნდა დაგვჭდომოდა, წარმოუდგენლად მოკლე ხანში აუცილებლად უნდა ჩაგვებარებინა რამდენიმე ობიექტი, თანაც, „ცხადია“, წინა ხელმძღვანელთა შეცდომებიც უნდა გამოგვესწორებინა მშენებლობის ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა გიზო მაისურაძემ გამომშვიდობებისას კაბინეტში, რომელიც, როგორც მაშინ მომეჩვენა, თანაბრად გვეკუთვნოდა, მეც და მასაც, ირიბად შემომხედა და მითხრა: „ახლა, ცხადია, თქვენ წინა ხელმძღვანელების, — აქ ხელით გაურკვეველი ჟესტი გააკეთა, — შეცდომების გამოსწორებაც მოგიხდებათ! ასეა ეს ცხოვრება მოწყობილი!.. — ორივე ხელი გაშალა და სახეზე გაოცება აისახა. — რატომღაც წინა ხელმძღვანელები მუდამ უშვებენ შეცდომებს და მომდევნოებს მუდამ უხდებათ მათი გამოსწორება! — ამ ბოლო სიტყვების წარმოთქმისას ხელები მაღლა ასწია და საკმაო ხანს უყურებდა, თუ როგორ აღებდა და ხურავდა პირს მტევნისა და თითების თავისებური კომბინაციით კედელზე გაჩენილი ძაღლის ჩრდილი. — და მაინც, ჩემო ძმაო, ქარავანი თავისი გზით მიდის.!.

მშენებლობა დამკვრელურად გამოაცხადეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღეში ათასი კაცი ჩამოდიოდა და მიდიოდა. მთლად ისე როდი იყო საქმე, მაისურაძე ირონიულად ნათქვამს მიღმა რომ გულისხმობდა: დღისა და ღამის გასწორებამ, გონებისა და ძალის დაძაბვამ, ცალკერძ კიდევ ნერვების წეწვამ მოგვიწია, მშენებლობის საჭირო ტემპისათვის რომ მიგვეღწია. გარდა ამისა, ამგვარი გრანდიოზული ობიექტის პროექტირებისა და მშენებლობისათვის საჭირო გამოცდილების უქონლობის გამო, აუცილებელი გახდა პროექტებში მთელი რიგი ცვლილებების, კორექტივის შეტანა. ერთი სიტყვით, ეს იყო ის პერიოდი, როდესაც, ნათელას თქმით, „ოჯახისათვის აღარ ვარსებობდი“, ოჯახის წევრებთან ერთად დასასვენებლად სადმე წასვლა, თუნდაც შაბათს ან კვირას, აუხდენელი ფუჭი ოცნება გახდა, კინოზე და კონცერტზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია! ის კი არა, „ნორმალური ოჯახის კაცს“ (ცხადია, ნათელას ტერმინია) „დაუწერელი კანონის“ მიხედვით აუცილებლად რომ ევალებოდა, ისეთ შემთხვევებზეც, ვთქვათ, მეგობრის დაბადების დღეზე, ახლო ნათესავის ქორწილში ან თუნდაც სამძიმარზე მისვლასაც კი ვერ ვახერხებდი.

ანზორ ბალათურიას შვილის ქორწილში მისვლა, კაცმა რომ თქვას, სულაც არ მევალებოდა. მართალი გითხრათ, არც გამიგია, ცოლი რომ შეირთო. მაგრამ, ერთ შაბათს საღამოს, მოულოდნელად კაბინეტის კარი გაიღო და განყოფილების გამგეებთან ერთად, ნახაზებში ჩაფლულს, თავს წამოადგა ინსტიტუტის მეგობარი, ჟურნალისტი გურამ სიხარულიძე, საკდესის კორესპოდენტი საზღვარგარეთის რომელიღაც ქვეყანაში. გურამი ბალათურიებს ახლო ნათესავად რგებია, ბიჭვინთაში ი[illegible]ვენებდა თურმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორის შვილის ქორწილის ამბავი შეეტყო და ჩამოსულიყო.

დანიშნულ დროს საათნახევარი გადავაცილეთ და მაინც აღმოჩნდა, რომ ადრე მივსულიყავით. „მაყრიონმა დაიგვიანა, ბატონო!" — მოგვიბოდიშა ანზორმა და ოდაში აგვიწვია. ჩვენ ეზოში ყოფნა ვარჩიეთ.

სამზადის გასწვრივ გრძელი სუფრა გაეშალათ, და ყვავილებითა და ხალიჩებით ლამაზად მოერთოთ. მოსაწვევზე აღნიშნული დროის მიუხედავად, სუფრის გაწყობა ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ. „ამხელა სუფრა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს" — ხმამაღლა გაიოცა გურამმა, რაც სიამოვნებისაგან წამოჭარხლებულმა მასპინძლებმა თავისებურად შეიფერეს.

შევამჩნიე, სუფრის გაწყობას ჩემთვის უცნობი, დაახლოებით საშუალო ასაკის ქალი უძღვებოდა. ამან გამაოცა და, როცა ანდროს მოვკარი თვალი, ყოველგვარი განმარტების გარეშე ვკითხე:

— მედეა ბებია ავად ხომ არ არის? — თან შევეცადე გამეხსენებინა, როდის ვნახე მედეა ბებია უკანასკნელად. ვერ გავიხსენე, მაგრამ მართალი გითხრათ, სინდისის ქენჯნა არ მიგრძვნია, რადგან, როგორც უკვე უთქვი, ამ ბოლო ხანს ძალზე გადატვირთული ვიყავი სამსახურებრივი საქმეებით.

მომეჩვენა, რომ ჩემს შეკითხვაზე ანდრო რაღაც უხერხულად შეიშმუშნა.

— არა, ავად არ არის! — მიპასუხა ძლივ შესამჩნევი ენის ბორძიკით. მერე, თითქოს თავს სძლიაო, გაიცინა და თქვა, — მაგას რა მოერევა, ეშმაკთანაა წილნაყარიო! — ანდრო კვლავ „თავის სტიქიაში" იყო.

კილომ, რომლითაც ეს ბოლო სიტყვები თქვა და ნაძალადევმა ღიმილმა უნებურად ის დრო გამახსენა, როცა მე ანდროს მეზობელთან მქონდა დაქირავებული ოთახი და თითქმის ყოველ საღამოს ვისვენებდი ანდროს სახლის წინ გაშლილ, მინდორზე მდგარი გასაოცრად დიდი თუთის ხის ჩრდილში, თან მედეა ბებიას ვუსმენდი. „კარგი რა, ნუ გაუწყალე ამ პატიოსან კაცს გული შენი ტყუილ-მართლის მოყოლით!.. — ცხადად წარმომიდგა, თუ როგორ წარმოსთქვამდა ანდრო ამ სიტყვებს, თუ როგორ მშურდა მაშინ მე მისი, რადგან ამ სიუხეშემდე მისულ სითამამეში ზღვარდაუდებ სიყვარულს ვკითხულობდი. სწორედ ასეთი განცდა მერე, დიდი ხნის მერე, ერთხელ კიდევ დამეუფლა, მაგრამ ეს იყო ინსტინქტურად, სანამ რამეს გავიაზრებდი. შეიძლება ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს იყო სწორედ იმ დღეს, ანთიმოზ ქადარიას ბიჭის დალუპვის შეცხადების დღეს, როცა შემთვრალმა ანდრომ მთელი სოფლის მაგივრად ამოიოხრა: სამართალია, კაცო, ახლა ესო... ანდროს ეს ნაძალადევი ღიმილი და ერთგვარად პირველყოფილი სითამამე, როგორც უკვე ვთქვი. იმ მდიდარი კაცის სითამამეს მაგონებდა მუდამ, რომელიც სიღარიბეზე წუწუნებს ხოლმე. ახლაც თითქოს ასე მომეჩვენა, მაგრამ, უცბად ვერ კი გავიცნობიერე, რატომ და, ამჯერად ამან რაღაცით გამაღიანა, რაღაცით გამაბრაზა კიდეც, და ანდროს მეუღლეს, რომელიც უცბად დაბარებულივით გამოჩნდა სეფის შესასვლელთან, მისალმებისთანავე მედეა ბებიას შესახებ ვკითხე:

— შინაა, ბატონო, — მიპასუხა, — რა დროს ჩემი ქორწილებში სიარულიაო, ამბობს!

— რატომ? — ვთქვი ჩემდა უნებურად, რადგან ვერაფერი მოვიფიქრე, მეთქვა.

მედეა ბებიაზე ფიქრი ვერ მოვიშორე. ზოგჯერ ვინმეს მივამსგავსებდი და გული უცნაურად შემიტოკდებოდა. თითქოს რაღაც მაკლდა, რაღაც აკლდა ქორწილსაც — ამ საერთო მხიარულებასა და სიხარულს. ხან ისიც კი მეჩვენებოდა, ვითომ სხვაგან, უცხო გარემოში, უცხო ხალხში მოვხვედრილიყავი და ეულად, მარტოდმარტო, თან ერთგვარად უხერხულადაც ვგრძნობდი თავს.

ეს განცდა ვერც ღვინომ გამინელა. როგორც ხშირად მემართებოდა ხოლმე ასეთ დროს, ოდნავ შევთვერი თუ არა, ყველა სატკივარსაფიქრალი — წარსულიც, აწმყოც და მომავალიც — ერთად შემომეჯარა. მართალი რომ ვთქვა, ერთგვარად მშურს იმ ადამიანებისა, რომლებიც თითქოსდა ღვინოს იმიტომ ეძალებიან, რომ წუხილი განიქარვონ, დაივიწყონ. დიდი ხანი იყო, წვეთი არ დამელია და, როგორც ჩანს, ამიტომ — თითქმის პირველივე ჭიქიდანვე დამეწყო „ავადმყოფობა" (როგორც ირონიულად ვუწოდებდი ხოლმე გუნებაში). სევდა იყო, რაღაც თავისთავადი, აზრჩაუვლები და ამოუხსნელი. ვატყობდი, რომ თანდათანობით ერთ ადგილზე ჯდომა, გაჩერება მიჭირდა, მაგრამ ვერც ის გამერკვია რა მინდოდა, რა მსურდა, საითკენ მეწეოდა გული.

— შენ ყოველთვის მშენებლობაზე ნუ ფიქრობ, დალიე და გამხიარულდი ცოტა! იცოდე, ხანდახან ესეც საჭიროა ცხოვრებაში! — მითხრა გურამმა და მოულოდნელად ბიჭვინთაში ერთად დასვენება შემომთავაზა. — მართალი გითხრა, ცუდად გამოიყურები: ავადმყოფი ეგონები კაცს... შენი შემცვლელი ვინაა, თორემ საქმისთვის ათასი გამოჩნდება!.. არა ხარ მართალი: ჩვენ ლოზუნგი შესანიშნავი გვაქვს — „ყველაფერი ადამიანისათვის!" და არა პირიქით. მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო ხშირად სწორედ ადამიანი გვავიწყდება. ვკითხულობ ხანდახან ამ ჩემი კოლეგების წერილებს და გაოცებას ვერ ვმალავ: მათს ნაწერებში ადამიანები წარმოების დანამატებად ჩანან... როგორ აგიხსნა?.. აი, მაგალითად, მათ იმაზე მეტი წონა არა აქვთ, რამდენიც, ვთქვათ, კოქსს — თუჯის გამოდნობისათვის.

...ჩვენ უკვე ქალაქის ქუჩაში მივდიოდით. სასტუმრომდე, სადაც ისურვა ღამის გათევა გურამმა, ფეხით გასეირნება ვარჩიეთ. ლამპიონების შუქით განათებული ქუჩა პირქუშად გამოიყურებოდა. სახლების ფანჯრებში აქა-იქ ენთო სინათლე. კარგა ხანი იყო, ქალაქში ფეხით არ გამევლო და ახლა ისეთი განწყობა დამეუფლა, თითქოს სხვაგან დიდი ხნის ყოფნის შემდეგ ისევ ჩამოვედი აქ. რა თქმა უნდა, ბევრი რამ ახალი ავაშენეთ, — ამის უარყოფა არ შეიძლებოდა, მაგრამ ახლა, ამ შუაღამისას, მივხვდი, რომ მე ამ ნაგებობებს ვუყურებდი როგორც გეგმაში შეტანილ რიგით ობიექტებს, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩაგვებარებინა დათქმულ ვადებში. მაგრამ ახლა, როცა გურამთან ერთად მივდიოდი ქალაქის ქუჩებში (გურამს ხომ თითქმის მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი და ბევრი რამით ვერ გააოცებდი), რაღაც ახალმა გრძნობამ გაიღვიძა ჩემში, რაღაც ახალი კუთხით გამოჩნდა ყოველივე ეს: თითქოს ყველაფერი იყო, ყველაფერი გვქონდა, რაც თანამედროვე ქალაქს სჭირდებოდა და რითაც შეიძლებოდა, ვთქვათ, თავი მოგვეწონებინა, მაგრამ რაღაც აკლდა ყოველივე ამას, რაღაც... თითქმის ყველაფერი უსულოდ იყო დახვავებული მიწაზე, თითქოს არ სუნთქავდნენ. ტიპიური სახლები, ტიპიური კულტურის სასახლე, ტიპიური კინოთეატრები, ტიპიური სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები, ტიპიური სასწავლებლები, საავადმყოფო, ტიპიური სპორტული კომპლექსი, ტიპიური ქუჩები, სკვერები, ტიპიური განათება... თითქმის ნამეტნავად ჩაზრდოდნენ მიწას, დამძიმებულიყვნენ და მხრები ჩამოეყარათ. სადღა იყო ჩვენი, აქ მცხოვრები ადამიანების, თუნდაც ჩვენი თაობის, სული და აღმაფრენა?! ნუთუ ჩვენთან ერთად უკვალოდ გაქრებოდა ის?! სულ ცოტა ხნის წინათ აქ გაუვალი ჭაობი და ჯაგები იყო და მაინც ამ შუაღამისას უთქმელ ბრალდებასავით გამოიყურებოდა აქა-იქ ჩამქრალი და ჩალეწილი ფარნები, გაწყვეტილი და ჩამოკონწიალებული მავთულები, აყრილი ტროტუარი, ქუჩებში გაჩენილ ორმოებში ჩაგუბებული წყალი, უსუფთაო არხები, გადაჩიჩქნილი და არასაკმარისად მოვლილი სკვერები, დროზე შეუსხლავი ნარგავები, შენობათა დაუხვეწავი ფასადები, მოუწყობელი სადარბაზოები... რაღაცნაირად ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ ალაგ-ალაგ ბათქაშშემოცლილ და ნესტის გამო დალაქავებულ კედლებს მიღმა ეძინათ ადამიანებს, რომლებსაც ხვალ, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ჩვენი ქალაქის ცხოვრების ყველაზე აქტუალური საკითხების გადაწყვეტა მოუწევდათ...

— ...მთავარი ცხოვრებაშიც და აზროვნებაშიც ობიექტურობაა, — ამბობდა გურამი. — გვიან დაბადებულიცა და ადრე დაბადებულიც ერთნაირად სასაცილო და საცოდავია. მთავარია, დროის სუნთქვა შეიგრძნო და შეესისხლხორცო, უკიდურეს შემთხვევაში, გარეგნულად მაინც აუწყო ფეხი... შენისთანები, მაგალითად, ვისაც საკუთარი თავისათვის ერთკვირიანი დასვენებაც არ გემეტებათ და თუნდაც თვეებს გაათენებთ არა მარტო ამ ქარხნების, არამედ ნებისმიერი წვრილმანი საქმისთვისაც, თუკი ხელს მოჰკიდებთ, — სამუდამოდ ხელქვეითობისათვის ხართ განწირულნი. „წარმოებაში მეორე კაცი!“ — ესაა, ჩემო ძმაო, ამ ცხოვრებაში თქვენთვის უმაღლესი წერტილი თანამდებობრივი კარიერის გზაზე (ამ სიტყვის კარგი გაგებით, რა თქმა უნდა). პირველი ადგილი თქვენთვის ჯებირია, ამ ჯებირს მიღმა მიმავალი გზისკენ, ან — ადგილი, სადაც შეიძლება შეგაყოვნონ დროის მოგების მიზნით. და ეს იმიტომ, ჩემო ძმაო, რომ თქვენი პატიოსანი სინდისი საშიშია არა მარტო თქვენთვის... თქვენ კი ეს ვერ გაგიგიათ, ვერ მიმხვდარხართ! ხედავ, ჩვენც, ვინც ბიჭვინთაში და სხვაგანაც დიდი სიამოვნებით ვისვენებთ, მაშინ, როცა მოგვეგუნებება, ჩვენი უპირატესობა გვაქვს! კერძოდ, ის ჩვენ თავად გვეშინია, ჩვენი მოდრეკა ყოველთვის შეიძლება, ყოველთვის, როცა ამას საჭიროდ ჩათვლიან!..

სასტუმროდან გამოსულს, სევდა უფრო მომეძალა. ეული კაცის განცდა გამიმძაფრდა, მაგრამ სახლისაკენ გული არ მიმიწევდა. ალალბედზე დავადექი გზას. რატომღაც იოანე უბილიას სახე ამოტივტივდა გონებაში და ვერა და ვერ მოვიშორე „ნეტავი სად არის, ეს კაცი, რასა იქმს?!“ — გავიფიქრე. უცნაური ხმები დადიოდა ამ ბოლო დროს მასზე: მთელი დღეები ოთახშია ჩაკეტილი, გარეთ. იშვიათად გამოდისო, ოთახში კიდევ არავის უშვებს, მის ცოლსაც კი არა აქვს დაუკითხავად შესვლის ნებაო; ქუჩაში ვერავის ცნობს, არავის ესალმება და ხმასაც არავის სცემსო; მოკლედ, გამოჩერჩეტდა ბერიკაციო; მაგრამ უფრო საოცარი ის არის, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ოდნავადაც ვერ გააცურებ, კაპიკი რომ კაპიკია, ვერც იმაში მოატყუებ ამ „გამოჩერჩეტებულ“ ბერიკაცსო. „ეჰ, იოანე, იოანე! — გავიფიქრე და მოულოდნელად სიბრაზე დამეუფლა: — რატომ უნდა ვზიდო მე ყველას ცოდვა-მადლი?! ყველას ჯანდაბამდეც ჰქონიათ გზა! განა ჩემი დარდი არ მეყოფა?!“ და იმწუთშივე, გამოფხიზლებულივით: „ჰმ, დავთვერი, მე მგონი!“

შევდექი და მივიხედ-მოვიხედე. უცბად რაღაც გაუცნობიერებელმა ტალღამ დენივით დამიარა ტანში: „ეს სად მოვსულვარ?“! — გავიოცე. თუმცა უფრო ზუსტად, კი არ გავიოცე, დაბნეულად შევეკითხე იმას, ვინც თითქოსდა ჩემთან ერთად იყო ჩემში, და ვისაც ჩემგან დამოუკიდებლად მოვეყვანე აქ, „...იქ, ახლა ცხრასართულიანი სახლი რომ დგას, პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ სართულზე გასტრონომი რომაა... საოცარი მჩხავანა იყავი. აი ამ ხელებით მეკავე და საშინლად ღნაოდი... იქ იდგა გეოლოგების სახლი, სადაც ცხოვრობდნენ შენი მშობლები. იმ სახლში დაიბადე შენ!..“

თითქოს რაღაც განსაკუთრებული, გარდამავალი წუთი დამდგარიყო და ამ დიდი ხნის წინათ ნათქვამი სიტყვების ძალით აღვსილიყო იგი. და მე, ვისაც თითქოსდა არც მედგა მიწაზე ფეხი და არც ვგრძნობდი ტანის სიმძიმეს, რადგან მთლიანად ამ სიტყვებში გავმთლიანებულვიყავი, ამ სიტყვებად ვქცეულვიყავი, — ვცდილობდი წარმომედგინა „ის ვიწროფანჯრებიანი, ბორბლებზე შემდგარი სახლი“, ცადაზიდული ბუმბერაზი ხეები, და — მდელო, სადაც პირველი ნაბიჯი გადავდგი, სადაც პირველად დამიცდა ფეხი, წავიქეცი თუნდაც, პირველად გავიტეხე ცხვირი... ახლა ყოველივე ამას განსაკუთრებული, ამაღლებული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ, როგორც მერე ვფიქრობდი, იმდენად ცხადი და რეალური იყო ის, რასაც ვხედავდი, რასაც შევყურებდი — ეს ცხრასართულიანი სახლი, ეს გასტრონომი, ვიტრინები, გასტრონომის კუთხეში დახვავებული ბოთლები... — რომ, როგორც ჩანს, არ მეყო შინაგანი ძალა, რათა თუნდაც გუნებაში ამეღო ეს უზარმაზარი შენობა მიმდებარე ასფალტისა და ბეტონის მოედნიანად და მის ადგილას ის ძველი სახლი, ათასწლოვანი ხეები და მწვანედ მობიბინე მდელო დამებრუნებინა. თუმცა, ვისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას? ანდა რა უფლება მქონდა, თუნდაც ფიქრში მეთქვა უარი იმაზე (თუნდაც ცხრასართულიან სახლზე), რაც, ვინ იცის, რამდენი ადამიანის ბედნიერების მიზეზი გამხდარიყო. დავაკვირდი: არც ერთ ფანჯარაში არ ენთო მკაფიო შუქი. მშვიდად ეძინათ...

— რომელი ხარ შენ! — დამჭექა უცბად ვიღაცამ და ქურდობაზე წასწრებულივით შევკრთი. ინსტინქტურად ორიოდ ნაბიჯიც კი გადავდგი, მაგრამ იმავე ხმამ ადგილს მიმაჯაჭვა: — არ გაინძრე, თორემ გესვრი!

თოფმომარჯვებული მოხუცი გაუბედავად მომიახლოვდა და ჩემზე უფრო დაფრთხა, როცა მიცნო. „მაპატიეთ, თქვენი ჭირიმე, დავბერდი კაცი, — ძალზე შეწუხებული და დარცხვენილი ჩანდა. მე ხუმრობა ვცადე:

— საპატიებელი მაშინ გექნებოდათ, რომ ვერ დაგენახეთ. ახლა კი პირიქით: მადლობა უნდა გამოგიცხადოთ მშენებელთა სახელით — ფხიზლად იცავთ ჩვენს ქონებას!

ხუმრობით კი იყო ნათქვამი, მაგრამ მაინც ქება იყო და წამსვე ისიც შევტყო, რომ ესიამოვნა.

— თქვენ ჩემზე უკეთ იცით, ბატონო, — სითამამე გაერია ხმაში. — აქ ჩემზე წინ ყარაულად პეტრე მუშაობდა. რიგვავა. პეტრეს რომ ის ამბავი შეემთხვა, იმის შემდეგ კაცი კაცს როგორ უნდა ენდოს? — ჩემდა გასაოცრად, უხერხულად ვიგრძენი თავი იმის გამო, რომ არც პეტრე რიგვავას ვიცნობდი და არც ის ვიცოდი, რა შეემთხვა. უფრო კურიოზული ის იყო, რომ ვერც ვკითხავდი: მისი აზრით, მე ყველაფერი უნდა მცოდნოდა (აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა?) და ამგვარი შეხედულება უმნიშვნელოდ როდი მბორკავდა. — ასეთი ამბავი, თქვენ ხართ ჩემი ბატონი და, სხვასაც, ვინც გაიგონებს, იმასაც აფუჭებს: ოდნავ შეღამდება თუ არა, როცა აქ საყარაულოზე ვდგავარ, კარის მეზობელიც რომ იყოს, იმასაც ვერ ვენდობი. ვდგავარ, ველაპარაკები და... ერთი სული მაქვს, სანამ წავა. წავა და, შვებით ამოვისუნთქავ. გაფუჭებული ვარ, რა ვარ, აბა?!. აგერ ახლაც! დიდი ხანია გითვალთვალებთ: მოდის კაცი, იხედება აქით-იქით, ჩერდება და მაღაზიის ვიტრინას დაჟინებით აცქერდება. რა გინდა, რომ ქნა?!

— უკაცრავად, აქ რომ უწინ სახლი იდგა, ის სახლი თუ გახსოვთ, ანთიმოზ ბატონო? — ვკითხე.

— როდის იყო ეგ? დამაყურადა.

— მშენებლობის დაწყებამდე!

— მშენებლობის დაწყებამდე, შენ ხარ ჩემი ბატონი, აქ გეოლოგებს ედგათ ვაგონები და ისინი ცხოვრობდნენ, თორემ სახლი არავისი იდგა.

— იმ ვაგონებში ვინმე ბავშვიანი ოჯახი ხომ არ ცხოვრობდა, ხომ არ გახსოვთ? — ვთქვი და საკუთარი გულის ძგერა ჩამესმა.

— ბავშვი, შენ ხარ ჩემი ბატონი... — მოხუცმა კეფა მოიფხანა და საკმაო ფიქრის შემდეგ მიპასუხა: — ბავშვს რაღაც ვერ ვიხსენებ... ბავშვი?.. — გაიმეორა და ისევ მოფხანა კეფა. — მე, შენ ხარ ჩემი ბატონი, მდინარის გაღმა ვცხოვრობ, ნაწისქვილართან. მამაჩემი მეწისქვილე იყო, გაგონილი გექნებათ, დურუ ერქვა სახელად!.. ბავშვები კი, შენ ხარ ჩემი ბატონი... როგორ გითხრათ... აქვე ახლოს ბუჩქის სათამაშო მინდორი ჰქონდათ, მთელი სოფლის ბავშვები აქ იკრიბებოდნენ... პატარა ბავშვი? რა ვიცი... როგორ გითხრათ: ყველა ბავშვი პატარა არაა ჩვენთვის?..

მოხუცმა რომ ვერ გამიხსენა, გული დამწყდა, ისეთნაირი განცდა დამეუფლა, როგორც ოდესღაც, როცა კლუბში ფილმს მოიტანდნენ და შუა ჩვენებისას სინათლე ჩაქრებოდა ან აპარატი გაფუჭდებოდა (თუმცა, მართალი გითხრათ, კი არ მახსოვს, სად ხდებოდა ეს). უცბად საოცარი დაღლილობა ვიგრძენი და, როცა ქუჩის ბოლოდან მანქანის ფარებმა გამოაშუქა, სწრაფად გამოვეთხოვე დარაჯს და გზაზე გავედი.

— შინ მიგიყვანოთ? — მკითხა ახალგაზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ და ახალმოკიდებული სიგარეტი ფანჯრიდან მოისროლა.

მანანა

რაც უნდა გვიან დავიძინო, მაინც დილით ჩვეულ დროს გამეღვიძება ხოლმე. ინსტინქტურად წამოვდექი, ასევე ინსტინქტურად რამდენჯერმე ჩავბუქნე, ინსტინქტურად დავიბანე და გავიპარსე პირი. ამ ხნის განმავლობაში სადღეისო გეგმებს ვაწყობდი და ვაანალიზებდი გონებაში. თან მეჩვენებოდა, რომ სულ რაღაც მავიწყდებოდა.

— მედეა ბებიას თუ ხვდები ხოლმე? — ვკითხე საუზმობისას ნათელას. მისი გაოცებული მზერა რომ შევამჩნიე, გუშინდელი ამბავი მოვუყევი.

— მე რომ მკითხოს კაცმა, მაგისთანა შვილის გაზრდას, სულ რომ არ გაზარდო ის სჯობია!.. — მოულოდნელად გაკაპასდა ნათელა და ახლა მე შევხედე გაოცებით. — როგორი საქმეა, კაცი გაყვედრიდეს, ისიც — საკუთარი შვილი, რატომ არ კვდები ამდენ ხანსო?!

— ეს როგორ?! — რაღაც სასწაულის მოლოდინში უნებურად ტანზე ბუსუსები დამასხდა.

— სვამს, სულ გალეშილი დადის!..

— ვინ, კაცო?! — მთლად დავიბენი. მარცხენა ხელით პირისახე მოვისრისე. კეფა და გამოუძინარი თვალები ყრუდ მტკიოდა. რაღაც მავიწყდებოდა...

— ვინ და შენი ანდრო! — ვერ მივხვდი, რატომ იყო ანდრო „ჩემი“, მაგრამ არაფერი მიკითხავს. — როგორც კი დალანდავს მთვრალი მოდისო, იმალება ის საცოდავი ქალი!

— კი მაგრამ, რა უნდა?! — გალიზიანება დამეტყო ხმაში.

— მიდი და ჰკითხე!.. — გამეცინა. თითქოს ისე გამოდიოდა, მე მაბრალებდა რატომღაც ამ ამბავს ნათელა. — შინ დაჯექი, სოფელ-სოფელ ნუ დადიხარ, თვალში ეკალივით ნუ ეჩხირები ხალხსო!

— მერედა, ისინი რას ამბობენ?.. აი, ისინი, ვისაც შენ „ხალხს“ უწოდებ, თუნდაც — მეზობლები?

— ჰმ, მეზობლები! — ნათელამ დოინჯი მოიყარა და გამომწვევად შემომხედა. — სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, ხომ გაგიგონია? მეზობლებს სეირის ყურება და მერე ამაზე ჭორაობა უფრო აინტერესებთ, ვიდრე სხვისი გასაჭირი. ხალხს სალაპარაკო მიეცი ოღონდაც და... განსაკუთრებით აუტანელი გახდა ანდრო მას შემდეგ, რაც მის შვილიშვილს ის ავადმყოფობა გაურთულდა. ექიმები ამბობენ, უოპერაციოდ ვერ გადარჩებაო. ყოველდღე სმაც მას შემდეგ დაიწყო.

— კი მაგრამ, მედეა ბებიამ რა დააშავა?!

— რა დააშავა! ის ბავშვი მაგის გაზრდილია, თორემ მის დედას ერთი დღე არ გაუცდენია სამსახური, ბებია კიდევ ჩაის კრეფდა. ანდრო ან მამამისი ხომ არ მიუჯდებოდა აკვანს!

— კარგი, მთვრალი მთვრალია, მაგრამ ფხიზელს ვერ შეაგნებინებენ?

— საქმეც სწორედ ეგაა! — რაღაც ნიშნის მოგებით მითხრა ნათელამ. — ფხიზელი ამბობს, არაფერი მახსოვსო. უფრო მეტიც, თუ ნასვამი არაა, ისეთი მოწიწებითა და რიდით ეპყრობა დედამისს, გაოცდები კაცი! მე მგონი, სწორედ ამის გამო უთმენს მედეა ბებიაც სიმთვრალისდროინდელ ხუშტურებს,

— ჰოო, არ არის მთლად კარგი ამბავი! — ვთქვი დასკვნასავით და წამოვდექი.

სარკეში ჩავიხედე.

გამოუძინარი, მოშვებული სახის დანახვამ გუნება უფრო გამიფუჭა. — მაშ შენ ამბობ, რომ ფხიზელი მოკრძალებით ეპყრობა, არა? — ეს უფრო კითხვას კი არა, გაოცების გამოხატვას ჰგავდა. ამიტომ ნათელას არაფერი უპასუხია. ისევ სარკეში ჩავიხედე და ჭაღარას, რომელიც ვინ იცის, როდის გამიჩნდა, ხელით შევეხე. — ჰოო... ჩვენც ვბერდებით!

პიჯაკი ჩავიცვი, მაგრამ სანამ ოთახიდან გავიდოდი, „ყოველდღიური“ ჩავიკითხე. თითქოს ყველაფერი წესრიგზე იყო — თანმიმდევრულად მქონდა ჩამოწერილი იმ დღის გეგმა. წინა ფურცელიც გადავათვალიერე, იქნებ გუშინ გამომრჩა რამე მეთქი.

●

მესამე ქარხანა ვადაზე ადრე უნდა ჩაგვებარებინა, გვაჩქარებდნენ, ამიტომ მშენებლობის ზოგიერთი ინჟინრული გადაწყვეტა ხშირად საჭიროებდა დაზუსტებას. მორიგ ოპერატიულ თათბირზე მშენებლობის ობიექტებისა და შესაბამისი სამსახურის უფროსების ანგარიშები მოვისმინე. ზოგიერთი რამ მოვიწონეთ, ზოგიერთზე ვიდავეთ, ზოგი შევაქეთ, ზოგიც გავკიცხეთ და ბოლოს, როცა უკვე ყველაფერზე ასე თუ ისე შევთანხმდით, მოულოდნელად ჩემდა უნებურად ჩაფიქრებით ვიკითხე:

— რამე ხომ არ გვავიწყდება?

შეჩერდნენ. ზოგიერთი მათგანი უკვე გამოღებულ კართან იდგა.

— რაზე ამბობთ მაგას? — მკითხა ოდნავი შეკრთომით მესამე ქარხნის მშენებლობის უფროსმა და მივხვდი, რომ ეგონა, ისეთ რამეზე მივუთითე გადაკვრით, რის გაკეთებაც დავიწყებოდათ ან ხარისხიანად არ შეესრულებინათ.

ნაძალადევად გავიცინე:

— კარგი, თუ რამე არ გვავიწყდება და ყველაფერი მოვაგვარეთ, მაგას რა სჯობია! მაშ მივხედოთ ჩვენ-ჩვენ საქმეებს!

ბაქანზე, სადაც ცვლის გადამყვან ავტობუსს ელოდებოდნენ ხოლმე, მუშები და უბნის უფროსები ვიღაცას გარს შემოხვევოდნენ, ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ართმევდნენ, ზოგიერთი დიდის ამბით კოცნიდა კიდეც. ფანჯარა გამოვაღე და დავაკვირდი.

— ეს ბიჭი ჩვენი გაზეთის რედაქტორი არ არის? — ვკითხე დისპეტჩერს, რომელმაც მყის დამიდასტურა. — კი მაგრამ, სად იყო, ასეთი შეხვედრა რომ მოუწყვეს?

— თქვენ, ალბათ, გუშინდელი გაზეთის წაკითხვა ვერ მოასწარით. მიპასუხა დისპეტჩერმა და შევატყვე, გაუხარდა, რომ ისეთი რამ უნდა ეთქვა ჩემთვის, რაც არ ვიცოდი. — ჩვენს რედაქტორს პრემია მიენიჭა!

— მართალი გითხრა, არ წამიკითხავს გუშინდელი გაზეთები! ვერ მოვასწარი! რისთვის მიენიჭა? ნარკვევებისათვის?

— არა, რომანისათვის!

— რომანისათვის?! — უფრო გამიკვირდა. — ჩვენი მშენებლობის შესახებ დაწერა?

— რა ვიცი... თითქოს ჩვენს მშენებლობაზეცაა, მაგრამ ამავე დროს არცაა ჩვენს მშენებლობაზე...

— წაგიკითხავს?

— საკუთარი მწერალი გვყავს და როგორ არ წავიკითხავდი?! — გაოცებანარევი ალტაცებით მითხრა დისპეტჩერმა. ერთი წამითაც არ დაფიქრებულა იმაზე რომ მის ამგვარ პასუხს შეიძლება უხერხულობაშიც ჩავეყენებინე.

ქალაქის ქუჩაში ტექნიკურ მდივანს მოვკარი თვალი. მანქანა გავაჩერებინე და დავუძახე.

გაცისკროვნებული სახით მოირბინა, თან ამაყად მიმოიხედა ირგვლივ.

— საით მისეირნობ მეგობრებთან ერთად? — ვკითხე ღიმილით.

— კინოში მივდივართ. შესანიშნავი ინდური ფილმი მოუტანიათ!

— სიყვარულზეა? — მანქანის სარკეში შევამჩნიე, მძღოლსაც როგორ გაეღიმა.

— რა ვიცი! ალბათ, — გადაიკისკისა მანანამ და ისევ აქეთ-იქით მიმოიხედა.

— მანანა, — უცებ საქმეზე გადავედი. — ჩვენი გაზეთის რედაქტორს ჩემთან რამე წიგნი ხომ არ მოუტანია?

მანანა აილეწა, ხასიათი წაუხდა.

— იცით! თქვენ მივლინებაში იყავით... წიგნი მოიტანა... — დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ისე გაწითლდა, რომ ვინანე, რაღა მაინცდამაინც ქუჩაში შევეკითხე-მეთქი. — თქვენ მაინც მივლინებაში იყავით... მოდა, მანამდე მე წავიკითხავ-მეთქი... ტელევიზორში გამოვიდა ვიღაც კრიტიკოსი და ძალიან აქო... გაზეთებშიც წერდნენ... ერთი წუთით დავტოვე მაგიდაზე და ვიღაცამ მოიპარა. მე კი შემეშინდა, თქვენთვის მეთქვა...

— ნუთუ ასეთი უზურპატორი ვარ?! — ნაძალადევად გავიოცე და გავიცინე. ყურადღება მივაქციე იმას, რომ ამ ბოლო დროს ყველაფერს, ემოციებსაც კი, „ხაზენ მასალასავით“ (როგორც მაშინ გავიფიქრე) ვაპროგრამებდი, ვგეგმავდი — როდის რა იყო საჭირო.

მანანა აწრიალდა, თან ცალი თვალი თავისი მეგობრებისკენ გააპარა.

— მოგეწონა მაინც? — მართლაც ინტერესით ვკითხე, რაც მან იმ წუთშივე შეამჩნია და გათამამდა:

— რა ვიცი?.. მართალი რომ ვთქვა, მე პირადად არ მომეწონა. მოსაწყენი იყო. რამდენიმე ფურცელი ძლივს წავიკითხე!

გულწრფელად მითხრა...

— ეჰ, ჩემო მანანა, — ვუთხარი სწორედ ამ გულწრფელობის გამო. — ნუთუ არ გეჩვენება, რომ მე და შენ რაღაცით, თუმცა რაღაცით კი არა, რაღაც მნიშვნელოვანით ჩამოვრჩით ამ ცხოვრებას?

მანანამ ამჯერადაც გულწრფელად აიჩეჩა მხრები და შეღებილი წამწამები ააფახულა.

მე მანქანიდან ჩამოვედი:

— დაუძახე იმ შენს მეგობრებს. გივი მიგიყვანთ კინოთეატრთან! — მანანას სახე გაუნათდა. — მე აგერ შევივლი საბჭოში, საქმე მაქვს. შენ კი ხვალამდე თავისუფალი ხარ! — ეს უკვე მძღოლს ვუთხარი. — რა იქნება, ბოლოს და ბოლოს ჩვენც რომ დავისვენოთ, წავიდეთ კინოში, წავიკითხოთ წიგნი და გაზეთი? დაგვიჭერენ? დაგვიჭირონ, ბატონო!

ამ სიტყვებზე მანანას და მის მეგობრებს ხმამაღალი სიცილი წასკდათ (რაც, რატომღაც, როგორც მომეჩვენა, ზომაზე მეტად გამიხარდა) და მანქანაში ჩასკუპდნენ.

საქალაქო საბჭოში არაფერი საქმე არ მქონდა. რომც მქონოდა, არც არავინ იქნებოდა იქ დღეს. ქუჩა გადავჭერი, უნივერმაღს გვერდი ავუარე და გეზი ანდროს სახლისაკენ ავიღე.

## საქანელა

სახლის წინ ვრცელი მინდორი იდო. მინდვრის ბოლოს, თითქმის ზედ ჭიშკართან კომშის ხე იდგა, რომელსაც ცალ მხარეს უცნაურად დახლაკნილი ტოტები ოდნავ მოშორებით მდგარ ტყემალში ჩაეწნა. ეს თავისებური თალი თითქოს მიტომ შეექმნა ბუნებას, რომ მის შუა მუდამ, ზამთარ-ზაფხულ, ყოფილიყო ჩამოკიდებული ჯაჭვის საქანელა, რომელსაც, არ ვიცი, უფრო ბავშვების ანცობისაგან უტყდებოდა და ეცვლებოდა ხშირად საჯდომი ფიცარი, თუ დრო-ჟამის სრბოლისაგან. ეს საქანელა „იმ კაცს“ ჩამოეკიდა აქ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ანდრო ჯერ არც კი იყო დაბადებული და არავინ იცოდა, საერთოდ გაჩნდებოდა თუ არა ამქვეყნად. მაშინ არც ანდროზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი წლით უფროსი მისი ძმა იყო დაბადებული, ხოლო მთლად უფროსი, სამი ოთხი წლისა იქნებოდა, მაგრამ „პატარაც კი ისეთი გონიერი და მოხერხებული ყოფილა, რომ თუ მიუშვებდნენ, საქანელაზე კი არა, ყაბარდოული ჩერქეზის მიერ ნაჩუქარ წაბლისფერ ცხენზეც თამამად შეჯდებოდა“. წაბლისფერ ცხენს არაბია ერქვა. შუბლს თეთრი, უფრო სწორად, რძისფერი ხალი უმშვენებდა. ასეთივე ფერის ზოლები ჰქონდა შემოვლებული „კიტრის სარებივით“ წვრილ ფეხებზეც. „ასე, ჰა, ერთი მტკაველის გაწვდენაზე ფლოქვებიდან“. ამ ცხენით მოიტაცა „იმ კაცმა“ იმ ღამეს მედეა ბებია. ხელი რომ ჩაავლო და ზევით აიტაცა, მედეა ბებიას (იფიცებოდა) შიშისგან გული წაუვიდა, რადგან იფიქრა, შემთხვევით ხელი არ დაუსხლტდეს და იქ, მაღლა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაში, არ ამისროლოსო („სადღა არიან ახლა ასეთი ღონიერი ვაჟკაცები?!“) სწორედ ამ ცხენმა, არაბიამ, დააჭერინა ხელში ხანჯლები მედეა ბებიას ბოლმისაგან გაცოფებულ ძმებს იმ მთვარიან ღამეს. — ვიღაც გლეხის შვილმა როგორ გაბედა და ჩვენ, აზნაურისშვილებს, რომელთა დამჯაბნელი ამ მხარეში ჯერ არავინ გაჭაჭანებულა, დაია მოგვტაცაო. მაგრამ კაცმა რომ თქვას, ის ცხენი იყო თურმე აგრეთვე ოდნავი შვებაც და პირველი შუამავალიც. — ასეთი ცხენის პატრონი არც მთლად უბრალოდ ხელწამოსაკრავი იქნება, მით უმეტეს, თუ ასეთი რამ გაბედაო, — ეფიქრათ მერე ძმებს...

კომშის ხის ძირას, საქანელასთან, რაც თავი მახსოვს, მუდამ ფიცრის უზურგო გრძელი ძელსკამი იდგა.

ამ „საქანელაზე იყვნენ გაზრდილნი“ ანდროს უფროსი ძმები, თავად ანდროც, ანდროს დები და, რა თქმა უნდა, „მთელი სოფელი“ (თითქმის მაინც)... და, ვინ იცის, იქნებ, აქედან-იქამდე, სადაც ბორბლებზე შემდგარი სახლი იდგა, არცთუ ისე დიდი მანძილი იყო...

მაგრამ ეს ყველაფერი იყო ადრე და ისიც — მაშინ, თუ სკამის განაპირას მჯდომ ქალს დაუჯერებდით... დიახ, სწორედ რომ — თუ დაუჯერებდით... არადა, რა ცხადი იყო ადრე ყოველივე ეს, ყველა სინამდვილეზე უცხადესი და ჭეშმარიტი! ან რა იყო აქ დაუჯერებელი? რა თბილი ტალღა დაგივლიდა, როცა ეს ქალი მოყოლას დაიწყებდა, როგორ თანდათანობით გავსებდა თითქოს ამ ამბებიდან გამოსხივებული უხილავი ტალღები, როგორ გთიშავდა სინამდვილეს და იქ, იმ უცხო, ზღაპრულ, მაგრამ საოცრად მომხიბლავ და ჭეშმარიტ სამყაროში შეჰყავდი. მაშ რა ხდებოდა ახლა? სად გამქრალიყო ის ძველებური ხიბლი, სადღა იყო ის გატაცება და განცდა?

„ნუთუ ანდროს ერთადერთხელ ხსენება იყო ამის მიზეზი?“ — ვცდილობდი კითხვათა ლაბირინთში გარკვევას. ანდრო ხომ მუდამ სუსტი ადგილი იყო ამ ქალისა!

დამნაშავესავით ვარიდებდი თვალს და, უკვე ნაცნობ ტკივილს თავმინებებული, ბალახის ღეროს ვწიწკნიდი. და მაშინ, როცა კიდევ ერთხელ გავაპარე მზერა, რათა სახეში შემეხედა, უნებურად კაბის კალთიდან გამოჩრილი თეთრი ქსოვილის პერანგი დავინახე და არა შემკრთალმა, უფრორე — შეწუხებულმა კი არ მივხვდი, ერთბაშად ვიგრძენი: ამბავს სხვა ქალი ჰყვებოდა!

არა! ამის მიზეზი არ იყო ჭაღარა, თალხი თავშალიდან ბაცი ბზინვით რომ მოუჩანდა, არც დალარული სახე, არც წელში ოდნავ, მაგრამ მაინც შესამჩნევად მოღუნული სხეული, არც უღონოდ ჩამოყრილი მკლავები და დამჭკნარი ხელის მტევნები, რომლებიც უკვე, ვინ იცის, მერამდენედ კეცავდნენ და ისევ შლიდნენ გახუნებულ თავშალს (ერთი თავშალიც სკამის კიდეზე ისეთნაირად იდო, თითქმის მიწას აწვდებოდა ცალი ბოლოთი); ამის მიზეზი სულ სხვა რამ იყო, სულ სხვა რამ, რაღაც ისეთი, ისევე ცხადი და ნამდვილი, რომ გამხდარიყო ამ წუთას, როგორც მედეა ბებიას მიერ ადრე ათასგზის მოთხრობილი ამბები, მრავალნაირი შელოცვა და წამლები. ეს სიცხადე აგერ აქვე იყო, აგერ აქვე ტრიალებდა, აგერ აქვე ზიმზიმებდა ხეთა ტოტებსა და ფოთლებს შორის აელვარებულ მზის სხივებში: თითქოს ვეით ამ სიცხადეს ისუნთქავდი ასე სულის შემხუთველად და ოფლის მომწურავად, უფრო მეტიც — თითქოს ამ სიცხადეში, ცხელ სიცხადეში იყო გახვეული ყველაფერი, რაც ირგვლივ ჩანდა, სადამდეც მიგვიწვდებოდა თვალი...

მოძალებული ოფლისაგან შეწუხებულს („მაინც როგორ ცხელა, კაცო?!), ვერც ის გამერკვია, რა იყო, ან რა ჯანღაბა მემართებოდა, რომ მიუხედავად დიდი ცდისა, არ დამენახა, მაინც ეკალივით მესობოდა თვალში კაბიდან გამოჩრილი პერანგი. ამ დროს ზიზღის გრძნობა ისეთნაირად გაფაჩუნდებოდა სხეულში, თითქოს ეშმაკს სძინებოდა მუცელში და სწორედ იმ წამს შეტოკებულიყოს. ეს გრძნობა თავმოყვარეობას საშინლად მილახავდა, მაგრამ რაც უფრო ვცდილობდი მოშორებას, მით უფრო ცხადლივ ვგრძნობდი მას.

ლამის მრცხვენოდა. „ნუთუ მეც შევიცვალე?“ — გავიფიქრე და რაღაცნაირი დაძაბულობით უნებურად ხელზე დავიხედე: ნაოჭებს დავაკვირდი... ისეთნაირად დაძაბული ვუსმენდი (ეს რაღაც ახალი იყო ჩვენს ურთიერთობაში), თითქოს ვიღაცას ძალით დავესვი აქ და ვაეძულებინე ჩემი სურვილის გარეშე მეგდო ყური ამ მოხუცი ქალისათვის. სურვილის ადგილას რაღაც მოვალეობა გაჩენილიყო. არ ვიცოდი, რამდენ ხანს ვიჯექი აქ. საათი დამვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყებოდა! „აი თურმე რატომ მეჩვენებოდა სულ, რომ რაღაც მავიწყდებოდა“, — გავიფიქრე ამოუხსნელი სიხარულით — თითქოს ძნელი ამოცანა გადამეწყვიტოს. არც ის ვიცოდი, რამდენ ხანს უნდა ვმჯდარიყავი კიდევ და ხელში შემთხვევით მოხვედრილი ჩხირით მიწაზე უცნაური ფიგურები მეხაზა.

ხსნა მოულოდნელად მოვიდა: ჭიშკარს პიონერები მოადგნენ. მათ შორის შორენაც იყო, ჩემი ქალიშვილი. ეტყობა, ბავშვები არ მოელოდნენ ჩემს აქ ყოფნას, და, რომ დამინახეს, ყელზე შემოხვეული ყელსახვევებივით აუფერადდათ ლოყები, შემოყმანდნენ. შორენამ იყოჩაღა, რაღაც გადაულაპარაკა მეგობრებს და წინ წამოვიდა.

მედეა ბებიას შორენას მოსვლა, ქალებმა რომ იციან, ისე განსაკუთრებულად არ გამოუხატავს, უბრალოდ ყველას მისამართით თქვა: მოდით, მოდით, შვილებო, და მივხვდი, რომ შორენა მედეა ბებიას იშვიათი სტუმარი როდი იყო, ყოველ შემთხვევაში — სულ ცოტა ხნის წინათ მაინც უნდა ყოფილიყო აქ. ეს არ გამკვირვებია, ჩემი ყურადღება სულ სხვა რამემ მიიპყრო: მედეა ბებიას მოულოდნელმა გარდაქმნამ გამაოცა. თითქოს გაგრძელდა „ზღაპარი“, მედეა ბებია რომ მიყვებოდა. მიხრწნილი კუდიანი დედაბერი მოულოდნელად თვალით უნახავ მზეთუნახავად გადაიქცა! ეს შედარება სულაც არ მომჩვენებია იმ წუთას ზედმეტად: ადამიანის ასეთი წამიერი გარდაქმნა ჯერ არ მენახა! თითქოს ერთბაშად მოაკლდა მხრებიდან ოციოდე წლის სიმძიმე, სახეს ნათელი გადაეკრა, მხრებში გაიშალა, ხოლო, როცა წამოდგა და პიონერების შესახვედრად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ეს ფერისცვალება თითქოს მეც გადმომედო და გული გამეხსნა: ჩემს წინ ამჟამად უკვე ნამდვილი მედეა ბებია იდგა, თავისი მუდამ გამორჩეული აღნაგობით, იერით, მიხრა-მოხრით, სიარულით, საუბრით, ,— საერთოდ ყველაფრით, როგორიც მახსოვდა მუდამ და, როგორიც უნდა დარჩენილიყო სამუდამოდ. მაგრამ ისიც ვიგრძენი, რომ თავად არ მეყო ბოლომდე ეს წამიერი აღმაფრენა: როცა მედეა ბებიამ თავისებური, ძველებური კილოთი, რომელიც მუდამ აგრძნობინებდა ხოლმე მოსაუბრეს მის უპირატესობას, თქვა: დასხედით შვილებო, თითქოს ვიღაცამ უადგილო ადგილას დადებულ ნივთივით გამწია გვერდზე (რატომღაც ამეკვიატა — ხელუკუღმა-მეთქი), თანაც ისე მკაფიო იყო ეს განცდა, რომ ლამის ფიზიკურად შევიგრძენი. თითქოსდა სხვა სამყაროში აღმოვჩნდი, სამყაროში, რომელიც უხილავი ზღუდით იყო გამოყოფილი იმისაგან, რაც ჩემს წინ ხდებოდა და რასაც ვხედავდი. ასეთი განცდა მქონდა ერთხელაც, დიდი ხნის წინათ (წელი ვერ გავიხსენე), როცა კუჭის წყლულის ოპერაცია გავიკეთე და ფეხზე ძალდატანებით წამომდგარი, პალატის ფანჯრის მინიდან გავყურებდი, თუ როგორ დასეირნობდნენ საღამოობით შეყვარებულთა წყვილები ქუჩის მიღმა მდებარე ბაღში. ბაღის განაპირას ჩოგბურთის კორტები იყო მოწყობილი და ვიღაც-ვიღაცები თითქმის ყოველთვის თამაშობდნენ...

— ესენი გეოგრაფიის წრის წევრები არიან, — შორენამ მედეა ბებიას ბავშვები გააცნო. — ბუნების მოვლენებს აკვირდებიან... თუ როგორ შეიძლება ამინდის გამოცნობა, იმის ჩაწერა უნდათ.

შევამჩნიე, ბავშვებმა მორცხვად გამოაპარეს ჩემკენ თვალი და ხაზგასმული აღტაცებით გამოვაცხადე:

— რა საინტერესოა, სწორედ რომ დროზე მოხვედით და ეგაა! ეს მეც ძალიან მაინტერესებს! იმედი მაქვს ხელს არ შეგიშლით.

ბავშვებმა გაიღიმეს და ერთმანეთს გადახედეს. მედეა ბებიას კი აშკარად ესიამოვნა.

ცნობისმოყვარეობაზე უფრო რაღაც ჩაუწვდომელმა, დაუოკებელმა გრძნობამ შემბოჭა, ხოლო, როცა მედეა ბებიამ დაიწყო ლაპარაკი და ბავშვებმა ჩასაწერად რვეულები და ფანქრები მოიმარჯვეს, მაშინ მივხვდი, რა იყო ეს გრძნობა: თითქოს ის დრო მობრუნებულიყო უკან, მედეა ბებიას „საზომით“ რომ იზომებოდა. თუმცა სიტყვა „იზომებოდა“ ვერ გამოხატავს ზუსტად სათქმელს, რამდენადაც, იმას, რისი თქმაც მსურს, შესაძლოა, აქვს დასაწყისი, მაგრამ არა აქვს დასასრული ისე, როგორც, თქვათ, სიცოცხლეს ამ დედამიწაზე. ერთდროულად აღძრული გაოცება და სიხარული ხანდახან ისე ამიტაცებდა, რომ თავს ვერ ვიკავებდი და ხმამაღლა გამოვხატავდი გულწრფელ აღტაცებას, რასაც ბავშვები წაქეზებად ღებულობდნენ ხოლმე და გათამამებულნი, კითხვას კითხვაზე აყრიდნენ სიბრძნედ და გამოცდილებად ქცეულ ქალს. ან საიდან უნდა მცოდნოდა, ვის უნდა ეთქვა და სად უნდა ეთქვათ, რომ, მაგალითად, თუ მერცხლები დაბლა დაფრინავენ, გაავდრების ნიშანია, ხოლო ცუდ ამინდში თუკი მაღლა დაიწყებენ ფრენას, გამოიდარებს; რომ წვიმის წინ ბეღურები მტვერში „ბანაობენ“? რომ ჭიანჭველებს მიწის ზედაპირზე ამოსვლა წვიმიანი ამინდის მაუწყებელია; რომ კარგ ამინდში წურბელა მშვიდად წევს ქილის ფსკერზე, წვიმის წინ კი წყლის დონეზე მიეკვრება ჭურჭლის კედელს; რომ თუ იხვები და ბატები წყალში ჭყუმპალაობენ, ცხენი მიწაზე წვება, ან ძაღლი მიწაზე გორაობს — გაავდრდება; რომ წვიმიანი ამინდის წინ ბუზები ოთახში იყრიან თავს; რომ კალიების საღამოს ჭრიჭინი ან კოღოებისა და ქინქლების ჯგუფ-ჯგუფად ფრენა კარგი ამინდის მომასწავებელია; რომ მკაცრი ზამთრის დადგომის წინ ფუტკრები სკის შესასვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელს თითქმის მთლიანად ამოქოლავენ ხოლმე, ხოლო, თუ თბილი ზამთარია მოსალოდნელი, ღიად ტოვებენ; რომ წვიმის წინ ჭიანჭველები ბუდის შესასვლელს საგულდაგულოდ ამოგმანავენ ხოლმე, ხოლო დიდთოვლიანი ზამთრის წინ თავიანთი ბუდის შესასვლელთან მიწას ყრიან და „კარებს“ ამაღლებენ; რომ, რაც უფრო მაღლა იკეთებს თაგვი ბუდეს დაზვინულ თივაში, მით უფრო დიდი თოვლი მოვა; რომ მკაცრი ზამთრის წინ მუხა ბევრ რკოს ისხამს; რომ, თუ არყის ხე თხმელაზე უფრო ადრე გამოისხამს ფოთოლს, კარგი ზაფხული იქნება; რომ წვიმის წინ აკაციის ყვავილების სუნი საკმაოდ შორს იგრძნობა...

საიდან უნდა მცოდნოდა?!.

●

იმ ღამეს ძილი გამიტყდა. თითქმის თენდებოდა, როცა ბოლოს და ბოლოს ჩამეძინა. მედეა ბებია მესიზმრა: საოცრად მოხუცებულიყო. თავისი სახლის ჭიშკართან კომშის ხის ძირას ჩაემუხლა... მერე დავინახე: სკამზე კი არა, ცოცხის ტარზე იჯდა და ჰაერში დაფრინავდა, თან — ამჯერად მის ეზოში კი არა, სადღაც, უცხო ადგილას, დაბურულ ტყეში ვიყავით... რაღაც ალღო მკარნახობდა, მივსულიყავი და ხელი მომეკიდა... ეს არცთუ ისე სასიამოვნო იყო, რადგან საშინელი შესახედაობა ჰქონდა და მეზიზღებოდა... როგორღაც თავს ვსძლიე: მივუახლოვდი და ხელი შევახე. მყის ულამაზეს ქალად გადაიქცა. სადღაც მინახავს ეს ქალი... ვხვდები, რომ იგი ნათელაა. დაუოკებელი ვნება მიპყრობს და მინდა მკლავები მოვხვიო, მაგრამ... უკვე ნათელა კი არა, — შორენაა!.. თავს საოცარ ძალას ვატან — ვგრძნობ, რომ სიზმარში ვარ — და ვცდილობ, გავიღვიძო!.. მართლაც მეღვიძება და შუბლიდან ოფლს ვიწმენდ...

საუზმობისას სიზმარი ერთგვარი იუმორით მოვყევი, ოღონდ ნათელასა და შორენას ეპიზოდები გამოვტოვე.

— გაახალგაზრდავება ცუდის ნიშანია! — თქვა მეზობელმა ქალმა, რომელმაც სიზმრის მოყოლისას შემოგვისწრო. — ძალზე მოტყდა ამ ბოლო დროს. ისე უცბად მოკვდება, კაცისშვილი ვერ გაიგებს. მაინც რამდენ ხანს უნდა იცხოვროს?!

— კი, სიზმარში გაახალგაზრდავება ცუდის ნიშანია, მეც გამიგონია! — დაუდასტურა ნათელამ.

ვინანე, რამ მათქმევინა-მეთქი. სახლიდან რომ გავდიოდი, უცბად ისევ მომეჩვენა, რაღაც მავიწყდებოდა. შევყოყმანდი, ვერაფერი გავიხსენე და გავიოცე.

## მდინარე

და, რა თქმა უნდა, ქალაქი კვლავ თავისი გზით მიდიოდა. ახალ ცხოვრებას, ცხადია, ბევრი კარგი რამ, ბევრი თავისი სიკეთე მოჰქონდა, მაგრამ ისე სწრაფი იყო ცხოვრების ტემპი, რომ ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა თვითკმაყოფილებას მისცემოდი. ის კი არა, თითქოს წამიერი აღტაცებისთვისაც არ გრჩებოდა დრო, რადგან ის, რაც დღეს საუკეთესო და მოწინავე იყო, ხვალ უკვე, გაიხედავდი და, მოძველებული გამხდარიყო. ამასთანავე, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მისი დაკმაყოფილების საშუალებები, და ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სწორედ თანამედროვე ადამიანთა კატასტროფული (დიახ, რომ კატასტროფული!) სიმცირე მეჩვენებოდა. „თანამედროვეში“ ვგულისხმობ არა მხოლოდ მაღალგანვითარებულ, მცოდნე ადამიანს, არამედ — ადამიანს, რომელიც, სულ ცოტა, ოცი წლით მაინც იხედება წინ და თავის საქმიანობას სწორედ ამ პრინციპის მიხედვით წარმართავს, — ადამიანს, რომელიც პასუხისმგებლობას გრძნობს არა მხოლოდ იმაზე, რასაც უშუალოდ აკეთებს, არამედ — ყველაფერზე, რაც მის ირგვლივ ხდება. რაც უფრო მეტს ვაშენებდით, რაც უფრო მეტ პრობლემებს ვწყვეტდით, მით უფრო მეტი ასაშენებელი გვიგროვდებოდა, მით უფრო მეტი მოსაგვარებელი საკითხი წამოიჭრებოდა ხოლმე. ისე გამოდიოდა, თითქოს ამ „ახალ დროს“ არითმეტიკული პროგრესით ვაშენებდით, ხოლო ის, რასაც, თავის მხრივ, „ახალი დრო“ ასაშენებლად და გადასაწყვეტად გვიყენებდა, გეომეტრიული პროგრესით იზრდებოდა. წისქვილის ღარის შეკეთება თითქოსდა სადღაც, შუა წელიდან დაგვეწყო და ახლა ყოველდღიური ამბებითა და საქმეებით გართულთ ხვალინდელ და, მით უფრო, ზეგინდელ დღეზე ფიქრის დრო არც გვქონდა. და ბოლოს, ერთბაშად გაირკვეოდა, რომ, ვთქვათ და, სწორედ იმ წელიწადს — როგორც გაზეთები წერდნენ ხოლმე, ან რადიოთი და ტელევიზიით გადაიცემოდა — „ახალი დიდი გამარჯვება ვიზეიმეთ“, ზამთარი მოგვდგომოდა კარს, პირველი თოვლი დაედო უკვე, ხოლო ქალაქის საქვაბე აგრეგატები მზად არ იყო გათბობის სეზონისათვის... უფრო გასაკვირი კი ის იყო, რომ ვერავის დაადანაშაულებდი, ვერავის მოხსნიდი დაუდევრობისათვის, რადგან ათას გასამართლებელ საბუთს მოგიყვანდნენ, უფრო მეტს აქეთ მოგდებდნენ ბრალს და მაგიდაზე ურეაგირებოდ დარჩენილ მოხსენებითი ბარათების ასლებსაც დაგილაგებდნენ. ვერც იმათ მოსთხოვდი მაინცდამაინც პასუხს, ვის სახელზეც წერდი ხოლმე ვიზას ან მოხსენებით ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათებს, რადგან მათაც შეეძლოთ ეჩვენებინათ შენთვის „იმ მომენტისათვის“ სხვა „უფრო მნიშვნელოვანი“ რეზოლუცია დადებული დოკუმენტები... თითქოს რაღაცნაირად მტკიცედ იყო შეკრული წრე და ის, ვისაც შეეძლო ამ წრის მიღმა გახედვა, თითზე ჩამოსათვლელნიც კი არ იყვნენ. ვინც იყვნენ, იმათი მოძებნა და გამორჩევაც არ იყო ადვილი. მოდა, ასეთ დროს როგორ უნდა აგეხსნა კაბინეტში საჩივლელად შემოსული კაცისათვის, რომელიც ზოგჯერ გაზეთის რომელიმე ნომერსაც შემოგიტანდა და წითელი მელნით ხაზგასმულ ლოზუნგებს თვალწინ აგიფრიალებდა: „ადამიანი უპირველეს ყოვლისა!“, „ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!“ — როგორ უნდა აგეხსნა, რომ იმ მომენტში შენ მასზე უფრო უარეს დღეში იყავი და ზოგჯერ უნებური წამოძახილი — „თქვენ ათასნი ხართ, მე კი ერთი!“ — მარტო გულგრილობა და უპასუხისმგებლობა არ იყო... რაც დრო გადიოდა, მით უფრო გრძნობდი, რა თანდათანობით გიპირისპირდებოდა ხალხი და, ალბათ, არც ერთი მათგანი არ დაგიჯერებდა იმას, რომ, როცა სასწაული მოხდებოდა და ცოტა ხნით მაინც მოისვენებდი „საწარმოო ფიქრებისაგან“ და დაინახავდი, ვთქვათ, როგორ შეასხურა მანქანამ ასფალტზე გაჩენილი ორმოდან ტალახიანი წყალი ვიღაც ფეხით მოსიარულეს, ერთბაშად გაგახსენდებოდა ყველა მომჩივანი და გულწრფელად გაიფიქრებდი: „მაინც რამდენს ითმენს ეს ხალხი?!“ — ინერციას, შეჩვევას გულისხმობდი, რომლის გადალახვაც, შესაძლოა, ბევრად უფრო ძნელი იყო, ვიდრე ნებისმიერი უნიკალური კომბინატის მშენებლობა.

შაბათს ან კვირას, საღამოობით, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა, თავს ვაიძულებდი ხოლმე ასაკის შესაფერისად სპორტულად გამოვწყობილიყავი და „სოფლისაკენ“ გამესეირნა („სოფელს“ ძველ დასახლებას ეძახდნენ). იქით ან აქეთობისას „შემთხვევით“ მედეა ბებიას შევამჩნევდი და იმ წუთიდანვე, როგორც კი მის სახეზე ჩემი დანახვით გამოწვეულ სიხარულს დავინახავდი, ეს სიხარული მეც გადმომედებოდა, თბილი განცდით ამავსებდა. მერე ვსხდებოდით კომშსა და ტყემალს შორის გადებულ სკამ-ფიცარზე და, როგორც ყოველთვის და როგორც აგრეთვე მაშინ, „ძველ დროში“, საუბარს ახალი ამბებით ვიწყებდით... მერე, ცოტაც და, თავი მოეხსნებოდა „მედეა ბებიას ყულაბას“, დაიწყებოდა „კრიალოსნის მარცვლა“. ამ მომენტს მე, შეიძლება ითქვას, ამჯერადაც განსაკუთრებული მოლოდინით ველოდი, მაგრამ ის სასიამოვნო განცდა, რომელიც ამჯერად ამ ამბების მოსმენისას მეუფლებოდა, სადღაც ჰგავდა კიდეც, მაგრამ ამავე დროს უჩვეულოდ განსხვავდებოდა პირვანდელისაგან. თუ ადრე ეს თბილი განცდა გარედან — თითქოს მედეა ბებიას მოყოლილი ამბებიდან, ან თუნდაც მედეა ბებიადან — გადმოდიოდა ჩემში, ამჯერად სადღაც, ჩემში იბადებოდა, თანდათანობით იზრდებოდა და მავსებდა. ვხვდებოდი, რომ ეს საოცრად ჰგავდა იმ კაცის განცდას, თუ გნებავთ — თვითკმაყოფილებას, რომელიც დიდ საქველმოქმედო საქმეს სჩადიოდა. ხანდახან კიდევ, რაც უნდა ამაღლებულად იყოს ნათქვამი, მეჩვენებოდა, რომ ვალს ვიხდიდი, ვალს, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დამდებოდა, როცა ბედად დამეწერა აქ, ამ მიწაზე, დავბადებულიყავი, აქ ამხელოდა პირველად თვალი და ამ ზეცისთვის, ამ მთების მწვერვალებისთვის, ამ მზისათვის მესწორებინა მზერა. უფრო მეტიც, ზოგჯერ, წუთისოფლის ირონიაზე დაფიქრებულს, მეჩვენებოდა, რომ ამ სკამზე ჯდომით, ამ ჩემი ნების საწინააღმდეგოდ გამიზნული მოთმინებით, რაღაცას ვწირავდი, და სწორედ აქედან იყო ის თვითგვემისმაგვარი, მწირისეული კმაყოფილება. მაგრამ რაღაცას ვწირავდი, არა მარტო ჩემს კეთილ მოხუცს, რომელსაც თავის დღეში სიკეთის მეტი არაფერი უთესია ამ სოფელში, როცა სოფელს სოფელი ერქვა, მაშინაც — როცა ქალაქად იქცა, და რომლისთვისაც ამჯერად უსამართლოდ და გაუგებრად ექცია ყველას ზურგი, არამედ — აგრეთვე იმას, რის ხატებასაც წარმოადგენდა ეს ქალი ჩემს შემეცნებაში.

და ერთხელაც, როცა წესისამებრ, ისევ ვისხედით ეზოში კომშსა და ტყემალს შორის გადებულ ფიცრის სკამზე და როცა მარად გაუცვეთელი კრიალოსანი კვლავ და კვლავ იმარცვლებოდა, მედეა ბებიამ თქვა ისეთი რამ, რამაც არანაკლები როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში, ამ პატარა ქალაქის ცხოვრებაშიც, ვიდრე თანდათანობით „დაგუბებულმა“ და ანდროს მიერ თუ ანდროს პირით არასაჭირო, თუ სწორედ რომ საჭირო ადგილას წამოსროლილმა ფრაზამ: სამართალია განა ესო?!.

მედეა ბებიამ, სხვათა შორის, ისიც — დროის დასაზუსტებლად, თქვა:

— ...ეს იმ წელიწადს მოხდა, როცა მდინარე ადიდდა და უცბად მოვარდნილმა წყალმა დედაბუდიანად წალეკა ნახევარი სოფელი. და მერე, კვლავ თითქოს სხვათა შორის, ხელი გვერდზე გაიშვირა და დაამატა: — წყალი აქობამდის სწვდებოდა!..

— სადამდეო, ამბობთ?! — წამოვიძახე, მაგრამ მაშინ ეს წამოძახილი უბრალოდ გაოცება იყო, მერე ერთბაშად გავიაზრე, თუ რას ნიშნავდა, მისი ნათქვამი და უნებურად ფეხზე წამოვხტი.

ჩემი რეაქცია მედეა ბებიამ თავისებურად გაიგო და მომიგო:

— ეგ რა გასაკვირია? იმ კაცის მამის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ადიდებულა მდინარე, ოდეს სწვდებოდა თურმე წყალი! მაშინ სახლი აგერ, თუთის ხე რომ დგას, იქ მდგარა. მერე, როცა იმ კაცმა ახალი სახლის აშენება დაიწყო, უფრო მაღლა მოზომა ალაგი.

„აი თურმე რატომ უძევთ წინ ასე ვრცელი მინდორი", — გავიფიქრე. ამ კუთხეში ძველთაგანვე ტრადიციად ჰქონდათ და ყოველ სახლს ამშვენებდა ხოლმე ჭიშკრამდე გადაჭიმული მეტ-ნაკლებად დიდი მინდორი, რომელიც სივრცის, სილაღისა და თავისუფლების განცდას შემოგაგებებდა, მაგრამ მედეა ბებიას სახლის (ზოგი ანდროს სახლს ეძახდა) წინ მდებარე მინდორი მაინც მუდამ მაოცებდა თავისი სიდიდით.

იმ საღამოსვე ვეწვიე ჩემი სტუმრობით ცოტა არ იყოს გაოცებულ „სოფლის" რამდენიმე უხუცეს მცხოვრებს, რომელთაც, ჩემი აზრით, უნდა ხსომებოდათ ამ პატარა და ერთი შეხედვით უწყინარი მდინარის ადიდების ამბავი, მდინარისა, რომელიც ადრე ორ ტოლ ნაწილად ჰყოფდა სოფელს და „სოფლელები" არც მთლად ხუმრობით თავიანთ „სასიცოცხლო არტერიას" ეძახდნენ. ზოგიერთი თითქოს მოსწრებოდა ამ ამბავს, მაგრამ ყველა დაბეჯითებით მირჩევდა, მედეა ბებიასათვის მიმემართა — თუ ვინმემ იცის, მაგაზე უკეთ ვის ეცოდინება და ეხსომება ესო!

მეორე დილას გეოლოგიურ საძიებო ექსპედიციის უფროსს გიზო საყვარელიძეს დავურეკე და ვკითხე, შეეძლო თუ არა, დღესვე გამოეყვანა რამდენიმე კაცი და ჩემს მიერ მითითებული ადგილების კვლევას შესდგომოდნენ.

— კი მაგრამ, დღეს ხომ კვირაა?! — მკითხა ყოყმანით საყვარელიძემ.

— ნუთუ გგონია, რომ კვირის დღეებიც მეშლება უკვე?! — კითხვაზე კითხვით ვუპასუხე.

— რა მოხდა?! — შეკრთა საყვარელიძე. ჩემგან ასეთი მკვახე კილო, ალბათ, იშვიათად თუ ახსოვდა.

— ნახევარ საათში სასტუმროს წინ გელოდები! — ვუთხარი პასუხად და ყურმილი დავდე.

აქედან კარგად ჩანდა ქალაქის ძველი უბანი, რომლის იქითაც, მდინარის გასწვრივ, ქარხნების მშენებარე კონტურები წამოჭიმულიყო. ასე, მდინარის სანაპიროზე, კომბინატის ობიექტების ერთმანეთის მიყოლებით მშენებლობა გარკვეულ ეკონომიკურ ეფექტს იძლეოდა. ქარხნები კარიერთან ახლოს, პირდაპირ ხეობაში იქნებოდნენ და ამით მადნის ტრანსპორტირებისა და წყლის მიყვანა-გამოყვანის ხარჯებიც მინიმუმამდე მცირდებოდა. ნავარაუდები იყო აგრეთვე კაშხლის აგება შესაბამისი ელექტროსადგურით და მეზობელი მდინარის ამ ხეობაში გადმოგდება. ასეთი ინჟინრული გადაწყვეტა საკმაოდ ორიგინალურად ითვლებოდა. არადა, ვინ იფიქრებდა, ეს პატარა მდინარე, რომლის ნაპირზეც თითქმის ზამთარ-ზაფხულ ჭყუმპალაობდნენ ბავშვები, ერთ მშვენიერ დღეს გაცოფდებოდა, ადიდდებოდა და ერთბაშად გადაუვლიდა წლების განმავლობაში დიდი რუდუნებითა და შრომით აგებულ ჩვენს „უნიკალურ კომბინატს და ზედ თითქმის მთელ ქალაქსაც მიაყოლებდა, რადგან მოვარდნილი ნიაღვარი ვერ მოერეოდა, ან ერთბაშად ვერ მორეოდა, მტკიცედ ნაგებ კომბინატის კედლებს, წყალი მიმართულებას შეიცვლიდა და ზედ შუა ქალაქში გაუხედნავი რაშივით გაიჭირითებდა!

როგორი ამბავია: ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდებოდა, რომ ის, რასაც მთელი მონდომებით აშენებდი, რითაც ამაყობდი და შენი ცხოვრების გამართლებად მიგაჩნდა, არასწორი და ყალბი ყოფილა! თან ამისათვის ვიღაც მოხუცის შემთხვევით წამოსროლილი ერთი სიტყვა იკმარებდა.

როცა წარმოვიდგინე, რა ბრძოლების გადახდა მომიხდებოდა უკვე დამტკიცებული და თითქმის სანახევროდ განხორციელებული პროექტების შეცვლისათვის, სიმწრისაგან მეც კი გავიფიქრე: „მაინც, რა აძლებინებს ამ ქალს ამდენ ხანს?. ჯანდაბამდე ჰქონია გზა ყველას და ყველაფერს! ჯანდაბამდე მქონია გზა მეც!.. არ მეცოდინებოდა მაინც არაფერი და არც არაფერზე ვაგებდი პასუხს!.." თუმცა, ჯერ კიდევ არ იყო გვიან. ჯერ კიდევ ჩემს გარდა, არავინ იცოდა რამე... მაგრამ ასეთი ფიქრი სისულელე, უფრო მეტიც — შეუძლებელი იყო...

რამდენიმე დღის შემდეგ გიზო საყვარელიძემ და ტექნიკური განყოფილების უფროსმა ალექსანდრე კოდუამ ყველა საჭირო დოკუმენტაცია შემოიტანეს და უსიტყვოდ შემომაჩერდნენ. მომეჩვენა, თითქოს კოდუას რაღაცის თქმა უნდოდა. რომ შევხედე, იმასაც მივხვდი, რის თქმას აპირებდა, მაგრამ მაინც დავაცადე ეთქვა. ყოყმანობდა.

— პატივცემულო ალექსანდრე, განა გვაქვს სხვა გზა? — ვკითხე თავად და ამით მივანიშნე, რომ ვხვდებოდი, რასაც ფიქრობდა და რის თქმას ვერ ბედავდა.

— დიახ, როგორ ვთქვა... — კოდუა მაინც ყოყმანობდა. — თქვენ მართლა გაქვთ იმედი, რომ ამ უკვე ათას ადგილას განხილულ და დამტკიცებულ პროექტებს შეაცვლევინებთ?.. შეგვიცვლიან?.. კი მაგრამ, ამას ხომ მესამე ქარხნის ჩაბარების ვადა... ანდა გახარჯული სახსრები?!. რა ამბავი მოჰყვება ამას!.. ჰმ, ვინ წარმოიდგენდა?!.

— ვინ წარმოიდგენდა! — გაცხარდა საყვარელიძე. — ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ იმაზე, თუ რატომ არის თითქმის ერთი საუკუნის წინათ აგებული და დღეს ფაქტობრივად გაუქმებული ჯაჭვის ხიდი ორჯერ უფრო გრძელი მის გვერდით აგებულ თანამედროვე ბეტონის ხიდზე, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ ააგეს, „ბელაზების" თავისუფლად გავლა რომ შეძლებოდათ.

— იმ ხიდის აგების დროს მე აქ არ ვიყავი, მაგრამ მაინც, რა შუაშია ახლა ეს? — გაიოცა კოდუამ.

— იმ შუაშია, რომ დღეს ძალზე მოდურად იქცა გამოთქმა „ბუნების დამორჩილება". არადა, ბუნების დამორჩილება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ანგარიში არ გაუწიო მას. აი რა გვავიწყდება, აი რა შუაშია იმ ორი ხიდის ერთმანეთთან შედარება. რაც დრო გადის, ტექნიკა ვითარდება და სულ უფრო ვთამამდებით... ვთამამდებით და გვავიწყდება, რომ სულ უფრო ვემსგავსებით დედის წინ მორბენალ კვიცს! მაშინ კი, როცა ამ ხიდს აგებდნენ, ან ჩვენზე ჭკვიანები იყვნენ, რაც, შესაძლოა, ნაკლებ სარწმუნოა, ან არ იყვნენ ისე გათამამებულნი, ჰოდა, უპირველეს ყოვლისა, მათ არსებული ტექნიკის აწონ-დაწონვით კი არ დაიწყეს, არამედ — ბუნების შესწავლით!.. ჰმ, ისე კი, მე არ უნდა ვამბობდე ამას, მაგრამ იქნებ ამისათვის დიდი საძიებო-კვლევითი სამუშაოები არც ჩაუტარებიათ. პირველ რიგში მივიდნენ აქაურ ხანდაზმულ, გონიერ მცხოვრებლებთან და გამოიკითხეს ამ მდინარის ავალ-დასავალი!

— ბუნების დამორჩილება! — ჩაიცინა კოდუამ. — რა საჭიროა ასეთი მაღალფარდოვნება? იქნებ სხვა რამ გვიშლის ხელს? აი თუნდაც! — კოდუამ ფანჯრისაკენ გაიშვირა ხელი. ფანჯრიდან მოჩანდა ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლის გვერდითა კედელი, რომელზედაც პლაკატი იყო გაკრული (პირველ რიგში ამწე მოხვდებოდა კაცს თვალში). პლაკატზე რუსულად და ქართულად ეწერა: „ვაშენოთ სწრაფად და იაფად!" — იქნებ ეს არ გვესმის კარგად, აა?

მერე, როცა გაერთიანების უფროსის კაბინეტში ჩატარებული თათბირიდან გამოვედით, საყვარელიძე მომიახლოვდა და, არ ვიცი, სინანულით, არ ვიცი, ირონიულად, მითხრა:

— მიდი და დაუმტკიცე ახლა ლოლობერიძესა და მისი საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებს, თავის დღეში პროექტის ერთი ნახაზი თვალითაც რომ არ უნახავს, ისეთმა დედაბერმა გაჯობათ ჭკუით-თქო!.. ისე კი, იცოცხლე, კარგი იყო, გვეთქვა ეს თათბირზე! თუმცა, — დასძინა მცირეოდენი ფიქრის შემდეგ. — ეს ქალი სულაც არ არის მთავარი!..

— მართალი ხარ! — დავეთანხმე. მკლავი გავუყარე და კიბეზე დავეშვით. — რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ამ მოხუცი ქალის ადგილას სხვა ყოფილიყო!.. მართლაც, როგორც ჩანს, ნამეტანი გაეთამამებინათ!.. ნუ რომ [illegible] კალმა, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მკვდის სახნავლი არა შეექმნია რა, ოღონდ ეგაა, ცოტა ცალმხრივად [illegible] ამბავი! უფრო ყურადღებით და უფრო ხშირად უნდა ვიხედებოდეთ თურმე უკან!

●

არა მგონია, საინტერესო იყოს პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებული ამბების დაწვრილებით მოყოლა. სადავო არაფერი გამოჩნდა, ყველაფერი დღესავით ნათელი და მარტივი იყო, მაგრამ, შეიძლება ითქვას, თუ რამემ შეგვიშალა ხელი, ყველაზე მეტად სწორედ ამ სიცხადემ და სიმარტივემ: დაუჯერებელი ჩანდა, რომ ასეთი „ელემენტარული რამ", ასეთი „ანბანური ჭეშმარიტება" თავიდანვე არ გაეთვალისწინებინათ დამპროექტებლებს.

— ნაწილი ხარჯები?.. ეჰ, ჩემო კარგო, ეგ ჯანდაბას! — იძახდა სერგეი მელიქიძე, მშენებარე კომბინატის დირექტორი, — ბოლოს და ბოლოს დამნაშავეები, ალბათ, დაისჯებიან, ხარჯები აგვინაზღაურდება, მაგრამ ვინ აგვინაზღაურებს ავტორიტეტს, რომელიც ამ მშენებლობამ მოგვიპოვა?! იქნება ნახევარი ქალაქი კი არა, ათი ამისთანა ქალაქი დირდეს ახლა? გიფიქრიათ ამაზე? რამდენი სიახლე დაინერგა მანდ!.. რამდენი ორიგინალური გადაწყვეტა, რამდენი სითამამე!.. და ყველაფერი ეს სასაცილო ჩანს ამ პატარა მდინარის გამო! თუმცა, რა მდინარე, ეგ ხომ ღელეა, ჩვეულებრივი ღელე, რომელიც კომბინატის ერთ ქარხანასაც არ ეყოფა ტექნიკურ წყლად!

...გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოოდ იქნა მიღებული, შეიძლება ითქვას, მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით ეწოდებოდა გადაწყვეტილება. „იმოქმედეთ, მაგრამ არავითარი ხმაური!.. — მკაცრად მიგვითითეს, — დაზუსტებულ საპროექტო დოკუმენტაციას, როგორც შევთანხმდით, უახლოეს დროში მიიღებთ. დამატებით მოსალოდნელ კორექტირებას ადგილზევე მოახდენთ. ამავე დროს, იცოდეთ, რომ ყველაფრის თავის თავზე აღება პირადად თქვენ მოგიხდებათ: მშენებლობის უფროსი ამხანაგი ხერხეულიძე ჩვენ სხვა, უფრო მნიშვნელოვან ობიექტზე გვჭირდება. მზად ხართ ამისათვის? რაც შეეხება მიმდინარე ხუთწლედში ჩასაბარებელ ობიექტებს, მას ზუსტად გათვალისწინებულ ვადებში ჩააბარებთ!"

სახტუმროდან გასვლას ვაპირებდი, როცა ტელეფონმა დარეკა.

— გამარჯობა, ძველო! — ტელეფონში გურამ სიხარულიძის მხიარული ხმა გაისმა. — მომილოცავს! ახლახან გავიგე და ხელმოუთქმელად ვრეკავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნამეტანი მოსალოცი კია, ღმერთმანი! — გამეცინა. გურამის მხიარულება უნებურად მეც გადმომედო. — როგორა ხარ?

— იმწუთშივე გავიფიქრე: ან ნამეტანი გაუჭირდათ მშენებლობაზე ან ნამეტანი მიუქარავს-მეთქი!

— საბოლოოდ რომელზე შეჩერდი?

— უკანასკნელზე, მეორეზე!

— გმადლობთ გულწრფელობისათვის! ბარემ ისიც გულახდილად მითხარი: რამდენი ხანია ლოგიკურად საჭირო იმისათვის, რომ ახალდანიშნული კაცი მოიხსნას?

— ლოგიკურადო, ამბობ? — ჩამეკითხა გურამი. — რას გულისხმობ?.. ალბათ, ერთი წელი მაინც უნდა გავიდეს, მაგრამ შენ შეგიძლია, უფრო დააჩქარო!.. როდის აპირებ წასვლას?

შეიძლება ითქვას, ეს პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დაძაბული და საპასუხისმგებლო. დღე და ღამე თითქმის არ მძინებია. ხშირად ისეთ რისკზე მივდიოდი, რაზეც შესაბამის ზემდგომ ორგანიზაციათა და უწყებათა ხელმძღვანელი ამხანაგები უბრალოდ თვალის დახუჭვას ამჯობინებდნენ, მაგრამ ვიცოდი, რომ ამას მხოლოდ რისკის გამართლების შემთხვევაში მაპატიებდნენ. რაც უფრო თამამ გადაწყვეტილებას ვიღებდი, მით უფრო ფრთხილი ვხდებოდი. ზედმეტი სიფრთხილე ერთგვარ ავადმყოფობადაც გადამექცა: ყველაფერი თავად უნდა გამეზომა, თავად უნდა შემემოწმებინა, მენახა, დავრწმუნებულიყავი... „ის უცნაური განცდაც“ ჩვეულებად მექცა: მოულოდნელად მომეჩვენებოდა, რომ რაღაც მავიწყდებოდა. ზოგჯერ ეს მართლაც მეხმარებოდა, რადგან გონებას რომ დავძაბავდი, ირკვეოდა, ნამდვილად რაღაც დამვიწყებოდა; მაგრამ ხშირად ხელს მიშლიდა, უშედეგოდ და ხანგრძლივად მაჭყლეტინებდა ტვინს, უკიდურესობამდე მღლიდა, მანერვიულებდა.

და აი, როგორც იქნა, დადგა დრო, როცა უკვე გარკვეულწილად შეიძლებოდა მრავალთა მიერ გაწეული შრომის, თეთრად გათენებული ღამეების, აწეწილი ნერვების, დაუზოგავად დახარჯული ენერგიის, გასაოცარი მოთმინებისა და ნებისყოფის ფასად მიღწეული პირველი შედეგების შეჯამება. მთავარი სამუშაო წინ გველოდა, მაგრამ ერთხელ, როცა საგეგმო განყოფილებიდან და მთავარ სადისპეტჩეროდან შემოტანილ მონაცემებს ვათვალიერებდი, მოულოდნელად ვიგრძენი, რომ რაღაც ვალი მოვიხადე. იმდენად ძლიერი იყო სიხარულის განცდა, რომ ვერ მოვითმინე, ფანჯარასთან მივედი და საღამოს ქალაქს გადავხედე...

„საოცარია!.. თითქმის დაუჯერებელია! — გავიფიქრე ცოტა ხნის შემდეგ. — რა გრანდიოზული მასშტაბების ამოცანებს ვწყვეტთ და ქუჩაში გადამწვარი ფარნების დროული გამოცვლა ვერ მოგვიხერხებია!“

კულტურის სასახლიდან მუსიკის ხმა ისმოდა. გამახსენდა, რომ შაბათი იყო. ჰო, შაბათი იყო! ხვალ კი — კვირა!..

სინდისის ქენჯნა არც ამჯერად მიგრძვნია: ღრმად მწამდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც არ მიმიცია საკუთარი თავისთვის შეღავათი. უფრო მეტიც — ასეთ დროს ზოგიერთი რამ შეიძლება კიდევაც გეპატიოს კაცს.

ამ ხნის განმავლობაში (არადა, საკმაო დროს გაევლო) ქალაქი თითქმის არ შეცვლილიყო გარეგნულად. ყოველ შემთხვევაში, ლამპიონებსა და მთვარის შუქზე ასე ჩანდა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ არც მთლად ეგრე იყო საქმე: უკვე ვიცოდი — და, ალბათ, ამას გამოცდილება ერქვა — რომ მთავარი ცვლილებები თვალისაგან შეუმჩნევლად მიმდინარეობს ხოლმე და ჩვენ მხოლოდ შედეგებს ვხედავთ. უნდა განიცადო, უნდა გულით შეიგრძნო ხოლმე! მაგრამ ამას ვერ შეძლებ. თუ შენც ამ ქალაქის ნაწილად, ამ ქალაქის ბატონ-პატრონად და შვილად ვერ იგრძენი თავი, თუ ამ ქალაქთან, ამ მიწასთან ყველა შენი სასიცოცხლო ძარღვით არა ხარ დაკავშირებული. „აი თურმე, რატომ!“ — თითქმის ხმამაღლა წამოვიძახე: მომეჩვენა (თუ ეს ჭეშმარიტება იყო!), რომ მივხვდი, თუ რატომ დაუშვეს თავის დროზე შეცდომა დამპროექტებლებმა. აქ უცოდინრობა ან გამოუცდელობა როდი იყო თურმე გადამწყვეტი, მთავარი სულ სხვა რამ ყოფილა! „სასიცოცხლო ძარღვი...“ — გავიმეორე გუნებაში რაღაცნაირი სევდით, — ...რასაც ვერ შეიძენ, რასაც ვერ გამოიმუშავებ... იგი შენში უნდა იყოს... შენში უნდა იყოს იმ სათუთი მცენარესავით, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ თავიდანვე მისთვის განკუთვნილ ნიადაგზე თუ გაახარებ... აი რა დიდი სამსახური გამიწია ამ ქალმა, რა მარად გადაუხდელი სიკეთე მომაგო!“ — ვფიქრობდი. „თუმცა განა მარტო მე? — მთელ ქალაქს შესძინა ეს სიკეთე, ყველას დიდ-პატარიანად, იმათაც — ვინც ხვალ, ზეგ და მაზეგ გაჩნდებოდა ქალაქში. ნეტავ, ვინმე თუ ფიქრობს ახლა ამას, ნეტავ, ვინმე თუ ხვდება? და თუ ხვდება... თუმცა, ხომ არის ისეთი რამ, რისი მიგება, გადახდა არ შეიძლება, შეუძლებელია... არც არის საჭირო! სამაგიეროს გადახდა ვალისაგან კი არ გათავისუფლებს, გაცარიელებს კაცს. არადა, ხომ უნდა დარჩეს რაღაც ჩვენში, რაღაც ფასეული, რომელსაც, რომც გინდოდეს, ვერ მოიშორებ! რაღაც ხომ უნდა დავუტოვოთ ასეთივე ნაღდი ჭეშმარიტი და გადაუხდელი იმათაც, ჩვენს შემდეგ რომ მოვლენ და ამჟამად ჩვენთვის განკუთვნილ ადგილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკავებენ, იმ მზეს შეხედავენ, ჩვენ რომ ვუყურებდით, იმ მიწის სილამაზით იამაყებენ, ჩვენ რომ ვამაყობდით, წარსულს, რომლის შემადგენელ ნაწილებადაც ვიქცევით, ჩვენსავით სევდით და მოკრძალებით გახედავენ... აბა, ისე რა აზრი ჰქონდა ყოველივე ამას?! რა აზრი ჰქონდა სიცოცხლეს?!."

სახლიდან რომ გამოვედი, მერე შევამჩნიე, ძალიან ადრე იყო. ვიფიქრე, გავისეირნებ ერთი „სოფლის" ქუჩებში-მეთქი. ეს რომ გავიფიქრე, ერთგვარად მესიამოვნა კიდეც ჩემი ასეთი მოუთმენლობა.

„სოფელს" განთიადის ის უცნაური მოიისფერო-მომწვანო ფერი ედო, რომელიც მუდამ განსაკუთრებულად მიჩქროლებდა ხოლმე გულს, და, როგორც ვფიქრობდი, რომლის მსგავსიც სხვაგან არსად მენახა. ორიოდ გამონაკლისის გარდა, ყველას ქვის ორსართულიანი სახლები წამოეჭიმა. მესერი უკვალოდ გამქრალიყო და მავთულბადითა და რკინით შემოღობილი კოხტად მოვლილი ეზოები სასიამოვნო გრძნობას აღგიძრავდა (ოღონდ ეგ იყო, თვალში იმწუთშივე გეცემოდა ერთგვარი კონტრასტი, რასაც სუფთა, ლამაზი ეზოები და მის მიღმა არსებული შემოგარენი ქმნიდა). თითქმის ყოველ მეორე ეზოში იდგა უახლესი მარკის მანქანა, ანდა შეამჩნევდით მძიმე რკინისკარებიან მანქანის სადგომებს. სოფელს კიდევ უფრო წაეწია წინ, რომ იტყვიან, კიდევ ერთი უზარმაზარი ეკონომიკური ნაბიჯი გადაედგა და, რასაც ახლა ვხედავდი, შეგეძლო ჩაგეთვალა, რომ ისევ და ისევ შედეგი იყო კიდევ ერთი განვლილი ეტაპისა, დროის კიდევ ერთი განვლილი მონაკვეთისა. გულთან თვითკმაყოფილების მაგვარმა გრძნობამ გაიფაჩუნა, მაგრამ ვერ მოვასწარი ამის კარგად გაცნობიერება, რადგან მოულოდნელად ჩემი ყურადღება ერთ-ერთი სახლის ფასადზე მიმაგრებულმა ახალგაზრდა კაცის სურათმა მიიპყრო. იმპორტულ ჯინსსა და პერანგში გამოწყობილი ყმაწვილი მსუბუქი მანქანის გამოღებულ კართან იდგა. ცალი ხელით მანქანას დაყრდნობოდა და იღიმებოდა. შავ ჩარჩოში ჩასმული და შავ მანტია შემოხვეული ღიმილი ისეთ სევდას, ისეთ მკვეთრად განსხვავებულ გრძნობას იწვევდა, რომ სუნთქვა შეგიჩერდებოდა...

— მანქანამ დაგვღუპა, ჩემო ბატონო, მანქანამ! დღევანდელი შავი ჭირი მანქანაა! — მხოლოდ ახლაღა შევამჩნიე, რომ უნებურად შევჩერებულვიყავი და უცნაური განწყობითა და რიდით მივჩერებოდი სურათს. გვერდით პიჟამიანი კაცი მედგა. მას ხელები (ერთში სახრე ეჭირა) ზურგს უკან შემოეწყო, სურათს უყურებდა და თავის კანტურით გამოხატავდა მწუხარებას. — ზოგიერთს თუკი აქვს ხელი და ფეხი ჰგონია, რომ სრულია საკმარისია!.. არა და, ჩემო ბატონო, მანქანის მართვას, უპირველეს ყოვლისა, თავი სჭირდება, თავი! აი სად მოვიკოჭლებთ! — კაცმა ამოიოხრა, თავაზიანად დამიკრა თავი და გამშორდა.

და კვლავ ვიგრძენი, რომ რაღაც დამვიწყებოდა. ისეთი ძლიერი იყო ეს განცდა, რომ შევყოყმანდი — გამეგრძელებინა თუ არა გზა. უცბად ისიც შევამჩნიე, რომ ქუჩაში თითქმის ყოველ მეორე, მესამე სახლს ჰქონდა მიკრული შავი ნაჭერი და გაკვირვებულმა ინსტინქტურად გავხედე სასაფლაოს. საფლავის ქვები ამომავალ მზის სხივებს სარკესავით ირეკლავდა. ფეხს ავუჩქარე, თითქოს სადღაც მაგვიანდებოდა. თვალს ვარიდებდი გახუნებულ თუ ახლად გაკრულ შავ ტილოებს და შვებით ამოვისუნთქავდი, თუ თავისუფალ სახლის ფასადს დავინახავდი. დამშვენებულ, გაკოხტავებულ, წალკოტად ქცეულ ქალაქს უძლეველ მტერივით მოსდებოდა სიკვდილის აჩრდილი და სადაც მოესწრო, თუ სადაც მოესწრებინა, თავისი ამოუშლელი დაღი დაესვა... ვინ ავტომანქანას გაეტანა, ვინ ავარიაში მოხვედრილიყო, ვინ დენს მოეკლა, ვისთვის გულს ემტყუნა, ვისთვის წნევას დაერტყა, ვის კიდევ, რაღაც მანამდე არგაგონილი და მოურჩენელი ავადმყოფობა შეჰყროდა... „ნუთუ ესეც შედეგია?" — გავიფიქრე და შემოვბრუნდი. უკვე ქალაქის ბოლომდე ვიყავი გასული, აქედან, ამ მაღლობიდან, შედარებით კარგად მოჩანდა თითქმის მთელი დასახლება. თუნდაც გადაბმული დასვენების დღეები იყოს, ქალაქს მუდამ აქვს თავისი საზრუნავი, მუდამ თავისებურად ფუსფუსებს და ხმაურობს. ამ დილითაც, როცა შორიდან მოსული ფრთხილი მგზავრივით ყველაფერს ყურადღებითა და გაფაციცებით შევცქეროდი, ქალაქმა თითქოს ძველებურად გამოიღვიძა, ძველებურად მიჰყვა თავის ჩვეულ რიტმს, ამოძრავდა, აივსო მხოლოდ მისთვის და აგრეთვე ათასობით სხვა ქალაქისათვის დამახასიათებელი ხმით... და მაინც, მეჩვენებოდა, რომ ის რაღაცნაირად სულისშემხუთველი, რაღაცნაირად შემაშფოთებელი და ავისმომასწავებელი მდუმარება, რაც კოხტად აგებული სახლების, მშვენივრად მოვლილ-მოწყობილი ეზოებისა და ფასადებზე გაკრული ტილოს შავი ნაჭრების ფონზე ალვიქვი, არ დარღვეულიყო. იგი ქალაქის თავზე ისე ზოზინებდა, როგორც შედედებულ ჰაერში ატყორცნილი მტვერი, ანდა როგორც საავდროდ გამზადებული ღრუბლები. ქალაქი თითქოს მწველი მოლოდინით იყო დამუხტული. ამოუხსნელი ჩანდა, თუ როგორ იტევდა ქალაქი ერთდროულად, გვერდიგვერდ, საოცარ სიცხადეს — მოძრაობას, ხმებს, რომელშიც სახიერდებოდა მჩქეფარე ჩაუქრობე-

ლი სიცოცხლე, და აგრეთვე — შემაშფოთებელ მდუმარებას, მოლოდინს, საოცარი გაურკვევლობითა და, ალბათ, აქედან გამომდინარე, შიშითაც რომ იყო დამუხტული.

ეს განცდა კიდევ უფრო გამიძლიერდა, როცა მედეა ბებიას შევხვდი. თვალში იმწუთშივე მეცა გაყვითლებული პირისახე და თითქოსდა ძალზე, ძალზე დიდი ხნის გამოუძინარი ჩაღამებულ-ჩაცვენილი თვალები, რომელთა შემოხედვა, უწინდელ სითბოსთან ერთად, ჩაუწვდომელ, გაუგებარ შიშსაც აღგიძრავდა. და მაშინ, როცა ცალ მუხლზე იდაყვით დაყრდნობილი თან მედეა ბებიას ვუსმენდი, თან უცაბედად ხელში მოხვედრილი ჩხირით მიწაზე გაუგებარ იეროგლიფებს ვხატავდი, ასეთი უცნაური აზრი დამებადა: „როგორ ჰგავს ყველაფერი, რაც ამ დილით განვიცადე — ის სიხარულიც, წუხილიც, სიამაყეცა და შიშიც — იმას, რასაც ახლა განვიცდი, როცა ამ მოხუცს ქალს ვუყურებ და ვუსმენ. თუმცა, თითქოსდა აუცილებელი არც არის უსმენდე, საკმარისია, ერთი შეხედო, როგორ ირეკლება სარკესავით ყველაფერი ამ ქალში — მის ჩაღამებულ თვალებში, ქცევაში, მიმიკაში, ჩიფჩიფში, ყველას აქვს თავისი ფუნქცია, დანიშნულება ამქვეყნად. რახან დავიბადეთ, მაგრამ ზოგიერთებს — როგორც ეს, ვთქვათ, როლების განაწილებისას, ან თუნდაც ლატარიის გათამაშებისას ხდება — განსაკუთრებული ხვედრი ხვდებათ ხოლმე წილად. რა თქმა უნდა, არ ვიცოდი (თუმცა, შესაძლოა, რაღაც ქვეცნობიერი იმპულსი მკარნახობდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი), რომ გავიდოდა სულ ცოტა ხანი და კვლავ გავიფიქრებდი იგივეს და თან გულისტკივილით დავსძენდი: „ალბათ, ეს ქალი იმიტომ გაჩნდა — თუ გააჩინა განგებამ — რომ კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ჩვენთვის ის, რისი დავიწყებაც არ შეიძლება... რისი დავიწყებაც არ შეიძლება, რახან გვაქვს არსებობაზე, სიცოცხლეზე და ამ სიცოცხლის შემდგომ გაგრძელებაზე პრეტენზია".

მაშინ ოდნავადაც არ დავეჭვებულვარ, მაგრამ როცა მედეა ბებიას გამოვემშვიდობე (მზე ზენიტზე იყო თითქმის) და უკან მოვიხედე, ისე უცნაურად და მძლავრად ამიჩქროლდა გული, როგორც ეს გვემართება ხოლმე, როცა ძალზე ახლობელ ადამიანს დიდი ხნით ვემშვიდობებით... ეს დალოცვილი კუთხე ყველაზე ლამაზი, ალბათ, მაისშია: გამოღვიძებული, აფეთქებული და ათასნაირი ზღაპრული ფერით ავსებული ბუნება თავისი სისავსის, თავისი სრულყოფილების მწვერვალს აღწევს. როცა უყურებ ფერთა ამ უჩვეულო ხასხასს, აღქმული სრულყოფილება თავისთავად გადმოდის შენში და სილამაზით აღტაცებული, თავს შორიდან მომზირლად კი არა, ამ მიუწვდომელი ჰარმონიის, მარადიული სიცოცხლის ნაწილად გრძნობ. ლურჯი, უსაზღვრო ცა, თითქოსდა ფუნჯის ზერელე მოსმით დახატული ღრუბლის ნაფლეთები, ზე ატყორცნილი სალი კლდეების ვერცხლისფერი ლაპლაპი, შემდეგ მთები, მთები — მწვანედ და მაინც ერთმანეთისაგან გამორჩეულად აბიბინებული, სოფლის ბოლოში (უფრო სწორად — ქალაქისა უნდა მეთქვა) ლურჯ-მწვანე მდინარე ტალღებს მიაქაფებს და მიაშრიალებს, მერე ყანები, მოყავისფრო ზოლებით მოჩითულნი, აქა-იქ სიმწვანე რომ მოსდებია, სახლების თეთრი და წითელი სახურავები... ასფალტის კიდეებზეც კი ბალახი ამოსულა!.. და აგერ ეზოში ყველაფერი ერთად თაიგულივით რომ შეუკრავს, სახლისაკენ ნელი ნაბიჯით მიემართება ქალი, რომლის ჩამომდნარი, დამჭკნარი სახე, დალეული მკერდი და მკლავები, მოხრილი სხეული, გაუგებარი, ჯერ განუცდელი გამოხედვა, ასევე გაუგებარ, მაგრამ სავსებით აშკარა ტკივილს გაგრძნობინებს. არავითარი კონტრასტი! (თუ, ასე მსურს მე?) რა საოცრად ლამაზი და ახლობელია ირგვლივ ყოველივე, რა იმედით გავსებს! მაგრამ მაინც ატყობ, რომ ყველაზე ახლობელი, ყველაზე საიმედო (ეს ერთგვარ აღმოჩენასაც ჰგავს) მაინც ის ტკივილია, თითქოსდა მთელი სხეულით რომ განიცდი! უცნაურია, მაგრამ — საოცრად ტკბილი, თბილი ტკივილი!

## ციხარტყელა

მესამე და მეოთხე ქარხნის ერთდროულად მწყობრში გაშვებას ვზეიმობდით. ყველა რანგის გაზეთებმა, ერთხმად, ეს არა მარტო ჩვენი, არამედ საერთოდ ახალი ცხოვრების, ცხოვრების ახალი წესის უდიდეს გამარჯვებად ჩათვალა. ახალი პორტრეტები, ახალი სახელები და გვარები არ სცილდებოდა პრესის ფურცლებს, ტელევიზორის ეკრანს. სწორედ ამ დღეებში გავიგე მედეა ბებიას ავადმყოფობის ამბავი. დროც კი ზუსტად მახსოვს: საღამოს ათ საათს აკლდა თხუთმეტი წუთი. მაგიდასთან ვიჯექი და მომდევნო დღის საზეიმო მიტინგისათვის სიტყვის მონახაზის გაკეთებას ვაპირებდი. უკანასკნელი დღეების მღელვარე შთაბეჭდილებებისაგან თავის დაღწევა მიჭირდა და არაფერი გამომდიოდა. ფურცელზე უცნაური ფიგურები გამომყავდა. ოთახში ნათელა შემოვიდა, ჩუმად, ფეხის წვერებზე გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი და, როცა დაინახა, ყურადღება მიიპყრო, ასევე ჩუმად მითხრა: მე და შორენა მედეა ბებიას სანახავად ჩავალთო. ჩემი უაზრო შემოხედვა და დუმილი, როგორც ჩანს, უკმაყოფილებად ჩამითვალა, რადგან ოდნავ აჩქარებით თითქმის უცბად დაუმატა:

— წევს თურმე, ძალზე მძიმედ არის!

სიზმრიდან გამოღვიძებულს ვგავდი: სავარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლის საზურგეს მიყრდნობილი თითქმის არაფერზე ვფიქრობდი. მხოლოდ ესაა, რომ რომელიმე განვლილი დღის ეპიზოდი ამოტივტივდებოდა თავისთავად მეხსიერების ლაბირინთებიდან და წამსვე ისევ ქრებოდა. მოვლენათა სწრაფი მსვლელობის აღქმას გონება თითქოს ვერ ასწრებდა... თანდათანობით, როგორც ბურუსიდან უცხო სილუეტი, ისე გამოიკვეთა აზრი, რომელმაც გამაოცა და ერთგვარად შემაწუხა კიდეც: მედეა ბებიას ავადმყოფობის ამბავი არ გამკვირვებია! თუმცა... რატომ უნდა გამკვირვებოდა, კაცმა რომ თქვას? ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ადამიანი იყო (ამ ფაქტს ხომ ვერსად გაექცეოდა!) და, რაც უნდა გაჭიმულიყო და გაწელილიყო ორ წერტილს — დასაწყისსა და დასასრულს შორის გადებული ხაზი, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შეჩერებულიყო? ეს ბუნებრივი იყო. მაშ რად ეწინააღმდეგებოდა მთელი ჩემი არსება, თუ ის, რაც ჩემს არსებაში იყო, ბუნების ამ ჭეშმარიტ და, მაშასადამე, გარდაუვალ კანონს?!ეს კითხვა თითქოს გონებაში კი არ დამებადა, არამედ რაღაცნაირი კეთილთვისებიანი სენივით შემეყარა და გამიჯდა მთელს სხეულში. მას ინსტინქტურად (ანდა ისე, როგორც სითბოს ან სიცივეს შეიგრძნობს კაცი) ვგრძნობდი მაშინაც, როცა აღელვებული ვიდექი ტრიბუნაზე და საზეიმო მიტინგზე შეკრებილი ხალხის („ამდენს არ მოველოდი!“) ტაშის გრიალსა და შეძახილებს შეკავებული სიამაყით ვისმენდი; — მაშინაც, როცა გაჩახჩახებულ ახალ საბანკეტო დარბაზში („უნიკალური კომბინატის მშენებლებს უნიკალური საბანკეტო დარბაზიც უნდა ჰქონდეთ!“) მშენებლებთან ერთად, მილოცვებს მილოცვებზე ვღებულობდი („ვის შეეძლო ასეთ თამამ რისკზე წასვლა, თუ არა — თქვენ!“ „ამ მშენებლობაზე მთელი სისრულით წარმოჩნდა ჩვენი ინჟინრების, ჩვენი მშენებლების დიდი ნიჭი და შესაძლებლობები, მათ შორის — თქვენი, რადგან სწორედ თქვენ მიიყვანეთ ბოლომდე და დააგვირგვინეთ ისეთი მასშტაბის მშენებლობა, რომლის მსგავსი, რომლის ბადალი არ მოიძებნება ჩვენი ქვეყნის თუ საზღვარგარეთის მშენებლობის პრაქტიკაში“. „ასეთ რთულ კლიმატურ პირობებში?!. ოჰ, როგორ გეკადრებათ, ადრე ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა!“ „თქვენ იცით, რა იყო ეს კუთხე ადრე? დღეს კი თანამედროვე, მაღალი კულტურის ქალაქია! ვის შეეძლო ეოცნება ამაზე იმ დროს?!.“); იგივე განცდა მქონდა მაშინაც, როცა ცალკე დაღლილობისაგან და ცალკე ბედნიერებისაგან მოთენთილი მივედი შინ და ტელევიზორის წინ სავარძელში ჩავესვენე. ტელევიზორის გვერდით ბიჭის მიერ გაკრული ფეხბურთის კალენდარი შევნიშნე („რამდენი ხანია, სერიოზულად არ მიდევნებია თვალი ფეხბურთის მატჩებისათვის. ნეტავ რა მდგომარეობაა ცხრილში?“) მაგიდაზე ახალი გაზეთები ეყარა. მაგრამ ფეხბურთზე ცნობა ვერც ერთში ვერ ვნახე. „სად არის გია?“ — ვიკითხე. თავი მიბრუოდა. ყოველთვის ასე მემართება, თუ შამპანური, თუნდაც ორიოდ ჭიქა, მაქვს დალეული („ა... რა მდგომარეობაა ცხრილში?“) ვინმეს დავურეკავ-მეთქი, ვიფიქრე და უცბად მაგიდაზე, ტელეფონის გვერდით „სოვეტსკი სპორტი“ დავინახე. ცხრილი პირველივე გვერდზე იყო დაბეჭდილი. „ძვირფასო მეგობრებო, დღევანდელი ჩვენი ოპერეტის საღამოზე...“ ცოტა დაუწიეთ, რა — ვითხოვე. გაზეთი ისევ დავდე, სადაც იდო. კიდევ რაღაც მინდოდა, ვიხსენებდი და ვერ გამეხსენებინა. ადრე ეს მალიზიანებდა ხოლმე, ახლა მესიამოვნა თითქოს, — სავარძლის საზურგეზე გადავწექი და თვალები მივლულე... („ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ მოკლე დროში ამდენის გაკეთებას მოასწრებდით?!“ „ეს ნამდვილი გმირობაა!“. „წინანდელ პროექტზე უარის თქმა საოცრად გაბედული ნაბიჯი იყო, მაგრამ არანაკლებ გაბედული იყო ახლის შემოთავაზება, რომლისაც იმთავითვე, ავტორთა გარდა, ალბათ, არავის სჯეროდა“.) მოულოდნელად (თითქოს ცივი წყალი შეეშხეფებინოთ) ანთიმოზ ჭედიას ბიჭის დაღუპვის ცნობის მიღების დღე გამახსენდა. ისიც, როგორ თქვა ანდრომ: „სამართალია, ანგელოზივით ბიჭი მიწამ მიიბაროს და ეს ბებრები მიწას ამძიმებდნენო“. გულმა რეჩხი მიყო. მოხშირებულმა ჭაღარამ, ამ რამდენიმე დღის წინ რომ დავინახე სარკეში და გამეღიმა, ამჯერად საფეთქელი ამიწვა. მთელი სიმწვავით შევიგრძენი (სწორედ რომ — შევიგრძენი): ყველანი მომაკვდავნი ვიყავით. დიახ, ყველანი! ამ წუთში არავის ვაცალკევებდი ერთმანეთისაგან — მედეა ბებიაც, მეც, ნათელაც, შორენაც, გიაც, ლიაც, ვაჟაც — თითქოს ერთნი ვიყავით, ერთი ცომისგან მოზელილნი...

— მედეა ბებია როგორ არის? — ვიკითხე და პასუხის მოლოდინში ლამის გული გამიჩერდა.

●

ამას უკვე ინსტინქტით ვგრძნობდი. ვგრძნობდი, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო: წინკართან მოხუცი ქალი შემოგვეგება და მოკრძალებული ღიმილით მითხრა:

— თქვენც შეწუხდით?!. რა ღირსნი ვართ ჩვენ, მოხუცებულები, რომ თქვენისთანა ხალხი ჩვენს სანახავად დადიოდეს? ჩვენ მხოლოდ მიწას ვამძიმებთ (სწორედ ასე თქვა: მიწას ვამძიმებთო), და ხალხს ვაწვალებთ, დაილოცოს, ღმერთო, შენი სახელი!.. — ვერ მოიცალა ჩვენთვის...

ვერაფერი ვუპასუხე. დაბნეულად გავუღიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მგონი, არც მივსალმებივარ), „ნუთუ ესეც შედეგია?“ — გავიფიქრე და ოთახში შევაბიჯე. აქ მხოლოდ ქალები იყვნენ შეკრებილნი, უმთავრესად ხანდაზმულნი და მოხუცნი. დაბნეული სალამი ვთქვი და ასევე დაბნეულად შევეცადე ფეხზე არ წამომდგარიყვნენ. მედეა ბებია გვერდითა ოთახში იწვა. სასთუმალთან ახლოს შვილი ეჯდა, საკმაოდ ხანში შესული ქალი (ვიცოდი, რომ იგი სადღაც, ზღვის პირას იყო გათხოვილი). იმანაც უფრო ჩუმად, თითქმის იგივე გაიმეორა, რაც მოხუცმა შემომაგება წინკარში.

„...მაგრამ ნუთუ არაფერია ის ამაგი. ის შრომა, ის სიკეთე, ამ მოხუც ქალს, და, საერთოდ, ყოველ ჩვენთაგანს რომ უთესია (თუ ვცდილობთ დავთესოთ) ჩვენი ცხოვრების მანძილზე? ნუთუ ყველაფერს ერთი ფასი აქვს ბოლოს?!“ — ვფიქრობდი და ისეთნაირად ვუყურებდი მედეა ბებიას ცვილისფერ და სანთელივით ჩამომდნარ სახესა და ხელის მტევნებს, რომელიც ტანის გასწვრივ დაელაგებინათ საწოლზე, თითქოს რაღაც ამოუხსნელ საიდუმლოში ჩაწვდომას ვლამობდი. ტანში გამაჟრიალა, როცა სახლიდან გამოვდიოდი და რომელიღაც მოხუცმა ქალმა გულწრფელად ჩაილაპარაკა: „დიდი ბედნიერება იქნება მისთვის, თუ დიდხანს არ იწვალებს...“

— რატომ? — ეს უკვე შინ მისვლის შემდეგ ვკითხე ნათელას.

— იმიტომ, რომ თვითონაც გაწამდება და მომვლელებსაც გააწამებს, — ისე ბუნებრივად, ჩვეულებრივ მიპასუხა, თითქოს მეკითხოს, რომელი საათიაო, და მაინც სიტყვა „მომვლელი“, როგორც იტყვიან, ტყვიასავით მომხვდა გულში.

„ესეც შედეგია, ალბათ...“

●

უკვე არ მერიდება ამის აღიარება: ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მთელი ქალაქის ცოდვა-ბრალში მე თვითონ მიმიძღოდა ბრალი და ამის მოსანანიებლად დავდიოდი ასე ხშირად მედეა ბებიას სანახავად. ავიკვიატე: თუ ჩემი ხშირი სტუმრობის გამო მნახველების თვალებში აშკარად თუ ფარულად მოკიაფე გაოცებას გადავჯაბნი, მედეა ბებია ფეხზე წამოდგება-მეთქი. რა თქმა უნდა, ბავშვური გულუბრყვილობით ვებრძოდი რაღაცას, უფრო სწორად, რაღაც ისეთს, რაც არ უნდა გაჩენილიყო, მაგრამ, რადგან გაჩნდა, როგორც ჩანს, სადღაც შეცდომა დავუშვით. ჰოდა, ეს შეცდომა ვინმეს ხომ უნდა გამოესწორებინა, და — ვის, თუ არა იმას, ვინც შეიცნო (თავისებურად, ცხადია) და დაინახა. შესაძლოა, ამგვარი ფიქრიც მხოლოდ და მხოლოდ ბავშვური გულუბრყვილობა იყო, მაგრამ იმ დღეებში ეს რწმენასავით მქონდა გამჯდარი. მედეა ბებიას ავადმყოფობა საკმაო ხანს გაგრძელდა. თანდათანობით მნახველები შემცირდნენ. ბოლო ხანს სულ მარტო რჩებოდა და მე საღამოობით ხანდახან ძალზე დიდხანს ვიჯექი მასთან. შემოსწრებული რძალი ან სანახავად ჩამოსული მისი რომელიმე ქალიშვილი (ისე იყვნენ მობერებულნი, რომ მედეა ბებიას დები ეგონებოდა უცნობს) მომიბოდიშებდა ხოლმე: „ოჯახი, ჩემო ბატონო, სახლ-კარი, გასავალ-შემოსავალი, წასასვლელ-წამოსასვლელი, ლხინი-გაჭირვება... ყველგან უნდა იყო, ყველაფერი უნდა გააკეთო, სხვა მხრივ არ გამოვა...“ თითქმის შეგუებულნი იყვნენ იმ აზრს, რომ ერთ დღეს ეს ყველაფერი დამთავრდებოდა, დამთავრდებოდა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ, ცხოვრებაში ხდება. ამის გააზრება მიჭირდა: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაც უნდა ყოფილიყო, ხომ დედა იყო მაინც მათი?! თუმცა იმასაც ვხვდებოდი, კაცმა რომ თქვას, სადღაც მართალნი იყვნენ, გული მაინც მკარნახობდა, რომ არსებობდა აგრეთვე სხვა სიმართლე, უფრო ნათელი, უფრო ამაღლებული და ამ სიმართლის გამარჯვება მსურდა. მაგრამ როგორ? ალბათ, სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ ასე გამოსულიყო. ხდება კი სასწაული ცხოვრებაში?

— ალბათ, ხდება... იშვიათად! — მიპასუხა ერთხელ ქალაქის მთავარმა ექიმმა არნოლდ შელიამ, როცა ერთად მივედით მედეა ბებიას სანახავად. — ამის ავადმყოფობას, — მედეა ბებიაზე თქვა, — სიბერე ჰქვია და მისი წამალი ჯერ არავის გამოუგონია, — მეორე ოთახში, ბუხართან ვისხედით. სანამ ასანთს მოუტანდნენ, მუგუზალი გამოიღო და იმით მოუკიდა სიგარეტს. — სასწავლებლად მივემგზავრებოდი; ეზოდან რომ გამოვედი, წინ მედეა ბებია შემომხვდა. იმწუთიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ აუცილებლად ჩავირიცხებოდი და დავამთავრებდი კიდეც! — სოფელში ყველას მტკიცედ სწამდა: თუ რამე საქმეზე მიდიხარ და მედეა ბებია შემოგხვდება, ის საქმე ნამდვილად გაკეთდებაო. კი, ბატონო, ცრურწმენა იყოს, მაგრამ ამ ცრურწმენას სოფლელებისათვის, მე მგონი, ზიანი არ მოუტანია. ცრურწმენა კი არა, იმედი იყო ეს, ვხვდები ახლა! ჩემი შვილი რომ მიდიოდა უმაღლესში ჩასაბარებლად, მედეა ბებიას ვთხოვე, წინ დახვედროდა, ჩააბარა! მეორესთვისაც ვთხოვე, ისიც ჩაირიცხა! აქვს ახლა ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა ცრურწმენას დაარქმევ, სასწაულს თუ იმედს?! ჩემთვის ეს იყოს, შენთვის — ის, იმისთვის კიდევ — რაც უნდა! დაიქცევა ამით ქვეყანა?!

●

მედეა ბებიას ავადმყოფობის დროს, შეიძლება ითქვას, ანდრო არ არსებობდა. სახლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან იშვიათად გამოდიოდა (რამდენიმე წლის წინ პენსიაზე გავიდა და მხოლოდ კარ-მიდამოში თუ მუშაობდა). ერთთავად ბუხართან იჯდა, ხმას იშვიათად ამოიღებდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და მძიმედ ახველებდა. უცნაური ანდროს ქცევა კი არა, მე მგონი, ის გახლდათ, რომ ამისთვის თავიდანვე არ მიმიქცევია ყურადღება. ანდრომ თავი მოგვიანებით შეგვახსენა. ეს იმის შემდეგ მოხდა, როცა მედეა ბებიამ დეფიციტური წამლების (რომლებსაც ხან თბილისიდან, ხან მოსკოვიდან ან ლენინგრადიდან მიგზავნიდნენ მეგობრები), თუ ღმერთის წყალობით მოიხედა და, როგორც ღიმილით შენიშნა ექიმმა შელიამ, „სასწაული მოხდა და მედეა ბებიამ საიქიოდან სააქაოსკენ ქნა პირი". ამ სიტყვების წარმოთქმიდან ზუსტად მეორე ღამეს ანდრო საუბარში ჩაგვერთო:

— არ გადავყევით, კაცო, ამ დედაბერს! — გაიღიმა და ბოლომდე დაყვანილი სიგარეტი საჩვენებელი თითის გაქნევით ბუხარში მოისროლა. — მთელი ქვეყანა არ გადავატრიალეთ?! განა თქვენს ამდენ შეწუხებად ღირდა? კაცი რომ მოხუცდება, უნდა მოკვდეს, აბა ცას ხომ არ გამოეკერება ბოლოს და ბოლოს?!

რა თქმა უნდა, არავის მიუქცევია ყურადღება მისი ნათქვამისათვის, საუბარი ისევ ჩვეულებრივ გაგრძელდა, მაგრამ შემდგომ, როცა მედეა ბებიას უკვე აშკარად შეეტყო, რომ გამომჯობინდა, მერე კიდევ — როცა ფეხზე წამოდგა, ანდროს ხუმრობა, თანდათანობით ნაკლებად რომ ჰგავდა ხუმრობას, აუტანელი გახდა. ერთ დღეს თავი ვერ შევიკავე და საკმაოდ გვარიანად შევუძახე. ანდრო არ დაბნეულა: რაღაც გაიხუმრა (მას ხომ ეს ყოველთვის შეეძლო!) და სიტუაცია სწრაფად განიმუხტა. ამის შემდეგ ანდროს ჩემი თანდასწრებით არასოდეს „უხუმრია" მედეა ბებიაზე.

მედეა ბებიას ფეხზე წამოდგომას ჩემთვის განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა! მე გავიმარჯვე! (სწორედ რომ ასეთი განცდა მქონდა) გავიმარჯვე იმ გულცივობაზე, რომელსაც, როგორც მეჩვენებოდა, სრულიად უსამართლოდ იჩენდა ხალხი მედეა ბებიას მიმართ. არადა, მე არ მეგულებოდა სხვა ვინმე ამ ქალაქში, ვინც უფრო იმსახურებდა პატივისცემას, მოკრძალებას და სიყვარულს. რაც მთავარია, გავიმარჯვე იმ გულის გამყინავ ხმაზე, რომელიც სასაფლაოდან, ამჯერად უკვე სხვა უდროოდ დაღუპულის საფლავიდან, მოისმოდა: სამართალია განა ესო?!. და, ცხადია, გავიმარჯვე საკუთარ თავზე: ვერა და ვერ მეპატიებინა ჩემი თავისათვის ის ზიზღი, რომელიც დამეუფლა მაშინ, როცა პირველად დავინახე მედეა ბებიას კაბიდან გამოჩრილი პერანგი. თუმცა, როგორც შემდგომ თავს ვიმართლებდი, ეს იყო ზიზღი არა მედეა ბებიას, არამედ სიბერის მიმართ. და თუ ეს ასე იყო, მით უკეთესი: გამოდიოდა, მე გავიმარჯვე თვით სიბერეზეც! თითქოს ის სასწაული მომხდარიყოს, რომელზეც ირონიულად ლაპარაკობდა არნოლდ შელია. ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ, რაც უნდა იყოს ბუნებას მტკიცე, დაურღვეველი კანონები აქვს და მე მხოლოდ და მხოლოდ ურჩი შვილის როლში გამოვდიოდი. ამაში არც მაშინ შემპარვია ეჭვი, როცა ანდროს ავადმყოფი შვილიშვილი ლენინგრადში საოპერაციოდ დააწვინეს და მედეა ბებია მისმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა თავისთან თითქმის ძალით წაიყვანა (ყველა შვილსა აქვს უფლება, სიბერის ჟამს მშობელი თავისთან წაიყვანოს და მოუაროს). ცხადია, არც მაშინ მეპარებოდა ხოლმე ეჭვი, როცა მოკითხვაზე მედეა ბებია შეწუხებული ხმით მიპასუხებდა: „როგორ უნდა ვიყო, შვილო, კაცი რომ მოხუცდება და უსარგებლო გახდება, მისი ადგილი არ არის მიწის ზემოთ!".

და აი, ერთ მშვენიერ დღეს საქალაქო გაზეთებში გამოქვეყნდა მედეა ბებიას სურათი და წერილი მასზე, რამაც უნებურად მეც კი გამაღიზიანა, იმავე დღესვე დავურეკე რედაქტორს: „კარგია, რომ ეგ ქალი გაიხსენეთ, — ვუთხარი ,— მაგრამ მთავარი იყო არა ის, რომ ამდენი წლისაა, არამედ ის, თუ როგორ გაატარა მან ეს წლები, ეს წერილში არ ჩანდა. არადა, ეს ქალი წლების განმავლობაში ამ კუთხის სულიერი წინამძღოლი იყო" (სწორედ ასე ვთქვი, „სულიერი წინამძღოლი"-მეთქი)...

საქალაქო გაზეთის ფურცლებზე სურათისა და წერილის გამოქვეყნების შემდეგ უკვე ვიგრძენი, რომ ჩემი „გამარჯვება" ხანგრძლივი არ იქნებოდა, უკვე იგრძნობოდა, რომ მთელი ქალაქი ამხედრებულიყო ქალის წინააღმდეგ, რომელსაც არავის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, გარდა იმისა, რომ ბუნებისაგან ერგო ხვედრად, სხვებზე მეტხანს ეცოცხლა. დღისით-მზისით აშკარად შეგეძლოთ დაგენახათ, თუ როგორ იბრუნებდნენ პირს შაოსანი ქალები მედეა ბებიას დანახვაზე, ფუი, ფუი ეშმაკსო! — როგორ აფურთხებდნენ მიწაზე, — ისე გამოდიოდა, თითქოს ის, რომ ამდენი ავარია ხდებოდა, ამდენი სენი ჩნდებოდა, ამდენი უბედურება ატყდებოდა სოფელს, ამისი ბრალი ყოფილიყოს. უფრო მჰახედ და გულის გამყინავად მოისმოდა სასაფლაოდან ჭირისუფალთა მოთქმა, უფრო შავად და სულისშემხუთავად ბზინავდა სახლების ფასადებზე შავი ნაჭრები. უკვე ვგრძნობდი, რომ ერთ დროს სადღაც წარმოთქმული სიტყვა (ნუ გაუწყალე მაგ კაცს გულიო... თუ სამართალია განა ესო...) აგორებულიყო, აგორებულიყო და ზვავივით წამოშართულიყო ისედაც გაღიზიანებული სოფლის... თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის კი არა — ქალაქის თავზე. ის თავისებური, რაღაცნაირი ხიფათით დამუხტული მოლოდინი, ადრე, ერთხელ ქუჩაში სეირნობისას რომ შევიგრძენი, ამჯერად ინსტინქტურად კი არა, სუნთქვით შევიგრძნობდი. და მაინც, ვინ იფიქრებდა, რომ ყველაფერი ასე უცნაურად მოხდებოდა. თუმცა, ახლა რომ ვუკვირდები, ალბათ, სხვანაირად არც შეიძლებოდა: მედეა ბებიას ცხოვრების გზა მუდამ თავისებური, თავისთავადი იყო და მას დასასრულიც რაღაცნაირად არაჩვეულებრივი უნდა ჰქონოდა. და მაინც, აბა, ვინ წარმოიდგენდა, ვინ იფიქრებდა ამას?

რომელიღაც ობიექტიდან სამმართველოში ვბრუნდებოდი, როცა შევამჩნიე, რომ ხალხი შლიგნარის მიმართულებით გარბოდა. მანქანა გავაჩერებინე მძღოლს და შემთხვევით შემხვედრს ვკითხე, რა მოხდა-მეთქი.

— ავარიაა! მანქანა გადაიჩეხა! — მიპასუხა და გაიქცა.

იმწუთშივე მივხვდი: რომელიღაცა ამ უბანში მცხოვრებს შეემთხვა უბედურება. სხვა შემთხვევაში ასე დიდი-პატარიანად ყველანი „სეირის" საყურებლად არ დაიძვრებოდნენ.

— ვინ არის? — შევეკითხე მილიციელს, რომელიც ცდილობდა ხალხი გვერდზე გაეწია, რათა მანქანებისათვის, რომელთა სიგნალებისაგან ყურისასმენა არ იყო, გზა მიეცა.

— გუბაზის მანქანაა! ამბობენ, მარტო იჯდაო. სიბნელეში არაფერი ჩანს. ძნელი წარმოსადგენია, აქ ვინმე გადარჩეს!

— მაშინ არაფერი მიფიქრია, უბრალოდ, გაჭირვებაში ჩავარდნილისადმი დახმარების იმპულსებით ვმოქმედებდი.

— თუ რამე ტექნიკაა საჭირო, დარეკეთ ყველგან ჩემი სახელით, — ვუთხარი ავტოინსპექციის უფროსს, ის-ის იყო რომ მოირბინა. — დროს ნუ დაკარგავთ! თუ დაგჭირდეთ, გამოიძახეთ კლდეზე მცოცავები! დღეს ისინი მეთერთმეტე უბანზე მუშაობდნენ, ალბათ, იქვე, საერთო საცხოვრებელში ათევენ ღამეს!

მხოლოდ შემდეგ, როცა, ჩემი აზრით, ყველაფერი გავაკეთე, რაც ასეთ სიტუაციაში შემეძლო, დამწუხრებულმა გავიფიქრე: „ესლა აკლდა მედეა ბებიას ახლა!" ანდროს ცოლი სახეს იხოკავდა, რამდენიმე ქალი ძლივს აკავებდა. ანდროს ვერ ვხედავდი, ადრე მოვკარი სადღაც თვალი: მასაც ამოსდგომოდნენ აქეთიქით, ხმას არ იღებდა, მხოლოდ გამვლელი მანქანების შუქზე ჩანდა თუ როგორ უბრწყინავდა ნიკაპთან ჩაფსკვნილი ცრემლები, და უცბად, როგორც არასდროს, საოცარი სიძლიერით, უეცარი ტკივილით შევიგრძენი, რომ რაღაც მავიწყდებოდა! იმავე წამს გაუცნობიერებელმა ძალამ მიბიძგა და, როცა ასე თუ ისე რაღაც გავიაზრე, უკვე თითქმის მივრბოდი გზაზე. გვერდით სასწრაფომ ჩაიარა და კინაღამ გამიტანა. შემდეგ რომელიღაც მანქანამ შემომანათა შუქი და გაჩერდა. ხმაზე არნოლდ შელია ვიცანი.

— რა მოხდა?! — შემეკითხა შეშფოთებული.

— მარტო ხარ? — ვკითხე და, როცა დადებითი პასუხი მივიღე, ხელით ვანიშნე, მანქანაში ჩამჯდარიყო და თვად დავჯექი საჭესთან (თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც გვინდოდა მანქანა — ანდროს სახლი იქვე ოციოდ ნაბიჯზე იყო).

ახლა რომ ვუკვირდები ამ ამბავს, ზუსტად ამ კითხვის გამო ვარ დარწმუნებული, რომ ინსტინქტურად თითქმის ყველაფერს ვხვდებოდი, ყველაფერი ვიცოდი... ლამის მხოლოდ შვებით ამოსუნთქვას ჰგავდა (ვიდრე მწუხარებას ან გაოცებას) ,როცა მედეა ბებიას ოთახის კარი შევაღე და არნოლდ შელიას მივუბრუნდი:

— აი!

როგორც შემდეგ მითხრა შელიამ, თურმე ისეთი ნიშნის მოგებით მითქვამს, რომ წამით შეშინებია კიდეც: მე ხომ არ მაბრალებს ეს კაცი ამას?!

ოთახის განაპირას, ჭერიდან ჩამოშვებულ თოკზე ეკიდა მედეა ბებია! თავი გვერდზე გადასწეოდა, ხელები რაღაც არაბუნებრივად ოდნავ გაეშალა და გარედან შემოსულ მკრთალ შუქზე შესაძლო იყო გეფიქრა სასწაული მომხდარა და ცად აღუმაღლებია ღმერთსო.

...მერე ჩამრთველი მოვძებნე და სინათლე ავანთე. არნოლდ შელია მაგიდასთან მივიდა. მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ შუშა აილო და ფრთხილად უსუნა.

— აი საოცრება თუ გინდა! — რაღაცნაირად დამფრთხალმა ჩაილაპარაკა და მომიბრუნდა. — ჯერ საწამლავი დაულევია!

შელიას კაცის ფერი არ ედო სახეზე. როცა მიცვალებულის ტუჩების გასწვრივ ოდნავ შესამჩნევ ლაქაზე მითითებდა, ხელი უკანკალებდა.

ოთახის კარი ფართოდ გავაღე და ის იყო გასვლას ვაპირებდი, არნოლდ შელიამ მკლავში ხელი ჩამავლო და გამაჩერა.

— ამას რა ვუყოთ? — მარუყუჟგანასკულ თოკზე მიმითითა. გამოხედვა მეცნაურა. გონებამ მოულოდნელი შორეული ასოციაცია ამოატივტივა მეხსიერებიდან: ვიღაც დაფასთან იდგა, მხრებში იწურებოდა და მასწავლებლისაგან მალულად ჩვენკენ აპარებდა თვალს.

— აზრზე არა ვარ!.. — ვთქვი არა წყრომით, არა სინანულით, უფრო — გაოცებით, და რატომღაც კარის ღირეზე მოწყვეტით ჩამოვჯექი.

●

ამდენი ხალხი რომ მოსულიყო დაკრძალვაზე, არავის ახსოვდა ამ ქალაქში. ამდენი ხა-

ლხი არც მაშინ იყო, როცა მშენებლობაზე დაღუპული პირველი კაცის ცხედარი გამოასვენეს მაშინდელი სოფლის კლუბიდან, არც მაშინ, როცა გოგია დაკრძალეს, არც იოანე უბილიას გასვენების დღეს. დილიდანვე უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ხალხი. ეზოებსა და მიმდებარე ქუჩებში ნემსი არ ჩავარდებოდა. გამოსვენებამდე არავინ აპირებდა წასვლას. იდგნენ, იცდიდნენ, რათა უკანასკნელი პატივი მიეგოთ მედეა ბებიასათვის. ნაშუადღევს მოულოდნელად წვიმა მოვიდა. გეგონებოდათ, ცა ჩამოინგრაო, მაგრამ არავის მოუცვლია ფეხი. მაშინ მომივიდა აზრად: ისინი მონანიებაზე მოსულებს ჰგავდნენ. თავდახრილნი, მხრებჩამოყრილნი იდგნენ, ელოდნენ და ალბათ, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავდნენ შვებით, მხოლოდ მაშინ დაუმშვიდდებოდათ სინდისი, როცა თავიანთი ხელით მიაყრიდნენ საფლავს მიწის უკანასკნელ ბელტებს და სულის მოსახსენებელ პურს წაუქცევდნენ... რაღაც უხილავ ძალას მიეჯაჭვა ისინი ადგილზე, რაღაც ქვეცნობიერად შეკავშირებულიყვნენ. გინდა ეს თუ არა ბუნებაში ხომ უკვალოდ არაფერი იკარგება, მიუხედავად იმისა, გაიცნობიერებ თუ არა, ჩასწვდები თუ არა მის უდაბურ ხვეულებს. მედეა ბებიას ასეთი უცნაური სიკვდილიც ხომ გარკვეული შეჯამება იყო, თანაც არა მარტო საკუთრივ მის მიერ განვლილი გზისა, რადგან, რაც უნდა იყოს, არავინ არის და არ ცხოვრობს ამქვეყნად მარტო. ჰოდა, მედეა ბებიას სიკვდილსაც ხომ უნდა ჰქონოდა გარკვეული შედეგი (თუნდაც ისე, როგორც თავად მისი სიკვდილი იყო შედეგი ქალაქის მიერ გარკვეული დროის მანძილზე განვლილი გზისა). სწორედ ეს შედეგი მოსდებოდა ახლა ბანგივით ხალხს და (ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ამ ბანგის ძალა არ გაუვლიდათ) უნდოდათ თუ არ უნდოდათ, არც ერთი არ ეკუთვნოდა ახლა საკუთარ თავს: ახლა, როცა დაკრძალვამდე სულ რამდენიმე საათიღა რჩებოდა, ყველა ქვეცნობიერად განიცდიდა დამარცხების მაგვარ განცდას, თუ გნებავთ, ერთგვარ შიშსაც. და ხსნასავით ელოდნენ, თუ როდის გამოასვენებდნენ კუბოს, თუ როდის შეავლებდნენ ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, თვალს ქალს, რომელსაც ამჯერად უკვე თავისი სიკვდილით გაემარჯვნა. სიკვდილით მოეპოვებინა დაკარგული უფლებები, სიკვდილით, თუნდაც წამიერად, გაეღვიძებინა მივიწყებული გრძნობები მათთვის, ვისაც დღეს უკანასკნელად და გულხელდაკრეფილი გაუძღვებოდა წინ.

ცალმკლავშეხვეული გუბაზი მამამისის შემდეგ იდგა და სამძიმარს სამძიმარზე იღებდა...

— საოცარია, ღმერთმანი! — მითხრა შელიამ. — ბავშვობაში გამიგონია, თურმე დედას ერთადერთი ბიჭი მოუკვდა. სიზმარი ნახა მწუხარებისაგან ნახევრად შეშლილმა... ჰოდა, მეორე დღეს, როგორც დაესიზმრა, ისე მოიქცა, აიღო სანთელი, მოუკიდა, სამჯერ შემოუარა გარდაცვლილ შვილს ირგვლივ და ღმერთს შესთხოვა, მე მიმიღე შვილის მაგივრადო. უსმინა ღმერთმა და მოხდა სასწაული: მოკვდა დედა, გაცოცხლდა შვილი! ხომ ზღაპარია, მაგრამ მაინც ვცდილობდი მის მეცნიერულად ახსნას: კლინიკური სიკვდილი და ინფარქტი. ამ ამბის შემდეგ კი მეცნიერული ახსნა ლამის სისულელედ მეჩვენოს! ხომ ხვდებით, რისი თქმა მსურს: ვინ იფიქრებდა, იმ ადგილას გადარჩენილი კაცი გადარჩებოდა... არათუ გადარჩებოდა, დღეს აქ შეძლებდა ლაყბობას?!

მერე წვიმამ გადაიღო. ხოლო ზუსტი საათისათვის, როცა მედეა ბებია გამოასვენეს, ცისარტყელა გაიჭიმა ცასა და დედამიწას შორის, მაგრამ ყველამ პირი იბრუნა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს არც შეემჩნიოთ...

როცა მიცვალებული ეზოში დაასვენეს და თითქმის ყველა მიჩუმდა, სასაფლაოდან ისეთი რამ მომესმა, ლამის ყურებს არ დავუჯერე:

— ნუ გეშინია, შვილო, — მოსთქვამდა რომელიღაც გაუბედურებული დედა. — მედეა ბებია მოდის და მოგხედავს!..

„ნუთუ სიკვდილი იყო ამისათვის მაინცდამაინც საჭირო?" — გავიფიქრე, მაგრამ იმ წუთშივე უარვყავი ეს აზრი. არაფრის დაჯერება არ მსურდა, უფრო მეტიც — შესაძლოა, არაფერი მჯეროდა უკვე.

ვიღაცამ გამოსათხოვარი სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ რკინიგზაზე მატარებელმა ჩაიარა და ბორბლების რახრახში რამის თქმას აზრი არ ჰქონდა.

რამდენიმე კაცმა კუბო ასწია და პროცესია დაიძრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელა გოჩიაშვილი

●

შენ გეშინია, რომ ყინვად იქეც
და ვერაფერი ველარ გიშველის;
დაიცა, ჯერ ხომ ზამთრის ქვეყანა
დარცხვენილია და ტანშიშველი.
ჯერ ცივა...
მაგრამ იმედის სხივი
უკვე ბუდიდან გამოპარულა,
მოვა, მოგნახავს და დაგამარცხებს
ისე ტკბილად და ისე ქალურად,
ისეთი შვებით გძლევს გაზაფხული,
ამოგევსება ყოფნით თვალები,
სიკვდილს კიდევაც რომ დაემალო,
სიცოცხლეს ვერსად დაემალები.
იანვრის სუსხთან შეკრული ზავი
ჩაგეწურება სულში ღვარებად,
შენ დამარცხდები...
და ზარ-ზეიმით
ტანში ზამთარი გაგებზარება.
მერე აპრილი წასკდება მიწას,
დაიჩურჩულებს ველზე ზეფირი,
და მკერდს შეგიკრთობს
მშვენიერი წუთების აცმა,
ხსოვნის მინდვრებზე წამოკრეფილი.
კიდევ შეგიპყრობს ტრფობის სიგიჟე,
შემოგაფეთებს ბაგეს ჟინიანს,
გაწამდები და
გაწვალდები და
დაიტანჯები,
ნუ გეშინია.
ნუ გეშინია, რომ ჩრდილად იქეც
და ვერაფერი ველარ გიშველის;
დაიცა, ჯერ ხომ მისათრევია
განთიადამდე ღამის გიშერი.

**ნოემბერთან — ხელკავით**

შემოდგომის მიწურულს,
როცა ტკივილთა მყვირალობის
მძიმე ჟამია,
ჩემი დარდიც აიწყვეტს ხოლმე,
გადაირევა
და ფოთოლ-ფოთოლ დაწანწალებს.
წელსაც...
მეტი რა გზაა, მივყვები,
ამ არეულ და ბედნიერ ქვეყანაზე
მარტოს როგორ გავუშვებ,
მე შენ გეტყვი, ვინმე შეიფარებს.
მიხეტიალობს ჩემი დარდი...
რალას მივყვები,
იმან თუ არა, მე ხომ ვიცი,
რომ ვერავის დაუწყვილდება,
რადგან დარდებს
გასიებული თავიანთი თავიც ეყოფათ
და ტანწერწეტა სიხარულებზე
უჭირავთ თვალი,
ხოლო სიხარულებს
ხელჩაქნეული დარდები მოსწონთ.
ეს კი ჟიუტად თავის მსგავსს ეძებს.
რალას მივყვები...
მაგრამ ცოდვილი ვარ, ხარბი
ცოდვილი,
უარყოფის მშვენიერებას მინდა
დავესწრო
და ხელნაკრავი დარდით დავნაყრდე.

შემოდგომის მიწურულს,
როცა ტკივილთა მყვირალობის
მძიმე ჟამია,
როცა ათასი დიდ-პატარა კაეშანი
ფოთოლ-ფოთოლ დაწანწალებს,
მეც მაქვს ხოლმე ერთი რომანი.
დაუფარავად,
ურცხვად,
სახალხოდ,
ფანჯარასთან,
ქუჩაში,
ბაღში,
და, რა ვიცი, სადაც მომხვდება,
ვხვდები ხოლმე
და ხელკავით დავეხეტებით
მე და ნოემბერი.
თითქოს კიდევაც ვუგებთ
ერთმანეთს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ორივეს სხვა რამ გვჭირდება.
მე სითბო მინდა — მას თვითონ
სცივა,
სიმშვიდე მინდა —ის უარესი
ნერვიულია.
ჰო, სადღაც იქნებ ვუგებთ
ერთმანეთს,
მაგრამ ორივეს სხვა რამ გვჭირდება.
ეს ხდება მხოლოდ
შემოდგომის ყვითელ მიწურულს,
ტკივილების მყვირალობის ჟამს,
როცა ქვეყანა
თითს მომაშვერს და აყაყანდება:
— ხალხი ნამდვილი საქმით არის
დაკავებული,
რა დროს მაგისი თავზარდამცემი
სიყვარულია!
ეს მხოლოდ მაშინ წავალ ხოლმე
და ნოემბერს ავეკიდები.
დაე, ეგონოთ, რომ დაგივიწყე.
ნოემბერი არ შურთ ჩემთვის —
ხედავენ, სნეულია.
და არც არავინ ეჭვიანობს —
გრძნობენ, ცივია.
იმასაც ხედავენ,
მე ულიმილოდ დავყვები მუდამ,
ისიც ასე — უსურვილო,
გამოფიტული,
საკუთარი სიყვითლით
გაოგნებული,
ხმელ ფოთლებს თუ გამომიწოდებს.
და ასე გადის დღე ოცდაათი.
ხედავენ ამას,
მაგრამ მაინც, თუ დასჭირდებათ,
შეუბრალებლად თითს მომაშვერენ
და იტყვიან:
— ეს ნოემბერთან დაეთრეოდა!
მე ცოდვილი ვარ.
მაინც მხოლოდ მე დამიჯერე,
გევედრები, დამიჯერე, რომ
მიყვარხარ,
რომ ეს დრო მიჭირს,
ტკივილების მყვირალობის დრო,
სანამ დარდები, მარტოსულები,
დაწანწალებენ და მეგობარ
დარდებს ეძებენ,
თორემ მერე,
შინ მობრუნებულთ როცა მივითვლი
და შევიბუდებ,
ჩემი სნეული მეგობარიც
გაემგზავრება
და მე შენ ისევ...
თავზარდამცემად!
თავზარდამცემად...

. . . . . . .

მე ცოდვილი ვარ, ცოდვილი,
ცოდვილი,
საბრალო ცოდვილი, დასჯილი
ცოდვილი.
შენ კი ვინა ხარ?
„მკრეხელი თუ
ვარსკვლავთგადამწერი?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეთერ ჩიგოგიძე

●

წავალ შორს, სადმე,
უკაცურ მხარეს,
დავემალები მზესა და მთვარეს,
დავემალები ანთებულ თვალებს,
წავალ შორს, სადმე,
უკაცურ მხარეს...

ვინ იცის,
გზებზე იმედივით ენთოს სანთლები,
მეც სანთელივით ავენთები,
ანდა ჩავქრები, —
გადავივიწყებ მზის და მიწის
სითბოს და ალერსს,
და უცხო მხარეს
სამუდამოდ დავიკარგები...
წავალ შორს, სადმე,
უკაცურ მხარეს...

●

მზეს შევევედრე, ცხრათვალა
მზესა —
გამომიგზავნა სხივი — დობილი,
უერთგულესი, როგორაც სევდა,
ვით დაი ჩემი დედის შობილი...
მზეს ვევედრები, მხურვალე მზესა,
— დამწვი, მამღერე — რაა მამული,
მსურს საქართველოს ლამაზ
მთა-ველებს
მოედოს ჩემი ლექსის ალმური...

●

ერთხელ მეწვია სატანა,
ინება ჩემი მონება,
სატანა რის სატანაა
თუ არ არია გონება...
— ცოდვა და მადლი ყოველი
თანაბრად აიწონება,
გამომყევ, ფრენა გასწავლო,
ღრუბლებთან მოგეწონება...
ერთხელ მეწვია სატანა,
წამგვარა გული, გონება...

## მსახური

მძიმეა ქუდი მონომახისა,
უფრო მძიმეა ქუდი მსახურის...
მაგრამ უნთია მამულს კელაპტრად
ერთგულთა შვილთა ღვთით
ნამსახური...

ამ გუმბათებში დღეს საქართველოს
სუფთა სულია გადანახული...
აალორძინებს დანგრეულ ტაძრებს
წმიდათა წმიდა ხელი მსახურის...

## ერისათვის და კაცთათვის ნამღერი

თუ ვერ გაუძელ დროთა ქარიშხალს
და დაიჩოქე ქაოსში, მტვერში,
თუ დაცემული წამოგაყენეს,
სჩანს, ღვთისნიერი გდგომია
გვერდში...

დასაბამიდან ასე მოვდივართ,
ასეა ყველგან, ერში და ბერში,
თუ დაცემული წამოგაყენეს,
სიცოცხლის ძარღვი იპოვე შენში...

## წყვდიადში

დაგეძებ, როგორც დაკარგულ იმედს,
უნიადაგოდ რომელიც ღვივის...
მიწა ცივია და უსინათლო,
ზეციურია სინათლის სხივი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელგუჯა მარღია

●

გიხსენებს ახლა დაღლილი მთვარე,
როგორც ტკივილი უსაფეხურო...
ჩრდილი როდემდე უნდა გეხუროს,
როდემდე უნდა იცადო გარეთ!
გიხსენებს ახლა დაღლილი მთვარე.

გისოსებშორის ლომის სიარულს
არჩევს ცხოვრება — მკაცრი
სატირა...
ღვთისმშობლის ხატი თუ აატირა
ორსახოვნებამ შენმა, იანუს!
გისოსებშორის ლომის სიარულს.

კოჭლი დროება მართავს მასკარადს,
აჩხავლებულა ყვავების გუნდი...
რაში გჭირდება, მონარქის მუნდირს,
თუ როგორ ირგებს ვინმე მასხარა;
კოჭლი დროება მართავს მასკარადს.

და მარყუჟივით გახრჩობს მანტია,
პირსისხლიანი ბორგავს იუდა...
იცი, იუდას მოყვრად ვინ უნდა,
რადგან გაცემა და ღალატია.
შენ მარყუჟივით გახრჩობს მანტია...

ცრუმორწმუნენი ჩუმად კვნესიან,
საოცრებაა თავის გატანა,
სულში გიძვრება როცა სატანა, —
მართალ ნაბიჯებს ზომავს მესია!..
ცრუმორწმუნენი მაინც კვნესიან.

ძმადშეფიცული მოძმის ხელყოფამ,
ვერ მოიმაგრა ფესვი სრულიად...
მერიდიანი მოწამლულია
და გასაჭირი ყველას ეყოფა!
ძმადშეფიცული მოძმის ხელყოფამ...

გიხსენებს ახლა დაღლილი მთვარე,
როგორც ტკივილი უსაფეხურო,
ჩრდილი როდემდე უნდა გეხუროს,
როდემდე უნდა იცადო გარეთ!
გიხსენებს ახლა დაღლილი
მთვარე...

●

მომხედე, გულში ჩამექცა სისხლი,
მომხედე, მცირე სითბო მაღირსე...
სისხლი, რომელიც ჰყვავის
ბალისებრ,
მომხედე, გულში ჩამექცა სისხლი...
თუმცა შენ უკვე ვერაფრით მიხსნი,
თუმცა შენ უკვე ველარ მიშველი...
დაბადებიდან იღბალი მრისხავს,
დაბადებიდან დავრჩი შიშველი...
დაბადებიდან სიკვდილი მგეშავს,
დაბადებიდან სიცოცხლე მკორტნის,
დაბადებიდან ვარ უპატრონო...
დაბადებიდან მომკივის ჭოტი,
მარადიული სიჩუმე მოდის
და ყველაფერი უნდა დავტოვო!..

## ძაღლის მონოლოგი

მე შემაჩვიეს წანწალს და შიმშილს,
ერთგული კაცის ვყნოსავ
ნაკვალევს...
ამდევნებია ლანდივით შიში,
ძაღლური ყოფა მაინც მაკმარეთ!

ცხოვრების სუნი კვამლივით
მხუთავს,
დამდუღრულ ტანზე ჩამომდის
ოფლი...
ო, მოწყალენო, გაილეთ ხურდა —
პურის ნაგლეჯი დილამდე მყოფნის!

## სურათი ყოველდღიური ცხოვრებიდან

შენა ხარ ქალი,
თილისმაა შენი სახელი,
კრთის თვალებიდან
შენილბული, მზერა მაცდური...
ალუჩებივით მოყვავილე
დღეებს გახსენებს
უთქმელი ცრემლი,
კურცხალ-კურცხალ
ჩამომარცვლული.

შენა ხარ ქალი,
სიყმაწვილის ლანდი და ექო,
მღვრიე ფინჯანში
ამოკითხულ იმედებს კოცნი...
შენა ხარ ქალი, ფერმიხდილი,
ვით მანონ ლესკოს
გტანჯავს შამხათის
ანთებული ვნება და ხორცი.

## მარადიული განაჩენი

უჩინარ ხილვებს გაუგო ვერვინ,
მდუმარებს რისხვა — მდევარი
წელთა...
დაჭიმულია ლარივით ნერვი,
ცხოვრება სანთლის ცრემლივით
ღვენთავს.

ო, არ იქნება პოეტის შველა,
(მარადჟამ ქირდავს ღიმილი ყალბი...)
და მზერა — ბრბოში დამფრთხალი
შველი —
დასავანებლად ზეცაში გარბის.

## ბედისწერა

თავი მირაჟით უნდა გავირთო,
სანთლის ალივით მივლის კანკალი...
დღეს თქვენში ველარ ვიპოვე
სითბო,
ღიმილი სათნო და სიანკარე.

მკარნახობს ახლა მზე იდუმალი,
ვით ახმაურდა სისხლი წარმართის...
დავეძებ ზეცას — ზეცის სტუმარი,
რადგანაც მიწა უკვე წამართვეს.

## ავადმყოფობა

შევცქერი (და თან მერამდენედ
სიყვარულს ვჩემობ)
თვალებს — მოცისფრო ოაზისებს,
მე რომ მიხსნიან...
ლექსი, რომელსაც შემოგწირავ,
თოლიგე ჩემო,
გამოჟონილი სიცხიანი
გულის სისხლია!

მომწყინდა ღამე!.. მომაშორე
სიმშვიდის კალთა,
ტკივილი უნდო, მოჟამული
ბავშვივით მამხელს...
და როგორც კუბო, მიგდებული
სამარის კართან,
ისეთი არის ეს ლოგინი
— პატარა მახე!

## გუბაზი

ხობისწყალს, ვაგლახ, გაგწირეს,
ძაღლივით დაგიყეფეს...
ვინ წარუძღვება არწივებს,
ბიზანტიონში, მეფევ!

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“,
ხედავ? — ვითარცა გყვლეფენ...
...გადარჩა შენი ლაზიკა,
შენი ეგრისი, მეფევ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გოჩა აბუთიძე

●

მხვდები ქუჩაში, შენს ქმართან
ერთად,
შუაში გიდგათ ფაქიზად შვილი,
და მიხარია, — გიკურთხოს
ღმერთმა
ოჯახი, — ასე ტკბილი და მშვიდი.

შენ უკვე დედა, დედის ფიქრს
ფიქრობ,
აღარც მე მახსოვს, რაც იყო
გუშინ...
კაცი არ იყოს, კაცი არ იყოს,
ვინც უკადრისი გაივლოს გულში.

●

მე გამახსენდი დიდიხნის შემდეგ,
როგორც ბავშვობის ის სახლი,
სადაც
უზრუნველად რომ ცხოვრობდი
ერთხელ
და სხვას ეკუთვნის, რომელიც
ახლა...

სხვისი მეუღლე და სხვისი სახლი,
ასე ერთმანეთს ნეტავი რად ჰგავს,
დაკარგვის შემდეგ, რომელთა ნახვის
ძალაც არ გაქვს და უფლებაც არ
გაქვს.

●

მე იმ ქუჩაზე ჩავიარე,
სადაც შენ ცხოვრობდი
გათხოვებამდე,
და მომეჩვენა,
თითქოს შენი სახლი
ათიათასი ჭაღით იყო განათებული.

## იმდენი ხნით დაიგვიანე

იმდენი ხნით დაიგვიანე,
რომ ყოველდღე მოდიხარ.
ფრთხილად აკაკუნებ კარზე,
ამ ხმას ყველა ხმაში ვარჩევ, —
გული მკერდიდან ამოვარდნას
ლამობს,

მაგრამ არ ვდგები,
კარს არ ვაღებ.
შენ სრულებითაც არ გწყინს ეს,
უხმაუროდ შემოდიხარ ოთახში
და თან შემოგაქვს
ქარებისა თუ მზის სურნელი,
რომ ჩემს ოთახში დაივიწყო
ქვეყნიერება.

არ გეგებები,
სიხარულისგან არ გიკოცნი ლამაზ
ყვრიმალებს,
მარტოოდენ შენს სურნელს
ვსუნთქავ
და მიხარია, რომ შენ ჩემთან ხარ.
მხოლოდ ღამე ვგდები და
ქუჩაში გაცილებ.

## დამარცხება

არა, ღამე უარესია,
აქ ყველგან შენ ხარ
და შენს ირგვლივ გაურკვევლობაა.
შენი ადგილი აქაც არ არის,
სხვა თუ არა, ღამის ადგილს მაინც
იკავებ,
რომელიც მას
სიმშვიდისთვის და მოსვენებისთვის
სჭირდება.
თუმცა შეიძლება
გრანიტის კლდეს აეკრა ზურგით,
ოდნავ გაშლილი ხელებიც მჭიდროდ
მიაკრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავიც გვერდზე შეაბრუნო.
მაგრამ სუნთქვას ვერ შეიკავებ
და, რა თქმა უნდა, ვეღარც
გაუძლებ.

ისევ დღე სჯობია,
დღე, მხურვალე, როგორც უდაბნო,
როცა დაუნდობელი მზე
სხეულს გაადნობს
და შენიდან
ყოველგვარი სიცოცხლის
ამოშრობას ლამობს.

## სონეტი ყინწვისის ანგელოსზე

ვარ დასალახვრი და ღვთისაგან შესაჩვენები,
ვიცი მომელის იმ ქვეყანას მე ჯოჯოხეთი,
მომესევიან სუსტ სხეულზე შავი გველები,
გავხდები ყვავთა დასაკორტნი, როცა მოვკვდები.

ჩემს ცოდვას ალბათ, ვერავისთან მოვინანიებ,
არვინ შემინდობს ეშმაკისგან ნაცდურს და ცოდვილს,
არ შემიბრალებს კაცთა მოდგმა ღმერთის სახიერს,
და არც თვით ღმერთი არ მიმიღებს არასდროს თხოვნით.

აქ, ჩემს ყინწვისში, ასაფრენად შემდგარ ტაძარში,
მწვანე ნალკოტში, ცისფერ ცას რომ იმშვენებს კრძალვით,
ანგელოსების წყნარ ფრესკების ღვთიურ ნატვრაში,
მე, მე, ცოდვილმა ხორციელი ვიგრძენი ქალი.

ან რად ილვანა შესაცდენად ოსტატის ფუნჯმა?!
ან რად შემეკრა მიწიერი ღელვისგან სუნთქვა?!

# დარეჯან ჯელაძე

## მადლობას გწირავ

სასწაულია...
რამდენ სატანჯველს გაუძელი,
ისევ ანთიხარ...
რა ძნელზე ძნელი გადავიტანეთ
განსაცდელი,
გზას გოლგოთისას ვაწვიმეთ
ცრემლი,

ცხელი ცრემლი...
ო, სულო ღვთისავ, არა გვყოლია
ნუგეშისმცემი

სულ ერთი წამით...
და მაინც, მაინც
ჩვენი ვარსკვლავი განირჩევა
სხვა ვარსკვლავთაგან, —
სხვა სინათლით,
სხვაგვარად ბრწყინავს...
რომ არ დამტოვე, სულო ჩემო,
მადლობას გწირავ.

## მიტევება

არ დამილიე გულის ტკივილი
და მაინც მხნედ ვარ...
მე ვიცი, მალე მოვა აპრილი
სამყაროს ფერადს
ვერ დაინახავ შენ ჩემი თვალით.

არა, არ ვტირი,
ღვთის სიყვარულის
ცეცხლი მედება.
ცოდვილთა შორის ასე ცოდვილი
ვინ მოგახსენა!
ღამეს ვათენებ როგორც მარტვილი
ღვთის აგალობელს
ცრემლებითა ვწერ
და ამ ცრემლებში
მე ქრისტეს ვხედავ...
ჩემი სიმღერა სევდიანია,
იგი სავსეა ღვთის სიყვარულით,
შენ მას მოისმენ ცივი ქირქილით...
შენ დაგებედა
შურიანი ჰეროდეს გული
მე, შენდა ბედად,
ღვთისმოსავის მაქვს მიტევება.

●

ჩემი ხატის, ჩემი ღმერთის
როცა რწმენას მიკარგავდნენ
განა ახლა, აი, სწორედ
აი, სწორედ მაშინ მკლავდნენ...
როცა მიუფერულებდნენ
სიყვარულს და ძალის ფიცის
აი, სწორედ მაშინ მკლავდნენ,
სხვისი დარდი სხვამ რა იცის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა გოზალიშვილი

# აკაკი წერეთელი და მიხეილ თამარაშვილი

აკაკი წერეთელს განსაკუთრებით გულთბილი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდა საზოგადო მოღვაწეებთან, ვისაც გული ერჩოდა მშობლიური ერისა და ხალხის სასიკეთოდ, ვინც ილვწოდა ქართული კულტურის, ისტორიისა და მწერლობის აღორძინებისათვის.

ერთ-ერთ ასეთ საყვარელ და მახლობელ ადამიანად აკაკის მიაჩნდა მიხეილ თამარაშვილი, რომელსაც ბედმა სამშობლოდან შორს არგუნა ცხოვრება.

ამასთან დაკავშირებით სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ეროვნული კულტურის საგანძურში, ძველ ქართულ ხელნაწერთა გარდა, დაცულია საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთა, მწერალთა პირადი ლიტერატურული ფონდები.

ამ ფონდებში წარმოდგენილ მასალას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მე-19 საუკუნის ქართული ეროვნული კულტურის: მწერლობის ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიისათვის.

1911 წლის სექტემბერს იტალიაში — რომის მახლობელ სოფელ სანტამარინელაში მიხეილ თამარაშვილის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ, გულშემატკივარ ნათესავთა და ახლობელთა წყალობით, ისტორიკოსის პირადი ლიტერატურული ფონდი საზღვარგარეთიდან საქართველოში გამოიგზავნა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა დასაცავად.

ფონდის ყველაზე დიდ მასალას შეიცავს მიხეილ თამარაშვილის მიმოწერა: კერძო წერილები, დეპეშები და სადარბაზო ბარათები, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და სხვათა წერილები მ. თამარაშვილთან, მიხეილ თამარაშვილის წერილები სხვადასხვა პირებისადმი, პირადი წერილების დიდი ნაწილი საზოგადოებრივი ხასიათისაა და არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ დროის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სხვადასხვა საკითხების შესწავლისათვის. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი წერეთლის, ზაქარია ჭიჭინაძის, ალექსანდრე ხახანაშვილის, თედო სახოკიას, ნიკო ლოლობერიძის, სიმონ ქვარიანის, ივანე გვარამაძის (ვინმე მესხის), ალექსანდრე მრევლიშვილის, იაკობ ნიკოლაძის და სხვათა წერილები; თვით მიხეილ თამარაშვილის პირადი წერილები ქართველ მოღვაწეებთან: აკაკი წერეთელთან, ალ. ხახანაშვილთან, პეტრე მირიანაშვილთან, გრ. ყიფშიძესთან, ალექსანდრე სარაჯიშვილთან და სხვებთან მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა და ნათლად ღაღადებს მიხეილ თამარაშვილის დიდ დამსახურებაზე სამშობლოს წინაშე.

განსაკუთრებული ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით იყო გამსჭვალული მიხეილ თამარაშვილი აკაკისადმი. თავის მხრივ აკაკიც განუზომელ გულისხმიერებით ეკიდებოდა სამშობლოდან გადახვეწილ თავის უმცროს თანამემამულეს, რომლის მოღვაწეობას აღტაცებაში მოჰყავდა მხცოვანი პოეტი.

მიხეილ თამარაშვილი 1901 წელს საზოგადო მოღვაწეს პეტრე მირიანაშვილს სწერდა: „გაგებული გექნებათ უეჭველია, რომ მე კარგა ხანია ევროპაში ვკრებ საჭირო დოკუმენტებს მეტადრე ქართველი კათოლიკების შესახებ. დიდის შეწუხებისა და შრომის შემდგომ დღეს მოვამზადე ეს დოკუმენტები საჭირო განმარტებით დასასტამბად". მართლაც სულ მალე, 1902 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური შრომა — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით მე-18 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნემდე".

ამ შრომების შესახებ გაზეთი „ივერია" 1902 წელს წერდა: „წიგნს ქართველებისათვის უფრო მეტი, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ მნიშვნელობას გამოხატავს თვით გამოცემის სათაური. ეს მარტო „კათოლიკობის ისტორია" კი არ არის, არამედ საქართველოს შინაური ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე „ქართლის ცხოვრებაა".

ამ შრომას მოჰყვა 1904 წელს დაბეჭდილი წიგნი „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთულ არქივებში საქართველოს შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებზე მიხ. თამარაშვილის ნაყოფიერ მუშაობაზე 1904 წლის 27 აპრილს გაზეთი „ცნობის ფურცელი" ახალ ამბავში სწერდა: „პარიზიდან გვატყობინებენ, რომ... მიქელ თამარაშვილი შესდგომია ფრანგულად წერას საქართველოს საეკლესიო ისტორიისას. ამ შრომას წინ წაუძღვება მოკლე საგეოგრაფიო-საეტნოგრაფიო-საპოლიტიკო მიმოხილვა ჩვენის ქვეყნისა. შიგ ჩართული იქნება გეოგრაფიული რუქები ძველნი და ახალნი და წმინდანთა სურათები".

ამის შემდეგ, არც ისე დიდი დრო გავიდა, რომ 1910 წელს საზღვარგარეთ ფრანგულ ენაზე გამოიცა მიხეილ თამარაშვილის „საქართველოს ეკლესიის ისტორია". ავტორის ამ წიგნით ევროპის საზოგადოებრიობა გაეცნო ქართველი ხალხის ისტორიას, მის კულტურას, ყოფაცხოვრებას. ევროპის პრესამ ამ შრომას მაღალი შეფასება მისცა.

„საქართველოს ეკლესიის ისტორიის" გამოცემამდე 1909 წლის 27 ოქტომბერს მიხეილ თამარაშვილი პარიზში მყოფ აკაკის სწერდა: „ამის დაწერაზე ბევრი ვიშრომე. კაი შესანიშნავი დოკუმენტებიც შემოვიკრიბე. ეს დიდი შრომა ორი-სამი წლის წინათ უნდა დამებეჭდა, მაგრამ სამწუხაროდ, აქამდის მისი დაბეჭდვა ვერ დავიწყე, რადგან დიდი ხარჯი უნდა. ამაში მომყავს ორი საქართველოს ძველი და ახალი გეოგრაფიული კარტა. აგრეთვე ყველა იქაური შესანიშნავი მონუმენტების სურათები, რაის გამო დიდად საინტერესო იქმნება ყველასათვის. ბევრგზის მივმართე ქართველებს საცალკეროთ თავად-აზნაურო წარმომადგენელს, რომ ცოტა რამ შემწეობა აღმოეჩინათ ამის დასაბეჭდათ. გარნა ჩემდა დიდ სამწუხაროდ, ცარიელა პასუხიც კი არ მაკადრეს. წინათ ზუბალაშვილები წლიურ სუბსიდიას მაძლევდნენ, ისიც მომისპეს ამ ბოლო წლებში. ეს ჩემი შრომა აქ გაიცნეს პოლიაკებმა, ასე წარმოიდგინეთ, იმათ შემწეობა აღმომიჩინეს და ქართველებმა კი მთლად ზურგი მომაქციეს. ამნაირ მათ უყურადღებობამ ძლიერ დიდად გული გამიტეხა. ამისთვის არ ვიცი თუ შემდეგში კიდევ გავბედავ სხვა შრომას თუ არა საქართველოს სასარგებლოდ".

მიხ. თამარაშვილი უჩიოდა ხელმოკლეობას, მაშინდელი საზოგადოების გულგრილობას და უყურადღებობას საზოგადო საქმის მიმართ. „უკეთუ კეთილს ინებებთ და ქართველ საზოგადოებას ჩააგონებთ, რომ ცოტა მაინც შემწეობა აღმომიჩინონ ამ წიგნის დასაბეჭდად, დიდად დაგიმადლებთ — წერდა იგი აკაკის — ხოლო ამას კი გთხოვთ უმორჩილესად, რომ ვისი საშუალებითაც კი შეიძლება, ზუბალაშვილებს, მეტადრე იაკობს, შემახვეწოთ, რომ ის წლიური სუბსიდია. გადაწყვეტილი თავიანთი მიცვალებული ძმის სტეფანეს მიერ, ისევ გამომიგზავნონ.. უკეთუ ამ სუბსიდიას კვალად, თქვენის თხოვნით, გამოაგზავნინეთ, ძლიერ დამავალებთ. რადგან მაშინ კაი საშუალება მექნება, რომ ამ ჩემი წიგნის საქმე ვაწარმოო.

დარწმუნებული ვარ თქვენი კეთილშობილი გულისაგან, რომ ამ საგნისათვის თქვენს ცდაშრომას არ დაზოგავთ.

ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ზამთარი აქ კაი სასიამოვნოა. სიცივე სამისო არ არის, მაშ იანვარში უთუოდ მობრძანდით".

როგორც ჩანს, მიხეილ თამარაშვილმა მატერიალური ხელმოკლეობის მიუხედავად, დიდი შრომა გადაიტანა და ამ წიგნის გამოცემა მაინც მოახერხა, რის გამოც იგი დიდ ვალშიც ჩავარდნილა.

„ამ შრომის ღირსებას მე არ აღვწერ — სწერდა იგი 1911 წლის 10 მაისს გრ. ყიფშიძეს, — ყველა შეგნებულ კაცს შეუძლია სცნოს და დააფასოს ჯეროვნად. ხოლო ამას მოგახსენებთ, რომ აქამდის ევროპაში საქართველოზე ბევრნაირი შეცდომილი აზრები იყო გავრცელებული და ქართველები მიაჩნდათ ისე, როგორც ველური ხალხი, მოკლებული საჭირო და შესაფერ განათლებას. აი, ერთი მიზეზი ეს იყო, რომ დიდის აღტაცებით მიეგებნენ ამ ჩემს შრომას და ბევრმა შესანიშნავ გაზეთმა შესანიშნავი სტატიებიც მიუძღვნა. რამდენათაც აქამდის შევიტყე, 50-ზე მეტ ჟურნალ-გაზეთმა ილაპარაკა დიდის ქებით ჩემს წიგნზე. ესრეთი მოვლენის შემდგომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საქართველომაც, რომლისათვისაც განწირული ვიშრომე, ჯეროვნად დააფასოს ესრეთი შრომა და მიიღოს შესაფერი მონაწილეობა მის წარმატებაში.

ამ წიგნის გამოცემით, დიდი შრომის გარდა დიდი ხარჯიც მამივიდა. ყველანაირი შეწუხება თავზე ავიღე ამ წიგნის სისრულეში მოყვანისათვის, რაის გამო საკმაოდ ვალიც დამედო".

მიხეილ თამარაშვილის დამსახურებას სამშობლო ქვეყნის ისტორიის შესწავლის საქმეში, როგორც უკვე აღინიშნა, აკაკი დიდი თანაგრძნობით, გულისყურით ეკიდებოდა და აფასებდა.

1909 წლის 14 ივლისს, როდესაც აკაკი წერეთელი ევროპაში გაემგზავრა, მიხეილ თამარაშვილი ამ ამბავს აღტაცებით მიეგება. იგი აკაკის რომიდან პარიზში სწერდა: „კონსტანტინეპოლიდამ მივიღე თქვენი ევროპაში მგზავრობის ამბავი. აგრეთვე მაუწყეს თქვენი აქ მოსვლის სურვილი. ამ მოულოდნელმა ამბავმა მეტად გამახარა, რადგან თქვენი ნახვა ჩემთვის დიდი სიხარული იქნება. ამისათვის მოუთმენლად მოველი თქვენს აქ მობრძანებას.

უმორჩილესად გთხოვთ წერილით წინდაწინ მაცნობეთ თქვენი აქ მოსვლის დრო. ეგრეთვე როცა იტალიაში შემოხვალთ. ტელეგრამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცნობეთ... რათა მე სტანციაზედ დაგიხვდე.

...იტალიის ქალაქები თითქმის ყველა შესანიშნავია. ამისათვის რაც შეიძლება გზაზედ ყველა ქალაქებში გაჩერდით და ნახეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ყველგან დიდი კმაყოფილი დარჩებით".

აკაკი წერეთელი პასუხად პარიზიდან მიხეილ თამარაშვილს სწერდა: „თქვენმა წერილმა დიდად მასიამოვნა!.. მართლა რომ ძალიან გულით მინდა მანდ მოსვლა და თქვენი ნახვა, რადგანაც თქვენი რჩევა ჩემთვის დიდათ საჭირო იქნება. ჯერ-ჯერობით, ამ თვეში ვერ მოვდივარ და როცა წამოვალ, შეგატყობინებთ. თქვენი ნაწერები კათოლიკობის შესახებ, ფასდადებით გამომიგზავნეთ, დიდად საჭიროა. აგრეთვე გთხოვთ შემიტყოთ ალექსანდრე ზუბალოვის ადრესი. ის დიდიხანია გადმოსახლდა იტალიაში და აღარ ვიცით ნეაპოლშია თუ ვენეციაში. ეგები როგორმე იცოდეთ მისი ადრესიც და მაცნობეთ. დავშთები თქვენი მარად პატივისმცემელი. აკაკი".

მიხ. თამარაშვილის წერილის მიღებით კმაყოფილი აკაკი იაკობ გოგებაშვილს სწერდა: „გუშინ მივიღე თამარაშვილის წერილი რომიდან. ალბათ სტამბოლიდან მოუწერიათ ჩემი მოსვლაც და ჩემი აქაური ადრესიც. დიდ იმედებსა მწერს და ალტაცებითად მიბარებს რომში. მე ჩასვლის დასტური მივსწერე, მაგრამ ჯერ ვერ წავალ, რადგანაც საგზალზე ნაკლებათა ვარ... არ ვიცი როდის მომიხდება წასვლა. თამარაშვილი კი მწერს, რომ ჯერ ხიცხეებია, იმ თვის პირველში მოგელითო".

წერილის მიღებით გახარებულ მიხეილს პოეტის თხოვნა შეუსრულებია და 1909 წლის 16 ოქტომბრის თარიღით რომიდან პასუხად მოუწერია: „აგერ ეხლა მივიღე თქვენი უკანასკნელი წერილი, რომლითაც მაუწყებთ ამას წინათ წერილის გამოგზავნას. მოგახსენებთ, რომ ეს ხსენებული წერილი არ მიმიღია, რის გამო დიდად ვწუხვარ, კეთილ ინებეთ და განმიახლეთ რაც იმ წერილში მოგიწერიათ, თუ რაიმე საჭირო და შესანიშნავი იყო...

იმედია ჩემს ორ წიგნსაც მიიღებდით. უკვე გაუწყე ალექსანდრე ზუბალოვის ადრესი, რომელიც ფლორენციაში იმყოფება...

თქვენი საკადრისი ადგილი და მოწყობილობა შესაფერი არა მაქვს, რომ ეგრეთი უძვირფასესი სტუმარი ჩემს სახლში მიგიღო. ამისთვის თუ საჭიროდ შერაცხამთ, მაცნობეთ, რა ფასიან „ოტელში" მოვამზადებინო ოთახები".

როგორც მიმოწერიდან ჩანს, აკაკის მიერ განზრახული ეს მგზავრობა იტალიაში არ განხორციელდა და ისინი ერთმანეთს ვერ შეხვდნენ. ამის შესახებ 1909 წლის 24 ოქტომბერს პარიზიდან გამოგზავნილ ბარათში აკაკი მიხეილ თამარაშვილს სწერდა: „ბატონო მიხაილ! ამ დღეებში მივდივარ კავკაზიაში, გარემოებამ ისე მოიტანა და ვეღარ ჩამოვალ სამ თვეზე ადრე და მაშინ კი პირდაპირ რომში ჩამოვალ უფრო დიდის ხნით. ტფილისში თუ მოგიხდესთ წერილის მოწერა ჩემ დაბრუნებამდე, წ. კ. საზოგადოებაში მომწერეთ და გადმომცემენ. მარად პატივისმცემელი აკაკი".

წერილის მიღების შემდეგ როცა მიხეილმა შეიტყო, რომ აკაკის აღარ მოუხდებოდა იტალიაში მოგზაურობა, ამ ამბავმა იგი მეტად დაალონა. მომავლის იმედით გამხნევებული მიხეილ თამარაშვილი სასიქადულო მგოსანს სწერდა:

„თქვენო ბრწყინვალებავ, თავ. ბ-ნო აკაკი!

დიდად ვწუხდი თქვენი ამბავის დაგვიანებაზე. აგერ დღეს მესამე წერილი რექომანდეთი უნდა გამომეგზავნა თქვენთვის, როცა მოვიდა თქვენი 24-ს წერილი. სწორედ მოგახსენებ, რომ დიდად დამალონა ამ ამბავმა, რომ ეხლა ვეღარ მობრძანდებით აქ. დიდის ალსწრაფებით მოგელოდი აქ. ახლა მოთმინების მეტი რა გზა მაქვს?

ერთი სიტყვით, გისურვებ ყველა ბედნიერებას და უვნებელს სიცოცხლეს. უმდაბლესად გთხოვ, რომ თქვენი საქართველოში მობრუნების მშვიდობის ამბავით გამახაროთ ჯერ-ჯერობით".

„საქართველოს ეკლესიის" ფრანგულ ენაზე გამოცემის შემდეგ მიხეილ თამარაშვილი შეუნელებელი ენერგიით განაგრძობდა საქართველოს წარსულის კვლევა-ძიებას, აგროვებდა ახალ მასალებს და ემზადებოდა ახალი შრომის დასაწერად. მისი ტრაგიკულად დალუპვის სულ რამდენიმე თვით ადრე, იგი გრიგოლ ყიფშიძეს სწერდა: „კიდევ ბევრი დოკუმენტები მაქვს შესაკრები. ვალის გადახდის შემდგომ თუ გარემოება ხელს მომიწყობს, შეუყოვნებლად შევუდგები დანარჩენ დოკუმენტების შეკრებას, თუ არა, მაშინ ესრეთი ძვირფასი საუნჯე ვგონებ სამუდამოდ დაეკარგება საქართველოს, რადგან როგორც აქამდინ არცერთს საქართველოს შვილმა აიღო თავის თავზე ესრეთი დოკუმენტების შეკრება, ვგონებ ვერც ამას იქით შეიძლოს ეხა".

მიხეილ თამარაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს მოწინავე საზოგადოება, დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის თანაგრძნობითა და ხელშეწყობით, სათანადო დახმარებას აღმოუჩენდა და ამით მიეცემოდა საშუალება ახალი შრომის დასაწერად. მაგრამ იგი თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას ვეღარ მოესწრო. 1911 წლის 16 სექტემბერს მიხეილ თამარაშვილი ტრაგიკულად დაილუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგი ბახტაძე

# აკაკი ჩხენკელის უცნობი წერილები

1917-1921 წლების საქართველოს ისტორია თავიდან არის დასაწერი. არსებული ლიტერატურა სანდო არ არის, ცალმხრივი, მიკერძოებული, ტენდენციური და არაობიექტურია. ძირითადად დანახულია ბოლშევიზმის პოზიციებიდან. ამ ხარვეზის შესავსებად საკმარისი არ არის არც უცხოეთში ემიგრირებული ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისა და ისტორიკოს-მეცნიერების — ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის, ზურაბ ავალიშვილის, ალექსანდრე მანველაშვილისა და სხვათა მიერ დატოვებული მემუარები და ნარკვევები. მათში ასახული არ არის ის უტყუარი მასალები, საქართველოსა და უცხოეთის არქივებში რომ არის დაცული. ამ მასალების გაცნობა, გამომზეურება და მკითხველამდე ყოველგვარი შელამაზების გარეშე მიტანა დიდად შეუწყობს ხელს დღემდე მრავლად არსებული „თეთრი ლაქების“ შევსებას, დაგვანახვებს ვინ ვინ არის, ვის რა წვლილი მიუძღვის ქართველი ერის აღორძინებისა და მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

საქართველოს ცენტრალურ არქივში ამ მხრივ ბევრი საყურადღებო მასალა და ისტორიული დოკუმენტია დაცული. ჩვენს მიერ საარქივო ფონდებზე მუშაობისას, სხვა მრავალთა შორის, მიკვლეულ იქნა აკაკი ჩხენკელის ხელით დაწერილი ექვსი დღემდე უცნობი დოკუმენტი დათარიღებული 1918 წლის 12-28 მაისით. მათგან პირველი სამი გამოგზავნილია ბათუმიდან ნოე რამიშვილის სახელზე, მეოთხე წერილი დაუთარიღებელია, არც მისი ადრესატი ჩანს, მაგრამ შინაარსის მიხედვით ირკვევა, რომ ისიც ამ პერიოდში უნდა იყოს გამოგზავნილი, კერძოდ 18-დან 20 მაისამდე. დანარჩენი ორი წერილი კი გამოგზავნილია საქართველოს ეროვნული საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სახელზე. ირკვევა ისიც, რომ აკ. ჩხენკელს 1918 წლის 11 მაისსაც გამოუგზავნია წერილი ნოე რამიშვილისათვის ბათუმიდან, მაგრამ სამწუხაროდ მას ვერ მივაკვლიეთ.

აკაკი ჩხენკელი ამ წერილებში წარმოგვიდგება როგორც ჭეშმარიტად დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, გამოჩენილი დიპლომატი, მახვილგონიერი სტრატეგი და ტაქტიკოსი, ერუდირებული პოლემისტი, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს შექმნისათვის მედგარი მებრძოლი, თავისუფალი ყოველგვარი პარტიული შეზღუდულობისაგან, რომელსაც საკითხი ქართველი ხალხის, ქართველი ერის ყოფნა-არყოფნას, მის სასიცოცხლო ინტერესებს, მის მომავალსა და კეთილდღეობას შეეხება. იგი ამ მხრივ სანიმუშოა დღესაც ყოველი ქართველისათვის, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. აკ. ჩხენკელის იდეალი ყოველთვის დამოუკიდებელი საქართველო იყო.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ბევრ სიკეთესთან ერთად თვით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური იმედიც დასახა. „...ამჟამად ჩვენ უნდა გავერთიანდეთ მთელ ერთან, მიუხედავათ კლასებისა, ფენებისა და რწმენისა, ბოლშევიკების გარდა. ეს ჩვენი ტაქტიკაა. საქართველოს ყველა აქტიურმა ძალამ მხარი უნდა დაგვიჭიროს ამ საქმეში... საჭიროა ორგანიზებულად გავწმინდოთ საქართველო სხვა ერთა წარმომადგენლებისაგან და მხოლოდ მაშინ შევქმნით მტკიცე სახელმწიფოს და მთლიანად დავაკმაყოფილებთ ჩვენს გულეხობას მიწით“. ეს სიტყვები მან წარმოთქვა 1917 წლის 9 მარტს ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის („ოზაკომის“) სხდომაზე. მაგრამ ამ იდეას მაშინ აღსრულება არ ეწერა. ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთში ყველაფერი შეცვალა. ამიერკავკასია და საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა ცენტრალური რუსეთისაგან. ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ იმ

---

იხ. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1861, აღწ. 2, საქმე 23, ფურცლები 2-8; ფონდი 1836, აღწ. 1, საქმე 19, ფურცლები 13-15. შემდგომში შემოკლებით: საქ. ცსსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანარქიაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების მოსპობაზე, სამეურნეო ნგრევაზე, შიმშილობაზე, სამოქალაქო ომზე, ადამიანთა სიცოცხლის უაზროდ მოსპობასა და სხვა საშინელებებზე, რაც ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკ-მაქსიმალისტების მოსვლას მოჰყვა შედეგად.

ჩვენ უფრო იმ მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც მკითხველს აკ. ჩხენკელის წერილებში გადმოცემული ფაქტებისა და მოვლენების უკეთ აღქმას გაუადვილებს.

საქართველოს დემოკრატიამ თავიდანვე არ სცნო ბოლშევიკური ხელისუფლება და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ცენტრთან. განგებამ საქართველოს დემოკრატიულ ძალებს დააკისრა ისტორიული მისია — დაეცვა ამიერკავკასია ანარქიისა და სამოქალაქო ომის საფრთხისაგან. 1917 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა „ამიერკავკასიის კომისარიატი“ ევგენი გეგეჭკორის თავკაცობით. ეს იყო ფაქტიურად ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა რუსეთში დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა თავად რუსეთისა და მის შემადგენლობაში შემავალი ხალხებისა და ერების ბედი. პარალელურად 19 ნოემბერს მოწვეული იქნა სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ამ ორგანოში წარმოდგენილი იყო ყველა პარტიის, კლასის, წოდებისა და ფენის წარმომადგენელი. ეს ყრილობა იყო ფაქტიურად საქართველოს პირველი დამფუძნებელი კრება, რომელმაც მტკიცე საძირკველი ჩაუყარა საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობას. 1918 წლის იანვარში საბჭოთა მთავრობამ გარეკა ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე შედგენილი სიებით არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელმაც არ სცნო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს კანონიერება. 1918 წლის 10 თებერვალს შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი (იგივე პარლამენტი) ამიერკავკასიიდან რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული დეპუტატებისაგან მან გადაწყვიტა იურიდიულად გაეფორმებინა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოშორება, მაგრამ მან მაშინ ეს ვერ შესძლო იმ დიდი ოპოზიციის გამო, რომელსაც წააწყდა თვით ქართველი სოციალ-დემოკრატების ბევრი ლიდერის, მათ შორის ნოე ჟორდანიას მხრივაც. რუსეთისაგან ჩამოშორებას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდნენ სომეხი დაშნაკები, რუსთა ეროვნული საბჭო, ბოლშევიკები და საქართველოს ეროვნული უმცირესობანი აფხაზთა და ოსთა სახით.

გარდატეხის მომენტი ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში იწყება 1918 წლის 3 მარტიდან, როდესაც დაიდო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი დამარცხებულ რუსეთსა, გამარჯვებულ გერმანიასა და მის მოკავშირეებს — ავსტრო-უნგრეთს, ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის. ამ ზავის მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის წარმომადგენლები არ მიუწვევიათ და ეს მაშინ, როდესაც რუსეთის სხვა ერთეულების წარმომადგენლები ესწრებოდნენ მას. ამიერკავკასიის ბედი ისე გადაწყვიტეს, რომ იქ მცხოვრები ხალხებისათვის არაფერი უკითხავთ, მათი ნებისათვის აბსოლუტურად ანგარიში არ გაუწევიათ. ამ ზავით რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიები გერმანელებს დაუთმეს, ხოლო ამიერკავკასია — თურქეთს, რომლის ხელშიც გადადიოდა არდაგანისა და ყარსის ოლქები, აგრეთვე ბათუმი. თანაც რუსეთი წინადადებას აძლევდა ამიერკავკასიის სეიმს, რომ წინააღმდეგობა არ გაეწიათ შეიარაღებული ძალით თურქეთის ხელისუფალთათვის და სტუმართმოყვარეობის ყველა წესის დაცვით მიეღოთ ისინი.

ბრესტის ზავის პირობებმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ამიერკავკასიის ხალხებში, განსაკუთრებით ქართველებსა და სომხებში.

ამიერკავკასიის სეიმმა მრისხანე პროტესტი განუცხადა თურქეთის მთავრობას ამ შემზარავი აქტის გამო. იგი არ ცნობდა ბრესტის ზავის პირობებს, ვინაიდან იგი დადებული იყო რუსეთის მიერ სეიმის დაუკითხავად, რომელიც ფაქტიურად ჩამოშორებული იყო რუსეთისაგან. თურქეთის მხარე კი სულ სხვანაირად ფიქრობდა, იგი ამიერკავკასიას კვლავინდებურად რუსეთის შემადგენელ ნაწილად თვლიდა და ამიტომ ბრესტის ზავის პირობებს მისთვის სავალდებულოდ მიიჩნევდა. ამის საფუძველს იძლეოდა ის, რომ არ არსებობდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობა, ცნობილი სხვა სახელმწიფოთა მიერ, რომელთანაც შეიძლებოდა ოფიციალურად მოლაპარაკების გამართვა. თურქები უკვე ოფიციალურად მოითხოვდნენ ბათუმის, ყარსისა და არტაანის მხარის დაკავებას. სეიმი იძულებული გახდა დაეწყო ოსმალეთთან სეპარატიული მოლაპარაკება, რისთვისაც ტრაპიზონში გაგზავნა სეიმის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის მეთაურობით. თუ რა მოხდა იქ, სჯობს ამის შესახებ მოვუსმინოთ თვითონ აკ. ჩხენკელს: „როდესაც ტრაპეზუნდში ჩავედით და ურთიერთობა დავამყარეთ ოტომანთა დელეგაციასთან, პირველი შეკითხვა, რაც მოგვცეს, იყო: „ვინა ხართ თქვენ, რომელი სახელმწიფო, როგორია თქვენი მმართველობის ფორმა?“ მაშინ ჩვენი პასუხი არ იყო დამაკმაყოფილებელი... ახლა კი სეიმის ვოტუმი, რომელიც შედგა, მისცემს პასუხს — „ჩვენა ვართ მოქალაქენი დამოუკიდებელი ამიერ-კავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკისა“. ასეთი პასუხის მიცემა ჩვენ მაშინ არ შეგვეძლო.

მეორე კითხვა იყო ჩვენს მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ცნობა. „თქვენ ამბობთ, რომ ხართ დამოუკიდებელი ამიერ-კავკასიის წარმომადგენლები, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ ოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალურად არაფერი გვსმენია. თქვენის მხრივ ადგილი არ ჰქონია ოფიციალურ განცხადებას სახელმწიფოთა მიმართ და ამიტომ არ ყოფილა თქვენი დამოუკიდებლობის ცნობა ამ სახელმწიფოთა მხრივ. მაშასადამე, თქვენ ჩვენთვის ფორმალურად ითვლებით რუსეთის ნაწილად და, მაშასადამე, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება თქვენთვის სავალდებულო აქტია.

ჩვენ მივუგეთ: ეს რომ ასე იყოს, ჩვენ არ მოვიდოდით თქვენთან... მაშინ ისინი (ე. ი. ბოლშევიკები უ. ბ.) არ გვეტყოდნენ ჩვენ, რომ გვეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი. თუ ჩვენ რუსეთის ნაწილი ვართ, თუ ჩვენ ფაქტიურად არა ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაშინ რის საფუძველზე მოითხოვენ ისინი, ვცნოთ ეს ხელშეკრულება. როგორც ჩანს, ისინი სცნობენ ჩვენთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს უფლებას. მეორე მხრით, ჩვენ მათ ვუთხარით, რომ თვით ორივე დელეგაციის ტრაპიზონში ყოფნის ფაქტი ადასტურებს, ანუ დადასტურებაა იმისა, რომ ორივე მხარე უარყოფს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას და რომ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის სახელმწიფოს მიერ თურქეთთან საზავო ხელშეკრულების რატიფიცირებისას, რასაკვირველია, დაცული იქნება ყველა ფორმალობა, რასაც საერთაშორისო სამართალი მოითხოვს... ორივე მხარე დავრჩით ჩვენს თვალსაზრისზე და ოტომანთა დელეგაციამ აუცილებლად მიიჩნია, პასუხად განეცხადებინა ჩვენს მიერ ამიერ-კავკასიის სეიმის თეზისების წარდგენა, რაც საფუძვლად დაედებოდა მტკიცე მშვიდობას ამიერ-კავკასიასა და თურქეთს შორის, რომ შეუძლებელია მოლაპარაკება ჩვენს შორის მანამდე, ვიდრე ჩვენის მხრივ განცხადებული არ იქნებოდა უარი ყოველგვარ პრეტენზიაზე ე. წ. ბათუმის, ყარსისა და არდაგანის სანჯაყზე, მეორე მხრით მათ განაცხადეს, რომ მზად არიან სცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა... რომ აუცილებელია ჩვენ ეს დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ" (საქ. ცსსა, ფ. 1886, აღწ. ს. 41, ფ. 12).

1918 წლის 9 აპრილს შედგა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, რომლის დღის წესრიგშიც იდგა საკითხი დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და ამიერკავკასიის სეიმის თეზისების შემუშავების შესახებ. სეიმის სხდომა მძაფრ ვითარებაში ჩატარდა. ვინმე კუზნეცოვმა ისიც კი მოითხოვა, რომ მიებაძათ ლენინისა და ტროცკისათვის და ხიშტებით გაერეკათ ამიერკავკასიის სეიმი. ბოლშევიკთა აქტიური მხარდაჭერით მზადდებოდა შეთქმულება სეიმის წინააღმდეგ, ბოლშევიკური გაზეთები აჭრელებული იყო მოწოდებებით დაემხოთ ამიერკავკასიის მთავრობა. სეიმი იძულებული შეიქნა აეკრძალა ყოველგვარი მიტინგები და დემონსტრაციები, დაეხურა ბოლშევიკური გაზეთების გამოცემა. სეიმის 9 აპრილის სხდომაზე კვლავ დაისვა ორიენტაციის საკითხი — რუსეთი თუ თურქეთი. რომელია უფრო სახიფათო და სხვა, რაზედაც სეიმის ერთ-ერთმა წევრმა ასეთი პასუხი გასცა: „მე ვამტკიცებ, რომ ორივე ერთნაირად სახიფათოა... საჭიროა ბრძოლა ორივეს წინააღმდეგ... ჩვენ არავისზე ორიენტაცია არ გვინდა. ჩვენი ორიენტაციაა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორიენტაციით გავიკვლევთ გზას ევროპისაკენ".

ბევრი დავის და კამათის შემდეგ სეიმმა ამიერკავკასია გამოაცხადა დამოუკიდებელ ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკად და შეიმუშავა აგრეთვე „ამიერ-კავკასიის კონფედერაციის დამფუძნებელი აქტის თეზისები". მასში ვკითხულობთ: „ამიერკავკასიის კონფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სუვერენული სახელმწიფოების ნებით... კონფედერეციაში შემავალი სახელმწიფოებისათვის გარანტირებულია რესპუბლიკური წყობა". თეზისებში ლაპარაკი იყო აგრეთვე დემოკრატიულ საარჩევნო სისტემაზე, სამოქალაქო გარანტიებზე, პიროვნების ხელშეუხებლობაზე, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებზე, მოქალაქეობაზე, კონფედერაციის წევრთა ურთიერთობაზე და სხვ. (საქ. ცსსა, ფ. 1886, აღწ. 1, ს. 12, ფ. 70-78).

ამრიგად, თურქეთის ყველა მოთხოვნა შესრულდა, მაგრამ ამ დროს ვითარება კვლავ გართულდა აზერბაიჯანელთა ღალატის წყალობით. კერძოდ, სეიმის აზერბაიჯანელი წევრების საიდუმლო წაქეზებით 1918 წლის გაზაფხულზე თურქები ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ. ამიერკავკასიაში მყოფი რუსეთის 500 ათასიანი არმია უწესრიგოდ იხევდა უკან. თურქებს უკვე ბრესტის ზავის პირობები აღარ აკმაყოფილებდათ. მათ გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ მოეხდინათ მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია. რუსეთის არმიის მიერ ამიერკავკასიის უდროოდ მიტოვებამ ეს საფრთხე კიდევ უფრო რეალური გახადა. აღარ იყო რეალური ძალა, რომ ოსმალეთის შემოსეულ ჯარს წინ აღდგომოდა. ამიერკავკასიის ახლად შექმნილი რესპუბლიკა უძლური აღმოჩნდა შეეკავებინა თურქების შემოტევა. მან ვერც ამიერკავკასიის მთლიანობა დაიცვა და ვერც სამხედრო ძალა შექმნა. მთავარი მაინც ის იყო, რომ სეიმის წევრთა შორის თავიდანვე არ ყოფილა ურთიერთგაგება და თანხმობა. მათ ფაქტიურად ბოლშევიკური რუსეთისადმი ერთნაირი სიძულვილი აერთიანებდათ, სხვა მხრივ საერთო თითქმის არაფერი ჰქონდათ. საქმე ისაა, რომ თუ ქართველებისათვის და სომხებისათვის თურქეთი აგრესორი იყო, აზერბაიჯანისათვის იგი საფრთხეს არ წარმოადგენდა, რადგანაც რასითაც, რელიგიითა და კულტურითაც მონათესავე ხალხები იყვნენ. სეიმში წინააღმდეგობამ კულმინაციურ წერტილს მი-

ალწია. განხეთქილება გარდაუვალი იყო. აზერბაიჯანმა აშკარად აიღო ორიენტაცია თურქეთზე. სომხები ფაქტიურად განწირული აღმოჩნდნენ, არც საქართველოს ელოდა კარგი დღე. შექმნილ ვითარებას ასე ახასიათებდა აკაკი წერეთელი:

„ჩვენ შევეცადეთ ისეთი ნიადაგი გამოგვენახა, რომელიც დემოკრატიას დაიცავდა. ასეთ ნიადაგად მივიჩნიეთ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს შექმნა... მთლიანობის ნიადაგზე ჩვენ გვინდოდა, გვეწარმოებინა ბრძოლა გარეშე და შინაგან მტრებთან... მაგრამ გამოირკვა, რომ შემაერთებელი ძალები უფრო სუსტია, ვიდრე გამყოფი... ეს ქართველი ერია, ჯერ რომ არ დაუღუპავთ. მას სურს თავი დაიცვას... ჩვენ ვალდებული ვართ, ვუთხრათ ქართველ ერს: შენ ერთი დარჩი, მაგრამ შენ სახელმწიფო არა გაქვს, ბათუმში დელეგაცია არა გყავს... შენ უნდა გადაირჩინო თავი, უნდა შექმნა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია... საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებლობით არის ნაკარნახევი და მიმართული ქართველი ერის დაცვისაკენ საერთაშორისო უფლების ყველა მოთხოვნით" (გაზ. „სახალხო საქმე", 1918 წ. 26 მაისი).

1918 წლის მაისში ბათუმში კვლავ გაიმართა საზავო მოლაპარაკება ოსმალეთისა და სეიმის დელეგაციებს შორის, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის წარმომადგენლებიც გენერალ ფონ ლოსოვის მეთაურობით. სეიმის დელეგაციას კვლავ აკ. ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. პირველი ოფიციალური სხდომა გაიმართა 1918 წ. 11 მაისს. ამ მოლაპარაკებასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა ბრესტის ზავის პირობები, მაგრამ წარმატებებით გათამამებული თურქეთის მხარე ამაზე უკვე თანახმა არ იყო. მან დამატებით წარმოადგინა განსაკუთრებული პროექტი (იგივე ულტიმატუმი), რომელიც უნდა დასდებოდა საფუძვლად ბათუმის მოლაპარაკებას. თურქები ახლა ყარსის, არდაგანისა და ბათუმის გარდა დამატებით მოითხოვდნენ, გადაეცემოდათ ახალქალაქი, ახალციხე, ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრა, სადაც სომხების კომპაქტური მასა ცხოვრობდა, აგრეთვე მოითხოვდნენ რკინიგზის მთლიანად მათთვის გადაცემას. ფონ ლოსოვის პოზიცია თავიდან გაურკვეველი ჩანდა. იგი ერთდროულად მხარს უჭერდა თურქეთის პროექტსაც და ბრესტის საზავო პირობების დაცვასაც. თურქეთის პროექტის მიღება ფაქტიურად ნიშნავდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის, მისი მთავრობისა და სეიმის, როგორც საერთაშორისო უფლებების სუბიექტის, ლიკვიდაციას და მასთან საზავო ხელშეკრულების დადების შეუძლებლობას. თურქეთსაც ეს სურდა. ამასთან ერთად ოსმალეთის დელეგაციის წევრები ხალილბეი და ვეჰიბ ფაშა დაჟინებით მოითხოვდნენ მათი ჯარების შეუფერხებლად გატარებას რკინიგზით ჯულფის მიმართულებით. აკ. ჩხენკელმა ამის გამო ოფიციალური პროტესტი განუცხადა ოსმალეთისა და გერმანიის დელეგაციებს. საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში გაატარებდა თურქეთის ჯარს თავის ტერიტორიაზე რკინიგზით ჯულფის მიმართულებით, თუ მოხდებოდა მათ შორის პრინციპული შეთანხმება საზღვრების თაობაზე ბრესტის ზავის პირობების საფუძველზე. აკ. ჩხენკელს ამ დროს ჯერ კიდევ არა აქვს გერმანელთა მხარდაჭერის იმედი, მაგრამ მოხდა ისე, რომ სრულიად მოულოდნელად ფონ ლოსოვმა გერმანიის მთავრობის სახელით მხარი დაუჭირა აკ. ჩხენკელის პროტესტს იმ მოტივით, რომ ეს ლახავდა საქართველოს, როგორც დემოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციის წევრ-სახელმწიფოს, უზენაესობას. უკვე იგრძნობოდა, რომ თურქეთის პროექტის მიღება ეწინააღმდეგებოდა თვითონ გერმანიის იმპერიულ ზრახვებს ამიერკავკასიაში, მაგრამ უკვე ისიც იგრძნობოდა, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გადარჩენის ცდა სულ უფრო უიმედო ხდებოდა. მკითხველი აკ. ჩხენკელის წერილებიდან ნათლად დაინახავს, რომ ეს მოღვაწე უკანასკნელ წუთამდე არ კარგავდა იმედს, რომ შეძლებდა ოსმალეთთან ზავის დადებას ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით. მაგრამ აზერბაიჯანელთა სეპარატიზმმა, მათ მიერ თურქეთის მფარველობის აღიარებამ ამ იმედს საბოლოოდ მოუღო ბოლო.

როდესაც თურქეთი დარწმუნდა, რომ თავის პროექტ-ულტიმატუმს მისი უფროსი მოკავშირე გერმანია მხარს აღარ დაუჭერდა, რომ მან შეცვალა თავისი პოზიცია, იგი აშკარა მოქმედებაზე გადავიდა. ოსმალთა არმია შეესია ერევნის გუბერნიას, ხოლო განჯაში თავისი მთავრობა დასვა. სომხეთი, როგორც ასეთი, უკვე აღარ არსებობდა. მოიხსნა ყველა შესაძლო ვარიანტი, რასაც აკ. ჩხენკელი ვარაუდობდა ამიერკავკასიის მთლიანობის გადასარჩენად. აზერბაიჯანთან ერთად სახელმწიფოს შექმნა ეს ფაქტიურად საქართველოზე თურქების გაბატონებას, საქართველოს დაპყრობას ნიშნავდა; ასევე უიმედო ჩანდა სომხეთთან ერთად (რომელიც უკვე დაპყრობილი იყო თურქების მიერ) სახელმწიფოს შექმნა. ასეთი რამ რომ განხორციელებულიყო კიდეც, ეს მიუღებელი იქნებოდა როგორც თურქეთის, ისე აზერბაიჯანისათვის. რჩებოდა მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი — საქართველოს დამოუკიდებლობა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში მას გარანტირებული ჰქონდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მხრივ როგორც „დე-ფაქტო" ისე „დე-იურე" ცნობა და მხარდაჭერა. და აი რატომ: ჟენევაში მყოფი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელიც პირველი მსოფლიო ომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყების წინ ბერლინში გადავიდა, გერმანიის საიმპერატორო მთავრობასთან ხდებს ხელშეკრულებას, რომ ამ ომში გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში, თუ საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, იგი ჰპირდებოდა ამ კომიტეტს, რომ ცნობდა საქართველოს სუვერენობას და დახმარებასაც აღმოუჩენდა მას (სხვათა შორის, ამ კომიტეტის შექმნის ინიციატორები იყვნენ სერგო სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი, მათ შემდეგ შეუერთდნენ გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელი); 1915 წელს გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის მთავრობებმა ურთიერთშორის გაცვლილი ნოტებით დაადასტურეს, რომ ისინი ცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას იმ პირობით, თუ საქართველო აჯანყდებოდა და გაილაშქრებდა რუსეთის წინააღმდეგ; 1917 წლის შემოდგომაზე ამავე სახელმწიფოებმა ანალოგიური ნოტებით, ოღონდ ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე, იკისრეს ვალდებულება, რომ ცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ამ ნოტას ოსმალეთმა ხელი მოაწერა 1918 წლის იანვარში.

შეიძლება მკითხველმა იკითხოს, თუ ასე იყო, რატომ იცავდა ასე დაჟინებით საქართველოს დემოკრატია ამიერკავკასიის და არა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას თავიდანვე? ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა, რაზედაც ნაწილობრივ ვილაპარაკეთ ზემოთ. მათ შორის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ საქართველოს დემოკრატია ყოველთვის იჩენდა ყურადღებასა და ზრუნვას საუკუნეთა განმავლობაში მის მფარველობაში მყოფი სომეხი ხალხის ფიზიკური გადარჩენისათვის. მარტოდ დარჩენილ სომხეთს გარდაუვალი დაღუპვა ელოდა თურქეთისაგან. აკი წერს კიდეც აკ. ჩხენკელი, რომ „მე ტრაპიზუნდში და აქაც უფრო სომხის პოლიტიკას ვაწარმოებდი, ე. ი. ვმოქმედებდი ამიერ-კავკასიის სახელით, თუმცა კი ვიცი, საქართველოს სახელით ზავი ხუთჯერ მოხდებოდა აქამდისინ. ოსმალეთს სურს, რომ სომხეთი არ იყოს ამიერკავკასიის წევრი...“ და ეს მაშინ, როდესაც თვითონ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

აკ. ჩხენკელის წერილები ძალზე საყურადღებოა, რადგანაც ბევრ ისეთ საკითხს ფენს ნათელს, რაც დღემდე ცნობილი არ იყო, ან არასწორად იყო გაგებული. დღესაც ბევრი ფიქრობს, რომ გერმანელებთან დაახლოების ინიციატივა და მათი საქართველოში მოწვევა ქართველ პოლიტიკოსთა მიზეზით მოხდა, მაშინ, როდესაც ეს ინიციატივა თვითონ გერმანიის დელეგაციას, კერძოდ ფონ ლოსოვს ეკუთვნის. გერმანიის დელეგაციას ბათუმის კონფერენციაზე თავისი იმპერიული მიზნები ამოქმედებდა. „ლანძღვა-გინება გერმანიისა, — წერს აკ. ჩხენკელი, — როცა მათი წარმომადგენლები აქ ხელს გვიწყობენ, ვერაგობაა... „ბორბას“ და „იზვესტიას“ უნდა ჩააგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჰყივიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე, რომ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს, რომ პირველს შევურიგდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვიხსნა, მხოლოდ თავისი იმპერიალისტური ზრახვების დასაკმაყოფილებლად და არა რუსი ამხანაგების ლამაზი თვალებისათვის“... „ბოლშევიკებთან თამაში ამ წუთში ღალატია, ღალატია და კიდევ ღალატი“. იგი აკრიტიკებს თვით ნოე რამიშვილსაც და წერს: „ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ მომენტში, როდესაც საჭიროა ნათელი მიზნები და გადამწვეტი ზომები. სპეციფიკური შენი ტაქტიკა დამღუპველია — ე. ი. კომპრომისი, ნახევარი ნაბიჯი წინ, ნახევარი უკან. ამან დაღუპა ჩვენი ტრაპეზუნდის პოზიცია. ერთი დღის ნაცვლად ერთი კვირა ვიკამათეთ“.

ცხადია, ორიენტაცია ინგლისზე, რისი იმედიც სომხებს ჰქონდათ, და ასეთ ტრაგიკულ წუთებში გერმანიის დელეგაციის შემოთავაზებული მფარველობის მიუღებლობა ნამდვილი ღალატი იქნებოდა, მიმართული სამშობლოს, ხალხისა და ერის წინააღმდეგ. ერთადერთი გამოსავალი იყო „საქართველოს დამოუკიდებლობა ყოველ მიზეზს გარეშე“. ინგლისელთა იმედით ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრების გზა, რასაც სომხები და სხვებიც ქადაგებდნენ, აშკარად დამღუპველი იყო. აკ. ჩხენკელი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ოსმალებთან შეიარაღებული შეტაკებისა და ლოგიკურად ასაბუთებდა ამას: „ჩვენ ვდგავართ უფსკრულის წინაშე, უნდა გადაწყდეს, გაჰყვებიან თუ არა ამ გზას ქართველებიც როგორც ამას აქამ ისინ სჩადიოდნენ რევოლუციური ფრაზეოლოგიით დამთავრებული. მე ვამბობ: არას გზით ვერ გაჰყვებიან. სანამ ინგლისელები მოვლენ საქართველოში, რაც საეჭვოა, ჩვენ დავკარგავთ ყველაფერს, სიცოცხლესაც. დამოუკიდებლობა კი შეუძლია ჩვენი ხსნა. თურქები ნებით თუ არა, ძალით გაივლიან კავკასიას. თუ ძალით გაივლიან, ჩვენ დაპყრობილი ვართ. ჩააყენებენ ჯარებს სიმაგრეებში (ყარსი და სხვ.) და ინგლისელებს არ მოუშვებენ მანამდე, სანამ არ ამოგვჟლეტენ... მე დავიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას როგორც გერმანელებთან, ისე თურქებთან, რომ ვეცადო საქართველო მაინც გამოვიყვანო ცეცხლის ალიდან“. აკ. ჩხენკელი უკვე ღრმად არის დარწმუნებული, რომ ბათუმში მოლაპარაკება შეწყდებოდა, ვინაიდან თურქეთის პროექტი-ულტიმატუმი მიუღებელი იყო. თურქებსაც ეს უნდოდათ — დაერღვიათ ამიერკავკასიის მთლიანობა, რადგანაც მათი ცალ-ცალკე დაპყრობა უფრო ადვილი იქნებოდა.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოს კაცმა აკ. ჩხენკელის სიტყვები, მიმართული ქართ-

ველი სოციალ-დემოკრატი ლიდერებისადმი: „თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ. თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერი დაიღუპება... საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით გამსჭვალული, შესძლებს ერის ხსნას".

აკ. ჩხენკელი თხოვს ნ. რამიშვილს, რომ მისი ბოლო წერილი, დათარიღებული 1918 წლის 28 მაისით, წაუკითხოს საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს სრულიად საიდუმლოდ, შემდეგ დასტოვოს ეროვნული საბჭოს არქივში როგორც მისი გამამართლებელი საბუთი იმ შემთხვევაში, თუ მის რჩევას ყურად არ იღებენ და კვლავ თავის გზით ივლიან, არ ეყოფათ გამბედაობა დაუყოვნებლივ გამოაცხადონ საქართველოს დამოუკიდებლობა.

ბევრს არ ჰქონდა იმედი, რომ ოსმალეთი დადებითად შეხვდებოდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ზოგი, პირიქით, იმედოვნებდა, რომ ოსმალეთი კარგად შეხვდებოდა ამ ამბავს და იქვე ბათუმში დაიდებოდა საზავო ხელშეკრულება. თვითონ აკ. ჩხენკელს ეჭვი ეპარებოდა ამაში და ამიტომ ემზადებოდა გერმანიაში გამგზავრებოდა ფონ ლოსოვს, რომელიც აპირებდა მოლაპარაკებას ვილჰელმ II-თან და კანცლერთან საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

მკითხველი დაინახავს იმასაც თუ რა შეუპოვრობით იბრძვის ეს ცნობილი მოღვაწე ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, როგორ ზრუნავს მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე, როგორ კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ „უმთავრესია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა"... ასეთ კრიტიკულ მომენტში პირდაპირ დანაშაულია შიში, ზიგზაგები, „საჭიროა გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა, საჭიროა რისკი, ვინაიდან ურისკოთ არაფერი კეთდება, ურისკოთ არავის დაუარსებია სახელმწიფო", არაერთხელ საყვედურობს პრესას, რომელიც ჯერ კიდევ კამათობდა, საჭირო იყო თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. „როცა სამშობლო უფსკრულის პირას დგას, საჭიროა არა კინკლაობა, არამედ ყველა სასიცოცხლო ძალების კონცენტრაცია, რომ ერს არ მოაკლდეს თუ გინდ ერთი მუჭა ხალხის წვლილი"... „ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია... ვინც დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს... ბოლშევიზმი სამშობლოს ღალატია... ჩვენი ერი გამჭრიახია. შეიგნებს და დაემორჩილება სამშობლოს მხსნელ მთავრობას..."

აკ. ჩხენკელის წერილები საინტერესოა იმითაც რომ მათში ნათლად არის გადმოცემული ის მტრული პოზიცია, რომლებიც აფხაზებმა დაიკავეს ჩვენი სამშობლოსადმი ამ უმძიმეს წუთებში. „აქ აფხაზების წარმომადგენლები არიან, — აღნიშნავს აკ. ჩხენკელი, — არა-მკითხენი, რასაკვირველია. არიან აგრეთვე აფხაზი მხედარნი მოჰაჯირები... ოსმალეთიდან... მათ უნდათ და კიდევაც შეასრულებნ თურქების თავდასხმას აბხაზებზე. არა-მკითხენი ცდილობენ თურქების... შემოსევას, რომ ამოჟლიტონ სომხები, მეგრელები, ქართველები, შემდეგ დაგვიპყრობენ..." ერთი სიტყვით, ნაჩვენებია აფხაზთა მცდელობა — გამოეყონ საქართველოს, მათი პროთურქული ორიენტაცია, ცდა გაერთიანდნენ მთიელთა კავშირში, მიიღონ თურქეთის პროტექტორატი, გააძევონ აფხაზეთის ტერიტორიიდან ყველა არააფხაზი და მათ ნაცვლად ჩამოასახლონ აფხაზი მუჰაჯირები.

აქვე გვინდა გავაკეთოთ ერთი მცირე განმარტება: შეიძლება მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ეს თითქოს მხოლოდ თურქეთის მხრივ აგრესიის წინაშე შიშისა და გერმანელთა მიერ დაჟინებული მოთხოვნის შედეგი იყო და არა ბუნებრივი კანონზომიერება. ამ საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს, საჭირო იყო მხოლოდ სათანადო საშინაო და საგარეო პირობების დადგომა, რომ დამოუკიდებლობის იდეა რეალობად ქცეულიყო. ასეთი პირობებიც დადგა: თებერვლის რევოლუცია, ოქტომბრის გადატრიალება, ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, ოსმალეთის მხრივ მოსალოდნელი აგრესია, გერმანელთა მხრივ მხარდაჭერა და სხვ.

მიუხედავად რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა, საქართველო, როგორც ცოცხალი ეროვნული ორგანიზმი, ყოველთვის განაგრძობდა არსებობას და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა აღედგინა თავისი უცილობელი ეროვნული უფლებები, განეხორციელებინა საკუთარი პოლიტიკური მისწრაფებანი. მოვიტანთ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტს. მთელი მე-19 საუკუნის ისტორია ნათელყოფს საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. გავიხსენოთ თუნდაც დიდი ილიას უკვდავი ფორმულა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს"; XX საუკუნე. დასაწყისშივე შედგა პარიზში ქართველთა კომიტეტი, რომლის ორგანო „საქართველო" ქართველი ერის დამოუკიდებლობის იდეას ემსახურებოდა; მოყოლებული 1905 წლიდან დღის წესრიგში ყველგან მთავარ საკითხად იდგა საქართველოს ავტონომია იმ სახით, როგორც ამას 1783 წლის ტრაქტატი ითვალისწინებდა; 1907 წელი. ქართველმა ერმა პეტიციით მიმართა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას და სთხოვა მთლიანი და განუყოფელი საქართველოს კანონიერი უფლებების აღდგენა. დანარჩენ ფაქტებზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც მათზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამიტომ ათას-

ჯერ მართალი იყო ნ. ჟორდანია, როდესაც ამბობდა:

„1918 წ. 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტი არ ყოფილა აქტი შემთხვევითი. აქტი უცაბედი, მოგონილი რომელიმე პირის, ჯგუფის ან პარტიის მიერ... ეს აქტი იყო ისტორიული აუცილებლობა ხალხის გულიდან ამოხეთქილი, ამ აქტით საქართველო გადაურჩა განადგურებას“.

ქართველ პატრიოტთა ოცნება ყოველთვის თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო იყო და არის დღესაც. ახლა კი დროა უშუალოდ გავეცნოთ აკ. ჩხენკელის ისტორიულ წერილებს, რომლებსაც ახლაც არ დაუკარგავთ თავიანთი დიდი მნიშვნელობა.

12/V — 18

გამარჯობა, ნოე!

გიგზავნი ოსმალეთის დელეგაციის პროექტს და ჩვენი დელეგაციის მემორანდუმს. დასამატებელი, რაც გუშინ მოგწერე, არაფერი მაქვს. სრულიად საიდუმლოდ უნდა იყოს შენახული განსაკუთრებით პირველი დოკუმენტი. კიდევ არის იმედი, რომ ამიერ-კავკასიის მთლიანობა დაცული იქნება, თუმცა წინდაწინვე უნდა იცოდეთ, რომ რაიმე დათმობა მოგვიხდება.

ყოველ შემთხვევაში, თუგინდ ვერაფერსაც ვერ მივაღწიოთ, რაიც მოასწავებს გერმანელებისაგან ჩვენს გაწირვას, ჩვენ არას გზით არ უნდა ვაწარმოოთ ომი, მხოლოდ და მარტო ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიხსნათ ჩვენი ხალხი დაღუპვისაგან. გაერთიანებული ამიერ-კავკასია სულ ერთია ვერ იარსებებს, თუ სომხების ტერიტორია ჩამოგლიჯეს მას მომავალში. შეიძლება, რა თქმა უნდა, ისევ გაერთიანება, თუ თათრების ტერიტორია ოსმალეთის პროვინციად არ იქცა. აი როგორია საქმე.

ნოე უნდა ჩამოვიდეს უთუოდ.

ბაქოს აღება დიდი გამარჯვებაა ჩვენთვის, ასე ამბობს გერმანელი, მაგრამ თქვენ ხომ ყურადღებას არ აქცევთ ამას! ჩვენი პარტიის მთელი პოლიტიკა თებერვლის დამლევის შემდეგ პირდაპირ შეუწყნარებელია. აქამდისინ ბაქო ჩვენს ხელში იქნებოდა, მაგრამ არ ინებეთ ეს. ზიგზაგი საგარეო პოლიტიკაში დამღუპველია. ჩვენ დაგვემართა ბოლშევიკებივით: ჯერ არ ისურვა ტროცკიმ ზავის შეკვრა, მეორედ კი ხელფეხი შეუკრეს. თათრებს უთუოდ უნდათ ოსმალეთის ჯარის შემოყვანა, და ამას ისინი გაიყვანენ, თუ ჩვენ ასეთი ზიგზაგური პოლიტიკა ვაწარმოეთ, და ეს კი დაშნაკური პოლიტიკაა!

აკ. ჩხენკელი

12/V—18.

გამარჯობა, ნოე!

გუშინ გვქონდა პირველი ოფიციალური სხდომა. მე გავაკეთე განცხადება, რომ მოლაპარაკებას საფუძვლად მთლიანად ბრესტის ზავი უნდა დაედოს და მოვითხოვე მისი ოფიციალური ტექსტის წარმოდგენა. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ თქვა ტრაპიზონის შემდეგ, რაც თქვენ მთავრობამ გაგიწვიათ, მდგომარეობა შეიცვალა და ამიტომ მოლაპარაკების საფუძვლად მე განსაკუთრებულ პროექტს ვადგენო. ბრესტის ზავის პროექტის წარმოდგენას ის დაეთანხმა. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა: 1) მე ვიღებ ცნობად ბრესტის ზავის მიმართ ორ სხვადასხვა შეხედულებას ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთის თავმჯდომარეთა მიმართ გამოთქმულსა; 2) მე ვიღებ ოსმალეთის პროექტს განსახილველად; 3) მე ვალდებული ვარ დავიცვა გერმანიის ინტერესები.

ოსმალეთის პროექტი ყოვლად შეუწყნარებელია: 1) სჭრის სხეულს ახალციხეს, ახალქალაქს და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრებს, სადაც სომხების კომპაქტური მასა ცხოვრობს; 2) ოსმალები ერევიან წესიერების აღდგენაში ჩვენში; 3) რკინის გზა მათ განკარგულებაშია ომის დროს და სხვა ეკონომიური ბორკილები.

ეს პროექტი გამოიგზავნება მხოლოდ ერთი პირობით: არ უნდა გახმიანდეს, მხოლოდ მთავრობას ეცოდინება. გამომჟღავნება გვიქადის იმას, რომ ოსმალნი შემდეგ უკან არ დაიხევენ. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ოსმალნი დაიხევენ გერმანელების დახმარებით, მაგრამ ერთის პირობით, თუ ეს პროექტი არ გახდება პოლიტიკური დებატების საგნად, ამის საბუთი მაქვს. ასე, რომ ეს ჩემი თხოვნა სრულიად კატეგორიულია. მე არც კი მინდოდა პროექტის გამოგზავნა, მაგრამ სომხები მაიძულებენ. ამ ხალხმა მთლად დაკარგა გონიერება და ეს არც გასაკვირია. ოსმალეთს სურს თავის პროექტით გადაჭრას სომხეთის საკითხი კავკასიაშიც. ამას ისინი მიაღწევენ, თუ გერმანელნი დაეთანხმნენ, და დაეთანხმებიან უთუოდ, თუ თქვენ უდროოდ განაწყობთ დელეგაციას საამისოდ.

ჩემი გეგმა: 1) სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება იკვრის არა მარტო ოსმალეთთან, არამედ მის მოკავშირეებთანაც. ამას გავიყვან, მაგრამ ისე უნდა გავიყვანო, რომ გერმანია ოსმალეთის მოკავშირედ დარჩეს. ეს კი შესაძლებელია, თუ ჩვენ თვითონ არ გავუძნელეთ გერმანელ დელეგაციას ეს მისია ჩვენი უდროოვო ყვირილით, რაიმე მოულოდნელი გადაწყვეტილებით, 2) საფუძველი ჩვენი მოლაპარაკებისა ბრესტის ზავია. ესეც გავა, ალბათ, ვინაიდან გერმანელნი არ არიან მსურველნი მისი დარღვევისა, ეს გამოსჭვივოდა თვითონ ფონ ლოსოვის გუშინდელი ნათქვამიდან; 3) თუ საქმე მიდგა ჩვენი რკინის გზით სარგებლობაზე, ეს მხოლოდ სახელმწიფოს. ესეც გავა, იმედია.

ვთქვათ, ეს გეგმა არ გავიდა, გერმანელებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

არ დაგვიჭირა ისე ძლიერათ მხარი. რა ვქნათ? თათრებმა გასწირეს სომხები. ადერბაიჯანი ცალკე წავა. შეიძლება ოსმალეთზე გადავიდეს. ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი ომი გამოცხადდება ამიერკავკასიის სახელით. რა უნდა ქნას ქართველმა ერმა? ერთად-ერთი გზაა: ომში არ გაერიოს. ომი ყელს გამოჭრის ერს. მოსპობას უქადის. უძლური კი ვართ ვუშველოთ სომხებს. მე ტრაპეზუნდში და აქაც უფრო სომხის პოლიტიკას ვაწარმოებდი. ე. ი. ვმოქმედებდი ამიერ-კავკასიის სახელით, თუმცა კი ვიცი — საქართველოს სახელით ზავი ხუთჯერ მოხდებოდა აქამდისინ. ოსმალეთს სურს. სომხები არ იყოს წევრი ამიერ-კავკასიის ფედერაციისა. თუ თავის პროექტი სისრულეში მოიყვანა, ეს ნიშნავს იმას, რომ გერმანია მას დაეთანხმება. როგორც ოსმალეთის საზღვრებში წინეთ. ამ შემთხვევაში ჩვენ უძლურნი ვართ, და უფრო იმიტომ, რომ თათრები ჩვენთან არ არიან. ოსმალეთთან ომი ჩვენთვის ამ პირობებში პირდაპირ სიგიჟეს მოასწავებს. ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით, სხვა არაფერი, ჩასაქოლავნი. ეს წერილი არ დაკარგო, შავს არ ვიტოვებ. მაგრამ ისეთი საპასუხისმგებლო მომენტია, უნდა იცოდეთ მომავლისათვის.

რა გამოსავალია? საქართველო დარჩება ცალკე. მთავრობის როლს ეროვნული საბჭო იკისრებს, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადება მას არ ეპივრება, ის რუსეთის ჯარების გასვლის შემდეგ ისევ იურიდიულ სუბიექტად იქცევა, ე. ი. უბრუნდება იმ მდგომარეობას, რომელშიც იყო 1801 წ. ამის გარდა შარშან შემოდგომას ოფიციალური ნოტებია გაცვლილი გერმანიასა, ავსტრია-უნგრეთსა, ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის, რომ ისინი ვალდებულნი არიან იცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა; ეს ნოტა პირობითი არაა, ე. ი. საქართველოს არ თხოვენ არაფერს ამისათვის; ეს არაა ძველი ნოტა 1916 წ. სადაც პირობად საქართველოს აჯანყება იყო დასახელებული. ეს ასეა, გერმანიის დელეგაციამ გადმომცა საიდუმლოდ, რაიც შემდეგ დამიდასტურეს ბერლინიდან. დასკვნა: საქართველოს ომში ჩარევა დამღუპველია.

ნუ დაივიწყებ, საქართველოზე არაა ახლა ჩემი ზრუნვა. მე მინდა ამიერ-კავკასიისათვის გამოვგლიჯო ზავი. ეს შეიძლება, იმედი მაქვს, მაგრამ ვშიშობ, რომ ჯერ სომხები და მერე თათრები ცეცხლს შეგვინთებენ. პირველი ომი თქვენ დაიწყეთ დაშნაკელების გავლენით, და თუ მეორეჯერაც ეს დაგემართათ, შეუწყნარებელი იქნებოდა, კიდევ მეტი: მე დაბეჯითებით ვურჩევდი სომხებსაც, არ იომონ, მაშინ გერმანელები ფიზიკურად გადაარჩენენ, მაგრამ ცოტა იმედია, რომ ეს ქნან.

კიდევ ვიმეორებ, საიდუმლოდ უნდა შეინახოთ ოსმალეთის პროექტი, არ აზმაურდეთ, არც არავითარი განკარგულება არ მოახდინოთ. უცადეთ მოლაპარაკების შედეგს. ჩააგონეთ პრესას, განსაკუთრებით „ბორბას“ და „იზვესტიას“, ნუ ლაყბობენ სისულელეს. უნდა შეურიგდეთ ერთხელ და სამუდამოდ იმ აზრს, რომ ეს ორგანოები მთავარი პარტიისა, რომელიც მთავრობაშია — აქ აქცევენ მათ ყურადღებას.

რომ ჩვენ მოლაპარაკებას მეტი საფუძველი მიეცეს, რომ თქვენც არავითარი ეჭვები არ შეგეპარონ ჩემი ტაქტიკის შესახებ, საჭიროა ეხლავე ჩამოვიდეს აქ ნოე ჟორდანია. ეს მით უფრო საჭიროა, რომ იმოქმედოს სომხებზე და თათრებზე, უფრო პირველებზე, ვინაიდან მეორენი გარკვეულნი არიან და მათი დახევა ამიერკავკასიის დანგრევის გზიდან შეუძლებელია. საზოგადოთ, ისინი — დელეგატები — უეჭველათ მომხრენი არიან მთლიანობისა. მაგრამ თუ ომი მოხდა, უთუოდ ცალკე გავლენ და ოსმალებს მოიწვევენ.

ამავე დროს კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ბაქოს ამბები მთავარი მიზეზია ჩვენი გაჭირვებისა. საჭიროა, გაუგზავნოთ ახლავე ძალები მაცლაფს. თუ მართლა თქვენ არ გაგიგზავნიათ ამუნიცია და იარაღები, პირდაპირ აუწერელი სიბეცეა. სწორედ ეს ამბავი გადმოსცენ აქ, რამაც გაახელა ყველა.

ერთი ანდერძიც: ბოლშევიკებთან თამაში ამ წუთში ღალატია, ღალატია და კიდევ ღალატია.

ოსმალეთის პროექტი არ იგზავნება ახლა. დიდია, ხვალ გამოიგზავნება ალბათ.

აკ. ჩხენკელი

15/V —918

საიდუმლოთ

## გამარჯობა, ნოე!

ამ დილით ნოტა ჯარების გაშვების შესახებ დელეგაციისთვის მოულოდნელი არ იყო. 18-ს ღამით გვითხრეს ეს კერძოთ ხალილბეიმ და ვეჰიბ-ფაშამ, მხოლოდ ჩვენ ველოდით პირველად ულტიმატუმს, რაიც უფრო გაართულებდა საქმეს და გვართმევდა საშუალებას, თუ დავეთანხმებოდით, ფორმალური პროტესტი განგვეცხადებინა. გუშინ არ შეიძლებოდა თქვენთვის შეტყობინება, ვინაიდან ამით ეძლეოდათ თურქებს საშუალება ეფიქრათ, რომ ჩვენ ვთანხმდებით მათ წინადადებაზე. მე კატეგორიულად განვუცხადე მათ და გერმანელებს, რომ ჯარებს გავუშვებთ მხოლოდ იმ პირობით, თუ პრინციპიალური საკითხი საზღვრებზე გადაჭრილია ბრესტის ზავის ნიადაგზე. ტაქტიკურად უკეთესი იყო, ენახათ თურქებს და გერმანელებს, რომ ჩვენ მტკიცედ ვდგავართ ჩვენს პოზიციაზე, რასაც სრულიად ეთანხმებოდა გენ. ლოსოვი. უკანასკნელმა თავის მხრითაც პროტესტი განუცხადა ოსმალეთის მთავრობას გერმანიის სახელით ჩვენი უზენაესობის შელახვის გამო. ფორმალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ასეა საქმე, მხოლოდ არსებითათ თქვენ უნდა მისცეთ თურქებს საშუალება არა-ოფიციალურათ რაც შეიძლება საჩქაროთ რკინისგზით გაატარონ ჯარები, ვინაიდან ისინი აპირებენ შოსეთ იარონ, რაც უეჭველათ სამხედრო მოქმედებას გამოიწვევს. ამიტომ მოდიან გერმანელი ორი ოფიცერი მხლებლებით, რომ ეცადონ თურქებს არ მისცენ საშუალება ისარგებლონ რაიმე ინციდენტით და სამხედრო მოქმედება დაიწყონ. თქვენ ეს გერმანელები ფიცხლავ ალექსანდრეპოლში უნდა გააგზავნოთ, რომ ადგილობრივ მოახერხონ ყველაფერი. საჭიროა ნაზარბეგოვს ცალკე უთხრათ არა-ოფიციალურათ ხელი შეუწყოს. ერთი სიტყვით, გარეგნულად უნდა იქნეს დაცული თითქოს თურქები თავისი ნებით სარგებლობენ რკინის გზით, ფაქტიურად კი ხელი შეუწყეთ, რომ ჯარები ჩქარა გავიდნენ, რაიც სასარგებლოა ჩვენთვის, ნაკლები დარჩებათ აქ. ვეჰიბ-ფაშა იძლევა სიტყვას, რომ სხვა ფრონტებზე ის ფეხსაც არ მოიცვლის, აქედან სრულიად სასტიკად უნდა უბრძანოთ ჩვენებს არასგზით არ მისცენ თურქებს საბაბი.

დახმარება ყოველმხრივი გერმანელებს: ბინასაჭმელი და სხვ.

დასკვნა: 1) ყველაფერი საიდუმლოთ უნდა შეინახოთ, ახმაურება პრესისა, ან სეიმისა შეუწყნარებელია, ალაგმეთ „ბორბა“ და სხვები. ნუ უბედობენ. აქ კითხულობენ გერმანელნი და საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს. პრესა იმასვე იმეორებს, რასაც ამბობდა ტრაპეზუნდში მოლაპარაკების დროს, ე. ი. უნერგავს ჩვენდამი უნდობლობას არამც თუ თურქებს, არამედ გერმანელებსაც. ისინი კითხულობენ ქართულ პრესასაც. პირდაპირ ღალატია, როცა „ერთობაში“ ათავსებენ „პრომეთეოსის“ კორესპონდენციას (9 მაისის ნომერი) იმის შესახებ, რომ ჩვენი ჯარები გარბიან! დასვით „ერთობაში“ პასუხისმგებელი პირი, რომელმაც უნდა იცოდეს, რასაც სწერს. ლანძღვა-გინება გერმანიისა, როცა მისი წარმომადგენელნი აქ ხელს გვიწყობენ, ვერაგობაა, სხვა არაფერი. „ბორბას“ და „იზვესტიას“ უნდა ჩააგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჰყვიან, უკეთესია, რუსეთის იმპერიალიზმზე, რომ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს პირველს შეურიგდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვიხსნა, მხოლოდ თავისი იმპერიალისტური მადის დასაკმაყოფილებლათ და არა რუსი ამხანაგების ლამაზ თვალისათვის, ოსმალებსაც ძალიან ფრთხილათ უნდა მოეპყრან. მე ვიცი, ეს რუსი ამხანაგები პირველად გაიქცევიან და ჩვენ კი მთელ ჩვენ ერებს უსპობთ სიცოცხლეს.

2) ომი შეუძლებელია ჩვენთვის — ეს აქსიომაა, მაშასადამე, პირდაპირ შეუწყნარებელი იქნებოდა, ჩვენ რომ ის გვექნა, რაც ჩავიდინეთ 31 მარტს. ვშიშობ, მხოლოდ, რომ რუსებმა და განსაკუთრებით სომხებმა არ გაიძულონ თქვენ, ისევ იარაღს მიმართოთ. მაშინ დაასამარებთ სომხებსაც და ქართველებსაც. მაშასადამე, თურქების გასვლა ჯულფისაკენ არას გზით არ უნდა ჩაითვალოს კაზუს-ბელი-დ ასე ფიქრობენ სომეხი დელეგატები. თუ ვინიცობაა ან პრესამ ან რუსის სამხედრო წრეებმა გაგიწიეს წინააღმდეგობა, სასტიკათ უნდა მოეპყრათ. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ მომენტში, როდესაც საჭიროა ნათელი მიზნები და გადამწყვეტი ზომები. სპეციფიური შენი ტაქტიკა დამღუპველია — ესე იგი კომპრომისი, ნახევარი ნაბიჯი წინ, ნახევარი უკან. ამან დაღუპა ჩვენი ტრაპეზუნდის პოზიცია: ერთი დღის მაგიერ ერთი კვირა ვიკამათეთ.

ახლა მთავარი უნდა გითხრა, ვინაიდან მთელი სურათი უკვე გამორკვეულია და წინეთ მხოლოდ ჩემს აზრს ვწერდი, რაიც მთლად დადასტურდა ახლა. მე განვუცხადე თურქებს და გერმანელებს, რომ პირველი ხელშეკრულების პროექტი (რაიც გუშინ გამოგიგზავნეთ). თუ კი ის სისრულეში მოუყვანიათ მათ, მაშინ ქრება სუბიექტი საერთაშორისო უფლებისა, ესე იგი მთლიანი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, საერთო მთავრობა, სეიმი და აქედან დელეგაციაც. ამ რიგათ, მათ ერთმევათ ყოველი საშუალება შეკრან ხელშეკრულება ეგრ. წოდ. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკასთან. ხალილ-ბეიმ არაფერი მითხრა ამის შესახებ. თქვა კერძოთ ისა, რომ კონსტანტინეპოლში გაიმარჯვა ენვერის პარტიამ და პროექტიც ასეთი გამოვიდა. ფონ ლოსოვმა კი თქვა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავი ჩვენთვის ძალაში რჩება ბერლინის ინსტრუქციის ძალით. ის ამას ეცდება ცხოვრებაში გაატაროს. ეხლა წარმოებს აქ ინტენსიური მუშაობა ლოსოვის დახმარებით, რომ თურქების მადა ალაგმოს, ვინაიდან ამიერ-კავკასიის მთლიანობას ძლიერ აფასებენ გერმანელნი. მე არას ვიტყვი, გაუგიათ გერმანელებს რაიმე თუ არა, თურქები მათ იზოლაციას ახდენენ და ძალიან უშლიან პირდაპირი მავთულით ლაპარაკს კონსტანტინეპოლთან. ყოველ შემთხვევაში ესენი მაინც აწვდიან ცნობებს და ინსტრუქციებსაც ღებულობენ. მაშასადამე, მუშაობა ამიერ-კავკასიის სახელით ინტენსიურათ სწარმოებს და არის რამდენადმე იმედი, რომ ჩვენსას გავიტანთ საზღვრების რამდენათმე შესწორებით.

მაგრამ ყოველთვის უარესს უნდა ელოდეთურქებს არ სურთ უკვე ამიერ-კავკასიის მთლიანობა და ისინი სრულიად საბუთიანათ ემყარებიან ჩვენი თათრების სურვილს. არსებითათ კითხვა არ დამისვამს დელეგაციაში, ვინაიდან ჯერ ვუცდი შედეგს ლოსოვის ცდის ამიერ-კავკასიის ინტერესებისათვის, მაგრამ ისე კი ცხადია, ჩვენი თათრები უკვე ადერბაიჯანის გამოყოფის მომხრე არიან, სომხებს განწირავენ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ თუ ომი გავბედეთ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს აქსიომაა — ესე იგი აქტიურად გაერევიან ომში ჩვენს წინააღმდეგ. როგორია მთავარი მოტივი როგორც თურქებისა, ისე თათრებისა? ინგლისელების დაბლიდან წინ წამოწევა: ეს მიუღებელია ჩვენი თათრებისათვის, ვინაიდან ომში ისინი **გადაჭრით** ოსმალეთის მომხრენი არიან, ვინაიდან მხოლოდ და მარტო ეს უზრუნველყოფს მათ რუსეთის ჩამოშორებისაგან, ჯერ ბოლშევიკების სახით, თურქებს კი აინტერესებთ ერთ-ერთი: ჩვენი მუსულმანობის ახალგაზრდობის ჯარში ჩაწერა, რაიც მოსაწერსებელია, თუ ადერბაიჯანი ცალკეა. მათ გაუწყდათ ჯარები. ეპირვებათ ახალი მასალა. ეს არის სუსტი მხარე. აგრეთვე გერმანელებისათვისაც: ისინი შეიძლება იძულებული შეიქნან ბოლოს თავისდაუნებურად მხარი დაუჭირონ ადერბეიჯანის გამოცალკევებას, ვინაიდან ინგლისელების მოქმედებას ისინი სერიოზულად უყურებენ. როგორი უნდა იქნეს ჩვენი მახლობელი ადერბეიჯანი, თუ თურქებმა სერიოზულად მოითხოვეს თავისი პროექტის განხორციელება? უნდა გამოცხადდეს **საქართველოს დამოუკიდებლობა** ყოველ მიზეზის გარეშე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ზავის შეკვრა ჩვენთვის მისაღებ პირობებში. სომხები, რა თქმა უნდა, არ შეურიგდებიან თურქების გეგმას და ომს გამართავენ თუგინდ „მთელ მსოფლიოსთან", როგორც ამბობენ ხატისოვი და კაჩაზნეუნი. ეს მით უფრო, რომ მათ შორეული იმედი მაინც დარჩებათ ინგლისისა. ჩვენ ვდგევართ უფსკრულის წინ. უნდა გადაწყდეს, გაუყვებიან თუ არა ამ გზას ქართველებიც, როგორც ამას აქამდისინ ჩადიოდნენ რევოლუციონური ფრაზეოლოგიით დამთავრებული. მე ვამბობ: არას გზით. ვერ გაუყვებიან. სანამ ინგლისელები მოვლენ ამიერ-კავკასიაში, რაიც საეჭვოა, ჩვენ დავკარგავთ ყველაფერს, სიცოცხლესაც, დამოუკიდებლობას კი შეუძლია ჩვენი ხსნა. თურქები, თუ ნებით არა, ძალით გაივლიან ამიერ-კავკასიას. თუ ძალით გავლენ, ჩვენ დაპყრობილნი ვართ. ჩააყენებენ ჯარს სიმაგრეებში (ყარსი და სხვ.) და ინგლისელებს არ მოუშვებენ მანამდის, სანამ არ ამოგვჟლეტენ. ვინც თქვენს შორის დაადგება 31 მარტის ტაქტიკას, ამ პირობებში ის გიჟია, მოღალატე არ დაერქმევა მას. როცა ყოველი იმედი დაგვეკარგება, რომ გერმანელების დახმარებით ოსმალეთის მადას ავლაგმავთ, მაშინ დელეგაცია უკვე არ არსებობდეს იქნება, როგორც ყველა თქვენი დაწესებულებანი საერთო ხასიათისა, — მაშასადამე, — მე დავიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით როგორც გერმანელებთან, ისე თურქებთან, რომ ვეცადოთ საქართველო მაინც გამოვიყვანოთ ცეცხლის ალიდან.

როგორც გწერდი, არც სომხებმა უნდა აიღონ იარაღი, მაგრამ ეს ფიზიკურად შეუძლებელია მათთვის. არც ის შეიძლება, რომ სომხებმა ჩვენთან ერთად ერთი ფედერაციული სახელმწიფო შეადგინონ. ეს არ უნდათ თურქებს, არც თათრებს. თუ ისინი ცალკე იქნებიან და მაინც იომებენ, რაიც უეჭველია, განსაცდელში ჩავარდებიან. მიიღეთ ყოველი ზომა არ იომონ და მაშინ გერმანელები არ მისცემენ თურქებს ნებას ამოჟლიტონ, ამის გარანტიას აქაც მივიღებთ. ჩვენსიან ყოფნა კი შეუძლებელია, ვინაიდან მათი ტერიტორია გამოურკვეველია და გადაგვკიდებს როგორც თურქებს, ისე თათრებს ალბათ, ადერბეიჯანი ოსმალეთის პროვინციად იქცევა, მხოლოდ ექსპლოატაცია გერმანელებს შერჩებათ, სომხებს კი ძლიერ აფასებენ ისინი, როგორც მოვაჭრე ელემენტს.

ასე, მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობა — აი პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას, როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება. შეწყდება იმიტომ, რომ თურქების პროექტი მიუღებელია, — ეს მათ მშვენივრად იციან, მაგრამ მიზნათ ხომ ჩვენი მთლიანობის დამხობა აქვთ.

საჭიროა ეს წერილი წაიკითხო ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმში სრულიად საიდუმლოთ. საჭიროა წინასწარი თადარიგის მიღება, თუ დრომ ეს ნაბიჯი მოითხოვა ჩვენის მხრით. ყოვლად შეუძლებელია ამ საგანზე საოლქო კომიტეტში ან ფრაქციაში ლაპარაკი. თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ, თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერი დაიღუპება. თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი.

საჭიროა ამ წუთშივე გათვალისწინება ყველა ამისა, საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ, პარტია, ეროვნული გრძნობით გამსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას.

ერთი საკითხიც: აქ აბხაზების წარმომადგენელნი არიან არა-მკითხენი, რასაკვირველია. არიან აგრეთვე აბხაზი მხედარნი მოჰაჯირები, ე. ი. ოსმალეთიდან. სრულიად ნათლად გამოირკვა, რომ მათ უნდათ და კიდევაც შეასრულებენ თურქების თავდასხმას აბხაზეთზე, არის გეგმა, არის ძალები დამზადებული სადღაც ახლო. მე ვმოქმედებ ხელი შევუშალო. თქვენ გმართებთ ახლავე დაგზავნოთ შიკრიკები საიდუმლოთ, უნდა მოვიდნენ აქ გლეხების წარმომადგენელნი აბხაზეთ-სამურზაყანოდან, მე მომმართონ და მერე მე ვიცი. უთუოდ მოახდინეთ ეს ფიცხლავ, ფიცხლავ. ნუ გამჟღავნებთ. დედა-ზრი თქვენი მოქმედებისა აბხაზეთ-სამურზაყანოში: არამკითხენი ცდილობენ თურქების თქვენზე შემოსევას, რომ ამოჟლიტონ სომხები, მეგრელები, ქართველები, შემდეგ დაგიპყრობენ; ეს კი არაა საჭირო, ვინაიდან სოხუმის ოლქზე არის დავა თვითონ თურქებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან. ის მიიღებს იმავე უფლებას, რასაც საქართველო. იქნება კავკასიის ფედერაციის ერთი ნაწილი, როცა მთიელები სახელმწიფოს შექმნიან, ჩვენ შემოგვიერთდებიან. მაშასადამე, ძმობა მათთან ძალაში დარჩება: ახლა კი საჭიროა ამიერკავკასიის ფარგლებში დარჩეს სოხუმის ოლქი, იმიტომ, რომ ზავი მხოლოდ მათთან იკვრის. ამ ზავის ხელშეკრულებაში შევიტანთ ორ მუხლს: 1) რომ მოხაჯირი აფხაზები დაბრუნდნენ სრულიად თავისუფლად; 2) რომ აბხაზეთ-სამურზაყანო გახდეს სრულუფლებიანი წევრი ამიერ-კავკასიისა და შემდეგ კავკასიის ფედერაციისა. კატეგორიულად განუცხადეთ ჩემ მაგიერ, თუ ასე არ მოიქცნენ, თურქების არჩივი გახდებიან. ეს უნდა შესრულდეს.

ერთი კიდევ: არასგზით არ უნდა გამოვუცხადოთ მტრობა ჩვენს თათრებს. იცოდეთ მტკიცედ: სხვაგვარ მათ მოქმედება არ შეუძლიათ. ჩადექით მათ მდგომარეობაში. მათი მდგომარეობა დასაკლავი დანაა ჩვენთვის. თუ გავიყარენით, უფრო შეგვიყვარებენ. ეს იცოდეთ.

კიდევ ერთი: ბაქოს ვუშველოთ, ვინაიდან ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის ნიადაგზე ვდგევართ.

ერთი კიდევ: ეს წერილი დატოვე ეროვნული საბჭოს არქივში, ვინაიდან ის არის ჩემი გასამართლების საბუთი, თუ ვინიცობაა თქვენ თქვენი გზით იარეთ. ისე არ დაგემართოთ, როგორც ამას წინათ: შენ და ევგენი მწერდით 80 მარტს ბათუმის ხსნა შეუძლებელია და 81 მარტს ქვეყანა გადაატრიალეთ!

ერთი კიდევ: მოვიდეს ნოე, რომ თავისი თვალით ნახოს ყველაფერი, ძალიან საჩქაროთ.

ველი პასუხს

შენი აკ. ჩხენკელი.

ბორჯომიდან ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ამ დღეებში გამოირკვევა ყველაფერი, მაშასადამე, არ გაართულოთ საქმე. მტკიცედ უნდა იდგენ თავის პოზიციებზე, რომ ბანდებმა არ დაგვაყენოს ფაქტის წინაშე.

აკ. ჩხენკელი

ამ პოლიტიკას სავსებით ვიზიარებ და ვეთანხმები.

ნ. ნიკოლაძე

„დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას, რას იტყვის ოსმალეთი ამ ფაქტის წინაშე. ზოგიერთი ამბობს, რომ ოსმალეთი კარგად შეხვდება ამ ამბავს და შეეცდება მოურიგდეს საქართველოს; ზოგიერთი ამბობს, რომ შეუძლებელია. პირველ შემთხვევაში ზავი აქვე შეიძლება შეიკრას, თუ მასში გერმანიის დელეგაციაც ურევია; მეორე შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ ფორმალური პროტესტი ჯარების შემოსევის წინააღმდეგ, ბრძოლა ბანდებთან სასტიკი, თუ ისინი თურქების სამხედრო ფორმას არ ატარებენ. მეორე შემთხვევაში ფონ ლოსოვი წავა აქედან, რომ პირადათ ნახოს ვილჰელმი და კანცლერი. მას მეც უნდა გავყვე, რომ სასწრაფოთ იქნას მიღებული ზომები საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავათ.

ამის საბუთი არის, ნოტებია გაცვლილი ოთხ სახელმწიფოთა მთავრობათა შორის, რომ საქართველო მაშინვე ცნობილი იქნას, როგორც თავის დამოუკიდებლობას გამოაცხადებს. ეს მოხდა წარსული წლის დამლევს, ოსმალეთის მთავრობამ ამა წლის იანვარს მოაწერა ამ ნოტას ხელი, პირობები არაფერია წარმოდგენილი, სავალდებულოა ოთხივე მთავრობისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადდეს საზღვრების ალუნუსხავათ: ხსენებული ნოტების თანახმად, საქართველოში შედის ბათუმის მხარე, სოხუმისა და ზაქათალას ოლქები. მათი ხსენება გამოიწვევს საქმის უმწვერვალესად გამწვავებას. თუ გამოვტოვეთ, მაშინ ჩვენ თვითონ უარვყოფთ იურიდიულად ჩვენს უფლებას. ეს უნდა მიენდოს საგარეო მინისტრის საიდუმლო მოქმედებას და შეთანხმებას გერმანიის მთავრობასთან.

სოხუმის ოლქში ძალაუფლება ფაქტიურად ჩვენს ხელშია. რაზმები უთუოთ იქ უნდა დარჩეს, უნდა მიემატოს კიდევ, თან უნდა გაიგზავნოს გერმანიის კონსული და რამდენიმე ტყვე ჯარისკაცი ოფიცრით, რომ ამით ფორმალურათ იქაც მფართველობა გამოხცადდეს გერმანიისა.

საჭიროა დიდი ტაქტი აფხაზეთ-სამურზაყანოს მიმართ. ყურში უნდა ჩაეწვეთოს მათ თურქების შემოსევის შესაძლებლობა. ეს ნამდვილათ განზრახულია. ამ შემთხვევაში ხალხი, განსაკუთრებით სამურზაყანო, უეჭველათ დაირაზმება, ყველა ნასალდათევი გაწვეული უნდა იქნას. ჯარში რკინის დისციპლინა. თუ თურქები მოადგა, უთუოდ წინააღმდეგობა, ბევრს ვერ გადმოსხამენ, ეს უეჭველია, გაჭირვების დროს სამურზაყანოსაკენ დახევა. ეს ბაზაა. ამასობაში კონგრესის მოწვევა აბხაზეთ-სამურზაყანოდან, რომელიც გამოთქვამს თავის პოლიტიკურ პოზიციას. ეს უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: აბხაზეთ-სამურზაყანო მოსურნეა შევიდეს, როგორც ცალკე სახელმწიფო ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ — კონფედერაციაში, ხოლო სანამ ეს განხორციელდებოდეს, ის უკავშირდება, როგორც თანასწორი თანასწორს, საქართველოს თავისი არსებობის დასაცავათ. თავადაზნაურობის უმრავლესობას არას გზით არ უნდა კრან გულზე ხელი, ყოველი რევოლუციონური ფრაზეოლოგია, გარდა სამშობლოს დამოუკიდებლობა-თავისუფლების დაცვისა, ისევ დააფრთხობს აბხაზს და ვინ იცის სად გადაჩეხავს.

საქართველოს სამინისტრო უთუოთ კოალიციური უნდა იყოს, მარტივი და მცოდნე პირებისაგან შემდგარი. უნდა მოისპოს „პრიზრენიას“ პორტფელი, მისი საქმე შინაგან მინისტრს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გადაეცეს. შრომის სამინისტრო უნდა გახდეს მრეწველობა-ვაჭრობის სამინისტროს განსაკუთრებულ დეპარტამენტის საქმედ. რკ. გზის მინისტრს უნდა მიენდოს ყველა დანარჩენი გზებიც, ნავოსნობაც. სასულიერო საქმეები გადადის განათლების სამინისტროში. ფოსტა-ტელეგრაფი — შინაგან სამინისტროს. სახელმწიფო კონტროლი არაა წევრი სამინისტროსი, ის სრულიათ დამოუკიდებლად მოქმედებს მინისტრთა საბჭოს გარეთ. პარლამენტის მაგიერობას დროებით ეროვნული საბჭო სწევს, რომლის წინაშე მთავრობა პასუხისმგებელია.

მე გავათავე. ახალს არაფერს ვიწერები. თქვენ თითონ განსაჯეთ უკეთ. თავი და თავი, რომ გამოხცადდეს დაუყოვნებლივ საქართველოს დამოუკიდებლობა. სხვა გზა არაა. ესეც არაა, შეიძლება, მხსნელი ამ დროებით, მაგრამ მას უთუოთ გამოუჩნდება მფარველი სულ ჩქარა მომავალში.

ასეთ კრიტიკულ მომენტში პირდაპირ დანაშაულია ზიგ-ზაგი, შიში, საჭიროა გამჭრიახობა, სიმტკიცე და გამბედაობა. საჭიროა თვალის დახამხამებაზე ზომების მიღება სიმშვიდის დასაცავათ.

ურისკოთ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოთ. მაშ საჭიროა გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!

სალამი აკ. ჩხენკელი

22/V—18. ქ. ბათუმი. № 866. 25 მაისი.

**სრულიად საიდუმლოთ**

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს**

**საბჭოს** და კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია უკვე გაემგზავრა თბილისს. როცა მე წავიკითხე ზოგიერთი ახალი გაზეთები, რის გამოც მოვალეთ ვთვლი ჩემს თავს, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ.

ჩვენი გაზეთები ჯერ კიდევ კამათობენ იმის შესახებ, გამოცხადდეს თუ არა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაშინ როდესაც უმწვერვალესათ საჭიროა მტკიცე ნაბიჯი გადაიდგას ახლავე. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ეს გაზეთები სრულიად უპასუხისმგებლოთ გრძნობენ თავს; არც კი ფიქრობენ, რომ მათ ნაწერებს აქ კითხულობენ და სარგებლობენ ცნობებით. არც ერთი არაა გამსჭვალული სახელმწიფო აზრით... სულ ცოტა თვით ეროვნულ საბჭოში ან კომიტეტში მოეხდინათ რაიმე თანხმობა რა და რა საკითხზე გვმართებს დიდი სიფრთხილე — ესეც ვერ მოუხერხებიათ. **როცა სამშობლო უფსკრულის პირას სდგას**, საჭიროა არა კინკლაობა, არამედ ყველა სასიცოცხლო ძალების კონცენტრაცია, რომ ერს არ მოაკლდეს თუ გინდ ერთი მუჭა ხალხის წვლილიც. როცა კითხულობ გაზეთებს ვერა გრძნობ თვით ერის მაჯისცემას, პრესა არ გამოხატავს მის სულისკვეთებას.

მე უკანასკნელ წუთამდე არ დამიკარგავს იმედი, რომ შეიძლებოდა შეგვეკრა ზავი ამიერ-კავკასიის სახელით. მართალია, ჩვენმა თათრებმა თავის სეპარატისტული ნაბიჯებით ძირს გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას, მაგრამ ვინაიდან გერმანიის დელეგაცია სრულიად არ იზიარებდა თურქების პოზიციას, ამიტომ ჩემი იმედი საფუძვლიანი იყო. თურქებმა მართლაც ვერ გაბედეს, მიუხედავად მუქარისა, ულტიმატუმის გამოგზავნა, მაგრამ, სამაგიეროთ, მათ მიმართეს მეორე ხერხს: აწხორციელებენ ფაქტიურათ თავის დაპყრობით პოლიტიკას. ერევნის გუბერნიას წაესიენ, განჯაში თავისი მთავრობა დასვეს, რასაც მთელი აღერბეიჯანის მიკედლება მოჰყვება, დარჩა მარტო საქართველო, რომელსაც ემუქრებიან ყოველ მხრიდან. ბოლოს გენ. ფონ ლოსოვი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მარტო პროტესტებით ვერას გახდება და უნდა მიმართოს სხვა გზას.

დარჩა, მაშასადამე, მარტო საქართველო, რომლისათვის დარჩენილია სამი შესაძლებლობა: ა) საქართველო აღერბეიჯანთან ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაიც მიუღებელია. როცა აღერბეიჯანში თურქები სხედან და იმავე დროს არსებობს ამიერ-კავკასიის **საერთო** მთავრობა, ეს მოასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტიური დაპყრობა მოჰყვება; ბ) ქართველები სომხებთან ერთად ადგენენ სახელმწიფოს. არ არსებობს ფაქტიურად სომხების ტერიტორია ამიერ-კავკასიაში, ვინაიდან თურქების ხელშია, — შეუძლებელია, მაშასადამე, მასთან ერთად ერთი სახელმწიფოს შექმნა. კიდეც რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის. დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა; გ) საქართველოს დამოუკიდებლობა, აი ერთადერთი გამოსავალი. ამ შემთხვევაშიც არ ვართ დაზღვეულნი თურქების შემოსევებისაგან, სწორეთ ამიტომ ამ უბედურებას წინ უნდა უსწრებდეს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომ უფლებრივი ნიადაგი არ დავკარგოთ.

გენ. ფონ ლოსოვი იყო დღეს ჩემთან, მას გავაცანი ეს აზრები და კატეგორიულათ განაცხადა, რომ დარჩენილია ერთათ-ერთი გზა — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან კიდევ გაუგზავნა ცნობა თავის მთავრობას, რომ ამიერ-კავკასია არ არსებობს (ოსმალეთის წინადადებამ მოსპო ის), არსებობს მხოლოდ საქართველო, რომელიც გამოაცხადებს ხვალვე დამოუკიდებლობას და გთხოვთ ცნობას და მფარველობას. ის ელის ახალ ინსტრუქციას, მაგრამ ჩვენ უკვე ვიქონიეთ მსჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხებზე. ჩვენ გვენიშნება მაშინვე, როგორც კი დამოუკიდებლობას გამოვაცხადებთ (შულენბურგია ნაგულისხმევი), მთავრობასთან გერმანიის იმპერიის წარმომადგენელი ელჩის უფლებებით. ინიშნებიან კონსულები ქალაქებში. მსწრაფლად გარდაიქმნას გერმანია-ავსტრიის ტყვეები ჯარისკაცებად და გადავიდეს საქართველოს მთავრობის განკარგულებაში, რომ ამით ფაქტიურათ გამოეცხადოს ოსმალეთს საქართველოზე გერმანიის მფარველობა... ყველა ეს მოგვარდება მაშინვე, როგორც კი მივიღებ დამოუკიდებლობის გამოცხადების რეალურ ცნობას.

როგორც კი მოვა ეს ცნობა, ფორმალურათ გაუქმდება ნოტიფიკაცია მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებს — გერმანია-ოსმალეთის დელეგაციის პირით. ამას მაშინვე მოჰყვება სამშვიდობო მოლაპარაკება, ვინაიდან სუბიექტი საერთაშორისო ურთიერთობისა — ამიერკავკასიის სახელმწიფო უკვე არ არსებობდეს იქნება, მაშასადამე, ხელშეკრულება მასთან შეუძლებელია.

23/V — 18

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲡ!

მე ვფიქრობ, თქვენ უკვე გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა. თუ არა, მაშინ მე არ მესმის თქვენი ტაქტიკა. ერთათ-ერთი გამოსავალი მხოლოდ ესაა. სხვა გზა დახშულია. არც ეს გზა გვიხსნის ყოველ ხიფათისაგან, რადგან ჩვენ გვჩვევია დაგვიანება. ყოველ შემთხვევაში მე კიდევ მწამს, რომ პასუხისმგებლობა ისტორიისა და ერის წინაშე თავისას იქმს.

საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი შემდეგი უნდა იყოს: მან უნდა თხოვოს გერმანიას მფარველობა თავის დამოუკიდებლობის დასაცავათ. დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბერგს. ყველა ეს ხდება საიდუმლოთ. შულენბერგს მიეცემა აქედან ინსტრუქცია, რომლის ძალით ის ამ თქვენს შუამდგომლობას გადასცემს თავის მთავრობას. შეიძლება პასუხის მოსვლამდე უკვე იკისროს გერმანის იმპერიის წარმომადგენლის როლი. ამ შემთხვევაში ის გამოიყვანს თავის პატარა რაზმს, ტყვეებისაგან შემდგარს, შეეგებება მომხდომ თურქებს და განუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება. აქედან თურქებს არა აქვთ უფლება მისი ტერიტორია გადმოლახონ. მთავრობა მიიღებს მეორე დადგენილებასაც, რომ ის ანდობს თავის წარმომადგენელს ბათუმში გაუკეთოს გერმანიის წარმომადგენლობას საიდუმლო ხელშეკრულება როგორც მფარველობაზე, ისე ამ მფარველობის იურიდიულ ფორმაზე, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებანიც დროებითი ხასიათისა. ყველა ეს საიდუმლოთ რჩება, რა თქმა უნდა.

აუცილებლათ საჭიროა მყისვე შემატყობინოთ დამოუკიდებლობის გამოცხადება არა მარტო ტელეგრამით, არამედ წერილობითაც კანონიერათ შემოწმებული ქართულ ენაზე, აგრეთვე დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი. საჭიროა, აგრეთვე ჩემი თანამდებობაზე ცალკე მოწმობა ქართულ ენაზე. ბეჭედი გააკეთეთ ახლავე.

არც პრესაში, არც პარლამენტში ცუდათ არ მოიხსენიოთ გერმანია, ოსმალეთი, არც მეზობელი ერები. ეს თავი და თავი პირობაა. დიდათ მოსალოდნელია, რომ ოსმალეთი მოისურვებს მაშინვე საქართველოსთან ზავის შეკვრას, ამიტომ მისი გაღიზიანება შეუწყნარებელია. პირიქით, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჩვენა გვსურს კარგი ურთიერთობა გვქონდეს მეზობელ სახელმწიფოებთან.

შიფრით გადმოვეცი გენ. კვინიტაძეს თქვენდა გადმოსაცემად, თუ რა გმართებთ გააკეთოთ სამხედრო თადარიგის მხრით. ომი ამიერ-კავკასიის სახელით მომაკვდინებელია ჩვენთვის. მტერს წინააღმდეგობა შეიძლება გაეწიოს მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. თურქებს ალბათ გადაწყვეტილი აქვთ მთელი ამიერ-კავკასია აიღონ. ჩვენ უეჭველათ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ, რამდენიც ძალა შეგვწევს. დღეს მხოლოდ თფილისის საკითხია. საჭიროა, ის არ ჩაუგდოთ მათ ხელში. ძლიერ აზვიადებენ უეჭველად თურქების შემოსევას, ჯერ-ჯერობით, მარტო ბანდებია. ალბათ, უნდა მიიღოთ ზომა, გზები გაუფუჭოთ, შეუტიოთ, კარგი სტრატეგიული პუნქტები დაიკავოთ. რუსების ჯარს არასგზით არ დაენდოთ. ჩამოართვით ახლავე იარაღი და თქვენ მოიხმარეთ. მთელ ხალხს საქართველოს შუაგულში — არა განაპირა ადგილებში — მოთხოვეთ იარაღი ჯარისათვის. თუ მიიღებთ ზომებს, თფილისშიც ბევრ იარაღს აღმოაჩენთ კერძო პირებთან, ბევრი თავის ნებითაც მოიტანს.

გამოაცხადეთ საქვეყნოდ, როცა დარწმუნდეთ, რომ თურქები ფაქტიურად მოიწევიან, რომ სამშობლოა განსაცდელში. ხალხი უეჭველათ შენიძრევა, ის თავის ვალს გადაიხდის. ყველა ეს უდროოთ არას გზით არ უნდა მოხდეს, ვინაიდან გვაქვს კიდევ იმედი, ვიფიქროთ, რომ თურქები ზავს მოითხოვენ ჩვენთან, რაიც ჩვენთვის უსაჭიროესი რამაა. მაშასადამე, დამოუკიდებლობა ერთ-ერთი საშუალებაა ზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისათვის, თურქების ქცევა ისეთია. ვაი თუ გაგვიძნელდეს თქვენთან მიწერ-მოწერა. ამიტომ ვწერ ყველა ამას.

კიდევ ვიმეორებ, ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია, ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნაბიჯები. ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭავია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს.

ბოლშევიზმი, სამშობლოს ღალატია — ესაა ერთ-ერთი თქვენი ლოზუნგი. პანიკა შეუწყნარებელია. საჭიროა შრომის განაწილება, ლაპარაკი და რეზოლუციები დამღუპველია. გამოიჩინეთ ნამდვილი სახელმწიფოებრივი სულის სიმშვიდე. ჩვენი ერი გამჭრიახია. შეიგნებს და დაემორჩილება სამშობლოს მხსნელ მთავრობას.

ვისურვებ, შეასრულოთ მიძმე ვალდებულება ქვეყნის წინაშე. ჩვენ გავუშვით ყველა ვადები, ერიც არ მოვამზადეთ ამ მომენტისათვის. მაგრამ იმედი მაინც არ უნდა დავკარგოთ.

აკ. ჩხენკელი

●

აკაკი ჩხენკელის ჭეშმარიტად ტიტანური ბრძოლას თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის ამაოდ არ ჩაუვლია. იგი პირნათელი და ვალმოხდილია თავის ხალხისა და ისტორიის წინაშე, ერთ-ერთი პირველია იმათ შორის, ვინც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის სათავეებთან დგას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სულხანიშვილი

# მოგონებები შეფიცულთა რაზმზე

ჩვენ სულ თხუთმეტი დღე დავრჩით ამ მშვენიერ ბინაზე. ახლა მეტი რაღა ჩარა იყო, უნდა დაგვეტოვებინა შესანიშნავად მოწყობილი სადგომი. ამ ხნის განმავლობაში ერთი წამით არ გვტოვებდა ფიქრი: რა მოხდა, რომ ასე მალე მოგვაგნეს კომუნისტებმა? ბოლოს ყველაფერი საქონლის მომყვანებს გადავაბრალეთ, ვეჩხუბებოდით: როგორ წამოიყვანეთ ხარი, რომ კვალი არ დარჩენილიყოო. როგორც შემდეგში გამოირკვა, მალაქიას ხარისთვის კუდზე ფიჩხი მიუბია, რომ მისი ნავალი წაშლილიყო, მაგრამ გაგონილი გექნებათ: მშვენიერი ხარ, ხოხობო, ბოლო რომ გამოგიჩნდებაო! ასეც მოხდა ამ შემთხვევაშიც: მართალია, ხარის ნავალი აღარ ეტყობოდა, მაგრამ ამ ტყის ფოთოლს ღარივით გასდევდა კვალი და აი, ამით მოგვაგნო მდევარმა! თუმცა ეს როდი იყო მთავარი: აუცილებელი გახდა იქიდან აყრა და წასვლა. ხელახლა გაჩაღდა მუშაობა: ზოგი ხორცს ჭრის; ზოგი ფქვილით ტენავს სამხედრო ზურგჩანთას. მაგრამ, აბა, როგორ უნდა წაგველო თან ამოდენა ფქვილი და ხორცი ასე უცებ! გარდა ამისა, ჯამ-ჭურჭელი, იარაღები, ცული, ხელეჩო, ბირდაბირი და ყურიანი ქვაბი, რომელიც ასე ძალიან გვჭირდება. ახლა შიგ მადისაღმძვრელად ჩაშუშულ ყაურმას აღარ იკითხავთ?! შეჭმაც კი ვეღარ მოვასწარით. თუმცა მალაქია რიღას მალაქია იყო, რომ ეს გემრიელი კერძი იქ დაეტოვებინა: მან ნახევრადცხელი ყაურმა გუდაში მოაქცია და ზურგზე მოიკიდა! ამასობაში რაზმელებმაც მოაგროვეს თავიანთი ბარგი-ბარხანა. ხელსაწყო-იარაღები, ჯამ-ჭურჭელი და ყურიანი ქვაბი დროებით ტყეში გადავმალეთ. ცხენიღა დაგვრჩა მისახედი, მაგრამ მისთვის ვიღას ეცალა: მას იქვე მივანებეთ თავი და წასასვლელადაც მზად ვართ, რომ წამოიჭრა საკითხი: „საით წავიდეთ?“ აქ ქაქუცამ თქვა: „ახლა ჩვენზე დიდი მდევარი წამოვა. გზებს შეგვიკრავენ. სჯობია, ისევ აქვე ახლო გავატაროთ რამდენიმე დღე სიჩუმეში და მერე ვნახოთ. ეგენი აზრზე ვერ მოვლენ, თუ ჩვენ ასე ახლო გავჩერდებით“-ო.

ჩვენ ერთ კილომეტრზე არც კი გადაგვიწევია ამ ბინიდან. ამ ტყეში ვიღაცას მუხის ფიცარი დაემზადებინა საბოჭკედ და რამდენიმე კოშკივით წამოედგა ისე, თითქოდა ჩვენ გველოდებოდაო, ჩვენ ამ საბოჭკე ფიცრებისაგან გავაკეთეთ ქოხები და იქ დავრჩით გატრუნულები თითქმის მთელი კვირა, სოფელში ჩასვლაზეც ავიღეთ ხელი. ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთლად შევჭამეთ, რისი წამოღებაც კი მოვასწარით ჩვენი მშვენიერი ბინიდან. თამბაქოც შემოგვაკლდა, მაგრამ ეს საკითხი მალე მოვაგვარეთ, საქმე ის არის, რომ ჩვენი ბინიდან კარგა მოშორებით ერთ რაჭველ მენახშირეს წა-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ციცკარი № 10,11 (1989). 1, 2, 3, 4, 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწყდით, რომელსაც ნახშირის გამოსაწვავი ქურა ჰქონდა. მას თავის ვირით ყოველ დღე მიჰქონდა ნახშირი თელავში გასაყიდად. აი, სწორედ ამ მენახშირის მეშვეობით მოვიმარაგეთ თამბაქო. სამაგიეროდ საჭმლის საკითხი გაძნელდა. ჩვენს დატოვებულ ბინაზე ხომ აუარებელი ფქვილი და ხორცი დაგვრჩა. და აი, ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ იქიდან გადავწყვიტეთ სანოვაგის წამოღება. ამ მიზნით გამოვეყვეთ თორმეტი კაცი, ორ ჯგუფად გავნაწილდით და მელიას ნაბიჯებით მივუახლოვდით ძველ ნაბინარს. მერე ფრთხილად მივათვალ-მოვათვალიერეთ ყველაფერი და, რახან დავრწმუნდით, რომ ხელი არაფერსა ჰქონდა ნახლები, მაშინვე ცეცხლი დავანთეთ. ბათირა იმ წამს ცომის ზელას შეუდგა ხმიადებისათვის. ზოგმა ხელი მიჰყო ფქვილით ტომრების გატენას. ზოგმა ხორცის ჭრა დაიწყო ყაურმისათვის, ზოგი წასაღებად ამზადებდა ხორცს და ზოგმაც ძებნა დაუწყო ჩვენს ცხენს, რომელიც აგრერიგ გვიყვარდა, მაგრამ ამაოდ: ის ან წაიყვანეს, ანდა მგლებმა შეჭამეს.

ამ ამბავთან დაკავშირებით ზედმეტი როდი იქნება ეს სასაცილო შემთხვევაც მოგიყვეთ: ყოფილა შემთხვევა, რომ მიტოვებულ ბინაზე სანოვაგე დაგვრჩენია ხოლმე. ის კომუნისტებს კი არ მიჰქონდათ, არამედ წამლავდნენ და ისევე ტოვებდნენ მას. აი, ახლა ყაურმაც მზად არის; ცხვირის ნესტოებს გვიღიზიანებს ახალგამომცხვარი ხმიადების სურნელი; ყველა ჩვენგანს კუჭი უხმება შიმშილით, მაგრამ სათითაოდ ყველა ჩვენგანს ეშინია საჭმლისათვის პირის დაკარება, ნამეტნავად ხმიადებისათვის. აშკარად ჩანდა, რომ შეფიცულები ერთმანეთს უცდიდნენ, აბა, რომელი შეჭამს პირველიო, ესე იგი, რომელი მოიწამლება პირველიო. მე საშინლად არ მესიამოვნა ეს გარემოება. ბოლოს და ბოლოს, მოთმინების ფიალა რომ ამევსო, მე მივმართე ძიას: „რას უყურებ, აილე. შეჭამე, ყველაზე უფროსი ხარ. ჯანიც გაგვარდეს, თუ მოიწამლები, ჯეელები რომ მოვიწამლოთ, უფრო ცოდონი არა ვართ“-მეთქი. ძია გადაირია ჩემს სიტყვებზე, როგორ გინდა, რომ მოვიწამლოო! „ჰოდა, რა მოხდება მერე. აი, შეგარცხვინოს ღმერთმა, ასე როგორ გეშინია სიკვდილისა“-თქო, და ამის წარმოთქმისთანავე ხელი დავტაცე ხმიადს, ჩავკბიჩე და კარგა გემრიელად შევექეცი! მიუხედავად იმისა, რომ მაგალითი მივეცი, ყველა შეფიცული გაფიცულივით იჯდა, საჭმელს ხელს არ აკარებდა და ამასობაში გაფაციცებით შემომცქეროდნენ, აბა, რა მოუვაო. მეც კაი ჩიტი გახლდით: იმათთვის რომ ანგელოზები დამეფრთხო, თვალები ისე ყალთაბანდურად ამოვატრიალე, ვითომმდაც მოვიწამლეო, მაგრამ ბოლოს თავი ვეღარ შევიმაგრე და ხარხარი ამიტყდა. ახლა კი ყველა მიხვდა ჩემს ოინბაზობას და ყველაზე წინ ძიამ დაავლო ხელი ხმიადს. მას არც სხვები ჩამორჩნენ და მალე ყველა მათგანი გამალებით ილუკმებოდა ცხელ-ცხელი ხმიადებით.

ეს ხომ განვლილი ამბავია, მაგრამ ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო, და მეც გულწრფელად უნდა ვაღიარო: მე პირველმა იმიტომ დავიწყე ჭამა, რომ დარწმუნებული ვიყავ იქ არავინ არ ყოფილა, და თუ თავდაპირველად თავს ვიკავებდი, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენი რაზმელების, განსაკუთრებით ჩვენი ძიას გამოცდა მინდოდა, სიტყვამ მოიტანა და, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კომუნისტები ჭირივით ერიდებოდნენ ჩვენს ნაბინარს, რადგან ხმა იყო გავარდნილი, ვითომდა ჩვენი ბინის ირგვლივ მუდამ ნაღმები გვქონდა ჩაწყობილი. ამდენად, როცა ჩვენს ბინაში ვინმე უნდა მოსულიყო, ანდა წასულიყო, მალაქიას ევალებოდა მისი მოყვანა თუ გაცილება. ის არათუ მარტო თითონ დახტოდა, წამსვლელ-მომსვლელსაც თავისნაირად ახტუნავებდა: „სადაც მე დავადგამ ფეხს, თქვენც იქ დაადგითო, თორემ შეიძლება ნაღმს შეეხოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უბედურებაც მოხდეს"-ო. ვითომ-და მან იცოდა სად იყო ჩაწყობილი ნაღმები! რა თქმა უნდა, ყოველივე ეს წმინდა წყლის სიცრუე იყო, მაგრამ მფრთხალი მილიციონერებისა და პარტიულებისთვის კი საკმარისი საკენკი გახლდათ, რომ ჩვენს სამფლობელოს თოფის სასროლ მანძილზე არ გაკარებოდნენ ახლოს.

ასე დავკარგეთ მშვენივრად მოწყობილი საზამთრო ბინა მალაქიას გაუფრთხილებელი ენაკვიმატობით. ამის გამო იძულებული გავხდით წამოვშლილიყავით და სადმე მიუდგომელ, მაგარ ადგილზე მოგვეძებნა შესაფერისი საბინაო. ასეთნაირად მივატანეთ კვლავ ცივის მთას, მაგრამ უფრო დასავლეთით, შვიდი თუ რვა კილომეტრის მანძილზე. დროებით, მხოლოდ სამი-ოთხი დღით, ჩვენ ჯერ ერთ ხშირ ტევრში დავბინავდით, რომლის ზევით ტყე აღარ იზრდება. აქ მარტოოდენ იალაღებია და ზაფხულობით საქონლის ანდა ცხვრის ბინებია მიმოფანტული.

●

პირველ ღამესვე, შუაღამისას, როდესაც ყარაულის გარდა ყველას ღრმა ძილით ეძინა, ქაქუცას გამოეღვიძა უცებ. მან მაშინვე მე და ელიზბარი გაგვაღვიძა და გვითხრა: „დააღვიძე ბიჭები"-ო. მიზეზი რომ ვკითხე, თქვა: „ცუდი სიზმარი ვნახე. ვიღაც ქართველმა ქალმა მითხრა, აქედან წაიყვანე რაზმი-"ო. ამაზე მე ვუთხარი: „სამი კაცი რომ გვყავს გაგზავნილი სანოვაგეზე, ისინი ხომ ვეღარ გვიპოვიან, აქედან თუ წავალთ"-თქო. აქ ელიზბარმაც დაუმატა: „რაზმელები ახალდაძინებულები არიან. დე, კიდე ეძინოთ და დილით ადრე გაუთენებლივ წავიდეთ აქედან. გაგზავნილი რაზმელებიც მოვლენ მანამდისინ"-ო. ასეც გადავწყვიტეთ და ყველამ ისევ ძილს მივეცით თავი.

ნაშუაღამევისას, სამი თუ ოთხი საათი იქნებოდა, რომ ქაქუცამ კვლავ გაგვაღვიძა. მას სიზმარში იგივე ქალი დასიზმრებია და უთქვამს წადით აქედანაო. ამის გამო იყო, რომ მან გადაჭრით გვიბრძანა: „დააღვიძეთ ბიჭები. ახლავ უნდა წავიდეთ აქედან"-აო. რაღა გაეწყობოდა, საჩქაროთ დავაღვიძეთ რაზმელები და უკან მოუხედავად გადავინაცვლეთ ბინა დაახლოებით მეოთხედი კილომეტრის მანძილზე.

ცრურწმენები ცრურწმენებად, მაგრამ ხშირ შემთხვევებში ალბათ ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა საფუძვლად, რომ ესოდენ მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს ყოფიერებაში ზოგიერთმა ხალხურმა გამონათქვამმა და მათ შორის ამანაც: „სიზმარი მოციქულია"-ო. ამდენად, იშვიათად როდი ხდება, რომ სიზმარი გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე და ძალაუნებურად განსაზღვრავს მის შემდგომ ნაბიჯებს. ზუსტად ასე მოხდა ამ შემთხვევაში: ცხადად აგვიხდა იმავე ღამეს ქაქუცას სიზმრად ნანახი და, ალბათ, განგებისაგან მხსნელ ანგელოზად მოევლინა ის ქართველი ქალი არაერთ ჩვენგანს...

ახალ გათენებულზე ყარაულმა სიკო ჩოლოყაშვილმა რამდენიმე თოფის ხმა გაიგონა. უმალ სამი რაზმელის ბედმა შეაწუხა ყველა; ვაითუ ისინი წააწყდნენო მდევარს! ამიტომ, ქაქუცამ მე და სერგო მაისურაძე გაგვგზავნა იმის გასაგებად, თუ რა მოხდა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ხომ საჭირო იყო შეგვეტყობინებინა სანოვაგეზე გაგზავნილი შეფიცულებისათვის, რომ ბინა გამოვიცვალეთ და სად ვიმყოფებოდით იმჟამად, რათა ჩვენს ძებნაში მდევარს არ წაწყდომოდნენ, თუ ჯერ კიდევ სამშვიდობოს იყვნენ.

საშინელი ბურუსი იცის ცივ გომბორის მთამ, ნამეტნავად ზაფხულში, უცბათ, თითქოსდა ცამ პირი შეკრაო, სულმთლად ჩამობნელდება, და უცბადვე გამოაშუქებს, რადგან კარგად ვიცოდით ამ მთის ხასიათი, ძალიან ფრთხილად გავუყევით ტყისპირს ჩვენი წინაღამით მიტოვებული ბინისაკენ. სანამ იმ ადგილს მიუვახლოვდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, ვიცოდით, რომ გზად საქონლის სადგომი იყო. ჩვენ გვინდოდა თავდაპირველად იმ სადგომის პატრონი გვენახა, ვინაიდან მას უეჭველად ეცოდინებოდა, თუ რა მოხდა ჩვენს მიერ მიტოვებული ბინის მახლობლად. აი, სწორედ ამისთანა ბურუსში იყო გახვეული მთელი ის არემარე, რომ დაახლოებით ასორმოცდაათი მეტრი თუდა გვაშორებდა იმ საქონლის სადგომს, ჩვენ ტყისპირიდან გვინდოდა ბინასთან მისვლა, მაგრამ შევიცადეთ, ეგებ ბურუსმა გადაიყაროსო. ამასობაში, ათი წუთიც არ გასულა რომ უცბად ბინა გაშუქდა და ხუთი თუ ექვსი კაცი, მილიცია და პარტიულები, შემოერტყნენ მას გარს. ზოგნი შიგ ბინაში შევიდნენ, მაგრამ ეტყობა, რომ მათ პატრონი არ დახვდათ იქ. ამის მერე მათ კიდევ რამდენიმე წუთს იყურყუტეს ირგვლივ და, რაკი დარწმუნდნენ, აქ არავინ არისო, უკან მოუსვეს, ჩვენ შეგვეძლო მათი დაჭერა ანდა დახოცვა, მაგრამ იმჟამად ჩვენი სამი რაზმელის ბედი გვაწუხებდა და ამის გამო არ გვინდოდა საქმის უფრო მეტად გართულება.

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ბინის პატრონი გამოჩნდებოდა. ჩვენ მასთან ახლო ნაცნობობა გვაკავშირებდა და, შეგვნიშნა თუ არა, მაშინვე ფრთხილად ვანიშნეთ, რომ ჩვენთან მოსულიყო, ჩვენ მოახლოვებისთანავე დავუწყეთ მას გამოკითხვა იმის თაობაზე, თუ რა მოხდა წინა ღამით ჩვენ მიერ დატოვებული ბინის მახლობლად. მან იმის მეტი ვერაფერი გვითხრა, რომ იქ პატარა სროლა იყოო. დაწვრილებითი ამბების გასაგებად ჩვენ ის ბინაზე გავგზავნეთ. აი, რა გვიამბო მან დაბრუნებისას: გათენებისხანს ჩვენი ბინისათვის ალყა შემოურტყია დაახლოებით ორმოცდაათსა თუ სამოც კაცს, მაგრამ იქ არავინ უპოვიათ. ეტყობა, მათ მაინც არ გაუტეხიათ იხტიბარი და ჩვენი გამოჩენის მოლოდინში ერთხანს იქვე ჩასაფრებულან. ალბათ, შავმა ბედისწერამ თუ დააბრუნა ჩვენი სამი რაზმელი, შინ სწორედ იმ დროს იქ ჩასაფრებულ მტერთან წასაწყდომად. მილიციას უმალ გაუხსნია ცეცხლი და პირველ გასროლაზევე მოუკლავს ორი მათგანი, ხოლო მესამეს გაქცევა მოუსწრია. ორ მოცელილ რაზმელთაგან ერთი ხმალაძე გამოდგა, მეორე კი — ბაკურაძე. ლადო ოზანელი, რომელმაც თავს გაქცევით უშველა, კვლავ ჩვენ შემოგვიერთდა რამდენიმე დღის შემდეგ.

აი, ეს დამაღონებელი ამბავი მივიტანეთ მე და სერგომ ბინაზე დაბრუნებისას. მეორე დღეს ქაქუცამ ელიზბარი გაგზავნა ოთხი კაცით, რომ იქნებ როგორმე მოეხერხებინათ მათ მოკლული შეფიცულების გამოტანა და დასაფლავება. სამწუხაროდ, ელიზბარმა ვერაფერი მოახერხა, რადგან მოკლული რაზმელები უკვე თელავში წაეღოთ...

●

ჩვენ იმავე დღეს დავიძარით ზემო მხარისაკენ, თიანეთ-დუშეთის მიმართულებით. ძალიან დიდ გაჭირვებაში გავატარეთ მთელი ის ზამთარი. ვეღარსად ვეღარ დავიდეთ ხანგრძლივი ბინა. საშინლად გააძლიერეს მდევარი, მაგრამ თუ კაცს ღმერთი სწყალობს, ეშმაკები რას დააკლებენ! ჰოდა, მიუხედავად სიმრავლისა, ისინი ჩვენ ბუზსაც ვერ გვიფრენდნენ. სიფრთხილე კი, რა თქმა უნდა, ბევრზე ბევრი გვჭირდებოდა. მეტის მეტად შეგვაწუხა ბინების მალ-მალე გამოცვლამაც, ვინაიდან ერთ კვირაზე მეტ ხანს არსად აღარ ვჩერდებოდით.

დადგა ნოემბერი და ჩვენ დუშეთის მხარეს მდებარე ტყეებისკენ გავწიეთ. მანამ აღნიშნულ ალაგას მივიდოდით, ერთ პატარა მინდორზე შევისვენეთ, რადგან იმ ღამეს დიდი მანძილის გამოვლა მოგვიხდა და დაღლილობისაგან მუხლთ გვეკეცებოდა. ქაქუცამ თქვა, ერთი საათი შევისვენოთო, ვინაიდან ის საშიში ადგილი არ იყო და ამონიშნული საფარისგანაც შორს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიყავით. რაკი ბელადმა ნება დართო, რაზმელები მაშინვე აქეთ-იქით მიწვნენ სულის მოსათქმელად. იმდენად გვქონდა გამოლეული არაქათი სათითაოდ ყველა მათგანს, რომ აღარც ყარაულის დაყენება მოგვსვლია ფიქრად. აი, ასე ღვთის ანაბარა ჩაგვძინებია ყველას ალალ-მართალთა მშვიდი ძილით. ამასობაში მოსულა თოვლი, თან ისე ბარაქიანადაც, რომ პირწმინდად დაუფარია მინდორზე წამოწოლილი შეფიცულები. მეც იმდენად ვიყავ დაქანცული რომ თურმე ერთ დიდ ქვაზე დავწოლილვარ და იქვე წავსულვარ ღრმა ძილს, მაგრამ უცებ რაღაცამ შემაწუხა და ტრიალი დავიწყე. ამ წრიალში ისეთი საშინელი ხვრინვა შემომესმა, თითქოდა ღორი ღრუტუნებსო. მხვრინავი ისე უდრტვინველად განისვენებდა ჩემს ახლო, გეგონებოდათ დოშაკში წევსო. აი, ამ ხმააუწყობელმა მუსიკამ გამიფრთხო ტკბილი ძილი და მალე სულ მთლად გამომაფხიზლა. ეს ვაჟბატონი ელიზბარ ვაჩნაძე გამოდგა. მე მაშინვე საათს დავხედე. აღმოჩნდა, რომ ერთი საათის ნაცვლად საათნახევარი გვძინებია. მყისვე გავაღვიძე ელიზბარი და ვუთხარი: „რა, დედაშენმა დოშაკში ჩაგაწვინა, რომ ასე ხვრინავ“-მეთქი. სქელ ფენად გადაპენტილ თოვლის საბანს ისე დაეფარა ყველა რაზმელი, თითქო იქ არავინ წევსო. ჩვენ სასწრაფოდ დავაღვიძეთ სულ ყველანი და დაუყოვნებლივ გავემართეთ ამონიშნული საბინაოსაკენ.

ამ ახალ ბინაზე ჩვენ თითქმის ერთი თვე დავრჩით, გავაკეთეთ რამდენიმე ქოხი. ერთ-ერთი მათგანი მრგვალი და გვარიანად მოზრდილი იყო. შუაგულში ცეცხლი ენთო. იქ ისეთნაირად ვიწექით თხუთმეტიოდე კაცი, რომ ფეხები ყველას ცეცხლისკენ გვქონდა მიშვერილი, ამ ქოხში სწორედ ცეცხლაპირას მოჰყვა ერთი ვეებერთელა, გრძელი ქვა. ჩვენმა ძიამ მაშინვე ის ადგილი ამოირჩია და ისე რიგანად გაიმართა, თითქოდა სავარძელშია მიწოლილიო. სხვათა შორის, ძიას ვერავინ დაასწრებდა საწოლი ადგილის ამორჩევას, მაგრამ განა მართლა ყოველთვის ისეა საქმე, როგორც ერთი ძველებური სიბრძნე ამბობს: როგორაც დაიგებ, ისევე მოისვენებო! არა, ჩემო კეთილნო! მოგეხსენებათ, ზოგჯერ ბრძენიც შეცდებაო და ეს ზუსტად ასე გახლავთ, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია დროსა, ადგილსა და გარემო პირობებზე. ამდენად სიმშვიდე და მყუდრო ყოფაცხოვრება მარტოოდენ შენს კეთილგანწყობილებაზე კი არ ჰკიდია, არამედ შენი მეზობლის ნება-სურვილზე. განა ამას არ გვიდასტურებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთდამოკიდებულების მშფოთვარე ისტორიაც? თუმცა რაღა შორს მივდივართ, დღევანდელი მაგალითი ავიღოთ: დიდმპყრობელმა რუსეთის იმპერიამ უბოდიშოდ ხელჰყო მეზობელი ავღანეთის სუვერენიტეტი, ცეცხლითა და მახვილით უსწორდება მეამბოხე პატრიოტებს, და ამასობაში არწივისებური მზერა აქვს მიპყრობილი მეორე ფრთაზე, რომ ხელსაყრელი მომენტი იხელთოს და ახლა პოლონეთიც მთლიანად მოიმწყვდიოს თავისი რკინის მარწუხებში! მსგავს მოვლენებს აქვს ადგილი, კერძოდ, ადამიანთა შორის ურთიერთობაშიც, როცა ირგვლივ მოჩხუბარიძეები გმეზობლობენ, და ზოგჯერ კი ეს სალაღობო ხასიათს ატარებს, თუკი ბედმა ოინბაზობის მოყვარულთა საზოგადოებაში გარგუნა ცხოვრება და აი:

ერთ ღამეს მიშა ნაცვლიშვილი იყო მორიგედ. ის სცვლიდა ყარაულს და მისივე მოვალეობას შეადგენდა ცეცხლზე შეშის დამატებაც. არ ვიცი რატომ, მაგრამ იმ ღამეს თვალზე რული არ მომეკარა, და ხომ გაგიგონიათ: ცუდა კაცი ღობე-ყორეს ედებოდაო! ასე იყო ჩვენი საქმეც. ჰოდა, მე და მიშამ მოვილაპარაკეთ, რომ ძია გვეწვალებინა!

ძია მთელი სიგრძე-სიგანით იყო გაშოტილი ცეცხლაპირას. ძალზე ძლიერი ცეცხლი ბრიალებდა და, რაღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა უნდა, კაი გვარიანი ნაღვერდალიც იდო. მე, ვითომდა ცეცხლს ვასწორებო, ბრდღვიალა ნაღვერდალს განუწყვეტლივ მის მხარეს ვწევდი. სიცხე რომ აწუხებდა, ძია უკან უკან იწევდა ისე, რომ ერთი წამით არ იტეხდა ძილს. ამასობაში გიზგიზა ცეცხლი ახალ-ახალ ნაკვერცხალს სდებდა და მეც სულ უფრო და უფრო ახლო ვუჩოჩებდი მას გავარვარებულ ღადარს. ასეთ მოუსვენრობაში ძია ხან ერთ მხარეს გადაბრუნდებოდა და ხან მეორეს, ხოლო ქოხის გარეთ კი მე და მიშა ვიჭაჭებოდით სიცილით, თანაც ვფრთხილობდით რომ ძია არ მიგვიხვდესო. ბოლოს მე ჩემს საწოლზე მივწექი, მაგრამ რა დამაძინებდა სიცილის მადაზე მოსულს. ახლა მიშამ დაუწყო ნაღვერდალს მისკენ გამოწევა, საწყალი ძია კინაღამ შეიბრაწა ძლიერი ალისაგან და იმდენად შეწუხდა, რომ გამოეღვიძა და გააფთრებული წამოვარდა ფეხზე. აქ მე თავი ვეღარ შევიკავე და ხმამაღალი სიცილი წამსკდა. ამის გამგონე ძიამ არც აცივა, არც აცხელა, ხელი დაავლო თავის ფარაჯას, ქოხიდან გავარდა და იქ ერთი ხისძირას მიწვა ბუზღუნით: „გინდათ რომ გავიყინო, და აი, გავიყინები"-ო. ახლა კი მან დაგვიფრთხო ანგელოზები და იქით დავუწყეთ ხვეწნა, შინ შემოდიო, რადგან იმ ხანებში ისეთი დიდი ყინვები დაიჭირა, რომ გარეთ ის მართლა გაიყინებოდა. ამ სიცილსა და ხვეწნამუდარაში, რომ შინ შემოსულიყო, ქაქუცასაც გამოეღვიძა და ახლა იმანაც დასჭყივლა: „რა დაგემართა, შედი ქოხში"-ო. მეტი რაღა ჩარა იყო, და ისიც დამორჩილდა. მეორე დღეს ჩვენი ხიმანკლობის მიზეზით იყო ერთი სიცილ-ხუმრობა და, ასე წარმოიდგინეთ, თითონ ძიაც ჩვენთან ერთად ხარხარებდა; მხოლოდ მიშა ნაცვლიშვილი განაგრძობდა თავის მართლებას: „მე ჩემს მოვალეობას ვასრულებდი; ცეცხლს ვუმარჯვებდი, რომ არავის შესცივნოდა; შენ თუ დაგცხა, ჩემი ბრალი ხომ არ არის"-ო...

●

ეს ზამთარი საშინლად მძიმე გამოდგა ჩვენთვის, მაგრამ მაინც გავუძელით, იმ ხანებში ჩვენ ქართლისა და დუშეთის მაზრებშუა მდებარე რაიონების ტყეებში ვტრიალებდით. ერთ დღეს ქაქუცამ მცხეთის რაიონში გაგვგზავნა საქმეზე მე, გაბო ოზიაშვილი და ლელო ჩიქოვანი. ეს იანვრის დამლევს იყო, როცა ძალიან მაგარი ყინვები იდგა. დაყინულები და გვარიანად მომშეულებიც ვიყავით, რომ ჩვენ მცხეთაში იმ შარაგზის ახლოს მივაღწიეთ, სადაც იმ დროს დუქანი იდგა. ის დუქანი ზახარ ზახარიჩს ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დუქნის მახლობლად რევკომი იყო, რომლის ირგვლივაც მუდმივ ტრიალებდნენ მილიციონერები, ჩვენ აინუნშიაც არ ჩავაგდეთ ეს სახიფათო გარემოება და შიგ შესვლა გადავწყვიტეთ წასახემსებლად. გაბომ და ლეომ გამაფრთხილეს, შენ უნდა ელაპარაკო მედუქნეს, რადგან ჩვენ გვიცნობენო. ნამეტნავად კარგა იცნობდნენ გაბოს. ამიტომ ჩამოიწიეს მათ ქუდები ისე, რომ თვალები ძლივსღა უჩანდათ, ჩვენ, ვითომდა მეურმეები ვართო, ხელში სახრეები დავიჭირეთ, იარაღი ფარაჯების ქვეშ ამოვიფარეთ და მობუზულები შევედით დუქანში. მე მისალმებისთანავე მოვითხოვე, რაიმე საჭმელ-სასმელი მოგვიტანეთ-თქო. მედუქნემ თითო ჩაის ჭიქა წითელი ღვინო დაგვისხა და თან რაღაც ამყრალებული ძეხვი დაგვიჭრა, მაშინ, როცა მე თვალი ორაგულისკენ მეჭირა. მაინც, ხომ კარგად მოგეხსენებათ: როცა გშია ბაქარია, მჭადაქვაც კი შაქარიაო! ისე ვიყავით დამშეულები, რომ თვალ და ხელშუა შევჭამეთ ის ძეხვი. ახლა ღვინოს არ იკითხავთ — ისეთი მწახე იყო, კაჭკაჭსაც შეაჩხავლებდა! დახლიდარმა რომ დაინახა, ეს ამყრალებული ძეხვი ხელად გადასანსლესო, ისევ იგივე სისაძაგლის დაჭრა დაიწყო. მე ჯავრი მომივიდა, ხელი ორაგულისა და დედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისაკენ გავიშვირე და ვუთხარი: „მა-იტა, რიგიანი რამე გვაჭამე, რიგიანი ღვინო დაგვალევინე, მუქთად ხომ არა გთხოვ“-თქო. მე ხასიათადა მქონდა, როდესაც ვისმე სახლში შევდიოდი, მა-უზერი წინ, ქამარში მქონდა ხოლმე ჩადებული. და აი, მე რომ ხელი ორა-გულისაკენ გავიშვირე, წამოსხმული ფარაჯა ხელმა ასწია და დახლიდარმა მაუზერს ჰკიდა თვალი. ახლაღა მიხვ-და, ვინც ვიყავით, იქვე ჩვენ ზურგში იდგნენ კიდევ ორნი: ერთი მათგანი თითონ ზახარ ზაზარიჩი გახლდათ. ისი-ნიც მიხვდნენ ჩვენს ვინაობას. დახლი-დარმა დაუძახა: „სადრაფში ბოთლები აწყვია, ამოიტანე“-ო, და ახლა კი ჩვენ მოგვიბრუნდა: „ვა, თქვენი სულის ჭირიმე, რატო წეღანვე არ მითხარით, ვინა ხართ“-ო. იქვე დაგვიჭრა ორაგუ-ლიც, დედალიც და თან მშვენიერი, წითელი ღვინოც ჩამოგვისხა. ჩვენ თან კარგა მადიანად შევექცეოდით და თან ცალი თვალი კარებისკენ გაგვირბოდა, უცბათ ვინმე მილიციონერი არ წამო-გვადგეს თავსაო.

ჭამა-სმა რომ დავამთავრეთ, ანგარი-ში მოვითხოვე: რას ამბობთ, თქვენ როგორ გადაგახდევინებთ ფულსაო! პირაქეთ დაგვიწყეს ხვეწნა: აქ დარჩით, ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ; ამ ყინვაში სად უნდა წახვიდეთო. მაგ-რამ ჩვენ უარზე დავდექით. რაკი და-ნახარჯს არაგზით არ მეუბნებოდნენ, მე ჯომარდად დავაწყე დახლზე ფული, ალბათ ერთი სამად, გამოვემშვიდობეთ და გამოვედით. გარეთ ისეთი მაგარი სუსხი და მწვავე ქარი გვეცა, თითქო დანით გისერავენ სახესაო, იმ ღამეს არაგვს გაღმით უნდა გავსულიყავით, მა-გრამ ბულაჩაურის ხიდი შორს იყო. იქვე ახლოს საცალფეხო ხიდი კი იდო, მა-გრამ ვიცოდით, რომ მას დღე და ღამ ყარაულობდნენ. არაგვშიაც ყინულივით ცივი წყალი მიედინებოდა; და თუნდაც გავსულიყავით ფეხდაფეხ, სად დავშ-რებოდით? ასეთ ულიმღამო ფიქრებში გართულებმა გადავწყვიტეთ ჩუმად მივპარვოდით ყარაულს, დაგვეჭირა, თან წაგვეყვანა და მერე, სამშვიდობოს გასვლისას გაგვეშვა იგი. ვთქვით და ასეც ვაპირებდით. ჩვენ ძალზე ფრთხ-ილად მივიპარეთ ხიდთან, მთვარიანი ღამე იყო. შორიდანაც ჩანდა, იყო თუ არა ვინმე იქვე ახლო-მახლო. კაი ხანს ვათვალიერეთ ის მიდამო და ბე-დად, არავინ გამოჩნდა. ალბათ ყარა-ულსაც ჩვენზე მეტად შესციოდა და შეძვრა სადმე. ამგვარად, ჩვენ არხეი-ნად გავედით ხიდზე და იქიდან პირდა-პირ ზაჰესის მშენებლობაზე მომუშა-ვე მეურმეების ბოსლებისკენ ავიღეთ გეზი, სადაც ისინი არა მარტო საქო-ნელს ინახავდნენ, არამედ თითონაც შიგ ეძინათ.

ჯერ კიდევ ადრე იყო, მათ სადგომს რომ მივადექით, და მეურმეები ისევ ფეხზე იყვნენ. ყველა წამში მიხვდა, ვინც ვიყავით. ისინი ძალიან დიდი პატივით და თავაზიანად შეგვხვდნენ. მაშინვე გვკითხეს, მშივრები ხომ არა ხართო. ჩვენ მათ უარი ვუთხარით, მა-დლობაც მოვახსენეთ გულითადობისა-თვის და მოვიკითხე: ჩონგური თუ გაქვთ-მეთქი, როგორ არაო, მითხრეს და მაშინვე მომირბენინეს. მე საკმარისად კარგად ვუკრავდი, ჩამოვკარი ჩონგურს და თან ჩვენი მიხა ხელაშვილის ლექ-სი დავძახე, რომელიც იმან მაღაროს-კარის ბრძოლაში დასწერა 1922 წლის აგვისტოში. აი, ისიც:

ჯერ კიდევ არის ზაფხული,
არ დათოვლილან მთანია,
ფშავ-ხევსურეთის კლდეებსა
შიგნივა ჰქონდა ფხანია.

უნდა მივიღოთ ამბავი,
დროების მონატანია:
ქაქუცა ჩოლოყაშვილი
მოჰქროლავს, როგორც ქარია.

თან ახლავს ქართვლის შვილები,
თითო ლომისა დარია;
ბინას დასდებენ ფშავშია,
სადაც მაღაროს კარია.

პურის ჭამაზე ნასხდომებს
დაჰხვიეს თოფის ალია;
ჰაგიდი, ჩოლოყაშვილო,
გულად გდებია ტალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა რაზმის უფროსო,
ხარ მარდი კამანდირია.
მკვდარი შეჰყარე მკვდარზედა,
როგორც მთის საბანდარია.

გენიისაკენ წამოხველ,
მკვდრები რომ გადასთვალია,
თან ექვსი პოლკი შემოგყვა,
პულემოტ-ზარბაზანია.

საკვდილზე ნუ დაღონდებით,
ყველა იქ მიმავალია,
იქ დაგვხვდებიან გმირები
სამშობლოსათვის მკვდარია.

მსმენელებს ძალიან მოეწონათ ლექსი, ამ ლექსს პატარა პროპაგანდა მოვაყოლეთ ზედვე კომუნისტებისა და რუსების წინააღმდეგ. მეურმეებს შორის ხუთი თუ ექვსი ახალგაზრდა ბიჭი იყო, რომელთაც სიამოვნებას ჰგვრიდა ჩვენი საუბარი და გულით შემოგვხაროდნენ. იმ ღამეს ჩვენ გათენებამდე დავრჩით მათთან. დღე-ღამის გაყრის ჟამს კი მადლობა გადავუხადეთ მასპინძლობისთავის და იქიდან პირდაპირ წიწამურისაკენ გავწიეთ.

გზაზე გაბომ მითხრა, აქვე ახლოა ის ალაგი, სადაც ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო. მე მაშინვე მოვინდომე იმ ადგილის მონახულება. ახლად გარიჟრაჟებული იყო, როდესაც ჩვენ იქ მივედით, იმ ადგილას დიდი მუხის ჯვარი ყოფილა ჩასობილი. მას ძირი მოლპობოდა და ჯვარი წაქცეული დაგვიხვდა. აბა, ისე უპატრონოდ როგორ მივატოვებდით უღვთოდ. იქავე ხანჯლით გამოვჭერით ხის ბარულები და მათი მეშვეობით ვცადეთ ჯვრის დამპალი ძირის ამოღება, რომელიც ლამის არი ქვად გადაქცეულიყო ყინვისაგან. როგორც იქნა, ჩვენ ის ძირი ამოვთხარეთ და ჯვარი ხელახლა თავის ადგილზე ჩავსვით.

●

1924 წლის გაზაფხულზე დუშეთის ტყეებში ვბინადრობდით, ზევითაც მაქვს ნათქვამი, რომ ხევსურეთის ამბოხების შემდეგ სრულიად დავკარგეთ მიშა ლაშქარაშვილის კვალი. ვერაგზით ველარ გავიგეთ, თუ სად ინახავდა თავს. თუმცა ჩვენ მას პირადად არ ვიცნობდით, მაინც გვაინტერესებდა გვარდიის ყოფილი საველე სასამართლოს თავმჯდომარის ნახვა. ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად შეგვატყობინეს, თუ სად იმყოფებოდა ლაშქარაშვილი და გადმოგვცეს რომ ძალიან უნდა თქვენს რაზმთან შემოერთებაო. რაღა თქმა უნდა, რომ ყველა ძალიან გაგვახარა ამ ამბავმა, ქაქუცამ მე და ბადური გაგვაყოლა მიშას გამოგზავნილ კაცს, რომელმაც მთიულების ერთ სოფელში მიგვიყვანა. მან ჩვენ ერთერთ სახლში მიგვიყვანა, სადაც ერთი დედაკაცის გარდა არავინ იყო. ჩვენმა მომყვანმა დედაკაცს რაღაც წასჩურჩულა. მან მაშინვე მეორე ოთახში გაგვიყვანა. იქ მან კიბე მიუდგა პატარა სხვენის კარებს და იქიდან ჩამობობღდა მიშა. მივესალმეთ ერთმანეთს. საშინელი სანახავი იყო საცოდავი: ტყის კაციო, რომ იტყვიან, იმას მოგაგონებდათ: დაგლეჯილი, დაფლეთილი, თმა და წვერი მოშვებული, ჭუჭყიანი, ერთი ჩაყანგებული მაუზერი ეკიდა, და რომც დასჭირვებოდა, ვერ მოიხმარდა, რაზმი სადღა გყავსო, რომ ვკითხეთ, გვიპასუხა: „სამიოდე კაცი იყო მარტო ჩემთან. დიდი ხანია დამანებეს თავი. ეხლა მხოლოდ ერთი ბიჭიღა შემომრჩა, რომელსაც ვხვდები ხანგამოშვებით. ისიც იმალება, ეს არის კოხტაშვილი“-ო.

ჩვენ იგი რაზმში წავიყვანეთ მაშინვე. ბიჭებმა ცნობისმოყვარეობით დაუწყეს თვალიერება უცნაურ უცნობს. ერთმა რაზმელმა წამჩურჩულა, სად დაიჭირეთ ეგ ბერიო. სამაგიეროდ ქაქუცა მოექცა მას ისე, თითქო დიდი ხნის ნაცნობიაო, თუმცა მან პირველად ნახა მიშა. იგი მას ისე გულთბილად ელაპარაკა კარგა ხანს, რომ ეს მორალურად დაცემული ადამიანი თითქო გამოაცოცხლაო, ეს იყო ქაქუცას დაუფასებელი თვისება: როგორ მშიშარაც არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მოექცეოდა, ისე მოამზადებდა, რომ სულ გადაახალისებდა და დიდ ვაჟკაცად გამოიყვანდა!

მცირე ბაასის შემდეგ ქაქუცამ მალაქიას უბრძანა: „აბა, ერთი მიშა გამილამაზე“-ო. მალაქიამ იგი გაკრიჭა, გაპარსა, თავი დაჰბანა და მიშას ცოტაოდენი ქრისტიანული ფერი დაედო. სადილობისას პატარა სუფრაც გავუმართეთ. სადილშემდეგ მე მითხრა ქაქუცამ: „მიშას ჩოხისა და ახალუხის ზომა აუღე. საღამოზე მოკავშირეები ამოვლენ, მათ გავატან ზომას და ათ დღეში მიშას ჩოხა-ახალუხი ამოუვა“-ო.

ერთი კვირის შემდეგ კოხტაშვილიც მოვიყვანეთ. ჩვენ ამ ბინაზე დიდხანს მოგვიხდა დარჩენა. ბევრი მოკავშირეები მოდიოდნენ იქ ქაქუცასთან მოსალაპარაკებლად. დამკომიდან ხშირად მოგვდიოდა ამბავი და ჩვენც ხშირად ვატყობინებდით საჭირო საქმეების შესახებ. იმ ხანებში ჩვენ გამალებული ვემზადებოდით ამბოხებისთვის და ვცდილობდით, რომ შეფიცულები რიგიანად ყოფილიყვნენ არა მარტო შეიარაღებულნი, არამედ ჩაცმულ-დახურულნიც. ამისათვის ვიშოვეთ საჩოხედ შალები და, ამრიგად, ჩოხებში გვყავდა გამოწყობილი თითქმის ყველა რაზმელი. გაცილებით ძნელი აღმოჩნდა სავაზნეების შოვნა. ამის გამო ჩვენ თვითონ გადავწყვიტეთ მათი შეკერვა. მოვატანინეთ შესაფერისი ტყავები და შევუდექით საქმეს, რათა თითოეულ რაზმელს ჰქონოდა მხრებზე ჯვარედინად გადაკიდებული თითო წყვილი სავაზნე.

სავაზნეების შეკერვა მე და ბადურის დაგვავალეს. მთავარი ოსტატი მე გახლდით, ხოლო ის ქარგალი იყო. დავიწყეთ მუშაობა. ამდენი ხალხის სავაზნეების შეკერვა ხუმრობა საქმე როდი იყო. ყველანი გვეხვეწებოდნენ, არა ჯერ მე შემიკერე და არა მეო.

ერთ დღეს სამი ქართლელი მოკავშირე მოვიდა ქაქუცასთან. ისინი მიშას ნაცნობები იყვნენ, მათთან კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ ქაქუცამ მიშას უთხრა: „ახლა შენ ელაპარაკე შენს მეზობლებს“-ო, ასეთი ჩვეულება ჰქონდა მას: ჯერ პირადად თითონ უნდა მოლაპარაკებოდა ყოველი შეფიცულის ნაცნობს თუ მეგობარს, როგორც მოკავშირეს, და მხოლოდ მერე აძლევდა თვით შეფიცულს მასთან ლაპრაკის საშუალებას.

იმ დღეს მიშა ლაშქარაშვილმა თავის მეზობლები იქ წამოიყვანა, სადაც ქარხანა გვქონდა მე და ბადურის. ისინი ჩვენს მახლობლად დასხდნენ და დაიწყეს საუბარი, მიშა ძალიან აღშფოთებული იყო და ცუდად იხსენიებდა არა მარტო თავის საკუთარ პარტიას, არამედ ჩვენს ყოფილ მთავრობასაც, ჩვენ დაწვრილებით გვესმოდა ყველაფერი და საშინლად არ მოგვწონდა მისი სჯა-ბაასი. მისი ხმა თურმე ქაქუცას ყურამდეც სწვდებოდა და აბრაზებდა მას. ბოლოს, მოთმინების ფიალა რომ აევსო, მე დამიძახა და მითხრა: „გააჩერე როგორმე“-ო. მეც იქვე გავძახე მიშას: „მოდი პატარა ხანს; სავაზნე უნდა გაგასინჯო“-მეთქი. ამ საბაბით ვიხელთე დრო და გადავულაპარაკე: მაგრე ნუ ელაპარაკები მოკავშირეებს. ქაქუცას სწყინს-მეთქი. იმათთან მიბრუნებისას მიშამ სულ შეცვალა საუბრის თემა, ამის მერე აღარც მოკავშირეები გაჩერებულან დიდ ხანს. ქაქუცამ მათი წასვლისთანავე მოიხმო მიშა და უთხრა:

— კაცო, მე ვცდილობ ხალხი შევაკავშირო, შენ კი ისევ სიმძულვარეს სთესავ ერთმანეთში. მთავრობასა და პარტიას რომ ცუდად იხსენიებ, შენც ხომ სოციალ-დემოკრატი ხარ?

— მართალია, მეც იმ პარტიას ვეკუთვნი, — მიუგო მიშამ, — მაგრამ რაც მათ ხანდაკის ხეობაში ჩაიდინეს, იმის შემდეგ ეს პარტია დავგმე. მომზადებული ხალხი დაგვიშალეს ისე, რომ ერთი თოფიც არ გაგვისროლია მაშინ, როდესაც გახურებული ბრძოლა მიმდინარეობდა ხანდაკის ხეობაში..

— ჰო, — დაეთანხმა ქაქუცა, — მაგრამ ეხლა მაგისი დრო არ არის, რომ

ძველი ანგარიშები მოვთხოვოთ ერთმანეთს. ძალიანა გთხოვ, მეორედ ნუღარ გაიმეორებ მაგისთანა ლაპარაკს.

ეს იყო და ეს: ბელადის სიტყვა კანონი იყო შეფიცულთათვის და მას არასოდეს სჭირდებოდა მეტი კამათი, მოკლე ხანში ჩოხა-ახალუხიც მოგვივიდა თბილისიდან და ჩვენ მიშა მაშინვე ძველი თავადივით გამოვაწყეთ მასში.

ამგვარად, მომავალი ამბოხებისათვის მზადების ამგვარ გამალებულ საქმიანობაში წამიერად გაიარა ამ ზაფხულმა. კახეთში, თიანეთის, დუშეთისა და გორის მაზრებში ჩვენ კარგა გვყავდა დარაზმული ხალხი ამბოხებისათვის და მხოლოდღა დროის შეტყობინება იყო საჭირო, რაც დამკომმა იკისრა, ამის გარდა, დამკომის ვალდებულებას შეადგენდა რაზმების ჩამოყალიბება სხვა მხარეებშიც, ვინაიდან ჩვენ არ შეგვეძლო მუშაობა მთელი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ იმიტომ, რომ სიშორის გამო ვერ ვწვდებოდით შორეულ რაიონებს.

1924 წლის გამოსვლები ჩვიდმეტი აგვისტოსთვის იყო დანიშნული. ქაქუცამ გადაწყვიტა, ათიოდე დღით ადრე წასულიყო, რომ იმ ხანებში თბილისის მახლობლად — წყლურეთისა და ნახშირგორის ახლო-მახლო ეტრიალა, რადგან იქიდან ადვილი იყო კავშირის დამყარება დამკომთან. ქაქუცასთან ერთად წავედით მე და ბადურა — ალექსი ფეიქრიშვილი — ვინაიდან სამი კაცის ტრიალი ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო იმ რაიონში. დანარჩენი რაზმი დუშეთის ტყეებში დარჩა. იქვე უნდა მოეყარათ თავი იმ მეამბოხე რაზმებსაც, რომლებიც თბილისზე უნდა წამოსულიყვნენ, როგორც კი შევატყობინებდით, ყველა ეს რაზმი ჩვენთან გაჩნდებოდა დანიშნულ ადგილას. იმჟამად ჩვენი ტრიალი თბილისის მახლობლად კიდევ იმისათვის იყო აუცილებელი, რომ ხშირ-ხშირად გაგვეგზავნა კაცი იმ მიდამოების დასათვალიერებლად და შესასწავლად, სადაც მოთავარი ჩეკა მდებარეობდა, იმხანად ის ყოფილ ქართულ გიმნაზიაში იყო მოთავსებული, იქ გაიზარდა თვით ქაქუცა და იქვე დავიარებოდი მეც ცოტა ხნით, მანამ იმ ახალ შენობაში გადაგვიყვანდნენ, რომელშიც დღევანდელი უნივერსიტეტია. არაერთი საკითხი გვქონდა აქ შესასწავლი. ჯერ ერთი, გვაინტერესებდა, ვინ ცხოვრობდა ჩეკასთან ახლო-მახლო, რომ გაგვერკვია, იქნებ შეიძლებოდა რამდენიმე კაცის სანდო სახლში დამალვა. გვაინტერესებდა აგრეთვე, თუ რა იყო შეცვლილი იმ ქუჩაზე; როდის ხდებოდა ყარაულების შეცვლა; ხოლო ყველაზე მეტად კი ჩვენ ის გვაინტერსებდა, თუ რა ძალა იცავდა ჩეკას. ყოველივე ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის, რადგან როგორც გადაწყვეტილი გვქონდა, ჩეკას სწორედ ჩვენი რაზმი უნდა მისდგომოდა მისანგრევად. ამის გამო იყო, რომ ჩვენ უკვე თბილისის მიდამოებში ვტრიალებდით აგვისტოს პირველ რიცხვებშივე. თავგამოდებით მუშაობდნენ ამ რაიონში ჩვენი მოკავშირეები. გამუდმებით გზაში დაჰქროდნენ ჩვენი აგენტები, მიჰქონდათ და მოჰქონდათ ცხელ-ცხელი ამბები. პირადად მე არცთუ კარგად ვიცნობდი იმ არემარეს და, ამდენად, მიჭირს იმ ადგილის გახსენება, სადაც ქართული ეკლესია იდგა. სამაგიეროდ, არასოდეს არ გახუნდება ჩემს მეხსიერებაში ჩვენს მიერ ამ წმინდა ადგილის მოლოცვა სრულიად შემთხვევით. და აი, როგორ:

ერთ კვირადღეს ჩვენ იმ ეკლესიასთან ჩამოვიარეთ. დაახლოებით დღის თერთმეტი საათი იქნებოდა; ეკლესიიდან რამდენიმე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გამოვიდა. ისინი სიცილ-ხუმრობით გამოსცდნენ ეკლესიის ეზოს და ისე წავიდნენ, რომ ყურადღება არც კი მოგვაქციეს. ეკლესია ისევ ღია იყო და ქაქუცამ თქვა: მოდი შევიდეთ. არც ერთი ჩვენგანი არ იყო ღვთისმგმობელი და უარს რაზე შევუქცევდით. მღვდლის მეტი არავინ იყო შენობაში. მე მასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივედი, ვუთხარი, ვინც ვიყავით, მხოლოდ ის კი დავუმალე, რომ ქაქუცაც ჩვენს შორის იყო, და გავანდე: „სანთლების ანთება გვინდა და შენც დაგვლოცე“-მეთქი. მღვდელი ჩვენ დიდი პატივით მოგვეპყრო და დაგვლოცა. სანთლების ანთების შემდეგ კიდე თხუთმეტიოდე წუთი დავყავით ეკლესიაში, თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ცალი თვალი კარებისკენ გაგვირბოდა, ვინაიდან ეშმაკს თვალი არასოდეს არ უჩანს!

●

ამასობაში ჩვიდმეტი აგვისტოც ახლოვდებოდა, ხოლო დამკომიდან მხოლოდ ცუდი ამბები მოდიოდა. მთავარი მიზეზი გაუთავებელი პარტიული გაწევ-გამოწევა გახლდათ, ზუსტად ისე, როგორც ხევსურეთის ამბოხებისას მოხდა. ეს იყო ქართული საქმის დამღუპველი მუდამ: ჯიბრიანობა და ქიშპობა! ჩვენ, რასაკვირველია, სრულიადაც არ გვიჯდებოდა ჭკუაში ამბოხების დაწყება ამგვარ პირობებში, მაგრამ ცენტრის წინააღმდეგ ხომ ვერ წავიდოდით. აბა, წარმოიდგინეთ, სამხედრო კომისიის რამდენი წევრი დაატუსაღა ამ მოკლე ხანში ჩეკამ. ჯერ იყო და გიორგი ფაღავა დააპატიმრეს 1924 წლის იანვარში. სულ ერთი კვირის თავზე მიაყოლეს მას ლ. ბელთაძეც, რომელიც გიორგის მაგიერ შევიდა სამხედრო კავშირში. მის შემდეგ ეს ადგილი დაიკავა კახიანმა, აპრილში ესეც დაატუსაღეს. ის ჯინორიამ შესცვალა, ამათ გარდა იანვარშივე დაატუსაღეს გიორგი წინამძღვრიშვილიც. რა თქმა უნდა, მთლიანად თუ არა, ჩეკამ ბევრი რამ გაიგო მათგან.

როგორც აღვნიშნე, გამოსვლები ჩვიდმეტ აგვისტოს უნდა დაწყებულიყო, ამისათვის, ორი დღით ადრე ჩვენს ბაზასთან უნდა მოეყარათ თავი მეამბოხეებს. ისინი ჩვენ უნდა შემოგვეერთებოდნენ ნახშირგორისა და წყლურეთის მიდამოებში. ჩვენმა გაგზავნილმა კაცებმა ათეულებად და ოცეულებად დაყოფილი მოიყვანეს დანიშნულ ადგილას როგორც მთელი ჩვენი რაზმი, ასევე მეამბოხეებიც. ელიზბარის მეთაურობით ყოველ ოცეულს ჰყავდა უფროსი. ესენი იყვნენ: მიშა ნაცვლიშვილი, რაფიელ ერისთავი, მიშა ლაშქარაშვილი და სხვები.

აქ კიდევ: ერთი აკლდა რვასაო, დაემატა ცხრასაო! სწორედ ამ დღეებში მოხდა, რომ ჯუღელი დაატუსაღეს და, რა თქმა უნდა, ყველაფერი დააფქვევინეს, ისე რომ, აუცილებელი გახდა ამბოხების გადადება. კიდევ კარგი, რომ ზოგიერთ მეამბოხეთა მოსვლა შევაჩერეთ დროებით, თორემ შეუძლებელი იყო ამოდენა ხალხის მოტრიალება ამ პატარა ტყეებში რამდენიმე ხანს.

ჩვენ არაფერი ვიცოდით იმის შესახებ, — თუ რამდენი ხნით გადასდებდნენ გამოსვლებს. დამკომმა ამ მიზნით გამოგზავნა ს. ზალდასტანიშვილი, მან დაიწყო მოლაპარაკება ქაქუცასთან იმის თაობაზე, თუ როდისთვის გადადებულიყო გამოსვლები. როგორც შემდეგ გამოირკვა, ზალდასტანიშვილს მითითება ჰქონია მიღებული, ისე წარემართა მოლაპარაკება, რომ დაახლოებით აგვისტოს ბოლო რიცხვებში მომხდარიყო გამოსვლები. ქაქუცა ცივ უარზე იდგა იმ საბაბით, რომ ცუდი ადგილების გამო არასგზით არ შეიძლება ამოდენა ხალხის შენახვა თითქმის ორი კვირაო, ამას გარდა, ყოველ მეამბოხეს მხოლოდ სამი დღის საგზალი ჰქონდა წამოღებული სახლიდან, და მერე როგორ უნდა გვეკვება ისინი? ამისათვის, ქაქუცას აზრით, უკეთესი იყო, თუ გამოსვლები ოქტომბრის პირველი ნახევრის შემდეგ შედგებოდა, მაგრამ დამკომის წარმომადგენელი რიღას თავკაცი იყო, თუ თავისას ვერ გაიტანდა! ამგვარად, დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ქაქუცაც დაიყაბულეს, რომ გამოსვლები აგვისტოს ბოლოს მომხდარიყო.

გამოსვლების დღედ ოცდაცხრა აგვისტო დაინიშნა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სულ მთლად შემოგვეფანტა მოგროვილი ხალხი. ზოგნი სახლებში წავიდნენ იმ პირობით, რომ ოცდაშვიდ აგვისტოს დაბრუნდებოდნენ,

და ჩვენკენ ადარც მოუხედიათ. ჩვენ, შეფიცულები, და თვით ქაქუცაც, ვგრძნობდით, რომ ამბოხების ინიციატივამ უკვე დალია ჩაილურის წყალი ამოდენა ხალხის დატუსაღების გამო. როდესაც დამკომმა ევროპაში კაცი გაგზავნა, დაიბარა, რომ ჩხიკვიშვილი და ჯუღელი არასგზით არ წამოვიდნენო. მართლები იყვნენ. როგორც მკითხველი აქ დაინახავს, გამცემლობა მეტნაწილად სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გამოვლინდა. ჯუღელი გახლდათ გვარდიის ბატონ-პატრონი და სწორედ გვარდია იყო გამოტენილი კომუნისტების აგენტებით. კიდეც ამისათვის გასცეს ვ. ჯუღელი. პირადად მეც გვარდიაში ვირიცხებოდი, ოღონდაც ცხენოსანში. ჩვენ საშინლად ვძულდით ფეხოსან გვარდიელებს, რადგან ფეხოსანში მეტწილად ძველი, გამოცდილი ჯარისკაცები, ანტიკომუნისტები იყვნენ. და არცთუ ხელისუფლებას ვეპიტნავებოდით მაინც და მაინც იმის გამო, რომ, როდესაც ტანისამოსის დარიგება ხდებოდა, ცხენოსან ჯარისკაცებს აძლევდნენ ფეხოსანი ჯარის ტანსაცმელს, წითელ ბუშლატებს, რომელიც მათ მუხლამდე სწვდებოდათ; ხოლო ფეხოსან გვარდიელებს კი ცხენოსნები ჯარის ტანისამოსს ურიგებდნენ. ეს იყო ძველი ფარაჯები, რომელთაც დედამიწამდე დაათრევდნენ გვარდიელები. სამაგიეროდ, თუკი სადმე ხელის გამოღება ხდებოდა საჭირო, მაშინვე ჩვენ ნაწილს მომართავდნენ, როგორც გაჭირვების ტალკვესს, ამის საბუთად ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან:

1920 წელს უკვე ჩამქრალი იყო ოსეთის ამბოხება გორის მაზრაში, რომელშიც ჩვენმა ნაწილმა მთავარი მონაწილეობა მიიღო. უცბათ ბრძანება მივიღეთ, რომ საჩქაროდ უნდა წავსულიყავით ბორჩალოს მაზრაში მთელი ცხენოსანი გვარდია, ესე იგი, ორი ასეული და ტყვიამფრქვეველთა გუნდი. დაუყოვნებლივ გავჩნდით რკინიგზის სადგურზე, სადაც უკვე ჩამომდგარი იყო მატარებელი ჩვენთვის: ჩავსხით ცხენები და ჯარისკაცები და ბორჩალოს მაზრისაკენ ავიღეთ კურსი. ერთ-ერთ სადგურზე მატარებლიდან ცხენები გადმოვსხით და წითელი ხიდის მიმართულებით გავეშურეთ. კომუნისტებს უკვე მოესწროთ გადმოსვლა ჩვენს ტერიტორიაზე, მდინარე ხრამის ნაპირზე. მათ შორის ერთი ჯარისკაციც არ იყო ჩვენი მხრიდან, აღსანიშნავია ფაქტი, რომ ამ პერიოდში კომუნისტებს ძალა არ შესწევდათ, თორემ თავისუფლად ამოვიდოდნენ თბილისში.

ამრიგად, ჩვენს ორ ასეულს და ტყვიამფრქვეველთა გუნდს მოგვიხდა დგომა მოწინავე ხაზზე ორი დღეღამის განმავლობაში. უჭმელ-უსმელი ვიყავით ცხენებიც და ჩვენც. საბედნიეროდ, როგორც უკვე აღვნიშნე, კომუნისტებს არავითარი ძალა არ ჰქონდათ, თორემ ადვილად შეეძლოთ მოსდგომოდნენ თბილისს. აბა, ჩვენ, ორი ასეული, როგორ შევძლებდით მათ შეჩერებას. საშინლად შეწუხდნენ უჭმელ-უსმელობით ჯარისკაცები და ცხენები. ამასობაში ფეხოსანი გვარდიის ბატალიონს ველოდებოდით. როგორც იქნა, მოვიდნენ დიდი დაგვიანებით და შეგვცვალეს, ჩვენ მახლობელ სოფლამდე დავიხიეთ უკან დასასვენებლად და ცხენების მოსავლელად. ცოტა ხნის შემდეგ არტილერიაც მოვიდა და იმათაც დაიკავეს სათანადო ადგილები. ამათ გარდა ველოდით კიდევ ჯარს, რადგან ამ დღეებში შეტევაზე უნდა გადავსულიყავით, რომ მტერი გადაგვერეკა ჩვენი ტერიტორიიდან.

ერთ დილას გავიხედეთ და რა დავინახეთ: გვარდია, რომელმაც ჩვენ შეგვცვალა და მოწინავე ხაზი დაიკავა, უკან ბრუნდება! მაშასადამე, მათ არტილერია დასტოვეს პირველ ხაზზე. ისინი ოც-ოდაათ კაციან ჯგუფებად მიდიოდნენ სახლებში. ჩვენ თვალებს არ ვუჯეროდით, თუ რა ხდებოდა. დივიზიის უფროსმა, გოგი ხიმშიაშვილმა, მინდორზე ჯგუფებად მიმდინარე გვარდიელები რომ დაინახა, ორ მწყობრს გვიბრძანა, უკან დაგვებრუნებინა სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში მიმავალი გვარდიელები, რომელთაც მოწინავე ხაზი გააშიშვლეს, ბრძანება — ბრძანებაა! ჩვენც მაშინვე მათრახებით დავერიეთ დეზერტირებს, და, როგორც იქნა, უკან დავაბრუნეთ. ის საცოდავები იმდენად იყვნენ დალაჩრებულნი, რომ თოფები ხელში ეჭირათ და მათრახის დარტყმას კი იტანდნენ. საუბედუროდ, აღარ მახსოვს კარგა, რომელი ბატალიონი იყო.

ალბათ იკითხავთ, რა იყო მიზეზი, რომ გვარდიის ბატალიონმა წინა ხაზი გააშიშვლა. თურმე იმ ღამეს ორი თუ სამი მოქადაგე მისულა მოწინავე ხაზზე. მათ ასეთი პროპაგანდა გაუწევიათ იქ: „ამხანაგებო, ვისთვის ვიკლავთ თავებს? ჩვენი ამხანაგები მოდიან. რაზე უნდა ვებრძოლოთ? მათ ხომ თეთრი პური მოაქვთ ჩვენთვის"-ო. და კიდევ მრავალი სხვა. მერე გავიგეთ, რომ ვითომდა ის აგიტატორები დახვრიტეს, მაგრამ რამდენად მართალია, არაფერი ვიცით. ამისთანა ცნობა ხომ ოფიციალურად უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული? ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. ჩვენი აზრით, ეს ამბავი ისევე მიჩქმალეს, როგორც ყოველთვის, რომ ხალხს არაფერი გაეგო იმის თაობაზე, თუ რა სისაძაგლეები ხდებოდა გვარდიაში. ჩვენი ქვეყნისათვის გვარდია იყო ჭირი, ავადმყოფობა! როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ფეხოსანი გვარდია სავსე იყო კომუნისტების აგენტებით. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საშინელი უდისციპლინობა სუფევდა შიგ, თოფები სახლებში მიჰქონდათ; დაშინებული ჰყავდათ მეზობლები; აბა, ქორწილს ისე როგორ გადაიხდიდნენ, რომ აუცილებლად არ დაეპატიჟათ გვარდიელი, რადგანაც მას თოფი ჰქონდა და, ამგვარად, იმ ქორწილზე ორმოციოდე ვაზნას მაინც დასწვავდა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ქონებას! სოფლებში გაისმოდა თოფების უსაბუთო ტკაცატკუცი, გულს უხეთქავდნენ ბავშვებსაც და დედაკაცებსაც, მაგრამ როგორ გაბედავდა ვინმე მილიციონერი, რომ შენიშვნა მიეცა გვარდიელისათვის!

●

ამასობაში ახლოვდებოდა გამოსვლების დღე, ოცდაცხრა აგვისტო, მაგრამ საქმეს, სამწუხაროდ, მაინც არ უჩანდა სასიკეთო პირი, დღითიდღე არასასიამოვნო ამბები მოდიოდა დამკომიდან, რადგან იქ გამეფებულ არაერთსულოვნებას ისე ამწვავებდა უნდობლობაც, როგორც ცეცხლს — ნავთი, გასაგებია რომ ამგვარმა გარემოებამ საშინლად იმოქმედა თვით ცენტრზე, მეამბოხეთა მორალზე და, განსაკუთრებით კი, შეფიცულთა რაზმზე. ჩვიდმეტი აგვისტოს გამოსვლების ჩაშლამ დიდი ზიანი მიაყენა დამში მოყვანილ საქმეს, ვინაიდან, ვიმეორებ, ჩეკამ ხელში ჩაიგდო ისეთი აქტიური და ენერგიული მებრძოლები, როგორებიც იყვნენ: ნ. ხომერიკი, გ. ფაღავა, ლ. ბელთაძე, კახიანი და სხვები.

რამდენადაც ჩვიდმეტი აგვისტოსათვის შეკრებილ მეამბოხეთა ტრიალი იმ პატარა ტყეებში მეტად სახიფათო იყო ოცდაცხრა აგვისტომდე, ამის გამო მეამბოხეთა სახლებში გაგზავნა მოგვიხდა იმ პირობით, რომ ოცდაშვიდი რიცხვისათვის ბაზაზე დაბრუნდებოდნენ. აი, ამ შუალედში ქაქუცამ ორი ჯგუფი გაგზავნა ქართლისა და დუშეთისკენ. პირველს, მიშა ლაშქარაშვილის მეთაურობით დავალებული ჰქონდა კავთისხევის მილიციის განიარაღება, რაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ვინაიდან წინდაწინვე იყო მოწყობილი ისე, რომ არავინ არ გაუწევდათ წინააღმდეგობას. სრულიად სხვაგვარი დავალება ჰქონდათ დუშეთში გაბო ოზიაშვილს, მალაქია მაისურაძეს და კოხტაშვილს.

ოცდახუთ აგვისტოს ჩვენს რაზმში ი. ჯავახიშვილი ამოვიდა. იგი მხოლოდ ერთ ღამეს დარჩა ჩვენთან და ყველა ჩვენგანის გული მოინადირა გულთბილი მოპყრობით. ოცდაშვიდ აგვისტოს კი დამკომის მთელი შემადგენლობა გამოვიდა ჩვენი რაზმის წინაშე კ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით, პირდა-

პირ უნდა ითქვას, რომ მათმა მოსვლამ ძალიან შეგვიშალა ხელი: სიარული იმათ არ შეეძლოთ და ღამით სიცივით კანკალებდნენ. ერთი სიტყვით, ყველანაირად გვაბრკოლებდნენ. აი, ამისთვის გადაწყვიტა ქაქუცამ, რომ მთელი შემადგენლობა დაგვემალა სადმე, გარდა მთავარსარდალ სპირიდონ ჭავჭავაძისა და შალვა ამირაჯიბისა, რომლებიც ჩვენთან დარჩებოდნენ, როგორც ვთქვით, ისეც მოვიქეცით. ქაქუცამ გადაწყვიტა, რომ ისინი ქვათახევის მონასტერში დაგვემალა. ჩვენ ისინი სასწრაფოდ მივიყვანეთ ამ საიმედო ალაგას, ჩავაბარეთ ბერებს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, კიდევ ორი შეფიცული მივუჩინეთ ყარაულად — შ. ჯავრიშვილი და, ალბათ გახსოვთ, ელჩი — ჩრდილოეთ კავკასიელი ჩეჩენი.

ბევრნაირად შეიცვალა გამოსვლების გეგმა ჩვიდმეტი აგვისტოს გამოსვლების ჩაშლის, განსაკუთრებით ვ. ჯუღელის დატუსაღების შემდეგ. მაგალითად, რაზმმა ხელი აიღო გეგმაზე, რომ მთელი ჩვენი შემადგენლობით დავცემოდით ჩეკას, რადგან სავარაუდოა, რომ ჩვენი გეგმის შესახებ ჩეკას უკვე ბევრი რამ ეცოდინებოდა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, არც საქმე იყო მომზადებული საამისოდ: ვერ გვიშოვეს მაუზერის ვაზნები და ბომბები, რაც ჩვენ ჰაერივით გვჭირდებოდა, ნამეტნავად ჩეკაზე დასაცემად. ამ მხრივ ძალიან სუსტი იყო დამკომი. ისინი ვერაფერს შოულობდნენ. აი, რის გამო გადავწყვიტეთ დავცემოდით მანგლისის სამხედრო სასწავლებელს, სადაც ერთი ბატალიონი ჯარიც იდგა სამას კურსანტთან ერთად.

ოცდაცხრა აგვისტოს დილით ჩვენთან ერთი მოკავშირე მოვარდა და მოგვიტანა თავზარდამსხმელი ამბავი: ჭიათურა გამოსულა ოცდარვა აგვისტოს ღამით, ესე იგი, ოცდაოთხი საათით ადრე! ამ ცნობამ თავზარი დაგვცა, ნებით, თუ უნებლიეთ, ეს იყო ნამდვილი ღალატი, ზურგში ხანჯლის ჩაცემა! იმავე დილით, ესე იგი ოცდაცხრა აგვისტოს, ხელისუფლებამ ხელი მიჰყო შენიშნული პირების დაჭერას და ადგილზევე დახვრეტას მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში. ამისთანა უკუღმართობამ სრულიად დაადამბლავა კახეთის საუკეთესოდ მოწყობილი ორგანიზაციები. მათ ჭიათურამ და ხელისუფლებამ წაჭრა თავები!

რად მოხდა, რომ ჭიათურა მთელი ოცდაოთხი საათით ადრე გამოვიდა და მათი მეოხებით სამშობლოსათვის სრულიად უსარგებლოდ დაიხვრიტა არაერთი პატრიოტი ქართველი? ჩვენი შეხედულებით, ორი რამ იყო მიზეზი, რომელთაც ამისთანა უკუღმართი საქმის ჩადენა აკისრებინეს იმ ჯგუფს, თუ იმ უფროსებს, პირველი: ადვილი შესაძლებელია, იმ ჯგუფში ერია ვინმე მოღალატე, რომელმაც ჩაადენინა მათ ასეთი არასაპატიებელი საქმე, ანდა ჰქონდათ რაღაც სხვა ინტერესი, რომელზეც დაბლა მოგახსენებთ. ყველა მეამბოხემ იცოდა, რომ გამოსვლები ოცდაცხრა აგვისტოს ღამის ორ საათზე უნდა დაწყებულიყო. საკვირველია და არადასაჯერებელი, რომ იმ ჯგუფში, რომელიც ოცდარვა აგვისტოს ღამით გამოვიდა, ერთი კაცი მაინც არ აღმოჩნდა, ვინც მოიგონებდა: გამოსვლები ოცდაცხრაში იწყება მთელი საქართველოს მასშტაბით, და არა ოცდარვაში! პარიზში ხშირად შევსწრებივარ ამ თემაზე კამათს ქართველებს შორის. სრული გარკვეულობისათვის უნდა ითქვას, რომ ჭიათურის გამოსვლები სოციალ-დემოკრატების მეთაურობით იყო მოწყობილი, მაგრამ სწორედ ისინი თვლიან ამ გამოსვლებს შეცდომად და ამით გვაფარებენ ჩვენ თვალებზე ხელს.

●

ჭიათურის გამოსვლების შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ გამოსვლები წაგებული იყო, მაგრამ მაინც გადავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვიტეთ მანგლისზე დაცემა. ოცდაცხრა აგვისტოს შუაღამისას მივუახლოვდით კურსანტების ყაზარმებს. სულ სამოცდაათი კაცი ვიყავით, რადგან შეამბოხეთაგან ძალიან ცოტა დაბრუნდნენ ჩვენთან. გარდა ამისა, მანგლისის რაიონი სრულიად არ შემოგვიერთდა. და აი, ამ მცირე ძალებით მივადექით საბრძოლველად ბატალიონს, კურსანტებზე რომ არა ვთქვათ რა, ქაქუცამ ექვსი კაცი გამომიყო და იმის დავალებით უნდა დამეტუსაღებინა როგორც ბატალიონის უფროსი, ასევე კურსანტების მეთაური, რომლებიც ერთსადაიმავე სახლში ცხოვრობდნენ. ეს ისე მოხერხებულად უნდა გაგვეკეთებინა, რომ, თუ აუცილებელი არ იქნებოდა სროლა არ უნდა მომხდარიყო. მე მანგლისში პირველად ვიყავი, ისიც ღამით, და ამიტომ ქაქუცამ თან გამაყოლა ადგილობრივი მკვიდრი დიაკვანი, რომელმაც კარგად იცოდა, თუ სად ცხოვრობდნენ კურსანტების მეთაური და ბატალიონის უფროსი.

ასეთი იყო ჩვენი მოქმედების გეგმა: ჩვენ შვიდეულს უნდა დაგვეწყო საქმე მეთაურების დატუსაღებით, ან დახოცვით, ხოლო რაზმი ამის შემდეგ დაეცემოდა ყაზარმებს.

საშინლად ბნელოდა, რომ დავიძარით. წინ დიაკვანი მიგვიძღოდა. მე ერთ ალაგას შევჩერდი და თან დაწვრილებით გამოვკითხე ღვთისმსახურს იმ ხალხის ადგილმდებარეობა. მხოლოდ ამის შემდეგ მივეცი სათანადო დარიგება ყველას, რადგან შეამბოხეები გამოცდილნი არ იყვნენ ამისთანა საქმეებში, შეფიცულთაგან მარტო ბადური მახლდა, და აი, სანამ მე შეამბოხეებს სათანადო დარიგებას მივცემდი, ჩვენი ყულაოზი დიაკვანი ჩაგვეყლაპა! მაშინვე ვეცით, ჰაი, აქეთ, ჰაი, იქით! მაგრამ ცამ უყო პირი, თუ დედამიწამ, იმის ჩრდილიც ველარსად დავლანდეთ; თუმცა, რა დიდი ბედენა იყო გაპარვა ამისთანა კუნაპეტ ღამეში! აშკარა იყო, რომ დიაკვანმა გვიღალატა, ანდა შეეშინდა. ჯერ ისევ იმის ძებნაში ვიყავით გართულნი, რომ ქაქუცას გამოგზავნილი კაცი დამეწია ბრძანებით, უკან დაბრუნდითო. დაბრუნებისას, რომ ვუამბე, რაც მოხდა, ქაქუცამ მითხრა „ჰოდა, თავი დაანებე მაგ საქმეს. აქ ცოტანი ვართ და, ამიტომ, არ ღირს რომ დავიფანტოთ“-ო.

ქაქუცამ მე დამნიშნა მარჯვენა ფრთაზე და მომცა თხუთმეტი კაცი, ბორჩალოელ თათართა გუნდი. მარცხენა ფრთაზე ელიზბარი გაგზავნა ოცი კაცით. ჩვენ შუა გარკვეულ მანძილზე განალაგა მიშა ნაცვლიშვილი და რაფო ერისთავი, ორივე მათგანი რამდენიმე კაცით. აი, ასე განაწილდა ის სამოცდაათი კაცი. ჩვენ ფრთხილად მივუახლოვდით ყაზარმას. სროლა მაშინ უნდა დაწყებულიყო, როდესაც ჩვენი შეფიცული ყაზარმაში ბომბს შეაგდებდა ფანჯრიდან, მაგრამ, რა ჰქნას კარგმა მონარდემა. დროზე შაში თუ არ მოვა?! საუბედუროდ, ბომბი არ გასკდა, ხოლო მეტი არ გვქონდა! ატყდა საშინელი ბათქა-ბუთქი. ამასობაში სულ ახლო მივედით ყაზარმასთან, რომელიც თავისი ვეებერთელა ფანჯრებით დაბლობში იყო ჩამჯდარი ჩვენდა მოსახერხებლად. ამგვარად, პირდაპირ დავუშინეთ საწოლებზე არხეინად წამოგორებულ კურსანტებს. ეს ნამდვილად რომ მეხის გავარდნას გავდა მოწმენდილ ცაზე, რის გამოც ისინი დაიბნენ თავდაპირველად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეორე სართულზეც ისინი ყოფილან მოთავსებული. აბა, ჩვენ რა ვიცოდით. აი, ამგვარად, რადგან არავინ ესროდათ, იმათ ისარგებლეს ამ ხელსაყრელი გარემოებით და აუშვეს რაკეტა, რომელმაც დღესავით გაანათა ყაზარმების გარშემო მდებარე მიდამოები. რაღა თქმა უნდა, რომ მათ თვალწინ პანორამასავით გადაიშალა მთელი გარემო, რომელზედაც სარკესავით იყო არეკლილი საიერიშოდ განლაგებული შეფიცულთა რაზმი. კურსანტებმა მაშინვე ტყვიამფრქვევი გამოდგეს ერთი ფანჯრიდან, რომ საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ.

მაგრამ არ დასცალდათ: მათ მარცხნიდან კედელზე აკრული წამოეპარა ელიზბარი, რომ იქნება ხელი ვტაცო და ტყვიამფრქვევი გადმოვითრიოვო. მაგრამ ვერც ელიზბარმა შესძლო განზრახვის მოყვანა სისრულეში, ვინაიდან მათ გაუგეს. სამაგიეროდ, ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვკალით ტყვიამფრქვევის პირველი ნომერი, რადგან ჩვენს მხრივ ბევრნი ვესვროდით. ამიტომ ჩაჩუმდა ის ერთ წამს, ხოლო მერე კი კვლავ აკაკანდა, ოღონდ სხვა ალაგას, სულ ოცდახუთ თუ ოცდაათ მეტრზე ვიყავით მისული, რომ სროლა გართულდა, ვესვროდით ფეხზე დგომელა. აქ ერთ საგანგებო შემთხვევას ჰქონდა ადგილი და ურიგო როდი იქნებოდა, რომ მასაც შევეხოთ, მით უმეტეს, რომ ეს იყო ნაღდი სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი.

მეორე სართულზე მყოფმა კურსანტებმა რომ რაკეტა აუშვეს, ჩემი თათრები დამფრთხალან და უკან მიწყდომიან. მათ ჰგონებიათ, ვითომ ჩვენც უკან დავიხიეთ და ამიტომ არც უფიქრიათ სროლის შეწყვეტა. უცბათ შევნიშნეთ, რომ ტყვია ზურგიდან მოდიოდა. ამან გვაფიქრებინა, ალბათ რუსებმა დაგვიარესო. ბოლოს, მიუხედავად სიბნელისა, მე მაინც გავარჩიე, რომ ჩემი თათრები აღარ იყვნენ ხაზზე. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ისინი ისვროდნენ ზურგიდან. გასაოცარია, როგორ არ დაგვხოცეს, რადგან ჩვენ, სამი კაცი, მათ წინ ვიყავით ყაზარმასთან ახლოს და სროლა გვქონდა გაჩაღებული. ასე რომ, ჭეშმარიტად ბრძანებს შოთა: უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდებისო!

მთელი ეს სროლა ნახევარ საათს გაგრძელდა. ამაზე მეტხანს ჩვენ აღარ შეგვეძლო იქ დგომა, ვინაიდან რუსებს დიდი ძალა ჰყავდათ მანგლისში. ამასაც რომ დავანებოთ თავი, ისინი უკვე წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული და, ამდენად, აშკარა საფრთხე გველოდა მომზადებული მოწინააღმდეგისაგან. ამ ბრძოლაში ჩვენ მხოლოდ ერთი კაცი დაგვეჭრა, რომელიც თან წავიყვანეთ. რაც შეეხება კურსანტებს. მათგან ბევრი ჩაიხოცა, მაგრამ მათ მკვდრები დახურული საბარგულებით მიჰქონდათ ისე, რომ ხმა დაარხიეს, ვითომ ეს ჩვენს მიერ განცდილი ზარალი იყო. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით ვინ გაგვცა, არც გვიფიქრია მისთვის ანგარიშის გასწორება მაშინვე. ეს იყო ერთი პატარა სოფლის კომისარი, რომელიც არავითარ ძალას არ წარმოადგენდა. ამდენად, მისი მოკვლა, ნამეტნავად მანგლისზე დაცემის წინ, არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანდა და ამიტომაც არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად მისი სოფლის თავშესაფარზე დაცემა: ეს ხომ მთელ მანგლისს შესძრავდა! მაგრამ ორგულსა და მოღალატეს მაინც დროულად მიეზღო დამსახურებული საზღაური: თავშესაფრის კომისარი გოლა პავლიაშვილის ტყვიის წერა გახდა, ხოლო მისი მილიციონერები კი ჩვეული გზით გაიქცნენ საკუთარი ტყავის გადასარჩენად.

●

მანგლისზე დაცემის შემდეგ ჩვენ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გავედით და დუშეთისკენ გავემართეთ დიდმნიშვნელოვან საქმეზე: პატიმართა გასათავისუფლებლად! იქ გაბო ოზიაშვილმა თავის ხუთი თითივით იცოდა დუშეთის ციხის ყოველი კუთხე-კუნჭული, ამიტომ დავიკავეთ მისი მითითებით მაგარი ადგილები; სულ ადვილად მოვხსენით ყარაული; გავაღებინეთ სატუსაღოს კარები და გარეთ გამოვუშვით მთელი ტუსაღები, რომელთაგანაც არაერთი იყო განწირული დასახვრეტად. მაგალითად, ეს სასჯელი არ ასცდებოდათ მერაბ ჯორჯაძეს და შალიკო ნებიერიძეს, რომლებმაც ჩვენს რაზმში მოინდომეს შემოსვლა, რა თქმა უნდა, ქაქუცამ უყოყმანოდ დააკმაყოფილა მათი თხოვნა, ხოლო დანარჩენებს კი უთხრა: „როგორც გინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ, საითაც გინდათ, იქით წადით"-ო. მიუხედავად ქაქუცას ამგვარი პასუხისა, შემდგომში ზოგიერთმა მათგანმა მაინც მიიღო მონაწილეობა ამბოხებაში.

დავუბრუნდეთ ისევ მეციხოვნეებს: ოდნავ გონზე მოვიდნენ თუ არა, ციხის დამცველებმა უმალ ტყვიამფრქვევი გადმოდგეს. ამ ორომტრიალში სწორედ ოხიაშვილი მოემწყვდა სახიფათო ალაგას, მაგრამ იმ სანახების ცოდნა გამოადგა: იგი ტრიალ-ტრიალით გამოვიდა სამშვიდობოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ტყვიამ მხოლოდ თოფის გოთურგა გაუხვრიტა ორ-სამ ადგილას.

რახან ვიგრძენით, რომ ამდენი გაცემების გამო გამოსვლების საქმე მთლიანად წასული იყო ხელიდან, ამისათვის, მსგავსად კელა ნაჯაში მომწყვდეულ დათვისა, რომელიც არაფერს არ ერიდება, სადაც კი დავეცით, ტყავი გავაძრეთ კომუნისტებს.

იმ ხანებში ქაქუცამ დუშეთის რაიონში საქმეზე გაგზავნა ერთი სამეული — მიშა ნაცვლიშვილი, ქიმბარი და კურდღელა. მათი ადგილსამყოფელი ჩვენს მოკავშირეს უნდა სცოდნოდა, ხოლო თავის დროზე ჩვენ უნდა შეგვეტყობინებინა მათთვის, თუ სად ვიქნებოდით. სწორედ მაშინ მოგვივიდა ამბავი, რომ თიანეთის მაზრის სოფელ სვიმონიანთხევში ცხენოსანი ჯარია დაბანაკებულიო. გადავწყვიტეთ, აუცილებლად დავცემოდით. ამხანად ჩვენ მხოლოდ ფეხოსანთა რაზმი როდილა ვიყავით. ჩვენ უკვე გვყავდა ცხენოსანთა ერთი მწყობრი, რომელიც მე ჩამაბარა ქაქუცამ. ამ მწყობრში შედიოდა სულ თხუთმეტი კაცი — რამდენიმე ბორჩალოელი თათარი, ორი მეამბოხე და ბათირა, რადგან ის ფეხში იყო დაჭრილი და სიარული არ შეეძლო.

სვიმონიანთხევი ვაკე ადგილას მდებარეობს. ამ დიდ სოფელს მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდან უძევს მაღალი გორა, აღმოსავლეთით მას ხევი ჩამოუდის პატარა მდინარით. შუაღამისას მივუახლოვდით ამ სოფელს. იქ ქაქუცამ სამ ნაწილად გაჰყო რაზმი. ჩემი მწყობრით მან მე სამხრეთით გამგზავნა, რომ იქით არავინ გაქცეულიყო. მე იმ ხევამდე უნდა მივსულიყავ, რომელიც აღმოსავლეთით ჩამოუდის ამ სოფელს. ერთი ნაწილი, რომელშიც თვით ქაქუცა შედიოდა, იმ გორაკის დასაკავებლად წავიდა, რომ თუ ვინიცობაა, გაგვიჭირდებოდა იქიდან კარგად დაინახავდნენ და ადვილად დაგვეხმარებოდნენ. მესამე, და უფრო დიდი რაზმი, დასავლეთიდან შევიდა შიგ სოფელში ელიზბარის მეთაურობით. ჩემი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ფრთხილად გავსულიყავ იმ ხევამდე, სანამდე ელიზბარის ჯგუფი მოადგებოდა დაბანაკებული ჯარის ალაგს.

საშინლად ბნელი ღამე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მე მძიმედ მივაბიჯებდი, მაინც წავაწყდი იმათ ყარაულს, რომელმაც მაშინვე ასტეხა ყვირილი: „ვინა ხართ?"-ო. მე მას ხმა არ გავეცი, მოვაბრუნე ჩემი მწყობრი და საკმაოდ მოშორებით გავიწიე უკან. მაგრამ იქ ხომ არ მოვყვებოდით ადგილის ტკეპნას, ამიტომ, რაზმი ცხენებიდან ჩამოვსხი, ცხენებთან ბათირა და კიდევ ორი სხვა დავტოვეთ და ჩვენ კი ფეხით წავიწიეთ წინ. ეტყობა, რომ ყარაულის მახვილ სმენას, თუ გუმანს, რაღაცნაირად მაინც წვდებოდა ჩვენი უხმაურო მოძრაობა და ბევრიც იყვირა: „ვინა ხარ"-თო, მაგრამ რაკი პასუხი არავისგან მიიღო, თოფი გაისროლა. ამასობაში მე მაინც ვჩქარობდი, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიმეღწია იმ ხევამდე. ცოტა ხნის შემდეგ ელიზბარის ჯგუფმაც მოაღწია იმ ჯარის სადგომს და ატყდა გაცხარებული სროლა. ჩვენ მაშინვე წინ წავიწიეთ და გზები შევკარით. მალე გარიჟრაჟმაც მოატანა და ჩვენ ნათლად ვხედავდით, თუ როგორ გამორბოდნენ ისინი სოფლიდან და თავქუდმოგლეჯილნი მიბრაგუნებდნენ სამხრეთით. სადაც მათ თავიანთი ძალა ეგულებო-

დათ. ვინც კი მოასწრო, ამ ხევში ჩახტომით უშველა თავს, მანამ დღის ნათელი მოეფინებოდა დედამიწას, და რაკი გათენდა, დანარჩენთაგან ზოგი ჩვენ ჩაგვივარდა ხელში, და ზოგი დაიხოცა.

ამ სოფელში აღმოჩნდა საკმაოდ დიდი ძალა: ასსამოცი კაცი, რომელთა უმეტეს ნაწილს მილიციონერები და პარტიულები შეადგენდნენ რეგულარული ცხენოსანი ჯარის ორ მწყობრთან ერთად. ერთერთი მათგანის ოფიცერი, ეროვნებით ბერძენი, ყელში დაიჭრა, ხოლო მეორე მწყობრის ოფიცერმა კი გაქცევით უშველა თავს, გარდა ამისა, ტყვედ ჩაგვივარდა ორი მილიციონერი, რომლებიც მაშინვე გავანთავისუფლეთ. ამ ბრძოლას უამრავმა პარტიულმა და ჯარისკაცმა დააღწია თავი მთელმა და უვნებელმა, და აი, რისი წყალობით: თუ ამაში მათ ერთი მხრივ ღამის წყვდიადმა და იმ ხევმა შეუწყო ხელი, მეორე მხრივ ჩვენც დავუშვით პატარა შეცდომა იმით, რომ ერთი საათის მოგვიანებით უნდა გადავსულიყავით შეტევაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოესალმებოდა ბევრი მათგანი ამ წუთისოფელს, და ბევრიც ტყვედ ჩაგვივარდებოდა...

გახარებული გამოიშალა ამ სოფლის მოსახლეობა. ყველა აღფრთოვანებული იყო ჩვენი გამარჯვებით, ჩემი თათრებით მეც შევედი სოფელში, ხოლო ამასობაში კი ქაქუცა იდგა რაზმის ერთი ნაწილით სოფლის თავში მაღლობზე და იქიდან ადევნებდა თვალ-ყურს, რომ მტერი არ წამოსულიყო ჩვენზე. მე მოსახლეებს დაუყოვნებლივ ის ვკითხე, თუ სად იყო კოოპერატივი, რასაკვირველია, გახარებულებმა მიმიყვანეს იმ ადგილას. კარი დაკეტილი დაგვხვდა, მაგრამ იქავე გავტეხე კლიტე და შევედი. ნადავლის მოლოდინში ხალხიც შეგროვდა კარებთან, მთელი კოოპერატივი გამოტენილი იყო საქონლით. მე ამ სიტყვებით მივმართე საზოგადოებას: „წაიღეთ სულ ყველაფერი თამბაქოსა და პაპიროსების გარდა“-მეთქი. ამის თქმა ძლივს მოვასწარი, რომ ხალხი ბუზი-ფუტკარივით შეესია კოოპერატივს და ხელი მიჰყო საქონლის ზიდვას სახლში. მე, როგორც გულუხვი ამქარი, ვიდექი დახლთან და ვუყრიდივე იქიდან სხვადასხვა სახის საგანთა შეკრულებს: მაკრატლებს, დანებს და სხვა საოჯახო ნივთებს. უცბად მაკრატლების ერთი ამისთანა შეკვრა ერთ დედაკაცს მოხვდა და საწყალს კინაღამ თავი გავუტეხე. გაცილებით უფრო რთული შეიქნა ფართლეულის განაწილება. სათითაოდ ყველა მათგანს ჩითების მთელი თოფის წაღება უნდოდა, მაგრამ, აბა, სად იყო იმდენი, რომ ყველას გაწვდომოდა. ამისათვის მივმართე ამისთანა ხერხს: გავისვრიდი მთელ თოფს; ჩითი რომ გაიშლებოდა, ყველა ხელს ავლებდა და ფართალს თავისკენ ეწეოდა. მეც, ამ რჩევისამებრ

ვისაც რაც რომ ბედმა მისცა,
დასჯერდეს და მას უბნობდეს!

წამოუვლიდი ხანჯლით და ვუჭრიდი, ვისაც რა ეჭირა ხელში. ერთი საათის განმავლობაში ხალხმა პირწმინდად დააცარიელა ის უზარმაზარი კოოპერატივი. გაჰქონდათ ფუთიანზე მძიმე ქვამარილიც კი. მე თამბაქოს და პაპიროსის გროვები ჩვენს ძია ვანოს, მიშა ლაშქარაშვილის ცოლის ძმას ჩავაბარე. მან ორი ტომარა გაავსო და სამგზავროდ წასაღებად ამზადებდა, ხოლო ხალხი გვლოცავდა ამასობაში: „ღმერთმა შეგარჩინოთ მარჯვენა“-ო. რა იცოდნენ საწყლებმა, თუ ჩვენი გამოსვლების წყალი გადაწურული იყო და ჩვენ მალე იძულებით უნდა გავდგომოდით საზღვარგარეთის ბილიკებს...

ასეთ ულიმღამო ფიქრებში თვალსა და ხელშუა გავასაღე მთელი საქონელი. დაცარიელებულ კოოპერატივში მხოლოდ ქვამარილიღა დარჩა დიდი რაოდენობით და კიდევ რამდენიმე ყაფაზი, სავსე ჭიქებით და ჭურჭლით, რომელსაც ხალხი თითსაც არ აკარებდა. რადგან მათ არ მიჰქონდათ, მეც მოლა ნასრედინისავით მივადექი ჭიქებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოვუსვი კარაბინის კონდახი და ერთიანად ჩავამტვრიე.

ამ ოპერაციისას მარტოოდენ კოოპერატივი კი არ დაგვრჩა დავლად: ღვთის წყალობით შემოგვრჩა გრძელგაბმულ თოკზე დაბმული ას სამოცი ცხენი უნაგირებიანად. ამით გავიგეთ, თუ რამდენი კაცი ყოფილა სვიმონიანთხევში. მე ის ის იყო დავამთავრე მუქთი ვაჭრობა, რომ ერთი რაზმელი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ქაქუცამ გვიბრძანა, ცხენები დაარჩიეთ"-ო. მაშინვე გამოვედი კოოპერატივიდან და ცხენებისკენ გავწიე. შეფიცულებს თუმცაღა დაერჩიათ ცხენები, მაგრამ მათ შორის ბევრი როდი დაიკვეხავდა ამ საქმის მცოდნის სახელს. მე მისვლისთანავე ჩამოვუარე ცხენებს. მათში ერთი ჩერქეზული ჯიშის ფეხმარდი მომივიდა თვალში, რომელსაც შავი, პატარა ნიშანი ჰქონდა შუბლზე. მე ის გამოვიყვანე და გულდასმით გავსინჯე. რახან ვნახე რომ მშვენიერი ბედაური იყო, არჩევანიც მასზე შევაჩერე, ახლა უნაგირებს მივდექი და საუკეთესოთა შორის მართლაც საუკეთესო ამოვირჩიე. საკუთარ თავზე ზრუნვა რომ მოვათავე, ახლა რაზმელებს მივხედე, რომელთაც, როგორც მოგახსენეთ, არაფერი გაეგებოდათ ამ საქონლისა. ამოდენა ბედაურებში მათ თვალები აჭრელებოდათ და ალალბედზე შეერჩიათ კარგი ცხენები ისე, რომ მე ზოგიერთს იქვე გამოვაცვლევინე თავის არჩეული. არც ქაქუცა დავიწყებოდათ შეფიცულებს და იმისთვისაც აერჩიათ ჩინებული ბედაური. ამრიგად, შეფიცულთა ფეხოსანი რაზმი თითქოსდა ჯადოსნურმა კვერთხმა ერთი შეხებით აქცია ცხენოსანთა გვარდიად. ჩვენ თითქმის საღამომდის დავრჩით იმ სოფელში და მზის გადახრის ჟამსღა დავიძარით კმაყოფილნი, რადგან ხალხმა დიდი სიყვარულით და ლოცვა-კურთხევით გამოგვისტუმრა.

ჩვენ წინასწარ გვქონდა გადაწყვეტილი, რომ თუ ამ ამბოხებასაც წავაგებდით, საზღვარგარეთ უნდა წავსულიყავით, უბრალოდ, ველარ გავუძელით ხალხის საცოდაობას. რომ უთქვიათ: ალიას ვალს ველიას აზღევევინებენო, სწორედ იმათზე იყო ზედგამოჭრილი! ხელისუფლება ჩვენ კი ვერაფერს გვაკლებდა, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს ჯავრს ხალხზე იყრიდა ხოლმე და განურჩევლად ტყავს აძრობდა დამნაშავესა თუ უდანაშაულოს.

თიანეთის მაზრიდან თელავის მაზრაში გადავინაცვლეთ. როგორც კი ბინა ხევგრძელის ტყეებში დავიდეთ, ჯერ მე და გაბო ოზიაშვილი წავედით ჩვენი სადგომის ირგვლივ მიდამოების დასათვალიერებლად, რადგან ხომ უნდა გვცოდნოდა, თუ რა სიმაგრე, ანდა რანაირი მდებარეობა ჰქონდა მას. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ამ დროს ჩვენ ყოველი მხრიდან დაგვდევდა დიდი მდევარი. აი, ამ დაზვერვისას წავაწყდით ერთ ოსს. იმ მხარეში არის ოსების ერთი სოფელი და ისიც იქიდან იყო. საერთოდ, თუმცა არასასიამოვნო სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ ოსების უმრავლესობა ჯაშუშები არიან ბუნებით და, ხომ გაგიგონიათ: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია; მგელი არ მოიშლის მგლობასაო! ასეთები იყვნენ ისინი ხელმწიფის დროს; ასეთებად დარჩნენ ჩვენი დამოუკიდებლობის წლებშიც და, როდესაც კომუნისტები შემოვიდნენ საქართველოში, ისედაც წითლები, სულ მთლად გაწითლდნენ. ამასთან ერთად უნდა დავძინო, რომ ამბოხების დღეებში ტყეში საზოგადოდ არავინ დაიარებოდა; ამიტომაც დაგვაეჭვა ამ გარემოებამ წამიერად. განსაკუთრებით დამაეჭვებელი იყოს ის, რომ ამ ოსს ხელში პატარა ცული ეჭირა, ვითომდაც რაღაცის მოსაჭრელად იყო წამოსული. სინამდვილეში იგი ჯაშუში გახლდათ, და ამავე მიზანს მოეყვანა ის აქ ახლაც.

ჩვენ ეს ოსი უმალ ბინაზე წავიყვანეთ და ქაქუცას წარვუდგინეთ ამ ბრა-

ლდებით: „ეს ნამდვილი ჯაშუშია და უნდა დავხვრიტოთ“-თქო, ქაქუცას არ ესიამოვნა ჩვენი აზრი და გვიპასუხა: „არა, დავარიგოთ, არაფერს არ იტყვის“-ო. მიუხედავად იმისა, რომ მე და გაბო დაჟინებით ვუმეორებდით: „ეს ჯაშუშია და უნდა დავხვრიტოთ“-თქო, ქაქუცა ანდამანტად იქცა! ბოლოს, ბევრი კამათისა და მტკიცების შედეგად, მან უკმაყოფილოდ მოგვახალა: „წადით, თავში ქვა იხალეთ, რაც გინდათ, ის უყავით“-ო. მისმა ამგვარმა მკვახე პასუხმა ორივეს დაგვაყრევინა ფარ-ხმალი და ჩვენ ის ოსი გავუშვით, მაგრამ ცოტა გაწყდა, რომ ამ ხათრიანობას და უფროსისადმი მორჩილებას თავიც არ წავაღეთ ზედ.

სულ სამიოდე საათს არ გაუვლია იმ ოსის გაშვებიდან, რომ წითლები დაგვესხნენ თავს. ჯაშუშს ზუსტად ეჩვენებინა ჩვენი ბინა. უფრო უარესადაც: ისინი იმ მხრიდან მოგვადგნენ, საიდანაც ჩვენ არ მოველოდებოდით, იმდენადაც კი, რომ ყარაულიც არ დაგვიყენებია იქ. მომხდურნი კარგა ახლო მოსულიყვენ და ისე აგვიტეხეს სროლა. რადგან ჩვენ მაშინვე შევუტიეთ, მათ ზემოდან დააპირეს მოვლა, მაგრამ ზევიდანაც ჩვენ დავასწარით წამოვლა და, სწრაფად რომ არ მოეკურცხლათ უკანვე, ისე იქნებოდნენ მომწყვდეულნი, როგორც თაგვი ხაფანგში. ერთი სიტყვით, მალე კი უშველეს თავს, მაგრამ ორი თუ სამი მკვდარი მაინც მოიტოვეს უკან.

ამ სროლის დაწყებისას ბინაში გამლილ ნაბადზე იყვნენ წამოწოლილნი შალვა ამირაჯიბი და გენერალი ჭავჭავაძე. არც ერთი მათგანი არ შემკრთალა თუნდაც ერთი ბეწოთი. პირიქით, ამირაჯიბმა თვალის დახამხამებაში დაიძრო ნაგანი და ჯიქურ წამოეშველა შეფიცულებს. მისმა ამგვარმა საქციელმა მართლაც რომ უმალ მაღლა ასწია მისი ღირსება ყველას თვალში! მიუხედავად ამისა, არცთუ მთლად უმსხვერპლოდ ჩაუვლია წითურა ჯაშუშის მუხანათობას, ამ სროლაში ერთი კარგი ცხენი დაგვიჭრეს; მას ყანყრატო ჰქონდა გახვრეტილი, რალას ვიზამდით, და გავუშვით, მაგრამ სანამ ძალა შესწევდა, არ დაგვანება თავი: ჩვენ რომ წამოვედით, ფეხდაფეხ მოგვდევდა საწყალი. ყველას გვებრალებოდა, მაგრამ სად იყო მისი მოვლისა და მკურნალობის დრო, ექვს კილომეტრამდე მაინც გვდია საცოდავმა. ხომ ხედავთ პირუტყვი რა არის, და იმასაც კი არ უნდოდა დარჩენა წითლებთან. თავისი მოქმედებით თითქოსდა გვეხვეწებოდა: მეც თქვენთან წამიყვანეთ, ნუ დამტოვებთო!

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



*

ზინა მჭედლური

# ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ლექსისა და პოემის ტექსტოლოგიისათვის

თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ მოსაზრებები, რომელთაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ბოლო კრებულში („თხზულებანი" 1986 წ. „საბჭოთა საქართველო") დაბეჭდილ ლექსებს და პოემებს შეეხება. მათი უმრავლესობის ავტოგრაფი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში. ვაჟას ხელნაწერთა არსებობა მაბედვინებს, ზოგ შემთხვევაში კატეგორიული ვიყო, იქ კი, სადაც გვინდა თუ არ გვინდა, ნაწარმოების პირველ პუბლიკაციას უნდა დავეყრდნოთ, ბუნებრივია, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. ვინმემ ქვემოთ მოყვანილი უზუსტობები აღნიშნული კრებულის შემდგენლებს რომ არ მიაწერონ, აქვე ვიტყვი, რომ ისინი უაღრესად პუნქტუალურად მეორდება ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სხვადასხვა, მათ შორის აკადემიურ გამოცემებში.

პოემაში „ბახტრიონი" არის ასეთი სტრიქონები:

ივსება ლაშარის გორი
ქორ-შევარდნების ჯარითა;
დროშები გზას უკურთხებენ
ყლერით, აწვდილის ტანითა,
რომქით მოიდენ ხევსურნი,
სულმელჯაურნი ცხრანია,
ამლითა — ბათიკის ძენი,
ჭინჭარაულნი ძმანია,
გუდანელთ ჩამასძოოლია
ხოშარეული ხარია;
ხევსურთ, რო ზვავმა მთისამა,
წინ მაიმძღვარეს ქარია;
ჭორმეშელთ, ჭიელთ ბიჭებსა
ღულელებიცა სტანია.

ავტოგრაფში (ხელნაწ. ინსტ. № 149) ბოლო ორი სტრიქონი ასე იკითხება:

ჭორმეშელთ, ჭიელ ბიჭებსა
ღულელებიცა სტანია.

კომენტარებში ამ ცვლილების შესახებ არაფერია ნათქვამი. „ჭიე" ხევსურული სოფლის სახელია და, ცხადია, უნდა იყოს არა „ჭიელთ ბიჭებსა", არამედ „ჭიელ ბიჭებსა", როგორც ვაჟას უწერია (ხომ არ ვიტყვით „თბილისელთ ბიჭებს" ან „ქუთაისელთ ბიჭებს"?).

ლექსში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი" ვკითხულობთ:

ნეტავ, თუ დაგვიფასდება
ქართველთა შვილებს ამაგი, —
არ იქცა საყოვ-ყორნედა
ჩვენი ლამაზი ალაგი.

ყველა ავტოგრაფში (ხელნაწ. ინსტ. № 86, ლიტ. მუზ. № 15641) ბოლო ორი სტრიქონი ასეა:

არ გახდა საყოვ-ყორნედა
ჩვენი ლამაზი ალაგი.

ლექსის პირველწყაროდ გამომცემლებს მიჩნეული აქვთ გაზეთ „სახალხო ფურცელში" (1915 წ. 13. I. № 184) დაბეჭდილი ტექსტი. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — ეს ჩასწორება ვაჟასეულია თუ რედაქციისა? ჩემი აზრით, იგი არ შეიძლება პოეტს ეკუთვნოდეს. ჯერ ერთი, „გახდას" და „იქცას" შორის ნიუანსობრივი განსხვავებაა; მეორეც — ვაჟა-ფშაველა ხშირად ხმარობს სიტყვას „გახდა":

ჰა, გიდი, გოდერძათ ქალო,
ლექთა სატყვეოდ გაჰხეო.
(„ბიბლა")

მოდით შევცვალოთ აქაც „გახდა" „იქცათი" და ვნახოთ რას მივიღებთ:

ჰა, გიდი, გოდერძათ ქალო,
ლექთა სატყვეოდ იქეო (ან იქეცო).

ვფიქრობ, მკითხველი ახლა უკეთესად გრძნობს სხვაობას ამ ორ სიტყვას შორის.

ან კიდევ:

ამბობენ, სუ როგორ გასწყდა
ფშაველებში ქუდოსანიო,
სალექოდ როგორ გაგვხადეს
ლაშარის ჯვარის ყმანიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ ჩასწორებას ზოგჯერ გრამატიკულ შეცდომამდეც მივყავართ. ლექსში „თათრობა“ წერია:

ზურაბის სარჩოს რომ მორჩნენ,
ახლა იკითხეს საყდარი:
„წარმოადგინეთ ჩვენთანა,
მღვდელ-დიაკვანი სად არი?“
წვერებით მოჰყავთ ხუცესი,
თავზე ეყარა ნაცარი.

ავტოგრაფში (ხელნაწ. ინსტ № 36) არის:

„წარმოადგინეთ ჩვენთანა,
მღვდელ-დიაკონი სად არი?
წვერით მოჰყვანდათ ხუცესი,
თავზე ეყარა ნაცარი.

არ უნდა იყოს საჭირო იმის მტკიცება, რომ სიტყვა „წვერი“ ამ მნიშვნელობით მრავლობით რიცხვში არ იხმარება. სწორია „წვერით“ და არა „წვერებით“. თანაც, მიაქციეთ ყურადღება! ამგვარი ცვლილება დროში შეთანხმებასაც არღვევს: „მოჰყავთ“ — „ეყარა“. ხელნაწერში კი ამ მხრივაც ყველაფერი რიგზეა: „მოჰყვანდათ“ — „ეყარა“.

ალბათ, შენიშნავდით, რომ ზემოთ მოყვანილ სტროფში ვაჟა-ფშაველას უწერია „მღვდელ-დიაკონი“ და არა „მღვდელ-დიაკვანი“. როგორც წესი, ძირითად ტექსტებს საფუძვლად უდევს პირველი პუბლიკაციები. ხელნაწერებთან შედარებისას აშკარად იგრძნობთ, როგორ ნელდება მათში ვაჟასეული სურნელი და ზოგჯერ აზრის სიცხადეც. მოვიტან რამდენიმე მაგალითს:

## „ფშავლის სიყვარული“

| ტექსტში: | ხელნაწერში: |
| --- | --- |
| ისეთი ვიყავ, ძმისაო, | ისეთი ვიყავ, ძმისაო, |
| როგორც შავი კლდე, სალია, | როგორც შავი კლდე, სალია, |
| ვამბობდი, ჩემი ნებაა | ვფიქრობდი, ჩემი ნებაა |
| ჩემის გულისთქმის ძალია. | ჩემის გულისთქმის ძალია. |

ერთია, როცა ვაჟკაცი ფიქრობს, „ჩემი ნებაა ჩემის გულისთქმის ძალია“ და მეორე — როცა ამას ამბობს.

| | |
| --- | --- |
| მაშ ხმალს რად ვირტყამ წელზედა, | მაშ ხმალს რად ვირტყამ წელზედა |
| თავზედ რად მხურავ ქუდიო, | თავზედ რად მხურავ ქუდიო, |
| თუკი გავიგო სწორთაგან | თუკი გავიგო სწორთაგან |
| ჩემზედ ნათქვამი ცუდიო?! | ჩემზედ ნათქომი ცუდიო?! |
| | |
| ვერ შამაშინებს ციმბირი | ვერ შამაშინებს ციმბირი |
| ვერც ნაჩალიკი — სუდიო! | ვერც ნაჩალიკი — სუდიო! |
| წავალ და სადაც ცქიფათი | წავალ და სადაც ცქიფათი |
| ხევში საკრეფი წყალია, | ხევში საკრეფი წყალია, |
| იქ ჩამაივლის თულუხით | იქ ჩამაილის თულუხით |
| თინიბექაის ქალია, | თინიბექაის ქალია. |
| უნდა გადვუხტე გზაშია | უნდა გადუხტე გზაშია |
| სიტყვა ვესროლო ცხარიო... | სიტყვა ვესროლო ცხარიო... |

„ივერიასეულ“ ვარიანტშიც (1886 წ. 7. IX, № 198), რომელიც ძირითად ტექსტს უდევს საფუძვლად, არის „უნდა გადუხტე გზაშია“.

სიტყვა „ნაჩალიკი“ ამ შემთხვევაში უცვლელადაა დატოვებული. ლექსში „ბოქაული“ კი, რომელიც დაბეჭდილია გაზეთში „მიწა“ (1906 წ. 30.XI. № 18), ჩანს რედაქციას იგი „ნაჩალნიკად“ ჩაუსწორებია. ასე გაჩნდა ძირითად ტექსტში ხელნაწერისაგან განსხვავებით „ნაჩალნიკი“.

| | |
| --- | --- |
| იძახოდა: ძირს მთავრობა, | იძახოდა: „ძირს მთავრობა, |
| ნაჩალნიკი, ბოქაული, | ნაჩალიკი, ბოქაული, |
| სუდიები, მინისტრები, | სუდიები, მინისტრები, |
| ტანსაცმელით მოქარგული!“ | ტანსაცმელით მოქარგული“! |

## „სტუმარ-მასპინძელი“

| | |
| --- | --- |
| ძმის მკვლელის სისხლი სწყურია, | ძმის მკვლელის სისხლი სწყურია, |
| კაცი რომ მოდის გზაზედა. | კაცი რამ მოდის გზაზედა. |
| | |
| ზემოდან ვინღაც უცნობმა | ზემოდან ვინღაც უცნობმა |
| კლდის ლოდი გადმოაგორა. | კლდის ლოდი გამოაგორა. |

სხვათა შორის, „ივერიაშიც“ (1893 წ. № 146) არის „კლდის ლოდი გამოაგორა“. აზრობრივ ცვლილებას იწვევს უზუსტობა შემდეგ სტრიქონებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| რალად ვიცოცხლო, რიღასთვის? — | რალად ვიცოცხლო, რიღასთვის? — |
| ამას ჰფიქრობდა ქალია. — | ამას ფიქრობდა ქალია. — |
| ქისტეთში ჩემი ერთგული | ქისტეთში ჩემი ერთგული |
| კენჭიც კი არსად არია. | კენჭიც კი არსად არია. |
| ორთავ შევცოდეთ ქისტებსა, | ორთავ შევცოდეთ, ქისტებმაც |
| მათ შამიჩვენეს ქმარია... | მით შამიჩვენეს ქმარია... |

„ივერიასეულ" ტექსტში ბოლო ორი სტრიქონი ასეა:

ორთავ შევცოდეთ — ქისტებმა
მათ შამიჩვენეს ქმარია

შესაძლოა, ამ უკანასკნელში „მათ" კორექტურული შეცდომის გამო არის გაჩენილი ნაცვლად „მით"-ისა. მიღებულია აშკარად გაუგებარი წინადადება, რომლის გასწორებით შემდგენლებმა აზრობრივი (და გრამატიკულიც) უზუსტობა დაუშვეს, ალაზას სიტყვებში — ორთავ შევცოდეთ, ქისტებმაც მით შამიჩვენეს ქმარია, — ჩანს მისი დამოკიდებულება მთელი ამ ამბის მიმართ.

საერთოდ, თუკი გავიზიარებთ იმ აზრს, რომ ძირითადი ტექსტის წყაროდ მივიჩნიოთ არა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ნაწარმოებები, არამედ პოეტისავე ხელნაწერები, ასეთი შეცდომებისაგანაც დავიხსნევთ თავს და მრავალ ლამაზ სიტყვასა და ფორმასაც აღვადგენთ.

## რომელი უფრო სწორია?

### „მოდი, მოხშირდი, ჟალარავ"

| ნაბეჭდში: | დედანში: |
|---|---|
| ტანზე **ამასხა** ეკალი. | ტანზე **დამასხა** ეკალი. |

### სტუმარ-მასპინძელი

| | |
|---|---|
| კარში გამოდი, ჯოყოლავ, | კარში გამოდი, ჯოყოლავ, |
| წყნარად ნუ სწევხარ კერასა; | წყნარად ნუ სწევხარ კერასა, |
| რამდენი ხალხი **მოერტყა** | რამდენი ხალხი **მოედვა** |
| იმ ჩვენის მთების წვერასა! | იმ ჩვენის მთების წვერასა! |
| | |
| სულ კარგად **ვიცით**, ცხადადა, | სულ კარგად **გვახსოვს**, ცხადადა, |
| თვალს ვადევნებდით შორითა, | თვალს ვადევნებდით შორითა. |
| | |
| მიჰმართეს სასაფლაოსა, | მიჰმართეს სასაფლაოსა, |
| **მდუმარეს ქისტთა ბინასა.** | **მკვდარის ქისტების ბინასა.** |
| | |
| მარტოკა მიდის ცალს მხარეს, | მარტოკა მიდის ცალს მხარეს, |
| თავდადებული ცდაზედა, | თავდადებული ცდაზედა, |
| მტრის დასახვედრად **სხვანია** | მტრის დასახვედრად **სხვანიცა** |
| შამოეფინნენ მთაზედა. | შამოეფინნენ მთაზედა. |

### „ბახტრიონი"

| | |
|---|---|
| ჩემი ამბავი შორს წავა, | ჩემი ამბავი შორს წავა, |
| მოკლედ რო მოვსჭრა სჯობია: | მოკლედ რო მოვსჭრა სჯობია. |
| ვინ არ **გეტყოდა** ჩემს ამბავს, | ვინ არ **გიამბობს** ჩემს ამბავს, |
| ვინაც კი ჩემი მცნობია. | ვინაც კი ჩემი მცნობია. |
| | |
| არ თუ ვებრალვით **საყმონი**, | არ თუ ვებრალვით **საყმოი** |
| რო აღარ გვწყალობს ღვთაება?! | რო არა გვწყალობს ღვთაება. |

## რომელი ფორმა სჯობია?

### „არაგვს"

| ნაბეჭდში: | დედანში: |
|---|---|
| რა ლამაზია, წყეულო, | რა ლამაზია, წყეულო, |
| **შენთ** ზვირთთა ლაღნი ჩქერანი — | **შენ** ზვირთთა ლაღნი ჩქერანი... |
| | |
| თმებს უკუიყრის **ნაკადი**, | თმებს უკუიყრის **მთის წყარო**, |
| ცისაკ დაიწყებს ცქერასა. | ცისაკ დაიწყებს ცქერასა. |
| | |
| **რა ყურმა** უნდა გაუძლოს | **რამ გულმა** უნდა გაუძლოს |
| იმ მთების გულის ძგერასა! | ამ მთების გულის ძგერასა! |

### „გული გავგზავნე ქვეყნადა"

| | |
|---|---|
| ვაებად ქმნილსა **მოლხენის** | ვაებად ქმნილსა ლხენისა |
| ალარაფერი სცხებოდა. | ალარაფერი სცხებოდა. |

### „მთაში"

| | |
|---|---|
| გავცქერით გულდაკოდილნი | გავცქერით გულ-დაწყვეტილნი |
| ბარად **მიმდინრებს** ბანითა. | ბარად **მიმდინართ** ბანითა. |
| | |
| ვისც უგემნია ხინკალი, | ვისც უგემნია ხინკალი, |
| დამტკბარა იმის **ჭამითა.** | **ნახარში ჩვენის** წყალითა. |
| | |
| რა წამსაც ავდარს დაიწყებს, | როგორც კი გაავდარდება... |
| | |
| ჯიხვები არას დარდობენ, | ჯიხვები უზრუნველნია, |
| ჯაჭვი სცვავ იმათ ციხესა, | ჯაჭვი სცვავ იმათ ციხესა, |
| იქ მისვლა არ შაიძლება — | იქ მისვლა არ შაიძლება — |
| გაგებული აქვთ ბიჭებსა. | გაგებული აქვთ ბიჭებსა. |
| ტყეში დასდევენ ნადირსა, | ტყეში დასდევენ ნადირსა, |
| **მოვლიან** კიდით-კიდესა. | **ჰყვებიან** კიდით-კიდესა. |

### „დავით გურამიშვილის ხსოვნას"

| | |
|---|---|
| შენის ცრემლებით მოვხარშე | შენის ცრემლებით მოვხარშე |
| ჩემის გრძნობების ფაფაო. | ჩემის გრძნობების ფაფაო. |
| **ამგვარი საჭმლის კეთებას** | **ამგვარსა შეზავებასა** |
| დიდი სდომნია ჯაფაო. | დიდი სდომნია ჯაფაო. |

### „დაგვიანებული პასუხი აკაკის"

| | |
|---|---|
| **რატომ არ ჰგუობს**, არ ვიცი... | **რადარა** ჰგუობს, არ ვიცი.... |
| **ნუ შეგაშინებსთ**, არ გავნებსთ | **ნუ გეშინიათ**, არ გავნებსთ |
| მთიდან ყვირილი ხარისა. | მთიდან ყვირილი ხარისა. |

### „ბახტრიონი"

| | |
|---|---|
| **გადაიკრიფნენ ღრუბელნი,** | **ღრუბელთა პირი იბრუნეს,** |
| ქუჩი გაწირეს ცვრიანი. | ქუჩი გაწირეს ცვრიანი. |
| | |
| ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ | ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ |
| **შააზრიალა** მთანია. | **შააზირზოლა** მთანია. |

### „სტუმარ-მასპინძელი"

| | |
|---|---|
| **დადგნენ,** სულ **დადგნენ** | **გადაიკრიბნენ** მზის სხივნი |
| მზის სხივნი, | ალარ ელავდა ქვიშაო. |
| ალარ ელავდა ქვიშაო. | |
| | |
| **ორსავე** საქმე **აწუხებს,** | ორს **ავ** საქმე აქვს **სამძიმო,** |
| ორნივე მედგრად იბრძვიან, | ორნივე მედგრად იბრძვიან. |

**კიდევ ბევრი ნიმუშის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ზემოთ გამოთქმული აზრის მისაღებად ან უკუსაგდებად, ვფიქრობ, ესეც საკმარისია. ერთს დავამატებ მხოლოდ: კომენტარებში არც-თუ იშვიათად ვკითხულობთ, ესა და ეს სტრიქონები დედანში ზედმეტიაო. საიდან ვასკვნით, რომ ზედმეტია? პოემაში „გოგოთურ და აფშინა" ზედმეტადაა მიჩნეული შემდეგი სტროფები („ზედმეტი" სტრიქონები შავი პეტიტითაა აწყობილი):**

ნუ მაგვიანებ, ფშაველო,
ჩქარა შაიხსენ ხმალია,
სიათაც გადმამაწვადე,
კარგი ექნება ძალია,
ერთი კვირაა შენს მეტსა
ვერავის დავკარ თვალია.
**ჯალაფნი მიჯავრდებიან,**
**ჩემი დიაცი მწყრალია.**
**რალას ყოყმანობ, შაიხსენ,**
**თორო დაგიხშე ნათელი.**
ჩქარა იარაღნ მაიხვენ,
არა-დ გალოკებ ქვიშათა.

**პოემაში, ნაბეჭდი ტექსტი მაქვს მხედველობაში, არც ამ სტრიქონებამდე და არც შემ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ არსად არ ჩანს, რომ აფშინას ცოლი ჰყავს, რადგან მეორე ადგილი, სადაც აფშინას ოჯახზეა ლაპარაკი, ასევე „მეტადაა“ მიჩნეული. სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, მოვიტანთ ორივე ვარიანტს.

ნაბეჭდში — IV თავი

უკუნეთია, არ ისმის
კრინტი არსითგან არ-რისა.
სუდარჩაცმულნი მთანი დგან,
ფიქრის მზიდველნი მწარისა,
სუ მუდამ ყინულიანნი,
არ-როს მნახველნი მწვანისა,
ცხადად ერჩევა საჯიხვე,
ქმნილი კლდისაგან სალისა.
ჩქაფუნი მოდის მწყრომარე
იმ ხევსურეთის წყალისა
და განაპირად სოფლისა
ისმის რაკუნი კარისა;
თან ჩმაც გაისმის მწყრომარე,
გადმონადენის ჯავრისა!
გაგიწყრეს ჩემი გამჩენი,
მადლი ხახმატის ჯვარისა!
რა დროს ძილია, ბედმწარევ,
შე უდავლათოს გვარისა?!
აფშინას ვერ შაეწონვი,
როგორც მზეს შუქი მთვარისა.
აჰა, წაიხვენ აბჯარნი,
ცხენს ნუ დაუყრი თივასა;
ვინც ხვალ პირველად მოიდეს,
ყველა ეს მიეც იმასა;
ჩემ ცხენიც იმასა ჰყვანდეს,
ფასს არ ვთხოვ, არცა ქირასა.
ხო გესმის, რას გეუბნები,
თავს რასა ჰკიდებ ძირასა?!
მე კარჩი ველარ გამოვალ,
ძმად უნდა ვყვანდე ჯინასა,
ჭირი შამყრია უწამლო,
კაცს, ხევსურთ ბადალს, წინასა.

იქნებ ვინმეს უმნიშვნელო დეტალად მოეჩვენოს აფშინას ცოლის არსებობა ან არარსებობა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ისიც ხომ გაუგებარი რჩება, თუ ვის მიმართავს აფშინა. ხელნაწერში კი ეს საკითხი გარკვეულია:

უკუნეთია. არ ისმის
კრინტი **არსიდგან** არ-რისა.
სუდარჩაცმულნი მთანი დგან
ფიქრის მზიდველნი მწარისა,
სუ მუდამ ყინულიანნი,
არ-როს მნახველნი მწვანისა,
ცხადად ერჩევა საჯიხვე,
ქმნილი კლდისაგან სალისა.
ჩქაფუნი **ისმის მარტოკა**
იმ ხევსურეთის წყალისა.
და განაპირად სოფლისა
ისმის რაკუნი კარისა.
**ლურჯამაც დაიხვიხვინა,**
**იცნო ადგილი თავისა**
**ცეცხლიც აბჟუნტდა დარბაზში,**
**ხმაც გავიგონე ქალისა,**
თან ხმაც გაისმა მწყრომარე
გადმონადენი ჯავრისა!
— გაგიწყრეს ჩემი გამჩენი,
მადლი ხახმატის ჯვარისა!
რა დროს ძილია, ბედ-მწარევ,
შე უდავლათოს გვარისა?!
**შენ სახევსურო არა ხარ,**
**დიაც ჰყოფილხარ ბარისა.**
აფშინას ვერ შაეწონვი,
როგორც მზეს შუქი მთვარისა.
აჰა, წაიხვენ აბჯარნი,
ცხენს ნუ დაუყრი თივასა;
ვინც ხვალ პირველად მოიდეს.
ყველა ეს მიეც იმასა;
ჩემ ცხენიც იმასა ჰყვანდეს,
ფასს არ ვსთხოვ, არცა ქირასა.
ხო გესმის, რას გეუბნები,
თავს რასა ჰკიდებ ძირასა?!
მე კარჩი ველარ **გამუალ,**
ძმად უნდა ვყვანდე ჯინასა,
ჭირი შამყრია უწამლო,
კაცს, ხევსურთ ბადალს, წინასა.

უმნიშვნელო დეტალია? არა მგონია!

პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ კიდევ ერთი ასეთი „უმნიშვნელო“ ცვლილებაა.

ნაბეჭდში:

აივსო ფშავ-ხევსურეთი
აქით წასხმულის ძროხითა.
უკან გაუდგა ლაშქარსა
ფეხმარდი, ლეკის ჩოხითა.

დედანში:

აივსო ფშავ-ხევსურეთი
ჩვენგან წასხმულის ძროხითა.
უკან გაუდგა ლაშქარსა
შავ-ქუდა, ლეგის ჩოხითა.

ხელნაწერიდან ვიგებთ, რომ ზვიადაური ლეგა ჩოხის გარდა შავ ქუდს ატარებდა. ამასთან, ულოგიკოა მისმა მოძულე ქისტებმა ფეხმარდად, საქები ეპითეტით მოიხსენიონ. იქნებ სჯობდეს ამ შემთხვევაშიც დედანს მივცეთ უპირატესობა.

არ ვიცი, რა მიზეზითაა, რომ პოემა „გველისმჭამელი“ ყველა გამოცემაში ფაქტიურად მეორე თავიდან იწყება — „სასტუმროს იყვნენ ხევსურნი...“ ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, თუ აღვადგენთ ხელნაწერის პირველ თავს:

გაჭირდა ფრიად ცხოვრება,
სულთქვამს და ოხრავს სოფელი,
დედის ბედს შვილი დასტირის,
შვილისას სტირის მშობელი.

ტირილსაც ბოლო ექნება,
რა მოილლება გუნება.
ან იქ სინანულს რა უნდა,
საცა არ არის ცდუნება?!
ისე ვჩნდებით და ვილევით,
არა გვაქვს გაგებულება,
ბუნების ძალთა სიბრძნისა
ვერ ვცანით დიდი თხზულება?

ვაჟა-ფშაველა შედგენილ სიტყვებს მუდამ დეფისით წერს: ბედ-კრული, გიჟ-მაჟი, ტანსაცმელი; შუბლ-შეკვრით, თავ-დადებულნი, შავ-ფერი, თავ-შესაფარი, პირ-ქუშად და სხვა. ზედსართავ სახელს მიცემით ბრუნვაში ყოველთვის ურთავს „ს" ბრუნვის ნიშანს: ჩემს დაწყლულებულს მკლავებსა, მომაკვდავს არემარესა, ამ სულის მხუთავს დროშია, სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა და სხვა. ხოლო ზმნას — დამატების ნიშანს: ჰსწვავენ (და არა სწვამენ; როგორც ნაბეჭდშია), მოჰრჩნენ, ჰქსოვს და სხვა. სამაგიეროდ ტოვებს პირველი სუბიექტური პირის ნიშანს: დაუკრავ, გადაუშლიდი. ეს პრინციპი ზოგან დაცულია, ზოგან კი — არა. ალბათ, იმის მიხედვით, რომელი რედაქცია როგორ მიიჩნევდა საჭიროდ (ძირითად ტექსტებს საფუძვლად ხომ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ნაწარმოებები უდევს). ვფიქრობ, არც ეს უნდა იყოს სწორი.

იქნებ არ იყოს ინტერესმოკლებული, თუნდაც ენობრივი თვალსაზრისით, ისეთი ფორმების აღდგენა დედნის მიხედვით, როგორიცაა: ნაზიდნი (ნაბეჭდში — ნაზიდი), სამბური (საბმური), მყვანდეს (მყავდეს), თვალ-მოცრემლვილი (თვალ-მოცრემლილი), ჰლიშნავს (ჰნიშნავს), სხვაკანა (სხვაგანა), მითამ (მითომ), მემრე (მერე), საცქერლად (საცქერად), ხვალემდი (ხვალამდე) დავაფთხე (დავაფრთხე), მობძანდი (მობრძანდი), გამოივიქე (გამოვიქეც), ჩამაილის (ჩამაივლის), ჩასტირის (ჩატირის), დასდვა (დადვა), მოსჩანს (მოჩანს), ვსჭამოთ (ვჭამოთ), სდისთ (სდით), მოსდიხარ (მოდიხარ), გასწყრენ (გაწყრენ), გიკვირსთ (გიკვირთ).

თუკი გასწორებაზე მიდგება საქმე, უფრო უპრიანი ხომ არ იქნება. იმ ტექსტებში შევცეთ თავს ამის უფლება, რომლის დედნებიც არ არსებობს და სადაც აშკარა შეცდომებია? მაგალითად: გამოლმით მე ვარ, გაღმა შენ, (გამოლმით მე ვარ გაღმა შენ); ხმა მწყობრად ადისდადისა („როს ვუკვირდები თავის თავს"); ბავშვების ჭირი და ლხენა გულს მიგაჩნია წყლულადა („კაფია — შ. მღვიმელს)"; არც ერთხელ მშვიდის ძილითა ვერ დავიძინე ღამითა („ხატმა გვიბძანა"). ხომ არ აჯობებს: გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ; ხმა მწყობრად ადისჩადისა; ბავშვების ჭირი და ლხენა გულს გაჩნევია წყლულადა; ვერც ერთხელ მშვიდის ძილითა ვერ დავიძინე ღამითა (ამ ლექსის ავტოგრაფი, მართალია, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, მაგრამ სტრიქონის დასაწყისი არ ჩანს). ვაჟა-ფშაველასათვის არაორგანულად მეჩვენება სიტყვები: მნახევი და დავინახევი ლექსში „ქებათა-ქება", რომლის ხელნაწერიც ასევე არ არსებობს:

ქრთამი ვაძლიე მუზასა:
ერთხელ მაინცა მნახევი,
არ იქნა, ვერ მოვისყიდე,
თვალით ვერ დავინახევი.
სხვად ყოველი მხრით კარგი ვარ,
მხოლოდ არა ვარ მგოსანი,
მარტოკა ესლა მაკლია,
ბიჭი ვარ პატიოსანი...

ხომ არ სჯობია:

ქრთამი ვაძლია მუზასა:
ერთხელ მაინცა მნახეო
არ იქნა, ვერ მოვისყიდე,
თვალით ვერ დავინახეო...

პოემა „ალუდა ქეთელაურის" ხელნაწერი არა გვაქვს, ამიტომ აქაც მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. ტექსტის ბოლო თავში ვკითხულობთ:

თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
ყელებ შაკრულა მთებისა,
ჩამოდის ხევად ზოვები,
ჩამონასხლეტნი კლდებისა,
გაუბამ ყინულს ლურჯადა
უბე-კალთები წყლებისა,
მიუნაქრია ერთიან
ვიწრო სავალი გზებისა.
ვის მასწყენია სიცოცხლე,
გზას ის ვინ გაუდგებისა?

ბოლო ორი სტრიქონი აშკარად თხოულობს ჩასწორებას, აზრობრივადაც, გრამატიკულადაც. იქნებ უფრო სწორი იყოს:

ვის მასწყენია სიცოცხლე,
გზას ის თუ გაუდგებისა!

ლექსში „კაფია — ვუძღვნი მ. გ. ერისთავს" არის ასეთი სტრიქონი: — „გადახრეშილის ქედითა". ვფიქრობ, ლექსში „მოლოდინი" შემდეგი სტრიქონი „ქედ-გახრეჭილი ულლისგან" უნდა იყოს „ქედ-გახრეშილი ულლისგან". ჟურნალ „ნაკადულში" (მცირეწლ. № 15 1905 წ.) გვაქვს „ქედგახრეშილი". აშკარაა, ეს გაუგებრობა გამოიწვია კორექტურულმა შეცდომამ.

დასასრულს, თუკი გავიზიარებთ აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა მაქსიმალური მიახლოება ავტოგრაფებთან, აუცილებლად დგება ვაჟა-ფშაველას ლექსებისა და პოემების ახლებურად გამოცემის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელ ხანანაშვილი

# ქართველ ებრაელთა სამადლობელი

ქართველ და ებრაელ ხალხთა მეგობრობა საუკუნეებს ითვლის. დაუფასებელია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის თაობის დამსახურება ქართველ ებრაელთა მფარველობა-პატრონობის საქმეში.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველ „სამოციანელთა“ ტრადიციები კიდევ უფრო წარმატებით გააგრძელეს სამოღვაწეო ასპარეზზე ახლად გამოსულმა პროგრესულმა და დემოკრატიულმა ძალებმა. სამართლიანად აღნიშნავდა ზ. ჭიჭინაძე 1904 წელს გამოცემულ წიგნში „ქართველი ებრაელნი საქართველოში“: „საზოგადოდ ქართული მწერლობა ყოველთვის ფარად და ხმლათა მდგარა ებრაელთა შესახებ... ამის მხრით ქართული მწერლობა ებრაელთა წინაშე ვალმოხდილია და ამაგდარი“.

ცდას უშედეგოდ არ ჩაუვლია და მეოცე საუკუნის დასაწყისიდან უკვე გათვითცნობიერების გზაზე დამდგარმა ქართველმა ებრაელობამ კარგად შეაფასა ის დიდი ამაგი, რაც რევოლუციამდელ მოწინავე ქართველ საზოგადოებას მიუძღოდა მათი ეროვნული და სოციალური ინტერესების დაცვის, მხარდაჭერისა და თანადგომის უაღრესად კეთილშობილურ საქმეში; ქართველმა ებრაელობამ სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხა. იგი ყოველ შესაძლებელ მომენტში ცდილობდა, დაემტკიცებინა თავისი მადლიერება და ეს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც დაედასტურებინა, ლხინსა და ჭირშიც ქართველ ხალხთან, ქართველი საზოგადოების გვერდში დამდგარიყო.

1907 წელს ილია ჭავჭავაძის მკვლელობით გამოწვეული დიდი მწუხარების დღეებში ქართველი ებრაელები გამოხატავდნენ თავიანთ გულწრფელ თანადგომას. ქუთაისელ ებრაელთა სახელით რაბინი ელუაშვილი ასეთ დეპეშას გზავნის თბილისში: „ქუთაისის ებრაელების საზოგადოება ღრმად აღშფოთებულია დიდებული ქართველი მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მხეცური მკვლელობით. ილია თავისი მოღვაწეობით აერთებდა წარჩინებულსა და უბრალო კაცის შვილს, ამაღლებულსა და დაბეჩავებულს. ზიზღი მკვლელებს. საყვარელ მასწავლებლის ხსოვნა კი სამარადისოა“.

თბილისის ებრაელობა კიდევ უფრო შორს წავიდა. მათ ებრაელთა სალოცავში ილიას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადეს, რომელსაც ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ცერემონიალის დამთავრების შემდეგ იქ მყოფთათვის რაბინს სიტყვით მიუმართავს: „დღეს დავნიშნეთ ჩვენ დიდებული პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის ქართველი პოეტის ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად, რომელზედაც მთელი ქართველობა სტირის და მოსთქვამს... სიტყვა არ მოიძებნება ქართველი ერის ღრმა მწუხარების გამოსათქმელად. ჰოი, პატივცემულო თანამოძმენო! ვინ უნდა თანაუგრძნოს, თუ არა ჩვენმა ერმა, თუ არა ჩვენ ებრაელებმა ქართველი ხალხის უბედურებას, რომელმაც დაჰკარგა ძვირფასი ილია გრიგოლის ძე და მასთან ერთად მისი ეროვნული წარმომადგენელი“.

თუ ილიას გარდაცვალება ქართველი ხალხის ეროვნულ გლოვად იქნა განცხადებული, ერთი წლის შემდეგ მეორე დიდი ქართველი „სამოციანელის“ აკაკი წერეთლის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის 50-ე წლისთავი ქართველი ხალხის ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. იმ საზეიმო დღეებში ქართველ ებრაელთა მადლიერებით აღსავსე სიტყვებიც გაისმა. 1908 წლის 7 დეკემბერს თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე დიდი პოეტისათვის თბილისის, ქუთაისის და საჩხერის ებრაელთა წარმომადგენლებსაც მიუმართავთ სიტყვით თუ ადრესით. სხვათა შორის, საჩხერელ ებრაელთა ადრესში ერთ ადგილას აღნიშნულია: „ცხრამეტი საუკუნე, ჩვენ და ქრისტიანებს არ ჰქონიათ საერთო დღესასწაული, ამიერიდან კი დღევანდელი დღე იქნება ამგვარი სიმბოლო ჩვენთვის, რაიც მტკიცედ დაგვაკავშირებს ჩვენს მოძმე ქართველებთან და ამ დიდებული კავშირის გვირგვინი ხარ შენ, ჩვენო მასწავლებელო“.

ქუთაისის ებრაელთა წარმომადგენელს კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკისათვის ასე მიუმართავს: „...მგოსანი გამომხატველია არა მარტო თავისი ერის ჭირვარამის, არამედ მისი სიმთა ჟღერა სწვდება ყოველი ჩაგრული ერის გულს... შენი ზეგარდმო მადლით ცხებული ნიჭი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა ასეთ მაღალ იდეალს...“

რამდენიმე წლის შემდეგ ქართველ ებრაელებს ერთხელ კიდევ მიეცათ საშუალება სიცოცხლეშივე დაეფასებინათ დიდი პოეტი და გამოეთქვათ მისდამი, და ამ გზით მთელი ქართველი ხალხისადმი, თავიანთი პატივისცემა და მადლიერება. ეს იყო 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის დროს. ამ სახალხო დღესასწაულში ონისა და ლაილაშის ებრაელებმაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა. ვ. ამაშუკელის დოკუმენტურ ფილმში ერთ-ერთი კადრი სპეციალურად ონელ ებრაელთა წარმომადგენლებს ეძღვნება. ონელ ებრაელთა დეპუტაციას პოეტისათვის ხონჩაზე დადებული ნამცხვარი მიურთმევია, რომელზეც ჩანგი, სამელნე და კალამი იყო გამოხატული, ხოლო მათ წარმომადგენელს ფილხაზ შიმშელაშვილს ასე მიუმართავს: „...დიდებულო მგოსანო, ჩვენ ებრაელების და ქართველების ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთ შორის, რომ არ განვირჩევით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი, ამიტომ ვალდებულად ვთვლით ჩვენ თავს, რომ ერთად ქართველ ძმებთან, ჩვენ მეზობლებთან მონაწილეობა მიგვეღო ამ თქვენს ბედნიერ დღეობაში... ამასთანავე, ნიშნად პატივისცემისა ებრაელებისაგან გთხოვთ მიიღოთ ეს მცირედი ძღვენი. მუდამ სახეში იქონიეთ, რომ ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არ იქნება გარდა სარწმუნოებისა“.

ონელ ებრაელებს არც ლაილაშელი ებრაელები ჩამორჩნენ. ისინი მხარში ამოუდგნენ დაბის ქართველ მოსახლეობას. მათ შორის იყვნენ ლაილაშელი ებრაელები იაკობ და ილია სეფიაშვილები, ილია მოძღვრიშვილი და სხვა, ხოლო როდესაც პოეტი ლაილაშს ესტუმრა, დამხვდურთა გულთბილ მისალმებებსა და სიტყვებში ლაილაშელი ებრაელის ბიჭია მეგრელიშვილის სიტყვებიც გაისმა:

„დიდო მგოსანო, ბატონო აკაკი! ჩვენ ქართველი ებრაელებიც გილოცავთ მშვიდობიან მოგზაურობას და მობრძანებას თქვენ საყვარელ სამშობლო მხარეში. მხცოვანო მგოსანო, ყოველ დაჩაგრულთათვის დიდი იმედის მიმწოდებელო, შევღაღადებთ დამიწამტვერებული ებრაელები, რათა ჩვენც შეგვავედრო იმ ზენაარს, რომელმაც თქვენ ზეციურის ნიჭით და სანეტარო ჰანგით ალგავსო, რომ თქვენს მამულში ჩვენც დაგვბადებოდეს თქვენისთანა ნიჭიერი ადამიანი და მას განემარტებინოს ჩვენთვის თქვენი შარავანდედით გაბრწყინებული კალმის ნაშრომი და მიეძღვნას დავითის ქნარით თქვენი შესაფერი ღირსი ქებათ-ქება...“

პოეტისადმი, და სიმბოლურად მთელი ქართველი ხალხისადმი, მადლიერება ქართველმა ებრაელებმა გამოხატეს აკაკის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების დღეებში.

აკაკის გარდაცვალება ქართველმა ხალხმა ეროვნულ გლოვად განიცადა, მაგრამ ამავე დროს იგი გადაიქცა ერთა დაახლოების, თანაგრძნობისა და ხალხთა საძმო-სამეგობროდ კიდევ მეტად შეკავშირების წმინდა წუთებად. კარგად აღნიშნავდა იმ დროს ერთ-ერთ მეთაურ წერილში გაზეთი „თემი“: დაკრძალვა ამ მხრივ პირდაპირ უკვდავ ისტორიულ წამად გადაიქცა, რადგან საჯაროდ გამოვიდნენ მაჰმადიანების, სომხების, უკრაინელების, ებრაელების, ბერძნების და სხვა ერთა წარმომადგენლები, რომლებიც უსამძიმრებდნენ ქართველ ერს მის უზომო მწუხარების გამო“.

აკაკის გარდაცვალების დღეებში გაზეთები იტყობინებოდნენ: „საჩხერის ებრაელებმა, რომლებიც დიდი პატივისმცემელნი იყვნენ განსვენებულის სულისათვის, გაზეთში გამოაცხადეს აკაკის გარდაცვალება და მოუწოდებენ საზოგადოებას მისი სახელის პატივსაცემად“. მალე გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნდა აღნიშნული განცხადებაც: „ღრმად დამწუხრებულნი დაბა საჩხერის ებრაელები ამით აუწყებენ თავიანთ ერთმორწმუნეთ და ქართველ საზოგადოებას დიდებული მგოსნის და ჩაგრულთ მოსარჩლის აკაკის გარდაცვალებას“, ხოლო 31 იანვარს გაზეთი „სამშობლო“ იუწყებოდა: „ქუთაისის ებრაელების საზოგადო კრება დიდებული მგოსნის აკაკის შესახებ დანიშნულია დღეს, 31 იანვარს, ფულის მოგროვებას ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად უკვე შეუდგნენ“.

მეორე დღეს კი უკვე ქვეყნდება ამ შეკრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი:

„ქუთაისის ქართველ ებრაელთა საზოგადოებამ, დიდებულ მგოსნის აკაკის გარდაცვალების გამო, გადასწყვიტა შემდეგი: 1. გაუგზავნოს სამძიმრის დეპეშა ჭირისუფალთ და აგრეთვე მოათავსოს თბილისისა და ქუთაისის გაზეთებში. 2. გარდაიხადოს პანაშვიდი კვირას, 1 თებერვალს, 3. გაგზავნოს ოთხი წარმომადგენელი თფილისს დაკრძალვაზე დასასწრებლად, 4. შეაგროვოს ფული აკაკის ფონდის გასაძლიერებლად.

წარმომადგენლებად არჩეულ იქნენ არონ ელიგულაშვილი, მ. იაკობიშვილი, ა. რიჟინაშვილი და შ. ციციაშვილი“.

ქუთაისელ ებრაელთა სამძიმრის დეპეშა ასეთი შინაარსისაა:

„მრავალტანჯულმა საქართველომ დაჰკარგა კიდევ ერთი უდიდესი თავის შვილთაგანი, ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლასათვის საყვარელი აკაკი. ჩვენ ადგილობრივი ებრაელები ქალაქ ქუთაისისა, რომელნიც ქართულ ენას მშობლიურ ენადა ვთვლით და რომელნიც აღვიზარდეთ ქართული პოეზიის გენიოსის უკვდავი ნაწერებით, უსაზღვროდ ვგლოვობთ და ვწუხარებთ ქართველ ერთან ერთად დიდებული კაცის დაკარგვას. გვწამს პოეტის სულის უკვდავება. ჩვენ მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ დიდებული ნეშთის წინაშე და გულწრფელ თანაგრძნობას ვუძღვნით მთელ საქართველოს და ჭირისუფლებს. ჩვენ ქართველმა ებრაელებმა გადავსწყვიტეთ გადავიხადოთ პანაშვიდი და შევიტანოთ განსაზღვრული თანხა აკაკის სახელობის ფონდისათვის.

ქართველ ებრაელების დავალებით რაბინი ელუაშვილი, არონ ელიგულაშვილი, შიმშონ იაკობიშვილი“.

1 თებერვალს ქუთაისის ებრაელთა სალოცავში გადახდილი პანაშვიდის შესახებ გაზეთი „სამშობლო“ იტყობინებოდა:

„კვირას, 1 თებერვალს, ებრაელების საზოგადოებამ თავის სალოცავში დიდებული მგოსნის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს დაესწრენ როგორც ისრაელები, ისე მართლმადიდებელნიც. პანაშვიდის გადახდის შემდეგ ებრაელების რაბინმა სიტყვა წარმოსთქვა. დამსწრეთ აკაკის სურათები დაურიგეს“.

გაზეთი „შრომა“ კი წერს:

„ქუთაისელი ებრაელები აკაკის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად ფულის შეგროვებას უკვე შეუდგნენ. მათ აკაკის სულის მოსახსენებლად პანაშვიდიც გადაიხადეს“.

პანაშვიდზე სიტყვა წარმოუთქვამს სტუდენტ ელიგულაშვილს, რომლის ტექსტი შემდეგ გაზეთმა „სამშობლომ“ მთლიანად გამოაქვეყნა. აი, ნაწყვეტი ამ ვრცელი სიტყვიდან:

„ბ-ბო! ქართველ ერს დიდათ სამწუხარო და თავზარდამცემი ამბავი მოგვევლინა! მან დაჰკარგა თავისი სასიქადულო შვილი, ყველასაგან ცნობილი დიდებული მგოსანი აკაკი, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ქართველ ერის წინამძღოლათ ითვლებოდა კულტურულ წინმსვლელობაში. იგივე იყო გენიალურ პოეზიის მამამთავარიც ჩვენთვის, ქართველ ებრაელებისთვისაც, — რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ისტორიულად შესისხლხორცებულნი ვართ ქართველ ერთან, რომლებისთვისაც ქართული ენა ითვლება მშობლიურ ენათ და აღზრდილნი ვართ ქართველ მწერლების ნაწარმოებებზედ, ეჭვი არ არის, დიდი დანაკლისათ უნდა ჩაითვალოს დიდებული მგოსნის გარდაცვალება...

...კიდით კიდემდე ძაძით შემოსილი საქართველო ფიცსა სდებს დიდებული ცხედრის წინაშე: რომ მის ნაკარნახევ იდეალებსა და აზრებს არ უღალატოს და საქმეთ აქცევს. ჩვენც, ქართველნი ებრაელნი სიხარულით ვეგებებით ქართველ ერის ასეთ გულისთქმას და მოზარდი თაობა ებრაელებისა ვეცდებით ჩვენი წვლილიც შევიტანოთ, ჩვენთვისაც სამშობლო ქვეყნის საბედნიეროთ“.

საჩხერისა და ქუთაისის ებრაელები აკაკის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების გამოხატვაში მარტონი არ ყოფილან. ასეთივე ხასიათის დეპეშები და ცნობები მოდიოდა საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ ებრაელთა წარმომადგენელთაგან და საზოგადოებებისაგან.

თბილისის ქართველ ებრაელთა სახელით სამძიმრის დეპეშა გააგზავნა რაბინმა ნაითალოვმა.

ლაილაშიდან იტყობინებოდნენ: „ლაილაშის საზოგადოებამ პანაშვიდი გადაიხადა დიდძალი ხალხის თანდასწრებით. პოეტის დაკარგვას გულწრფელად სწუხს ყველა განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. დაიწყო ფულის მოგროვება აკაკის ფონდის სასარგებლოდ“.

ცნობა აბაშიდან: „სუჯუნელი ებრაელები, მთელ ქართველობასთან ერთად გულმოკლულნი უკვდავ პოეტის გარდაცვალების სამწუხარო ამბით, მწუხარებას ვაცხადებთ და მის წმინდა სულს შევავედრებთ მაღალ ზეციურ ღმერთს. რაბინი მიხ. ელაშვილი“.

დადგა პოეტის სხვიტორიდან თბილისში გამოსვენების დღეც. მგოსნის მშობლიურმა კუთხემ დიდი პატივით გამოაცილა მისი ცხედარი უკანასკნელ გზაზე. გაზეთები საჩხერიდან იტყობინებოდნენ, რომ „გზაში ექვს ალაგას ლამაზი თაღებია გაკეთებული მწვანით შემოსილი, რომლებზედ სამგლოვიარო ბაირაღებია აფრიალებული, ბევრი სახლი, განსაკუთრებით ებრაელების უბანში, ხალიჩებით და შავებითაა მორთული, სახლების წინ ხალხი მოწიწებით სდგას“.

აკაკის დამკრძალავი კომისიის მიერ წინასწარ იყო გათვალისწინებული პროცესიის თითოეული დეტალი. გადაწყდა, რომ სახლიდან სადგურამდე მხოლოდ ხუთი მოკლე გამოსათხოვარი სიტყვა უნდა თქმულიყო. მათ შორის ერთი გამომსვლელი იყო საჩხერის ებრაელთა წარმომადგენელი. საჩხერელმა ებრაელებმა ამ საპატიო მისიის შესრულება ბიჭია იოსების ძე ნანიკაშვილს დაავალეს.

საჩხერელი ებრაელის ამ სიტყვაში, რომელიც რამდენიმე ქართულმა გაზეთმა დაბეჭდა, ნათქვამია:

„საქართველოს დიდებავ და სიამაყევ, ბატონო აკაკი! შენის დაკარგვით დამგლოვიარებულნი შენი მეზობელი ებრაელები, სასოებით თაყვანს ვსცემთ შენს წმინდა ცხედარს. მართალია, დიდებულო მგოსანო, სარწმუნოებით განცალკევებულნი ვართ ქართველებთან, მაგრამ მათებრ დევნილ-ტანჯულები, ლხინსა და

ქირში მათთან მჭიდროთ შეკავშირებულნი, კარგათა ვგრძნობთ რა დიდებაც დავკარგეთ შენში...“

5 თებერვალს პოეტის ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს. 8 თებერვალს, პოეტის დასაფლავების დღეს, უამრავი ხალხი მოაწყდა თბილისს. აქ იყვნენ საქართველოს ყველა კუთხის, საზოგადოებისა და წოდების, .საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელნი, დელეგაციები მეზობელი აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. ქაშვეთის ეკლესიიდან ცხედარი ერევნის მოედანზე დაასვენეს. აქ შედგა სამოქალაქო სამგლოვიარო მიტინგი. დამკრძალავი კომისიის მიერ წინასწარ დადგენილ 18 ორატორთა შორის დიდებული მგოსნის ცხედარს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა თბილისელ ებრაელთა წარმომადგენელმა რაბინმა მარკუსმა, რომელსაც აღუნიშნავს:

„...ტფილისის ებრაელთა საზოგადოების სახელით ვუცხადებ კეთილშობილ ქართველ ერს ულრმეს თანაგრძნობას აუნაზღაურებელ დანაკარგის გამო. ჩვენ, ებრაელებს, ბედი ხშირად არ გვარგუნებს ხოლმე ისეთ ძმურ გრძნობებს, როგორც გვიძღვნიდა დიდებულ საქართველოს შვილი, აკაკი წერეთელი. ჩვენ განსაკუთრებით ვაფასებდით მას სიცოცხლის დროს და უზომოდ ვიტანჯებით მასთან განშორების ჟამს. ვნუგეშობთლა იმით, რომ ხორციელი სიკვდილი პოეტისა ვერ წარიღებს თანა მის სახელსა და იდეებს, რომელიც უკვდავია — ვიმედოვნებთ, რომ საუკუნოდ დარჩება ხსენება თავისუფლებისა, სიყვარულისა და სილამაზის მომღერლისა და მისგან აგებულ ტაძარში თაყვანსაცემად მოვლენ მთელი მსოფლიოს ხალხნი“.

საქართველო ეთხოვებოდა თავის სათაყვანებელ შვილს, ქართველი ხალხის ცრემლები აცილებდა მას უკანასკნელ გზაზე. ამ საერთო გლოვას ქართველ ებრაელთა გულწრფელი ცრემლებიც ერთვოდა. ჯერ კიდევ პოეტის გარდაცვალებისა და დასაფლავების დღეებში შეიქმნა კომიტეტი, რომელიც აკაკის ფონდის დასაარსებლად შემოწირულებას კრებდა. აღნიშნული თანხა შემდგომში საქველმოქმედო საქმეს უნდა მოხმარებოდა. ქართველი ებრაელები პირველივე დღეებიდან აქტიურად ჩაებნენ ამ საშვილიშვილო საქმეში და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურეს პატივისცემა და სიყვარული ქართველი ხალხის დიდბუნებოვანი შვილისადმი.

აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ქართველ ხალხს კვლავ დიდი უბედურება დაატყდა თავს. გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა.

საყოველთაო მწუხარებას ქართველ ებრაელთა თანაგრძნობის ხმაც შეერია.

1915 წლის 2 აგვისტოს, ვაჟა-ფშაველას დაკრძალვის დღეს, გაზ. „სამშობლო“ მკითხველებს აუწყებდა: „დღეს, 2 აგვისტოს, დილის 7 საათზე ებრაელების სამლოცველოში დილის ლოცვის შემდეგ ქართველ ებრაელების მიერ ვაჟას სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი“.

ამ ფაქტს უფრო დაწვრილებით შეეხო გაზ. „სახალხო ფურცელი“ რომელიც იტყობინებოდა, რომ „ქუთაისის ებრაელობა დიდის თანაგრძნობით შეხვდა და გაიზიარა ქართველი ერის მწუხარება საყვარელი მგოსნის ვაჟას დაკარგვით გამოწვეული. დაკრძალვის დღეს მათმა წარმომადგენელმა მშვენიერი სიტყვით მიმართა ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ქართველი ებრაელები ამითაც არ დაკმაყოფილებულან და დაკრძალვის დღესვე თავის სინაგოგაში პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებული მგონის სულის მოსახსენებლად“.

აქვეა მოთავსებული ერთი საინტერესო ცნობაც:

„კვირას, 2 აგვისტოს, საამაყო მამულიშვილის ვაჟას დაკრძალვის დღეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ პანაშვიდი გადაიხადა...“ ეკლესიის გალავანში გამომსვლელთა შორის კი ყოფილა ებრაელთა წარმომადგენელიც: „მოკლე და შინაარსიანი სიტყვით მიმართა საზოგადოებას ქუთაისის ქართველ ებრაელთა წარმომადგენელმა, რომლის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე“.

ქუთაისის საზოგადოებრიობის წინაშე ქართველ ებრაელთა წარმომადგენლის გამოსვლის შესახებ იტყობინებოდა გაზეთი „სამშობლოც“:

„კვირას, ორ აგვისტოს, ქუთაისის ყველა კულტურულ-განმანათლებელ და საზოგადო დაწესებულებათა ინიციატივით, საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი ვაჟას სულის მოსახსენებლად, რის შემდეგ ტაძრის გალავანში წარმოთქვეს სიტყვები“. სიტყვით გამოსულთა შორის გაზეთი მოიხსენიებს „ებრაელ ფიჩხაძეს ებრაელების მხრით“.

ორი დღის შემდეგ კი იგივე გაზეთი აქვეყნებს ამ სიტყვის მთლიან ტექსტს; აი, ნაწყვეტი ამ გამოსვლიდან:

„...საცოდავო ქართველნო!.. თითქო უბედურებამ მარტო თქვენზე მოიცალა! ჯერ აკაკის გარდაცვალების გამო თქვენ თვალთაგან გადმონათოვი ცრემლი მიწას არც თუ შეუსვამს, რომ აგერ მისი მეორე მოძმეც მის კვალს მიჰყვა, დაგშორდათ, დაგტოვათ ობლათ; მოკვდა და აღარა გყავთ ქართველებს და თქვენთან ერთად ჩვენც ქართველ ებრაელებს, მგოსანი — ვაჟა....

უკვდავო ვაჟავ! თავისუფალო სულო!.. ჩვენ, ქართველნი ებრაელნი, სავსენი სიამაყით, რომ წილად გვხვდა თქვენთან, ქართველებთან მეზობლობა, მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ და გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაგრძნობთ ხელ-ფეხში ბორკილ გაყრილნი ებრაელები, თქვენ, მეზობელს, ქართველს...“

აი, ასე გამოხატავდა XX საუკუნის დასაწყისის ქართველი ებრაელობა თავის მადლიერებას იმ დიდი თაობის წინაშე, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა მათი გზაზე დაყენების, გათვითცნობიერების, მფარველობისა და დაცვის უაღრესად ძნელსა და დაუფასებელს საქმეში.

საუკუნის დასაწყისის ქართველ ებრაელობას არც ილიას, აკაკის, ვაჟას შემდგომი თაობის მოწინავე ქართველი საზოგადოებისა და მისი დიდბუნებოვანი წარმომადგენლებისათვის დაუკლია თანაგრძნობა და მადლიერება, არც მათი დამსახურებისა და ღვაწლის აღნიშვნისა და სათანადოდ შემკობისათვის დაუშურებია კეთილი სიტყვა. ასე იყო, როდესაც 1918 წლის 10 მარტს ლადო მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობის 80-ე წლის იუბილეზე ქუთაისში მიმლოცველთა შორის ქართველ ებრაელთა წარმომადგენელიც გამოვიდა და ამით თავისი პატივისცემა გამოხატა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ქართულ სცენაზე ასე უშიშრად წარმოადგენდა ცარიზმის ანტიებრაული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ პიესებს. სიმბოლურად კი ეს იყო სამადლობელი საერთოდ ქართული თეატრის მიმართ;

ასე იყო, როდესაც 1916 წლის 2 მაისს თბილისში გარდაიცვალა იროდიონ ევდოშვილი. საერთო მწუხარებისა და გლოვის ხმებში ქართველ ებრაელთა თანაგრძნობის ხმაც გაისმა. 8 მაისს, მისი დასაფლავების დღეს, ქუთაისის საზოგადოებრიობამ პოეტის მოსახსენებელი პანაშვიდები გადაიხადა ქალაქის საკათედრო და მთავარანგელოზის ეკლესიებში. პანაშვიდების შემდეგ ეკლესიების ეზოში სამგლოვიარო მიტინგები შემდგარა. შეკრებილთა წინაშე სიტყვებით გამოსულთა შორის ქუთაისის ქართველ ებრაელთა წარმომადგენლებიც იყვნენ. საკათედრო ტაძარში სიტყვით გამოსულა კაკიტელაშვილი, ხოლო მთავარანგელოზის ეკლესიაში — ებრაელი სტუდენტი გ. ფიჩხაძე. ამ უკანასკნელის საკმაოდ ვრცელი სიტყვა შემდეგ გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნდა. სიტყვის დასასრულს ორატორს აღუნიშნავს:

„დაე, თუ ტანჯულმა სულმა შენმან აქ, საქაოს ვერ ჰპოვა მოსვენება, და თუ სიცოცხლეში ვერ ეღირსე, ვერ მოესწარ შენ, მებრძოლო მგოსანო, ჩვენი საერთო სამშობლოს, საქართველოს შემოსავალ კარებზე სიმართლისა და სინათლის დროშის აფრიალებას, დაე, თუ შენ ვეღარ მოესწარ შენ მიერ ქართველთა შორის დათესილ სიმართლის და გამარჯვების ნაყოფის აღმოცენებას, ჩვენ, ჩვენ, აქ დარჩენილნი მაინც მოვესწროთ — დავინახოთ საერთო განთიადი, აფრიალებული სიმართლის დროშა ჩვენი სამშობლოს, საქართველოს შემოსავალ კარებზე, რომ ოდეს იქ, საიქიოს მოვალთ, მოვიდეთ ხელებგაშლით, მოვირბინოთ მხიარულის სახით შენთან და გამახარობლოთ, გითხრათ: გაიხარე, გაიხარე, ტანჯულო სულო!“

თბილისში პოეტის დასაფლავების დღეს გამოსასალმებელი სიტყვით გამოსულა ქართველ ებრაელთა წარმომადგენელი. გაზეთი „საქართველო“ იტყობინებოდა, რომ ქაშვეთის ტაძარში წირვის აგების შემდეგ პოეტის ცხედარი ეზოში დაუსვენებიათ. აქ მისთვის გამოსასალმებელი სიტყვებით მიუმართავთ. „ბ. გომართელის შემდეგ ებრაელთა რაბინმა საგულისხმო სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც შემდეგ ნომერში მოვათავსებთ“, — იუწყებოდა გაზეთი. სამწუხაროდ, სიტყვა აღარ დაიბეჭდა და ჩვენთვის მხოლოდ მისი მოკლე შინაარსია ცნობილი. გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ აღწერს იროდიონ ევდოშვილის დასაფლავების ცერემონიალს და ქაშვეთის ეზოში შემდგარი მიტინგის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის: „შემდეგ სიტყვას ამბობს ებრაელების წარმომადგენელი, ონის რაბინი დ. ბააზოვი. იგი თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის სახელს, ვინც კი შეეცადა დაბეჩავებული ერისათვის ნუგეში ეცა, მას ებრაელობა არასდროს არ დაივიწყებს და მის სახელს თავის ხსოვნაში უკვდავყოფს“.

ყოველივე ზემოთქმული, დაუვიწყარ და საგულისხმო მატიანედ დარჩება ქართველ და ქართველ ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი, კეთილმეგობრული, საძმო-სამეგობრო ურთიერთობის ისტორიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვრანი ქავთარია

# „ღვთაებრივი ალმაფრენის" თაყვანისმცემლები

პელოპონესის ომის პირველმა პერიოდმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ნიკიასის ზავის (ძვ. წ. აღ. 421 წ.) შემდეგ, ათენის მონათმფლობელურ დემოკრატიას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მხედართმთავარი ალკიბიადე. დაზავების ინიციატორი ნიკიასი, კვლავ აგრძელებდა ბრძოლას ელადაში მშვიდობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ალკიბიადეს აქტიურმა მოქმედებამ მისი წინააღმდეგობა დაძლია.

ძვ. წ. აღ. 418 წელს ათენმა და არგოსმა ომი გამოუცხადეს ეპიდავროსს. ეპიდავროსის დასახმარებლად სპარტამ არმია გაგზავნა. ბრძოლა გაიმართა მანტინეასთან. გამარჯვება ეპიდავროსმა მოიპოვა. დამარცხებამ ათენში პოლიტიკური მდგომარეობა დაძაბა. ზავის დარღვევა სერიოზულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. ათენის დემოკრატიის მეთაურმა ჰიპერბოლემ მოითხოვა დამნაშავეთა მიმართ ოსტრაკიზმის გამოყენება. მთავარ დამნაშავეებად იგი ალკიბიადესა და ნიკიასს აცხადებდა. საფრთხემ ძველი მოწინააღმდეგენი დააახლოვა. ათენის სახალხო კრებამ თვით ჰიპერბოლე გააძევა.

მოპოვებულმა გამარჯვებამ ალკიბიადეს და ნიკიასს ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა. პირველ რიგში შეადგინეს სიცილიაში ლაშქრობის გეგმა. მათი აზრით, ექსპედიცია, რომლის წარმატებაშიც ეჭვი არ ეპარებოდათ, ათენს კარს გაუღებდა გარე სამყაროზე საბატონოდ. განსაკუთრებით აქტიურობდა ალკიბიადე. მის მოწოდებას ახალგაზრდობა მხურვალე მხარდაჭერით ხვდებოდა.

ძვ. წ. აღ. 415 წლისათვის ათენის ფლოტი, ასზე მეტი ტრიერი, საომრად გამზადებული იდგა და ბრძანებას ელოდა.

ექსპედიციის გამგზავრების წინ უცნობმა პირებმა შეურაცხყვეს ჰერმები, ქვის ბოძები ჰერმესის გამოსახულებით (ჰერმესი ვაჭრობისა და მოგზაურობის ღვთაება იყო. ჰერმესის შეურაცხყოფა დიდი უბედურების მაუწყებლად ითვლებოდა. ალკიბიადეს მტრებმა ხმები გაავრცელეს, რომ ჰერმები მისმა მომხრეებმა დაამსხვრიეს. ამავე დროს, მათ ბრალდების მეორე ვერსიაც შეთხზეს. ალკიბიადე ელევსინის მისტერიებში მკრეხელობისათვის დაადანაშაულეს. ალკიბიადემ მოითხოვა საქმის გარჩევა. სახალხო კრებაზე გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ საკითხს ლაშქრობის დამთავრების შემდეგ დაბრუნებოდნენ. სტრატეგოსებს ებრძანათ ლაშქრობის დაწყება. ალკიბიადე სახალხო კრების გადაწყვეტილებას დაემორჩილა.

ალკიბიადეს ათენიდან წასვლით ისარგებლეს მისმა მტრებმა და მოინდომეს პატივმოყვარე სტრატეგოსის დამხობა. სახალხო კრებამ დაადგინა, რომ იგი უკანვე გამოეწვიათ, როგორც დამნაშავე და გაესამართლებინათ. ალკიბიადემ განსაღვრა თუ რას უქადდა ასეთი მოთხოვნა. გარეგნულად ისეთი სახე მიიღო, თითქოს ბრძანებას ემორჩილებოდა, მაგრამ მოახერხა ნაპირზე გადასვლა და გაუჩინარება. ლტოლვილმა სტრატეგოსმა თავი სპარტას შეაფარა. ათენის სასამართლომ იგი დაუსწრებლად გაასამართლა და სიკვდილი მიუსაჯა. ალკიბიადემ შურისძიების მიზნით, სპარტის სარდლობას ბევრი ისეთი რჩევა მისცა, რამაც საბედისწერო როლი შეასრულა ათენის ისტორიაში.

სიცილიაში საომარი მოქმედება ცუდად წარიმართა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ათენის ხელისუფლებამ 413 წელს, დემოსთენეს მეთაურობით, ახალი ფლოტი გაგზავნა. ქალაქმა სირაკუზმაც მიიღო დახმარება სპარტისაგან და მტკიცედ აღუდგა წინ აგრესიას. გადამწყვეტ შეტაკებაში ათენის ფლოტი დამარცხდა და მთელი არმია ტყვედ ჩავარდა. სიცილიელებმა სარდლები, ნიკიასი და დემოსთენე, სიკვდილით დასაჯეს, მეომრები მონებად გაყიდეს.

სიცილიაში მომხდარი ამბები ლიტერატურაში ფართოდაა გაშუქებული. მაგრამ მკრთალადაა ასახული ერთი ეპიზოდი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს კლასიკური საბერძნეთის ისტორიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბერძენი ისტორიკოსი და მწერალი პლუტარქე ნიკიასის ბიოგრაფიაში ვრცლად აღწერს სიცილიაში ლაშქრობის ტრაგიკულ დასასრულს. იგი ემთხვევა პელოპონესის ომის პირველწყაროს — თუკიდიდეს „ისტორიას", მაგრამ დამატებით ბევრ ისეთ ფაქტს გადმოგვცემს, რაც თუკიდიდესთან არ გვხვდება. მისი გადმოცემა, არა მარტო საბერძნეთის, არამედ, საერთოდ, ომების ისტორიაში გამონაკლისის სახით დგას. ტყვეობაში ჩავარდნილ ათენის მოქალაქეთა მძიმე ხვედრის შესახებ პლუტარქე წერს: „ათენელთა უმრავლესობა დაიღუპა ქვის სამტეხლოებში ავადმყოფობისა და ცუდი საკვებისაგან. მათ დღეში აძლევდნენ ორ კოტილა ქერსა და ერთ კოტილა წყალს. ტყვეების დიდი რიცხვი გაყიდეს მონებად, რომელთაც შუბლზე დაადეს დაღი ცხენის გამოსახულებით. მაგრამ ასეთი უკიდურესობის დროს, მათ სარგებლობა მოუტანა საკუთარი ღირსების გრძნობამ და თავის დაჭერის უნარმა. მფლობელები, ან ათავისუფლებდნენ მათ, ან დიდ პატივში ჰყავდათ. ხოლო ზოგიერთები იხსნა ევრიპიდემ. საქმე იმაშია, რომ სიცილიელები, ატიკის გარეთ მცხოვრებ სხვა ელინთა შორის, ყველაზე მეტად აფასებდნენ ევრიპიდეს ტალანტს. როდესაც ჩამოსულები აწვდიდნენ მათ ნაწყვეტებს მისი ნაწარმოებებიდან, სიცილიელები სიამოვნებით სწავლობდნენ ზეპირად და უმეორებდნენ ერთმანეთს. გადმოგვცემენ, რომ იმ დროს მრავალი, სახლში მშვიდობით დაბრუნებული, მხურვალედ მიესალმა ევრიპიდეს და უამბეს, როგორ მიიღეს თავისუფლება, ასწავლიდნენ რა მფლობელს იმას, რაც ახსოვდათ მისი ლექსებიდან. ან იპოვებდნენ საკვებსა და წყალს, ბრძოლის შემდგომ ხეტიალში, მისი ტრაგედიებიდან ნაწყვეტების სიმღერით" (ნიკიასი, XXIX).

მომხდარ ფაქტს პლუტარქე მეორე მაგალითითაც ადასტურებს. მისი სიტყვებით, „არაფერია დაუჯერებელი მოთხრობაში იმის შესახებ, რომ კავნოსში მეკობრეებისაგან დევნილ გემს, არ მისცეს თავშესაფარი. შეიფარეს მას შემდეგ, როდესაც გამოკითხვით დაკმაყოფილდნენ, რომ მეზღვაურებს ზეპირად ახსოვდათ ევრიპიდეს ლექსები" (ნიკიასი, XXIX).

ღვთის რისხვასავით თავზარდამცემი ძალადობის ჟამს, პელოპონესის ომის უმძიმეს პერიოდში, როდესაც ელადამ საკუთარ თავს ომი გამოუცხადა და ყოველივე წმინდა გააუფასურა, ზებუნებრივი ძალით კაშკაშებს სიცილიელთა სულიერი განწმენდილობა. ისტორიული ბედუკუღმართობით დასმული ამოცანა საოცარი სილამაზით გადაჭრეს და სულიერი კულტურის ისეთი ნიშნები გამოავლინეს, რომლის მსგავსიც არც ერთ გამარჯვებულთან არ გვხვდება. ბრძოლის ველის მკაცრი კანონებიდან უცებ ასეთ დონეზე ამაღლება. მათ სულში ზეციური სინათლის ჩასახვა, ყველა გამარჯვებას აღემატება.

პლუტარქეს გადმოცემით, სიცილიელები ტყვეებისაგან იწერდნენ ნაწყვეტებს ევრიპიდეს ტრაგედიებიდან. გამარჯვებულთა მოქმედების ახსნა მარტოოდენ პოეზიის სიყვარულით, საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს მოიცავს. ასე მარტივად არ უნდა წარმოვიდგინოთ მათი ამაღლებული მიზნები. თუ სიცილიელი ბერძნები ევრიპიდეს შემოქმედების გაგების სიმაღლეზე იდგნენ, მის თხზულებათა შესაძენად საშუალებებსაც გამონახავდნენ. ტყვეები მაინც შემთხვევითი მთხრობელები იყვნენ, იმის მიუხედავად, რომ ათენის არმია, ძველი მწერლების სიტყვებით, უმეტესად განათლებული ახალგაზრდებისაგან შედგებოდა. უნდა აღინიშნოს, ევრიპიდეს ტრაგედიების მისაპოვებლად ასე იოლი გზა არ გამოდგებოდა. არც ჩვენ უნდა ვირწმუნოთ, რომ სინამდვილეში ასე მოხდა. გამარჯვებულებს სულ სხვა ინტერესები ამოძრავებდათ. კერძოდ, მათ ამოცანას შეადგენდა განათლებული ადამიანების ღირსეულად დაფასება. ამიტომ თავიანთი მიზნების გამოსავლენად ყველაზე კეთილშობილური გზა აირჩიეს

სიცილიელების მოქმედებიდან ჩანს, რომ ევრიპიდეს პოეზიას კარგად იცნობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთი ფაქტი, როგორიც პლუტარქე მათ მიაწერს, ძნელი დასაჯერებელია. გამარჯვებულებმა გამოცდა ჩაუტარეს დამარცხებულებს. ვინც გამოცდას ვერ გაუძლო, მონობის უღელში დარჩა.

მონობაში ჩავარდნილებს თავისუფლება პოეზიამ დაუბრუნა. ამაში გადამწყვეტი როლი ათიკურ განათლებას უნდა მიეწეროს. ცნობილია, რომ ათენში გაბატონებული ჰარმონიული განათლების სისტემა, პირველ რიგში პოეზიისა და მუსიკის ცოდნას ითვალისწინებდა. მოწინავე ბერძნული საზოგადოების მაღალი დონე ამის უტყუარი დამადასტურებელია. ელინი მოაზროვნეები მთავარ ყურადღებას ადამიანის ჰარმონიულ აღზრდას აქცევდნენ.

ცნობილი ფილოსოფოსი დემოკრიტე ქადაგებდა, განათლება ახალგაზრდას აქცევს სიბრძნის მფლობელად. მისი აზრით, სიბრძნეს დაუფლებული ადამიანი აღჭურვილია სამი განძით: „კარგი აზროვნება, კარგი ლაპარაკი, კარგი კეთება". ამ განძთა მთლიანობა წარმოადგენს „სამკაულს ბედნიერებაში და თავშესაფარს უბედურებაში". მისივე სიტყვებით, ხელოვნებისა და სიბრძნის მიღწევა სწავლის გარეშე შეუძლებელია. ფილოსოფოსის თეორიული შეხედულებები ათენში პრაქტიკულად განხორციელებული იყო. კლასიკური პერიოდის ატიკის ახალგაზრდობა დიდი მონდომებით ეუფლებოდა სიბრძნის საიდუმლოებას.

განათლებული ადამიანი ელინური სამყაროს ნებისმიერ ქალაქში პატივისცემით სარგებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა. რომაელი ხელოვანთმცოდნე ვიტრუვიუსი შესანიშნავ ფაქტს გადმოგვცემს: სოკრატეს მიმდევარი, ფილოსოფოსი არისტიპე, გემის ჩაძირვის შემდეგ, მგზავრებთან ერთად, კუნძულ როდოსზე გაირიყა. ფილოსოფოსმა გეომეტრიული ფიგურები შეამჩნია და თავის თანამგზავრებს მიმართა: „იმედს ნუ კარგავთ! მე ვხედავ ადამიანის კვალს". იგი გაემართა ქალაქისაკენ და თავისი ცოდნით ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა როდოსელებზე, რომ არა მარტო თვითონ, არამედ მისმა თანამგზავრებმაც, ადვილად მოიპოვეს დამხვდურთა პატივისცემა. როდესაც გადარჩენილებმა ხამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტეს, არისტიპეს ჰკითხეს, ხომ არ სურდა სახლში რაიმეს დაბარება. ფილოსოფოსმა ასეთი სიტყვების გადაცემა დაავალა: უნდა მოამარაგოთ ბავშვები ისეთი სიმდიდრით და მისცეთ საზგლად ის, რაც შეძლებს ამოცურვას მასთან ერთად გემის ჩაძირვის შემდეგაც".

მოაზროვნე ადამიანების წინაშე მრისხანე დამპყრობლებიც კი ქედს იხრიდნენ. ალექსანდრე მაკედონელმა ძვ. წ. აღ. 335 წელს აიღო და დაანგრია პინდარეს მშობლიური ქალაქი თებე. ჰაბუკმა მეფემ ბრძანა, პოეტის სახლი დაენდოთ და მისი მემკვიდრეები არ შეეწუხებინათ (ამ დროისათვის პინდარე 100 წლის გარდაცვლილი იყო). მეორე მაგალითით ალექსანდრეს მომდევნო მპყრობელია განდიდებული: დემეტრიოს პოლიორკეტმა მეგარა დაიპყრო. მისმა მეომრებმა ქალაქი დაანგრიეს და გაძარცვეს. დემეტრიოსმა ბრძანება გასცა, ფილოსოფოს სტილპონის სახლისათვის ხელი არ ეხლოთ, მაგრამ ბრძანება დაგვიანებული აღმოჩნდა. სტილპონის ქონება მეომრებს განაწილებული ჰქონდათ. დემეტრიოსმა ბოდიში მოუხადა და თხოვა ფილოსოფოსს დაესახელებინა ზარალი, რომ მიტაცებული ქონება დაებრუნებინა. სტილპონმა განუცხადა, რომ არავითარი ზარალი არ განუცდია: მისთვის განათლება არავის წაურთმევია, ცოდნა და გონება ხელუხლებელი დარჩა.

განათლების ფართოდ გავრცელებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს სოფისტებმა. მათ ბერძენ ახალგაზრდობას მეცნიერებისა და ხელოვნების ახალი სამყარო გადაუშალეს. განათლება ხელმისაწვდომი გახადეს რიგითი მოქალაქეებისთვისაც.

განათლებულ პირებს, და საერთოდ მოაზროვნე ადამიანებს, სახელი და დიდება არასდროს აკლდათ. ბერძნულმა წყაროებმა ეს მოვლენა კარგად ასახეს, მაგრამ ამავე დროს, ანტიკურ ხანაშიც არსებობდა პოპულარობის ისეთი სახე, რომელსაც დაუმსახურებელი დიდების გამოხატულებად თვლიდნენ. ადამიანის ღირსებების შეფასებაში დაშვებული გადაჭარბება, შემთხვევით პირთა განდიდება, ძველ საბერძნეთშიც სერიოზულ სატკივარს წარმოადგენდა.

ანტიკურმა სამყარომ ამის მიზეზი ვერ ახსნა. აღნიშნულ შეუსაბამობას მტკივნეულად განიცდიდა ელადის ინტელიგენცია. ბევრმა მოაზროვნემ სცადა ებრძოლა დროებითი პოპულარობის წინააღმდეგ, მაგრამ დარწმუნდა რა თავის უძლურებაში, ბედს შეურიგდა. ამის ნათელი დამადასტურებელია დიდი ორატორის ისოკრატეს მოქმედება. თავის ცნობილ სიტყვას, „პანეგირიკს", იგი ასე იწყებს: — „მე ყოველთვის მაკვირვებდა, რომ დღესასწაულებსა და შეჯიბრებებში, ქიდაობასა და სირბილში გამარჯვებულ ათლეტებს ანიჭებენ დიდ ჯილდოებს, ხოლო იმათ, რომლებიც საერთო კეთილდღეობისათვის შრომობენ, ილვწიან სასარგებლონი იყონ არა მარტო საკუთარი თავისათვის, არც ჯილდოს, არც პატივისცემას, არ მიაგებენ, თუმცა პატივისცემის ღირსნი ისინი უფრო არიან. ათლეტები ორჯერ ძლიერნიც, რომ გახდნენ არავისათვის მოაქვთ სარგებლობა, ხოლო მოაზროვნე კაცი სასარგებლოა ყველასათვის, ვინც მოისურვებს მისი აზროვნების ნაყოფთან ზიარებას" (პანეგირიკი, 1-2). სიტყვის მომდევნო ნაწილში ისოკრატე მთელ საბერძნეთს მიმართავს და ელინებს გაერთიანებისაკენ მოუწოდებს. იგი თანამედროვეთაგან დიდ აღიარებას არ ელოდებოდა. ამის გამო დამშვიდებით აღნიშნავს, ჩემი ჯილდო იქნება სახელი, რომელსაც ეს სიტყვა მომიტანსო. ისოკრატე მეტად მოკრძალებული ჯილდოთი დაკმაყოფილდა, მაგრამ ჯილდო უკვდავი გამოდგა. მისი აზროვნების ნაყოფი თავისი მომხიბვლელობით დღესაც აღელვებს ბერძნული მჭევრმეტყველებისა და ლიტერატურის თაყვანისმცემლებს. რაც შეეხება ისოკრატეს თანამედროვე სპორტსმენებს, მათი სახელი ისტორიაში უმნიშვნელოა.

ისოკრატეს გულისტკივილი საერთო ბერძნული მოვლენა იყო, როდესაც იგი ამას ამბობდა, მხედველობაში ათენი ჰყავდა. ათენი ბერძნული კულტურის ცენტრი და გვირგვინი. ყველა გამოჩენილი ხელოვანი და მოაზროვნე აღიარებას ათენში ელოდა. თუმცა დიდების კვარცხლბეკზე მდგომნი, პოპულარობით ოლიმპიონიკებს მაინც ვერ შეედრებოდნენ. სიცილიელებს იმის გამოკითხვა რომ დაეწყოთ, სპორტის რომელ სახეობაში გამარჯვებულებს იცნობდნენ, უფრო მეტი ტყვე მოიპოვებდა თავისუფლებას. მაგრამ ასეთი მოქმედებით, იმ სიმპათიას, რომლითაც ისტორიაში თავი უკვდავყვეს, ვერ დაიმსახურებდნენ. მათ მოქმედებაში მთელი სისრულით გამოიკვეთა ბერძნული აღზრდის საუკეთესო თვისებები. რაც პოპულარობის მოყვარულთა მიერ ალბათ მიჩქმალული იყო. ამაზე მეტყველებს ისოკრატეს წუხილი სიცილიელებმა პოეზია ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა დააყენეს და თავიანთი განსხვავებული ნაბიჯით მარადიული ძეგლი დაუდგეს მელპომენეს დიდ ქურუმს — ევრიპიდეს.

თვით ევრიპიდე, ელევსაში და პანათენეების შეჯიბრებებში გამარჯვებული, სპორტსმენებზე უკიდურესად უარყოფითი შეხედულებისა იყო. მისი სიტყვებით, „მთელს ელადაში არსებობს ურიცხვი ჩირქგროვა, მაგრამ არ არის მასზე დიდი ბოროტება, ვიდრე ათლეტთა მოდგმა“.

სიცილიელთა არჩევანი არ იყო შემთხვევითი. ევრიპიდე იმ დროინდელ საბერძნეთში, ყველაზე დიდი პოეტი იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო თანამოქალაქეებისაგან ნაკლებად დაფასებული. ევრიპიდეზე ყურადღების გამახვილებით, სავარაუდოა, სიცილიელებს სურდათ, ათენელებისათვის მიეთითებინათ, მათ მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

ბერძენ ტრაგიკოსთა დიდი სამეულიდან ევრიპიდე განმარტოვებით მდგომი გენია იყო. ლექსიკოგრაფი სვიდა გადმოგვცემს, რომ ევრიპიდე ყოველთვის ჩაფიქრებული და მოღუშული დადიოდა, გაურბოდა ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობას. ტრაგედიებში ქალების უარყოფითი ტიპების დახატვისათვის ქალთა მოძულედ თვლიდნენ. მკვლევარები მიუთითებენ, რომ ქალებისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულება პირადი ოჯახის აფორიაქებულმა მდგომარეობამ განაპირობა. სვიდას მოწმობით, ორჯერ შეურთავს ცოლი, მაგრამ ორივეჯერ გაყრია, როგორც ჩანს, ოჯახურმა უთანხმოებამ განსაზღვრა მისი შეხედულებების საბოლოო ჩამოყალიბება; ხოლო ტრაგიკოსს, ქალთა მოძულეს ზედმეტსახელი შერჩა.

ევრიპიდე ორიგინალურად უდგებოდა მითოლოგიურ თემებს. ტრაგედიებში ეპოქის შესაბამის იდეებს აქსოვდა, რაც დემოკრატიის მეთაურთა უკმაყოფილებას იწვევდა. იგი მითის ზოგადად დაკანონებულ შინაარსს თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევდა. ტრაგედიის კლასიკურ ნიმუშებზე აღზრდილ ათენელებს არ მოსწონდათ, კანონიკური ტექსტებისადმი მისი თავისუფალი მიდგომა.

ბერძენი ტრაგიკოსებიდან ევრიპიდემ, ყველაზე ნაკლებად განიცადა გამარჯვების სიხარული. ათენელებმა მის ტრაგედიებს, მხოლოდ ოთხჯერ მიანიჭეს პირველი ადგილი. ისეთი დიდი პოეტისათვის, როგორიც ევრიპიდე იყო, ოთხი გამარჯვება მეტისმეტად მცირეა (ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც დაბალი რანგის პოეტები შუბლს დაფნის გვირგვინით იმკობდნენ).

მშობლიური ქალაქის გულგრილობამ, მისი შემოქმედების დაუფასებლობამ (დასაშვებია მტრობამაც), ევრიპიდე აიძულა ათენი დაეტოვებინა. მაკედონიის მეფემ არქელაოსმა, ტრაგიკოსი დიდი პატივით მიიღო. მაგრამ შურმა და მტრობამ არც აქ მისცა შემოქმედს მშვიდი ცხოვრების საშუალება. მაკედონიის სამეფო კარზე თავშეფარებულმა უმნიშვნელო პოეტებმა, რომელთა მხოლოდ სახელია ცნობილი, განიზრახა ევრიპიდეს დაღუპვა, ბოროტი განზრახვის შესასრულებლად მოისყიდეს მეფის ერთი მსახური. ფულზე დახარბებულმა მკვლელმა ევრიპიდეს ძაღლები მიუსია და დაგლეჯინა. ასე გადმოგვცემს სვიდა ტრაგიკოსის ცხოვრების დასასრულს.

ევრიპიდე პრინციპული და საკუთარი იდეების ბოლომდე დამცველი იყო. რომაელი ისტორიკოსი ვალერიუს მაქსიმუსი ასეთ ეპიზოდს აღწერს: ერთხელ, წარმოდგენის დროს, მაყურებლებს არ მოეწონათ ტრაგედიის ერთი ადგილი და ავტორს მოთხოვეს მისი ამოღება. ევრიპიდე გამოსულა სცენაზე და განუცხადებია: წესად აქვს წეროს ხალხისათვის, მაგრამ მისთვის მიუღებელია ხალხისაგან სწავლა. ცხადია, ასეთი გამოსვლა მაყურებელთა სიმპათიას არ დაიმსახურებდა, ეს უნდა იყოს იმ გულგრილობის სათავე, რომელსაც მის მიმართ იჩენდნენ.

ევრიპიდეს კარგად ჰქონია შეგნებული საკუთარი შემოქმედების სიდიადე. ანტიკური ავტორები ხაზს უსვამენ თანამედროვე მწერლებისადმი მის კრიტიკულ დამოკიდებულებას. დაცულია ასეთი გადმოცემა. ერთი ტრაგიკოსი პოეტი (სახელი უცნობია) ტრაბახობდა, რომ წერს ძალიან ადვილად, შეუძლია შეთხზას ასეული ლექსი, მაშინ როდესაც ევრიპიდეს, საკუთარი აღიარებით, შეუძლია მხოლოდ სამის დაწერა. ევრიპიდეს უპასუხებია: ჩვენს შორის არის განსხვავება, შენი პიესები სამი დღე იცოცხლებენ, ჩემი კი მარადიულია.

ალბათ ასეთი პირდაპირობა გამოავლინა მაკედონიის კარზე მოკალათებულ მეხოტბე პოეტებთან ურთიერთობაშიც, რამაც დააჩქარა მისი აღსასრული.

არისტოტელეს სიტყვებით, „სოფოკლემ თქვა, რომ იგი ხატავს ადამიანებს, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ, ხოლო ევრიპიდე, როგორებიც ისინი არიან“.

ევრიპიდეს თანამედროვეთა დაშვებული უზუსტობა, მომდევნო თაობებმა გამოასწორეს. გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ, ტრაგიკოსის ძეგლი აღმართეს ათენში, დიონისეს ტაძარში, ესქილესა და სოფოკლეს ქანდაკებების გვერდით. მოგვიანებით პლუტარქემ, ევრიპიდე ღმერთების რჩეულად შერაცხა. ლიკურგეს ბიოგრაფიაში იგი წერს, „მოგვითხრობენ, რომ, როდესაც ლიკურგეს ნეშტი სამშობლოში გადაასვენეს, აკლდამას მეხი დაეცა. შემდეგში ასეთი ბედი არც ერთ გამოჩენილ ადამიანს არ ღირსებია, ევრიპიდეს გარდა, რომელიც გარდაიცვალა და დასაფლავებულია მაკედონიაში, არეთუსის მახლობლად. მას ერთს შეემთხვა სიკვდილის შემდეგ იგივე, რაც ოდესღაც ღმერთებისათვის ყველაზე წმინდა და საყვარელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს ევრიპიდეს თაყვანისმცემელთა თვალში ეს იყო უდიდესი გამოხატულება, რომელიც ემსახურებოდა მათი მხურვალე ერთგულების გამართლებას" (ლიკურგე, XI).

დიდი მწერლისა და აპოლონის ქურუმის, პლუტარქეს აზრით, აკლდამაზე მეხის დაცემა ღმერთების რჩეულთა ხვედრია.

ალექსანდრე მაკედონელი ევრიპიდეს პოეზიის თაყვანისმცემელი იყო. მეგობრებთან უკანასკნელი შეხვედრის დროს, მედიოსის სახლში, იგი მოქეიფეებს უკითხავდა ნაწყვეტებს ევრიპიდეს „ანდრომედადან". ეს იყო ალექსანდრეს უკანასკნელი სერობა.

ევრიპიდეს შემოქმედების შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობით არის ნაკარნახევი არისტოტელეს „პოეტიკაში" მოცემული მსჯელობა ტრაგიკოსის პოზიციის დასაცავად. არისტოტელემ სწორად შეაფასა ტრაგიკულის წარმოშობის ბუნება და ევრიპიდეს შემუშავებული მეთოდი ხელოვნების ჭეშმარიტ მიღწევად გამოაცხადა. იგი წერს, ტრაგედიაში თხრობა უნდა იყოს უბრალო, ცვალებადობა უნდა მიმდინარეობდეს არა უბედურებიდან ბედნიერებისაკენ, არამედ პირიქით, ბედნიერებიდან უბედურებისაკენ. ამიტომ ცდებიან ისინი, რომლებიც ადანაშაულებენ ევრიპიდეს იმისათვის, რომ ასე აკეთებს და მისი ტრაგედიების უმრავლესობას აქვს ცუდი დასასრული. ამას თვალსაჩინოს ხდის ის ფაქტი, რომ სცენაზე და შეჯიბრებებში ასეთი ტრაგედიები ეჩვენებათ ტრაგიკულად თუ სწორად შეასრულებენ. ამიტომ, ევრიპიდე „პოეტთა შორის ყველაზე ტრაგიკული პოეტია" (პოეტიკა, XIII). თანამედროვეთაგან ევრიპიდეს დაუფასებლობის მიზეზი კარგად ახსნა არისტოტელემ, მაგრამ დიდი ფილოსოფოსი ტრაგიკოსზე ერთი საუკუნით გვიან ცხოვრობდა.

არისტოტელეს წინამორბედი ფილოსოფოსები პოეზიას ღვთაებრივი ნების გამოვლენად თვლიდნენ და მიწიერ სამოსელს მთლიანად აცლიდნენ. ბერძენი თეორეტიკოსების ნააზრევი პასუხობდა ეპოქის ამაღლებულ მოთხოვნებს.

პლატონის დიალოგებში, „სოკრატეს აპოლოგია" „ნადიმი", დიდი ადგილი აქვს დათმობილი პოეზიის ბუნების გარკვევას. ხოლო „იონი" მთლიანად ამ საკითხისადმია მიძღვნილი. „სოკრატეს აპოლოგიაში" პლატონს მოაქვს ასეთი მსჯელობა: პოეტები სიბრძნის წყალობით კი არ ქმნიან, არამედ რაღაც ბუნებრივი ნიჭით და ღვთაებრივი ცეცხლით, მკითხავებისა და წინასწარმეტყველების მსგავსად. ისინი მრავალ კარგს ამბობენ, მაგრამ საერთოდ არ იციან იმის შესახებ, რასაც ამბობენ... ამავე დროს მე შევნიშნე, რომ თავიანთი პოეტური ნიჭის გამო, ისინი თავიანთ თავს ადამიანთა შორის ბრძენთა-ბრძენებად თვლიან, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის (სოკრატეს აპოლოგია, 22 c).

„იონში" სოკრატე თავის შეხედულებების დამტკიცებას ცდილობს. მისი აზრით, პოეტური შემოქმედება „ღვთაებრივი ძალის" მეშვეობით სრულდება, ძირითადი როლი ეკისრება „ღვთაებრივ აღმაფრენას". აღმაფრენა გონების ნაყოფი არ არის, მოდის ღმერთიდან. თავისი თვალსაზრისის ნათელსაყოფად სოკრატეს ასეთი მაგალითი მოაქვს: ბევრი სუსტი პოეტის მრავალი უნიჭო თხზულებათა შორის, გამოირჩევა ერთი, რომელთანაც ამ პოეტს არავითარი კავშირი არ აქვს, იგი მიღწეულ იქნა ღმერთისა და მუზების წყალობით. ფილოსოფოსი კონკრეტულ პიროვნებას ასახელებს: ტინიხოს ხალკიდელს. სოკრატეს სიტყვებით, ამ პოეტს არაფერი შეუქმნია ღირსეული, ერთი პეანის გარდა, რომელსაც ყველანი მღერიან. ის თითქმის უმშვენიერესია ყველა საგალობელთა შორის. როგორც თვითონ ლაპარაკობს, ეს იყო უბრალოდ „მუზების მიგნება". სოკრატე ეთანხმება პოეტს და ასკვნის: აქ, ჩემი აზრით, ღმერთმა ყველაზე ნათლად გვიჩვენა, რომ არაადამიანურად მშვენიერი ეს ქმნილებანი ადამიანებს არ ეკუთვნით, ისინი ღვთაებრივნი არიან და ღმერთების საკუთრებას წარმოადგენენ. პოეტიც სხვა არაფერია, თუ არა ღმერთების ნების განმმარტებელი. თითოეული შეპყრობილია იმ ღმერთით, რომელიც მასზე ბატონობს. ეს რომ დამტკიცდეს, ღმერთმა განგებ იმღერა უმშვენიერესი სიმღერა უსუსტესი პოეტის ენით (იონი, 534 e).

სოკრატე აგრძელებს: მუზა აძლევს პოეტს ღვთაებრივ აღმაფრენას. ეპიკოსი პოეტები ქმნიან თავიანთ მომხიბვლელ პოემებს არა ხელოვნების წყალობით, არამედ მხოლოდ აღმაფრენის მდგომარეობაში. პოეტები გვიხსნიან, რომ ისინი დაფრენენ, როგორც ფუტკრები და მოაქვთ თავიანთი სიმღერები, რომლებსაც მუზების თაფლოვან ბაღებში აგროვებენ. „და ისინი ამბობენ სიმართლეს: პოეტი — ესაა არსება მსუბუქი, ფრთოსანი და ღვთაებრივი. მას შეუძლია შექმნას მხოლოდ მაშინ, როცა აღმაფრენა ეწვევა". პოეტები ცოდნით კი არ ქმნიან, არამედ „ღვთაებრივი ძალით". თუ მათ ხელოვნების წყალობით შეუძლიათ კარგად ლაპარაკი ერთზე, მაშინ უნდა შეეძლოთ ყველა დანარჩენის შესახებაც. მაგრამ ამისათვის ღმერთი მათართმევს გონებას და აქცევს თავის მსახურებად, ღვთაებრივ მქადაგებლებად და წინასწარმეტყველებად, რომ ჩვენ, ვუსმენთ რა მათ, ვიცოდეთ, რომ არა ისინი, რომელთაც გონება წართმეული აქვთ, ლაპარაკობენ ასე ძვირფას სიტყვებს, არამედ ლაპარაკობს თვით ღმერთი და მათი მეშვეობით გვაწვდის თავის ხმას" (იონი, 534 h).

პლატონის შეხედულება პოეზიის ღვთაებრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის შესახებ ბერძნულ აზროვნებაში გაბატონებული თვალსაზრისი იყო. მასში პოეტური გენიის დამამცირებელს არ ხედავდნენ და ღვთაებრივი ძალმოსილება საამაყო საზომად მიაჩნდათ. „ყველაფერი, რასაც პოეტი ღვთაებრივი შთაგონებით წერს, მშვენიერია“, ასე ხსნიდნენ საიდუმლოს ძველი ბერძნები. მათთვის მუსიკა და პოეზია განუყოფელი იყო და მშვენიერების უმაღლეს საფეხურზე ავანებდნენ. პითაგორას მიმდევრების აზრით, მუსიკა და პოეზია, ადამიანის აღზრდის საქმეში ასრულებდა „სულის განმწმენდის“ როლს. ყველაზე ნათლად ეს საკითხი გამოკვეთა პლატონმა დიალოგში „ნადიმი“. დიალოგის ერთი ეპიზოდი ეძღვნება სოკრატესა და დიოტიმას საუბარს. განათლებულმა ბერძენმა ქალმა დიოტიმამ, მუსიკისა და პოეზიის დამოკიდებულება ისე განმარტა, რომ ელინური აზროვნების კანონმდებელმა სოკრატემ, მისი თვალსაზრისი სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნია.

დიოტიმას შეხედულებების უსიტყვოდ მიღება იმაზე მიუთითებს, რომ ბერძნული სამყაროს კულტურის ცენტრის, ათენის ინტელიგენციის, გაგება მუსიკისა და პოეზიის ზებუნებრივ ძალაზე, მხოლოდ მის პრივილეგიას არ წარმოადგენდა. შემოქმედის როლი ერთნაირად ესმოდათ: სოკრატეს, მანტინეელ დიოტიმას, სიცილიელ ბერძნებს.

ამაღლებული იდეებით საზრდოობდა ბერძნული სამყარო. ელინური მონათმფლობელური საზოგადოება არაადამიანურ დაუნდობლობასთან ერთად, მშვენიერების მსახურადაც აცხადებდა თავს. იგი ყოველთვის ორ პოლუსზე იდგა და ორივეს დამახასიათებელ ნიშნებს ამჟღავნებდა. კონკრეტულ სიტუაციაში, სიცილიელებმა და კავნოსელებმა, მათ ბედს მინდობილი ადამიანები, ორი, ერთმანეთის გამომრიცხავი არჩევანის წინაშე დააყენეს: მშობლიურ ქალაქში დაბრუნება ვისაც სურს ევრიპიდეს უნდა იცნობდეს, ვისაც ეს ბედნიერება არ აქვს, დარჩეს მონობის უღელში. ოდნავი წაფორხილებაც კი მეორე უკიდურესობას გარდუვალს ხდიდა. სანაცვლოდ რა მოითხოვეს? ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ კულტურული აღზრდის ისეთი განძი, რაც შეიძლება ყველა ადამიანს არ გააჩნდეს: პოეზიის სიყვარული.

მშვენიერების ხილვით აღტაცების მრავალი ფაქტია დაცული ბერძენ და რომაელ ავტორებთან, მაგრამ პლუტარქეს აღწერილი მოვლენა, თავისი შინაგანი სიწმინდით, აღემატება სილამაზის ნებისმიერ ზეიმს.

ათენელი ტყვეები სიცილიელ მონათმფლობელებს უმღეროდნენ და უკითხავდნენ ნაწყვეტებს ევრიპიდეს ტრაგედიებიდან. მუსიკა და პოეზია უფრო მისაწვდომი იყო ორივე მხარისათვის. თითქმის ანალოგიურად მოექცნენ ლტოლვილებს კავნოსშიც. სიცილიაშიც და კავნოსშიც არჩევანი თანამედროვე პოეტზე შეაჩერეს. ჰომეროსის ან სხვა უკვდავებაში გადასული პოეტის ცოდნა, როგორც ჩანს, ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა. გამოცდისათვის ორიგინალური სახის მიცემის მიზნით, ისეთი პოეტი დაუსახელეს, რომელსაც ცხოვრება და მოღვაწეობა ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა. ამის მიუხედავად, ევრიპიდეს დამფასებლები მრავლად აღმოაჩნდა. როდის მოხდა კავნოსში აღწერილი ამბები უცნობია, მაგრამ ერთი რამ უდავოა, ფაქტი ევრიპიდეს სიცოცხლეში უნდა მომხდარიყო. სიცილიის ამბები კი კარგადაა ცნობილი. ათენის ფლოტი სიცილიაში განადგურდა ძვ. წ. აღ. 418 წელს. ამ დროისათვის ევრიპიდე 70 წელს მიღწეული თუ გადაცილებული იყო.

პელოპონესის ომმა ათენის მონათმფლობელური დემოკრატია კრიზისში მოაქცია. ქვეყანაში გამეფდა საყოველთაო გულგრილობა. სახალხო კრება საეჭვო მიზნების პოლიტიკურ მოღვაწეთა იარაღად გადაიქცა.

პელოპონესის ომი თვითმკვლელობის ასოციაციას იწვევს. ორად გაყოფილი ელადა საკუთარ თავს აღუდგა. ბერძნული სამყარო არესის ქურუმთა საზეიმო ასპარეზად იქცა. აბჯარასხმულმა სიტლანქემ თავის ნებას დაუმორჩილა ყოველგვარი სიწმინდე და სილამაზის ამაღლებული გრძნობა. ძალა ნებივრობდა მუზებისა და ნიმფების ლეგენდარულ საუფლოში.

პელოპონესის ომი ტიტანების ეპოქა იყო. ადამიანები, რომელთა ნიჭის ნაყოფი მომდევნო საუკუნეებს კაშკაშა სხივებით ანათებდა, მოირამ თავისი ნების მსახურებად აქცია: ანაქსაგორა და სოკრატე, სოფოკლე და ევრიპიდე, ჰეროდოტე და თუკიდიდე, პერიკლე და ალკიბიადე, ფიდიასი, დემოკრიტე და არისტოფანე, ახალგაზრდა პლატონი და ქსენოფონტი. ჩამოთვლილი სახელების დიდება ეყოფოდა ნებისმიერი ხალხის ისტორიას მისი არსებობის მთელ მანძილზე და უზრუნველყოფდა მის უკვდავებას.

ომის დროს დაიწყო შეტევა ავტორიტეტების დასამხობად. დემოკრატიამ არ დაინდო თავისი აღიარებული ბელადი პერიკლე. ფილოსოფოს ანაქსაგორას ურწმუნობა დასწამეს და სამშობლოდან გააძევეს. ფიდიასს სახელმწიფო ქონების მითვისება დააბრალეს (ცილისწამების თანახმად, მან თითქოს მოიპარა ქალღმერთ ათენას ქანდაკებისათვის გამოყოფილი ძვირფასი ლითონები), მაგრამ ვერ დაუმტკიცეს. ბოროტებამ უკან არ დაიხია, მოქანდაკეს დანაშაულად ჩაუთვალეს ათენას ფარზე, სხვა ფიგურათა შორის, საკუთარი თავისა და პერიკლეს გამოსახვა. ფიდიასი საპყრობილეში ჩასვეს. სერიოზული წინააღმდეგობა აღიმართა, თავისი დროის უგანათლებულესი ქალის, ასპაზიას წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშეც. პერიკლემ დიდი ბრძოლით შეძლო მისი დახსნა.

ბრძოლამ უფრო მკვეთრი ხასიათი მიიღო პელოპონესის ომის ბოლო ეტაპზე. საერთო არეულობაში განსაკუთრებით გამოირჩევა ალკიბიადეს თავს დატეხილი ტრაგედია შინაურმა უთანხმოებამ, ქვეყნის საკეთილდღეოდ შემართულ სარდალს კორიოლანუსის ბედი არგუნა.

დევნა-შევიწროებასა და სასჯელს ვერ გადაურჩნენ სოკრატე და ევრიპიდე. დემოკრატიამ ფილოსოფოსს სიკვდილი გადაუწყვიტა. ისიც საოცარი სიმშვიდით შეხვდა განაჩენს. ევრიპიდე თავის პრინციპებს ემსხვერპლა მაკედონიაში. ორივეს სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. თანამედროვეებმა თავისი დროის გამოჩენილ ადამიანებს თაყვანისცემის უკვდავი ძეგლი დაუდგეს.

ევრიპიდე ჯილდოებით არ იყო განებივრებული, მაგრამ ყველა ჯილდოს აღემატებოდა იმ ფორმით გამარჯვება, მას რომ არგუნეს. სიცილიელებმა ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვების გარდა, მოწინააღმდეგის დაძლევის ისეთი იარაღი გამოიყენეს, რომლის წინაშეც ნებისმიერი წარმატება უფერულია. მათ აღზევებულის მკაცრი და უხეში კანონები გვერდზე გადადეს და პოეზიის მუზას უკვდავი საგალობელი უმღერეს. სიცილიელთა გამარჯვება აღემატება უძლეველ დამპყრობთა სისხლიან მდინარეებსა და მიწასთან გასწორებულ ქალაქებს. თითქოს უმნიშვნელო ნაბიჯით, უცნობმა ადამიანებმა დროებით დაივიწყეს მიწიერი ცხოვრების უარყოფითი მხარეები და პოეზიის ღირსეული დაფასებით დაამარცხეს ეპოქა. მათ სულში დაისადგურა ხელოვნების ამაღლებულმა განცდამ და ყოველდღიურ ლხინსა და ჭირზე გამარჯვებულის სამოსელით წარუდგნენ მომდევნო საუკუნეებს.

ტყვეობიდან თავდახსნილი ათენელები ევრიპიდეს ეახლნენ. როგორც ღვთაების ტაძარში მუხლმოდრეკით შესული მორწმუნენი, ისე წარუდგნენ პოეტს და მადლობა მოახსენეს, რომ მისი პოეზიის წყალობით დააღწიეს თავი მონობას. ტრაგიკოსისათვის სამადლობელი სიტყვების მოსმენა იქნებოდა ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე. პოეტს უნდა ერწმუნა, მისი შემოქმედება არა მარტო სულიერად ამაღლებდა ბერძნებს, არამედ განსაცდელის ჟამს, მხსნელის როლში მოვლენაც შეეძლო. დიდებისათვის ეს ერთი ფაქტიც საკმარისი იყო.

ბერძნულ მონათმფლობელურ იდეოლოგიაში გაბატონებული თვალსაზრისით, მონობა ბარბაროსთა ხვედრი იყო. ელინები მონობისათვის შეუფერებლად თვლიდნენ თავს. როგორ უნდა შერიგებოდნენ ამ იდეის მქადაგებელი ათენელები საკუთარ ბედს, როდესაც მონის დაღით გაუყენეს ქვისსამტეხლოების გზას? ისინი იმ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომელსაც ქედმაღლურად უყურებდნენ. ხსნა არ ჩანდა, განგებამ მათ წინააღმდეგ გააერთიანა მიწა და ზეცა. დამარცხებულმა პასუხი უნდა აგოს, მოიმკოს ის, რაც დათესა. მაგრამ საბედისწერო უფსკრულის პირას მისულ ათენელებს გვერდით დაუდგა ევრიპიდე და ვისაც ოდესმე გონების ვარჯიშისათვის დრო დაეხარჯა დახმარების ხელი გაუწოდა და ბეწვის ხიდზე უშიშრად გაიყვანა.

განსაკუთრებული იყო მონობიდან გათავისუფლების გზა. ეს გზა ორივე მხარის მაღალ კულტურაზე მეტყველებს. ჩამორჩენილი და გაუნათლებელი გამარჯვებული ასეთ მოთხოვნებს ვერ წაუყენებდა დამარცხებულს, და ისიც ვერ დაიცავდა თავს. მონობის მძიმე უღლით სასოწარკვეთილი ათენელებისათვის სიცილიელთა წინადადება ღვთაებრივი წყალობა იყო. ეს იყო სინათლის წამიერი გაელვება პელოპონესის ომით დაბნელებულ ელადის ცაზე.

სიბრძნემ გაიმარჯვა ძალაზე. გონებამ, მართალია დროებით, თავისი უპირატესობა დაამტკიცა. გამარჯვებულთა ნაბიჯს თავის გამოჩენის წყურვილი არ ამოძრავებდა. მას საფუძვლად ედო ელინთა სულში დასადგურებული მშვენიერებისაკენ სწრაფვის იდეა. ბერძნები ტრაგიკულ სიტუაციაშიც ცდილობდნენ ამაღლებული დასასრულის მოძებნას.

ელინთა გაგებით ბედისწერა გარდუვალი იყო. ტრაგიკული ნაბიჯი გადადგა პრიამოსმა, მაგრამ ტროას დანგრევა ვერ აცილა. ღმერთებმა გადაუწყვიტეს ოდისევსს ოცი წელი უცხოეთში ხეტიალი. ღვთის ნებით აღსრულდა ოიდიპოსის ცოდვა... ბედისწერის მახვილის ბოროტ შემოტევას ელინური გენია ამაღლებული ქმნილებებით იგერიებდა და მისი სულის „ღვთაებრივი ძალის" წყარო ხდებოდა.

ბერძნული ქანდაკება საოცრად ახლოს დგას ლიტერატურასთან. ხელოვნების ეს ორი დარგი, გამომსახველობის საკუთარი ფორმებით, ასახავენ აპოლონისადმი ბერძენთა დამოკიდებულებას. ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლები, უამრავი გიგანტომახიები და ამაზონომახიები, ლაოკოონი. თითოეული ცალკე აღებული არის ტრაგედია ქვაში. ბერძნული ლიტერატურა და ხელოვნება მითოლოგიით სულდგმულობდა. ელინური გენიის უმაღლესი ქმნილებანი უკვდავ ღმერთებსა და მოკვდავ ადამიანებს, მსგავსი ნიშნებით გამოხატავდა. ძველი ხალხებისათვის დაუძლეველი ზღუდე ყველაზე ადრე ელინელებმა გადალახეს და ამიტომაც დაიმკვიდრეს მომდევნო საუკუნეების მასწავლებელთა სახელი.

ბერძენი ახალგაზრდობა სილამაზის გარემოცვაში იზრდებოდა. ანტიკური ხელოვნების უპირველესი შემფასებლის ი. ვინკელმანის აზრით, ელადაში ბატონობდა სილამაზის კულტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ულამაზესი ბერძენი ქალი, ფრინა, ელევსინის თამაშების დროს, ყველა ელინის თვალწინ დედაშობილა ბანაობდა და წყლიდან ამოსვლისას მხატვრებისათვის იქცეოდა ვენერა ანადიომენად.

ფრინას სიშიშვლე, ხორციელი გზნების აღმძვრელად არ ჰქონდათ მიჩნეული. იგი ღვთაებრივ სამოსელში იყო გახვეული. ბერძენთა წარმოდგენით, სამოსელშემოცლილი სილამაზე ყველამ უნდა იხილოს, რომ ღვთაების ჭვრეტის საფეხურებზე ამაღლდეს. მშვენიერება ეროტიულ ცეცხლს აქრობს და მისი ხილვა ღმერთთან მიახლოვების ტოლფასია. ძველმა ბერძნებმა ღვთაება მიწაზე ჩამოიყვანეს და სილამაზის ქალღმერთი აფროდიტე, ელადის ყველაზე მომხიბვლელი ქალის სახით იხილეს

ფრინა დიდი პრაქსიტელის შთაგონების წყარო იყო. პავსანიასი პრაქსიტელის მრავალ აფროდიტეს აღწერს, სადაც ხელოვანს, ფრინას გარეგნობა ჰქონდა გამოქანდაკებული. დიდმა მხატვარმა ღვთაების მიუწვდომელ სილამაზეს მიწაზე მიუძებნა სწორი, ღმერთიც განადიდა და ზღაპრული გარეგნობით შემკული ქალიც უკვდავყო..

სიცილიის ქალაქ ეგესტის მცხოვრებლებმა, კროტონის მოქალაქეს ფილიპეს ძეგლი დაუდგეს. ჰეროდიტეს სიტყვებით, ფილიპეს ასეთი პატივი მიაგეს იმიტომ, რომ იგი თავისი დროისათვის ყველაზე ლამაზი იყო ელინთა შორის.

ლამაზი პიროვნება ესწრაფოდა თავისი გარეგნობის დემონსტრირებას. განსაკუთრებით ცდილობდნენ მხატვართა მოწონებას, რადგან ისინი აწესებდნენ სილამაზის პრიზებს, ეწყობოდა კონკურსები. ადრეულ ხანაში სილამაზის კონკურსი დააწესა არკადიის მეფე კიფსელოსმა.

სილამაზის კონკურსები იმართებოდა საბერძნეთის ყველა მხარეში. განსაკუთრებით ხშირი იყო მეტოქეობა ქალებს შორის. ბერძნებს სწამდათ, რომ პრიზების წყალობით, შეიძლებოდა ლამაზი ბავშვების დაბადება.

. სილამაზის თაყვანისცემას ადასტურებს სპარტელი ქალების მოქმედება. ისინი თავიანთ საწოლებში ტოვებდნენ ნირევსის, ნარცისის, გიაცინტის ფიგურებს, რომ ლამაზი შვილი ჰყოლოდათ.

ძველი ბერძნული სიმღერის თანახმად, მთავარია ორი სურვილის შესრულება. აქედან. პირველია ჯანმრთელობა, ხოლო მეორე სილამაზე.

ყოველივე მაღალფარდოვანება უფერულად გამოიყურება იმ სულიერ ამაღლებასთან კლასიკური პერიოდის საბერძნეთმა რომ შექმნა. ხელოვნებითა და ლიტერატურით გატაცება ელინთა გარეგნული პოზა არ ყოფილა. აპოლონი თავისი მომხიბვლელი თანამგზავრებით. ბერძენის მუდმივი მხლებელი იყო კავკასიონიდან ჰერკულესის სვეტებამდე. თვით მრისხანე ღმერთებსაც ბერძენის ფანტაზია ულამაზესი ქალისა და მამაკაცის სახით წარმოიდგენდა.

მრავალ ბერძნულ სასწაულთა შორის განსაკუთრებული ჰეროვნებით გამოირჩევა ევრიპიდესადმი სიცილიელების უსათუთესი თაყვანისცემა. პელოპონესის ომის ტრაგიკულ ხანაში, მათ სულში დასადგურებულმა „ღვთაებრივმა ძალამ“ დაამარცხა საუკუნე და ულამაზესი ჰიმნი უმღერა თითქოს მიძინებულ პოეზიის მუზას. უბრალო ადამიანებმა მატერიალურ ღირებულებაზე გაიბატონეს სულიერი სიწმინდე.

მშვენიერების ზღაპრულ სამყაროში გადასული სიცილიელები წაგება-მოგების პრინციპზე ამაღლდნენ. მატერიალური ზარალის მიუხედავად, თავისუფლება მიანიჭეს ყველას, ვისაც ევრიპიდეს პოეზია ესმოდა და ამით მარადიული ძეგლი აღუმართეს სულიერი სილამაზის სრულყოფას. დიდმა მწერალმა პლუტარქემ, გაკვრით აღწერილი ეპიზოდით, დავიწყებას გადაარჩინა ძველ ბერძენთა სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი საოცრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აბდურახმან ავტორხანოვი

# სტალინის სიკვდილის საიდუმლო

ყოველივე ამან ბერია მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ სტალინისათვის მიეცა წინადადება დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

ამ წინადადების მიცემისა და, მითუმეტეს, მისი განხორციელების გზაზე რამდენიმე სერიოზული დაბრკოლება იდო, რომელთა გადაულახავადაც სტალინი უძლეველი რჩებოდა. ასეთი დაბრკოლება იყო სტალინის „შიდა კაბინეტი" გენერალ პოსკრებიშევის მეთაურობით, მისი პირადი დაცვა, რომელსაც სათავეში ედგა გენერალი ვლასიკი და კრემლის კომენდატურა გენერალ კოსინკინის ხელმძღვანელობით.

ბერიას კარგად ესმოდა, რომ სტალინის პოლიტიკურ ლეშად ქცევა შეიძლება მხოლოდ სტალინის ამ ერთგულ მსახურთა გვამებზე გადავლით.

იყო ორი სხვა პრობლემაც: პირველი, სად შეეთავაზებინათ სტალინისთვის გადადგომა — კრემლში, მოსკოვთან მდებარე აგარაკზე თუ შავი ზღვისპირეთის აგარაკზე (როგორც ეს შემდეგ ხრუშჩოვს გაუკეთეს); მეორე, ვინ შეეყვანათ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთაგან „დელეგაციაში", რომელიც სტალინს ამ მისიით ეწვეოდა.

ცნობილი იყვნენ ის პირები, ვინც არ წავიდოდა სტალინთან ასეთი მოთხოვნით: მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, — ისინი ჯერ წავიდოდნენ სტალინთან ძველი, პირადი ურთიერთობისა და ასევე სიმხდალის გამო. პრეზიდიუმის ახალი წევრებიც გამორიცხული იყო, რადგან არსებობდა საშიშროება, რომ რომელიმე მათგანი გასცემდა მთელ გეგმას. დარჩნენ ისინი, რომლებსაც ხრუშჩოვმა უწოდა ახალი ბიუროს მმართველი „შიდა წრე". ამ „წრეში" სტალინის გარდა შედიოდნენ „ოთხეულის" წევრები: ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი და ბულგანინი, და კიდევ ამ ოთხეულის მომხრე იგნატიევი. ბედისწერის ირონიით სტალინი მხოლოდ მათ უშვებდა თავისთან.

ხრუშჩოვის ნაამბობს ადასტურებს ალილუევას მოგონებებიც: „ბოლო დროს სტალინთან აგარაკზე იკრიბებოდნენ: ბერია, მალენკოვი, ბულგანინი, მიქოიანი, და ხრუშჩოვი. 1949 წლიდან, ცოლის დაპატიმრების შემდეგ, მოლოტოვი ფაქტიურად მოწყვეტილი იყო საქმეებს და სტალინის ავადმყოფობის დროსაც კი არ მოუწვევიათ" („ოცი წერილი მეგობარს", გვ. 192).

სტალინისათვის გადადგომის შესახებ წინადადების მისაცემად უსაფრთხო ადგილი მოსკოვიდან მოშორებული საქართველოს შავი ზღვის სანაპირო იყო, მაგრამ „მეგრელთა საქმის" შემდეგ სტალინი აღარ ენდობოდა თავის თანამემამულეებს და საქართველოში არ ჩადიოდა. ალილუევა წერს: „ბოლო დროს ის განსაკუთრებით განმარტოვდა: 1951 წლის შემოდგომაზე იგი უკანასკნელად ეწვია სამხრეთს" (იქვე, გვ. 190). ამგვარად, სამხრეთი გამოირიცხა. დარჩა კრემლი და აგარაკი მოსკოვის მახლობლად. კრემლი ხელსაყრელი იყო ლეგალურობის თვალსაზრისით, როგორც მთავრობისა და პარტიის რეზიდენცია. ყველა ლეგალური აქტი აქ უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ თუ სტალინი უარს იტყოდა გადადგომაზე, ღილაკზე თითის ერთი დაჭერით მას შეეძლო განგაში აეტეხა არა მარტო კრემლში, არამედ მოსკოვსა და მთელ სახელმწიფოშიც კი: კომუნიკაციები აქ იდეალური იყო. ასე რომ კრემლიც გამოირიცხა. ახლა რჩებოდა მხოლოდ სტალინის აგარაკი კუნცევოში.

კუნცევოც არა ნაკლებ საშიში იყო, მაგრამ ეს მანამდე, სანამ კარგად ფუნქციონირებდა სტალინის „შიდა კაბინეტი". თუ ამ კაბინეტს მოაცილებდნენ, სტალინი მათ ხელში აღმოჩნ-

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 1, 2, 3, 4, 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა. — ასეთი იყო ბერიას გეგმაც. სტალინისთვის უნდა ჩამოეშორებინათ პირადი ექიმი და პირადი დაცვის უფროსი, პირადი კაბინეტის უფროსი და მისი წარმომადგენელი კრემლში — კრემლის კომენდანტი. ამის გაკეთება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ სტალინის მეშვეობით, ბერია ასეთი საქმეების დიდოსტატი გახლდათ.

თუმცა პირდაპირი მტკიცებები არ გვაქვს, ეჭვს არ იწვევს, რომ სწორედ ბერიას ხელმძღვანელობით მოიპარეს პოსკრებიშევის ბიუროდან სტალინის საიდუმლო დოკუმენტები; ამ ფაქტს აღნიშნავს ხრუშჩოვი (ხრუშჩოვის მოგონებები, გვ. 292-298).

როგორც ჩანს, ბერიამ მოახერხა პოსკრებიშევისთვის მოეპარა ძალიან მნიშვნელოვანი საიდუმლო დოკუმენტი. უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მისი ეკონომიკური ნაშრომი იყო, რომლის შესახებაც გვამცნობს ხრუშჩოვი.

სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა სტალინის განცხადება: „მე ვამხილე პოსკრებიშევი საიდუმლო მასალების დაკარგვაში. სხვა ამას ვერავინ გააკეთებდა. საიდუმლო დოკუმენტების მოპარვა პოსკრებიშევის ხელშეწყობით მოხდა. მან გასცა საიდუმლო“ (იქვე, გვ. 292). სტალინმა სასწრაფოდ მოხსნა პოსკრებიშევი, თუმცა ვერ მოასწრო მისი დახვრეტა.

კიდევ უფრო იოლად მოხერხდა სტალინის განწყობა გენერალ ვლასიკის წინააღმდეგ. როგორც პროფესიონალი ჩეკისტი, იგი მთლიანად ბერიას ხელში იმყოფებოდა. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ მან ამდენი ხნის განმავლობაში შეინარჩუნა სტალინის კეთილგანწყობა. როგორც ჩანს შეუძლებელი იყო მისი გამოყენება სტალინის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, შესაძლებელი აღმოჩნდა სტალინის პროვოცირება მის დასაპატიმრებლად, რაც გააკეთა კიდეც ბერიამ. ალილუევა წერს: „უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს მამასთან ყველაზე უფრო დაახლოებული ადამიანებიც ვერ გადაურჩნენ მის რისხვას. უცვლელი ვლასიკი დააპატიმრეს 1952 წლის ზამთარში, ამ პერიოდშივე მოხსნეს სტალინის პირადი მდივანი პოსკრებიშევი, რომელიც 20 წლის მანძილზე ემსახურა მას („ოცი წერილი მეგობარს“, გვ. 192).

„1952 წლის ზამთარში“ — ე. ი. ეს მოხდარა დეკემბერში, რადგან 1952 წლის ოქტომბერში პოსკრებიშევი ცკ-ის წევრად აირჩია XIX ყრილობამ. აქვე დავამატებთ: პოსკრებიშევის, ვლასიკის და მათი თანამშრომლების ადგილები დაიკავეს ადამიანებმა, რომლებიც იგნატიევის მეშვეობით წამოაყენა: „ოთხეულის“ „შიდა წრემ.“

სერიოზული საფუძველი არსებობს, ვიფიქროთ, რომ სტალინის პირადი ექიმი ვინოგრადოვი და კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს უფროსი ეგოროვიც ბერიას გეგმის თანახმად დააპატიმრეს. როგორც ჩანს, ამავე გეგმით მოხსნეს სსრკ ჯანდაცვის მინისტრი სმირნოვი, რომელსაც სტალინთან ჰქონდა კავშირი (მის ნაცვლად დანიშნეს პარტიაში ყველასათვის უცნობი, მაგრამ ბერიასათვის კარგად ნაცნობი ექიმი ტრეტიაკოვი).

კომინტერნის ერთ-ერთმა მოღვაწემ, ფრანც ბორკენაუმ კრემლის ექიმთა დაპატიმრებების გამო გამოთქვა მოსაზრება: სტალინის პირადი ექიმების დაპატიმრება ნიშნავს შეთქმულებას თვით სტალინისა და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგ (მალენკოვის ხელმძღვანელობით). მათ სურთ სტალინს თავიანთი ექიმები მიუჩინონ, რათა გადაწყვიტონ მისი ბედი („Rhenischer Merkur“, 23 იანვარი 1953 წ).

დღეს უკვე დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აკადემიკოს ვინოგრადოვის ჯგუფის ექიმები დააპატიმრეს ბერიას მომხრის — ექიმ ტიმაშუკის დაბეზღების საფუძველზე, მაგრამ სტალინმა ეს დაპატიმრებები თვით ბერიას წინააღმდეგ წარმართა. იგი ექიმებს (როგორც ბერიას) „ინგლისის ჯაშუშებად“ აცხადებდა. „ინგლისის ჯაშუშად“ მიიჩნევდა იგი ბერიას, მარშალ კონევის დაბეზღებით (ხრუშჩოვის მოგონებები, გვ. 305).

ექიმთა საქმეზე სტალინის რეაქციის შესახებ იგონებს მისი ეკონომისტი ვალენტინა ვასილევნა. იგი აღნიშნავს, რომ ექიმთა დაპატიმრების შემდეგ, ამ თემაზე სტალინთან ერთ-ერთი სადილობისას საუბარში მონაწილეობდნენ ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი და ბულგანინი.

ალილუევა წერს:

„ექიმთა საქმე“ მიმდინარეობდა სტალინის ცხოვრების უკანასკნელ ზამთარში. ვალენტინა ვასილევნა მოგვიანებით მიყვებოდა, რომ მამაჩემი ძალიან შეწუხებული იყო მოვლენათა ამგვარი განვითარების გამო. ვასილევნამ მოისმინა ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა. მამას უთქვამს, რომ არ სჯერა მათი „უპატიოსნება,“ რომ ეს შეუძლებელია, — დამსწრენი, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში — დუმდნენ...“ („ოცი წერილი მეგობარს,“ გვ. 192).

ალილუევა ფიქრობს, რომ ვალენტინა ვასილევნა იცავს მამამისს, მაგრამ ამატებს: „და მაინც უნდა მოვისმინოთ მისი ნაამბობი და მისგან ჭეშმარიტების მარცვლები ამოვკრიფოთ, რადგან იგი მამასთან იმყოფებოდა ბოლო 18 წლის მანძილზე, მე კი იშვიათად ვხვდებოდი მას“ (იქვე).

შეეძლო კი სტალინს, დაეშვა, რომ ბერია მის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა?

მას არა მარტო შესაძლებლად მიაჩნდა ასეთი რამ, არამედ ძალიან ფრთხილობდა კიდეც ომის შემდგომ. აი, ხრუშჩოვის ნაამბობი:

„ომის შემდეგ ბერია პოლიტბიუროს წევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა და სტალინი ღელავდა მისი სულ უფრო და უფრო მზარდი გავლენის გამო. უფრო მეტიც: სტალინს ეშინოდა მისი. მე მაშინ არ ვიცოდი, რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ მოგვიანებით, როცა მთელი ძალით ამუშავდა ბერიას მანქანა ადამიანთა გასაჟლეტად, ყველაფერი გაირკვა. სტალინის მიზნების განხორციელების პრაქტიკული საშუალებანი ბერიას ხელში იყო თავმოყრილი. სტალინმა გააცნობიერა, რომ თუ ბერიას შეუძლია გაანადგუროს ნებისმიერი ადამიანი, რომელზედაც იგი მიუთითებს, მას ასევე შეუძლია მოსპოს ნებისმიერი ადამიანი საკუთარი შეხედულებისამებრ. სტალინს ეშინოდა, რომ პირველი ასეთი ადამიანი, რომელსაც ბერია შეარჩევდა, თვითონ იქნებოდა". (ხრუშჩოვის მოგონებები, გვ. 335).

ისტორიაში ცნობილი ყველა ტირანი ეჭვიანი, მშიშარა იყო და ირგვლივ მუდამ საფრთხე ელანდებოდა. ამიტომ ისინი შეიმუშავებდნენ ხოლმე ურთულეს წესებს, რათა უზრუნველეყოთ პირადი უსაფრთხოება: იგონებდნენ სხვა და სხვა მეთოდებს, რათა შეემოწმებინათ გარშემომყოფთა ერთგულება. ის, რასაც ადამიანები „დევნის მანიას" უწოდებენ, მათთვის იყო საიმედო იარაღი შესაძლებელი შეთქმულების წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით სტალინმა გაუსწრო ყველა თავის წინამორბედს. უპირველეს ყოვლისა, სტალინმა პოტენციურ შეთქმულებს წაართვა ანგარიშსწორების ყველაზე ხელსაყრელი დრო — ღამე. ეს იყო ისტორიაში ერთადერთი ტირანი, რომელიც ღამე არ იძინებდა. იგი ან მუშაობდა, ან თანამებრძოლებთან ერთად ატარებდა დროს თავის აგარაკზე. სტალინი დასაძინებლად წვებოდა დილის 4-5 საათზე და დგებოდა დღის 11-12 საათზე. მთელი გიგანტური სახელმწიფოებრივი და პარტიული მანქანაც მუშაობის ამ რეჟიმს იყო შეგუებული.

სტალინი იყო ერთადერთი ხელისუფალი, რომელიც არ ცხოვრობდა მისთვის ოფიციალურად გამოყოფილ რეზიდენციაში — კრემლში. მთელი ქვეყანა ფიქრობდა, რომ სტალინი ცხოვრობს კრემლში, ყოფილი სენატის შენობის სამოთახიან ბინაში, რომელიც აღწერა ანრი ბარბიუსმა. სინამდვილეში კი იგი ცხოვრობდა გარე სამყაროსაგან იზოლირებულად. მის აგარაკს, როგორც ციხე-სიმაგრეს გარს ერტყა მაღალი ღობე — ეს გახლდათ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „უახლოესი აგარაკი" კუნცევოში.

დიახ, ისტორიაში არც ერთი ტირანი არ ყოფილა ისეთ უხიფათო გარემოცვაში, როგორშიც პოსკრებიშევისა და ვლასიკის მიერ დაცული სტალინი იმყოფებოდა და არც ერთ ტირანს არ ჰყოლია ისეთი ერთგული თანამებრძოლები, როგორც სტალინს (ამიტომ იყო, რომ გაუნათლებელი მზარეულები გენერლები ხდებოდნენ, ხოლო პირადი მცველები, ბოლოს და ბოლოს მინისტრებად გადაიქცეოდნენ ხოლმე — აბაკუმოვი, მერკულოვი, კრუგლოვი).

სტალინთან მიღებაზე მოხვედრის დადგენილი წესი, როგორც მინისტრებისთვის, ისევე პოლიტბიუროს წევრებისთვის, უბრალოდ, შეურაცხმყოფელი იყო, — ყველას, ვინც სტალინთან შედიოდა, თანამდებობისა და წოდების მიუხედავად, ჩხრეკდა სტალინის პირადი დაცვა.

ვარშავის პაქტის ჯარების უფროსი ს. მ. შტემენკო იგონებს: „კრემლში, როგორც წესი, შედიოდნენ ბაროვიცკის ჭიშკრით და სსრკ უმაღლესი საბჭოს შენობის გვერდის ავლით შეუხვევდნენ ე. წ. „მოსახვევში," სადაც სტალინის ბინა და სამუშაო ოთახი იყო.

პოსკრებიშევის კაბინეტის გავლით შედიოდნენ სტალინის პირადი დაცვის შენობაში და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მასთან მოხვედრა" (ს. მ. შტემენკო. „გენერალური შტაბი ომის წლებში". მოსკოვი. სამხედრო გამომცემლობა, 1968, გვ. 117).

თუ რამდენად მკაცრი იყო სტალინის დაცვა, კარგად ჩანს ერთი ეპიზოდიდან, რომელიც მოლოტოვს უკავშირდება. ერთხელ, როცა მოლოტოვი მნიშვნელოვანი ვიზიტის შემდეგ ლონდონიდან ბრუნდებოდა, აეროდრომიდან პირდაპირ კრემლისკენ გაემგზავრა, რათა სტალინისთვის მოეხსენებინა ვიზიტის შედეგები. დაცვამ მოლოტოვს იარაღი უპოვა და არცთუ მთლად თავაზიანად ჩამოართვა. მოლოტოვმა სტალინს შესჩივლა, მაგრამ სტალინმა გაამართლა თავისი დაცვა (Victor Alexandrov, Kremlin, London. 1963, გვ. 322).

ასეთივე მკაცრი იყო პირადი დაცვა სტალინის აგარაკზეც. ერთმა საბჭოთა მწერალმა აღწერა სტალინის აგარაკზე ხრუშჩოვის ერთ-ერთი ვიზიტი (ამ ნაწარმოებში ხრუშჩოვი ზაგრადინის გვარით არის წარმოდგენილი.):

„მოსკოვის ჩრდილო დასავლეთით... მარცხენა მხარეს ახალი ტყის ხშირი მასივი გადაჭიმულა. იგი მიიწევს პატარა მთის წვერისკენ. შემდეგ ლარტაფში ეშვება და მწკრივებად მიემართება კუნცევოსაკენ. გზიდან გადადის და სიმწვანეში შედის სწორი, მოასფალტებული გზატკეცილი. იგი თითქმის ყოველთვის უკაცრიელი იყო, რადგან საგზაო მოძრაობის ნიშნები კრძალავდნენ აქ შესვლას. ტყის შუაგულში მაღალი ღობე ფარავდა ორსართულიან მწვანე სახლს — სტალინის აგარაკს. თებერვლის ერთ გვიან საღამოს ამ გზატკეცილზე გამოჩნდა შავი მანქანა, რომლითაც მგზავრობდა ზაგრადინი. ნახევარი საათის წინ ის სასტუმროში გააფრთხილეს, რომ არხად გასულიყო. შემდეგ ნომერში ორი ახალგაზრდა ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუმრა. ზაგრადინს ისინი ადრეც უნახავს. მაგრამ მათი ვინაობა არ იცოდა.

— მზად ხართ, ამხანაგო მდივანო? — იკითხა ერთმა მათგანმა და თვალის ერთი შევლებით შეათვალიერა იგი... მალე ავტომანქანა შეჩერდა მახიურ ჭიშკართან, რომელშიც გამოჭრილი იყო პატარა გასაღები. კარებიდან გამოვიდა ორი ოფიცერი. მათ ჯიბის ფანრით გაანათეს მანქანა და დიდხანს ათვალიერეს ზაგრადინის პირადობის მოწმობა. შემდეგ შავი „ზიმი" შევიდა ჭიშკარში, გაიარა კიდევ ერთი მაღალი ღობე და ტყის გრძელი დერეფნის ბოლოში მარცხნივ გაუხვია. ერთ-ერთმა გამცილებელმა ბრაზიანად ჩაილაპარაკა: ვერაფრით შევეჩვიე ამ ეშმაკის მოსახვევს. ნეტა ვის მოუვიდა აზრად აქ ვირაჟი მოეწყო?

მეორემ ჩაიცინა:

— რომ იცოდე, ვისი ბრძანებით გაკეთდა ეს... და დაბალი ხმით თქვა: აგარაკი შორიდანვე ჩანდა, განა ეს გამოდგებოდა? მოსახვევიც ამიტომ მოიფიქრეს.

მანქანა სადარბაზოსთან შეჩერდა. ფანჯრებში სინათლე არ ჩანდა, მაგრამ ამას არ შეუშფოთებია ზაგრადინის გამცილებლები. მათ იცოდნენ, რომ მძიმე ფარდები სინათლეს არ ატარებდნენ. შესასვლელთან მანქანას ორი ოფიცერი ელოდებოდა. მათაც ყურადღებით შეამოწმეს საბუთები და მხოლოდ ამის შემდეგ გააღეს შესასვლელი კარი.

— ამხანაგი სტალინი სასადილო ოთახში გელოდებათ. მომყევით! — წითელსახიანმა გენერალმა კარისაკენ ანიშნა და წინ გაუძღვა... გაიარეს მცირე დერეფანი და დიდ კართან შედგნენ. ზაგრადინი მსუბუქად მიაბიჯებდა მსუბუქ ნოხზე და როგორღაც მძაფრად გრძნობდა ამ სახლში გამეფებულ სიჩუმეს. ვერაფერი. ვერც უცხოთა ხმა, ვერც ქარის ხმაური და ვერც ადამიანთა სიცილი ვერ აღწევდა აქ" (ნ. სიზოვი. მძიმე წლები. „ოქტომბერი", № 4. 1984 წ. გვ. 101-102).

ხრუშჩოვი იგონებს, რომ სტალინის მომსახურე პერსონალისა და დაცვის შერჩევაში ბერიაც მონაწილეობდა. იყო დრო, როცა ბერიამ სტალინის დაცვა მხოლოდ ქართველებისაგან შეადგინა, მაგრამ სტალინს თვალში მოხვდა ბერიას ეს საქციელი და უსაყვედურა, რომ ბერია მხოლოდ ქართველებს ენდობოდა, მაშინ, როცა რუსები მისი არანაკლებ ერთგულნი იყვნენ. ბერიას ჩუგავლენა სტალინის ახალ დაცვაზეც საკმაოდ დიდი იყო. ხრუშჩოვი შენიშნავს: „ბერია ქართველთა გაძევების შემდეგაც უწევდა კონტროლს სტალინის დაცვას. მან დიდხანს იმუშავა ჩეკაში და ყველა ჩეკისტს იცნობდა. ისინი ბერიას კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდნენ და ბერიასთვის იოლი იყო საკუთარი მიზნებისთვის მათი გამოყენება. ამიტომ სტალინი არც თავის რუსულ ამალას ენდობოდა ბოლომდის" (ხრუშჩოვის მოგონებები, გვ. 336).

თუმცა სანამ „შიდა კაბინეტის" სათავეში პოსკრებიშევი იდგა, ხოლო დაცვას ხელმძღვანელობდა ვლასიკი, ბერიასთვის არც ისე იოლი იყო სტალინის დაცვის გამოყენება „თავისი მიზნებისთვის." მაგრამ სტალინი წამოეგო პროვოკაციას და „შიდა კაბინეტი" დაშალა. ეს პირდაპირ თვითმკვლელობას უდრიდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ოთხეული" იმას, რომ პოსკრებიშევის ადგილი დაეკავებინა ადამიანს, რომელიც სტალინს მოწყვეტდა გარე სამყაროს და სწორ ინფორმაციას ისე, რომ თავადაც არ ეცოდინებოდა, რატომ უნდა გაეკეთებინა ეს (შეთქმულებს ასეთი შემსრულებლები მრავლად ჰყავდათ).

პოსკრებიშევის თანამდებობა შემდეგ დროებით დაიკავა „კაბინეტის" უფროსმა — ვლადიმერ ნაუმის ძე ჩერნუხამ, 1918 წლიდან პარტიის წევრმა და სამამულო ომის აქტიურმა მონაწილემ. იგი ციმბირელი იყო და თავისი კარიერა პოსკრებიშევთან ერთად უფაში დაიწყო. „სტალინის სამდივნოში" ჩერნუხა პოსკრებიშევმა მოიყვანა 1925 წელს. ჩერნუხა ლოიალური, მაგრამ მაინც „კანცელარიის თაგვის" ჯიშის შეზღუდული აპარატისტი იყო. პოსკრებიშევის როლში ასეთი კაცი არ გამოდგებოდა. სხვა კი სტალინის გვერდით არავინ იყო. ამიტომ სტალინმა გადაწყვიტა, ეპოვა თავისი ახალი თანაშემწე ცკ-ის გარეთ. სტალინის „კაბინეტის" ახალ ხელმძღვანელს ნებისყოფისა და ერთგულების გარდა მოეთხოვებოდა პარტიულ-ჩეკისტური მანქანის ფუნქციონირების ყოველმხრივი ცოდნა, სამხედრო დისციპლინა, საფუძვლიანი თეორიული მომზადება. ასეთი კაცი მალე მოიძებნა: სკკპ ლენინგრადის ქალაქკომის პირველი მდივანი ვლადიმერ ნიკიფორის ძე მალინი. მალინს ფართო კავშირები ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში მას კარგად იცნობდნენ სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრები: ანდრიანოვი, პონომარენკო, იგნატიევი, მალენკოვი და ბერია.

მალინი იმ მალენკოველებს ეკუთვნოდა, რომლებიც პარტიის აპარატში „დიდი წმენდის" შემდეგ მოვიდნენ. ორმოციან წლებში მალენკოვმა იგი ბელორუსიის ცკ-ის მდივნად წამოაყენა, ხოლო ომის პერიოდში ჯერ სამხედრო საბჭოს წევრად დანიშნეს, გენერლის წოდებით, შემდეგ კი უმაღლეს მთავარსარდლობასთან არსებული პარტიზანული ცენტრალური შტაბის უფროსის თანაშემწედ (შტაბის უფროსი იყო პონომარენკო).

ადვილი შესაძლებელია, რომ ამ თანამდებობაზე ყოფნისას მალინი უშუალოდ უკავშირდებოდა სტალინს პარტიზანული საქმეების გამო. ასევე უეჭველია, რომ თავისი სამსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებრივი მოვალეობით მას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ბერიასთანაც. ომის შემდეგ იგი პონომარენკოსა და იგნატიევთან ერთად დაინიშნა ბელორუსიის ცკ-ის ერთ-ერთ მდივნად. 1948 წელს, როცა პონომარენკო სკკპ ცკ-ის მდივნად დანიშნეს, მალინმა გამოთქვა ცკ-თან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილი. 1949 წელს მან ვადაზე ადრე დაამთავრა ეს სასწავლებელი და მიიღო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ჟდანოველთა განადგურების პირველივე წელს მალენკოვმა ლენინგრადში გააგზავნა თავისი ყველაზე ერთგული ხალხი: ანდრიანოვი საოლქო კომიტეტის, ხოლო მალინი ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. აი, ამ თანამდებობიდან გადაინაცვლა მან პოსკრებიშევის ადგილზე 1952 წლის ბოლოს. რა თქმა უნდა, მას არ გააჩნდა პოსკრებიშევის რეპუტაცია, მაგრამ საკმაო ძალაუფლება ჰქონდა იმისთვის, რათა შეესრულებინა მისთვის მინდობილი საქმე, — ზუსტად მოეხსენებინა მალენკოვისთვის სტალინის ყოველი ბრძანება და ყოველი მოძრაობა. იგი საკმაოდ გონიერი იყო იმისთვის, რათა ამ პირობებში დამოუკიდებლად მუშაობის პრეტენზია არ გასჩენოდა.

როგორც კი სტალინმა გამოაქვეყნა ცნობილი სტატია კრემლის ექიმთა დაპატიმრების შესახებ, დიქტატორის ჩანაფიქრზე ყოველგვარი მკითხაობა შეწყდა. ახლა, პოლიტბიუროს წევრებიდან დაწყებული და რიგითი საბჭოთა მოქალაქით დამთავრებული, ყველა ელოდა „უარეს ვარიანტს“: „წმენდა მძაფრი, ყოვლისმომცველი, დაუნდობელი“, რომელიც, როგორც 1937 წელს, ციხეებსა და ბანაკებს აავსებდა პატიმრებით და საიქიოში გაგზავნიდა მილიონობით ადამიანს, რათა სტალინს კიდევ უფრო უშიშრად ეგრძნო თავი აგარაკ-ციხე-სიმაგრეში. სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შეუქმნა ზავრაჟინ-ხრუშჩოვს კუნცევოში სტალინის აგარაკ-სიმაგრის ნახვამ.

და თუ ეს არ მოხდა, თუ ასობით ადამიანი გადაურჩა სიკვდილს, თუ მილიონობით ადამიანი არ აღმოჩნდა საკონცენტრაციო ბანაკებში, ეს სტალინის შემდეგ საბჭოთა კავშირში ყველაზე საძულველი ადამიანის — ბერიას დამსახურებაა.

## სტალინის ბოლო დღეები

იმ საბედისწერო დღეს — 1953 წლის 13 იანვარს — სტალინმა გამოაქვეყნა „ტასის ქრონიკა“ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს „ექიმების ტერორისტული ჯგუფი“, რომლის მიზანიც იყო, მავნებლური მკურნალობით შეემოკლებინათ აქტიური საბჭოთა მოღვაწეთა სიცოცხლე. სწორედ ამ პუბლიკაციამ შეუმოკლა სტალინს დღეები.

იმის გასაგებად თუ რა, როგორ და რატომ მოხდა, ჯერ უნდა გავარკვიოთ: რითვის დასჭირდა სტალინს „ექიმთა საქმე“? ამ კითხვაზე ნათლად და მისთვის უჩვეულო წინდაუხედაობით სტალინმა თვითონვე გასცა პასუხი ამავე 13 რიცხვში გამოქვეყნებულ სტატიაში, „საზიზღარი ჯაშუშები და მკვლელები პროფესორ-ექიმთა ნიღაბში“. სტატიას ხელს არავინ აწერდა, მაგრამ ენისა და სტილის სპეციფიკური ნიშნები, არგუმენტაციის მანერა ცხადყოფს, რომ მისი ავტორი თვით სტალინი იყო.

„ქრონიკაში“ ნათქვამია, რომ „ექიმ-მავნებელთა“ ჯგუფი ორი სადაზვერვო სამსახურის დავალებით მუშაობდა: ამერიკული (პროფესორ-ექიმები მ. ს. ვოვსი, ბ. ბ. კოგანი, ა. ი. ფელდმანი, ა. მ. გრინშტეინი, გ. ი. ეტინგერი, გ. ი. მაიოროვი) და ინგლისური (აკადემიკოსი ვ. ნ. ვინოგრადოვი, პროფესორ-ექიმები მ. ბ. კოგანი, პ. ი. ეგოროვი). ყველა დაპატიმრებული, გარდა ვინოგრადოვისა და ეგოროვისა, ებრაელი აღმოჩნდა.

შეთქმულთა პირველი ჯგუფის ყველა ებრაელი „ჩართულია“ ამერიკული სადაზვერვო სამსახურის საქმეებში ებრაელთა საერთაშორისო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციის „ჯოინტ“-ის მეშვეობით.

„ჯოინტი“ საქველმოქმედო ორგანიზაციის სახელს არის ამოფარებული. ვინოგრადოვის ჯგუფის წევრები „ინგლისის დაზვერვის ძველი აგენტები აღმოჩნდნენ.“

„ქრონიკა“ გვამცნობდა, რომ ექიმებმა აღიარეს, ცკ-ის მდივნების ჟდანოვისა და შჩერბაკოვის მავნებლური მკურნალობით მოკვლის ფაქტი, რომ მათ ასევე სურდათ მოეკლათ მარშალი ვასილევსკი, გოვოროვი და კონევი. „ქრონიკა“ აღნიშნავდა, თითქოს ვოვსმა ძიებას გაანდო, რომ „ჯოინტ“-ის ხიონისტებისაგან მიღებული ჰქონდა დირექტივა „საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი კადრების განადგურების შესახებ“ (მიაქციეთ ყურადღება, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მარშლები — ჟუკოვი და ბულგანინი, ასევე პარტიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწეები — მალენკოვი, ბერია, ხრუშჩოვი — არ არიან შესაძლებელ მსხვერპლთა შორის).

სტალინი რომ ამ ქრონიკით დაკმაყოფილებულიყო, შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ ეს მორიგი ანტისემიტური აფეთქებაა და „ექიმთა საქმე“, უბრალოდ, ახალი ვარიანტია „სიონისტთა საქმისა“. მაგრამ სტალინმა „პრავდის“ მეწინავეში დროზე ადრე (და ამიტომ, წინდაუხედავად) გახსნა კარტები; ექიმთა საქმე დაემსგავსა თვით პოლიტბიუროს წევრთა საქმეს.

სტალინის მდიდარი კრიმინალური ფანტაზია „ექიმთა საქმეში“ უჩვეულოდ ღარიბი აღმოჩნდა: მან მექანიკურად ამოიღო არქივიდან ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას საქმე, რომლებთანაც ერთადაც გაასამართლეს კრემლის „ექიმ-მავნებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლთა ჯგუფი (პროფესორ პლეტნევის, მედიცინის დოქტორის ლევინის, მაქსიმოვისა და კაზაკოვის), ძველი სახელები ახლით შეცვალა და პოლიტბიუროს მოდერნიზებული ბრალდება შეაპარა.

უფრო მეტიც, სტალინმა ხელახლა გამოიყენა თავისი პოლიტიკური ფილოსოფია სოციალიზმის პირობებში კლასებისა და კლასთა ბრძოლის, „მემარჯვენე ოპორტუნისტთა“ და „ხალხის მტრების“ შესახებ, რომლებიც „სოციალიზმის“ წარმატებების კვალდაკვალ მრავლდებიან.

მან ექიმები აიძულა ეღიარებინათ მკვლელობები (პლეტნევმა, ლევინმა, მაქსიმოვმა, კაზაკოვმა აღიარეს, რომ საზღვარგარეთის დაზვერვის დავალებით მოქმედებდნენ და მავნებლური მკურნალობით მოკლეს პოლიტბიუროს წევრი კუიბიშევი, ცკ-ის წევრი მენჟინსკი და „პროლეტარული“ მწერალი მაქსიმ გორკი).

სტალინი იმდენად დააბრმავა პოლიტბიუროზე შურისძიების წყურვილმა ან იმდენად დასუსტდა გონებრივად, რომ ვეღარ ამჩნევდა, როგორ კერავდა ახალ შავ საქმეს ძველი, თეთრი ძაფით:

„ხალხის გარკვეული ნაწილი ფიქრობდა, რომ უკვე მოხსნილია მავნებლობის, ჯაშუშობის საშიშროება,.. მაგრამ ასე ფიქრობენ მხოლოდ „მემარჯვენე ოპორტუნისტები“, რომლებიც იზიარებენ ანტიმარქსისტულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ კლასობრივი ბრძოლების დრო გასულია. მათ არ ესმით, რომ ჩვენს წარმატებებს მივყავართ ბრძოლების არა ჩაქრობის, არამედ გამწვავებისაკენ, რომ რაც უფრო ძლიერი იქნება ჩვენი წინსვლა, მით უფრო გამძაფრდება ხალხის მტრების ბრძოლა“ („პრავდა“, 1953 წ. 13 იანვარი).

ვინ არიან ეს ანონიმური „მემარჯვენე ოპორტუნისტები“? რა თქმა უნდა, არც კოლმეურნენი და არც „ექიმ-მავნებელნი“, არამედ მთავრობის წევრები და სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელები, რომლებიც, როგორც „მემარჯვენე ოპორტუნისტები“ ბუხარინი, რიკოვი და იაგოდა, იოლად შეიძლება ჩეკისტური ტყვიის მსხვერპლად ვაქციოთ.

სტალინი პირდაპირ მიანიშნებდა „ხალხის მტრების“ მისამართს:

1. „ზოგიერთმა საბჭოთა ორგანომ და მათმა ხელმძღვანელებმა მოადუნეს სიფხიზლე, დოყლაპიობით დასნეულდნენ“: 2. „სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დროულად ვერ აღმოაჩინეს ექიმთა შორის ტერორისტული ორგანიზაცია“.

სტალინი არ უფიქრდება, რომ ექიმების საბრალდებო ხაამზე დასმით უცვლელად იმეორებს ძველ ტრიუკს. ის მათ მავნებლურ საქმიანობას თითქმის კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს:

„ისტორიამ იცის მაგალითები, როცა ექიმთა ნიღაბში საზიზღარი მკვლელები მოქმედებდნენ, ლევინისა და პლეტნევის მსგავსად, რომლებმაც საბჭოთა კავშირის მტრების დავალებით მოკლეს დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები: კუიბიშევი და მენჟინსკი“.

ლევინი მაშინ სტალინის პირადი ექიმი იყო, როგორც ამჟამად ვინოგრადოვი. ორივეს სტალინის მოკვდინება სურდა „მემარჯვენე ოპორტუნისტთა“ დავალებით, რომლებიც უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში იმყოფებიან. სტალინი ცოცხალი დარჩა მხოლოდ თავისი სიფრთხილის წყალობით, ხოლო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებმა ვერც მაშინ (იაგოდას დროს) და ვერც ამჟამად (ბერიას ხელმძღვანელობით) ვერ აღმოაჩინეს „ექიმთა შორის ტერორისტული ორგანიზაცია.“

რატომ?

იაგოდამ იმიტომ, რომ „მემარჯვენე ოპორტუნისტი“ და „ხალხის მტერი“ აღმოჩნდა, ხოლო თუ რატომ დარჩა უყურადღებოდ ექიმთა ორგანიზაცია ბერიას, ამის დადგენა სტალინს ახლა სურს,

სტალინი თავის სტატიას მრისხანე გაფრთხილებით ასრულებდა:

„საბჭოთა ხალხი აღშფოთებასა და რისხვას გამოხატავს მკვლელთა და მათ უცხოელ მბრძანებელთა ბანდების წინააღმდეგ. საძაგელ დაქირავებულებს, რომლებიც დოლარებსა და სტერლინგებზე გაიყიდნენ, იგი გაჭყლეტს, როგორც უხსენებელს. რაც შეეხება ამ დაქირავებული მკვლელების სულის ჩამდგმელთ, მათ შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შურისძიება არ დაივიწყებს მათ და იპოვის მათთან მისასვლელ გზას, რათა თავისი მკაცრი სიტყვა უთხრას“ („პრავდა,“ იქვე).

ეს — ეყოვშინისდროინდელი ენაა, როცა სტალინმა „იპოვა გზა“ ლევინისა და პლეტნევის „სულის ჩამდგმელებისაკენ“ და დახვრიტა პოლიტბიუროს ნახევარი და ცკ-ის წევრთა 70%.

ბერიამ, მალენკოვმა, ხრუშჩოვმა და ბულგანინმა, რომ არაფერი ვთქვათ მოლოტოვზე, ვოროშილოვზე, მიქოიანზე და ანდრეევზე, მშვენივრად იცოდნენ ეს ენაც და ისიც, რომ თუ სტალინი კიდევ რამდენიმე თვეს დარჩებოდა ხელისუფლების სათავეში, ისინი განწირულნი იყვნენ. ეს აღინიშნა სკკპ XX ყრილობაზეც.

„გავიხსენოთ „ექიმ-მავნებელთა საქმე.“ სინამდვილეში არავითარი „საქმე“ არ არსებობდა, თუ არ ჩავთვლით ექიმი ქალის ტიმაშუკის განცხადებას, რომელზედაც გავლენა მოახდინეს ან, უბრალოდ, უბრძანეს (იგი სახელმწიფო უშიშროების არაოფიციალური თანამშრომელი იყო), სტალინისათვის მიეწერა წერილი... ექიმთა დაპატიმრების შემდეგ ძალიან მალე პოლიტბიუროს წევრებმა მიიღეს ოქმები, რომლებშიაც ექიმები აღიარებდნენ თავიანთ დანაშაულს. საქმე ისე წარიმართათ, რომ არავის შეეძლო იმ ფაქტების შემოწმება, რომლებსაც ძიება ეყრდნობოდა... როცა სტალინის სიკვდილის შემდეგ გადავათვა-

ლიერეთ ეს საქმე, მივედით დასკვნამდე, რომ ის თავიდან ბოლომდე გამოგონილი იყო. ეს სამარცხვინო „საქმე" სტალინის შექმნილი გახლდათ, მაგრამ მისი ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა), ისე, როგორც თვითონ ჰქონდა წარმოდგენილი" (ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ XX ყრილობის დახურული სხდომის მოხსენება, გვ. 44).

როგორ წარმოედგინა სტალინს ამ საქმის დასასრული? ამ კითხვის პასუხი ერთმნიშვნელოვანია: „სტალინი, როგორც ჩანს, მთელი ძველი პოლიტბიუროს განადგურებას აპირებდა..." გადაწყვეტილი იყო „მომავალში გაენადგურებინათ პოლიტბიუროს ძველი წევრები" (იქვე. გვ. 58).

80 წლის დაგვიანებით პოლიტბიურომ საიდუმლო არქივში მოიძია ლენინის „ანდერძი", სადაც იგი წინადადებას იძლეოდა გენმდივნობიდან სტალინის გადაყენების შესახებ, რადგან მიაჩნდა, რომ იგი ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებდა.

„სტალინის ამ უარყოფითმა თვისებამ... მისი სიცოცხლის ბოლო წლებში მეტისმეტად აუტანელი ხასიათი მიიღო", — აღნიშნავდა პოლიტბიურო (იქვე, გვ. 8).

და აი, როცა პოლიტბიურო დარწმუნდა, რომ სტალინს ყველას მოსპობა სურს და რომ იგი „მეტისმეტად აუტანელი" გახდა, გადაწყვიტეს მისთვის წაეყენებინათ ულტიმატუმი არა მარტო ექიმთა საქმესთან დაკავშირებით, არამედ მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებაც. ამის გაკეთება შეეძლოთ მხოლოდ მათ, ვისაც ჯერ კიდევ ჰქონდა რეალური ძალაუფლება — ბერიას, მალენკოვს, ხრუშჩოვს, ბულგანინს, არმიას (ჟუკოვს, მოსკალენკოს, სოკოლოვსკის, ერიომენკოს) და პოლიციას (იგნატიევს). მათ მიერვე პროვოცირებულმა „შიდა კაბინეტის" დამხობამ საშუალება მისცა მათ ასეთი ულტიმატუმის წაყენებისა. ეჭვსგარეშეა, რომ შეთქმულთა ხელმძღვანელი ბერია იყო.

ცოტა ხნით მივუბრუნდეთ სტალინისა და ბერიას ურთიერთდამოკიდებულებას. ჩვენ უკვე გაგაცანით ხრუშჩოვის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ აფრთხობდა სტალინს ბერიასაგან შეთქმულების მოწყობის საშიშროება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ „მეგრელთა საქმე" წარმოადგენდა აქტს ბერიას წინააღმდეგ. ვიცით ისიც, რომ ჩეხოსლოვაკიაში სლანსკის და პოლონეთში გომულკას საქმეს ანტიბერიული სარჩული ედო. და ბოლოს ექიმთა საქმე, უპირველეს ყოვლისა, იყო „ბერიას საქმე".

ამ პირობებში გაოცებას იწვევს, რატომ არ მოექცა სტალინი ბერიას ისევე, როგორც პოლიტბიუროს ძველ წევრებს — მოლოტოვს, ვოროშილოვსა და სხვებს, რომლებსაც უბრალოდ აუკრძალა თავის სახლში მისვლა. ბევრია ხომ სტალინთან შედიოდა ნებისმიერ დროს, როცა კი მოესურვებოდა. ბერია სტალინის ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, ჯერ კიდევ სტალინის ცოლის — ნადეჟდა ალილუევას სიცოცხლეში. მაშინვე აფრთხილებდა სტალინს ცოლი, რომ ბერია თაღლითია. სვეტლანა ალილუევა წერს:

„ეს კაცი ერთნაირად სძულდა და ეშინოდა მისი ყველა ჩვენს ახლობელს. დედა ჯერ კიდევ 29 წელს, როგორც თვით მამისგან ვიცოდი, „აწყობდა სცენებს და თხოულობდა რომ ამ კაცს ფეხი არ შემოედგა ჩვენს სახლში." მამამ ეს მიამბო, როცა წამოვიზარდე, თანაც მიხსნიდა: „მე ვეკითხებოდი — რაშია საქმე? გაქვს რაიმე საბუთი? შენ ვერ მარწმუნებ, ფაქტებს კი ვერ ვხედავ. ის მხოლოდ ყვიროდა: მე არ ვიცი, რა საბუთს მთხოვ, მე ვხედავ, რომ ის თაღლითია. მე მასთან ერთად სუფრასთან აღარ დავჯდები. მაშინ —ვეუბნებოდი მე, — მოსცილდი აქაურობას! ის ჩემი მეგობარია, კარგი ჩეკისტია, ის დაგვეხმარა საქართველოში თავიდან აგვეცილებინა მეგრელთა აჯანყება, მე მისი მჯერა. საბუთი, მე საბუთი მჭირდება" (ოცი წერილი მეგობარს, გვ. 18).

სწორედ ასეთმა საბუთებმა აიძულა სტალინი ბერიაზე წარმოდგენა შეეცვალა. ალილუევა იგონებს, „როგორ გააოგნა მისმა სიტყვებმა," როცა ერთხელ იგი ბერიას ცოლთან დარჩა ღამის გასათევად, „დილას დარეკა განრისხებულმა მამამ, უცენზურო სიტყვებით გამლანძღა და იყვირა: „ახლავე წამოდი სახლში! მე ბერიას არ ვენდობი" (მხოლოდ ერთი წელი, გვ. 327).

ყოველივე ამას ბერია ხედავდა და გრძნობდა: „ბერიას კარგად ესმოდა, რომ მისი სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია" (იქვე, გვ. 325).

მიუხედავად იმისა, რომ სტალინმა შეიცვალა ბერიაზე წარმოდგენა, ერთბაშად მისი მოცილება არ შეეძლო, ამიტომაც გარეგნულად არ ამჟღავნებდა თავის დამოკიდებულებას. სტალინი გახლდათ არა მარტო ბრწყინვალე კონსპირატორი, არამედ ვირტუოზი მსახიობიც. იგი შერჩეული მსხვერპლის ნდობას იმსახურებდა, რათა შემდეგ გამაოგნებელი დარტყმა მიეყენებინა. ასეთი იყო უპირველესი კანონი მისი კრიმინალური ხელოვნებისა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

სტალინი ცდილობს მოიგონოს რაიმე ორიგინალური, რათა შენიღბოს მოფიქრებული გეგმა,, მაგრამ ამჯერად ეს არ გამოდის, იქნებ მისი ამოწურული გამომგონებლობის ერთგვარ კომპენსაციას ემსახურებოდა კუნცევოს ქეიფებში მონაწილეთა „ძმობა", სადაც იგი ბერიას ხაზგასმით აირჩევდა ხოლმე თამადად. კავკასიური წეს-ჩვეულებით ხომ, სანამ ბერია თამადობდა, მას სტალინიც უნდა დამორჩილებოდა.

ერთ-ერთი ასეთი ქეიფი აღწერა ალილუევამ: „სოჭში და კუნცევოში ბოლო წლების სუფრები ხალხმრავალი იყო და ბევრს სვამდნენ. მე ეს რამდენჯერმე ვნახე და მალე მოვცილდი იქაურობას. მამა ცოტას სვამდა, მაგრამ მას სიამოვნებას

ანიჭებდა. როცა სხვები ბევრს ჭამდნენ და სვამდნენ და რუსული ხასიათის თანახმად მალე „გამოდიოდნენ წყობიდან." ერთხელ მამამ ჩვეულებრივზე მეტი დალია და ჯანმრთელობის მინისტრთან სმირნოვთან ერთად ხალხურ სიმღერებს მღეროდა. სმირნოვი ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ ბედნიერებისაგან, არ იცოდა, რა ექნა. მინისტრი ძლივს დააწყნარეს, ჩასვეს მანქანაში და სახლში გაამგზავრეს. ჩვეულებრივ, სუფრის დასასრულს საქმეში ერეოდა სტალინის დაცვა და ვამყავდა ხალხი. ბელადები უხეში ხუმრობებით ართობდნენ თავს. ამ ხუმრობების მსხვერპლნი ყველაზე ხშირად იყვნენ პოსკრებიშევი და მიქოიანი, ხოლო ბერია ოდნავ აქეზებდა მამასაც და სხვებსაც. ერთმანეთს სკამზე პამიდორს უდებდნენ და ხმამაღლა ხარხარებდნენ, როცა ვინმე დაჯდებოდა და გაჭყლეტდა მას. ერთმანეთის ჭიქებში მარილს ყრიდნენ და ღვინოსა და არაყს ურევდნენ. მამა, ჩვეულებრივ, ყალიონს აბოლებდა და ყოველივე ამას მშვიდად უყურებდა, თვითონ ამგვარ ამბებში არასოდეს მონაწილეობდა. როგორც ჩანს, მიქოიანი და პოსკრებიშევი, რომელსაც მამა მუდამ „მთავარს" უწოდებდა, ყველაზე უდრტვინველნი იყვნენ. „მთავარი" უმეტესწილად, უგონოდ მთვრალი მიჰყავდათ სახლში. ასეთივე მდგომარეობაში ხშირად ვარდებოდა ბერიაც, მაგრამ მას პამიდვრის დადებას ვერავინ უბედავდა. მამა მას „პროკურორს" ეძახდა (მხოლოდ ერთი წელი, გვ. 333-334).

„მამა ცოტას სვამდა, მაგრამ მას სიამოვნებას ანიჭებდა, როცა სხვები ბევრს სვამდნენ" — განსაკუთრებით პოსკრებიშევი და ბერია, თითქოს იმიტომ, რომ დარწმუნებულიყო რუსული გამონათქვამის ჭეშმარიტებაში: „რაც ფხიზელს გონებაში აქვს, მთვრალს პირზე აკერია!" იქნებ სტალინს სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა: მთვრალს შეიძლება წამოცდეს ისეთი, რამ, რასაც საჭიროების შემთხვევაში მათ წინააღმდეგ გამოიყენებდა. თუმცა, როგორი მთვრალიც უნდა ყოფილიყო ბერია „მას ვერავინ უბედავდა პამიდვრის დადებას". ზოგჯერ მხოლოდ მამა მსუბუქად თუ დასცინებდა ბერიას. იგი მუდამ ერთსა და იმავე ანეკდოტს იმეორებდა „პროკურორის" მისამართით, რომელიც სხვისგან არავისგან არ მოითმენდა დაცინვას... ანეკდოტი საკმაოდ პირქუში იყო და ჩვეულებრივ არავინ იცინოდა ხოლმე"( იქვე, გვ. 334).

ასეთ შემთხვევაში ბერიასი უფრო უნდა გვეშინოდეს, ვიდრე სტალინისა, რომ მის ხუმრობაზე არ გაიცინო.

ეს ორგიები „უმაღლეს დონეზე", რომლის მთვრალი მონაწილეებიც მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წყვეტდნენ, კარგად ახასიათებს არა მარტო „ბელადთა" მორალურ სახეს, არამედ სტალინის მართვის მეთოდებსაც. იგი ეშმაკობდა, ცრუობდა, მაგრამ „არ ფიქრობდა, რომ თვითონაც შეიძლებოდა მოტყუებულიყო: იგი თავისი სიცოცხლის ბოლო დღემდე ცდილობდა, რომ მისი მოტყუება არავის მოსვლოდა აზრად. ეს მას მანიად ექცა" (იქვე, გვ. 340).

დიახ, სტალინი არ უშვებდა არც იმას, რომ მისი მოტყუება შესაძლებელია და არც იმას, რომ ეს მოხდება მორიგი და მისთვის უკანასკნელი ქეიფის დროს.

სტალინს უყვარდა ყველა თავისი დანაშაულის გამართლება „იდეოლოგიურად". იგი ხან ლენინს მიმართავდა, თუ სათანადო ციტატას უპოვიდა, თუ არა და, თავად იგონებდა ახალ დოგმას. ასეთი იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა კლასებსა და კლასთა შორის ბრძოლის მისეულ კონცეფციას. მაგრამ ლენინი, ისევე, როგორც მარქსი, ისტორიულ პროცესებსა და ადამიანთა საქციელს ხსნიდნენ კლასობრივი ინტერესებით მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში, ხოლო სოციალიზმი ითვლებოდა უკლასო საზოგადოებად (ასეთად გამოაცხადა იგი თვით სტალინმა 1936 წელს), ამიტომ არც ერთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას არ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა კლასობრივი ინტერესები. მაგრამ მაშინ რით უნდა აეხსნათ ის, რომ საბჭოთა კავშირი დღეს და გაღადღეს მილიონობით მავნებლებით, დივერსანტებით, მკვლელებით, რომლებითაც ყოველწლიურად ივსებოდა საკონცენტრაციო ბანაკები. ამას, 13 იანვრის ზემოთ აღნიშნულ სტატიაში სტალინმა თავისი უბრალოებით განმაიარაღებელი პასუხი გასცა: „სსრკ-ში ლიკვიდირებულია ექსპლუატატორული კლასები... მაგრამ შემორჩნენ ბურჟუაზიული შეხედულებებისა და მორალის ადამიანები, — ჩვენი საზოგადოების ფარული მტრები". აი, ამ ადამიანებმა უკლასო საზოგადოებაში შექმნეს კლასი და ებრძვიან სტალინს.

სტალინის ეს თეზისები იდო საფუძვლად „პრავდის" მთელი იანვრისა და თებერვლის იდეოლოგიურ კომპანიას.

18 იანვარს „პრავდამ" დამატებით მოიყვანა რა ეგოვისდროინდელი სტალინის მოსაზრებები კლასებსა და „ხალხის მტრების" შესახებ, მოუწოდა ხალხს ქვეყნის რუსულ ოლქებში „ხალხის მტრები", ხოლო რესპუბლიკებში „ბურჟუაზიული ნაციონალისტები" გამოეაშკარავებინათ.

21 იანვარს იბეჭდება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანება:

„ექიმ-მავნებელთა" ჯგუფებლეკრფაში მთავრობისათვის გაწეული დახმარებისთვის ტიმაშუკი ლიდია თეოდოსიევნა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით." ეს უკვე აშკარა მოწოდება გახლდათ ადგილობრივი საიდუმლო აგენტებისადმი, ანუ ტიმაშუკებისადმი — მოდით, დააბეზღეთ რაც შეიძლება მეტი და თქვენც მიიღებთ ორდენს!

22 იანვარს „პრავდამ" დასტამბა ცკ-ის მდივნის მიხაილოვის მოხსენება ლენინის გარდაცვალების 29-ე წლისთავთან დაკავშირებით. სტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინმა კარგად იცოდა, ვისთვის დაევალებინა ამ ხასიათის მოხსენების დაწერა; მიხაილოვმა არა მარტო მთლიანად გაიმეორა სტალინის 13 იანვრის სტატია, არამედ დაამატა კიდევ რამდენიმე მძაფრი, ჯერ კიდევ ეჟოვშინისდროინდელი სტალინური გამოთქმა.

24 იანვრის „პრავდა“ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, ხალხს დაჟინებით მოუწოდებს სიფხიზლისა და სტალინისადმი მხარდაჭერისაკენ.

31 იანვარს „პრავდაში“ იბეჭდება მეწინავე „აღვზარდოთ მშრომელები მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულით“. სტატიაში მოხსენიებული იყო „ბოლო წლების სასამართლო პროცესები, რომლებიც ბულგარეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში და ასევე საბჭოთა კავშირში გაუმართეს საძაგელ ჯაშუშთა ბანდებს, მავნებლებსა და მკვლელებს“, რითაც ქვეყანას მოუწოდებდნენ „ხალხის ფარული მტრების“ საბოლოო და გადამწყვეტი მხილებისაკენ. გაზეთში მოყვანილი იყო „უცხო ელემენტთა“ გამოაშკარავების მაგალითები უკრაინის სამინისტროების მმართველ ორგანოებში და ლიტველ და ებრაელ „ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა“ შორის „კოსმოპოლიტთა“ გამოაშკარავების ფაქტები ლიტვაში.

8 თებერვალს „პრავდა“ ბეჭდავს ვრცელ წერილს, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ ჯაშუშური ჯგუფების დაპატიმრებების შესახებ სსრკ-ის სხვადასხვა რაიონებში. სტატიაში მრავლად არის საიდუმლო დოკუმენტების მოპარვის მაგალითები (პოსკრებიშევი!), რომლებიც, რატომღაც დაუყოვნებლივ „მტრებისა“ და „მოღალატეების“ ხელში ხვდება.

11 თებერვალს „პრავდის“ ფურცლებზე ლ. ტიმაშუკი მადლობას იხდიდა მოსახლეობის „მრავალრიცხოვანი წერილების, დეპეშებისა და მილოცვებისათვის“ „ხალხის მტრების“ განადგურებასთან დაკავშირებით.

20 თებერვალს „პრავდაში“ დახატულია ლ. ტიმაშუკის „ფსიქოლოგიური“ პორტრეტი, რომელიც ფრანგ ჟანა დ'არკს გვაგონებს. პორტრეტს უბრალო სახელწოდება აქვს: „ლიდია ტიმაშუკის ფოსტა“. „პრავდა“ ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას: „შეუძლია თუ არა უბრალო ექიმს, იმსჯელოს საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსებისა და პროფესორების კვალიფიკაციასა და მკურნალობის მეთოდებზე?

„ავადმყოფის საწოლთან ერთმანეთს შეხვდა ორი თეთრხალათიანი ადამიანი. ერთი, დიდი ხარისხებისა და სახელის მქონე სწავლული და მეორე მეცნიერული ხარისხების არმქონე, მაგრამ ექიმად მუშაობის 20 წლიანი დიდი გამოცდილებით, — ორივეს ერთი და იგივე ანალიზები აქვთ და ორივე ავადმყოფობის ერთსა და იმავე სიმპტომებს ხედავს. მაგრამ ქალი ამჩნევს, რომ დიდი სწავლული არასწორ დიაგნოზს სვამს. — ცრუ დიაგნოზი, არასწორი მკურნალობა და აქედან სიკვდილი! რატომ აკეთებს სწავლული ამას? იქნებ შეცდომასთან გვაქვს საქმე? მაგრამ ხარისხებიან სწავლულს ძალიან დიდი გამოცდილება აქვს იმისთვის, რომ ასე უხეშად შეცდეს. ამასთან იგი, ხელს უშლის მკურნალობის სწორად წარმართვის ყოველგვარ მცდელობას. შეცდომა გამორიცხულია. მაშასადამე ვინ დგას შენს წინაშე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას არ ეყოფა ერთი და ორი საათი, საჭიროა მრავალი საათის დაძაბული, გონებრივი მუშაობა დიდი ცოდნა და საკუთარ სიმართლეში სრული დარწმუნება, და, რაც ყველაზე მთავარია, უნდა ვიყოთ სამშობლოს პატრიოტები და მაშინ ყველაფერი ცხადი იქნება. დიახ, მის წინაშე იდგა მტერი, და არა ერთი, არამედ ბოროტი, ეშმაკი და კარგად შენიღბული მტრების მთელი ჯგუფი. დაიწყო ძნელი, ძალიან ძნელი ბრძოლა. მაღალხარისხიანებს ხომ მაღალი თანამდებობები ეჭირათ და ირგვლივ „თავისი ხალხი“ შემოეკრიბათ. მაგრამ ქალი იბრძოდა ისე, როგორც სამშობლოს მოღალატეებს ებრძვიან — სიკვდილი ან გამარჯვება.“

ამ „პატრიოტი“ ქალის წერილის საფუძველზე დაიწყო სტალინმა „ექიმთა საქმე“. ტიმაშუკმა მხოლოდ ერთ ექიმს — ვინოგრადოვს უჩივლა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს დაბეზღება ბერიას ჭირდებოდა, რათა სტალინისათვის ჩამოეცილებინა კეთილსინდისიერი და ლოიალური ექიმი. სტალინის წინააღმდეგ მოფიქრებულ გეგმებში აკადემიკოსი ვინოგრადოვი ზედმეტი, მართლაც რომ „მავნებელი“ ადამიანი იქნებოდა. ბერიასათვის, სწორედ თავისი კეთილსინდისიერებისა ად ლოიალურობისა გამო. ბერია ემზადებოდა სტალინისთვის თავისი ექიმის მისაჩენად, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. — სტალინი აღარ იკარებდა ექიმებს, იგი სამედიცინო „თვითმომსახურებაზე“ გადავიდა და მხოლოდ პატარა საშინაო აფთიაქით სარგებლობდა. ბერიას ეს, რა თქმა უნდა, არ გაუთვალისწინებია, მაგრამ მას საქმის ასეთი ვითარებაც ხელს აძლევდა, რადგან სტალინი სამედიცინო კონტროლის გარეშე დარჩა.

„მკვლელთა“ წინააღმდეგ ისტორიული კამპანიის ქარცეცხლში მოხდა კიდევ ორი მკვლელობა, რომელიც მაშინ ბუნებრივ სიკვდილს მიეწერა. მაგრამ დღეს უკვე ცნობილია, რომ ამ ორი სიკვდილიდან ერთი სტალინს ჭირდებოდა, ხოლმე მეორე — ბერიას.

17 თებერვალს გაზეთმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ „უდროოდ“ გარდაიცვალა გენერალი კოსინკინი, რომელიც კრემლის კომენდატურას ხელმძღვანელობდა და რომელიც პასუხისმგებელი იყო სტალინის უსაფრთხოებაზე. ამ თანამდებობაზე გენერალი პირდაპირ სტალინის პირადი დაცვიდან გადაიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს. იგი შედარებით ახალგაზრდა, სრულიად ჯანმრთელი. სტალინის ფანატიკურად ერთგული იყო და ბერიასაგან დამოუკიდებელ ადამიანად გრძნობდა თავს. მან ვერ შეაფასა ბერიას შესაძლებლობები და სწორედ ამან გამოიწვია მისი „უდროო" სიკვდილი. მკვლელობა კი, რომელიც ჭირდებოდა სტალინს, ძალიან ბუნებრივად მოხდა. მას ერთგვარი საზეიმო ელფერიც კი დაჰკრავდა, რათა ყველას ეფიქრა, რომ „ადამიანი მოკვდა საბრძოლო პოსტზე". საუბარია ლევ მეხლისის შესახებ.

სტალინი-ტირანის ისტორიული ჩამოყალიბების იდეოლოგიურ ნაწილში მეხლისი ასრულებდა ისეთივე როლს, როგორსაც პოლიციის ხაზით ეჟოვი და ბერია. მეხლისი იყო ცკ-ის ერთადერთი წევრი, რომელსაც შეეძლო ეთქვა: „ლენინის ძველი გვარდიის გვამებზე მე გაუვერი სტალინს გზას ძალაუფლებისაკენ, ასევე მე ვაქციე იგი პარტიის დიად ბელადად და ყველა მეცნიერების კორიფედ". საკმარისია, გადავათვალიეროთ 20-იანი და 30-იანი წლების „პრავდის" კომპლექტი და დავრწმუნდებით, რა წარმატებით ართმევდა თავს ამ საქმეს გაზეთის რედაქტორი მეხლისი.

მადლიერი სტალინი თავის მხრივ ვალში არ დარჩა: წითელი პროფესურის ინსტიტუტის ყოფილი მსმენელი მეხლისი ჯერ რედაქტორის მოადგილედ, შემდეგ კი „პრავდის" მთავარ რედაქტორად დანიშნეს. „დიდი წმენდის" შემდეგ მეხლისი სტალინმა ცკ-ისა და მისი ორგბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა (კოლეგია, რომელიც ხელმძღვანელობდა და პარტიის უმაღლეს კადრებს ანაწილებდა). ომის დროს სტალინმა იგი თავდაცვის სამინისტროს ხაზით თავის მოადგილედ და წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსად დანიშნა. მას გენერალ-პოლკოვნიკის ჩინი უბოძეს (პოლიტბიუროს წევრი ხრუშჩოვი მხოლოდ გენერალ-ლეიტენანტი იყო).

ომის შემდეგ მეხლისი სახელმწიფო კონტროლის მინისტრად დაინიშნა და კვლავ ცკ-ის წევრად აირჩიეს (XIX ყრილობაზე). „სიონისტთა" და „ექიმ-მავნებელთა საქმის" შემდეგ სტალინმა გაიხსენა მეხლისის საყოველთაოდ ცნობილი „დეფექტი" — მეხლისი ებრაელი იყო. სტალინს ანტისემიტის უხეში ლოგიკა კარნახობდა: ებრაელი აუცილებლად სიონისტია. ხოლო სიონისტს შეეძლო დაევალებინა სიონისტი ექიმებისათვის, რომ მოეკლათ მისი ძველი მოწინააღმდეგე და მემკვიდრე, წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი — ა. შჩერბაკოვი, და აი, სანამ „ექიმი-მავნებლები" სასამართლოს ელოდნენ, სტალინმა მეხლისი „საგანგებო დავალებით" გაგზავნა სარატოვში, სადაც იგი ყოველგვარი ხმაურისა და მოწმეების გარეშე დააპატიმრეს. მოსკოვში, ციხის საავადმყოფოში მან მისცა სტალინისთვის მეტად მნიშვნელოვანი ჩვენება. 1953 წლის 13 თებერვალს მეხლისი გარდაიცვალა.

მეხლისი დიდი პატივით დაკრძალეს წითელ მოედანზე. დასაფლავებას ესწრებოდნენ პოლიტბიუროს წევრები, მარშლები, მინისტრები, მაგრამ არ იყო სტალინი. როგორც ჩანს, სტალინმა გადაწყვიტა, რომ ფარისევლობასაც საზღვარი უნდა ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ დროს ავად ნამდვილად არ იყო, რადგან 17 თებერვალს მიიღო ინდოეთის ელჩი კ. მენონი, რომელსაც დიდხანს ესაუბრა. მენონის სიტყვებით, სტალინი, თავისი 73 წლის მიუხედავად, სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებოდა. საუბრის დროს სტალინი ბლოკნოტის ფურცელზე მგლებს ხატავდა და სრულიად მოულოდნელად გამოთქვა აზრი, რომელიც არათუ საუბრის თემას არ ეხებოდა, არამედ „არადიპლომატიურიც" კი იყო. მან, თითქოს კომენტარს უკეთებსო თავის ნახატებს, შენიშნა, რომ გლეხები ბრძნულად იქცევიან როცა ანადგურებენ გაცოფებულ მგლებს! სტალინი, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდა არც თავის სტუმარზე და არც მის შეფზე, სტალინის საყვარელ ხერხზე. იგი „გაცოფებულ მგლებში" პოლიტბიუროს წევრებს გულისხმობდა.

ამ პერიოდის „პრავდა" აგრძელებს პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს დაძაბვას. „პრავდის" 8, 9, 11, 12, 16, 18, 20, 22, 23, 26, 27 თებერვლის ნომრების სტატიები და კორესპონდენციები ამუქებენ „მკვლელების", „ჯაშუშების," „მავნებლების," „ხალხის მტრების" და „ბურჟუაზიული ნაციონალისტების" საქმეებს. გაზეთის არც ერთი პოლიტიკური მოწინავე არ გამოდის ისე, რომ არ მოუწოდოს „სიფხიზლისა" და „ხალხის მტრების" მხილებისაკენ.

„პრავდა" კვლავ ეჟოვშინის პერიოდის რეცეპტებით ქმნის საყოველთაო ჯაშუშომანიის ატმოსფეროს.

28 თებერვალს გვიან საღამოს გამოდის 1 მარტის „პრავდა", სადაც დაბეჭდილია ცკ-ის დადგენილება ქალთა დღესასწაულის — მარტის შესახებ, მაგრამ აქაც ძირითადად „ჯაშუშებზე", „მკვლელებზე," „ხალხის მტრებზე" და „ბურჟუაზიულ ნაციონალისტებზეა" საუბარი.

მეორე დღიდან კი იწყება უცნაური და აუხსნელი რამ: „პრავდა" უცაბედად წყვეტს ყოველგვარი მასალის ბეჭდვას „ხალხის მტრების" შესახებ. უფრო მეტიც, „ხალხის მტრებს" აღარ ახსენებენ აღარც პოლიტიკურ სტატიებსა და კომენტარებში. 2 და 3 მარტის „პრავდის" მოწინავეებში (იბეჭდება სტატიები „სოციალისტური ერების ალორძინება", „უმნიშვნელოვანესი პირობები პროპაგანდის ასამაღლებლად") არ არის არც ერთი სიტყვა „ბურჟუაზიული ნაციონალისტების", „ჯაშუშებისა" და „ხალხის მტრების" შესახებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხალხის მტრების" წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია გადაიდო. გადაიდო, რა თქმა უნდა, არა „პრავდის" რედაქციის გადაწყვეტილებით, არამედ იქ, ზემოთ. მაგრამ ვის შეეძლო გაეკეთებინა ეს? სტალინს? რასაკვირველია, არა. სტალინი ამას არ იზამდა. იგი გადადეს მათ, ვინც 1953 წლის 1 მარტიდან მოყოლებული სტალინის სიკვდილს დარაჯობდა. ამ „მოდარაჯეთა ოთხეულმა" — ბერიამ, მალენკოვმა, ხრუშჩოვმა და ბულგანინმა 1953 წლის 28 თებერვალს მოახდინეს გადატრიალება, რომელიც ოსტატურად შენიღბეს სტალინის ავადმყოფობით, სტალინისა, რომელიც „დროებით" გადადგა ხელისუფლების სათავიდან. „ოთხეულმა" დაუყოვნებლივ დაინაწილა ძალაუფლება სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის გვერდის ავლით, სტალინის დანარჩენ მემკვიდრეებს კი, რომლებიც გადატრიალებაში არ მონაწილეობდნენ, მეორეხარისხოვანი როლები შეხვდათ. „ოთხეულმა" გამოაქვეყნა „სამთავრობო დადგენილება," რომელიც ასე მთავრდებოდა: „ცკ და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო გრძნობს დიდ პასუხისმგებლობას — სტალინის მძიმე ავადმყოფობა რამდენიმე ხნით მოწყვეტს მას სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისაგან. სახელმწიფოსა და პარტიის ხელმძღვანელობაში ცკ და მინისტრთა საბჭო ითვალისწინებენ შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობას, რომელიც სტალინის სახელმწიფოებრივი და პარტიული ხელმძღვანელობიდან გადადგომასთან არის დაკავშირებული" („პრავდა", 4 მარტი, 1953 წ.).

სტალინი ამ დროს კვდებოდა, კვდებოდა ნელ-ნელა, მაგრამ უეჭველად. „მავნებლური მკურნალობის" ყველა წესის დაცვით, რომელიც თვითონვე დასჩხავლა საკუთარ თავს... პირველ „სამთავრობო ცნობაში" იყო სხვა სიცრუეც. იგი იტყობინებოდა, რომ 2 მარტს, ღამით სტალინს სისხლი ჩაექცა თავში, როცა იგი იმყოფებოდა თავის ბინაში მოსკოვში. როგორც მოგვიანებით გაირკვა „სამთავრობო ცნობა" ტყუოდა სტალინის ადგილსამყოფელის მითითებაში, რადგან ეს მოხდა არა მოსკოვში, არამედ კუნცევოში. თუკი ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდა და სტალინის მოწაფეთა სინდისი სუფთაა, მაშინ რატომ დამალეს მისი სიკვდილის ადგილი? რა საჭიროა ცკ-ის და მინისტრთა საბჭოს სახელით ასე უხეშად მოატყუო საკუთარი პარტია და ხალხი, თუ არა იმისთვის, რომ შეიქმნა ალიბი?

პირველი, ვინც ხრუშჩოვისაგან გაიგო, რომ სტალინი მოსკოვში არ გარდაცვლილა, იყო ნიუ-იორკის გუბერნატორი, ომის დროს აშშ-ს ელჩი სსრკ-ში ავერელ ჰარიმანი. მასვე უამბო ხრუშჩოვმა, როგორ დარაჯობდა „ოთხეული" სტალინის სიკვდილს.

ამის შესახებ ჰარიმანი წერს:

„ე. წ. „ექიმთა შეთქმულება", რომელშიაც რამდენიმე ექიმს ზოგიერთი ხელმძღვანელის მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებენ, როგორც ჩანს, სტალინის შეთითხნილი იყო, რათა ახალი „წმენდა" წამოეწყო. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ სტალინის გარშემო მყოფმა ადამიანებმა, რომლებსაც ახალი მასიური ტერორის ეშინოდათ, დაასწრეს და მოკლეს მოხუცი. ხრუშჩოვმა ერთ-ერთ საუბარში მიამბო სტალინის სიკვდილის მისეული ვერსია და მოგვიანებით ამ ნაამბობის გამოქვეყნების უფლებაც მომცა.

სტალინი, როგორც ხრუშჩოვი ყვება, ბოლო წლებში ძალიან ეჭვიანი, დესპოტი და დაუნდობელი გახდა. „იგი არავის ენდობოდა და ჩვენს შორისაც არავის ენდობოდა მას. იგი არ გვაძლევდა სამუშაოს, რომელსაც თვითონ დიდი ხანია თავს ვეღარ ართმევდა. ძალიან გვიჭირდა. ერთხელ, შაბათ ღამეს, მან ქალაქგარეთ სადილზე მიგვიწვია. სტალინი კარგ გუნებაზე იყო და იმ საღამოს კარგად გავატარეთ დრო. შემდეგ სახლებში გავემგზავრეთ. კვირაობით იგი ჩვეულებრივ გვირეკავდა, რათა საქმეებზე გვეთათბირა, იმ კვირას მას არ დაურეკავს, რამაც ძალიან გაგვაკვირვა. ორშაბათ საღამოს კი დარეკა მისი პირადი დაცვის უფროსმა და გვითხრა, რომ სტალინი ავადაა. ჩვენ — ბერია, მალენკოვი, ბულგანინი და მე დაუყოვნებლივ გავემგზავრეთ სტალინის აგარაკზე. სტალინი გრძნობადაკარგული იწვა. ცალი ხელი და ცალი ფეხი პარალიზებული ჰქონდა და ენაც წართმეოდა. ჩვენ სამი დღის განმავლობაში არ მოვცილებივართ, მაგრამ იგი გონზე არ მოდიოდა. შემდეგ ცოტა ხნით დაუბრუნდა ცნობიერება. შევედით მის ოთახში. მსახური კოვზით ასმევდა ჩაის. მან ყველას სათითაოდ ხელი ხელზე მოგვიჭირა და თითქოს გახუმრებას შეეცადა: ცალი ხელით იქვე კედელზე ჩამოკიდებული სურათისკენ გაიშვირა. სურათზე — პატარა ციკანს გოგონა კოვზით აწვდიდა საჭმელს. სტალინმა თითქოს მიგვანიშნა, რომ ახლა ის ამ ციკანივით უსუსური იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გარდაიცვალა. მე ვტიროდი. ჩვენ ყველანი, უპირველეს ყოვლისა, მოწაფეები მისგან ძალიან დავალებულნი ვიყავით".

მე ვკითხე ხრუშჩოვს, თუ შეარჩია სტალინმა თავისი მემკვიდრე? ხრუშჩოვმა უკმაყოფილოდ მიპასუხა: „არა, არავინ არ შეურჩევია. ის ფიქრობდა, რომ მუდამ იცოცხლებდა".

ამ ნაამბობიდან ნათელია:

1. სტალინი მოსკოვში არ გარდაცვლილა (ის გარდაიცვალა თავის აგარაკზე კუნცევოში).

2. სიკვდილის დღეებში სტალინთან იმყოფებოდნენ ბერია, მალენკოვი, ბულგანინი და ხრუშჩოვი. მათ 1953 წლის 28 თებერვლის ღამე სტალინთან სუფრაზე გაათენეს.

3. მხოლოდ 2 მარტის ორშაბათს აცნობა სტალინის დაცვამ „ოთხეულს", რომ სტალინი ავად გახდა; ისინი მივიდნენ მასთან და მთელი სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დღის განმავლობაში მის საწოლთან დარაჯობენ და მშვიდად ელოდებიან მის სიკვდილს.

4. ექიმებზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა.

ამ ვერსიას ხრუშჩოვი შემდეგ ხშირად ყვებოდა. ხრუშჩოვის მოგონებებში ეს ვერსია რამდენადმე უფრო ვრცელია. აქ იგი აღნიშნავს, რომ სტალინი ავად გახდა 28 თებერვალს, მაგრამ ნაამბობის არსი იგივე რჩება. მხოლოდ, როგორც ჩანს, ხრუშჩოვს ვილაცამ უკარნახა, რომ საჭიროა ექიმების აღნიშვნა, თუნდაც ავადმყოფობის მეორე დღეს. ხრუშჩოვის ნაამბობის საბოლოო რედაქციამ ასეთი ხასიათი მიიღო:

„სტალინი ავად გახდა 1953 წლის თებერვალში. მალენკოვი, ბერია, ბულგანინი და მე შაბათ საღამოს ვიყავით მასთან აგარაკზე... როგორც ყოველთვის სუფრა დილის 5-6 საათამდე გაგრძელდა. სტალინი საკმაოდ შეთვრა. იგი კარგ გუნებაზე დავტოვეთ და სახლებში წავედით. კმაყოფილნი იმით, რომ სადილმა კარგად ჩაიარა... დარწმუნებული ვიყავი, რომ მეორე დღეს, კვირას, სტალინი, ჩვეულებისამებრ, გამოგვიძახებდა, მაგრამ მისგან არაფერი ისმოდა. ბოლოს გაისმა ტელეფონის ზარი. მალენკოვი მირეკავდა. მან მითხრა: „მისმინე, ამ წუთში დარეკა დაცვამ სტალინის აგარაკიდან. ისინი ფიქრობენ, რომ სტალინს რაღაც დაემართა. კარგი იქნებოდა მივსულიყავით მასთან. ბერიას და ბულგანინს უკვე ვაცნობე, შენც დაუყოვნებლივ უნდა გამოხვიდე...“ მე სასწრაფოდ ჩავიცვი და სტალინთან გავემგზავრე... 15 წუთის შემდეგ უკვე კუნცევოში ვიყავი. როცა ყველანი შევიკრიბეთ, შევედით მორიგე ოფიცერთან. ოფიცრებმა აგვიხსნეს თუ რატომ ატეხეს განგაში: მათ გვითხრეს რომ სტალინი თითქმის ყოველთვის დილის 11 საათისთვის ვინმეს უხმობს და თხოულობს საუზმეს ან მხოლოდ ჩაის. იმ დღეს მას არავინ გამოუძახებია. დაცვამ სტალინთან გააგზავნა მატრონა პეტროვნა, რათა გაეგოთ, რაში იყო საქმე. ეს გაუთხოვარი ქალი დიდი ხანია სტალინთან მუშაობდა. იგი დიდი ნიჭიერებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ კეთილსინდისიერი და სტალინის ერთგული იყო. სტალინის ოთახიდან დაბრუნებულმა მატრონამ დაცვას აცნობა, რომ სტალინი საწოლიდან გადმოვარდნილა და დიდ ოთახში იატაკზე წევს. დაცვამ უგონოდ მყოფი ავადმყოფი ლოგინზე დააწვინა. როცა ჩვენ ყოველივე ეს მოვისმინეთ, გადავწყვიტეთ, რომ მასთან შესვლა უხერხულია. მისი არაპრეზენტაბელური მდგომარეობის გამო და უკან, სახლებში დავბრუნდით“ (ხრუშჩოვის მოგონებები, გვ. 340-342).

ამ ნაამბობიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა:

1. 28 თებერვალს სტალინთან ქეიფობდა „ოთხეული“;

2. ისინი სტალინის აგარაკიდან წავიდნენ 1 მარტს;

3. იმავე საღამოს სტალინი ძლიერ ავად გახდა (ლოგინიდან გადმოვარდა და თავისით წამოდგომა ვეღარ შეძლო, არ ითხოვდა საჭმელს, დაკარგული ჰქონდა მეტყველების უნარი);

4. „ოთხეულს“ გამოუძახეს 1 მარტის საღამოს, მაგრამ მათ არ მიუმართავთ ექიმებისთვის, უარი თქვეს ავადმყოფის ნახვაზე და სახლებში გაემგზავრნენ.

ხრუშჩოვი განაგრძობს: „გვიან ღამით მალენკოვი ხელმეორედ დამიკავშირდა: „სტალინის დაცვამ კვლავ დარეკა. ისინი ამბობენ, რომ მათი აზრით, იქ ყველაფერი წესრიგში არ არის...“

როცა ჩვენ კვლავ შევაგზავნეთ მატრონა პეტროვნა, რათა სტალინისთვის დაეხედა, მისი ოთახიდან დაბრუნებულმა გვითხრა, რომ სტალინს ღრმა ძილით სძინავს, მაგრამ როგორღაც უჩვეულოდ. გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იყო ჩვენ წავსულიყავით. მალენკოვს კი დავავალეთ, გამოეძახებინა კაგანოვიჩი, ვოროშილოვი და ასევე ექიმები“ (იქვე, გვ. 342).

ბოლოს და ბოლოს გამოიძახეს ექიმებიც!

ექიმებმა სტალინს ტანსაცმელი გახადეს და გადაიყვანეს დიდ სასინებელ ოთახში, სადაც მეტი სინათლე იყო. მათ გვითხრეს, „რომ ასეთი ავადმყოფობა ხანმოკლეა და სიკვდილით მთავრდება,“ — ყვება ხრუშჩოვი.

ვინ იყვნენ ეს ექიმები? მათ არავინ იცნობს, როგორც შემდეგ ვნახავთ, არც ერთ მათგანს არ იცნობს სვეტლანა ალილუევაც. ექიმებს შორის არ არის არა მარტო სტალინის ექიმი ვინოგრადოვი, არამედ არ არიან არც ისინი, ვინც ნორმალურ პირობებში დაუყოვნებლივ უნდა მისულიყვნენ სტალინთან: სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს უფროსი ეგოროვი დაპატიმრებულია ვინოგრადოვთან ერთად, ხოლო ჯანმრთელობის მინისტრი სმირნოვი, რომელიც სტალინის ხშირი სტუმარი იყო, გაქრა სწორედ სტალინის ავადმყოფობის დასაწყისში. მისი ადგილი დაიკავა ტრეტიაკოვმა, რომელსაც საერთოდ არავინ იცნობდა.

დამცინავად გაისმის სტალინის შესახებ ხრუშჩოვის სიტყვები: „ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რათა სტალინი ფეხზე დაგვეყენებინა“, არადა, მისივე ნაამბობიდან ვიცით, რომ „მატრონა პეტროვნასაგან“ სტალინის მძიმე მდგომარეობა რომ გაიგეს, მასთან არც კი შესულან და შინ ისე დაბრუნდნენ ექიმებიც არ გამოუძახებიათ. ექიმები გამოიძახეს (თუ საერთოდ ექიმები იყვნენ ისინი) მხოლოდ მას შემდეგ, როცა სტალინი, უკვე უიმედო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ხრუშჩოვი ამტკიცებს, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც სტალინის სიკვდილი სურდა, იყო ბერია, რომელიც აშკარად დასცინოდა მომაკვდავ სტალინს (იქვე, გვ. 343). თუმცა მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრუშჩოვის სხვა აღიარებაა: „მე სხვებზე უფრო [illegible] ბულგანინთან ვიყავი.. მე ვკითხე მას: „შენ ხვდები თუ არა, რა სიტუაცია შეიქმნება, როცა სტალინი მოკვდება? შენ იცი, რა თანამდებობას უმიზნებს ბერია?“

— რომელს?

მას სურს გახდეს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი. და თუ ის მიაღწევს ამას, ეს ყოველი ჩვენთაგანის დასასრულის დასაწყისია... ჩვენ ეს არამც და არამც არ უნდა დავუშვათ.

ბულგანინი დამეთანხმა და ჩვენ დავიწყეთ ფიქრი იმაზე, [illegible] რა უნდა გვექნებინა ამიერიდან [illegible] სა[illegible]ირო მოვლაპარაკოთ [illegible], რომ იგი დაგვეთანხმება ([illegible] გვ. 344).

ხრუშჩოვი ზოგჯერ გულახდილია: სტალინის [illegible], ბრძოლა მო-[illegible] მაკვდავის საწოლთან დაიწყო. პირველი მსხვერპლი ბერია უნდა ყოფილიყო. თუმცა სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იგი მაინც გახდა: მან ეს პოსტი უბრალოდ მიითვისა და ზედ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაც დაიმატა.

დავუბრუნდეთ სტალინის ავადმყოფობის ზემოთ აღნიშნულ თარიღებს.

როდის მიიღო სტალინმა დარტყმა — 28 თებერვალს, შაბათს, როცა მასთან იმყოფებოდა „ოთხეული“; 1 მარტს, კვირას, როცა მათ სტალინი დატოვეს (ორივე ამ თარიღს ასახელებს ხრუშჩოვი); 2 მარტს, ღამით, როგორც ამტკიცებს „სამთავრობო ცნობა“ (მასში ყალბად არის მითითებული სტალინის ადგილსამყოფელი, ასევე, შესაძლოა, ყალბი იყოს თარიღიც), თუ იგივე 2 მარტს, საღამოს, როგორც ეს ხრუშჩოვმა უამბო ჰარიმანს?

თარგმნა ზურაბ ნარმანიამ

დასასრული იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შარლოტა კვანტალიანი

# „შესაწირავი რაა მესამე...“

„მწუხრი მშვიდობისა“ ელა გოჩიაშვილის პირველი პოეტური კრებულია. პირველი წიგნი სავიზიტო ბარათია ლიტერატურულ სამყაროში შესასვლელად და დასამკვიდრებლად, ამდენად, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ავტორისათვის, ასევე მკითხველისათვის. უპირველესად ეს გახლავთ მოლოდინის განცდა ორივე მხარისათვის: პირველი ელოდება მკითხველის თანაგრძნობას, თანადგომას, გაგებას და განაჩენს, მეორე კი პოეზიასთან ზიარების სიამოვნებას. თუ ბედნიერი შეხვედრა შედგა, მას სიხარული მოაქვს ორივესთვის.

ელა გოჩიაშვილის ლექსები ამ წიგნამდე არცთუ იშვიათად, იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში და მე უკვე გარკვეული შთაბეჭდილებითა და თანაგრძნობით გადავშალე მისი წიგნი. ოცდაორი ლექსი, მართალია, ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა იქონიო პოეტის სამყაროზე, მაგრამ როგორც წვეთში აირეკლება ზღვის უველა თვისება, ასევე თითოეულ ლექსში ჩანს პოეტის ყველა ცოდვა და მადლი...

მაშ ასე, მე ვიწყებ „მწუხრი მშვიდობისას“ კითხვას:

დაბადებამდე დამიდეს ზღვარი,
დაბადებიდან ვაწვალებ სათქმელს
და ბრმა ლეკვივით ვეფათურები
სულის ფსკერსა და სხეულის სარქველს.

ასე იწყება ელა გოჩიაშვილის პირველი წიგნი. დამეთანხმებით ალბათ, ასეთი სერიოზული და პოეტურადაც საინტერესო სტრიქონების ხილვის შემდეგ, სურვილი გაგიჩნდებათ წიგნის ბოლომდე წაკითხვისა. მოდით, ჩვენც ერთად, ბოლომდე გადავფურცლოთ იგი. პირველსავე ლექსში გამოჩნდა თითქმის ყველა პოეტის ძიების საგანი, მოუხელთებელი და უპოვნელი „რაღაც მესამე“:

მასწავლეთ,
როგორ ვიქცე ზვარაკად,
შესაწირავი რაა მესამე...

ამით ახალგაზრდა პოეტმა წინამორბედ პოეტთა შემოქმედებასთან ნათესაობა გაამჟღავნა, თუმცა მთელი წიგნი იმის მცდელობაა — გაექცეს შაბლონს, ნაკლებად ჰგავდეს სხვებს. ეს ლექსი ხეებს ეძღვნება:

როგორ არავის ებრალებით
                    გაზაფხულისთვის,
როგორ ადვილად გიმეტებენ
                    გაზაფხულისთვის.

. . . . . . . . . . . .

ვერ მიმხვდარან,
ჯალათივით რომ დაგდგომიათ
მწვალებელი აპრილი თავზე
და ფესვებიდან გივლით კანკალი
ყოველი კვირტის ამოტეხვისას...“

როგორ ჰგავს ეს „კვირტის ამოტეხვა“ ჩვილის პირველი კბილის ამოჭრას — ტკივილი რომ ახლავს და სიხარული...

პოეტს აღიზიანებს ყოველივე ზღვარდადებული, დაკანონებული, სტანდარტული...

ვინ დაგვცინა,
ვინ გაგვწირა,
ვინ მოგვისაჯა:
მუსიკა — ტაქტზე,
ლექსი ტაქტზე,
სიყვარული — ტაქტზე,
ზამთარ-ზაფხული ტაქტზე...“.

შემოქმედი უკომპრომისოა და ფრთხილი. სურს ბოლომდე შეინარჩუნოს მწარე სიმართლის გემო, რომელიც ცხოვრებამ გაასინჯა და თვითგვემით მივიდეს განწმენდამდე:

შენ კარგად იცი, რაც გიწილადეს,
რაც მოგისაჯეს ერთხელ,
                    ამიტომ
არც ერთი სიტყვა გაზაფხულებზე!
გაზაფხულები შენი არ იყო,
თუმცა სიყვარულის წამებით ზიდავ
და უარყოფა სახეში გიტყამს,
წერე იმ ერთის მონატრებაზე,
მაგრამ თვით მასზე
არც ერთი სიტყვა!

სიყვარულის მარადიული თემა ამ წიგნშიც ბატონობს. ამ თემის თავისებური განცდითა და გადმოცემით ამყარებს ელა გოჩიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამყაროსთან კავშირს. სიყვარული მისთვის ადამიანის სიცოცხლის გამართლებაა. ადამიანის ზნეობრივი ხატი სწორედ სიყვარულთან დამოკიდებულებაში იკვეთება, მისი მოქმედება პირდაპირპროპორციულია. „ჩემი ღამეები“ უარყოფილი ქალის აღსარებაა:

„მოვა ღამე,
ერთ იარას პირს რომ შეუკრავს,
მეორეს გახსნის...“
„მთელ ქვეყანას გავექცეთ სადმე,
ნუ გეშინია,
თუ ეჭვები დაგვეშვეს და
კვალში ჩაგვიდგნენ
ჩემი სახელი მივუგდოთ მდევართ
მაინც ავი თვალის მსხვერპლი ვარ...“

პოეტისათვის სიყვარული „სულის თავშესაფარია“. იგი არაფერს ითხოვს მეორე ადამიანისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ნატრობს „გვერდიგვერდ ვიდგეთ და რაღაცა გვქონდეს ზიარი“. პოეტი კი იმით კმაყოფილდება რომ სიტყვაში „ჩვენ“ შეფარებულა, სადაც ასე „ურუანტელის მომგვრელად თბილა“.

ამაყ შეყვარებულს თანაგრძნობაც არ სურს, რადგან თანადგომით გამთბარი სული უფრო მტკივნეულად განიცდის უსამართლო უარყოფას:

შენ რომ გამათბობ, მერე დგანან და
სხვები ყინულის ტყვიებს მესვრიან.
შემთბარი გული
უფრო მწვავედ შეკრთება ხოლმე,
ნუ მეფერები, უარესია...

ლექსის ლირიკულმა გმირმა უარი თქვა ყველაფერზე, რაც გარეგნული სიმშვიდისა და სიამოვნების ილუზიას ქმნის, ოღონდ ვერ გაიმეტა „გამხმარი ბზების აივანზე გადმომდგარი გაფითრებული ქალბატონი — თეთრი ქრიზანთემა...“

„მეღირსება თავდავიწყება და მისით სიკვდილი?“ — კითხულობს პოეტი და შემდეგ სულისშემძვრელად ხატავს თავისი გარდაცვალების სურათს:

„გულზე მეყარა თეთრი ყვავილი
და გასაოცრად მგავდა“

და იქვე:

„დამადლებული ძაძა გლოვისა
დაყვედრებული ცრემლი...“

არ ჩანს მხოლოდ რისთვის გაიმეტა ღმერთმა ასე სასტიკად...

„გულწრფელია ეს ლექსი და ბოლომდე მართალი“ — ამბობს ერთგან პოეტი. მისი გულწრფელობა უბრალო და ზოგჯერ გულუბრყვილოა. არსად თეატრალური ჟესტი, არსად თავმოწონება ამ გულწრფელობით, რადგან იგი, ეტყობა, ახალგაზრდა ქალის ხასიათის ორგანული ნაწილია. და საერთოდ, ამ ლექსებში ელა გოჩიაშვილის ისეთი სულიერი პორტრეტი იხატება, რომელიც მკითხველზე შთაბეჭდილებას ტოვებს.

უდიდესი ტკივილია მოთოკილი ერთსტროფიან ლექსში „მამაჩემის სიკვდილი“;

როს გაეყარა სული ხორცს
ხორცს, — დამარცხებულ მხედარს,
საფლავში ძუძუ ეტკინა
ბებიაჩემის ცხედარს.

პოეტი ხატოვნად აზროვნებს. მის ლექსებში უხვად შეხვდებით ლამაზად მიგნებულ ფრაზებს, ორიგინალურ ეპითეტებსა და შედარებებს, სხვა პოეტურ აქსესუარებს.

სასიამოვნო ლირიკულ განწყობილებებს ქმნის ლექსები „ათოვს უნივერსიტეტს...“ ვ. ხარჩილავასადმი მიძღვნილი ლექსი, ზღვის თემაზე შექმნილი სტრიქონები. ამ ლექსების სილაღისა და სიმსუბუქის განცდას ქმნის მოწესრიგებული რიტმი და რითმა, რა თქმა უნდა, პოეტურ სახეებთან ერთად. ზოგჯერ რომელიმე ლექსი, ერთი გარკვეული საზომით რომ არის დაწერილი, რომელიმე სტრიქონში მოულოდნელად არღვევს ლექსის ჩარჩოს, მაგრამ ეს არ არის რაიმე ვერსიფიკაციული სიახლე, პოეტური ხერხი, ეს ზოგჯერ „დაუდევრობის“ ბრალია, ზოგჯერ კი ლამაზი პოეტური ფრაზის ვერგამეტებისა. საერთოდ, სასურველია პოეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს ლექსის გარეგნობას, მის ვერსიფიკაციულ მხარესაც, რაც უთუოდ მეტ მომხიბვლელობას შესძენს მის ლექსებს.

ასევე შეიძლებოდა გვესაყვედურა ზოგიერთი ბუნდოვანი ფრაზისა და ნასხვისარი განწყობილებების ხმარების გამო, მაგრამ ისინი იმდენად ცოტაა სარეცენზიო წიგნში, რომ არც ღირს ამაზე ლაპარაკი.

ბოლოს კი მინდა სიამოვნებით აღვნიშნო რომ პოეტისა და მკითხველის ბედნიერი შეხვედრა შედგა. ელა გოჩიაშვილის ლექსებს ნაზიარები კაცი მის ახალ წიგნებს გულგრილად არ ჩაუვლის, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს, რადგან როგორც თავად პოეტი ამბობს: „დრო ყველაზე წესიერი კაცია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ცისკრის“ მე-5 ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა „ფრთხილად — სოციალ-დემოკრატია!“, რომელსაც ხელს აწერდა „მიმომხილველი“, რეპლიკა ნაკარნახევი იყო საზოგადოების ერთი ნაწილის ეჭვით და, საერთოდ, უარყოფითი განწყობილებით საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისადმი. მასში არ ყოფილა რომელიმე პიროვნების შეურაცხყოფა ან არაეთიკური გამოსვლა. მიუხედავად ამისა, რედაქციამ მიიღო სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ბ-ნ გ. მუჩაიძის წერილი და „სოციალ-დემოკრატის“ მიერ ხელმოწერილი პასუხი „მცირე განმარტება „მიმომხილველს“ (ვბეჭდავთ უცვლელად), რომლის პოლიტიკურ ღირსებასა და ეთიკურ დონეს, იმედია, მკითხველი თვითონ შეაფასებს.

პასუხის ტონის გამო იძულებული ვართ „სოციალ-დემოკრატისათვის“ პასუხის საშუალება მივცეთ აგრეთვე რეპლიკის ავტორს, რითაც ვამთავრებთ კამათს აღნიშნულ საკითხზე.

„ცისკრის“ რედაქცია

თავისუფლება, სამართლიანობა, სოლიდარობა

**საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

ЦК СДП Грузии — CC of Georgian SDP

№ 29-გ „19“ ივნისი 199

ჟურნალ "ცისკრის" რედაქციას

გიგზავნით "ცისკრის" მე-5 ნომერში გამოქვეყნებული წერილის "ფრთხილად:სოციალ-დემოკრატია!" პასუხს, რომელსაც, ვიმედოვნებთ, -გამოაქვეყნებთ კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებით.

პასუხს თან ვურთავთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონფერენციაზე მიმდინარე წლის 14 მარტს საქართველოს სდპ თავმჯდომარის მიერ წარმოთქმული სიტყვის ტექსტის ასლს, რომლის გაცნობამ და გამოქვეყნებამ შეიძლება "მიმომხილველს" თვითკრიტიკის სურვილი აღუძრას.

წინისწარ გმადლობთ აღნიშნული მასალების უახლოეს ნომერში გამოქვეყნებისათვის

საქართველოს სდპ თავმჯდომარე

გ. მუჩაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცირე განმარტება „მიმომხილველს“

№ 5 „ცისკრის“ ბოლო ფურცელზე დაიბეჭდა წერილი — „ფრთხილად: სოციალ-დემოკრატია!“. ბოლოში ხელს აწერს „მიმომხილველი“, მაგრამ ამ წერილს მიმოხილვისა არაფერი სცხია; იგი სათაურიდანვე ტიპიური პასკვილია (მთელი პარტიის მიმართ!). მასში იმდენი აბსურდული ბრალდებაა მოგროვილი, რომ პატივცემული ავტორი უეჭველად მიტინგებზე „განსწავლული“ ჩანს! ყველა მათგანის სათანადოდ გამოაშკარავებას ერთი ვრცელი სტატიაც არ ეყოფა, ამიტომ მხოლოდ რამდენიმეს შევეხებით მოკლედ და კონკრეტულად.

„სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა უარყოფდა ყოველგვარ ეროვნულ გამოვლინებას... და დემაგოგიურად ალვივებდა სამშობლოსა და ეროვნული ცნებებისადმი მტრულ დამოკიდებულებას“. ძნელია თქმა, ეს აზრი რაზეა აგებული, — ისტორიის ელემენტარულ უვიცობაზე თუ გაბედულ სიცრუეზე?! იქვე, ილიას მკვლელობის სოციალ-დემოკრატებისთვის გადაბრალება აშკარად დაგეგმილი ცილისწამებაა: მკვლელთა შორის არც ერთი არ ყოფილა სოციალ-დემოკრატი („მენშევიკი“), უკლებლივ ყველანი ბოლშევიკები იყვნენ!

ავტორს ალბათ სადღაც ყური მოუკრავს, რომ ბოლშევიკებიც თავიდან სოციალ-დემოკრატიას ეკუთვნოდნენ. ილიას მკვლელობის დროს ისინი უკვე ოთხი წლის გამოყოფილები იყვნენ და სხვა, არადემოკრატიულ პოლიტიკურ ხაზს ედგნენ. თანაკლასელებიდან (ან ერთი ოჯახიდანაც კი) ერთი რომ პროფესორი გამოვიდეს და მეორე — გარეწარი, მისი საქციელის გამო პროფესორმა უნდა აგოს პასუხი?!

რაც მართალია, — მართალია, „მიმომხილველი“ სწორს ბრძანებს! მენშევიკები ჭარბ, მცდარ კომპრომისებსა და დათმობებს ეწეოდნენ ბოლშევიკური რუსეთის მიმართ. ეს მძიმე შეცდომა მათ პირად ტრაგედიად დაუჯდათ.

პრიმიტულად ჟღერს მომდევნო, ღვარძლიანი შეფასება: „ისინი საზღვარგარეთ გაიქცნენ და ეს მოქმედება, პოლიტიკური თვალსაზრისით, არ შეიძლება სხვანაირად შეფასდეს, თუ არა ეროვნული ღალატი“. („ღალატი...“ „მოღალატე...“ რა ძალიან ნაცნობი ტერმინოლოგიაა!). საინტერესოა, — რას შესთავაზებდა ჩვენი უკომპრომისო პოლიტიკოსი, მათ მრჩევლად რომ ყოფილიყო? ალბათ ურჩევდა: უიმედო ბრძოლა გაეგრძელებინათ, რათა უფრო მეტი ხალხი გაწყვეტილიყო, ქალაქები და სოფლები დანგრეულიყო და აოხრებულიყო... მთავრობაც ტყვედ ჩაბარებოდა ბოლშევიკებს, რომლებიც მათ, დახვრეტის წინ, უეჭველად ძალით მოაწერინებდნენ ხელს კაპიტულაციაზე და... დღეს ალარაფერი გვექნებოდა დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი დასაყრდენი...

ასე ჯობდა?

შეუძლებელია სერიოზულად ეკამათო პიროვნებას, რომელიც დაწერს — „ბოლშევიკებსა და მენშევიკებს არასოდეს ჰქონიათ სერიოზული უთანხმოება სოციალურ და ეროვნულ საკითხებში“-ო. (ღმერთო მაღალო, რას არ წაიკითხავს კაცი!). აბა, რა იყო 1924-1937 წლების მასობრივი სასაკლაო, უფრო „სერიოზული უთანხმოება“ როგორიღაა „მიმომხილველის“ აზრით?

„თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1990 წლის მარტის კონფერენციაზე წარბშეუხრელად ამტკიცებდა, თავისუფალ საქართველოში ხელისუფლების ერთადერთი კანონიერი მფლობელი ჩვენი პარტია უნდა იყოსო....“

საკითხავია, — საიდან გაჩნდა „მიმომხილველის“ საბრძოლო რეპერტუარში არაფორმალთა ზოგიერთი ლიდერისაგან მომდინარე აბსურდული ბრალდება?! (საიდან იცის მან, თუ ვინ რა თქვა არაფორმალთა კონფერენციაზე?). ბატონებო! ეს უკვე მართლაც „წარბშეუხრელი“ გავრცობაა ბაზრული პროვოკაციისა! დე, იცოდეთ: სოციალ-დემოკრატიული პარტიის დოკუმენტებში ინახება იმ კონფერენციაზე წაკითხული სიტყვის ნაბეჭდი ტექსტი, რომელშიც მსგავსი არაფერი წერია! „ხელისუფლების ერთადერთი მფლობელის“ მანიაკური სინდრომით შეპყრობილნი არიან არა სოციალ-დემოკრატები, არამედ ისინი, ვინც საჯაროდაც ველარ მალავს, რომ ძილშიც მონომახის გვირგვინი ელანდება. ღრმა პოლიტიკოსებს, ერისთვის წამებულ რაინდებს, არც თავიანთი ნამდვილი ზრახვების ასე გაშიშვლება შვენით და არც ასეთი უხამსი ჭორების შეთხზვა-გავრცელება.

სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელს ამისთანა აბსურდული, მკრეხელური პრეტენზიის წამოყენება არ შეეძლო თუნდაც იმ „უბრალო“ მიზეზისა გამო, რომ ისინი „ხელისუფლების ერთადერთი კანონიერი მფლობელი“ არც წინათ ყოფილან და თავიანთ პროგრამაში ახლაც ასე უწერიათ: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია წინააღმდეგია ერთი რომელიმე პარტიის მონოპოლიისა, იგი იყო და რჩება მრავალპარტიული სისტემის დაცვის სადარაჯოზე“. დაიხსომეთ ბატონებო ეს, დაიხსომეთ და ერთმანეთი დაამშვიდეთ, — „ხელისუფლების ერთადერთი მფლობელობის“ ოცნებებში ხელს არავინ შეგიშლით!

წერილში მოხსენიებულია 5 აპრილის „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნებული სოციალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატების საწინააღმდეგო ბრალდება (რომელიც მაშინვე მხილებული იქნა „მტკნარი სიცრუის“ კვალიფიკაციით). ბატონო „მიმომხილველო“, თქვენ ნამეტანად ბევრ „სვლებს“ აკეთებთ „დაფაზე დაუხედავად“, — ის წერილი ისევე არ მოუწერიათ არავითარ „საწარმოო მუშაკთა ჯგუფს“, როგორც — ჩემსა და თქვენს ბებიებს — საიქიოდან! ისაც იმავე სამზარეულოში იყო გამომცხვარი, რომელშიც ეგ თქვენი წერილი შემუშავდა. ეგ ყველაფერი პრიმიტიულობამდე გამჭვირვალეა და მასეთ იაფფასიან ულუფას ჩვენ არ გეახლებით!

ვინ პარპაშებს „ცენტრის იდეოლოგთა ხელდასხმით“ (და თანაც „ჩემი შენ გითხარით“-ს მეთოდს ვინ იყენებს), ამას უკვე ქვეყანა ხედავს და მალე ცხოვრება ყველაფერს გამოამზეურებს. ჩვენ, საერთოდ, არავის ვლანძღავთ (რაც ზოგიერთებს, ჩანს, მცდარი ხითამამისკენ უბიძგებთ), სერიოზული საქმეების კეთებაზე უფრო ვწუხვართ, ვიდრე მავანთა მსგავს გამოხდომებზე. წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან!

ახლა გვსურს პატივცემულ მკითხველს ვამცნოთ ზოგიერთი რამ მოვლენათა ჭეშმარიტების ირგვლივ: პოლიტიკურად გაკოტრებულ კომპარტიას, ცხადია, ასპარეზიდან გასვლა უმძიმს. გაჭირვებაში მას გაახსენდა „სათადარიგო კარები“ — სოციალ-დემოკრატიული პლატფორმა, რომლის იდეებსაც მან დიდი ხანია დააფურთხა და ტერორისა და ერთპიროვნული დიქტატურისაკენ გადაუხვია. სწორედ ამ ხვრელისაკენ მიიპარებოდა „პერესტროიკის“ მეშვეობით. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, თავისი აღმოცენებით, ეს კარები ცხვირწინ გადაუკეტა და ახლა მას, ლოგიკურად, სხვა გზა არა აქვს, თვითლიკვიდაციის გარდა. ამიტომაც კომუნისტებს განსაკუთრებული მძულვარებით სძულთ სწორედ სოციალ-დემოკრატები. სძულთ იმიტომაც, რომ სწორედ მათში ხედავენ ალტერნატიულ ძალას. აი, აქედან მოდის განუწყვეტელი ანტისოციალდემოკრატიული კამპანიაც. ამ კამპანიაში ვინ რა როლს თამაშობს და ვინ ვის მხარეზე დგას (ვინ ვისი „ხელდასხმით“ სულდგმულობს), ამის გარკვევა ძნელი აღარაა.

„მიმომხილველი“ ბრძანებს: „სხვა საკითხია, რომ ჩვენ (?) (ავტორმა, უნებურად, ვინაობა კიდევ გაამხილა) დღეს გაგებით და შემწყნარებულად ვეკიდებით დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მოღვაწეობას“-ო. ბარაქალა მათ დიდსულოვნებას!

რას ნიშნავს გამოთქმა — „სხვა საკითხია?“ შევეცდები მე გავუშიფრო ეს პატივცემულ მკითხველს. რას ნიშნავს და, — უბადრუკ პოლიტიკანობას: მავანთ ორივე სურთ, — „ბაბაც“ და „ჩიჩიაც“... რაშია ხაჭმე? ჩვენ ყველანი იხე ჩავფრენივართ სოციალ-დემოკრატების ეროვნულ ნაღვაწს, როგორც გაწვრთნილნი მაშველ რგოლს; უპირველეს ყოვლისა, — მათ მიერ შექმნილი და ლიად (უკაპიტულაციოდ) დატოვებული სუვერენული [illegible] სტატუსს. ეს მათ დაგვიტოვეს ნამდვილად დემოკრატიული კონსტიტუცია [illegible] იგივე მავანნი ჩუმჩუმად [illegible] რამე-რუმეებს). დაგვიტოვეს მწყობრი ეკონომიკური კონცეფცია (რომელიც, ნაწილობრივი მოდერნიზების შემდეგ, მომავალშიც გამოგვადგება), დაგვიტოვეს სახელმწიფო დროშა (რომელსაც ყველანი დავაფრიალებთ და ზოგჯერ ფერსაც ვუწუნებთ). მათ წინდახედულად აიცდინეს უაზრო სისხლისღვრა და უცხოეთში გადაიხვეწნენ. ეს მათ გადაარჩინეს, დაიცვეს და უკლებლივ დაგვიბრუნეს ეროვნული საგანძური, არქივები და ა. შ.

აი, ამ ხალხს, პირადული ქვენა მიზნების გასამართლებლად თუ მტრების ჩაგონებით, დღეს ლაფში ვსვრით განუკითხავად; ერთმანეთს ვეჯიბრებით მათ ლანძღვაში: ვიმეორებთ ძველ, ბინძურ ცილისწამებებს, ვუმატებთ ახალს; ვამახინჯებთ მათ ნაღვაწს, ვაზვიადებთ მათ ტრაგიკულ შეცდომებს, ამისთვის მათ ვუწოდებთ „მოღალატეებს“... ზოგიერთი ვაიკრიტიკოსი მათგან ჩატარებულ არჩევნებსაც კი ნაყალბევად აცხადებს... დაუსრულებლად ვეწევით ასეთ კამპანიას!..

მერე, როცა დამოუკიდებელი საქართველოს სტატუსზე ლაპარაკი ჩამოვარდება (რადგან იგი ცილდან არ ჩამოვარდნილა), — ეს უკვე „სხვა საკითხია“, უკვე იძულებულნი ვხდებით, „გაგებითა და შემწყნარებლურად მოვეკიდოთ“ იმ საზიზღარ სოციალ-დემოკრატებს. მოკლედ, ხან ისე, და ხან ასე... როგორც მოგვეპრიანება... ერთდროულად მივირთმევთ „ბაბასაც“ და „ჩიჩიასაც“! რას იზამ, — ბოლო ხოვეტიკუსთა ლოგიკით, სამართლითა და ზნეობით, — ასეთი საქციელი სავსებით მისაღებია. პატივცემულო მკითხველო, აი, ამას ნიშნავს, — „სხვა საკითხია“.

ვინა ვართ ჩვენ და რა გვემართება?! ვის ვებრძვით და რა მიზნები გვამოძრავებს?! ესაა ეროვნული მოღვაწეობა, ასე ვაპირებთ სუვერენიტეტის მოპოვებას?! ვართ კი ამის ღირსები, ვამჟღავნებთ საამისოდ მომწიფებულობას?!

და ბოლოს ამასთან დაკავშირებულია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიტუაციაც: დღეს კრემლს აშკარად არ სურს, რომ საქართველოს ანექსია აღიაროს. იგი საბაბს დაეძებს, რათა დამოუკიდებელი საქართველოს სტატუსი ეჭვქვეშ დააყენოს. აი, ამ მიზნითაცაა „შემოგდებული“ მენშევიკების ძაგების თემა. მაშ, ესაც დაიხსომეთ ბატონებო: როცა კრემლში საქართველოს ანექსიის განხილვაზე მიდგება საქმე, ამ თქვენს ნაწერებს ისევე აგვიფრიალებენ ცხვირწინ, როგორც 9 აპრილის ამბებზე აგვიფრიალეს. — მათგანვე ინსპირირებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, — დამსჯელი ჯარის მოთხოვნის ქაღალდი. ძალიან გვეეჭვება (ღმერთმა ნუ გაამართლოს ეს გუმანი!), რომ ჩვენი ამ ბედოვლათობით წინასწარვე წაგებული გვაქვს ანექსიის აღიარებისათვის ბრძოლა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

სოციალ-დემოკრატი

### ბ. მუჩაიძე — სიტყვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლების კონფერენციაზე 1990 წლის 14 მარტს

ქალბატონებო და ბატონებო!

1918 წელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩვენ მზად ვართ გადავულოცოთ ეს პრეროგატივა ყველა პარტიას, ვინც კი საქართველოს დამოუკიდებლობას მოუპოვებს უსისხლოდ.

საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტია საქართველოში მოქმედი ერთადერთი ოპოზიციური პარტიაა, რომელიც ცნო და აღიარა ქართულმა ემიგრაციამ საზღვარგარეთ.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი საზღვარგარეთის ბიურო უკანონოდ მიიჩნევს კომუნისტურ ხელისუფლებასაც და იმ ალტერნატიულ კოალიციურ მთავრობასაც, რომლის შექმნას აპირებს ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაცია.

თავისუფალ არჩევნებამდე, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ერთადერთი კანონიერი მთავრობაა საფრანგეთში მოქმედი საქართველოს ემიგრანტული მთავრობა — საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბატონ კარლო ინასარიძე.

ამიტომ კონფერენციას ვთხოვ გაითვალისწინოს ეს გარემოება. მოუწოდებთ კიდევ ერთხელ ჩაფიქრდნენ ის პიროვნებები, რომლებიც აპირებენ უკანონო ოპოზიციური მთავრობის შექმნას. ასეთი აქცია საქართველოს თავს დაატეხს ახალ რეპრესიებს და გამოიწვევს უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლს.

ბატონო ზვიად, ბატონო ირაკლი, ბატონო გია. მიუხედავად ჩვენი თქვენდამი დიდი პატივისცემისა, მაინც უნდა საჯაროდ განვაცხადოთ, რომ თქვენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ნათელი მიზნისაკენ მიგყავთ არასწორი გზით. ქართულმა ემიგრაციამ საზღვარგარეთ ბევრჯერ მოგიწოდათ მიგებაძათ ბალტიის რესპუბლიკებისათვის. მაგრამ თქვენ ჯიუტად დგახართ მცდარ პოზიციებზე.

მოგიწოდებთ ყველას ბრძოლის ევროპული, პარლამენტური გზისაკენ, თავისუფალი მრავალპარტიული არჩევნების დამკვიდრებისაკენ.

ბ. მუჩაიძე

# „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებით"

რახან „ცისკრის" რედაქტორმა გადაწყვიტა, „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებით" გამოაქვეყნოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მიერ რეკომენდებული „სოციალ-დემოკრატის" წერილი, ბატონ რედაქტორს ვთხოვ, პასუხად მეც მათქმევინოს ორიოდე სიტყვა, მეც ხომ მაქვს „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლება?"

ახლა რაც შეეხება თვით კრიტიკას.

ანონიმმა „სოციალ-დემოკრატმა" თავიდანვე ჩემი დაშინება გადაწყვიტა და გაგვაფრთხილა — „მიმომხილველის" „აბსურდული ბრალდებების" გამოაშკარავებას მომავალი ვრცელი სტატიისთვის" ვინახავ, ამჯერად კი „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებას" მოკლედ და კონკრეტულად გამოვიყენებო.

მეც მეტი რაღა დამრჩენია, მრავალსიტყვაობას უნდა მოვერიდო და ენერგიის ძირითადი ნაწილი „სოციალ-დემოკრატის" მომავალ „ვრცელ სტატიაში" მოსალოდნელ „კრიტიკაზე განმარტების მიცემისათვის" შემოვინახო.

„სოციალ-დემოკრატს" ჩემი რეპლიკიდან ამოგლეჯილი მცირე ნაწყვეტი მოაქვს: „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა უარყოფდა ყოველგვარ ეროვნულ გამოვლინებას და დემაგოგიურად აღვივებდა სამშობლოსა და ეროვნული ცნებებისადმი მტრულ დამოკიდებულებას". „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებით" ოპონენტის ცალკეული ფრაზებით მანიპულირების ხერხი სოციალ-დემოკრატიაზე ძველია და მას, რასაკვირველია, კარგად ფლობს ჩვენი „სოციალ-დემოკრატი". სინამდვილეში ეს აბზაცი ასე ჟღერს: „საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ იდეალებს. ქადაგებდა რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების მტრულ კლასებად დაყოფას და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარდაუვალობას, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა უარყოფდა ეროვნული ინტერესების ყოველგვარ გამოვლინებას, მარქსისტული კოსმოპოლიტიზმის იდეებით წარმართავდა საზოგადოების გაუცნობიერებელ ფენებს და დემაგოგიურად ალვივებდა სამშობლოსა და ეროვნების ცნებებისადმი მტრულ დამოკიდებულებას".

ახლა ჩვენს „სოციალ-დემოკრატს" ვთხოვ თავის მომავალ „ვრცელ სტატიაში" მიპასუხოს: არ დაპირისპირებია სოციალ-დემოკრატია ილია ჭავჭავაძის ეროვნულ იდეალებს? არ ქადაგებდა საზოგადოების მტრულ კლასებად დაყოფას და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარდაუვალობას? არ ალვივებდა ეროვნული ინტერესებისადმი მტრობას და არ მისდევდა მარქსისტულ კოსმოპოლიტიზმს?!

რადგან „სოციალ-დემოკრატს" საწყენად მაინც და მაინც ეს უკანასკნელი აზრი მიუღია, ხოლო მე „ელემენტარულ ისტორიულ უვიცობას" მიკიჟინებს, ისღა დამრჩენია, თავი ისტორიულად განსწავლული ხალხის დამოწმებით ვიმართლო: „იძულებული ვართ აღვნიშნოთ აგრეთვე ორი შეცდომა, რაც დაუშვეს ჩვენმა ს.-დემოკრატებმა და გამომდინარეობდა მათი კოსმოპოლიტური მრწამსით და ცენტრალისტური მისწრაფებით. ჩვენი ს.-დემოკრატები რუსეთის ბელადების ზეგავლენით, იმთავითვე სასტიკად ამხედრდნენ ქართულ-ეროვნული შემეცნების და პოლიტიკური თვითმმართველობის ე. ი. ავტონომიის წინააღმდეგ. რასაც მოჰყვა ხანგრძლივი ბრძოლა ს.-დემოკრატებსა და იმ პარტიებს შორის, რომელნიც ეროვნულს ნიადაგზე იდგნენ" (ნიკო ნიკოლაძე, გაზ. „საქართველო" 23. III. 10).

„მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ათზე მეტი წლის მანძილზე იგი გამორიცხავდა საქართველოსათვის რაიმე ეროვნულ-ტერიტორიული გამორკვევის საჭიროებას, რამაც ეროვნულ ნიჰილიზმამდე მიიყვანა" (ალ. მუჯირი, „კომუნისტი", 9. VII. 88). ეს უკვე ქართველ სოციალ-დემოკრატთა თავკაცს ნოე ჟორდანიას ეხება, პირადად.

სხვათა შორის, მავან კრიტიკოსთა მიერ ლამის პროლეტარულ პოეტად შერაცხული იროდიონ ევდოშვილი თავის დროზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მაგრამ პოეტი პარტიიდან გავიდა და თავისი ეს გადაწყვეტილება სანდრო შანშიაშვილისადმი გაგზავნილ წერილში ასე დაასაბუთა: „როდესაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს ხსენებაც კი სათაკილო გახადეს, მაშინ ჩემი აზრები ჩემმა გულმა გადაატრიალა მათ წინააღმდეგ. ვიმეორებ და შენ ყურადღებას მივაპყრობ ორ სიტყვას: ქართველი სოციალ-დემოკრატები-მეთქი, იმიტომ, რომ ისეთი უკუღმართი შეხედულება, როგორც მათ აქვთ ეროვნულ საკითხზე, არც ერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიას არა აქვს". (თხზ., 1985 წ.).

ეს ჩვენი „სოციალ-დემოკრატი" კიდევ ხელებს შლის — ძნელია თქმა, რაზეა ეს აზრი აგებული, ისტორიის ელემენტარულ უვიცობაზე თუ გაბედულ სიცრუეზეო". ნიკო ნიკოლაძეს და იროდიონ ევდოშვილს რომ არ მოსწონდა, ვითომ მე რატომ უნდა მომწონდეს ის პარტია, მაგრამ ყველაფერი ჯერ დაკარგული მაინც არ არის, იმედია, „სოციალ-დემოკრატს" ზემოთ მოყვანილი ავტორიტეტული შეხედულებების გასაბათილებლად რაღაც არგუმენტები გააჩნია, რომელთაც თავის მომავალ „ვრცელ სტატიაში" გაგვიზიარებს!

ჩვენს „სოციალ-დემოკრატს", როგორც ჩანს, დეტალებში სცოდნია ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მთელი საიდუმლო, აკი ბრძანებს: „მკვლელთა შორის არც ერთი არ ყოფილა სოციალ-დემოკრატი („მენშევიკი"), უკლებლივ ყველანი ბოლშევიკები იყვნენ". მერე და ადრე ვერ თქვით?! აგერ, ოთხმოცდამესამე წელია ქართველებს სიმართლე ვერ დაგვიდგენია, მთავრობამ სპეციალური კომისიაც კი შექმნა ამ საქმის შესასწავლად, რომელსაც თავისი დასკვნა, სხვათაშორის, ჯერ არ გამოუქვეყნებია. თუ სიმართლე ასე დაბეჯითებით იცოდა, მაშინ სად იყო და რად არ თქვა „სოციალ-დემოკრატმა", სანამ ბოლშევიკების მემკვიდრენი ჯერ კიდევ არ „მიიპარებოდნენ" სოციალ-დემოკრატიის „ზვრელისკენ", თავადაც „პირსისხლიანი მენშევიკური დიქტატურის" განქიქებით ხომ არ იყო გართული?!

ჩემი პატივცემული ოპონენტი, რომელიც, ეჭვი არ მეპარება, პარტიაში მაღალი რანგის მოღვაწეა, პოლიტიკოსისათვის შეუფერებელ გაცხარებას იჩენს, წონასწორობას კარგავს და აშკარა შეურაცხყოფას მაყენებს, მაშინ როცა ჩემს რეპლიკაში ერთი სიტყვაც არ არის პიროვნების შეურაცხმყოფელი. „ავტორს ალბათ ყური მოუკრავს, — წერს ერთგან — რომ ოდესღაც ბოლშევიკებიც „სოციალ-დემოკრატიას" ეკუთვნოდნენ". ჩვენს „სოციალ-დემოკრატს" ვურჩევ, მენშევიზმისა და ბოლშევიზმის ისტორიაში ჩემს „გასანათლებლად" ნუღარ გაირჯება. რა ვქნათ, ბატონო, ყველა ისტორიის პროფესორი ვერ ვიქნებით, მაგრამ „ყურის მოკვრა" მაინც ნამეტანია, ამ საკითხებში მე გამოცდები მაქვს ჩაბარებული ჯერ ისტორიის ფაკულტეტზე სწავლისას, ხოლო შემდეგ უმაღლეს პარტიულ სკოლაში...

„ისტორიის ელემენტარულ საკითხებში" უვიცად ხომ გამომაცხადა ბატონმა „სოციალ-დემოკრატმა", ახლა ადგა და „ყურმოკრული ამბებით" მოკამათე, „პრიმიტიულად მოაზროვნე", „ღვარძლიანი" კაცის მარკაც დამაკრა.

აქაოდა, მენშევიკების მთავრობის საზღვარგარეთ გაქცევას, როგორ გაბედე და, ეროვნული ღალატი უწოდეო.

ბატონი „სოციალ-დემოკრატის" ლოგიკას რომ გავყვეთ, მაშინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საერთოდ არ უნდა გაეწია წინააღმდეგობა წითელი რუსეთის ჯარებისათვის, მაშინ არც კოჯრის ბრძოლები იქნებოდა და არც დაღუპული ქართველი ჯარისკაცები, საქართველო წვეთი სისხლის დაუღვრელად დაუბრუნდებოდა რუსეთის იმპერიის წიაღს...

ამ პატარა წერილში რომელი ერთი დოკუმენტი მოვიყვანო იმის დასტურად, რომ მენშევიკურმა მთავრობამ, სწორედ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წინაშე პაკლუცობისა და ორგანიზატორული უსუსურობის გამო, ვერ შეძლო არსებული სამხედრო რესურსების მობილიზება აგრესორის წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველ მსოფლიო ომში, რუსეთის ინტერესების დასაცავად საქართველომ ორასიათასზე მეტი ჯარისკაცი გაგზავნა, მაგრამ როცა იგივე რუსეთი თავს დაგვესხა, თბილისთან (რატომ თბილისთან და არა საქართველოს საზღვრებთან?!) მე-11 არმიას მხოლოდ რამდენიმე ათასეული ებრძოდა. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, ქართული ჯარი გაუტეხლად იდგა დედაქალაქის კარიბჭესთან და კონტრშეტევაზე გადასვლის ბრძანებას ელოდა: არც თბილისი ჰგავდა განწირულ ქალაქს და 24 თებერვლის ღამეს მშვიდად ეძინა, იმდენად მშვიდად, რომ არც გაუგია მთავარსარდლობის მოულოდნელი ბრძანებით გულმოკლულმა ქართულმა ჯარმა როგორ გაიარა დედაქალაქი და არარსებულ „მცხეთის პოზიციებზე" გადანაცვლება დაიწყო. ამის შესახებ დაწვრილებით გვიყვება ამ ბრძოლების მონაწილე აკ. კვიტაიშვილი (გაზ. „მამული" თებერვალი, 1990 წ.).

1921 წლის აპრილში პარიზში ჩასულმა საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის ენთუზიაზმს და მოსახლეობის დიდ რაოდენობას, საქართველოს მთავრობა იქნებ შესძლებდა მტრისადმი წინააღმდეგობის გაშლა-გაფართოებას, მაგრამ მან იარაღითა და საბრძოლო მასალით ვერ უზრუნველჰყო ერის ყველა შვილი, რომელიც მზად იყო თავი დაედო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის".

კიდევ კარგი, ეს განცხადება თავად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დაწერილია, თორემ ხომ ამიკლებდა ჩვენი „სოციალ-დემოკრატი" — „ისტორიულად უვიცია" და „ცრუობსო". არ დამარცხებულა, ბატონო „სოციალ-დემოკრატო", ქართველი ხალხი და ქართული ჯარი 1921 წლის თებერვალში, დამარცხდა მისი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც იოლად შეეძლო გამკლავებოდა იმ ძალებს, რაც მაშინ რუსეთმა საქართველოს დასაპყრობად გამოისროლა. ბოლო რა იქნებოდა შემდეგ, ეს არც მე ვიცი და არც თქვენ: წინასწარმეტყველობას ნუ დავიჩემებთ, არც ბატონი ნოე ჟორდანია ბრძანდებოდა იმდენად გამჭრიახი, რომ მაშინვე ეწინასწარმეტყველა — ჩემგან სამშობლოს მიტოვება და საზღვარგარეთ გაქცევა ქართველებს 70 წლის შემდეგ ხელში სამართლებრივ საბუთს მისცემს დამოუკიდებლობის აღსადგენადო.

აბა, რა უნდა ველაპარაკო კაცს, რომლის წერილსაც „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებით" ისტორიის პროფესორი უწევს რეკომენდაციას და რომელიც სერიოზულად ამტკიცებს 1924-1937 წლების „მასობრივი სასაკლაო" მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის სოციალურ და ეროვნულ საკითხებში უთანხმოების ბრალი იყო. მართლაც, „რას არ დაწერს კალამი", განსაკუთრებით თუ „სოციალ-დემოკრატს" უჭირავს ხელში.

ბატონი (იქნებ „ამხანაგი" ჯობდეს?!) „სოციალ-დემოკრატი" გაკვირვებულია — საიდან იცის „მიმომხილველმა", რა თქვა არაფორმალთა კონფერენციაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ (რა, ეს „არაფორმალები"!.. ატარებენ რაღაც კონფერენციებს და აბა, „ფორმალმა" და წესიერმა კაცმა საიდან უნდა იცოდეს რას ამბობენ ორატორები).

საიდან ვიცი და იქ გაზეთით. ჩემო ბატონო, დარბაზში ვიჯექი და რაც მე იქ ვნახე და გავიგონე, ის ბატონ გ. მუჩაიძის ამ ერთგვერდიან გამოსვლაში არაა წერია. ზოგი რამ ზეპირადაც ითქვა და სანამ კონფერენციის ოქმების საძებრად გამზადებიდეთ, მე უკეთესს გეტყვით: „მოდით, ერთად ვნახოთ ფირზე ჩაწერილი კონფერენციის მსვლელობა, თუ ეს თქვენ ხელს გაძლევთ, რასაკვირველია.

ამას თავი დავანებოთ, აგერ, ბატონ გ. მუჩაიძის გამოსვლის ტექსტშიც შავით თეთრზე არაა წერია?: „თავისუფალ არჩევნებამდე, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ერთადერთი კანონიერი მთავრობაა საფრანგეთში მოქმედი საქართველოს ემიგრანტული მთავრობა — საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბატონი კარლო ინასარიძე". აი, თურმე რა! დღეს რომ თავისუფლება ციდან ჩამოვარდეს, მთავრობის შექმნაზე შეწუხება აღარ გვინდა, აგერ არ გვყოლია, პარიზში, „ერთადერთი", „კანონიერი", „საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი" სოციალ-დემოკრატიული მთავრობა?! მაგრამ, აბა, პარიზში მყოფ ცენტრალური კომიტეტის წევრს, ბატონ კარლო ინასარიძეს ხომ არ შევაწუხებთ, როცა საქართველოში სოციალ-დე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებიც ბლომად არიან და პარტიის თავმჯდომარეც აქვე ბრძანდება! მერე დადექით და უცადეთ „ბატონო ზვიად, ბატონო ირაკლი, ბატონო გია, როდის ჩაგვიტარებენ სოციალ-დემოკრატები „თავისუფალ არჩევნებს".

ჩვენი „სოციალ-დემოკრატი" ან თავად ვერ ხვდება თავისი პარტიის თავმჯდომარის არცთუ შენიღბულ აზრს ან ჩემი „ისტორიის ელემენტარულ უვიცობის" იმედი აქვს და განგებ მაბრიყვებს.

ბატონი („ამხანაგი" ხომ არ ჯობია?!) „სოციალ-დემოკრატი" გაღიზიანებულია ნ აპრილის „სახალხო განათლებაში" გამოქვეყნებული წერილის გახსენებით და მიკიჟინებს „დაფაზე დაუხედავად აკეთებ სვლებს, ის წერილი „საწარმოო მუშაკთა ჯგუფს" არ დაუწერია. იქვე, იმავე სამზარეულოში იყო გამომცხვარი, . რომელშიც ეგ თქვენი წერილი შემუშავდა, ეგ ყველაფერი პრიმიტიულობამდე გამჭვირვალეა და მასეთ იაფფასიან ულუფას ჩვენ არ გვახლებითო!"

აი, ასე, ყველაფერი, რაც სოციალ-დემოკრატიის გარეთ დგას, „პრიმიტიული", „უვიცი", „ბინძური", „იაფფასიანია", აბა, როგორ, ღვთაებრივი სიბრძნისა და ერთადერთი ჭეშმარიტების მფლობელი ხომ, მისი ჩასახვის დღიდან, მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიაა! მერე რა, რომ მისი იდეოლოგები საწარმოო მუშაკთა ჯგუფსა" და „საწარმოს მუშაკთა ჯგუფს" ერთმანეთში ურევენ.

ნეტავი რატომ მგონია ბატონ „სოციალ-დემოკრატს", რომ მე მხოლოდ ნ აპრილის „სახალხო განათლება" მაქვს წაკითხული. მე კაცო, ხომ გამოქვეყნდა შემდეგ ნომერში რედაქციის განმარტება — იმ საწარმოში კაცი გავგზავნეთ და ყველაფერი მართალი აღმოჩნდა. გ. მუჩაიძესაც სწორედ ის უთქვამს, რაც გაზეთში წერია და წერილიც „საწარმოო მუშაკთა ჯგუფის" დაწერილიაო.

„სოციალ-დემოკრატი" განაწყენებულია, როგორ თუ „ცენტრის იდეოლოგთა ხელდასხმით" მოქმედებას გვაბრალებთ, პირიქით, კომპარტიას შავი დღე ვაყარეთო.

თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ბატონო სოციალ-დემოკრატებო, რომ დროზე შეგინიშნავთ, როგორ „მიიპარებოდა" კომპარტია სოციალ-დემოკრატიული „ხვრელისაკენ", „პერესტროიკის" მეშვეობით, „კარები დროზე გადაგიკეტავთ" და თვითლიკვიდაციის გარდაუვალობის წინაშე დაგიყენებიათ.

სიმართლე გითხრათ, ცოტა კი შევწუხდი: რა არის, თქვე კაი ხალხო, თქვენი სულიერი ძმისადმი ასეთი ულმობლობა, ბოლოს და ბოლოს, ეს ის პარტიაა, მე და თქვენ რომ მის „ბრძნულ გადაწყვეტილებებზე" ტაშისცემით ხელები გვაქვს გადატყავებული და 70 წელია „მესამე ძალას", „საზოგადოების წარმმართველსა და ორგანიზატორს", „ეპოქის გონებას, ღირსებას და სინდისს" ვეძახით. თქვენ კი სოციალ-დემოკრატიის „ხვრელი" გადაგიკეტავთ და კარი „ცხვირწინ მიგიჯახუნებიათ", რა უნდა ქნას ახლა „ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელმა", იწოწიალოს ასე, შეუცნობელ სივრცეში?! პარტიის 28-ე ყრილობამდე მაინც შეგეშვათ სოციალ-დემოკრატიის „ხვრელში".

ამის შემდეგ „სოციალ-დემოკრატი", მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისტორიის ელემენტარული უვიცობიდან" გამომდინარე, ღითირამბებს აფრქვევს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიმართ: კონსტიტუცია, დროშა და „მწყობრი ეკონომიკური კონცეფცია" დაგვიტოვესო.

ბატონ „სოციალ-დემოკრატს" შევახსენებ, რომ კონსტიტუცია რესპუბლიკის დამხობამდე ოთხი დღით ადრე, 1921 წლის 21 თებერვალს, 10 საათზე იქნა მიღებული(?!) და ამას მხოლოდ ფაქტის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ რომ „დღეს დავაფრიალებთ" ის ეროვნული დროშაც არ მოუგონიათ სოციალ-დემოკრატებს, მისი ფერები ძველქართულია და ეს დროშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1917 წლის შემოდგომაზე გამოჩნდა თბილისში. სოციალ-დემოკრატებს წითელი „პროლეტარული" დროშა ჰქონდათ და ხელისუფლების სათავეში მოსვლისას იგი ეროვნულ დროშად შესთავაზეს ქართველ ხალხს, მაგრამ საქართველომ არ მიიღო „პროლეტარული" დროშა და ეროვნულ დროშად ძველქართული სიმბოლიკით შემკული შვინდისფერი დროშა აირჩია.

ეს ყველაფერი „სოციალ-დემოკრატმა" არ შეიძლება არ იცოდეს, მაგრამ კვლავ „მიმომზილველის" „ისტორიის ელემენტარული უვიცობის" იმედი აქვს!

რაც შეეხება მენშევიკების „მწყობრ ეკონომიკურ კონცეფციას", ეს პირდაპირ სასაცილოა. რომელ ეკონომიკურ კონცეფციაზე ბრძანებს ნეტავი ეს ჩვენი „სოციალ-დემოკრატი?": „როგორც წინა წლებში, ასევე გასულ წელსაც მთავრობას არავითარი საეკონომო გეგმა არა ჰქონია, იყო მხოლოდ დეკლარაციები, რომლის ხორცის შესხმისთვის არავინ ზრუნავდა, და აი, აქ არის სისუსტე მმართველი პარტიისა". წერდა 1921 წლის იანვარში „სახალხო საქმე". იმდროინდელი ავტორიტეტული გაზეთი აღნიშნავს „მთავრობას არავითარი საეკონომო გეგმა არა ჰქონიაო", ჩვენი დროის სოციალ-დემოკრატი კიდევ გაიძახის „მწყობრი ეკონომიკური კონცეფცია დაგვიტოვესო", რომელს უფრო დაეჯერება... იქნებ მას სოციალ-დემოკრატების საყვარელი „დეკლარაციები" აქვს მხედველობაში. ამგვარი „დეკლარაციებითა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „განვითარების პროგრამებით“ არ გვკვებავდა ბოლშევიკური პარტიაც? რა ფასი აქვს განუხორციელებელ დეკლარაციებს. „სოციალ-დემოკრატებმა გაკეთება ვერაფრისა მოასწრეს, სამაგიეროდ, რამდენი მამულისა, ქარხანა-სახელოსნოსი, წისქვილისა და სხვა, ჩამორთმევა და გაოხრება მოასწრეს“ — წერდა რევაზ გაბაშვილი. იქნებ გამრჯე კაცს რომ ქონებას ჩამოართმევ და გაატიალებ, ეს არის „მწყობრი ეკონომიკური კონცეფცია“? იქნებ ამავე „კონცეფციის“ განვითარებას გვპირდებიან ახალი დროის სოციალ-დემოკრატებიც!

„სოციალ-დემოკრატი“ ბოლოს, ერთ საიდუმლოსაც გვიმხელს: თურმე დღეს კრემლს აშკარად არ სურს, რომ საქართველოს ანექსია აღიაროს (თქვენ გაგაშენათ ღმერთმა, თორემ აქამდე სულ იმას ვფიქრობდი კრემლში დღედაღამ თავს იმტვრევენ — ანექსიის საბუთი როგორ ვიშოვოთ და საქართველო როგორ გავანთავისუფლოთო), ამ მიზნით არის „შემოგდებული“ მენშევიკების ძაგების თემათ — გვაფრთხილებს ჩვენი „პოლიტიკოსი“ და თქვენს მიერ სოციალ-დემოკრატების ძაგებას ოდესმე თვალწინ აგიფრიალებენ თავისი სიმართლის დასტურადო. აბა, უყურეთ, „პრიმიტივი“, „უვიცი“, „პოლიტიკანი“ ხომ მიწოდა, ახლა ადგა ჩემი ოპონენტი და კრემლის აგენტად, მისი „შემოგდებული“ პროვოკაციის მსახურადაც გამომაცხადა. ბარაქალა თქვენს პოლიტიკურ ალღოს, ამხანაგო „სოციალ-დემოკრატო“. ამ გონებრივი ავლადიდებით, იმედია, არ დაიკარგებით სოციალ-დემოკრატიის უკიდეგანო ოკეანეში. ისე, ყოველ შემთხვევისათვის, გთხოვთ, ეგეთი რამ მეტად აღარ ქნათ, თორემ საბჭოთა სასამართლოს გზა, თქვენ რომ გაზეთ „საქართველოს“ საჩივლელად დაადექით, მეც ვიცი...

ცოტა კი მაწყენინა მისმა პროტეჟე „სოციალ-დემოკრატმა“, მაგრამ პარტიის თავმჯდომარეს, ბატონ გურამ მუჩაიძეს ერთი კეთილი რჩევა მაინც მინდა შევკადრო: ბატონო თავმჯდომარევ! სანამ „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებით“ დაწერილ წერილებს რეკომენდაციას გაუწევდეთ ლიტერატურულ ჟურნალში დასაბეჭდად, თქვენს პარტიაში გამონახეთ მშობლიური ენის ელემენტარული მცოდნე და წააკითხეთ „სოციალ-დემოკრატის“ წერილები, თორემ ასეთი ჩიქორთული ქართულით ნაწერი დოკუმენტები რომ დაუტოვოთ, სოციალ-დემოკრატიის ეროვნულ სულისკვეთებაში კიდევ უფრო დაეჭვდება მომავალი თაობა.

აი, სულ ეს მინდოდა მეთქვა „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებით“.

დავით მჭედლური („მიმომხილველი“).

Ежемесячный литературно-художественный
и общественно-политический журнал
«ЦИСКАРИ»
Издательство ЦК КП Грузии

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, მარჯანიშვილის ქ. № 1. ტელეფონი 99-85-81, 98-36-43.

გადაეცა ასაწყობად 21.05.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.07.90 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. ააღრ. საგ. თაბახი 15.85. შეკვეთა 1196. უე 08056. ტირაჟი 47 000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ კორძაია

დაიბადა ქუთაისში 1932 წელს. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი 1956 წელს. არის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს ლექსების სამი კრებული.

ელა გოჩიაშვილი

დაიბადა 1959 წელს გურჯაანის რ-ნის სოფ. ვაჩნაძიანში. დაამთავრა თბ. სახ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი 1984 წელს. გამოქვეყნებული აქვს ჯერ-ჯერობით ლექსების ერთი კრებული 1989 წელს. მუშაობს საპროექტო ინსტიტუტში.

მურად ჭანტურია

დაიბადა 1953 წელს წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჯვარში. პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1985 წ. პროფესიით ჟურნალისტია. მუშაობს გაზეთ „ენგურის ჩირაღდნის“ რედაქტორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ն 21/89.

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286